პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კ. მარქსი

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის

სახელგამი
პოლიტლიტერატურის სექტორი
1953

წიგნი პირველი

კაპიტალის შესახებ

ქართული გამოცემის რედაქციისაგან

კარლ მარქსის ნაწარმოების «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» ახალი, მეორე ქართული გამოცემა წარმოადგენს შესწორებულ და გადამუშავებულ თარგმანს. წიგნს დართული აქვს ფ. ენგელსის «კარლ მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»». თარგმნისას ორგინალთან ერთად გამოყენებულ იქნა აგრეთვე ახალი რუსული გამოცემა (მოსკოვი, 1951 წ.).

ამ ნაწარმოების ახალი ქართული გამოცემის ძირითად ტექსტს საფუძვლად დაედო 1932 წლის გამოცემა, რომელიც გადაამუშავა და შეასწორა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პ. ი ა შ ვ ი ლ მ ა.

ქართული გამოცემის რედაქცია შეასრულა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა დ. ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე მ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

წინასიტყვაობა[1]

ბურჟუაზიული ეკონომიის სისტემას მე განვიხილავ შემდეგი თანამიმდევრობით: კაპიტალი, მიწის საკუთრება, დაქირავებული შრომა; სახელმწიფო, საგარეო ვაჭრობა, მსოფლიო ბაზარი. პირველ სამ ნაწილში მე ვიკვლევ ეკონომიური ცხოვრების პირობებს იმ სამი დიდი კლასისას, რომლებადაც ნაწილდება თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება; დანარჩენი სამი ნაწილის ურთიერთკავშირი სავსებით ნათელია. პირველი წიგნის პირველი განყოფილება, რომელიც კაპიტალს განიხილავს, შემდეგი თავებისაგან შედგება: 1) საქონელი, 2) ფული, ანუ მარტივი მიმოქცევა, 3) კაპიტალი საერთოდ. პირველი ორი თავი შეადგენს ამ ნაკვეთის შინაარსს. მთელი მასალა ჩემს წინაა მონოგრაფიების სახით, რომლებიც სხვადასხვა, ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულ, პერიოდებში იყო დაწერილი, — დაწერილი არა დასაბეჭდად, არამედ ჩემთვის საკითხების გასარკვევად; ამ მონოგრაფიათა სისტემატური

---

[1] კ. მარქსის წიგნი «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» პირველად გამოიცა ბერლინში 1859 წელს. რედ.

დამუშავება ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით დამოკიდებული იქნება გარეშე გარემოებებზე.

ზოგადი შესავალი, რომელიც მე მოვხაზე, აქ აღარ შემაქვს, რადგან გულდასმითი მოფიქრების შემდეგ ისე მეჩვენება, რომ ყოველგვარი წინასწარი გამოტანა დასკვნებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, ხელშემშლელი იქნება; მკითხველმა, რომელიც საერთოდ მოისურვებს კვალდაკვალ მომყვეს, უნდა გაბედოს კერძოდან ზოგადზე გადასვლა. მაგრამ მაინც არ მგონია აქ უადგილო იყოს ზოგიერთი შენიშვნა ჩემი საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიური მეცადინეობის მსვლელობის შესახებ.

ჩემი სპეციალური სასწავლო საგანი იურისპრუდენცია იყო, მაგრამ მე მას ვსწავლობდი მხოლოდ როგორც მეორეხარისხოვან დისციპლინას ფილოსოფიასა და ისტორიასთან ერთად. 1842-43 წელს მე, როგორც «რაინის გაზეთის»[1] რედაქტორი, პირველად ჩავვარდი გასაჭირში იმის გამო, რომ აზრი უნდა გამომეთქვა ეგრეთწოდებული მატერიალური ინტერესების შესახებ. ხე-ტყის ქურდობისა და მიწის საკუთრების პარცელებად დაყოფის საკითხებზე რაინის ლანდტაგში გამართულმა ბჭობამ, ოფიციალურმა პოლემიკამ, რომელიც რაინის პროვინციის მაშინდელმა ობერპრეზიდენტმა ბ-ნმა ფონ შაპერმა დაიწყო «რაინის გაზეთთან» მოზელის გლეხების მდგომარეობის შესახებ, დასასრულ, კამათმა თავისუფალი ვაჭრობისა და მფარველობითი ბაჟების შესახებ, — პირველი ბიძგი მომცა ხელი მიმეყო ეკონომიური საკითხების შესწავლისათვის. მეორე მხრივ, ამ ხანაში, როცა «წინსვლის» კეთილი სურვილი ბევრად აღემატებოდა საგნის ცოდნას, «რაინის გაზეთში» გაისმა საფრანგეთის სოციალიზმისა და კომუნიზმის ოდნავ ფილოსოფიურად შეფერადებული გამოძახილი. მე გამოვედი ამ დილეტანტობის

---

1 «Rheinische Zeitung»—ყოველდღიური რადიკალური გაზეთი, 1842—1843 წ.წ. გამოდიოდა კელნში. 1842 წ. 15 ოქტომბრიდან 1843 წ. 18 მარტამდე მისი რედაქტორი იყო მარქსი. რ ე დ.

წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე «Allgemeine Augsburger Zeitung»-თან [1] გამართულ პოლემიკაში გულახდილად ვაღიარე, რომ საგნის ის ცოდნა, რომელიც მე მაშინ მქონდა, ნებას არ მაძლევდა რაიმე მსჯელობა გამებედნა თვით ფრანგულ მიმართულებათა შინაარსის შესახებ. მით უფრო დიდი სიამოვნებით გამოვიყენე ილუზია «რაინის გაზეთის» ხელმძღვანელებისა, რომელნიც იმედოვნებდნენ, რომ გაზეთის უფრო ზომიერი მოქმედებით მის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას შეძლებდნენ და საზოგადოებრივი ასპარეზიდან სასწავლო კაბინეტში გადავიბარგე.

პირველი შრომა, რომელსაც მე ხელი მოვკიდე ჩემი მომცველი ეჰვების გასაფანტავად, იყო ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკული გადასინჯვა, — შრომა, რომლის შესავალი 1844 წელს პარიზში გამოცემულ «გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურ კრებულში» [2] გამოქვეყნდა. ჩემმა გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი, ისევე როგორც სახელმწიფოს ფორმები, ვერც თვით მათგან გაიგებიან, ვერც ადამიანის გონების ეგრეთწოდებული საერთო განვითარებიდან, რომ, პირიქით, ისინი ფესვგადგმულნი არიან ცხოვრების მატერიალურ პირობებში, რომელთა ერთობლიობას ჰეგელი, ინგლისელებისა და XVIII საუკუნის ფრანგების მაგალითის მიხედვით, «სამოქალაქო საზოგადოებას» უწოდებს, და რომ სამოქალაქო საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ. ამ უკანასკნელის შესწავლას, რაც პარიზში დავიწყე, მე განვაგრძობდი ბრიუსელში, სადაც გადავსახლდი იმ ბრძანების გამო, რომელიც ბ-ნმა გიზომ გამოსცა პარიზიდან ჩემი გასახლების შესახებ. იმ საერთო შედეგს, რომელსაც

---

[1] მარქსს მხედველობაში აქვს თავისი სტატია «კომუნიზმი და «საყოველთაო აუგსბურგის გაზეთი»». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 217—220 [რუს. გამოც.]. რედ.

[2] «Deutsch-Französische Jahrbücher» — რევოლუციური და კომუნისტური პროპაგანდის ორგანო; გამოდიოდა მარქსის რედაქტორობით პარიზში 1844 წელს. რედ.

მე მივაღწიე და რომელიც, რაკი ერთხელ მოვიპოვე, სახელმძღვანელო ძაფი გახდა ყველა ჩემს შემდგომ გამოკვლევაში, შეიძლება მოკლედ ასეთი ფორმულირება მიეცეს: თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას. თავიანთი განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური მწარმოებლური ძალები ვარდებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან, ანუ — რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს — საკუთრების ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში. ამგვარ გადატრიალებათა განხილვისას წარმოების ეკონომიურ პირობებში მომხდარი მატერიალური გადატრიალება, რომლის დადგენაც ბუნებისმეცნიერული სიზუსტით არის შესაძლებელი, ყოველთვის უნდა განვასხვაოთ იმ იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, ხელოვნებითი ან ფილოსოფიური, მოკლედ: იდეოლოგიური ფორმებისაგან, რომლებითაც ადამიანები

შეიცნობენ ამ კონფლიქტს და იბრძვიან მის გადასაწყვეტად. როგორც არ შეიძლება ამა თუ იმ ინდივიდის შესახებ ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვითონ იგი თავის თავზე, ისევე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ამგვარი გადატრიალების ეპოქის შესახებ მისი ცნობიერების მიხედვით; პირიქით, ეს ცნობიერება უნდა ავხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული კონფლიქტებით. არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანამდე, ვიდრე არ განვითარებულა ყველა მწარმოებლური ძალა, რომელთათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა, და ახალი უმაღლესი წარმოებითი ურთიერთობანი არასოდეს არ ჩნდებიან მანამდე, ვიდრე მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფებულან. ამიტომ კაცობრიობა ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაწყვეტაც მას შეუძლია, რადგან ზუსტი განხილვისას ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე, რომ თვით ამოცანა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მატერიალური პირობები მისი გადაწყვეტისათვის უკვე არსებობენ ან, ყოველ შემთხვევაში, წარმოშობის პროცესში იმყოფებიან. თუ ზოგადად ავიღებთ, წარმოების აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე, ბურჟუაზიულ, წესებს შეიძლება ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს. ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი წარმოების საზოგადოებრივი პროცესის უკანასკნელი ანტაგონისტური ფორმაა, ანტაგონისტური არა ინდივიდუალური ანტაგონიზმის აზრით, არამედ — ინდივიდთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან აღმოცენებული ანტაგონიზმის აზრით; მაგრამ ის მწარმოებლური ძალები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში ვითარდებიან, ქმნიან ამასთანავე ერთად მატერიალურ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაწყვეტად. ამიტომ ამ საზოგადოებრივი ფორმაციით მთავრდება ადამიანთა საზოგადოების წინაისტორია.

ფრიდრიხ ენგელსმა, რომელთანაც მე, — მას შემდეგ, რაც ეკონომიური კატეგორიების კრიტიკის მისი გენიალური ნარკვევი გამოქვეყნდა («გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურ კრებულში»), — მუდმივი წერილობითი აზრთა გაზიარება მქონდა, ჩემსავით ამავე შედეგს მიაღწია სხვა გზით (შეადარე მისი «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში»); და როცა 1845 წლის გაზაფხულს ისიც ბრიუსელში დაბინავდა, გადავწყვიტეთ ერთად შეგვემუშავებინა ჩვენი შეხედულებანი საწინააღმდეგოდ გერმანული ფილოსოფიის იდეოლოგიური შეხედულებებისა, ნამდვილად კი ანგარიში გაგვესწორებინა ჩვენს წინანდელ ფილოსოფიურ სინდისთან. ეს განზრახვა შესრულებულ იქნა ჰეგელის შემდგომდროინდელი ფილოსოფიის კრიტიკის ფორმით. ხელნაწერი, ორი სქელი ტომი, უკვე დიდი ხანია მისული იყო გამოცემის ადგილას ვესტფალიაში, როცა ცნობა მივიღეთ, — შეცვლილი გარემოებანი მისი დაბეჭდვის ნებას არ იძლევიანო. ჩვენ მით უფრო სიამოვნებით დავუტოვეთ ხელნაწერი თაგვების მღრღნელ კრიტიკას, რომ ჩვენი მთავარი მიზანი — ჩვენთვის საკითხის გამორკვევა — მიღწეული იყო. იმ ცალკეულ ნაშრომთაგან, რომლებშიც მაშინ ჩვენი შეხედულებანი ამა თუ იმ მხრივ საზოგადოებას გავუზიარეთ, აღვნიშნავ მხოლოდ ენგელსისა და ჩემ მიერ ერთად დაწერილ «კომუნისტური პარტიის მანიფესტს» და ჩემ მიერ გამოქვეყნებულ «სიტყვას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ». ჩვენი შეხედულების გადამწყვეტი პუნქტები პირველად იყო მეცნიერულად გადმოცემული, თუმცა მხოლოდ პოლემიკურად, ჩემს შრომაში «ფილოსოფიის სიღატაკე», რომელიც 1847 წელს გამოიცა და მიმართული იყო პრუდონის წინააღმდეგ. ერთი გერმანულად დაწერილი გამოკვლევა «დაქირავებული შრომის» შესახებ, სადაც მე თავი მოვუყარე ამ საკითხზე ჩემ მიერ გერმანელ მუშათა ბრიუსელის კავშირში წაკითხულ ლექციებს, ვეღარ დაიბეჭდა, — ბეჭდვა შეწყდა თებერვლის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებით ბელგიიდან ჩემი ძალად განდევნის გამო.

«ახალი რაინის გაზეთის» გამოცემამ 1848 და 1849 წლებში და შემდგომ მომხდარმა ამბებმა შემაწყვეტინა ეკონომიურ საკითხებზე მუშაობა, რომლის განახლებაც ჩემთვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1850 წელს ლონდონში. პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის იმ უამრავმა მასალამ, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაგროვილი, იმ გარემოებამ, რომ ლონდონი ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენს ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე დაკვირვების საწარმოებლად, დასასრულ, განვითარების იმ ახალმა სტადიამ, რომელშიც, ეტყობოდა, ეს საზოგადოება შევიდა კალიფორნიისა და ავსტრალიის ოქროს აღმოჩენასთან დაკავშირებით, — აღმიძრა სურვილი კვლავ თავიდან დამეწყო საგნის შესწავლა და კრიტიკულად გადამემუშავებინა ახალი მასალა. ამ შესწავლას ნაწილობრივ თავისთავად გადავყავდი გარეგნულად თითქოს სრულიად გარემდებარე დისციპლინებზე, რომლებზედაც მე მეტნაკლებ დიდხანს შეჩერება მიხდებოდა. მაგრამ ჩემს განკარგულებაში არსებულ დროს განსაკუთრებით ამცირებდა თავის რჩენისთვის მუშაობის კატეგორიული აუცილებლობა. ჩემმა ამჟამად უკვე რვა წლის თანამშრომლობამ «ნიუ-იორკის ტრიბუნაში» [1], პირველ ინგლისურ-ამერიკულ გაზეთში, — რადგან მე საგაზეთო კორესპონდენციებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მხოლოდ გამონაკლისის სახით ვწერ, — ჩემი მეცნიერული მუშაობის მეტისმეტი დაქსაქსულობა გამოიწვია. მაგრამ სტატიები ინგლისისა და კონტინენტის საყურადღებო ეკონომიური მოვლენების შესახებ იმდენად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ჩემს საგაზეთო მუშაობაში, რომ იძულებული ვიყავი უფრო ახლოს გავცნობოდი პრაქტიკულ დეტალებს, რომლებიც საკუთრივ პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების ფარგალს გარეშე მდებარეობენ.

---

[1] «New-York Daily Tribune» — ყოველდღიური დემოკრატიული გაზეთი; გამოდიოდა ნიუ-იორკში 1841 წლიდან 1924 წლამდე; მარქსი თანამშრომლობდა ამ გაზეთში 1851 წლიდან 1862 წლამდე. რედ.

პოლიტიკური ეკონომიის დარგში ჩემი მუშაობის მსვლელობის ეს მოკლე მიმოხილვა მხოლოდ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ჩემი შეხედულებანი, როგორც უნდა იმსჯელონ მათზე და რაგინდ ნაკლებ ეთანხმებოდნენ ისინი გაბატონებულ კლასთა ეგოისტურ ცრურწმენებს, კეთილსინდისიერი და მრავალწლოვანი კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენენ. მეცნიერების შესასვლელთან, ისევე როგორც ჯოჯოხეთის კარებთან, შემდეგი მოთხოვნა უნდა იყოს გამოკრული:

Qui si convien lasciare ogni sospetto,
Ogni viltá convien che qui sia morta [1].

ლონდონი, იანვარი, 1859 წ.

კარლ მარქსი

---

[1] «შენ აქ უთუოდ უნდა დასთმო ყოველი შიში,
არ უნდა ექნეს აქ ადგილი სრულიად ყოყმანს».
(დ ა ნ ტ ე, ღვთაებრივი კომედია). რ ე დ.

განყოფილება პირველი

კაპიტალი საერთოდ

თავი პირველი

საქონელი

ერთი შეხედვით ბურჟუაზიული სიმდიდრე გვევლინება ჟამრავი საქონლის გროვად, ცალკეული საქონელი კი — მის ელემენტარულ მყოფობად. მაგრამ თვითეული საქონელი წარმოგვიდგება ორგვარი თვალსაზრისით: როგორც სახმარი ღირებულება და როგორც საცვლელი ღირებულება[1].

საქონელი, ინგლისელი ეკონომისტების თქმით, უწინარეს ყოვლისა არის «ცხოვრებისათვის რაიმე საჭირო, სასარგებლო

[1] Aristot. d. Rep. L. 1, C. 9 (edit. I Bekkeri, Oxonii 1837): «მფლობელობის ყოველი ობიექტით ორგვარად სარგებლობენ. ერთ შემთხვევაში ობიექტით სარგებლობენ მისთვის დამახასიათებელი მიზანდანიშნულებისამებრ, მეორე შემთხვევაში კი — მისთვის არადამახასიათებელი მიზანდანიშნულებისამებრ; მაგალითად, ფეხსაცმლით სარგებლობენ იმისთვისაც, რომ ფეხზე ჩაიცვან, და იმისთვისაც, რომ იგი სხვა რამეზე გადაცვალონ. ორივე შემთხვევაში ფეხსაცმელი სარგებლობის ობიექტია: ისიც ხომ, ვინც ფეხსაცმელს ფულზე ან სურსათ-სანოვაგეზე უცვლის სხვას, რომელსაც ეს ფეხსაცმელი ესაჭიროება, ხმარობს მას როგორც ფეხსაცმელს, მაგრამ არა მისთვის დამახასიათებელი დანიშნულებისამებრ, ვინაიდან ეს დანიშნულება იმაში როდი მდგომარეობს, რომ იგი გაცვლის საგანს წარმოადგენს. ასეთივე მდგომარეობაა მფლობელობის დანარჩენი ობიექტების მიმართაც».

ან სასიამოვნო ნივთი», საგანი ადამიანის მოთხოვნილებათა, საარსებო საშუალება ამ სიტყვის უაღრესად ფართო მნიშვნელობით. საქონლის ეს გარკვეული მყოფობა სახმარი ღირებულების სახით და მისი ბუნებრივი ხელშესახები არსებობა ერთიმეორეს ემთხვევა. ხორბალი, მაგალითად, განსაკუთრებული სახმარი ღირებულებაა, განსხვავებით ბამბის, მინის, ქაღალდის და სხვ. სახმარი ღირებულებისაგან. სახმარ ღირებულებას ღირებულება აქვს მხოლოდ მოხმარებისთვის და იგი მხოლოდ მოხმარების პროცესში ხორციელდება. ერთი და იგივე სახმარი ღირებულება სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოყენებულ იქნას. მაგრამ ყველა მისი შესაძლებელი სასარგებლო გამოყენების ჯამი შემოფარგლულია მისი — როგორც ნივთის — მყოფობით, ნივთისა, რომელსაც გარკვეული თვისებები აქვს. შემდეგ, სახმარი ღირებულება განსაზღვრულია არა მარტო თვისებრივად, არამედ რაოდენობრივადაც. თავისი ბუნებრივი თავისებურების შესაბამისად სხვადასხვა სახმარ ღირებულებას სხვადასხვა საზომი აქვს; მაგალითად, შეფელი ხორბალი, დასტა ქაღალდი, ადლი ტილო და ა. შ.

როგორიც უნდა იყოს სიმდიდრის საზოგადოებრივი ფორმა, სახმარი ღირებულება ყოველთვის შეადგენს მის შინაარსს, რომელიც თავდაპირველად ინდიფერენტულია ამ ფორმის მიმართ. ხორბლის გემოთი ვერ გავარკვევთ, ვინ მოიყვანა იგი: რუსმა ყმამ, ფრანგმა წვრილმა მესაკუთრე გლეხმა თუ ინგლისელმა კაპიტალისტმა. თუმცა სახმარი ღირებულება საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა საგანია და ამიტომ საზოგადოებრივ კავშირურთიერთობაშია მოქცეული, მაგრამ იგი მაინც არ გამოხატავს საზოგადოებრივ წარმოებითს ურთიერთობას. ვთქვათ, ეს საქონელი, როგორც სახმარი ღირებულება, მაგალითად, ალმასია. ალმასს არ ემჩნევა, რომ იგი საქონელია. იქ, სადაც იგი სახმარი ღირებულების სახით გარკვეულ დანიშნულებას ემსახურება, ესთეტიკურად ან მექანიკურად, ხასის გულმკერდზე ან მინის მხეხავის ხელში, — იგი ალმასია და არა საქონელი. სახმარ

ღირებულებად ყოფნა, როგორც ჩანს, აუცილებელი წანამძღვარია საქონლისთვის, მაგრამ საქონლად ყოფნა სრულიად განურჩეველი განსაზღვრაა სახმარი ღირებულებისთვის. სახმარი ღირებულება ამ განურჩევლობაში ფორმის ეკონომიური განსაზღვრის მიმართ, ე. ი. სახმარი ღირებულება როგორც სახმარი ღირებულება, პოლიტიკური ეკონომიის კვლევაძიების ფარგალს გარეთ იმყოფება [1]. პოლიტიკური ეკონომიის ფარგალში იგი მხოლოდ მაშინ მოექცევა, როდესაც თვით წარმოადგენს ფორმის ეკონომიურ განსაზღვრას. უშუალოდ იგი ნივთიერი საფუძველია, რომელიც გამოხატავს განსაზღვრულ ეკონომიურ ურთიერთობას — საცვლელ ღირებულებას.

საცვლელი ღირებულება გვევლინება უწინარეს ყოვლისა როგორც რაოდენობრივი შეფარდება, რომლის მიხედვითაც ხდება სახმარ ღირებულებათა ერთიმეორეზე გაცვლა. ამგვარ შეფარდებაში ისინი ერთსა და იმავე საცვლელ სიდიდეს შეადგენენ. ასე, მაგალითად, პროპერციუსის 1 ტომს და 8 უნც ბურნუთს შეიძლება ერთნაირი საცვლელი ღირებულება ჰქონდეთ, მიუხედავად თამბაქოსა და ელეგიის სახმარ ღირებულებათა განსხვავებისა. როგორც საცვლელი ღირებულება, ერთი სახმარი ღირებულება სწორედ იმდენივე ღირებულებისაა, რამდენისაც მეორე, თუკი მხოლოდ ისინი სწორი პროპორციითაა აღებული. სასახლის საცვლელი ღირებულება შეიძლება გამოიხატოს ფეხსაცმლის ვაქსის კოლოფების განსაზღვრული რაოდენობით. პირიქით, ვაქსის ლონდონელმა მეფაბრიკეებმა თავიანთი მრავალი ვაქსის კოლოფის საცვლელი ღირებულება სასახლეებით გამოხატეს. მაშასადამე, სრულიად დამოუკიდებლად თავიანთი ბუნებრივი

---

[1] სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, თუ რატომ მსჯელობენ გერმანელი კომპილატორები con amore (სიყვარულით) სახმარ ღირებულებაზე, რომელსაც «დოვლათის» სახელწოდებით აღნიშნავენ. იხ., მაგალითად, L. Stein, «System der Staatswissenschaften», განყოფილება «დოვლათის» შესახებ. «დოვლათის» ახსნა-განმარტება უნდა ვეძიოთ «საქონელმცოდნეობის სახელმძღვანელოებში».

მყოფობის ხასიათისაგან და განურჩევლად იმ მოთხოვნილებათა სპეციფიკური ბუნებისა, რომელთაც ისინი ემსახურებიან როგორც სახმარი ღირებულებანი, საქონელნი, განსაზღვრული რაოდენობით აღებულნი, ერთმანეთის თანატოლნი არიან, ერთმანეთს შეენაცვლებიან გაცვლის დროს, ეკვივალენტებად ითვლებიან და, ამრიგად, მიუხედავად თავიანთი მოჩვენებითი ნაირფეროვნებისა, ერთსა და იმავე ერთიანობას გამოხატავენ.

სახმარი ღირებულებანი უშუალოდ საარსებო საშუალებებია. მაგრამ თავის მხრივ თვით ეს საარსებო საშუალებანი საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტებია, ადამიანის დახარჯული სასიცოცხლო ძალის შედეგია, გასაგნობრივებული შრომაა. როგორც საზოგადოებრივი შრომის მატერიალიზაცია, ყველა საქონელი ერთი და იმავე ერთიანობის კრისტალიზაციაა. ჩვენ უნდა განვიხილოთ ახლა განსაზღვრული ხასიათი ამ ერთიანობისა, ე. ი. შრომისა, რომელიც საცვლელი ღირებულებით გამოიხატება.

ვთქვათ, 1 უნცი ოქრო, 1 ტონა რკინა, 1 კვარტერი ხორბალი და 20 ადლი აბრეშუმი თანატოლ საცვლელ ღირებულებას წარმოადგენენ. როგორც ასეთი ეკვივალენტები, რომლებშიც მათი სახმარი ღირებულებების თვისებრივი განსხვავება გამქრალია, ისინი ერთი და იმავე შრომის თანატოლ ოდენობას გამოხატავენ. შრომა, რომელიც მათში თანაბრად საგნობრივდება, თვითონ უნდა იყოს ერთგვაროვანი, განსხვავებას მოკლებული, მარტივი შრომა, რომლისათვის ისევე სულ ერთია, ვლინდება იგი ოქროში, რკინაში, ხორბალში თუ აბრეშუმში, როგორც სულ ერთია ჟანგბადისთვის, იმყოფება იგი რკინის ჟანგში, ჰაერში, ყურძნის წვენში თუ ადამიანის სისხლში. მაგრამ ოქროს მოპოვება, მაღაროდან რკინის ამოღება, ხორბლის მოყვანა და აბრეშუმის ქსოვა — ეს არის თვისებრივად ერთმანეთისგან განსხვავებული შრომის სახეობანი. მართლაც, ის, რაც ნივთობრივად გვევლინება როგორც სახმარ ღირებულებათა სხვაობა, წარმოშობის პროცესში გვევლინება როგორც სხვა-

ობა იმ საქმიანობაში, რომელიც სახმარ ღირებულებებს ქმნის. ამიტომ საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომისთვის ისევე სულ ერთია სახმარ ღირებულებათა განსაკუთრებული ნივთიერება, როგორც სულ ერთია თვით შრომის განსაკუთრებული ფორმაც. შემდეგ, სხვადასხვა სახმარი ღირებულება სხვადასხვა ინდივიდის საქმიანობის პროდუქტია, მაშასადამე, ინდივიდუალურად სხვადასხვა შრომის შედეგია. მაგრამ როგორც საცვლელი ღირებულებანი, ისინი გამოხატავენ ერთნაირ, განსხვავებას მოკლებულ შრომას, ე. ი. შრომას, რომელშიც მათი ინდივიდუალობა, ვინც შრომობს, გამქრალია. ამიტომ შრომა, რომელიც საცვლელ ღირებულებას ქმნის, არის ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ა დ-ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო შ რ ო მ ა.

თუ 1 უნცი ოქრო, 1 ტონა რკინა, 1 კვარტერი ხორბალი და 20 ადლი აბრეშუმი თანატოლი საცვლელი ღირებულებანი, ანუ ეკვივალენტები არიან, მაშინ 1 უნცი ოქრო, $^1/_2$ ტონა რკინა, 3 ბუშელი ხორბალი და 5 ადლი აბრეშუმი სრულიად სხვადასხვა სიდიდის საცვლელი ღირებულებებია და ეს რაოდენობრივი განსხვავება ერთადერთი განსხვავებაა, რომელიც საერთოდ ახასიათებს მათ როგორც საცვლელ ღირებულებებს. როგორც სხვადასხვა სიდიდის საცვლელი ღირებულებანი, ისინი გამოხატავენ მეტ ან ნაკლებ, უფრო დიდ ან უფრო მცირე რაოდენობას იმ მარტივი, ერთგვაროვანი, აბსტრაქტულად-საყოველთაო შრომისას, რომელიც საცვლელი ღირებულების სუბსტანციას შეადგენს. საკითხავია, როგორ უნდა გაიზომოს ეს რაოდენობანი? ანდა, უფრო სწორად, საკითხავია, როგორია თვით იმ შრომის რაოდენობრივი მყოფობა, ვინაიდან საქონელთა, როგორც საცვლელ ღირებულებათა, რაოდენობრივი განსხვავება არის მათში გასაგნობრივებული შრომის რაოდენობრივი განსხვავება. როგორც მოძრაობის რაოდენობრივი მყოფობა დროა არის, ასევე შრომის რაოდენობრივი მყოფობა ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ა. თვით შრომის ხანგრძლიობის სხვაობა ის ერთადერთი განსხვავებაა, რომელიც შრომას შეიძლება ჰქონდეს,

თუ მის თვისებრიობას მოცემულად ვიგულისხმებთ. როგორც სამუშაო დრო, შრომა თავის მასშტაბს ღებულობს დროის ბუნებრივ საზომებში, საათებში, დღეებში, კვირეებში და სხვა. სამუშაო დრო შრომის ცოცხალი მყოფობაა, რომელიც განურჩეველია მისი ფორმის, მისი შინაარსის, მისი ინდივიდუალობის მიმართ; იგი არის შრომის ცოცხალი მყოფობა რაოდენობრივი მყოფობის სახით და იმავე დროს ამ მყოფობის იმანენტური საზომი. სამუშაო დრო, რომელიც გასაგნობრივებულია საქონელთა სახმარ ღირებულებებში, სუბსტანციაა, რომელიც სახმარ ღირებულებებს საცვლელ ღირებულებებად და, ამიტომ, საქონლებად აქცევს, სწორედ ისე, როგორც იგი მათი ღირებულების განსაზღვრულ სიდიდეს ზომავს. სხვადასხვა სახმარ ღირებულებათა თანაფარდობითი რაოდენობანი, რომლებშიაც გასაგნობრივებულია ერთნაირი სამუშაო დრო, ეკვივალენტები არიან, — ანუ სახმარი ღირებულებანი ყველანი ეკვივალენტებია იმ პროპორციით, რომლითაც ისინი დახარჯული, გასაგნობრივებული სამუშაო დროის ერთნაირ რაოდენობას შეიცავენ. როგორც საცვლელი ღირებულებანი, ყველა საქონელი შედედებული სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობაა.

სამუშაო დროით საცვლელი ღირებულების განსაზღვრის გასაგებად საჭიროა მტკიცედ დავიცვათ შემდეგი ძირითადი თვალსაზრისი: შრომის დაყვანა მარტივ, ასე ვთქვათ, თვისებრიობას მოკლებულ შრომაზე; სპეციფიკური წესი, რომლის მეოხებითაც საცვლელი ღირებულების შემქმნელი, მაშასადამე, საქონლის მწარმოებელი შრომა, საზოგადოებრივი შრომაა; დასასრულ, განსხვავება იმ შრომისა, რომლის შედეგიც სახმარი ღირებულებაა იმ შრომისაგან, რომლის შედეგიც საცვლელი ღირებულება არის.

იმისათვის, რომ საქონელთა საცვლელი ღირებულება მათში მოქცეული სამუშაო დროით გავზომოთ, საჭიროა თვით სხვადასხვა სახის შრომა დავიყვანოთ განსხვავებას მოკლებულ, ერთგვაროვან, მარტივ შრომაზე, მოკლედ, შრომაზე,

რომელიც თვისებრივად ერთნაირია და ამიტომ მხოლოდ რაოდენობრივად განსხვავდება.

ეს დაყვანა გვევლინება აბსტრაქციად, მაგრამ ესაა აბსტრაქცია, რომელიც წარმოების საზოგადოებრივ პროცესში ყოველდღიურად ხდება. ყველა საქონლის გადაქცევა (Auflösung) სამუშაო დროდ უფრო დიდი აბსტრაქცია არაა, მაგრამ ამასთან არანაკლებ რეალურია, ვიდრე ყველა ორგანული სხეულის გადაქცევა ჰაერად. შრომა, რომელიც ასე განიზომება სამუშაო დროით, გვევლინება სინამდვილეში არა როგორც სხვადასხვა სუბიექტის შრომა, არამედ, პირიქით, სხვადასხვა მშრომელი ინდივიდები გვევლინებიან როგორც უბრალო ორგანოები ამ შრომისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შრომა, როგორც იგი საცვლელ ღირებულებებში წარმოგვიდგება, შეიძლება გამოსახული ყოფილიყო როგორც ადამიანის საყოველთაო შრომა. ადამიანის საყოველთაო შრომის ეს აბსტრაქცია არსებობს საშუალო შრომაში, რომლის შესრულებაც მოცემული საზოგადოების ყოველ საშუალო ინდივიდს შეუძლია: ეს არის ადამიანის კუნთის, ნერვის, ტვინისა და სხვ. განსაზღვრული მწარმოებლური ხარჯვა. ეს არის მარტივი შრომა[1], რომელსაც ყველა საშუალო ინდივიდი შეიძლება შევაჩვიოთ და რომელსაც იგი, ამა თუ იმ ფორმით, უნდა ასრულებდეს. თვით ხასიათი ამ საშუალო შრომისა, სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურის სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაა, მაგრამ იგი მოცემულია ყოველ არსებულ საზოგადოებაში. მარტივი შრომა შეადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი შრომის გაცილებით უდიდეს მასას, როგორც ამაში ყოველ სტატისტიკას შეუძლია დაგვარწმუნოს. აწარმოებს A 6 საათის განმავლობაში რკინას და 6 საათის განმავლობაში ტილოს და B ასევე 6 საათის განმავლობაში რკინას და 6 საათის განმავლობაში ტილოს, თუ A 12 საათის განმავლობაში რკინას აწარმოებს და B 12 საათის განმავლობაში ტილოს,—

[1] ინგლისელი ეკონომისტები ამას უწოდებენ «არაკვალიფიციურ შრომას» («Unskilled labour»).

ცხადად ჩანს, რომ აქ ადგილი აქვს მხოლოდ ერთი და იმავე სამუშაო დროის სხვადასხვაგვარ გამოყენებას. მაგრამ როგორაა საქმე რთული შრომის დროს, რომელიც საშუალო დონეზე მაღლა დგას როგორც უფრო მაღალი დაძაბულობის, უფრო დიდი ხვედრითი წონის შრომა? ამგვარი შრომა დაიშლება შეერთებულ მარტივ შრომად, ხარისხში აყვანილ მარტივ შრომად, ასე რომ, მაგალითად, რთული შრომის ერთი დღე მარტივი შრომის სამ დღეს ეთანატოლება. ის კანონები, რომლებიც ამ დაყვანას აწესრიგებენ, აქ ჯერ კიდევ არ შეადგენენ ჩვენი განხილვის საგანს. მაგრამ ცხადია, რომ ამ დაყვანას ადგილი აქვს, რადგან საცვლელი ღირებულების სახით ურთულესი შრომის პროდუქტი განსაზღვრული პროპორციით მარტივი საშუალო შრომის პროდუქტის ეკვივალენტია, მაშასადამე, იგი ამ მარტივი შრომის განსაზღვრული რაოდენობის თანატოლია.

საცვლელი ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით გულისხმობს შემდეგ, რომ განსაზღვრულ საქონელში, მაგალითად, ერთ ტონა რკინაში, გასაგნობრივებულია შრომის თანაბარი რაოდენობა, განურჩევლად იმისა, არის იგი შრომა A-სი თუ B-სი, ანუ რომ სხვადასხვა ინდივიდი სამუშაო დროის თანაბარ რაოდენობას ანდომებს ერთი და იმავე, თვისებრივად და რაოდენობრივად განსაზღვრული სახმარი ღირებულების წარმოებას. სხვა სიტყვებით: იგულისხმება, რომ რომელიმე საქონელში მოქცეული სამუშაო დრო არის ამ საქონლის წარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო დრო, ე. ი. სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა იმავე საქონლის ახალი ეგზემპლარის საწარმოებლად წარმოების მოცემულ საყოველთაო პირობებში.

საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომის პირობები, როგორც ისინი საცვლელი ღირებულების ანალიზიდან გამომდინარეობენ, წარმოადგენენ შრომის საზოგადოებრივ განსაზღვრას ანუ საზოგადოებრივი შრომის განსაზღვრას, მაგრამ — არა უბრალოდ საზოგადოებრივის, არამედ განსაკუთრებული სახის საზოგადოებრივისა. ეს არის

სპეციფიკური სახე საზოგადოებრიობისა. შრომის განუსხვავებელი სიმარტივე უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა ინდივიდის შრომათა ტოლობაა, ურთიერთმიმართებაა მათი შრომისა ერთიმეორისადმი როგორც თანატოლისადმი, თანაც ამის განხორციელება ხდება ყველა შრომის ფაქტიური დაყვანით ერთგვაროვან შრომაზე. თვითეული ინდივიდის შრომას, რამდენადაც ეს შრომა საცვლელ ღირებულებებში წარმოგვიდგება, თანატოლობის ეს საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, და იგი საცვლელ ღირებულებაში წარმოგვიდგება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიმართებაშია ყველა სხვა ინდივიდის შრომისადმი როგორც თანატოლისადმი.

შემდეგ, საცვლელ ღირებულებაში ცალკეული ინდივიდის სამუშაო დრო გვევლინება უშუალოდ როგორც საყოველთაო სამუშაო დრო, და განცალკევებული შრომის ეს საყოველთაო ხასიათი — როგორც მისი საზოგადოებრივი ხასიათი. საცვლელ ღირებულებაში გამოსახული სამუშაო დრო არის სამუშაო დრო ცალკეული პიროვნებისა, მაგრამ ცალკეული პიროვნებისა განუსხვავებლად სხვა ცალკეული პიროვნებისაგან; ეს არის სამუშაო დრო ყველა ცალკეული პიროვნებისა, რამდენადაც ისინი თანაბარ შრომას ასრულებენ; ამიტომ სამუშაო დრო, რომელიც რომელიმე ერთ ადამიანს სჭირდება რაიმე საქონლის საწარმოებლად, ის აუცილებელი სამუშაო დროა, რომელსაც ყოველი სხვა პიროვნება მოიხმარდა` იმავე საქონლის საწარმოებლად. ეს არის ცალკეული პიროვნების სამუშაო დრო, მისი სამუშაო დრო, მაგრამ — მხოლოდ როგორც ყველასთვის საერთო სამუშაო დრო, რომლისთვისაც ამიტომ სულ ერთია, თუ რომელი ცალკე პიროვნების სამუშაო დროს წარმოადგენს იგი. როგორც საყოველთაო სამუშაო დრო, იგი გამოიხატება საყოველთაო პროდუქტით, საყოველთაო ეკვივალენტით, გასაგნობრივებული სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობით; ამ პროდუქტისათვის სავსებით სულ ერთია სახმარი ღირებულების ის განსაზღვრული ფორმა, რომლითაც იგი უშუალოდ გვევლინება

როგორც ცალკეული პიროვნების პროდუქტი, პროდუქტი, რომელიც ყოველთვის შეიძლება სურვილისამებრ გადატანილ იქნას სახმარი ღირებულების ყოველ სხვა ფორმაში, რომლითაც იგი გამოიხატება როგორც ყოველი სხვა პიროვნების პროდუქტი. საზოგადოებრივ სიდიდეს იგი წარმოადგენს მხოლოდ როგორც ასეთი საყოველთაო სიდიდე. ცალკეული პიროვნების შრომამ, რათა შედეგად საცვლელი ღირებულება მიიღოს, უნდა მიიღოს შედეგად საყოველთაო ეკვივალენტი, ე. ი. ცალკეული ინდივიდის სამუშაო დრო უნდა გამოიხატოს საყოველთაო სამუშაო დროის სახით ანუ საყოველთაო სამუშაო დრო უნდა გამოიხატოს ცალკეული ინდივიდის სამუშაო დროის სახით. ეს ისეა, თითქოს სხვადასხვა ინდივიდებს თავიანთი სამუშაო დრო შეეერთებინოთ და მათ საერთო განკარგულებაში არსებული სამუშაო დროის სხვადასხვა რაოდენობა სხვადასხვა სახმარი ღირებულებით გამოეხატოთ. ამრიგად, ცალკეული პიროვნების სამუშაო დრო არსებითად ის სამუშაო დროა, რომელსაც საზოგადოება საჭიროებს განსაზღვრული სახმარი ღირებულების საწარმოებლად, ე. ი. განსაზღვრული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ სპეციფიკურ ფორმაზე, რომელშიაც შრომა საზოგადოებრივ ხასიათს იღებს. მრთველის განსაზღვრული სამუშაო დრო საგნობრივდება, მაგალითად, 100 გირვანქა სელის ნართში. ვთქვათ, 100 ადლი ტილო, ფეიქრის პროდუქტი, სამუშაო დროის იმავე რაოდენობას წარმოადგენს. რამდენადაც ორივე ეს პროდუქტი საყოველთაო სამუშაო დროის თანაბარ რაოდენობას გამოხატავს და ამიტომ ეკვივალენტია ყოველი სახმარი ღირებულებისათვის, რომელიც იმდენსავე სამუშაო დროს შეიცავს, იმდენად ისინი ეკვივალენტებია ერთიმეორისთვის. მხოლოდ იმის გამო, რომ მრთველის სამუშაო დრო და ფეიქრის სამუშაო დრო წარმოგვიდგება როგორც საყოველთაო სამუშაო დრო, ხოლო მათი პროდუქტები ამიტომ — როგორც საყოველთაო ეკვივალენტები, ფეიქრის შრომა იქცევა აქ შრომად მრთვე-

ლისათვის, მრთველისა კი — შრომად ფეიქრისათვის, ერთის შრომა იქცევა შრომად მეორისათვის, ე. ი. მათი შრომის საზოგადოებრივი მყოფობა ხორციელდება ორივესთვის. პირიქით, სოფლურ-პატრიარქალურ მრეწველობაში, როდესაც მრთველი და ფეიქარი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, როდესაც ოჯახის მდედრობითი ნაწილი რთავდა, მამრობითი ნაწილი კი ქსოვდა, ვთქვათ, ოჯახის საკუთარი მოთხოვნილებისთვის, — ნართი და ტილო საზოგადოებრივი პროდუქტები იყო, რთვა და ქსოვა საზოგადოებრივ შრომას წარმოადგენდა ოჯახის ფარგლებს შიგნით. მაგრამ მათი საზოგადოებრივი ხასიათი იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ნართი როგორც საყოველთაო ეკვივალენტი იცვლებოდა ტილოზე როგორც საყოველთაო ეკვივალენტზე, ან რომ ორივე ერთიმეორეზე იცვლებოდა როგორც თანატოლ-მნიშვნელოვანი და ტოლფასოვანი გამოხატულებანი ერთი და იმავე საყოველთაო სამუშაო დროისა. პირიქით, ოჯახური კავშირი თავისი პირველყოფილი შრომის დანაწილებით თავისებურ საზოგადოებრივ ბეჭედს ასვამდა შრომის პროდუქტს. ან ავიღოთ შუა საუკუნეების საბატონო ბეგარა და ღალა. ცალკეულ პირთა სხვადასხვა განსაზღვრული შრომა თავისი ნატურალური ფორმით, შრომის განსაკუთრებულობა და არა მისი საყოველთაობა შეადგენს აქ საზოგადოებრივ კავშირს. ანდა ავიღოთ, დასასრულ, თემური შრომა მისი პირველყოფილი ფორმით, როგორც ჩვენ მას ყველა კულტურული ხალხის ისტორიის ბჭეზე ვპოულობთ [1]. აქ

---

[1] ამ ბოლო დროს გავრცელდა სასაცილო ცრუ შეხედულება, თითქოს პირველყოფილი თემური საკუთრების ფორმა სპეციფიკურად სლავური ან თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ რუსული ფორმა იყოს. იგი პირველყოფილი ფორმაა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ რომაელებსა, გერმანელებსა და კელტებს შორის; ინდოელებში კი დღესაც ვხვდებით ამის მრავალნაირ ნიმუშს, თუმცა ნაწილობრივ უკვე დაშლილი სახით. თემური საკუთრების აზიური, განსაკუთრებით ინდური, ფორმების უფრო გულდასმით შესწავლა დაგვიმტკიცებდა, თუ პირველყოფილი თემური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან როგორ წარმოდგება მისი დაშლის სხვადასხვა ფორმები. ასე, მაგალითად, რომაული და გერმანული კერძო

შრომის საზოგადოებრივი ხასიათი, ცხადია, გამოშვეებულია არა იმით, რომ ცალკეული პიროვნების შრომა საყოველთაობის აბსტრაქტულ ფორმას იღებს, და არც იმით, რომ მისი პროდუქტი საყოველთაო ეკვივალენტის ფორმას იღებს. აქ თემური წყობილება, რომელიც წარმოების წანამძღვარია, ხელს უშლის იმას, რომ ცალკეული პიროვნების შრომა კერძო შრომა იყოს, ხოლო მისი პროდუქტი — კერძო პროდუქტი; პირიქით, ეს წყობილება იწვევს იმას, რომ ცალკეული შრომა გვევლინება უშუალოდ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზმის წევრის ფუნქცია. შრომა, რომელიც საცვლელ ღირებულებაში წარმოგვიდგება, ნაგულისხმევია როგორც განკერძოებული ცალკეული პიროვნების შრომა. საზოგადოებრივი ხდება იგი იმით, რომ თავისი უშუალო დაპირისპირების ფორმას, აბსტრაქტული საყოველთაობის ფორმას იღებს.

დასასრულ, საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომის დამახასიათებელია ის, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა, ასე ვთქვათ, უკუღმა წარმოგვიდგება, სახელდობრ როგორც ნივთთა საზოგადოებრივი ურთიერთობა. მხოლოდ რამდენადაც ერთი სახმარი ღირებულება მიმართებაშია მეორე სახმარ ღირებულებასთან როგორც საცვლელი ღირებულება, იმდენად სხვადასხვა პირთა შრომა მიმართებაშია ერთიმეორისადმი როგორც თანაბარი და საყოველთაო შრომა. ამიტომ, თუ მართებულია დებულება, რომ საცვლელი ღირებულება ურთიერთობაა პიროვნებათა შორის [1], ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ეს არის ნივთობრივ გარსში დაფარული ურთიერთობა. როგორც ერთი გირვანქა რკინა და ერთი გირვანქა ოქრო, მიუხედავად მათი სხვადა-

---

საკუთრების სხვადასხვა ორიგინალური ტიპები შეიძლება გამოყვანილ იქნან ინდური თემური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან.

[1] «სიმდიდრე არის ურთიერთობა ორ პიროვნებას შორის» («La Ricchezza e una ragione tra due persone»). G a l i a n i, Della Moneta, გვ. 220, III ტომში Custodi-ს კრებულისა: «Scrittori classici Italiani di Economia Politica. Parte Moderna», Milano 1803..

სხვა ფიზიკური და ქიმიური თვისებებისა, სიმძიმის ერთსა და იმავე რაოდენობას გამოხატავს, ასევე საქონლის ორი სახმარი ღირებულება, რომელიც ერთნაირ სამუშაო დროს შეიცავს, ერთსა და იმავე საცვლელ ღირებულებას გამოხატავს. ამრიგად, საცვლელი ღირებულება გვევლინება როგორც საზოგადოებრივი ბუნებრივი განსაზღვრულობა სახმარი ღირებულებებისა, როგორც განსაზღვრულობა, რომელიც ახასიათებს მათ როგორც ნივთებს, და რომლის გამოც ისინი გაცვლის პროცესში განსაზღვრული რაოდენობრივი პროპორციით ისევე შეენაცვლებიან ერთმანეთს და შეადგენენ ეკვივალენტებს, როგორც მარტივი ქიმიური ნივთიერებანი განსაზღვრული რაოდენობრივი პროპორციით ერთმანეთს შეუერთდებიან, ქიმიურ ეკვივალენტებს შეადგენენ. მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრებული ჩვეულების მეოხებით გვევლინება ტრივიალობად, თავისთავად გასაგებად ის, რომ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობა საგნის ფორმას ღებულობს, ასე რომ პიროვნებათა ურთიერთობა მათს შრომაში წარმოგვიდგება, პირიქით, ისეთ ურთიერთობად, რომელშიც ნივთები იმყოფებიან ერთმანეთისა და პიროვნებათა მიმართ. საქონელში ეს მისტიფიკაცია ჯერ კიდევ ძალიან მარტივია. ყველა ამჩნევს ცოტად თუ ბევრად, რომ საქონელთა ურთიერთობა საცვლელ ღირებულებათა სახით, პირიქით, პიროვნებათა ურთიერთობაა მათს ურთიერთ მწარმოებლურ საქმიანობაში. უმაღლეს წარმოებითს ურთიერთობაში სიმარტივის ეს მოჩვენებითობა ქრება. მონეტარული სისტემის ყველა ილუზია იქიდან მომდინარეობს, რომ ფულში ვერ ხედავდნენ იმას, რომ იგი გამოხატავს საზოგადოებრივ წარმოებითს ურთიერთობას, მაგრამ — გარკვეული თვისებების მქონე ბუნებრივი ნივთის ფორმით. თანამედროვე ეკონომისტები, რომელნიც ქედმაღლურად დასცინიან მონეტარული სისტემის ილუზიებს, იმავე ილუზიას ამჟღავნებენ, როგორც კი მსჯელობას იწყებენ უფრო მაღალ ეკონომიურ კატეგორიებზე, მაგალითად, კაპიტალზე. ეს ილუზია თავს იჩენს მათს გულუბრყვილო

გაკვირვებაში, როდესაც აღმოჩნდება, რომ ის, რაც მათ ეს-ეს არის უშნოდ განსაზღვრეს როგორც ნივთი, ერთბაშად საზოგადოებრივი ურთიერთობის სახით წარმოუდგებათ, ხოლო შემდეგ ის, რისი ფიქსირებაც ძლივს მოასწრეს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობისა, კვლავ აღიზიანებს მათ როგორც ნივთი.

რადგან საქონელთა საცვლელი ღირებულება სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ცალკეული პირების შრომათა ურთიერთობა თანატოლი და საყოველთაო შრომის სახით, სხვა არაფერია, თუ არა საგნობრივი გამოსახულება შრომის სპეციფიკურად საზოგადოებრივი ფორმისა, ამიტომ ტავტოლოგიაა იმის თქმა, რომ შრომა ე რ თ ა დ ე რ თ ი წყაროა საცვლელი ღირებულებისა და, მაშასადამე, სიმდიდრისა, რამდენადაც ეს უკანასკნელი საცვლელ ღირებულებათაგან შედგება. ასეთივე ტავტოლოგიაა იმის მტკიცება, რომ ბუნების ნივთიერება, როგორც ასეთი, არ შეიცავს საცვლელ ღირებულებას [1], რადგან არ შეიცავს შრომას, და რომ საცვლელი ღირებულება, როგორც ასეთი, არ შეიცავს ბუნების ნივთიერებას. მაგრამ როდესაც უილიამ პეტი «შრომას სიმდიდრის მამას, ხოლო მიწას სიმდიდრის დედას» უწოდებს, ან როდესაც ეპისკოპოსი ბერკლი კითხულობს: «განა ოთხი ელემენტი, და მათში ადამიანის შრომა, არ შეადგენს სიმდიდრის ჭეშმარიტ წყაროს?» [2] ანდა როდესაც ამერიკელი თ. კუპერი პოპულარულად განმარტავს: «მოაცალეთ პურის კვერს მასზე დახარჯული შრომა, შრომა მცხობელის, მე-

---

[1] «თავის ბუნებრივ მდგომარეობაში ნივთიერება ყოველთვის მოკლებულია ღირებულებას». Mac Culloch, Discours sur l'origine de l'économie politique etc., traduit par Prévost, Genéve 1825, გვ. 57. აქედან ჩანს, თუ რამდენად მაღლა დგას ვინმე მაკ კულოხიც კი გერმანელ «მოაზროვნეთა» ფეტიშიზმზე, რომელნიც «ნივთიერებას» და ნახევარ დუჟინ კიდევ სხვა სუბსტანციას ღირებულების ელემენტებად სახავენ. შეად., მაგ., ლ. შტაინი, l. c., ტ. I, გვ. 110.

[2] Berkeley, The Ouerist, London 1750: «Whether the four elements and man's labour therein be not the true source of wealth?».

წისქვილის, ფერმერისა და ა. შ., და რაღა დარჩება? ბალახის რამდენიმე თავთავი, რომელიც ველურად იზრდება და გამოუსადეგარია ადამიანის რაიმე მოხმარებისთვის»[1], — ყველა ამ მსჯელობაში ლაპარაკია არა აბსტრაქტულ შრომაზე როგორც საცვლელი ღირებულების წყაროზე, არამედ კონკრეტულ შრომაზე როგორც მატერიალური სიმდიდრის წყაროზე, მოკლედ, — შრომაზე, რამდენადაც იგი სახმარ ღირებულებას აწარმოებს. რამდენადაც ნაგულისხმევია საქონლის სახმარი ღირებულება, ამდენად ნაგულისხმევია საქონელზე დახარჯული შრომის განსაკუთრებული სარგებლიანობა, განსაზღვრული მიზანშეწონილობა, ამით კი, საქონლის თვალსაზრისით, ამოწურულია ყოველგვარი ყურადღება შრომისადმი როგორც სასარგებლო შრომისადმი. პურში როგორც სახმარ ღირებულებაში ჩვენ გვაინტერესებს მისი როგორც კვების საშუალების თვისებები, და სრულიადაც არა შრომა მიწათმოქმედისა, მეწისქვილისა, მეპურისა და ა. შ. თუ რაიმე გამოგონების საშუალებით ეს შრომა $^{19}/_{20}$-ით შემცირდებოდა, პურის კვერი კვლავ იმავე სამსახურს გაგვიწევდა, როგორც უწინ. იგი რომ ზეციდან ცვივოდეს მზამზარეულად, მაშინაც თავისი სახმარი ღირებულების ერთ ატომსაც კი არ დაკარგავდა. მაშინ როდესაც საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომა ხორციელდება საქონელთა, როგორც საყოველთაო ეკვივალენტების, თანატოლობაში, — შრომა როგორც მიზანშეწონილი მწარმოებლური საქმიანობა ხორციელდება მათს სახმარ ღირებულებათა უსასრულო მრავალფეროვნებაში. მაშინ როდესაც საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომა აბსტრაქტულად-საყოველთაო და თანატოლი შრომა არის, სახმარი ღირებულების შემქმნელი შრომა კონკრეტული და განსაკუთრებული შრომაა, რომელიც, ფორმისა და მასალის შესაბამისად შრომის უსასრულოდ სხვადასხვა სახეობად იშლება.

---

[1] Th. Cooper, Lectures on the elements of Political Economy, London 1831 (Columbia 1820), გვ. 99.

შრომის შესახებ, რამდენადაც იგი სახმარ ღირებულებას აწარმოებს, შეცდომაა იმის თქმა, რომ იგი მის მიერ წარმოშობილი, სახელდობრ მატერიალური სიმდიდრის ერთადერთი წყაროა. რადგან შრომა ისეთი საქმიანობაა, რომელმაც ნივთიერება ამა თუ იმ მიზანს უნდა შეუგუოს, — იგი საჭიროებს ნივთიერებას როგორც წანამძღვარს. სხვადასხვა სახმარ ღირებულებაში პროპორცია შრომასა და ბუნების ნივთიერებას შორის მეტად სხვადასხვაა, მაგრამ სახმარი ღირებულება მაინც ყოველთვის შეიცავს ბუნებრივ სუბსტრატს. როგორც მიზანშეწონილი საქმიანობა, რომელიც მიმართულია ბუნების ელემენტთა ამა თუ იმ ფორმით ათვისებისაკენ, შრომა არის ადამიანის არსებობის ბუნებრივი პირობა; იგი არის ადამიანსა და ბუნებას შორის ნივთიერებათა ცვლის პირობა, რომელიც დამოუკიდებელია ყველა სოციალური ფორმისაგან. საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომა კი პირიქით, შრომის სპეციფიკურად საზოგადოებრივი ფორმაა. მაგალითად, თერძის შრომა თავის ნივთიერ განსაზღვრულობაში, როგორც განსაკუთრებული მწარმოებლური საქმიანობა, აწარმოებს სერთუკს, მაგრამ არა სერთუკის საცვლელ ღირებულებას. უკანასკნელს იგი აწარმოებს არა როგორც თერძის შრომა, არამედ როგორც აბსტრაქტულად-საყოველთაო შრომა, და ეს შრომა იმ საზოგადოებრივ კავშირს ეკუთვნის, რომელიც თერძს არ უწარმოებია. ასე, მაგალითად, ანტიკურ შინამრეწველობაში ქალები ტანსაცმელს აწარმოებდნენ ტანსაცმლის საცვლელი ღირებულების უწარმოებლად. შრომა, როგორც წყარო მატერიალური სიმდიდრისა, ისევე კარგად ცნობილი იყო კანონმდებელ მოსესთვის, როგორც საბაჟოს მოხელე ადამ სმიტისთვის [1].

---

1 ფ. ლისტმა, რომელსაც არასოდეს არ შეეძლო გაეგო — რადგან გაგება საერთოდ უცხო რამ იყო მისი ცალმხრივი-პრაქტიკული გონებისათვის — განსხვავება შრომასა, რამდენადაც იგი სასარგებლო ნივთის, სახმარი ღირებულების შექმნას ხელს უწყობს, და შრომას შორის, რამდენადაც იგი სიმდიდრის განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმას, საცვლელ ღირებულებას ქმნის, — თანამედროვე ინგლისელ ეკონომისტებში ეგვიპტელი მოსეს უბრალო პლაგიატორები დაინახა.

განვიხილოთ ახლა უფრო ახლოს ზოგიერთი განსაზღვრა, რომელიც საცვლელი ღირებულების სამუშაო დროზე დაყვანიდან გამომდინარეობს.

სახმარი ღირებულების სახით საქონელი მოქმედებს მიზეზობრივად (ursachlich). ხორბალი, მაგალითად, მოქმედებს როგორც კვების საშუალება. მანქანა შეენაცვლება შრომას გარკვეული პროპორციით. საქონლის ამ მოქმედებას, რომლის მეოხებითაც იგი მარტოოდენ სახმარი ღირებულება, მოხმარების საგანია, შეიძლება მისი სამსახური ვუწოდოთ, სამსახური, რომელსაც იგი გვიწევს როგორც სახმარი ღირებულება. მაგრამ როგორც საცვლელი ღირებულება საქონელი ყოველთვის განიხილება მხოლოდ შედეგის თვალსაზრისით. აქ ლაპარაკია არა იმ სამსახურზე, რომელსაც იგი გვიწევს, არამედ იმ სამსახურზე [1], რომელიც თვით მას გაუწიეს მისი წარმოების დროს. ასე, მაგალითად, მანქანის საცვლელი ღირებულება განისაზღვრება სამუშაო დროის არა იმ რაოდენობით, რომელსაც იგი შეენაცვლება, არამედ სამუშაო დროის იმ რაოდენობით, რომელიც თვით მასზეა დახარჯული და რომელიც, მაშასადამე, საჭიროა იმავე სახის ახალი მანქანის საწარმოებლად.

ამიტომ, საქონლის საწარმოებლად საჭირო შრომის რაოდენობა რომ მუდმივი რჩებოდეს, მათი საცვლელი ღირებულება უცვლელი იქნებოდა. მაგრამ წარმოების სიადვილე და სიძნელე მუდამ იცვლება. თუ შრომის მწარმოებლური ძალა იზრდება, იგი იმავე სახმარ ღირებულებას უფრო მოკლე დროში აწარმოებს. თუ შრომის მწარმოებლური ძალა კლებულობს, იმავე სახმარი ღირებულების წარმოებას მეტი დრო სჭირდება. ამიტომ რომელიმე საქონელში მოქცეული სამუშაო დროის სიდიდე, მაშასადამე, მისი საცვლელი ღირებულება,

---

[1] გასაგებია, თუ რა «სამსახურს» უნდა უწევდეს «სამსახურის» («service») კატეგორია ისეთი ჯურის ეკონომისტებს, როგორიც ჟ. ბ. სეი და ბასტია არიან, რომელთა რეზონიორული სიბრძნე, როგორც ეს უკვე მალთუსმა მართებულად შენიშნა, ყველგან ეკონომიურ ურთიერთობათა სპეციფიკური ფორმის განსაზღვრულობისაგან აბსტრაჰირებას ახდენს.

ცვალებადია: იგი იზრდება ან კლებულობს შებრუნებული შეფარდებით შრომის მწარმოებლური ძალის ზრდასთან ან დაკლებასთან. შრომის მწარმოებლური ძალა, რომელიც დამმუშავებელ მრეწველობაში წინასწარ განსაზღვრული ოდენობით გამოიყენება, მიწათმოქმედებასა და მომპოვებელ მრეწველობაში გაპირობებულია აგრეთვე იმ ბუნებრივი პირობებითაც, რომელნიც ადამიანის კონტროლს არ ექვემდებარებიან. ერთი და იმავე შრომით შეიძლება სხვადასხვა ლითონის მეტი ან ნაკლები რაოდენობის მოპოვება იმისდა მიხედვით, თუ შედარებით რამდენად უფრო ხშირი ან უფრო იშვიათია ამ ლითონების ბუდობები დედამიწის ქერქში. ერთი და იგივე შრომა შეიძლება მოსავლიან წელიწადში ორ ბუშელ ხორბალში გასაგნობრივდეს, მოუსავლიან წელიწადში კი, შესაძლოა, მხოლოდ ერთ ბუშელში. ა ისე გვეჩვენება, თითქოს იშვიათობა ან სიუხვე, როგორც ბუნებრივი პირობები, საქონელთა საცვლელ ღირებულებას განსაზღვრავენ, რადგან ისინი განსაზღვრავენ განსაკუთრებული რეალური შრომის მწარმოებლურ ძალას, რომელიც ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული.

სხვადასხვა სახმარი ღირებულება არათანაბარი ოდენობით შეიცავს ერთნაირ სამუშაო დროს ანუ ერთნაირ საცვლელ ღირებულებას. თავისი სახმარი ღირებულების რაც უფრო ნაკლები ოდენობით, სხვა სახმარ ღირებულებებთან შედარებით, შეიცავს ესა თუ ის საქონელი სამუშაო დროის განსაზღვრულ რაოდენობას, მით უფრო დიდია მისი სპეციფიკური საცვლელი ღირებულება. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ კულტურის სხვადასხვა, ერთმანეთისგან ფრიად დაშორებულ, ეპოქებში გარკვეული სახმარი ღირებულებანი თავიანთ შორის მთელ რიგ სპეციფიკურ საცვლელ ღირებულებებს შეადგენენ, რომელნიც, თუ ზედმიწევნით ერთსა და იმავე რიცხობრივ თანაფარდობას არა, აღმავალი ან დაღმავალი ხასიათის საყოველთაო თანაფარდობას მაინც ინარჩუნებენ ერთმანეთის მიმართ, როგორც, მაგალითად, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ან ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, — აქედან მხოლოდ

ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივ მწარმოებელ ძალთა პროგრესიული განვითარება თანაბრად ან თითქმის თანაბრად მოქმედებს იმ სამუშაო დროზე, რომელიც საჭიროა ამ სხვადასხვა საქონლის საწარმოებლად.

რომელიმე საქონლის საცვლელი ღირებულება არ ვლინდება მის საკუთარ სახმარ ღირებულებაში. მაგრამ როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი სამუშაო დროის გასაგნობრივება, ერთი საქონლის სახმარი ღირებულება გარკვეულ შეფარდებაშია სხვა საქონელთა სახმარ ღირებულებასთან. ამრიგად, ერთი საქონლის საცვლელი ღირებულება სხვა საქონელთა სახმარ ღირებულებაში ვლინდება. ეკვივალენტი სინამდვილეში არის ერთი საქონლის საცვლელი ღირებულება, გამოხატული მეორე საქონლის სახმარი ღირებულებით. როდესაც ვამბობ, მაგალითად, 1 ადლი ტილო 2 გირვანქა ყავის ღირებულებისაა-თქო, მე ტილოს საცვლელ ღირებულებას გამოვხატავ ყავის სახმარი ღირებულებით, თანაც ამ სახმარი ღირებულების გარკვეული რაოდენობით. თუ ეს პროპორცია მოცემულია, მე შემიძლია ტილოს ყოველი რაოდენობა ყავით გამოვხატო. ცხადია, ამა თუ იმ საქონლის, მაგალითად, ტილოს საცვლელი ღირებულება არ ამოიწურება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც სხვა განსაკუთრებული საქონელი, მაგალითად, ყავა, მის ეკვივალენტს შეადგენს. საყოველთაო სამუშაო დროის ის რაოდენობა, რომლის გამოხატულებას 1 ადლი ტილო წარმოადგენს, იმავე დროს რეალიზებულია ყველა სხვა საქონლის სახმარ ღირებულებათა უსასრულოდ სხვადასხვა რაოდენობაში. რა პროპორციითაც თვითეული სხვა საქონლის სახმარი ღირებულება 1 ადლი ტილოს თანატოლ სამუშაო დროს გამოხატავს, იმ პროპორციით შეადგენს იგი 1 ადლი ტილოს ეკვივალენტს. ამიტომ ამ ცალკეული საქონლის საცვლელი ღირებულება ამომწურავად გამოისახება მხოლოდ უსასრულოდ მრავალ განტოლებაში, რომლებშიც ყველა სხვა საქონლის სახმარი ღირებულებანი მის ეკვივალენტს შეადგენენ. მხოლოდ ამ განტოლებათა ჯამში ანუ სხვადასხვა პროპორციის ერთობლიობაში, რომლებშიც

რომელიმე საქონელი შეიძლება ყველა სხვა საქონელზე გაიცვალოს, პოულობს ეს საქონელი ამომწურავ გამოხატულებას როგორც საყოველთაო ეკვივალენტი. მაგალითად, განტოლებათა მწკრივი:

1 ადლი ტილო = $^1/_2$ გირვანქა ჩაის,
1 ადლი ტილო = 2 გირვანქა ყავას,
1 ადლი ტილო = 8 გირვანქა პურს,
1 ადლი ტილო = 6 ადლ ჩითს,

შეიძლება კიდევ ამგვარად გამოიხატოს:

1 ადლი ტილო = $^1/_8$ გირვანქა ჩაის + $^1/_2$ გირვანქა ყავა + 2 გირვანქა პური + $1^1/_2$ ადლი ჩითი.

ამიტომ, ჩვენ რომ იმ განტოლებათა მთელი ჯამი გვქონდეს, რომლებითაც ერთი ადლი ტილოს ღირებულება ამომწურავად გამოიხატება, შევძლებდით მისი საცვლელი ღირებულების გამოხატვას მწკრივის ფორმით. სინამდვილეში კი ეს მწკრივი უსასრულოა, რადგან საქონელთა წრე არასოდეს არაა საბოლოოდ დახურული, არამედ ყოველთვის ფართოვდება. მაგრამ როდესაც, ამგვარად, ერთი საქონელი თავის საცვლელ ღირებულებას ყველა სხვა საქონლის სახმარი ღირებულებით ზომავს, ყველა სხვა საქონლის საცვლელი ღირებულებანი თავიანთ თავს, პირიქით, ზომავენ ამ ერთი, მათი საშუალებით თავის თავის გამზომელი, საქონლის სახმარი ღირებულებით [1]. თუ 1 ადლი ტილოს საცვლელი ღირებულება გამოიხატება $^1/_2$ გირვანქა ჩაით, ან 2 გირვანქა ყავით, ან 6 ადლი ჩითით, ან 8 გირვანქა პურით და სხვ., აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ყავა, ჩაი, ჩითი, პური და სხვ. რა პროპორციითაც მესამის, ტილოს, თანატოლნი არიან, იმ პროპორციითვე თანატოლნი არიან ერთმანეთისაც, მაშასადამე, ტილო მათი საცვლელი ღირებულების საერთო საზომს წარმოადგენს. თვითეული საქონელი, რო-

---

1 «საზომის თვისება კიდევ ესაა: გასაზომ საგნებთან იგი ისეთ ურთიერთობაშია, რომ გასაზომი საგანი ერთგვარად საზომი ხდება გამზომელი საგნისა». **Montanari, Della Moneta, გვ. 48, Custodi-ს კრებულში ტ. III, Parte antica.**

გორც გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დრო, ე. ი. როგორც საყოველთაო სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობა, თავის საცვლელ ღირებულებას ყველა სხვა საქონლის სახმარი ღირებულების განსაზღვრული რაოდენობით გამოხატავს რიგრიგობით და, პირიქით, ყველა სხვა საქონლის საცვლელი ღირებულებანი თავიანთ თავს ამ ერთი განსაკუთრებულად გამოყოფილი საქონლის სახმარი ღირებულებით ზომავენ. მაგრამ საცვლელი ღირებულების სახით თვითეული საქონელი წარმოადგენს როგორც განსაკუთრებულ საქონელს, რომელიც ყველა სხვა საქონლის საცვლელი ღირებულების საერთო საზომია, ისევე, მეორე მხრივ, იგი ერთი საქონელია იმ მრავალთაგან, რომელთა საერთო წრეში ყოველი სხვა საქონელი თავის საცვლელ ღირებულებას უშუალოდ გამოხატავს.

რომელიმე საქონლის ღირებულების სიდიდე არაა იმაზე დამოკიდებული, არსებობს თუ არა, გარდა ამ საქონლისა, მცირე ან დიდი რაოდენობით სხვა სახის საქონელი. მაგრამ სხვა საქონელთა უფრო მეტ თუ ნაკლებ მრავალსახეობაზეა დამოკიდებული უფრო დიდი თუ უფრო პატარა მწკრივი იმ განტოლებათა, რომლებშიაც მისი საცვლელი ღირებულება პოულობს რეალიზაციას. იმ განტოლებათა მწკრივი, რომლებითაც, მაგალითად, ყავის ღირებულება გამოიხატება, გამოსახავს მისი გაცვლადობის სფეროს, საზღვრებს, რომლებშიაც მოქმედებს იგი როგორც საცვლელი ღირებულება. საქონლის საცვლელ ღირებულებას, როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი სამუშაო დროის გასაგნობრივებას, შეესაბამება მისი ეკვივალენტობის გამოსახვა უსასრულოდ მრავალ სხვადასხვა სახმარ ღირებულებაში.

ჩვენ ვნახეთ, რომ საქონლის საცვლელი ღირებულება იცვლება თვით მასში უშუალოდ მოქცეული სამუშაო დროის რაოდენობასთან ერთად. მისი რეალიზებული, ე. ი. სხვა საქონელთა სახმარ ღირებულებებში გამოსახული საცვლელი ღირებულება ასევე დამოკიდებული უნდა იყოს იმ შეფარდებაზე, რომლის მიხედვითაც იცვლება ყველა სხვა საქონლის

წარმოებაზე მოხმარებული სამუშაო დრო. თუ, მაგალითად, ერთი შეფელი ხორბლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო უცვლელი დარჩებოდა, ხოლო ყველა სხვა საქონლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო გაორკეცდებოდა, მაშინ ერთი შეფელი ხორბლის საცვლელი ღირებულება, გამოხატული მისი ეკვივალენტით, ნახევრად შემცირდებოდა. შედეგი პრაქტიკულად იგივე იქნებოდა, ერთი შეფელი ხორბლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო რომ ნახევრად შემცირებულიყო და ყველა სხვა საქონლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო რომ უცვლელი დარჩენილიყო. საქონელთა ღირებულება განისაზღვრება იმ პროპორციით, რომლის მიხედვით ისინი ერთსა და იმავე სამუშაო დროში შეიძლება წარმოებულ იქნან. იმის დასანახავად, თუ რა ცვლილებები შეიძლება განიცადოს ამ პროპორციამ, წარმოვიდგინოთ ორი საქონელი A და B. პირველი შემთხვევა: B-ს საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო უცვლელი რჩება. ამ შემთხვევაში A-ს საცვლელი ღირებულება, B-ში გამოსახული, კლებულობს ან მატულობს პირდაპირი შეფარდებით იმ სამუშაო დროის დაკლებასთან ან მატებასთან, რომელიც საჭიროა A-ს საწარმოებლად. მეორე შემთხვევა: A-ს საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო უცვლელი რჩება. ამ შემთხვევაში A-ს საცვლელი ღირებულება, B-ში გამოსახული, კლებულობს ან მატულობს შებრუნებული შეფარდებით B-ს საწარმოებლად საჭირო სამუშაო დროის დაკლებასა ან მატებასთან. მესამე შემთხვევა: A-ს და B-ს საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო კლებულობს ან მატულობს ერთნაირი პროპორციით. ამ შემთხვევაში A საქონლის ეკვივალენტობის გამოსახულება B საქონელში უცვლელი რჩება. თუ რაიმე გარემოების გამო ყველა შრომის მწარმოებლური ძალა თანაბარი ოდენობით დაიკლებდა, ასე რომ ყველა საქონლის საწარმოებლად თანაბარი პროპორციით მეტი სამუშაო დრო იქნებოდა საჭირო, მაშინ ყველა საქონლის ღირებულება მოიმატებდა, მათი საცვლელი ღირებულების რეალური გამოხატულება უცვლე-

ლი დარჩებოდა, ხოლო საზოგადოების ნამდვილი სიმდიდრე დაიკლებდა, რადგან მას სახმარ ღირებულებათა იმავე მასის შესაქმნელად მეტი სამუშაო დრო დასჭირდებოდა. მ ე ო თ ხ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა: A-სა და B-ს საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო ორივესთვის მატულობს ან კლებულობს, მაგრამ არა თანაბარი ოდენობით, ანდა A-ს საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო მატულობს, ხოლო B-ს საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო კლებულობს, ან პირიქით. ყველა ეს შემთხვევა შეიძლება უბრალოდ დავიყვანოთ იმ შემთხვევაზე, როდესაც ერთი საქონლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო უცვლელი რჩება, ხოლო სხვა საქონელთა საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო მატულობს ან კლებულობს.

თვითეული საქონლის საცვლელი ღირებულება გამოისახება ყოველი სხვა საქონლის სახმარ ღირებულებაში, სულ ერთია იქნება ეს ამ სახმარი ღირებულების მთელ ერთეულებში თუ წილადებში. როგორც საცვლელი ღირებულება თვითეული საქონელი ისევე გაყოფადია, როგორც თვით სამუშაო დრო, რომელიც გასაგნობრივებულია მასში. საქონელთა ეკვივალენტობა ისევე დამოუკიდებელია მათი, როგორც სახმარ ღირებულებათა, ფიზიკური გაყოფადობისაგან, როგორც საქონელთა საცვლელი ღირებულების შეჯამებისთვის სულ ერთია, თუ რა რეალურ ფორმაცვლას განიცდიან ამ საქონელთა სახმარი ღირებულებანი მათი ე რ თ ახალ საქონლად გადაქცევის დროს.

აქამდე საქონელი განიხილებოდა ორნაირი თვალსაზრისით — როგორც სახმარი ღირებულება და როგორც საცვლელი ღირებულება, ყოველთვის ცალმხრივად. მაგრამ როგორც საქონელი იგი უშუალოდ ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ა სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულებისა; ამასთანავე იგი საქონელია მხოლოდ სხვა საქონლისადმი მიმართებაში. საქონელთა ნ ა მ დ ვ ი ლ ი მიმართება ერთმანეთისადმი არის მათი გ ა ც ვ ლ ი ს პ რ ო ც ე ს ი. ეს არის საზოგადოებრივი პროცესი, რომელშიც შედიან ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ინდივიდები, მაგრამ ისინი შედიან ამ

პროცესში მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი; მათი ურთიერთმყოფობა ერთიმეორისათვის არის მყოფობა მათი საქონლისა, და, ამრიგად, ისინი გვევლინებიან სინამდვილეში მხოლოდ როგორც გაცვლის პროცესის ცნობიერი მატარებელნი.

საქონელი არის სახმარი ღირებულება: ხორბალი, ტილო, ალმასი, მანქანა და ა. შ.; მაგრამ როგორც საქონელი ამასთან ერთად იგი არის არა სახმარი ღირებულება. იგი რომ მისი მფლობელისთვის სახმარი ღირებულება იყოს, ე. ი. უშუალო საშუალება მის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაშინ ის საქონელი არ იქნებოდა. პირიქით, მფლობელისთვის იგი არა სახმარი ღირებულებაა, სახელდობრ იგი არის მხოლოდ ნივთიერი მატარებელი საცვლელი ღირებულებისა, ანდა უბრალო საშუალება გაცვლისა; როგორც საცვლელი ღირებულების აქტიური მატარებელი — სახმარი ღირებულება გაცვლის საშუალებად იქცევა. მისი მფლობელისთვის საქონელი სახმარი ღირებულებაა მხოლოდ საცვლელი ღირებულების[1] სახით. მაშასადამე, საქონელი ჯერ კიდევ უნდა გახდეს სახმარი ღირებულება, უწინარეს ყოვლისა სხვებისთვის. რადგან საქონელი მისი საკუთარი მფლობელისთვის სახმარი ღირებულება არაა, ამიტომ იგი სხვა საქონლის მფლობელისთვის სახმარი ღირებულებაა. თუ ეს არაა, მაშინ მისი მფლობელის შრომა უსარგებლო შრომა ყოფილა, მაშასადამე, ამ შრომის შედეგი არაა საქონელი. მეორე მხრივ, საქონელი უნდა გახდეს სახმარი ღირებულება თვით მისი მფლობელისთვის, რადგან ამ მფლობელის საარსებო საშუალებანი ამ საქონლის გარეშე, უცხო საქონელთა სახმარ ღირებულებებში მოიპოვება. რათა სახმარი ღირებულება გახდეს, საქონელი უნდა დაუპირისპირდეს განსაკუთრებულ მოთხოვნილებას, რომლისათვისაც იგი დაკმაყოფილების საგანს

---

[1] სწორედ ამ განსაზღვრით ესმის არისტოტელეს საცვლელი ღირებულება (იხ. ამ თავის დასაწყისში ციტირებული ადგილი).

წარმოადგენს. მაშასადამე, საქონელთა სახმარი ღირებულებანი სახმარ ღირებულებებად იქცევიან მაშინ, როცა ისინი ყოველმხრივ ადგილს იცვლიან, იმ ხელიდან, სადაც გაცვლის საშუალებებს წარმოადგენენ, გადადიან იმ ხელში, სადაც მოხმარების საგნებს შეადგენენ. საქონელთა მხოლოდ ამ ყოველმხრივი გასხვისების გზით იქცევა მათში მოქცეული შრომა სასარგებლო შრომად. საქონელთა, როგორც სახმარ ღირებულებათა, ურთიერთმიმართების ამ პროცესში ისინი არ ღებულობენ ფორმის არავითარ ახალ ეკონომიურ განსაზღვრულობას. პირიქით, ქრება ფორმის ის განსაზღვრულობაც, რომელიც ახასიათებდა მათ როგორც საქონელს. პური, მაგალითად, მეპურის ხელიდან მომხმარებლის ხელში გადასვლისას არ იცვლის თავის მყოფობას პურის სახით. პირიქით, მხოლოდ მომხმარებელი ეპყრობა მას როგორც სახმარ ღირებულებას, როგორც კვების განსაზღვრულ საშუალებას, მაშინ როდესაც იგი მეპურის ხელში განსაზღვრული ეკონომიური ურთიერთობის მატარებელი, გრძნობადად-ზეგრძნობადი ნივთი იყო. მაშასადამე, ერთადერთი ფორმაცვალება, რომელსაც საქონელი განიცდის სახმარ ღირებულებად გახდომის პროცესში, არის მოსპობა მისი ფორმალური მყოფობისა, სადაც იგი არასახმარი ღირებულება იყო მისი მფლობელისათვის და სახმარი ღირებულება — მისი არამფლობელისათვის. სახმარ ღირებულებად საქონლის გახდომა გულისხმობს მის ყოველმხრივ გასხვისებას, მის შესვლას გაცვლის პროცესში, მაგრამ მისი მყოფობა გაცვლისთვის არის მისი მყოფობა საცვლელი ღირებულების სახით. ამიტომ, რათა საქონელი განხორციელდეს როგორც სახმარი ღირებულება, იგი უნდა განხორციელდეს როგორც საცვლელი ღირებულება.

თუ ცალკეული საქონელი სახმარი ღირებულების თვალსაზრისით თავდაპირველად წარმოგვიდგებოდა როგორც თავისთავადი ნივთი, — პირიქით, როგორც საცვლელი ღირებულება იგი იმთავითვე ყველა სხვა საქონლისადმი მიმართებაში განიხილებოდა. მაგრამ ეს მიმართება მხოლოდ თეორიული, წარმოსახვითი იყო. იგი მხოლოდ გაცვლის

პროცესში ხდება რეალური. თუმცა, მეორე მხრივ, საქონელი საცვლელი ღირებულება არის, რამდენადაც მასზე სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობაა დახარჯული, რამდენადაც, მაშასადამე, იგი გასაგნობრივებული სამუშაო დროა; მაგრამ თავისი უშუალო სახით საქონელი არის მხოლოდ გასაგნობრივებული ინდივიდუალური სამუშაო დრო განსაკუთრებული შინაარსისა და არა საყოველთაო სამუშაო დრო. ამიტომ იგი არაა უშუალოდ საცვლელი ღირებულება, არამედ ჯერ კიდევ უნდა იქცეს ასეთად. უწინარეს ყოვლისა, იგი შეიძლება საყოველთაო სამუშაო დროის გასაგნობრივება იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სამუშაო დროს წარმოადგენს გარკვეულ სასარგებლო გამოყენებაში, ე. ი. რაიმე სახმარ ღირებულებაში. ეს იყო მატერიალური პირობა, რომლითაც მარტოოდენ იგულისხმებოდა საქონელში მოქცეული სამუშაო დრო როგორც საყოველთაო, როგორც საზოგადოებრივი. ამიტომ, თუ საქონელს მხოლოდ იმით შეუძლია გახდეს სახმარი ღირებულება, რომ იგი საცვლელი ღირებულების სახით ხორციელდება, მეორე მხრივ, მას შეუძლია განხორციელდეს როგორც საცვლელი ღირებულება მხოლოდ იმით, რომ გასხვისების პროცესში იგი აღმოჩნდება როგორც ვარგისი სახმარი ღირებულება. საქონელი როგორც სახმარი ღირებულება მხოლოდ მასზე შეიძლება გასხვისებულ იქნას, ვისთვისაც იგი სახმარი ღირებულებაა, ე. ი. განსაკუთრებული მოთხოვნილების საგანია. მეორე მხრივ, საქონლის გასხვისება ხდება მხოლოდ სხვა საქონლისთვის, ანუ, თუ ჩვენ ამ სხვა საქონლის მფლობელის თვალსაზრისზე დავდგებით, დავინახავთ, რომ ამ მფლობელს შეუძლია აგრეთვე თავისი საქონელი გაასხვისოს, ე. ი. მას რეალიზაცია უყოს, მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კონტაქტში მოიყვანს იმ განსაკუთრებულ მოთხოვნილებასთან, რომლის დაკმაყოფილებასაც ეს საქონელი ემსახურება. მაშასადამე, როცა საქონელთა, როგორც სახმარ ღირებულებათა, ყოველმხრივი გასხვისება ხდება, საქონელნი ერთიმეორისადმი მიმართებაში დგე-

ბიან მათი ნივთიერი სხვაობის შესაბამისად, როგორც განსაკუთრებული ნივთები, რომელნიც თავიანთი სპეციფიკური თვისებებით განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. მაგრამ, როგორც მარტოოდენ სახმარ ღირებულებებს, მათ განურჩეველი არსებობა აქვთ ერთმანეთისთვის და ისინი არც იმყოფებიან რაიმე მიმართებაში ერთიმეორისადმი. როგორც სახმარი ღირებულებანი ისინი შეიძლება გაცვლილ იქნან მხოლოდ განსაკუთრებულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით. გაცვლის უნარი კი მათ აქვთ მხოლოდ როგორც ეკვივალენტებს, ხოლო ისინი ეკვივალენტები არიან მხოლოდ როგორც თანატოლი რაოდენობანი გასაგნობრივებული სამუშაო დროისა, ასე რომ ბუნებრივი თვისებანი მათი როგორც სახმარი ღირებულებებისა, და, მაშასადამე, საქონელთა მიმართება განსაკუთრებული მოთხოვნილებებისადმი სრულიად ქრება მხედველობის არიდან. პირიქით, როგორც საცვლელი ღირებულება, საქონელი მოქმედებს იმით, რომ იგი, როგორც ეკვივალენტი, ნებისმიერად შეენაცვლება ყოველი სხვა საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას, განურჩევლად იმისა, არის იგი სხვა საქონლის მფლობელისთვის სახმარი ღირებულება თუ არა. მაგრამ სხვა საქონლის მფლობელისთვის იგი საქონელი ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისთვის სახმარი ღირებულებაა, და მისი საკუთარი მფლობელისთვის იგი საცვლელი ღირებულება ხდება იმდენად, რამდენადაც საქონელია მეორისთვის. ამრიგად, ერთი და იგივე მიმართება უნდა იყოს მიმართება საქონელთა როგორც არსებითად თანატოლ, მხოლოდ რაოდენობრივად განსხვავებულ სიდიდეთა, უნდა იყოს მათი, როგორც საყოველთაო სამუშაო დროის მატერიალიზაციის, გათანატოლება და ამასთანავე უნდა იყოს მიმართება მათი როგორც თვისებრივად სხვადასხვა ნივთთა, როგორც განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებათა, რომელნიც განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, მოკლედ, — უნდა იყოს მიმართება, რომლითაც ისინი განსხვავდებიან როგორც ნამდვილი სახმარი ღირებულებანი. მაგრამ ეს გათანატოლება და გაუთანა-

ტოლებლობა ურთიერთგამომრიცხველია. ამრიგად, აქ წარმოგვიდგება არა მარტო პრობლემათა მცდარი წრე, რამდენადაც იმათგან ერთის გადაწყვეტა მეორის გადაწყვეტას გულისხმობს, არამედ წინააღმდეგობრივ მოთხოვნათა ერთობლიობაც, რამდენადაც, ერთი პირობის შესრულება უშუალოდ დაკავშირებულია მისი დაპირისპირების შესრულებასთან.

საქონელთა გაცვლის პროცესი უნდა იყოს როგორც გაშლა, ისე გადაწყვეტაც ამ წინააღმდეგობათა, თუმცა ამ უკანასკნელთა გამოსახვა მასში ასეთი მარტივი წესით შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ ვხედავთ, თუ როგორ არიან თვით საქონელნი რიგრიგობით ერთიმეორისადმი მიმართებაში როგორც სახმარი ღირებულებანი, ე. ი. როგორ გვევლინებიან ისინი როგორც სახმარი ღირებულებანი გაცვლის პროცესის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი. პირიქით, საცვლელი ღირებულება, როგორც ჩვენ მას აქამდე განვიხილავდით, მარტო ჩვენს აბსტრაქციაში არსებობდა, ანდა, თუ გნებავთ, აბსტრაქციაში ცალკეული საქონელმფლობელისა, რომელსაც საქონელი როგორც სახმარი ღირებულება — საწყობში უძევს, ხოლო როგორც საცვლელი ღირებულება — სინდისზე. მაგრამ თვით საქონელნი გაცვლის პროცესში უნდა იყვნენ ერთმანეთისთვის არა მათი სახმარი ღირებულებანი, არამედ საცვლელი ღირებულებანიც, და ეს მათი მყოფობა უნდა ვლინდებოდეს როგორც მათი საკუთარი მიმართება ერთიმეორისადმი. სიძნელე, რომელსაც ჩვენ უწინარეს ყოვლისა წავაწყდით, ის არის, რომ საქონელი, რათა იგი გამოიხატოს როგორც საცვლელი ღირებულება, როგორც გასაგნობრივებული საყოველთაო შრომა, ჯერ უნდა გასხვისებულ, რეალიზებულ იქნას როგორც სახმარი ღირებულება, მაშინ როდესაც სახმარი ღირებულების სახით მისი გასხვისება, პირიქით, გულისხმობს მის მყოფობას საცვლელი ღირებულების სახით. მაგრამ ვთქვათ, ეს სიძნელე დაძლეულია. ვიგულისხმოთ, რომ საქონელმა თავისი განსაკუთრებული სახმარი ღირებულება მოიცილა და მისი გასხვისების გზით შეასრულა მატერიალური

პირობა იმისა, რომ იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, ნაცვლად იმისა, რომ იყოს განსაკუთრებული შრომა ცალკეული პიროვნებისა თვით თავის თავისთვის. მაშინ საქონელი გაცვლის პროცესში უნდა გახდეს საცვლელი ღირებულება, საყოველთაო ეკვივალენტი, გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დრო სხვა საქონელთათვის და, ამრიგად, ერთი რომელიმე განსაკუთრებული სახმარი ღირებულების შეზღუდული მნიშვნელობის ნაცვლად, მან უნდა მოიპოვოს უშუალო უნარი იმისა, რომ გამოიხატოს ყველა სახმარი ღირებულებით როგორც თავისი ეკვივალენტით. მაგრამ ყოველი საქონელი ის საქონელია, რომელიც თავისი განსაკუთრებული სახმარი ღირებულების ასეთი გასხვისების გზით უნდა მოგვევლინოს როგორც უშუალო მატერიალიზაცია საყოველთაო სამუშაო დროისა. მეორე მხრივ კი, გაცვლის პროცესში ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ განსაკუთრებული საქონელნი, კერძო პირთა შრომა, განხორციელებული განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებებში. საყოველთაო სამუშაო დრო თვითონ აბსტრაქციაა, რომელიც, როგორც ასეთი, საქონელთათვის არ არსებობს.

განვიხილოთ იმ განტოლებათა ჯამი, რომლებშიც საქონლის საცვლელი ღირებულება თავის რეალურ გამოსახულებას პოულობს, მაგალითად:

1 ადლი ტილო = 2 გირვანქა ყავას,
1 ადლი ტილო = $^1/_2$ „ ჩაის,
1 ადლი ტილო = 8 „ პურს და ა. შ.

ეს განტოლებანი იმას მოწმობენ მხოლოდ, რომ 1 ადლ ტილოში, 2 გირვანქა ყავაში, $^1/_2$ გირვანქა ჩაიში და სხვ. გასაგნობრივებულია თანატოლი სიდიდის საყოველთაო საზოგადოებრივი სამუშაო დრო. მაგრამ სინამდვილეში სხვადასხვა ინდივიდუალური შრომა, რომელიც ამ განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებაშია წარმოდგენილი, მხოლოდ იმის მეოხებით იქცევა საყოველთაო და ამ ფორმით საზოგადოებრივ შრომად, რომ ეს სახმარი ღირებულებანი ნამდვილად გაიცვლებიან.

ერთმანეთზე მათში მოქცეული შრომის ხანგრძლიობის პროპორციულად. საზოგადოებრივი სამუშაო დრო, ასე ვთქვათ, მხოლოდ ფარულად არსებობს ამ სხვადასხვა საქონელში და მხოლოდ მათი გაცვლის პროცესში მჟღავნდება. აქ ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს არა ინდივიდთა შრომა როგორც საზოგადოებრივი შრომა, არამედ, პირიქით, კერძო ინდივიდთა განსაკუთრებული შრომა, რომელიც მხოლოდ გაცვლის პროცესში, თავისი თავდაპირველი ხასიათის მოსპობის გზით, ამჟღავნებს თავის თავს როგორც საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა. მაშასადამე, საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა მზამზარეულად მოცემული წანამძღვარი კი არ არის, არამედ ქმნადობის პროცესში მყოფი შედეგია. ამრიგად, ჩვენ ვხვდებით ახალ სიძნელეს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საქონელი, ერთი მხრივ, გაცვლის პროცესში უნდა შევიდეს როგორც გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დრო, მეორე მხრივ, გასაგნობრივება ინდივიდთა სამუშაო დროისა როგორც საყოველთაო დროისა თვითონ არის მხოლოდ პროდუქტი გაცვლის პროცესისა.

ყოველმა საქონელმა თავისი სახმარი ღირებულების, ე. ი. თავისი თავდაპირველი არსებობის, გასხვისების გზით უნდა მიიღოს თავისი შესაფერისი არსებობა საცვლელი ღირებულების სახით. ამიტომ საქონელმა გაცვლის პროცესში უნდა გააორმაგოს თავისი არსებობა. მეორე მხრივ, მისი მეორე არსებობა საცვლელი ღირებულების სახით, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მხოლოდ სხვა საქონელი, რადგან გაცვლის პროცესში ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ საქონელნი. როგორ გამოვხატოთ განსაკუთრებული საქონელი უშუალოდ როგორც გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დრო, ანუ, რაც იგივეა, როგორ მივცეთ ინდივიდუალურ სამუშაო დროს, რომელიც განსაკუთრებულ საქონელშია გასაგნობრივებული, უშუალოდ საყოველთაობის ხასიათი? რეალური გამოხატულება საქონლისა, ე. ი. ყოველი საქონლისა როგორც საყოველთაო ეკვივალენტისა, წარ-

მოგვიდგება განტოლებათა უსასრულო მწკრივში, მაგალითად:

1 ადლი ტილო = 2 გირვანქა ყავას,
1 ადლი ტილო = $^1/_2$ „ ჩაის,
1 ადლი ტილო = 8 „ პურს,
1 ადლი ტილო = 6 ადლ ჩითს და სხვ.

ეს გამოხატულება თეორიული იყო მანამდე, სანამ ჩვენ საქონელი მხოლოდ გააზრებული გვქონდა როგორც გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დროის გარკვეული რაოდენობა. არსებობა განსაკუთრებული საქონლისა როგორც საყოველთაო ეკვივალენტისა უბრალო აბსტრაქციიდან თვით გაცვლის პროცესის საზოგადოებრივ შედეგად იქცევა, თუ განტოლებათა ზემოაღნიშნულ მწკრივს უბრალოდ შევაბრუნებთ. ასე, მაგალითად:

2 გირვანქა ყავა = 1 ადლ ტილოს,
$^1/_2$ „ ჩაი = 1 ადლ ტილოს,
8 „ პური = 1 ადლ ტილოს,
6 ადლი ჩითი = 1 ადლ ტილოს.

როდესაც ყავა, ჩაი, პური, ჩითი, ერთი სიტყვით — ყველა საქონელი თვით მათში მოქცეულ სამუშაო დროს ტილოთი გამოხატავს, მაშინ ტილოს საცვლელი ღირებულება, პირიქით, თავის გაშლილ ფორმას იღებს ყველა სხვა საქონელში როგორც თავის ეკვივალენტებში და თვით ტილოში გასაგნობრივებული სამუშაო დრო ხდება უშუალოდ საყოველთაო სამუშაო დრო, რომელიც თანაბრად გამოიხატება ყველა სხვა საქონლის სხვადასხვა ოდენობით. ტილო აქ საყოველთაო ეკვივალენტი ხდება იმ ყოველმხრივი ზემოქმედების მეოხებით, რომელსაც მასზე ახდენს ყველა სხვა საქონელი. როგორც საცვლელი ღირებულება — ყოველი საქონელი ყველა სხვა საქონლის ღირებულების საზომი ხდებოდა. აქ კი, პირიქით, იმის გამო, რომ ყველა საქონელი თავის საცვლელ ღირებულებას ერთი განსაკუთრებული საქონლით ზომავს, ეს გამოცალკევებული საქონელი

ბდება საცვლელი ღირებულების ადეკვატურ მყოფობად, მის მყოფობად საყოველთაო ეკვივალენტის სახით. ახლა განტოლებათა უსასრულო მწკრივი ანუ უსასრულოდ მრავალი განტოლება, რომლებითაც თვითეული საქონლის საცვლელი ღირებულება გამოიხატება, პირიქით, იკუმშება მარტოოდენ ერთ განტოლებად, რომელიც მხოლოდ 2 წევრისაგან შედგება. განტოლება: 2 გირვანქა ყავა = 1 ადლ ტილოს ახლა ამომწურავი გამოსახულებაა ყავის საცვლელი ღირებულებისა, რადგან ეს უკანასკნელი ყოველი სხვა საქონლის განსაზღვრული რაოდენობის ეკვივალენტად გვევლინება ამ გამოსახვაში. მაშასადამე, ახლა გაცვლის პროცესის სფეროში საქონელნი არსებობენ ანუ გვევლინებიან ერთმანეთისთვის საცვლელ ღირებულებებად ტილოს ფორმით. ის, რომ ყველა საქონელი საცვლელ ღირებულებათა სახით ერთმანეთისადმი მიმართებაში იმყოფება როგორც გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დროის მხოლოდ სხვადასხვა რაოდენობა, ახლა ისე ვლინდება, რომ ისინი საცვლელ ღირებულებათა სახით ერთი და იმავე საგნის, ტილოს, მხოლოდ სხვადასხვა რაოდენობას გამოხატავენ. ამიტომ საყოველთაო სამუშაო დრო, თავის მხრივ, გამოიხატება როგორც განსაკუთრებული ნივთი, საქონელი ყველა სხვა საქონლის გვერდით და მათ გარეშე. მაგრამ ამასთანავე განტოლება, რომელშიაც ერთი საქონელი მეორე საქონლისთვის საცვლელ ღირებულებად გამოიხატება, მაგალითად, 2 გირვანქა ყავა = 1 ადლ ტილოს, წარმოადგენს განტოლებას, რომელიც ჯერ კიდევ განსახორციელებელია. მხოლოდ იმით, რომ საქონელი გასხვისდება როგორც სახმარი ღირებულება - ეს გასხვისება კი დამოკიდებულია იმაზე, დაამტკიცებს თუ არა საქონელი გაცვლის პროცესში, რომ იგი ვარგისია გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად—გარდაიქმნება ნამდვილად საქონლის მყოფობა ყავის სახით მის მყოფობად ტილოს სახით, ღებულობს, ამრიგად, საქონელი საყოველთაო ეკვივალენტის ფორმას და ხდება ნამდვილად საცვლელი ღირებულება ყველა სხვა საქონლისათვის. პირიქით, იმის გამო, რომ ყველა საქონელი სახმარ

ღირებულებათა სახით მათი გასხვისების გზით ტილოდ გარდაიქმნება, ტილო იქცევა ყველა სხვა საქონლის გარდაქმნილ მყოფობად, და მხოლოდ როგორც შედეგი ამ გარდაქმნისა, ე. ი. ყველა სხვა საქონლის ტილოდ გარდაქმნისა, იგი იქცევა საყოველთაო სამუშაო დროის უშუალო გასაგნობრივებად, ე. ი. ყოველმხრივი გასხვისების პროდუქტად, ისეთ პროდუქტად, სადაც აღარ ჩანს ინდივიდუალური შრომა. ამრიგად, თუ, ერთი მხრივ, საქონელნი თავიანთ არსებობას აორკეცებენ, რათა საცვლელ ღირებულებათა სახით გამოვლინდნენ ერთმანეთისთვის, მეორე მხრივ, ის საქონელი, რომელიც საყოველთაო ეკვივალენტად არის გამოყოფილი, აორკეცებს თავის სახმარ ღირებულებას. თავისი, როგორც განსაკუთრებული საქონლის, სახმარი ღირებულების გარდა, იგი იძენს საყოველთაო სახმარ ღირებულებას. ეს მისი სახმარი ღირებულება თვით არის ფორმაგანსაზღვრულობა, ე. ი. გამომდინარეობს იმ სპეციფიკური როლიდან, რომელსაც საქონელი ასრულებს მასზე სხვა საქონელთა ყოველმხრივი ზემოქმედების მეოხებით გაცვლის პროცესში. ყოველი საქონლის სახმარ ღირებულებას, როგორც განსაკუთრებული მოთხოვნილების საგანს, სხვადასხვა ხელში სხვადასხვა ღირებულება აქვს: მაგალითად, სხვა ღირებულება აქვს იმის ხელში, ვინც მას ასხვისებს, ვიდრე იმის ხელში, ვინც მას იძენს. საყოველთაო ეკვივალენტად გამოცალკევებული საქონელი თვით გაცვლის პროცესიდან აღმოცენებული საყოველთაო მოთხოვნილების საგანია ახლა და მას ყველასთვის ერთნაირი სახმარი ღირებულება აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი საცვლელი ღირებულების მატარებელია, გაცვლის საყოველთაო საშუალებაა. ამრიგად, ამ ერთ საქონელში გადაწყვეტილია ის წინააღმდეგობა, რომელსაც საქონელი, როგორც ასეთი, შეიცავს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი უნდა იყოს განსაკუთრებული სახმარი ღირებულება და ამასთანავე ერთად საყოველთაო ეკვივალენტი და, ამიტომ, სახმარი ღირებულება ყველასთვის, საყოველთაო სახმარი ღირებულება. მაშასადამე, მაშინ როდესაც ყველა

სხვა საქონელი ახლა თავის საცვლელ ღირებულებას გამოცალკევებული საქონლის მიმართ გამოხატავს განტოლების სახით, რომელიც გონებითაა წარმოსახული და ჯერ კიდევ რეალიზაციას საჭიროებს, — ამ გამოცალკევებული საქონლის სახმარი ღირებულება, თუმცა იგი რეალური კია, თვით პროცესში გვევლინება როგორც უბრალო ფორმალური მყოფობა, რომელიც ჯერ კიდევ ნამდვილ სახმარ ღირებულებად გარდაქმნის გზით უნდა განხორციელდეს. თავდაპირველად საქონელი წარმოგვიდგებოდა როგორც საქონელი საერთოდ, როგორც საყოველთაო სამუშაო დრო, გასაგნობრივებული რაიმე განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებაში. გაცვლის პროცესში ყველა საქონელი მიმართებაშია გამოცალკევებულ საქონელთან როგორც საქონელთან საერთოდ, როგორც ერთადერთ საქონელთან, როგორც საყოველთაო სამუშაო დროის მყოფობასთან რაიმე განსაკუთრებულ სახმარ ღირებულებაში. ამიტომ როგორც განსაკუთრებული საქონელნი ისინი დაპირისპირებულ მიმართებაში არიან ერთ განსაკუთრებულ საქონელთან როგორც საყოველთაო საქონელთან[1]. მაშასადამე, ის გარემოება, რომ საქონელმფლობელნი რიგრიგობით მიმართებაში არიან თავიანთ შრომასთან როგორც საყოველთაო საზოგადოებრივ შრომასთან, წარმოგვიდგება იმ სახით, რომ ისინი მიმართებაში არიან თავიანთ საქონელთან როგორც საცვლელ ღირებულებასთან; საცვლელ ღირებულებათა სახით საქონელთა ურთიერთმიმართება ერთიმეორისადმი გაცვლის პროცესში წარმოგვიდგება როგორც მათი ყოველმხრივი მიმართება ერთი განსაკუთრებული საქონლისადმი — როგორც მათი საცვლელი ღირებულების ადეკვატური გამოსახულებისადმი, რაც, პირიქით, კვლავ გვევლინება ამ განსაკუთრებული საქონლის სპეციფიკურ მიმართებად ყველა სხვა საქონლისადმი და ამიტომ გვევლინება როგორც განსაზღვრული, ასე ვთქვათ, ბუნებრივად

---

1 მარქსს ჩანიშნული აქვს წიგნის თავის პირად ეგზემპლარზე: «ამ გამოთქმას ვხვდებით ჯენოვეზისთან (Genovesi)». რედ.

აღმოცენებული საზოგადოებრივი ხასიათი ნივთისა. ის განსაკუთრებული საქონელი, რომელიც, ამრიგად, ყველა საქონლის ღირებულების ადეკვატურ მყოფობას გამოხატავს, ანუ საქონელთა საცვლელი ღირებულება როგორც განსაკუთრებული, გამოცალკევებული საქონელი — არის ფ უ ლ ი. ეს არის საქონელთა ღირებულების კრისტალიზაცია, რომელსაც ისინი თვით გაცვლის პროცესში ქმნიან. მაშასადამე, მაშინ როდესაც საქონელნი გაცვლის პროცესის შიგნით ერთმანეთისთვის ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი ხდებიან იმის მეოხებით, რომ ისინი ფორმის ყოველ განსაზღვრულობას თავიდან იშორებენ და თავიანთი უშუალო მატერიალური სახით ერთიმეორესთან მიმართებაში შედიან, — მათ, იმისათვის, რათა ერთიმეორის მიმართ ს ა ც ვ ლ ე ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა სახით გამოვლინდნენ, უნდა მიიღონ ფორმის ახალი განსაზღვრულობა, ისინი უნდა განვითარდნენ ფულის ფორმად. ფული არ არის სიმბოლო, ისევე როგორც არ არის სიმბოლო სახმარი ღირებულების მყოფობა საქონლის სახით. ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობა წარმოგვიდგება როგორც ნივთი, რომელიც ინდივიდთა გარეთ იმყოფება, ხოლო ის გარკვეული ურთიერთობა, რომელშიაც ეს ინდივიდები შედიან თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოების პროცესში, წარმოგვიდგება როგორც სპეციფიკური თვისებანი ნივთისა, — ეს დამახინჯება, ეს არა წარმოსახვითი, არამედ პროზაიკულად რეალური მისტიფიკაცია ახასიათებს საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომის ყველა საზოგადოებრივ ფორმას. ფულში იგი მხოლოდ უფრო მკაფიოდ გვევლინება, ვიდრე საქონელში.

იმ განსაკუთრებული საქონლის აუცილებელი ფიზიკური თვისებები, რომელშიც ყველა საქონლის ფულადი მყოფობა უნდა დაკრისტალდეს, რამდენადაც ეს თვისებები საცვლელი ღირებულების ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარეობენ, არის შემდეგი: ამ საქონლის ნებისმიერი დაყოფადობა, მისი ნაწილების ერთგვაროვნება და მისი ყველა ეგზემპლარის განუსხვავებლობა. როგორც საყოველთაო სამუშაო

დროის მატერიალიზაცია, ეს საქონელი უნდა იყოს ერთგვაროვანი და მას უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავებანი გამოხატოს. სხვა აუცილებელ თვისებას წარმოადგენს მისი სახმარი ღირებულების გამძლეობა, რადგან იგი შენახული უნდა რჩებოდეს გაცვლის პროცესში. ეს თვისებები აქვთ უპირატესად ძვირფას ლითონებს. რადგან ფული არაა მოფიქრების ანდა შეთანხმების შედეგი, არამედ ინსტინქტურად არის წარმოქმნილი გაცვლის პროცესში, ამიტომ ფრიად სხვადასხვა, მეტნაკლებად შესაფერი საქონელი ასრულებდა რიგრიგობით ფულის ფუნქციებს. გაცვლის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმომდგარი აუცილებლობა იმისა, რომ საცვლელი ღირებულებისა და სახმარი ღირებულების დანიშნულებანი პოლარულად სხვადასხვა საქონელს შორის ყოფილიყო განაწილებული, ასე რომ ერთი საქონელი, მაგალითად, გაცვლის საშუალებად გვევლინება, მაშინ როდესაც სხვა საქონელი გაისხვისება როგორც სახმარი ღირებულება, — ეს აუცილებლობა იწვევს იმას, რომ ერთი ანდა რამდენიმე საქონელიც კი, რომელსაც ყველაზე უფრო საყოველთაო სახმარი ღირებულება აქვს, თავდაპირველად შემთხვევით ასრულებს ფულის როლს. მაშინაც კი, თუ ეს რამდენიმე საქონელი უშუალოდ არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანს არ წარმოადგენს, მათთვის უფრო მეტ საყოველთაო ხასიათს, ვიდრე დანარჩენ სახმარ ღირებულებათათვის, უზრუნველჰყოფს ის გარემოება, რომ ისინი მატერიალურად სიმდიდრის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენენ.

უშუალო გაცვლითი ვაჭრობა, — გაცვლის პროცესის თავდაპირველი ფორმა, — წარმოადგენს სახმარ ღირებულებათა საქონლად გადაქცევის დასაწყისს და არა საქონელთა ფულად გადაქცევის დასაწყისს. საცვლელ ღირებულებას არ ეძლევა არავითარი დამოუკიდებელი სახე, არამედ იგი ჯერ კიდევ უშუალოდ სახმარ ღირებულებასთან არის დაკავშირებული. ეს აშკარავდება ორნაირად. თვით წარმოება მთელი თავისი სტრუქტურით იქითკენაა მიმართული, რომ შექმნას არა საცვლელი ღირებულება, არამედ სახმარი ღი-

რებულება, და ამიტომ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ნამეტია იმასთან შედარებით, რაც მოხმარებას ესაჭიროება, სახმარი ღირებულება აქ აღარ არის უკვე სახმარი ღირებულება და ხდება გაცვლის საშუალება, საქონელი. მეორე მხრივ, იგი საქონელი ხდება უშუალო სახმარი ღირებულების ფარგლებში, თუმცა პოლარულადაა განაწილებული, ასე რომ საქონელმფლობელთა მიერ გასაცვლელი საქონელი სახმარ ღირებულებას უნდა შეადგენდეს ორივესთვის, ხოლო თვითეული საქონელი — სახმარ ღირებულებას მისთვის, ვინც მას არ ფლობს. სინამდვილეში გაცვლის პროცესი წარმოიშვება თავდაპირველად არა პირველყოფილი თემების წიაღში [1], არამედ იქ, სადაც თემები თავდება, მათს საზღვრებზე, იმ რამდენიმე პუნქტზე, სადაც ისინი სხვა თემებთან კონტაქტში შედიან. აქ იწყება გაცვლითი ვაჭრობა და აქედან ხდება მისი შეჭრა თემის შიგნით, რომელზედაც იგი დამრღვევ ძალად მოქმედებს. ამიტომ ის განსაკუთრებული სახმარი ღირებულებანი, რომელნიც სხვადასხვა თემს შორის წარმოებულ გაცვლითს ვაჭრობაში საქონელნი ხდებიან, მაგალითად, მონა, ცხოველი, ლითონი, შეადგენენ მეტწილად პირველ ფულს თვით თემის შიგნით. ჩვენ ვნახეთ, რომ საქონლის საცვლელი ღირებულება მით უფრო მეტად წარმოგვიდგება როგორც საცვლელი ღირებულება, რაც უფრო გრძელია მის ეკვივალენტთა მწკრივი, ანუ რაც უფრო დიდია გაცვლის სფერო საქონლისათვის. ამიტომ გაცვლითი ვაჭრობის თანდათანობითი გაფართოება, გაცვლის აქტების გამრავლება და გაცვლითს ვაჭრობაში შემავალ საქონელთა გამრავალფეროვანება ავითარებს საქონელს როგორც საცვლელ ღირებულებას, იწვევს ფულის შექმნას და ამით დამრღვევად მოქმედებს უშუალო გაცვლითს ვაჭრობაზე. ეკონომისტებს ჩვეულებრივ ფული

---

1 არისტოტელე ამასვე შენიშნავს კერძო ოჯახის, როგორც თანაცხოვრების თავდაპირველი ფორმის, შესახებ. მაგრამ ოჯახის თავდაპირველი ფორმა — ეს თვით საგვარეულო ოჯახია, რომლის ისტორიული დაშლიდანაც კერძო ოჯახი ვითარდება. «თანაცხოვრების პირველ ფორმაში, ოჯახური ცხოვრების ფორმაში — ასეთ ვაჭრობას, ცხადია, ადგილი არა აქვს».

გამოჰყავთ იმ გარეგანი სიძნელეებიდან, რომლებსაც გაფართოებული გაცვლითი ვაჭრობა აწყდება, მაგრამ მათ ავიწყდებათ ამასთან, რომ ეს სიძნელენი წარმოდგება საცვლელი ღირებულების განვითარებიდან და, მაშასადამე, საზოგადოებრივი შრომის, როგორც საყოველთაო შრომის, განვითარებიდან. მაგალითად: საქონელი როგორც სახმარი ღირებულება არაა სურვილისამებრ გაყოფადი, როგორიც იგი უნდა იყოს როგორც საცვლელი ღირებულება. ან A-ს საქონელი შეიძლება B-თვის — სახმარი ღირებულება იყოს, მაშინ როდესაც B-ს საქონელი A-თვის სახმარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ანდა საქონელმფლობელთ შეიძლება თავიანთი ურთიერთ გასაცვლელი განუყოფადი საქონელნი არათანაბარი ღირებულებითი პროპორციით ესაჭიროებოდეთ. სხვა სიტყვებით, მარტივი გაცვლითი ვაჭრობის განხილვის საბაბით ეკონომისტები არკვევენ იმ წინააღმდეგობის გარკვეულ მხარეებს, რომელსაც შეიცავს საქონლის მყოფობა როგორც სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების უშუალო ერთიანობა. მეორე მხრივ, ისინი თანამიმდევრობით იმ აზრს ადგანან, რომ საქონელთა გაცვლის პროცესის შესაბამისი ფორმა არის გაცვლითი ვაჭრობა, რასაც თან ახლავს მხოლოდ გარკვეული ტექნიკური უხერხულობანი, რომელთა თავიდან ასაცილებლადაც ფული ეშმაკურად გამოგონილ საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ ერთი გონებამახვილი ინგლისელი ეკონომისტი, რომელიც ამ სრულიად ზერელე თვალსაზრისიდან გამოდიოდა, მართებულად ამტკიცებდა, ფული მარტოოდენ მატერიალური იარაღია, როგორც გემი ან ორთქლის მანქანა, და არა რაიმე საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის გამოხატულება და, მაშასადამე, არავითარ ეკონომიურ კატეგორიას არ წარმოადგენსო. ამიტომ, იგი შეცდომით განიხილება პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელსაც ნამდვილად ტექნოლოგიასთან საერთო არაფერი აქვსო[1].

---

1 «ფული არსებითად ყიდვა-გაყიდვის ინსტრუმენტია (მაგრამ გვითხარით, რას გულისხმობთ თქვენ ყიდვად და გაყიდვად?) და მისი განხილვა ისევე ნაკლებად შედის პოლიტიკური ეკონომიის სფეროში, როგორც გემის

საქონელთა სამყაროში უკვე იგულისხმება შრომის განვითარებული დანაწილება, ანდა, უფრო სწორად, იგი გამოიხატება უშუალოდ იმ სახმარ ღირებულებათა ნაირსახეობით, რომელნიც ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც განსაკუთრებული საქონელნი და რომლებშიც ასევე მრავალნაირი სახის შრომაა მოქცეული. შრომის დანაწილება, როგორც ყველა განსაკუთრებული სახის მწარმოებლური საქმიანობის ერთობლიობა, საერთო გამოხატულებაა საზოგადოებრივი შრომისა, თუ ამ უკანასკნელს განვიხილავთ მისი ნივთიერი შინაარსის მხრივ როგორც შრომას, რომელიც სახმარ ღირებულებას აწარმოებს. მაგრამ როგორც ასეთი, შრომა არსებობს, საქონელთა თვალსაზრისით და გაცვლის პროცესის შიგნით, მხოლოდ თავის შედეგში, თვით საქონელთა დამახასიათებელ თავისებურებაში.

საქონელთა გაცვლა არის პროცესი, სადაც ნივთიერებათა საზოგადოებრივი ცვლა, ე. ი. კერძო ინდივიდთა განსაკუთრებული პროდუქტების გაცვლა, არის ამასთანავე შექმნა განსაზღვრული საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობისა, რომელშიც ინდივიდები შედიან ნივთიერებათა ცვლის ამ პროცესის დროს. საქონელთა ურთიერთმიმართებანი, რომელნიც განვითარებაში იმყოფებიან, კრისტალდებიან როგორც განსხვავებული განსაზღვრებანი საყოველთაო ეკვივალენტისა და, ამრიგად, გაცვლის პროცესი ამასთანავე ფულის შექმნის პროცესიც არის. მთლიანად აღებული ეს პროცესი, რომელიც სხვადასხვა პროცესების თანამიმდევრობის სახით წარმოგვიდგება, არის მიმოქცევა.

A. საძუნლის ანალიზის ისტორიისათვის

ანალიზი, რომელსაც საქონელი დაჰყავს ორნაირი ფორმის შრომაზე, — სახმარი ღირებულება რეალურ შრომაზე, ანუ მიზანშეწონილად მწარმოებელ საქმიანობაზე, ხოლო

ან ორთქლის ქვაბის ან სხვა იარაღების განხილვა, რომლებსაც ხმარობენ სიმდიდრის წარმოებისა და განაწილების გასაადვილებლად» (Th. Hodgskin, Popular political economy etc., London 1827, გვ. 178, 179).

საცვლელი ღირებულება სამუშაო დროზე, ანუ თანაბარ საზოგადოებრივ შრომაზე, — საბოლოო კრიტიკული დასკვნაა იმ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთნახევარ საუკუნეზე უფრო ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა, რომელიც იწყება ინგლისში უილიამ პეტით, საფრანგეთში კი ბუაგილბერით[1] და მთავრდება ინგლისში რიკარდოთი, საფრანგეთში კი სისმონდით.

პეტის სახმარი ღირებულება დაჰყავს შრომაზე და სრულიადაც არ ტყუვდება იმაში, რომ ამ შრომის შემოქმედებითი ძალა გაპირობებულია ბუნების მიერ. ნამდვილ შრომას იგი იმთავითვე განიხილავს მთელ მის საზოგადოებრივ ერთობლიობაში, როგორც შრომის დანაწილებას[2]. ეს

---

1 პეტისა და ბუაგილბერის შრომებისა და თვით მათი — როგორც პიროვნებათა — შედარებითი შესწავლა, თუ არაფერს ვიტყვით იმ ნათელ შუქზე, რომელსაც ეს შესწავლა მოჰფენდა ინგლისისა და საფრანგეთის სოციალურ განსხვავებას მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულსა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, მოგვცემდა ინგლისურ და ფრანგულ პოლიტიკურ ეკონომიას შორის არსებული ნაციონალური კონტრასტის გენეტიკურ გამოხატვას. იგივე კონტრასტი მეორდება დასრულებულად რიკარდოსა და სისმონდის შორის.

2 პეტიმ შრომის დანაწილების მნიშვნელობა გაარკვია აგრეთვე როგორც მწარმოებლური ძალის განვითარების მნიშვნელობა და თანაც უფრო ფართო საფუძველზე, ვიდრე ადამ სმიტმა. იხ. «An essay concerning the multiplication of mankind etc», მე-3 გამოც., 1686, გვ. 35—36. იგი აქ გვიჩვენებს შრომის დანაწილების ხელსაყრელობას წარმოებისთვის არა მარტო ჯიბის საათის ფაბრიკაციის მაგალითზე, როგორც ეს უფრო გვიან ქინძისთავის ფაბრიკაციის მაგალითზე წარმოგვიდგინა ადამ სმიტმა, არამედ ამასთან ერთად იმითაც, რომ იგი ქალაქსა და მთელ სახელმწიფოს განიხილავს დიდი საფაბრიკო დაწესებულებების თვალსაზრისით. 1711 წლის 26 ნოემბრის «მიმომხილველი» («Spectator»-ი) იხსენიებს «შეუდარებელი სერ უილიამ პეტის ამ ილუსტრაციას» («illustration of the admirable Sir William Petty»). ამრიგად, მაკ კულოხს შეცდომით ჰგონია, რომ «მიმომხილველი» პეტის ურევს სხვა მწერალში, რომელიც 40 წლით უფრო ახალგაზრდა იყო. იხ. Mac Culloch: «The Literature of Political Economy, a classified catalogue». London 1845, გვ. 105. პეტი თავის თავს გრძნობს ახალი მეცნიერების დამფუძნებლად. მისი მეთოდი, როგორც იგი ამბობს,

შეხედულება მატერიალური სიმდიდრის წყაროზე არ რჩება მის ხელში, როგორც, მაგალითად, მისი თანამედროვის ჰობსის ხელში, მეტად თუ ნაკლებად უნაყოფო, არამედ ამ შეხედულებას იგი მიჰყავს პოლიტიკურ არითმეტიკამდე, — ამ პირველ ფორმამდე, რომლითაც პოლიტიკური ეკონომია გამოიყოფა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. მაგრამ საცვლელ ღირებულებას ის იღებს ისე, როგორც

«არ არის ტრადიციული მეთოდი». იმის მაგივრად, რომ შედარებითი და აღმატებითი ხარისხის სიტყვებისა და სპეკულაციური არგუმენტების გოდოლი დაეწნა, მან გადაწყვიტა რიცხვების, წონისა და ზომის ენით ელაპარაკნა (terms of number, weight or measure), მხოლოდ და მხოლოდ გრძნობადი გამოცდილებიდან გამოყვანილი არგუმენტები გამოეყენებინა და მხოლოდ ისეთი მიზეზები განეხილა, რომელთაც დასანახი საფუძველი აქვთ ბუნებაში (as have visible foundations in nature). იგი სხვებს უთმობს განსახილველად იმ მიზეზებს, რომელნიც დამოკიდებულნი არიან ცალკეულ ადამიანთა ცვალებად აზრზე, შეხედულებაზე, სურვილსა და ვნებაზე (mutable minds, opinions, appetites and passions of particular men) («Political Arithmetic etc.». London 1699. Preface). მისი გენიალური გაბედულობა ჩანს, მაგალითად, იმაში, რომ იგი წინადადებას იძლევა ირლანდიისა და მთიანი შოტლანდიის ყველა მცხოვრები თავიანთი მოძრავი ქონებით გადაყვანილ იქნან დიდი ბრიტანეთის თავისუფალ ნაწილში. ამით სამუშაო დრო დაიზოგებოდა, შრომის მწარმოებლური ძალა გაიზრდებოდა და «მეფე და მისი ქვეშევრდომები უფრო მდიდარნი და ძლიერნი გახდებოდნენ» («Pol. Arith.» Ch. 4). ანდა ეს გენიალური გაბედულობა ჩანს მისი «პოლიტიკური არითმეტიკის» იმ თავში, სადაც იგი სწორედ იმ ხანაში, როცა ჰოლანდია ჯერ კიდევ უპირატეს როლს ასრულებდა როგორც ვაჭრობის მიმდევარი ნაცია, ხოლო საფრანგეთი, თითქოს, გაბატონებული სახელმწიფო ხდებოდა ვაჭრობის დარგში, ამტკიცებს, ინგლისი მოწოდებულია მსოფლიო ბაზარი დაიპყროსო: «რომ ინგლისის მეფის ქვეშევრდომებს საკმარისი და შესაფერი საშუალებანი გააჩნიათ იმისათვის, რათა მთელი კომერციული მსოფლიოს ვაჭრობას გაუძღვენ» («That the king of England's subjects have stock competent and convenient to drive the trade of the whole commercial world») (l. c. Ch. 10) და «რომ დაბრკოლებანი ინგლისის სიდიადის გზაზე დროებითია და მათი დაძლევა შესაძლებელია» («That the impediments of England's greatness are but contingent and removeable») (გვ. 247 seq.). ყველა მისი თხზულება გამსჭვალულია ორიგინალური იუმორით. ასე, მაგალითად, იგი ცხადყოფს შემ-

იგი საქონელთა გაცვლის პროცესში ვლინდება, ე. ი. როგორც ფულს, თვით ფულს კი — როგორც არსებულ საქონელს, როგორც ოქროსა და ვერცხლს. მონეტარული სისტემის შეხედულებებით შებოჭილი, იგი იმ განსაკუთრებული სახის რეალურ შრომას, რომლითაც ოქრო და ვერცხლი მოიპოვება, აცხადებს საცვლელი ღირებულების შემქმნელ შრომად. არსებითად იგი იმას ფიქრობს, რომ ბურჟუაზიუ-

---

დეგ, რომ მსოფლიო ბაზრის დაპყრობა ჰოლანდიის მიერ, რომელიც იმ დროს ისეთივე სანიმუშო ქვეყანა იყო ინგლისელი ეკონომისტებისათვის, როგორიც დღეს ინგლისია კონტინენტის ეკონომისტებისთვის, სრულიად ბუნებრივი გზით მოხდა «იმ ანგელოზური მახვილგონიერებისა და საზრიანობის გარეშე, რასაც ზოგიერთები ჰოლანდიელებს მიაწერენ» («without such angelical wits and judgements as some attribute to the Hollanders») (l. c., გვ. 175 — 176). იგი იცავს სინდისის თავისუფლებას, როგორც ვაჭრობის პირობას, «რადგან ღარიბები მანამდე არიან ბეჯითნი და შრომასა და მუყაითობას მოვალეობად თვლიან ღვთის წინაშე, ვიდრე მათ ნებას აძლევენ იფიქრონ, რომ მათ, ნაკლები სიმდიდრის მქონებელთ, მეტი გამჭრიახობა და გაგება აქვთ ღვთიურ საქმეში, რაც მათ ღარიბების სპეციალურ საკუთრებად მიაჩნიათ». ამიტომ ვაჭრობა «დაკავშირებულია არა რომელიმე განსაკუთრებულ სარწმუნოებასთან, არამედ, უფრო, მოსახლეობის სხვა რჯულის მაღიარებელ ნაწილთან» (l. c., გვ. 183 — 186). იგი მომხრეა იმისა, რომ სპეციალური საჯარო გადასახადი დაწესდეს გაიძვერების სასარგებლოდ, რადგან საზოგადოებისთვის უკეთესია თვითონ დაიბეგროს თავი გაიძვერების სასარგებლოდ, ვიდრე მათ დააბეგვრინოს თავისი თავი (l. c., გვ. 199). პირიქით, იგი წინააღმდეგია ისეთი გადასახადებისა, რომლებსაც სიმდიდრე გადააქვთ მრეწველთა ხელიდან იმათ ხელში, ვინც «არას აკეთებს გარდა' იმისა, რომ ჭამს, სვამს, მღერის, თამაშობს და მეტაფიზიკას მისდევს». პეტის თხზულებები თითქმის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ და მხოლოდ ძველ ცუდ გამოცემებშია გაბნეული, რაც მით უფრო საკვირველია, რომ უილიამ პეტი არა მხოლოდ ინგლისის პოლიტიკური ეკონომიის მამაა, არამედ წინაპარიცაა ჰენრიხ პეტის, ე. ი. იგივე მარკიზ ლენსდოუნის, ინგლისის ვიგთა ნესტორის. მაგრამ ლენსდოუნის გვარი ძნელად თუ მოახერხებდა პეტის თხზულებათა გამოცემას ისე, რომ კრებულისთვის მისი ცხოვრების აღწერა არ დაერთო, და აქ კი სავსებით მართებულია ის შენიშვნა, რომელიც უმრავლეს დიდებულ ვიგთა გვარების წარმოშობას (origines) შეეხება, სახელდობრ: რაც უფრო ნაკლებ არის მათზე ლაპარაკი, მით უკეთესია (the less said of them the better). გაბედული მოაზროვნე, მაგრამ მეტად თავხედი სამხედრო დოს-

ლი შრომა უნდა აწარმოებდეს არა უშუალო სახმარ ღირებულებას, არამედ საქონელს,— სახმარ ღირებულებას, რომელსაც შეუძლია თავისი გასხვისების გზით გაცვლის პროცესში გამოიხატოს ოქროსა და ვერცხლის სახით, ე. ი. როგორც ფული, ე. ი. როგორც საცვლელი ღირებულება, ე. ი. როგორც გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დრო. ამრიგად, პეტის მაგალითი ცხადად ამტკიცებს, რომ შრომის აღიარება ნივთიერი სიმდიდრის წყაროდ სრულიადაც არ გამორიცხავს იმ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფორმის გაუგებლობას, რომლითაც შრომა საცვლელი ღირებულების წყაროს წარმოადგენს.

ბუაგილბერს, თავის მხრივ, თუმცა არა შეგნებულად, საქონელთა საცვლელი ღირებულება ფაქტიურად სამუშაო დროზე დაჰყავს, როდესაც იგი «ჭეშმარიტ ღირებულებას» (la juste valeur) განსაზღვრავს იმ სწორი პროპორციით, რომლის მიხედვით ინდივიდთა სამუშაო დრო ნაწილდება მრეწველობის ცალკეულ დარგებს შორის, და როდესაც იგი თავისუფალ კონკურენციას წარმოგვიდგენს როგორც საზოგადოებრივ პროცესს, რომელიც, მისი აზრით, ამ სწორ პროპორციას ამყარებს. მაგრამ ამავე დროს და პეტისაგან განსხვავებით იგი ფანატიკურად იბრძვის ფულის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, თავისი ჩარევით არღვევს საქონელთა გაცვლის ბუნებრივ წონასწორობას ანუ ჰარმონიას და, როგორც ფანტასტიკური მოლოხი, მსხვერპლად მოითხოვს ბუნების ყველა სიმდიდრეს. თუ, ერთი მხრივ, ეს პოლემიკა ფულის წინააღმდეგ დაკავშირებულია გარკვეულ ისტორიულ პირობებთან, რადგან ბუაგილბერი ებრძვის იმ უაზროდ

ტაქარი, რომელიც ისეთივე ხალისით კადრულობდა კრომველის მფარველობის ქვეშ ირლანდია გაეძარცვა, როგორც კარლოს II-გან ამ ძარცვისათვის ბარონეტის ტიტული გამოეთხოვა, — იძლევა წინაპრის იმგვარ სურათს, რომელიც საეჭვოა შესაფერი იყოს საჯაროდ ყველას თვალწინ გამოსაფენად. გარდა ამისა, მეტწილ თავის თხზულებებში, რომლებიც მან თავის სიცოცხლეში გამოსცა, პეტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ინგლისის აყვავების ხანას კარლოს II-ის დრო წარმოადგენს, რაც ერეტიკული შეხედულებაა იმათთვის, ვინც «სახელოვანი რევოლუციის» («glorious revolution») ექსპლოატაციას ეწევა მემკვიდრეობით.

გამანადგურებელ ოქროს სიხარბეს, რასაც ლუდოვიკო XIV-ის სასახლე, მისი მოიჯარე-შემსყიდველები ფინანსების დარგში და მისი თავადაზნაურობა იჩენდნენ [1], მაშინ როდესაც პეტი აქებ-ადიდებს ოქროს სიხარბეს, როგორც მძლავრ სტიმულს, რომელიც ხალხის წამქეზებელია მრეწველობის გასავითარებლად და მსოფლიო ბაზრის დასაპყრობად,— მეორე მხრივ, აქ იმავე დროს ცხადად ჩანს უფრო ღრმა პრინციპული დაპირისპირება, რომელიც მეორდება როგორც მუდმივი კონტრასტი ჰეშმარიტად ინგლისურ და ჰეშმარიტად ფრანგულ პოლიტიკურ ეკონომიას [2] შორის. ბუაგილბერი სინამდვილეში ყურადღებას აქცევს მხოლოდ სიმდიდრის ნივთიერ შინაარსს, სახმარ ღირებულებას, მოხმარებას [3], და შრომის ბურჟუაზიულ ფორმას, სახმარ ღირებულებათა წარმოებას საქონელთა სახით და საქონელთა გაცვლის პროცესს განიხილავს

---

[1] წინააღმდეგ მაშინდელი დროის «ფინანსური შავი ჯადოქრობისა», ბუაგილბერი ამბობს: «ფინანსური მეცნიერება მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის ინტერესთა გაღრმავებული გაგებაა მხოლოდ» («La science financiére n'est que la connaissance approfondie des intérêts de l'agriculture et du commerce»). («Le détail de la France», 1697. Eugène Daire-ს გამოცემა, «Economistes financiers du XVIII siècle». Paris 1843, ტ. I, გვ. 251).

[2] და არა რომანულ პოლიტიკურ ეკონომიას, რადგან იტალიელები ორსავე სკოლაში, — ნეაპოლიტანურსა და მილანურში, — ინგლისური და ფრანგული ეკონომიის დაპირისპირებას იმეორებენ, მაშინ როდესაც უფრო ადრინდელი ეპოქის ესპანელები ან წმინდა მერკანტილისტები არიან, აგრეთვე სახეშეცვლილი მერკანტილისტები, როგორც უსტარიცი, ანდა მათ, როგორც ხოველიანოსს (იხ. მისი Obras, Barcelona 1839/40), ადამ სმიტთან ერთად «ნამდვილი შუა ადგილი» უჭირავთ.

[3] ჰეშმარიტი სიმდიდრე... სრული დაკმაყოფილება არა მარტო ცხოვრების მოთხოვნილებათა სფეროში, არამედ ზედმეტშიაც და ყველაფერში, რასაც გრძნობისათვის სიამოვნების მიცემა შეუძლია» («La véritable richesse... jouissance entiére, non seulement des besoins de la vie, mais même de tous les supperflus et de tout ce qui peut faire plaisir á la sensualité»). Boisguillebert: «Dissertation sur la nature de la richesse» etc., l. c., გვ. 403. მაგრამ, მაშინ როდესაც პეტი თავხედი, ძარცვას მოწყურებული და უხასიათო ავანტიურისტი იყო, ბუაგილბერი, თუმცა იგი ლუდოვიკო XIV-ის ერთ-ერთი ინტენდანტი იყო, ჩაგრული კლასების სასარგებლოდ გამოდიოდა ისევე საზრიანად, როგორც გაბედულად.

როგორც ბუნებრივ საზოგადოებრივ ფორმას, რომლითაც ინდივიდუალური შრომა აღნიშნულ მიზანს აღწევს. ამიტომ, სადაც მას ბურჟუაზიული სიმდიდრის სპეციფიკური ხასიათი წინ წარმოუდგება, მაგალითად, ფულში, მას ჰგონია, რომ იქ ადგილი აქვს უცხო ელემენტების ძალადურ ჩარევას, და იგი მკვეთრად ილაშქრებს ბურჟუაზიული შრომის ერთი ფორმის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც იმავე შრომის მცირე ფორმას უტოპისტურად აიდეალებს [1]. ბუაგილბერი წარმოადგენს ჩვენთვის იმის დამამტკიცებელ მაგალითს, რომ შესაძლებელია სამუშაო დრო განიხილებოდეს როგორც საქონელთა ღირებულების სიდიდის საზომი და იმავე დროს საქონელთა საცვლელ ღირებულებაში გასაგნობრივებული და დროით გაზომილი შრომა არეული იყოს ინდივიდთა უშუალო ბუნებრივ საქმიანობაში.

საცვლელი ღირებულების პირველ ცნობიერ, თითქმის ტრივიალურად ნათელ ანალიზს, რომელსაც ეს საცვლელი ღირებულება სამუშაო დრომდე დაჰყავს, ჩვენ ვხვდებით ერთ ადამიანთან ახალ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობა, მის მატარებლებთან ერთად იქ იმპორტირებული, სწრაფად აღორძინდა ისეთ ნიადაგზე, რომელსაც ისტორიული ტრადიციები აკლდა, მაგრამ სამაგიეროდ უხვად ჰქონდა ჰუმუსი. ეს ადამიანია ბ ე ნ ი ა მ ი ნ ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი, რომელმაც თავის სიყრმის პირველ ნაშრომში,— 1719 წელს დაწერილსა და 1721 წელს დაბეჭდილში,— თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი კანონი [2] ჩამოაყალიბა. მას საჭიროდ მიაჩნია ეძიოს ღირებულებათა სხვა საზომი, ვიდრე ძვირფასი ლითონებია. მისი აზრით, ეს საზომი შრომაა. «შრომით ისევე კარგად შეიძლება გაიზომოს

---

[1] ფრანგული სოციალიზმი პრუდონის სახით იმავე ნაციონალური მემკვიდრეობითი სენით არის შეპყრობილი.

[2] **F r a n c l i n B: «The works of etc.», ed. by J. Sparks, vol. II. Boston 1836: «A modest inquiry into the nature and necessity of a paper currency».**

ვერცხლის ღირებულება, როგორც ყველა სხვა ნივთის ღირებულებაც. წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ადამიანი ხორბლის წარმოებას ეწევა, მაშინ როდესაც მეორე ვერცხლს თხრის მიწაში და წმენდს. წლის ბოლოს ან დროის სხვა განსაზღვრული პერიოდის დასასრულს მთელი ხორბლისა და ვერცხლის პროდუქტები ბუნებრივ ფასს შეადგენენ ერთიმეორისთვის, და თუ პირველი 20 ბუშელს უდრის, ხოლო მეორე — 20 უნცს, მაშინ ერთი უნცი ვერცხლი იმდენივე შრომა ეღირება, რამდენიც ერთი ბუშელი ხორბლის წარმოებაზეა დახარჯული. მაგრამ, თუ უფრო ახლო მდებარე, უფრო ხელმისაწვდომი და მდიდარი მადნების აღმოჩენის გამო ერთ ადამიანს 40 უნცი ვერცხლის წარმოება შეუძლია ისე ადვილად, როგორც უწინ 20 უნცის წარმოება შეეძლო, და თუ 20 ბუშელი ხორბლის საწარმოებლად საჭირო შრომა უცვლელი რჩება, მაშინ 2 უნცი ვერცხლი იმავე ერთ ბუშელ ხორბალზე დახარჯული შრომა ეღირება; ამრიგად, ერთი ბუშელი, რომელიც უწინ 1 უნცი ღირდა, ახლა სხვა თანაბარ პირობებში (caeteris paribus) 2 უნცი ეღირება. ამიტომ ამა თუ იმ ქვეყნის სიმდიდრე იმ შრომის რაოდენობის მიხედვით უნდა შეფასდეს, რომლის ყიდვის უნარიც მის მცხოვრებლებს აქვთ»[1]. სამუშაო დროს ფრანკლინი ერთბაშად წარმოგვიდგენს ეკონომიურად ცალმხრივი სახით როგორც ღირებულებათა საზომს. რეალური პროდუქტების გადაქცევა საცვლელ ღირებულებებად მისთვის თავისთავად იგულისხმება და ამიტომ საქმე შეეხება მხოლოდ მათი ღირებულების სიდიდის საზომის გამონახვას. «რადგან,—ამბობს იგი,—ვაჭრობა საერთოდ სხვა არაფერია, თუ არა გაცვლა შრომისა შრომაზე, ამიტომ ყველა ნივთის ღირებულება ყველაზე სწორად შრომით შეფასდება»[2]. თუ

---

1 L. c., გვ. 265. «Thus the riches of a country are to be valued by the quantity of labour its inhabitants are able to purchase».

2 «Trade in general being nothing else but the exchange of labour for labour, the value of all things is, as I have said before, most justly measured by labour», l. c., გვ. 267.

ჩვენ აქ სიტყვა «შრომის» ადგილას ნამდვილ შრომას ვიგულისხმებთ, მაშინვე ცხადი გახდება, რომ ერთი ფორმის შრომა არეულია მეორე ფორმის შრომაში. რადგან ვაჭრობა, მაგალითად, მეწაღის შრომის, მადნის მთხრელის შრომის, მრთველის შრომის, მხატვრის შრომის და სხვათა გაცვლაში მდგომარეობს, განა მეწაღის შრომა ყველაზე სწორად მხატვრის შრომით შეფასდება? ფრანკლინი, პირიქით, ფიქრობდა, რომ წაღების, მადნის პროდუქტის, ნართის, სურათებისა და სხვათა ღირებულება განისაზღვრება აბსტრაქტული შრომით, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული თვისებრიობა არა აქვს და ამიტომ მისი გაზომვა შეიძლება მხოლოდ რაოდენობრივად [1]. მაგრამ, რადგან ფრანკლინი საცვლელ ღირებულებაში მოქცეულ შრომას არ არკვევს როგორც აბსტრაქტულად საყოველთაო, ინდივიდუალურ შრომათა ყოველმხრივი გასხვისებიდან გამომდინარე საზოგადოებრივ შრომას, ამიტომ იგი აუცილებლად მოკლებულია საშუალებას გაიგოს ფული როგორც ამ გასხვისებული შრომის არსებობის უშუალო ფორმა. ამის გამო ფული და საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომა მისთვის არავითარ შინაგან კავშირში არ იმყოფება; პირიქით, ფული, მისი აზრით, იარაღია, რომელიც გაცვლის პროცესში გარედან არის შეტანილი ტექნიკური მოხერხებულობისათვის [2]. საცვლელი ღირებულების ანალიზს, რომელიც ფრანკლინმა მოგვცა, არ მოუხდენია უშუალო გავლენა მეცნიერების საერთო მსვლელობაზე, რადგან იგი პოლიტიკური ეკონომიის მხოლოდ ცალკეულ საკითხებს განიხილავდა გარკვეულ პრაქტიკულ მიზნებთან დაკავშირებით.

ნამდვილ სასარგებლო შრომასა და საცვლელი ღირებულების შემქმნელ შრომას შორის არსებული დაპირისპირება აღელვებდა ევროპას მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში

---

1 L. c.: «Remarks and facts relative to the American paper money», 1764.

2 იხ. «Papers on American Politics»; «Remarks and facts relative to the American paper money», 1764 (l. c.).

შემდეგი პრობლემის სახით: ნამდვილი შრომის რომელი განსაკუთრებული სახეობა წარმოადგენს ბურჟუაზიული სიმდიდრის წყაროს? ამრიგად, უკვე იგულისხმებოდა, რომ ყოველი შრომა, რომელიც სახმარ ღირებულებებში ხორციელდება ანუ პროდუქტებს აწარმოებს, ამით უკვე უშუალოდ სიმდიდრეს როდი ქმნის. მაგრამ ფიზიოკრატებისთვის, ისევე როგორც მათი მოწინააღმდეგეებისთვის, ყველაზე მწვავე საკამათო საკითხია არა ის, თუ რომელი შრომა ქმნის ღირებულებას, არამედ ის, თუ რომელი შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, ისინი განიხილავენ პრობლემას რთულ ფორმაში მანამდე, ვიდრე მას მის ელემენტარულ ფორმაში გადაწყვეტდნენ; ასე, ყველა მეცნიერების ისტორიულ განვითარებას მხოლოდ მრავალი ჯვარედინი და შემოვლითი გზით მივყავართ მათს ნამდვილ ამოსავალ წერტილთან. განსხვავებით სხვა ხუროთმოძღვართაგან, მეცნიერება არათუ აშენებს საჰაერო კოშკებს, არამედ შენობის ცალკეულ საცხოვრებელ სართულებსაც აგებს მანამდე, ვიდრე იგი მას საძირკველს ჩაუყრიდეს. ჩვენ აქ ფიზიოკრატებთან მეტ ხანს აღარ შევჩერდებით, გვერდს ავუვლით აგრეთვე მთელ რიგ იტალიელ ეკონომისტებს, რომელნიც მეტ-ნაკლები მიხვედრილობით ეხებიან საქონლის სწორ ანალიზს [1], და მივმართავთ უშუალოდ პირველ ბრიტანელს, რომელმაც ბურჟუაზიული ეკონომიის მთელი სისტემა დაამუშავა,—სერ ჯემს სტიუარტს [2]. იგი პოლიტიკური ეკო-

---

1 იხ., მაგ., Galiani, Della Moneta, vol. 3. «Scrittori Classici italiani di Economia politica»-ში (Custodi-ს გამოცემა). Parte moderna, Milano 1803: «მხოლოდ დაძაბულობა, — ამბობს იგი, — აძლევს ყოველ ნივთს ღირებულებას» («La fatica è l'unica che dà valore alla cosa»), გვ. 75. შრომის აღნიშვნა სახელწოდებით: დაძაბულობა (fatica) დამახასიათებელია სამხრეთელთათვის.

2 სტიუარტის ნაწარმოები «An inquiry into the principles of political economy, being an essay on the science of domestic policy in free nations» გამოქვეყნდა პირველად 1767 წელს ორ ტომად in quarto ლონდონში ათი წლით ადრე ადამ სმიტის შრომამდე «Wealth of nations» [«ხალხთა სიმდიდრე»]. მე ციტატებს ვიძლევი 1770 წლის დუბლინის გამოცემის მიხედვით.

ნომიის აბსტრაქტულ კატეგორიებს წარმოგვიდგენს ჯერ კიდევ მათი ნივთიერი შინაარსისგან გამოყოფის პროცესში და, ამიტომ, ეს კატეგორიები გვევლინებიან დაუდგენელი და მერყეევი სახით; სწორედ ასევე წარმოგვიდგენს იგი საცვლელი ღირებულების კატეგორიასაც. ერთ ადგილას რეალურ ღირებულებას იგი განსაზღვრავს სამუშაო დროით (what a workman can perform in a day), რაც მშრომელს შეუძლია აწარმოოს ერთი დღის განმავლობაში, მაგრამ ამის გვერდით არეულადაა მოცემული ხელფასი და ნედლი მასალა[1]. მეორე ადგილას კიდევ უფრო მკვეთრად მოჩანს ავტორის უუნაროობა თავი გაართვას ნივთიერ შინაარსს. ბუნებრივ მასალას, რომელსაც საქონელი შეიცავს, მაგალითად, ვერცხლის დაწნულ საგანში, იგი უწოდებს მის შინაგან ღირებულებას (intrinsic worth), ხოლო მასში მოქცეულ სამუშაო დროს მის სახმარ ღირებულებას (useful value). «პირველი,—ამბობს იგი, — თავისთავად რეალური რამ არის... სახმარი ღირებულება, პირიქით, უნდა შეფასდეს იმ შრომის მიხედვით, რადაც მისი წარმოება დაჯდა. მასალის სახის შესაცვლელად გამოყენებული შრომა წარმოადგენს ადამიანის დროის ნაწილს და სხვა»[2]. სტიუარტი მისი წინამორბედებისა და მიმდევრებისაგან იმით გამოირჩევა, რომ იგი მკვეთრად განასხვავებს სპეციფიკურად საზოგადოებრივ შრომას, რომელიც საცვლელ ღირებულებაში აისახება, იმ რეალური შრომისაგან, რომელიც სახმარ ღირებულებას აწარმოებს. შრომას, ამბობს იგი, რომელიც თავისი გასხვისების გზით (alienation) საყოველთაო ეკვივალენტს (universal equivalent) ქმნის, მე მრეწველობას ვუწოდებ. შრომას მრეწველობის მნიშვნელობით იგი განასხვავებს არა მარტო რეალური შრომისგან, არამედ შრომის სხვა საზოგადოებრივი ფორმებისგანაც. ეს შრომა მისთვის

---

1 Steuart, l. c., t. I, გვ. 181 — 183.

2 Steuart, l. c., t. I, გვ. 361 — 362: «Represents a portion of a man's time».

შრომის ბურჟუაზიული ფორმაა, წინააღმდეგ მისი ანტიკური და შუასაუკუნეებრივი ფორმებისა. განსაკუთრებით აინტერესებს მას განსხვავება ბურჟუაზიულ შრომასა და ფეოდალურ შრომას შორის; ფეოდალურ შრომაზე, მისი დაშლის პერიოდში, იგი დაკვირვებას აწარმოებდა როგორც თვით შოტლანდიაში, ისე კონტინენტზე თავისი ხშირი მგზავრობის დროს. სტიუარტმა, რასაკვირველია, ძალიან კარგად იცოდა, რომ პროდუქტი ღებულობს საქონლის ფორმას, ხოლო საქონელი — ფულის ფორმას წინაბურჟუაზიულ ეპოქებშიც, მაგრამ იგი დაწვრილებით ასაბუთებს, რომ საქონელი როგორც სიმდიდრის ელემენტარული ძირითადი ფორმა და გასხვისება როგორც მითვისების გაბატონებული ფორმა, მხოლოდ ბურჟუაზიული წარმოების პერიოდს ეკუთვნის, რომ, მაშასადამე, საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომის ხასიათი სპეციფიკურად ბურჟუაზიულია [1].

მას შემდეგ, რაც რეალური შრომის განსაკუთრებული ფორმები: მიწათმოქმედება, მრეწველობა, ნაოსნობა, ვაჭრობა და სხვ., რიგრიგობით იყო გამოცხადებული სიმდიდრის ჭეშმარიტ წყაროდ, ადამ სმიტმა შრომა საერთოდ, და ამასთან მისი საზოგადოებრივ-ერთობლივი სახით, როგორც შრომის დანაწილება, გამოაცხადა ნივთიერი სიმდიდრის, ანუ საცვლელ ღირებულებათა ერთადერთ წყაროდ. მაშინ როდესაც იგი აქ სრულიად არ იღებს მხედველობაში ბუნების ელემენტს, ეს უკანასკნელი მას არ სცილდება წმინდა საზოგადოებრივი სიმდიდრის, ე. ი. საცვლელი ღირებულების, სფეროში. მართალია, საქონლის ღი-

---

1 პატრიარქალურ მიწათმოქმედებას, რომელიც უშუალოდ იმას ემსახურება, რომ შექმნას სახმარი ღირებულებანი მიწათმფლობელისათვის, იგი, ამიტომ, «ბოროტებად» თვლის, თუ სპარტაში ან რომში ან ათენშიც კი არა, მეთვრამეტე საუკუნის სამრეწველო ქვეყნებში მაინც. ეს «უკანონო მიწათმოქმედება» («abusive agriculture») არ არის «სამრეწველო საქმიანობა» («trade»), არამედ «არსებობის საშუალებაა მხოლოდ». როგორც ბურჟუაზიული მიწათმოქმედება სოფელს ათავისუფლებს ზედმეტი მჭამელებისაგან, ისე ბურჟუაზიული მრეწველობა ფაბრიკას ათავისუფლებს მოჭარბებული მუშახელისაგან.

რებულებას ადამი განსაზღვრავს მასში მოქცეული სამუშაო დროით, მაგრამ ამ განსაზღვრის სინამდვილე მას ადამის წინადროინდელ ხანაში გადააქვს. სხვა სიტყვებით, ის, რაც მას მართებულად ეჩვენება მარტივი საქონლის თვალსაზრისით, მისთვის ბუნდოვანი ხდება, როგორც კი საქონლის ადგილს იკავებენ უფრო მაღალი და უფრო რთული ფორმები: კაპიტალი, დაქირავებული შრომა, მიწის რენტა და სხვ.. ამას იგი ისე გამოხატავს, რომ საქონელთა ღირებულება მათში მოქცეული სამუშაო დროით გაიზომებოდა ბურჟუაზიის დაკარგულ სამოთხეში (paradise lost), სადაც ადამიანები ჯერ კიდევ ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ არა როგორც კაპიტალისტები, დაქირავებული მუშები, მიწის მესაკუთრენი, ფერმერები, მევახშეები და სხვა, არამედ მხოლოდ როგორც უბრალო საქონელმწარმოებელნი და საქონელთა გამცვლელნი. საქონელთა ღირებულების განსაზღვრას მათში მოქცეული სამუშაო დროით იგი მუდამ ურევს მათი ღირებულების განსაზღვრაში შრომის ღირებულებით, ყოველთვის რყევაშია დეტალური ანალიზის გატარების დროს და ვერ ამჩნევს იმ ობიექტურ განტოლებას, რომელსაც საზოგადოებრივი პროცესი ძალდატანებით ამყარებს არათანაბარ შრომათა შორის, და ეს ობიექტური განტოლება მას მიაჩნია ინდივიდუალურ შრომათა სუბიექტურ გათანაბრებად [1]. იგი ცდილობს დაამტკიცოს,

---

[1] ასე, მაგალითად, ადამ სმიტი ამბობს: «ყველა დროში და ყველა ადგილას შრომის თანაბარ რაოდენობათ ერთი და იგივე ღირებულება უნდა ჰქონდეთ იმისთვის, ვინც მუშაობს. თავისი ჯანმრთელობის, ძალისა და საქმიანობის ნორმალურ მდგომარეობაში და იმ დახელოვნების საშუალო დონის პირობებში, რომელიც მას გააჩნია, მან უნდა გაიღოს მუდამ თავისი მოსვენების, თავისუფლებისა და ბედნიერების ერთი და იგივე წილი. მაშასადამე, როგორიც უნდა იყოს იმ საქონელთა რაოდენობა, რომელთაც იგი თავისი შრომის გასამრჯელოდ იღებს, ფასი, რომელსაც იგი იხდის, ყოველთვის ერთნაირია. თუმცა ამ ფასით საქონელთა ხან მეტი, ხან ნაკლები რაოდენობის ყიდვა შეიძლება, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იცვლება ამ საქონელთა ღირებულება, და არა ღირებულება შრომისა, რომელიც მათ ყიდულობს. ამრიგად, მარტო შრომა არასოდეს არ იცვლის თავის საკუთარ ღირებულებას. მაშასადამე, შრომა წარმოადგენს საქონელთა რეალურ ფასს და სხვ.».

რომ გადასვლა ნამდვილი შრომიდან საცვლელი ღირებულების შემქმნელ შრომაზე, ე. ი. ბურჟუაზიულ შრომაზე მისი ძირითადი ფორმით, ხორციელდება შრომის დანაწილების მეოხებით. მაგრამ რამდენადაც მართებულია ის, რომ კერძო გაცვლა შრომის დანაწილებას გულისხმობს, იმდენადვე მცდარია ის, რომ შრომის დანაწილება კერძო გაცვლის არსებობას გულისხმობს. პერუელებში, მაგალითად, შრომა მეტისმეტად დანაწილებული იყო, თუმცა კერძო გაცვლა, გაცვლა პროდუქტებისა საქონელთა სახით, მათთან არ არსებობდა.

წინააღმდეგ ადამ სმიტისა, დავიდ რიკარდომ გარკვევით გამოიმუშავა საქონლის ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით და დაგვანახვა, რომ ეს კანონი ბატონობს ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობაზეც, რომელიც მას პირველი შეხედვით თითქოს ეწინააღმდეგება. რიკარდოს გამოკვლევანი შემოსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ ღირებულების სიდიდით, და ამ უკანასკნელის მიმართ იგი, ყოველ შემთხვევაში, ხვდება, რომ კანონის განხორციელება დამოკიდებულია გარკვეულ ისტორიულ წანამძღვარებზე. იგი ამბობს სახელდობრ, რომ სამუშაო დროით ღირებულების სიდიდის განსაზღვრა მართებულია მხოლოდ იმ საქონელთათვის, «რომელთა გამრავლება მრეწველობის მიერ შეიძლება ნებისმიერი იყოს და რომელთა წარმოებაზეც შეუზღუდველი კონკურენცია ბატონობს»[1]. სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ ღირებულების კანონი თავისი სრული განვითარებისათვის გულისხმობს მსხვილი სამრეწველო წარმოებისა და თავისუფალი კონკურენციის მქონე საზოგადოებას, ე. ი. თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას. სხვა მხრივ რიკარდო შრომის ბურჟუაზიულ ფორმას განიხილავს როგორც საზოგადოებრივი შრომის მარადიულ ბუნებრივ ფორმას. იგი პირველყოფილ მეთევზესა და პირველყოფილ

---

[1] **Ricardo, David: On the principles of political economy and taxation». 3 edition, London 1821, გვ. 3.**

მონადირეს, როგორც საქონელმფლობელთ, დაუყოვნებლივ აცვლევინებს ერთიმეორეზე თევზსა და ნანადირევს იმ სამუშაო დროის პროპორციულად, რომელიც ამ საცვლელ ღირებულებაშია გასაგნობრივებული. ამ შემთხვევაში იგი ვარდება ანაქრონიზმში, როცა ვარაუდობს, რომ პირველყოფილი მეთევზე და პირველყოფილი მონადირე თავიანთი შრომის იარაღების შესაფასებლად მიმართავენ ყოველწლიური პროცენტების იმ ცხრილს, რომელსაც 1817 წელს ლონდონის ბირჟაზე ხმარობდნენ. «ბ-ნ ოუენის პარალელოგრამები», ჩანს, საზოგადოების ის ერთადერთი ფორმა იყო, რომელსაც, ბურჟუაზიული ფორმის გარდა, რიკარდო იცნობდა. მიუხედავად იმისა, რომ რიკარდო ამ ბურჟუაზიული ჰორიზონტით იყო შეზღუდული, იგი ისეთი თეორიული გამჭრიახობით უკეთებს ანალიზს ბურჟუაზიულ ეკონომიას, რომელიც სიღრმეში სულ სხვაგვარია, ვიდრე ზედაპირზე მოჩანს, რომ ლორდ ბრუმს შეეძლო მის შესახებ ეთქვა: «ისე ჩანდა, თითქოს ბ-ნი რიკარდო სხვა პლანეტიდან იყო ჩამოვარდნილი» («Mr. Ricardo seemed as if he had dropped from an other planet»). უშუალო პოლემიკაში რიკარდოს წინააღმდეგ სისმონდი ხაზგასმით აღნიშნავს საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომის სპეციფიკურად საზოგადოებრივ ხასიათს[1], და «ჩვენი ეკონომიური პროგრესის დამახასიათებელ ნიშნად» იმ გარემოებას ასახელებს, რომ ღირებულების სიდიდე დაიყვანება აუცილებელ სამუშაო დროზე, «შეფარდებაზე მთელი საზოგადოების მოთხოვნილებასა და შრომის იმ რაოდენობას შორის, რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად»[2]. სისმონდი აღარაა შებოჭილი ბუაგილბერის წარმოდგენით, რომ ფული აყალბებს საცვლელი ღირებულების შემქმნელ შრომას, მაგრამ იგი თავს ესხმის მსხვილ სამრეწველო კაპიტალს სწორედ ისევე,

---

[1] Sismondi, «Etudes sur l'économie politique. ტ. II, Bruxelles 1837: «ვაჭრობამ ყველაფერი დაიყვანა დაპირისპირებაზე საცვლელ ღირებულებასა და სახმარ ღირებულებას შორის» (გვ. 161).

[2] Sismondi, l. c., გვ. 163—166 seq.

როგორც ბუაგილბერი ესხმის თავს ფულს. თუ პოლიტიკურ ეკონომიას რიკარდოს სახით უბოდიშოდ გამოჰყავს თავისი უკანასკნელი დასკვნა და მით იგი მთავრდება, სისმონდი ამ დამთავრებას სისრულეს აძლევს იმით, რომ იგი თვითონვე წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომიის ეჭვების განსახიერებას.

რადგან რიკარდომ, როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დამსრულებელმა, სამუშაო დროით საცვლელი ღირებულების განსაზღვრა ყველაზე თანამიმდევრულად ჩამოაყალიბა და განავითარა, ამიტომ ბუნებრივია, რომ მის ირგვლივ არის კონცენტრირებული ეკონომისტების მიერ დაწყებული პოლემიკა. თუ ამ პოლემიკას მის მეტწილად უხამს [1] ფორმას მოვაცილებთ, იგი შემდეგ პუნქტებს შეიცავს:

პირველი: თვით შრომას აქვს საცვლელი ღირებულება და სხვადასხვა შრომას აქვს სხვადასხვა საცვლელი ღირებულება. თუ საცვლელ ღირებულებას საცვლელი ღირებულების საზომად ავიღებთ, გამოდის მცდარი წრე, რადგან გამზომავი საცვლელი ღირებულება, თავის მხრივ, საზომს საჭიროებს. ეს მოსაზრება დაიყვანება შემდეგ პრობლემამდე: სამუშაო დრო მოცემულია საცვლელი ღირებულების იმანენტური საზომის სახით, ამ საფუძველზე ხელფასი უნდა იქნას განვითარებული. ამაზე პასუხს იძლევა მოძღვრება დაქირავებული შრომის შესახებ.

მეორე: თუ პროდუქტის საცვლელი ღირებულება მასში მოქცეულ სამუშაო დროს უდრის, მაშინ სამუშაო დღის საცვლელი ღირებულება უდრის მის პროდუქტს, ანუ: ხელფასი შრომის პროდუქტს უნდა უდრიდეს [2]. სინამდვილეში კი

---

[1] ყველაზე უხამსია ეს ფორმა ჟ. ბ. სეის შენიშვნებში, რომლებიც დართული აქვს კონსტანციოს მიერ ფრანგულად თარგმნილ რიკარდოს თხზულებას, ხოლო ყველაზე პედანტური და პრეტენზიით აღსავსეა იგი მაკლეოდის ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში «Theory of Exchange», London 1858.

[2] ამ მოსაზრებას, რომელიც ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა წამოაყენეს რიკარდოს წინააღმდეგ, შემდეგში ხელი ჩასჭიდეს სოციალისტებმა. გულის-

ადგილი აქვს ამის საპირისპირო მოვლენას. Ergo. ეს მოსაზრება დაიყვანება შემდეგ პრობლემამდე: როგორ მივყავართ წარმოებას მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო დროით განსაზღვრული ღირებულების ბაზისზე იმ შედეგამდე, რომ შრომის საცვლელი ღირებულება ნაკლებია, ვიდრე მისი პროდუქტის საცვლელი ღირებულება? ამ პრობლემის გადაწყვეტას ვიძლევით კაპიტალის განხილვისას.

მ ე ს ა მ ე: საქონელთა საბაზრო ფასი მათ საცვლელ ღირებულებაზე დაბლა ან მაღლა იწევს მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდების ცვლილებასთან ერთად. ა მ ი ტ ო მ საქონელთა საცვლელი ღირებულება განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებით და არა მათში მოთავსებული სამუშაო დროით. ეს უცნაური დასკვნა სინამდვილეში მხოლოდ შემდეგ კითხვას აყენებს: როგორ ვითარდება საცვლელი ღირებულების საფუძველზე მისგან განსხვავებული საბაზრო ფასი, ანუ, უფრო სწორად, როგორ ხდება, რომ საცვლელი ღირებულების კანონი მხოლოდ თავის საკუთარ დაპირისპირებაში ხორციელდება. ამ პრობლემის გადაწყვეტას იძლევა მოძღვრება კონკურენციაზე.

ხმობდნენ რა ფორმულის თეორიულ სისწორეს, ისინი ბრალს სდებდნენ პრაქტიკას, რომ იგი თეორიას ეწინააღმდეგება, და ბურჟუაზიულ საზოგადოებას მოუწოდებდნენ თავისი თეორიული პრინციპიდან პრაქტიკულად მოჩვენებითი დასკვნა გამოეტანა. ამ წესით, ყოველ შემთხვევაში, ინგლისელმა სოციალისტებმა რიკარდოს საცვლელი ღირებულების ფორმულა პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ მიაბრუნეს. ბ-ნ პრუდონს ხვედრად ისღა რჩებოდა, რომ მას არათუ ძველი საზოგადოების ძირითადი პრინციპი ახალი საზოგადოების პრინციპად დაესახა, არამედ ამასთან ერთად თავისი თავი იმ ფორმულის გამომგონად გამოეცხადებინა, რომლითაც რიკარდომ ინგლისური კლასიკური ეკონომიის ერთობლივი შედეგი შეაჯამა. დამტკიცებულია, რომ რიკარდოს ფორმულის უტოპისტური ახსნა-განმარტებაც კი ინგლისში უკვე გამქრალი იყო, როცა ბ-მა პრუდონმა იგი სრუტის მეორე მხარეს «აღმოაჩინა» (შეად. ჩემი თხზულება «Misère de la Philosophie» etc. [«ფილოსოფიის სიღატაკე» და სხვ.], Paris 1847, პარაგრაფი o v ıleur constituée [ჩამოყალიბებული ღირებულების] შესახებ).

მეოთხე: უკანასკნელი და, როგორც ეტყობა, ყველაზე აშკარა წინააღმდეგობა, თუკი იგი წარმოდგენილი არაა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, საკვირველი მაგალითების ფორმით: თუ საცვლელი ღირებულება სხვა არაფერია, გარდა საქონელში მოქცეული სამუშაო დროისა, მაშინ როგორ შეიძლება ღირებულება ჰქონდეს ისეთ საქონელს, რომელიც შრომას სრულიად არ შეიცავს, ანუ, სხვა სიტყვებით, საიდან წარმოდგება წმინდა ბუნებრივი ძალების საცვლელი ღირებულება? ამ პრობლემის გადაწყვეტას იძლევა მოძღვრება მიწის რენტაზე.

თავი მეოთხე

ფული ანუ მარტივი მიმოქცევა

სერ რობერტ პილის 1844—45 წ. საბანკო აქტების შესახებ პარლამენტში გამართული კამათის დროს გლადსტონმა შენიშნა, თვით სიყვარულსაც კი არ გაუსულელებია იმაზე მეტი ადამიანი, რამდენიც ფულის რაობაზე ფიქრმა გაასულელაო. იგი ბრიტანელებზე ლაპარაკობდა და ბრიტანელებს მიმართავდა. პირიქით, ჰოლანდიელებს, რომელთაც, წინააღმდეგ პეტის ეჭვებისა, ძველთაგან «ზეციური გონებამახვილობა» ჰქონდათ ფულის სპეკულაციის საქმეში, არასოდეს არ დაუკარგავთ გონებამახვილობა ფულზე სპეკულაციური ფიქრის დროს.

მთავარი სიძნელე ფულის ანალიზში დაძლეულია იმ მომენტიდან, როცა გაგებულია მისი წარმოშობა თვით საქონლიდან. თუ ეს წანამძღვარი მოცემულია, მაშინ საქმე მხოლოდ იმაშია, რომ წმინდა სახით გავიგოთ ფულის დამახასიათებელი ფორმაგანსაზღვრულობანი, რაც რამდენადმე იმით ძნელდება, რომ ყველა ბურჟუაზიული ურთიერთობა წარმოგვიდგება მოოქრული და მოვერცხლილი ურთიერთობის სახით, როგორც ფულადი ურთიერთობა, და ამიტომ ისე გვეჩვენება, რომ ფულად ფორმას გააჩნია უსასრულოდ

მრავალნაირი შინაარსი, რომელიც თვით ამ ფორმისთვის უცხოა.

შემდგომი კვლევა-ძიებისას მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ აქ ლაპარაკია ფულის მხოლოდ იმ ფორმებზე, რომელნიც უშუალოდ საქონელთა გაცვლიდან აღმოცენდებიან, და არა ფულის იმ ფორმებზე, რომელნიც წარმოების პროცესია უფრო მაღალ საფეხურს ეკუთვნიან, როგორც, მაგ., საკრედიტო ფული. გამარტივების მიზნით ოქრო ყველგან ნაგულისხმევია როგორც ფულადი საქონელი.

1. ღირებულების საზომი

მიმოქცევის პირველი პროცესი, ასე ვთქვათ, თეორიულად მომზადებული, პროცესია ნამდვილი მიმოქცევისთვის. საქონელნი, რომელნიც სახმარ ღირებულებათა სახით არსებობენ, მოიპოვებენ უწინარეს ყოვლისა ფორმას, რომლითაც ისინი იდეაში ერთიმეორეს უპირისპირდებიან, როგორც საცვლელი ღირებულებანი, როგორც გასაგნობრივებული საყოველთაო სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობანი. ამ პროცესის პირველი აუცილებელი აქტი, როგორც ჩვენ ვნახეთ, ის არის, რომ საქონელნი თავიანთი წრიდან გამოყოფენ ერთ სპეციფიკურ საქონელს, ვთქვათ, ოქროს, საყოველთაო სამუშაო დროის უშუალო მატერიალიზაციის სახით, ანუ საყოველთაო ეკვივალენტის სახით. დავუბრუნდეთ ერთი წუთით იმ ფორმას, რომლითაც საქონელნი ფულად გარდაქმნიან ოქროს:

1 ტონა რკინა = 2 უნც ოქროს,
1 კვარტერი ხორბალი = 1 უნც ოქროს,
1 ცენტნერი ყავა = $^1/_4$ უნც ოქროს,
1 ცენტნერი პოტასიუმი = $^1/_2$ უნც ოქროს,
1 ტონა ბრაზილიის ხე-ტყე = $1^1/_2$ უნც ოქროს,
y საქონელი = x უნც ოქროს.

განტოლებათა ამ მწკრივში რკინა, ხორბალი, ყავა, პოტასიუმი და სხვ. ერთიმეორეს უპირისპირდებიან როგორც მატე-

რიალიზაცია ერთგვაროვანი შრომისა, სახელდობრ, ოქროში მატერიალიზებული შრომისა, სადაც სრულიად გამქრალია იმ სხვადასხვა რეალური შრომის ყოველი თავისებურება, რომელიც წარმოდგენილია მის სხვადასხვა სახმარ ღირებულებაში. როგორც ღირებულებანი, ისინი იდენტურნი არიან, წარმოადგენენ ერთი და იმავე შრომის მატერიალიზაციის ანუ შრომის ერთსა და იმავე მატერიალიზაციას — ოქროს. როგორც ერთი და იმავე შრომის ერთგვაროვანი მატერიალიზაცია, ისინი ამჟღავნებენ მხოლოდ ერთ განსხვავებას, რაოდენობრივ განსხვავებას, ანუ გვევლინებიან როგორც ღირებულების სხვადასხვა სიდიდენი, რადგან მათი სახმარი ღირებულებანი არათანაბარ სამუშაო დროს შეიცავენ. ასეთ ცალკეულ საქონელთა სახით ისინი ამასთანავე მიმართებაში არიან ერთიმეორისადმი როგორც საყოველთაო სამუშაო დროის გასაგნობრივება, რაც იმის მეოხებით ხდება, რომ ისინი მიმართებაში არიან თვით საყოველთაო სამუშაო დროისადმი როგორც გამოყოფილი საქონლისადმი, ოქროსადმი. იგივე მიმართება, რომელსაც პროცესის ხასიათი აქვს, და რომლის მეოხებითაც საქონელნი ერთიმეორისათვის საცვლელ ღირებულებათა სახით გამოიხატებიან, ოქროში მოქცეულ სამუშაო დროს გამოხატავს როგორც საყოველთაო სამუშაო დროს, რომლის განსაზღვრული რაოდენობა რკინის, ხორბლის, ყავის და სხვ. რაოდენობით, მოკლედ — ყველა საქონლის სახმარი ღირებულებით გამოისახება ანუ უშუალოდ საქონლის ეკვივალენტთა უსასრულო მწკრივში გაიშლება. მაშინ როდესაც საქონელნი ყოველმხრივად თავიანთ საცვლელ ღირებულებებს ოქროთი გამოსახავენ, ოქრო თავის საცვლელ ღირებულებას უშუალოდ ყველა საქონლით გამოსახავს. მაშინ როდესაც საქონელნი თავიანთ თავს ერთმანეთისათვის საცვლელი ღირებულების ფორმას აძლევენ, ისინი საყოველთაო ეკვივალენტის, ანუ ფულის ფორმას აძლევენ ოქროს.

რადგან ყველა საქონელი თავის საცვლელ ღირებულებას ოქროთი ზომავს იმ პროპორციის კვალობაზე, რა

პროპორციითაც ოქროს განსაზღვრული რაოდენობა და საქონლის განსაზღვრული რაოდენობა თანატოლ სამუშაო დროს შეიცავს, ოქრო ხდება ღირებულებათა საზომი; და უწინარეს ყოვლისა ამ დანიშნულების გამო, ე. ი. იმის გამო, რომ იგი ღირებულებათა საზომია და ამ საზომის სახით ზომავს იგი თავის საკუთარ ღირებულებას უშუალოდ საქონლურ ეკვივალენტთა მთელ ერთობლიობაში, — ამ დანიშნულების გამო ოქრო ხდება საყოველთაო ეკვივალენტი, ანუ ფული. მეორე მხრივ, ყველა საქონლის საცვლელი ღირებულება ახლა ოქროთი გამოისახება. ამ გამოსახვაში უნდა განვასხვაოთ თვისებრივი და რაოდენობრივი მომენტი. საქონლის საცვლელი ღირებულება არსებობს როგორც ერთი და იმავე ერთგვაროვანი სამუშაო დროის მატერიალიზაცია: საქონლის ღირებულების სიდიდე ამოწურულადაა გამოხატული, რადგან იმ პროპორციით, რა პროპორციითაც საქონელნი გათანატოლებულნი არიან ოქროსთან, ისინი გათანატოლებულნი არიან ერთმანეთთან. ერთი მხრივ, ვლინდება მათში მოქცეული სამუშო დროის საყოველთაო ხასიათი, მეორე მხრივ კი, იმავე სამუშაო დროის რაოდენობა მათს ოქროს ეკვივალენტში. საქონელთა საცვლელი ღირებულება, ამ წესით გამოხატული, როგორც საყოველთაო ეკვივალენტობა და მასთან ერთად როგორც ამ ეკვივალენტობის ხარისხი ერთ სპეციფიკურ საქონელში, ანუ გამოხატული საქონელთა ერთადერთი განტოლებით ერთ სპეციფიკურ საქონელთან, არის ფასი. ფასი გარდაქმნილი ფორმაა, რომლითაც საქონელთა საცვლელი ღირებულება მიმოქცევის პროცესის შიგნით ვლინდება.

ამრიგად, იმავე პროცესის მეოხებით, რომლითაც საქონელნი თავიანთ ღირებულებას ოქროთი გამოსახული ფასით გამოხატავენ, ისინი გამოხატავენ ოქროს ღირებულებათა საზომის სახით და, მაშასადამე, ფულის სახით. საქონელნი რომ თავიანთ ღირებულებას ყოველმხრივ ვერცხლით, ხორბლით ან სპილენძით ზომავდნენ და, მაშასადამე, ვერცხლით, ხორბლით ან სპილენძით გამოსახული ფასით გამოხატავდნენ,

მაშინ ვერცხლი, ხორბალი და სპილენძი გახდებოდა ღირებულებათა საზომი და ამით — საყოველთაო ეკვივალენტი. იმისათვის, რომ საქონელნი მიმოქცევაში ფასების სახით გამოვლინდნენ, ისინი მიმოქცევამდე უნდა წარმოადგენდნენ საცვლელ ღირებულებას. ღირებულებათა საზომი ოქრო მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ყველა საქონელი ოქროთი შეაფასებს თავის საცვლელ ღირებულებას. მაგრამ ყოველმხრივობა ამ პროცესის სახით მიმდინარე მიმართებისა, საიდანაც მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგება ოქროს, როგორც ღირებულების საზომის, ხასიათი, გულისხმობს, რომ ყოველი ცალკეული საქონელი გაიზომება ოქროთი იმ სამუშაო დროის შესაბამისად, რომელსაც შეიცავენ ორივენი, საქონელიც და ოქროც, რომ, მაშასადამე, საქონლისა და ოქროს ნამდვილ საზომს თვით შრომა წარმოადგენს, ან რომ უშუალო გაცვლითი ვაჭრობით საქონელი და ოქრო ერთიმეორეს უთანატოლდება როგორც საცვლელი ღირებულებანი. თუ როგორ ხდება პრაქტიკულად ეს გათანატოლება, ამის განხილვა მარტივი მიმოქცევის სფეროში არ შეიძლება. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ოქრო-ვერცხლის მაწარმოებელ ქვეყნებში განსაზღვრული სამუშაო დრო უშუალოდ ოქროსა და ვერცხლის განსაზღვრულ რაოდენობაში ხორციელდება, მაშინ როდესაც იმ ქვეყნებში, რომელნიც ოქროსა და ვერცხლს არ აწარმოებენ, იმავე შედეგს შემოვლითი გზით აღწევენ, სახელდობრ, საკუთარ საქონელთა, ე. ი. საშუალო ნაციონალური შრომის განსაზღვრული ნაწილის, პირდაპირი ან არაპირდაპირი გაცვლით იმ სამუშაო დროის განსაზღვრულ რაოდენობაზე, რომელიც მადნების მქონე ქვეყნების ოქროსა და ვერცხლშია მატერიალიზებული. იმისათვის, რომ საქონელთა საზომის როლის შესრულება შეძლოს, ოქრო შეძლებისამებრ ცვალებადი ღირებულება უნდა იყოს, რადგან მას მხოლოდ შრომის მატერიალიზაციის სახით შეუძლია გახდეს სხვა საქონელთა ეკვივალენტი, ხოლო ერთი და იგივე სამუშაო დრო რეალური შრომის მწარმოებლური ძალის ცვლილებასთან ერთად ერთსა და იმავე სახმარ ღირებულებათა

არათანაბარ ოდენობაში ხორციელდება. როგორც ყოველი საქონლის საცვლელი ღირებულების სხვა საქონელთა სახმარ ღირებულებაში გამოსახვისას, ასევე ყველა საქონლის ოქროთი შეფასებისას იგულისხმება მხოლოდ, რომ ოქრო მოცემულ მომენტში სამუშაო დროის გარკვეულ რაოდენობას გამოხატავს. ოქროს ღირებულების ცვლილების შესახებ ძალაში რჩება ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საცვლელ ღირებულებათა კანონი. თუ საქონელთა საცვლელი ღირებულება უცვლელი რჩება, მაშინ ოქროთი გამოხატული მათი ფასების საყოველთაო გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოქროს საცვლელი ღირებულება ეცემა. თუ ოქროს საცვლელი ღირებულება უცვლელი რჩება, ოქროთი გამოხატული ფასების საყოველთაო გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა საქონლის საცვლელი ღირებულება მაღლა იწევს. პირიქითაა საქონელთა ფასების საყოველთაო დაცემის შემთხვევაში. თუ ერთი უნცი ოქროს ღირებულება დაეცემა ან აიწევს იმის გამო, რომ მის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო იცვლება, მაშინ იგი დაეცემა ან აიწევს თანაბრად ყველა სხვა საქონლისათვის, მაშასადამე, იგი უწინდებურად გარკვეული სიდიდის სამუშაო დროს წარმოადგენს ყველა საქონლის მიმართ. იგივე საცვლელი ღირებულებანი ახლა შეფასდებიან ოქროს მეტი ან ნაკლები რაოდენობით, ვიდრე უწინ, მაგრამ შეფასდებიან თავიანთი ღირებულების სიდიდეთა შესაბამისად, მაშასადამე, იმავე ღირებულებითს შეფარდებას ინარჩუნებენ ერთიმეორის მიმართ. შეფარდება 2 : 4 : 8 იგივეა, რაც შეფარდება 1 : 2 : 4 ანდა 4 : 8 : 16. ოქროს შეცვლილი რაოდენობა, რომლითაც საცვლელი ღირებულებანი შეფასდებიან ოქროს ღირებულების ცვლილებასთან ერთად, ისევე არ უშლის ხელს ოქროს შეასრულოს ღირებულებათა საზომის ფუნქცია, როგორც ვერცხლის 15-ჯერ ნაკლები ღირებულება ოქრისთან შედარებით ხელს არ უშლის ვერცხლს ოქრო განდევნოს ამ ფუნქციიდან. რადგან სამუშაო დრო ოქროსა და საქონლის საზომია, ხოლო ოქრო

მხოლოდ იმდენად ხდება ღირებულებათა საზომი, რამდენადაც ყველა საქონელი მით გაიზომება, ამიტომ მიმოქცევის პროცესის უბრალო ილუზიაა იმის წარმოდგენა, თითქოს ფულის მეოხებითაა, რომ საქონელნი თანაზომადნი ხდებიან [1]. პირიქით, ეს არის მხოლოდ საქონელთა, როგორც გასაგნობრივებული სამუშაო დროის, თანაზომადობა, რომელიც ოქროს ფულად ხდის.

რეალური სახე, რომლითაც საქონელნი შედიან გაცვლის პროცესში, არის მათი სახმარი ღირებულების სახე. ნამდვილ საყოველთაო ეკვივალენტად ისინი ჯერ კიდევ უნდა გადაიქცნენ თავიანთი თავის გასხვისების გზით. მათი ფასის განსაზღვრა არის მხოლოდ მათი იდეაში გარდაქმნა საყოველთაო ეკვივალენტად, ოქროსთან განტოლება, რომელიც ჯერ კიდევ რეალიზებულ უნდა იქნას. მაგრამ რადგან საქონელნი

---

[1] არისტოტელე, მართალია, მიმხვდარია, რომ საქონელთა საცვლელი ღირებულება საქონელთა ფასების წანამძღვარს წარმოადგენს: «რომ... გაცვლას ადგილი ჰქონდა, როცა ჯერ კიდევ ფული არ არსებობდა, ეს ცხადია, ვინაიდან არავითარი განსხვავება არაა იმაში, ავიღებთ სახლში ხუთ საწოლს თუ ხუთი საწოლის ღირებულებას». მაგრამ, მეორე მხრივ, რადგან საქონელნი მხოლოდ ფასში იძენენ ერთმანეთისათვის საცვლელი ღირებულების ფორმას, ამიტომ ისინი, მისი აზრით, თანაზომადნი ხდებიან მხოლოდ ფულის მეოხებით. «ამიტომ აუცილებელია, რომ ყველაფერი შეფასებულ იქნას. ამის გამო ყოველთვის იქნება გაცვლა, და, მაშასადამე, საზოგადოებაც. მართლაც, ფული საზომის სახით ყველა საგნებს თანაზომად საგნებად ხდის და ამის შემდეგ ათანატოლებს მათ. ვინაიდან თუ გაცვლა არ იქნებოდა, არ იქნებოდა საზოგადოება, თუ განტოლება არ იქნებოდა, არ იქნებოდა გაცვლა, თუ საგნების თანაზომადობა არ იქნებოდა, არ იქნებოდა განტოლება». არისტოტელე არ მალავს, რომ ეს სხვადასხვა ნივთები, რომლებიც ფულით გაიზომებიან, სავსებით არათანაზომადი სიდიდეებია. რასაც იგი ეძებს, ეს არის საქონელთა, როგორც საცვლელ ღირებულებათა, ერთიანობა, რომელსაც იგი, როგორც ანტიკური ბერძენი, ვერ პოულობს. გასაჭირიდან თავის დაღწევას იგი იმით ახერხებს, რომ თავისთავად არათანაზომად საგანს ფულის საშუალებით თანაზომადად ხდის, რამდენადაც ეს პრაქტიკული მოთხოვნილებისთვის აუცილებელია. «არსებითად შეუძლებელია, რომ ესოდენ სხვადასხვაგვარი საგანი თანაზომადი იყოს, მაგრამ პრაქტიკული საჭიროებისათვის ეს სავსებით შესაძლებელია» (**Arist., Ethic. Nicom., I, 5 c. 8, edit. Bekkeri. Oxonii 1837**).

თავიანთ ფასებში მხოლოდ იდეაში გარდაიქმნებიან ოქროდ ანუ მხოლოდ წარმოდგენაში არსებულ ოქროდ, და მათი ფულადი მყოფობა ჯერ კიდევ ნამდვილად არაა გამოყოფილი მათი რეალური მყოფობისაგან, ამიტომ ოქროც ჯერჯერობით გადაქცეულია მხოლოდ იდეაში არსებულ ფულად, იგი ჯერ კიდევ ღირებულებათა საზომია, და ოქროს განსაზღვრული რაოდენობანი მოქმედებენ სინამდვილეში ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც სახელწოდებანი სამუშაო დროის განსაზღვრულ რაოდენობათათვის. იმ განსაზღვრულ წესზე, რომლითაც საქონელნი ერთმანეთისთვის თავიანთ საკუთარ საცვლელ ღირებულებას გამოხატავენ, დამოკიდებულია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ის ფორმაგანსაზღვრულობა, რომელშიც ოქრო ფულის სახით კრისტალდება.

საქონელნი ახლა ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც ორნაირი არსებობის მატარებელნი: რეალურად — როგორც სახმარი ღირებულებანი, იდეაში—როგორც საცვლელი ღირებულებანი. შრომის ორნაირ ფორმას, რომელიც მათშია მოქცეული, ისინი ახლა იმით გამოხატავენ ერთიმეორისათვის, რომ განსაკუთრებული რეალური შრომა მათი სახმარი ღირებულების სახით ნამდვილად არსებობს, მაშინ როდესაც საყოველთაო აბსტრაქტული სამუშაო დრო მათს ფასში ღებულობს წარმოდგენაში არსებულ მყოფობას, რომელშიც ისინი ღირებულების ერთი და იმავე სუბსტანციის ერთგვაროვან და მხოლოდ რაოდენობრივად განსხვავებულ მატერიალიზაციას წარმოადგენენ.

განსხვავება საცვლელ ღირებულებასა და ფასს შორის გვევლინება, ერთი მხრივ, მხოლოდ ნომინალურ განსხვავებად; ადამ სმიტი ამბობს, მაგალითად, რომ შრომა საქონელთა რეალური ფასია, ფული კი — მათი ნომინალური ფასი. ნაცვლად იმისა, რომ ერთი კვარტერი ხორბალი 30 სამუშაო დღით შეფასდეს, იგი ახლა ერთი უნცი ოქროთი შეფასდება, თუ ერთი უნცი ოქრო 30 სამუშაო დღის პროდუქტს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ეს განსხვავება სრულიადაც არაა მარტოოდენ სახელწოდებათა განსხვავება, რადგან მასში, პი-

რიჭით, კონცენტრირებულია მთელი ის ჭარტეხილი, რომელიც საქონელს მიმოქცევის ნამდვილ პროცესში ემუქრება. 30 სამუშაო დღეს უკვე შეიცავს ერთი კვარტერი ხორბალი და ამიტომ ეს უკანასკნელი ახლა უკვე აღარაა საჭირო სამუშაო დროით გამოიხატოს, ოქრო კი ხორბლისაგან განსხვავებული საქონელია, და მხოლოდ მიმოქცევაში შეიძლება გამომჟღავნდეს, გადაიქცევა თუ არა ერთი კვარტერი ხორბალი ნამდვილად ერთ უნც ოქროდ, როგორც ეს მის ფასშია წინასწარ ნაგულისხმევი. ეს დამოკიდებულია იმაზე, დადასტურდება თუ არა, რომ იგი სახმარი ღირებულებაა, რომ მასში მოქცეული სამუშაო დროის რაოდენობა სამუშაო დროის ის საზოგადოებრივად-აუცილებელი რაოდენობაა, რომლითაც ერთი კვარტერი ხორბალი იწარმოება. საქონელი, როგორც ასეთი, არის საცვლელი ღირებულება, მას აქვს ფასი. საცვლელი ღირებულებისა და ფასის ამ განსხვავებაში ვლინდება ის, რომ საქონელში მოქცეული განსაკუთრებული ინდივიდუალური შრომა ჯერ მხოლოდ გასხვისების პროცესის გზით უნდა გამოიხატოს როგორც თავისი დაპირისპირება, როგორც ინდივიდუალობას მოკლებული აბსტრაქტულად-საყოველთაო, და მხოლოდ ამ ფორმით საზოგადოებრივი, შრომა, ე. ი. როგორც ფული. ექნება მას ამ გარდაქმნის უნარი თუ არა, ეს შემთხვევის საქმეა. მაშასადამე, თუმცა საქონლის საცვლელი ღირებულება ფასში ღებულობს საქონლისაგან მხოლოდ იდეაში განსხვავებულ არსებობას და ორნაირი მყოფობა საქონელში მოქცეული შრომისა არსებობს ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც გამოსახვის განსხვავებული წესი, და ამიტომ, მეორე მხრივ, საყოველთაო სამუშაო დროის მატერიალიზაცია, ოქრო, რეალურ საქონელს უპირისპირდება ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც წარმოდგენაში არსებული საზომი ღირებულებისა, — მიუხედავად ამისა საცვლელი ღირებულების მყოფობა ფასის სახით, ანუ ოქროს მყოფობა ღირებულების საზომის სახით, უკვე შეიცავს წკრიალა ოქროზე საქონლის გასხვისების აუცილებლობას, მისი გაუსხვისებლობის შესაძლებლობასაც;

მოკლედ, იგი ფარულად შეიცავს მთელ იმ წინააღმდეგობას, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ პროდუქტი საქონელია, ანუ რომ კერძო ინდივიდის განსაკუთრებული შრომა, რათა მას საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიეცეს, უნდა გამოიხატოს თავისი უშუალო დაპირისპირების სახით, როგორც აბსტრაქტულად-საყოველთაო შრომა. ამიტომ უტოპისტები, რომელთაც საქონელი სურთ შეინარჩუნონ, მაგრამ ფული — არა, კერძო გაცვლაზე დამყარებული წარმოება სურთ შეინარჩუნონ, მაგრამ ამ წარმოების აუცილებელი პირობები — არა, თანმიმდევრობას იჩენენ, როდესაც ფულს «სპობენ» არა მარტო მის გრძნობადს ფორმაში, არამედ უკვე მის გაზისებურ და მოჩვენებითს ფორმაში, როგორც ღირებულებათა საზომს. ღირებულებათა უხილავ საზომში რეალური ფული იმალება.

რაკი ნაგულისხმევია პროცესი, რომლის საშუალებითაც ოქრო გახდა ღირებულებათა საზომი, ხოლო საცვლელი ღირებულება — ფასი, მაშინ ყველა საქონელი თავიანთი ფასების მხრივ მხოლოდ იდეაში წარმოდგენილ ოქროს სხვადასხვა სიდიდის რაოდენობაა. როგორც ერთი და იმავე ნივთის, ოქროს, ასეთი სხვადასხვა რაოდენობანი, საქონელნი შეეთანატოლებიან, შეედარებიან და გაზომავენ ერთმანეთს; ასე ვითარდება ტექნიკური აუცილებლობა მათი მიმართებისა განსაზღვრული რაოდენობის ოქროსადმი როგორც საზომ ერთეულისადმი; ეს საზომი ერთეული თანდათან მასშტაბად ვითარდება იმის გამო, რომ იგი თანატოლ ნაწილებად იყოფა და ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, კვლავ თანატოლ ნაწილებად იყოფიან[1].

---

[1] ის უცნაურობა, რომ ინგლისში უნცი ოქრო, როგორც ფულის საზომი ერთეული, არაა თანატოლ ნაწილებად დაყოფილი, შემდეგნაირად აიხსნება: «ჩვენი მონეტური სისტემა თავდაპირველად შეგუებული იყო მარტო ვერცხლის ხმარებასთან, ამიტომ ერთი უნცი ვერცხლი ყოველთვის შეიძლება დაიყოს გარკვეული რაოდენობის ტოლფასოვან მონეტებად; მაგრამ, რადგან მონეტურ სისტემაში, რომელიც მხოლოდ ვერცხლთან იყო შეგუებული, ოქრო უფრო გვიან იქნა შემოღებული, ერთი უნცი ოქრო არ შეიძლება

მაგრამ ოქროს რაოდენობა, როგორც ასეთი, წონის საშუალებით გაიზომება. მაშასადამე, მასშტაბი უკვე მზა სახითაა მოცემული ლითონთა წონის საზოგადო საზომებში; ამიტომ წონის ეს საზომები ყველა ლითონურ მიმოქცევაში თავდაპირველად ფასების მასშტაბადაც იხმარება. იმის გამო, რომ საქონელნი ერთიმეორისადმი მიმართებაში არიან უკვე არა როგორც სამუშაო დროით გასაზომი საცვლელი ღირებულებანი, არამედ როგორც ერთსახელწოდებიანი, ოქროთი გაზომილი სიდიდენი, ამიტომ ოქრო ღირებულებათა საზომიდან ფასების მასშტაბად იქცევა. ამრიგად, საქონელთა ფასების, როგორც ოქროს სხვადასხვა რაოდენობათა ერთმანეთთან შედარება, კრისტალდება ნიშნების სახით, რომელნიც აზრით წარმოდგენილ ოქროს რაოდენობას შეესაბამებიან და ამ უკანასკნელს გამოხატავენ როგორც თანატოლ ნაწილებად დაყოფილ მასშტაბს. ოქროს, როგორც ღირებულებათა საზომს და როგორც ფასების მასშტაბს, სრულიად სხვადასხვა ფორმაგანსაზღვრულობა აქვს, და ერთის არევამ მეორეში უაღრესად უაზრო თეორიები წარმოშვა. ოქრო ღირებულებათა საზომია როგორც გასაგნობრივებული სამუშაო დრო, ფასების მასშტაბია იგი როგორც ლითონის განსაზღვრული წონა. ოქრო ღირებულებათა საზომი ხდება იმით, რომ იგი როგორც საცვლელი ღირებულება მიმართებას ღებულობს საქონლისადმი როგორც საცვლელი ღირებულებისადმი; ფასების მასშტაბის სახით კი ოქროს განსაზღვრული რაოდენობა ერთეულს წარმოადგენს ოქროს სხვა რაოდენობათათვის. ოქრო ღირებულების საზომი იმიტომაა, რომ მისი ღირებულება ცვალებადია, ფასების მასშტაბი კი იმიტომაა, რომ იგი ფიქსირებულია როგორც უცვლელი წონითი ერთეული. აქ, ისევე როგორც ყველა ერთსახელწოდებიან სიდიდეთა ზომის განსაზღვრისას, ზომის თანაფარდობათა სიმყარე და განსაზღვრულობა გადამწყვეტი

დაიყოს მონეტების ტოლფასოვან რაოდენობად» (Maclaren: «Histroj of the currency», London 1858, გვ. 16).

მომენტია. იმ გარემოებამ, რომ აუცილებელია ოქროს განსაზღვრული რაოდენობა დაწესებულ იქნას საზომ ერთეულად, ხოლო ნაწილები, რომლებადაც ის იყოფა — ამ ერთეულის ქვენაწილებად, წარმოშვა წარმოდგენა, თითქოს ოქროს განსაზღვრული რაოდენობა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ცვალებადი ღირებულება აქვს, ჩაყენებულია მყარ ღირებულებითს შეფარდებაში საქონელთა საცვლელ ღირებულებასთან; ამასთან მხედველობიდან უშვებენ იმას, რომ საქონლის საცვლელი ღირებულება გადაქცეულია ფასად, ე. ი. ოქროს რაოდენობად, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ოქრო ფასების მასშტაბად განვითარდებოდეს. როგორც უნდა იცვლებოდეს ოქროს ღირებულება, ოქროს სხვადასხვა რაოდენობა ერთიმეორის მიმართ ყოველთვის ერთსა და იმავე ღირებულებითს შეფარდებას გამოხატავს. ოქროს ღირებულება რომ 1000 პროცენტით შემცირდეს, მაშინაც კი 12 უნც ოქროს უწინდებურად 12-ჯერ მეტი ღირებულება ექნება, ვიდრე ერთ უნც ოქროს, ხოლო ფასებში ხომ საქმე შეეხება მხოლოდ ოქროს სხვადასხვა რაოდენობის შეფარდებას ერთიმეორესთან. რადგან, მეორე მხრივ, ერთი უნცი ოქროს წონა სრულიადაც არ იცვლება მისი ღირებულების დაცემასა თუ აწევასთან ერთად, ამიტომ ასევე არ იცვლება მისი ჯერადი ნაწილების წონაც, და, ამრიგად, ოქრო, როგორც ფასების მტკიცე მასშტაბი, ყოველთვის ერთსა და იმავე სამსახურს ასრულებს, რანაირადაც უნდა იცვლებოდეს მისი ღირებულება [1].

---

1 «ფული შეიძლება მუდამ იცვლებოდეს თავის ღირებულებაში და, მიუხედავად ამისა, იგი ღირებულების ისეთივე კარგი საზომი იყოს, როგორც მაშინ, იგი რომ სრულიად უცვლელი დარჩენილიყო. ვიგულისხმოთ, მაგალითად, რომ ფულის ღირებულებამ დაიკლო... დაკლებამდე ერთი გინეა ყიდულობდა 3 ბუშელ ხორბალს, ანუ 6 დღის შრომას; დაკლების შემდეგ იგი მხოლოდ 2 ბუშელ ხორბალს, ანუ 4 დღის შრომას იყიდის. ორსავე შემთხვევაში, თუკი მოცემულია ხორბლისა და შრომის შეფარდება ფულთან, შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას მათი ურთიერთშეფარდება; სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ერთი ბუშელი

ისტორიული პროცესი, რომელსაც ჩვენ შემდეგში ლითონური მიმოქცევის ბუნებიდან ავხსნით, იწვევდა იმას, რომ ერთი და იგივე წონითი სახელწოდება შენარჩუნებული იყო ძვირფას ლითონთა მუდამ ცვალებადი და კლებადი წონისათვის, როდესაც ეს ლითონები ფასების მასშტაბის სახით თავიანთ ფუნქციას ასრულებდნენ. ასე, მაგალითად, ინგლისური გირვანქა თავისი თავდაპირველი წონის ერთ მესამედზე ნაკლებს ნიშნავს, შოტლანდური გირვანქა ინგლისთან შოტლანდიის გაერთიანების წინახანებში მხოლოდ $^1/_{36}$-ს, ფრანგული ლივრი — $^1/_{74}$-ს, ესპანური maravedi — $^1/_{1000}$-ზე ნაკლებს, პორტუგალური re—კიდევ უფრო ნაკლებ ნაწილს. ასე ხდებოდა ისტორიულად ლითონთა წონითი ნაწილების სახელწოდებათა გამოყოფა მათი საერთო წონითი სახელწოდებებისაგან [1]. რადგან საზომი ერთეულის, მისი ჯერადი ნაწილებისა და ამ ნაწილების სახელწოდებათა განსაზღვრა, ერთი მხრივ, წმინდა პირობითია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ განსაზღვრას საყოველთაობისა და აუცილებლობის ხასიათი უნდა ჰქონდეს მიმოქცევის ფარგლებში, ამიტომ იგი დადგენილი უნდა ყოფილიყო კანონმდებლობითი გზით. მაშასადამე, ეს წმინდა ფორმალური ოპერაცია წილად ხვდა მთავრობებს [2]. განსაზღვრული ლითონი, რომელიც

ხორბალი 2 დღის შრომა ღირს. ეს არის ყველაფერი, რასაც ღირებულების გაზომვა გულისხმობს, და ამის გაკეთება ისევე ადვილია ღირებულების დაკლების შემდეგ, როგორც მის დაკლებამდე. რაიმე ნივთის, როგორც ღირებულების საზომის, ვარგისობა სრულიად არაა დამოკიდებული მისი საკუთარი ღირებულების ცვლილებებზე (გვ. 11, Bailey: «Money and its vicissitudes», London 1837).

[1] «ის მონეტები, რომელთა სახელწოდება დღეს მხოლოდ იდეალურია, სინამდვილეში ყოველი ერის უძველესი მონეტებია და ყველას ჰქონდა ოდესღაც რეალური მნიშვნელობა» (უკანასკნელი ამ ფართო მოცულობით სწორი არ არის), «და რადგან მათ რეალური მნიშვნელობა ჰქონდათ, ამიტომ ისინი საანგარიშო ფულის როლს ასრულებდნენ. Galiani, Della Moneta, I, c., გვ. 153.

[2] რომანტიკოსი ა. მიულერი ამბობს: «ჩვენი წარმოდგენით, ყოველ დამოუკიდებელ ხელმწიფეს აქვს უფლება განსაზღვრული ლითონი ფულად დააწესოს, განსაზღროს მისი საზოგადოებრივი ნომინალური ღირებულება,

ფულადი მასალის როლს ასრულებდა, მოცემული იყო საზოგადოებრივი პირობების მიერ. სხვადასხვა ქვეყანაში ფასების კანონიერი მასშტაბი, რასაკვირველია, სხვადასხვაა. ინგლისში, მაგალითად, უნცი, როგორც ლითონის წონითი ერთეული, დანაწილებულია pennyweights-ად, grains-ად და carats

---

კატეგორია, თანრიგი და სახელწოდება» (გვ. 276, Band II. A. H. Müller: «Die Elemente der Staatskunst», Berlin 1809). რაც შეეხება სახელწოდებას, ბ-ნი სახელმწიფო მრჩეველი მართალია; მას მხოლოდ შინაარსი ავიწყდება. თუ როგორ არეულ-დარეული იყო მისი «წარმოდგენანი», ეს ჩანს, მაგალითად, შემდეგი ადგილიდან: «ყოველი ადამიანისათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მონეტის ფასის სისწორით განსაზღვრას, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, სადაც მთავრობა დიდი ხელგაშლილობით ფულს უსასყიდლოდ ჰრის (ეტყობა, ბ-ნ მიულერს ჰგონია, ინგლისის მთავრობის მოხელენი ფულის მოჭრის ხარჯებს საკუთარი ჯიბიდან ფარავენ), სადაც იგი ფულის მოჭრის საფასურს არ იღებს და სხვ.; მაშასადამე, მთავრობამ რომ საბაზრო ფასზე თვალსაჩინოდ მაღლა აწიოს ოქროს მონეტური ფასი, მან რომ ერთი უნცი ოქროს მონეტურ ფასად, ახლანდელი 3 გირვანქისა 17 შილინგისა და $10\frac{1}{2}$ პენსის ნაცვლად, 3 გირვანქა და 19 შილინგი დააწესოს, მაშინ მთელი ფული ზარაფხანისკენ დენას დაიწყებდა, იქ მიღებული ვერცხლი ბაზარზე უფრო იაფ ოქროში გაიცვლებოდა, და ამ წესით ოქრო ხელახლა ზარაფხანაში მიიტანებოდა და სამონეტო საქმეში არევ-დარევა მოხდებოდა» (გვ. 280, 281 l. c.). რათა ინგლისის ზარაფხანაში წესრიგი შეენარჩუნებინა, მიულერმა თვითონ შეუქმნა თავის თავს «არევ-დარევა». მაშინ როდესაც შილინგი და პენსი მხოლოდ სახელწოდებანია, ვერცხლისა და სპილენძის ნიშნებით წარმოდგენილი სახელწოდებანი ერთი უნცი ოქროს განსაზღვრული ნაწილებისა, მიულერს წარმოუდგენია, ერთი უნცი ოქრო ოქროთი, ვერცხლით და სპილენძით შეფასდებაო, და ასე აბედნიერებს ინგლისელებს სამმაგი «standard of value»-ით [«ღირებულების საზომით»]. მართალია, ვერცხლი, როგორც ოქროსთან ერთად ფულის საზომი, ფორმალურად გაუქმებულ იქნა მხოლოდ 1816 წელს გეორგ III-ის 56-ე კანონით, მუხ. 68. მაგრამ არსებითად იგი უკვე გაუქმებული იყო 1734 წელს გეორგ II-ის მე-14 კანონით, მუხ. 42, და კიდევ ბევრად უფრო ადრე — პრაქტიკით. ორი გარემოება იყო, რაც ა. მიულერს სპეციალურად პოლიტიკური ეკონომიის ეგრეთ წოდებული უმაღლესი გაგების უნარს ანიჭებდა. ეს იყო, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ იგი სრულიად არ იცნობდა ეკონომიურ ფაქტებს, მეორე მხრივ კი — ეს იყო მისი წმინდა დილეტანტური, ოცნებური დამოკიდებულება ფილოსოფიისადმი.

troy-ად, მაგრამ ერთი უნცი ოქრო, როგორც ფულის საზომი ერთეული, იყოფა $3^{7}/_{8}$ სოვერენად, სოვერენი — 20 შილინგად, შილინგი — 12 პენსად, ასე რომ 100 გირვანქა 22 კარატიანი ოქრო (1200 უნცი) = 4672 სოვერენს და 10 შილინგს. მაგრამ მსოფლიო ბაზარზე, სადაც ქვეყნების საზღვრები გამქრალია, გამქრალია ფულის საზომთა ეს ნაციონალური ხასიათიც, რომელიც ადგილს უთმობს ლითონთა წონის საყოველთაო საზომს.

მაშასადამე, საქონლის ფასი ანუ ოქროს რაოდენობა, რადაც საქონელი იდეურად გარდაიქმნება, ახლა ოქროს მასშტაბის ფულადი სახელწოდებით გამოისახება. ასე, მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ თქვან, კვარტერი ხორბალი ერთ უნც ოქროს უდრისო, ინგლისში ამბობენ, იგი 3 გირვანქა სტერლინგს 17 შილინგს და $10^{1}/_{2}$ პენსს უდრისო. ამრიგად, ყველა ფასი ერთნაირი სახელწოდებით აღინიშნება. ის თავისებური ფორმა, რომელსაც საქონელნი თავიანთ საცვლელ ღირებულებას აძლევენ, გარდაქმნილია ფულად სახელწოდებად, რომლითაც ერთმანეთს ამცნობენ, თუ რა ღირებულების არიან ისინი. ფული, თავის მხრივ, საანგარიშო ფულად იქცევა[1].

საქონლის გარდაქმნა საანგარიშო ფულად გონებაში, ქაღალდზე, მეტყველებაში ყოველთვის წარმოებს, როდესაც სიმდიდრის რომელიმე სახის შეფასება ხდება საცვლელი ღირებულების თვალსაზრისით[2]. ამ გარდაქმნისთვის საჭიროა ოქროს მასალა, მაგრამ — მხოლოდ წარმოსახული. იმისათვის, რომ 1000 შეკვრა ბამბის ღირებულება ოქროს უნცების გარკვეული რიცხვით შევაფასოთ, ხოლო შემდეგ თვით ამ უნცების

---

[1] «ანახარსისმა, რომელსაც ვიღაცამ ჰკითხა ელინელები ფულს რისთვის ხმარობენო, უპასუხა: ანგარიშისთვისო» (Athen., Deipn., I, IV, 49, v. 2, ed. Schweighäuser 1802).

[2] გ. გარნიეს, ადამ სმიტის ერთ-ერთ უძველეს ფრანგ მთარგმნელს, უცნაური აზრი დაებადა, — დაემყარებინა ზუსტი პროპორცია საანგარიშო ფულის ხმარებასა და რეალური ფულის ხმარებას შორის. ეს არის, მისი აზრით, პროპორცია 10-ისა 1-სადმი (Garnier, G.: «Histoire de la monnaie depuis les temps de la plus haute antiquité etc». t. I, გვ. 78).

რიცხვი გამოვხატოთ უნცის საანგარიშო სახელწოდებებით, ე. ი. გირვანქა სტერლინგებით, შილინგებითა და პენსებით, საჭირო არაა ნამდვილი ოქროს არც ერთი ატომი. ასე, მაგალითად, შოტლანდიაში სერ რობერტ პილის 1845 წლის საბანკო აქტის მიღებამდე არც ერთი უნცი ოქრო არ იყო მიმოქცევაში, თუმცა უნცი ოქრო, თანაც ინგლისური საანგარიშო მასშტაბის სახით 3 გირვანქა სტერლინგით 17 შილინგით და 10½ პენსით გამოსახული, ფასების კანონიერ საზომს შეადგენდა. ასევე ვერცხლი ფასების საზომია საქონელთა გაცვლის დროს ციმბირსა და ჩინეთს შორის, თუმცა ეს ვაჭრობა სინამდვილეში უბრალო გაცვლითი ვაჭრობაა. ამიტომაც ოქროსათვის — როგორც საანგარიშო ფულისთვის — სულ ერთია, ნამდვილად არის მონეტად მოჭრილი თვით მისი საზომი ერთეული ან ამ ერთეულის ნაწილები თუ არა. ინგლისში, ვილჰელმ დამპყრობლის დროს, გირვანქა სტერლინგი, რომელიც მაშინ გირვანქა წმინდა ვერცხლს წარმოადგენდა, და შილინგი, ე. ი. გირვანქის $^1/_{20}$ მხოლოდ საანგარიშო ფულის სახით არსებობდა, მაშინ როდესაც პენი, ე. ი. 1 გირვანქა ვერცხლის $^1/_{240}$, იმ დროს არსებული ვერცხლის მონეტებიდან ყველაზე დიდი მონეტა იყო. პირიქით, დღევანდელ ინგლისში არ არსებობს არც შილინგები, არც პენსები, თუმცა ისინი კანონიერი საანგარიშო სახელწოდებანია ერთი უნცი ოქროს განსაზღვრული ნაწილებისთვის. ფული საანგარიშო ფულის სახით საერთოდ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იდეაში, მაშინ როდესაც ნამდვილად არსებული ფული სულ სხვა მასშტაბის მიხედვითაა მოჭრილი. ასე, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის ბევრ ინგლისურ კოლონიაში ფული, რომელიც მიმოქცევაში იყო, მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე ესპანური და პორტუგალური მონეტებისგან შედგებოდა, მაშინ როდესაც მათი საანგარიშო ფული ყველგან იგივე იყო, რაც ინგლისში [1].

---

[1] მერილანდში 1723 წელს გამოცემული კანონი, რომელმაც თამბაქო კანონიერ მონეტად დააწესა, ხოლო მისი ღირებულება ინგლისურ ოქროს

რადგან ოქრო ფასების მასშტაბის სახით იმავე საანგარიშო სახელწოდებით გვევლინება, როგორითაც საქონლის ფასები, ასე, რომ, მაგალითად, ერთი უნცი ოქრო, ისევე როგორც ერთი ტონა რკინა, 3 გირვანქა სტერლინგით 17 შილინგით და 10½ პენსით გამოისახება, — ამიტომ ოქროს ამ სხვადასხვა საანგარიშო სახელწოდებას ოქროს მონეტური ფასი დაარქვეს. აქედან წარმოიშვა უცნაური წარმოდგენა, თითქოს ოქრო თავისივე საკუთარი მასალით შეფასდება და, განსხვავებით ყველა სხვა საქონლისაგან, სახელმწიფოსაგან ღებულობს მტკიცე ფასს. ოქროს განსაზღვრული წონითი რაოდენობისათვის განკუთვნილ საანგარიშო სახელწოდებათა ფიქსაციას ამ წონითი რაოდენობის ღირებულების ფიქსაციად ღებულობენ[1]. ოქროს იქ, სადაც იგი ფასის განსაზღვრის ელემენტს და, მაშასადამე, საანგარიშო ფულს წარმოადგენს, არათუ მტკიცე ფასი, არამედ საერთოდ არავითარი ფასი არა აქვს. იმისათვის, რომ ოქროს ფასი ჰქონდეს, ე. ი. იმისათვის, რომ მან საყოველთაო ეკვივალენტის სახით გამოსახულება ჰპოვოს რომელიმე სპეციფიკურ საქონელში, საჭიროა ეს მეორე საქონელი ისეთსავე განსაკუთრებულ როლს ასრულებდეს მიმოქცევის პროცესში, როგორსაც ოქრო ასრულებს. მაგრამ ყველა სხვა საქონლის გამომრიცხველი ორი საქონელი ურთიერთ

ფულს გაუთანატოლა, სახელდობრ, ერთი პენი გირვანქა თამბაქოსთვის, მოგვაგონებს leges barbarorum-ს, სადაც, პირიქით, განსაზღვრული ფულადი თანხები გათანატოლებული იყო ხარებთან, ძროხებთან და ა. შ. ამ შემთხვევაში არც ოქრო და არც ვერცხლი, არამედ ხარი და ძროხა იყო საანგარიშო ფულის ნამდვილი მასალა.

[1] «ასე, ჩვენ ვკითხულობთ, მაგალითად, ბ-ნ დავიდ ურკარტის «Familiar words»-ში: «ოქროს ღირებულება თვით ოქროთი უნდა იზომებოდეს; მაგრამ როგორ შეიძლება რომელიმე ნივთიერება იყოს თავისი საკუთარი ღირებულების საზომი სხვა ნივთებში? ოქროს ღირებულება დაწესებულ უნდა იქნას მისი საკუთარი წონის მიხედვით, რომელსაც ამასთან გაყალბებული სახელწოდება ეძლევა, და, ამრიგად, გამოდის, რომ ერთი უნცი ოქრო ამდენი და ამდენი გირვანქისა და გირვანქის ნაწილების ღირებულებისაა. მაგრამ ეს არის ზომის ფალსიფიკაცია და არა საზომის დაწესება.

გამომრიცხველია. ამიტომ იქ, სადაც ვერცხლი და ოქრო ერთიმეორის გვერდით არსებობს როგორც კანონიერი ფული, ე. ი. როგორც ღირებულების საზომი, მუდამ ადგილი ჰქონდა უნაყოფო ცდას განეხილათ ისინი ერთსა და იმავე მატერიად. ვარაუდი იმისა, რომ ერთი და იგივე სამუშაო დრო უცვლელად საგნობრივდება ერთსა და იმავე პროპორციაში მყოფ ვერცხლსა და ოქროში, სინამდვილეში ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ ვერცხლი და ოქრო ერთი და იგივე მატერიაა და რომ ვერცხლი, ეს ნაკლებ ძვირფასი ლითონი, ოქროს უცვლელი წილადი ნაწილია. ედუარდ III მეფობიდან დაწყებული გეორგ II დრომდე ინგლისური ფულის მიმოქცევის ისტორია წარმოადგენს იმ დარღვევათა განუწყვეტელ მწკრივს, რომელთაც იწვევდა კოლიზია ოქროსა და ვერცხლის ღირებულების კანონით დაწესებულ თანაფარდობასა და მათი ღირებულების ნამდვილ რყევათა შორის. ხან ოქრო იყო მეტად შეფასებული და ხან ვერცხლი. ძალიან დაბლა შეფასებული ლითონი ამოიღებოდა მიმოქცევიდან, გადაიდნობოდა და უცხოეთში იგზავნებოდა. მაშინ ორივე ლითონის ღირებულების შეფარდება ხელახლა იცვლებოდა კანონმდებლობითი გზით, მაგრამ სულ მალე ახალ ნომინალურ ღირებულებასა და ღირებულებათა ნამდვილ თანაფარდობას შორის წამოიჭრებოდა ხოლმე იგივე კონფლიქტი, რაც ძველი ნომინალური ღირებულების დროს. ჩვენს დროშიც ოქროს ღირებულების ძალიან სუსტმა და წარმავალმა დაცემამ ვერცხლთან შედარებით, რაც შედეგი იყო ვერცხლის გაძლიერებული მოთხოვნისა ინდოეთსა და ჩინეთში, გამოიწვია უფრო ფართო მასშტაბით იგივე მოვლენა საფრანგეთში, სახელდობრ, ვერცხლის გაზიდვა და ოქროს მიერ მისი განდევნა მიმოქცევიდან. 1855, 1856, 1857 წლების განმავლობაში საფრანგეთში შეტანილმა ოქრომ იქიდან გატანილ ოქროს 41 580 000 გირვანქა სტერლინგით გადააჭარბა, მაშინ როდესაც გატანილმა ვერცხლმა შემოტანილს 14 704 000 გირვანქა სტერლინგით გადააჭარბა. მართლაც, ისეთ ქვეყნებში, როგორც საფრანგეთია, სადაც ორივე

ლითონი კანონით ღირებულების საზომს წარმოადგენს და ორივეს მიღება სავალდებულოა გადახდის დროს, — თანაც ყველას შეუძლია თავისი სურვილისამებრ ან ვერცხლით ან ოქროთი გადაიხადოს, — იმ ლითონს, რომლის ღირებულებაც მაღლა იწევს, აქვს აჟიო და, ყველა სხვა საქონლის მსგავსად, თავის ფასს ზომავს ძალიან მაღლა შეფასებული ლითონით, მაშინ როდესაც ღირებულების საზომს წარმოადგენს მხოლოდ ეს უკანასკნელი ლითონი. მთელი ისტორიული გამოცდილება ამ დარგში უბრალოდ იმის მაჩვენებელია, რომ იქ, სადაც ღირებულების საზომის ფუნქციას კანონით ორი საქონელი ასრულებს, ფაქტიურად ამ როლს ყოველთვის მხოლოდ ერთი მათგანი ინარჩუნებს[1].

ფულის საზომი ერთეულის თეორიები

იმ გარემოებამ, რომ საქონელნი ფასების სახით მხოლოდ იდეაში გარდაიქმნებიან ოქროდ, რომ ოქრო, მაშასადამე, მხოლოდ იდეაში გარდაიქმნება ფულად, გამოიწვია მოძღვრება ფულის იდეალური საზომი ერთეულის შესახებ. რადგან ფასის განსაზღვრისას ოქრო და ვერცხლი მოქმედებს მხოლოდ როგორც წარმოდგენაში არსებული ოქრო და ვერცხლი, მხოლოდ როგორც საანგარიშო ფული, ამიტომ ამტკიცებდნენ, სახელწოდებანი: გირვანქა სტერლინგი, შილინგი, პენსი, ტალერი, ფრანკი და სხვ. ოქროს ან ვერცხლის წონის ნაწილებს ანდა ამა თუ იმ სახით გასაგნობრივებულ შრომას კი არა, არამედ, პირიქით, ღირებულების წარმოსახვითს ატომებს აღნიშნავენო. მაშასადამე, თუ, მაგალითად, ერთი უნცი ვერცხლის ღირებულება აიწევს, იგი მეტ ასეთ ატომებს შეიცავს და ამიტომ მისი გაანგარიშება და მონეტებად

[1] «ფული როგორც საზომი, რომელიც ვაჭრობაში გამოიყენება, ყოველი სხვა საზომის მსგავსად, რაც შეიძლება, მყარი უნდა იყოს. მაგრამ ეს შეუძლებელია იქ, სადაც ფული ორი ლითონისაგან შედგება, რომელთა ღირებულებითი შეფარდება მუდამ იცვლება» (John Locke: «Some considerations on the lowering of interest etc.», 1691; გვ. 65 მის Works-ში, 7 ed., London 1768, vol III).

მოჭრა მეტი რაოდენობის შილინგებით უნდა მოხდეს. ეს დოქტრინა, რომელმაც ხელახლა იჩინა თავი ინგლისში ვაჭრობის უკანასკნელი კრიზისის დროს და რომელიც პარლამენტშიც კი იყო წარდგენილი საბანკო საქმეთა კომიტეტის ანგარიშისადმი დართული ორი განსაკუთრებული მოხსენების სახით, კომიტეტისა, რომლის სხდომებიც 1858 წელს ჩატარდა, — მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში წარმოიშვა. ვილჰელმ III გამეფების დროს ერთი უნცი ვერცხლის მონეტური ფასი ინგლისში შეადგენდა 5 შ. და 2 პ., ანუ ერთი უნცი ვერცხლის $^{1}/_{62}$-ს ეწოდებოდა პენი, ხოლო 12 ასეთ პენსს — შილინგი. ამ მასშტაბის შესაბამისად, მაგალითად, 6 უნცი წონის ვერცხლი 31 ცალ, შილინგად წოდებულ, მონეტად მოიჭრებოდა. მაგრამ ერთი უნცი ვერცხლის საბაზრო ფასმა მის მონეტურ ფასზე მაღლა აიწია. 5 შილინგი და 2 პენსიდან 6 შილინგ და 3 პენსამდე, ანუ ერთ გირვანქა ვერცხლში ზოდის სახით 6 შილინგი და 3 პენსი უნდა მიეცათ მონეტის სახით. როგორ შეიძლება ერთი უნცი ვერცხლის საბაზრო ფასი მის მონეტურ ფასზე მაღლა აწეულიყო, თუ მონეტური ფასი მარტოოდენ საანგარიშო სახელწოდებაა ერთი უნცი ვერცხლის ჯერადი ნაწილებისათვის? ამ გამოცანის ამოხსნა ადვილი იყო. 5 600 000 გირვ. სტერლ. ვერცხლის ფულიდან, რომელიც მაშინ მიმოქცევაში იმყოფებოდა, 4 მილიონი გადახეხილი, გვერდებჩამოჭრილი და დაპატარავებული იყო. ერთი გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ 57 000 გირვ. სტერლ. ვერცხლის ფული, რომლის წონა 220 000 უნცი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ 141 000 უნცს იწონიდა. ზარაფხანა მუდამ წინანდელი მასშტაბის მიხედვით ჭრიდა მონეტებს, მაგრამ ნამდვილად მიმოქცევაში მყოფი მცირეწონიანი შილინგები უნცის უფრო პატარა ჯერად ნაწილებს გამოხატავდა, ვიდრე მათი სახელწოდება აღნიშნავდა. მაშასადამე, ამ წონადაკლებული შილინგების უფრო დიდი რაოდენობა უნდა ყოფილიყო ბაზარზე გადახდილი ერთ უნც ოქროში ზრდის სახით. როდესაც ამ წესით წარმომდგარი არევ-დარევის გამო მონეტების სა-

ერთო ხელახლა მოჭრა გადაწყდა, ხაზინის მდივანი (secretary to the treasury) ლაუნდსი ამტკიცებდა, უნცი ვერცხლის ღირებულებამ აიწია და ამიტომ ამიერიდან ერთი უნციდან 6 შილინგის და 3 პენსის მონეტა უნდა მოიჭრას, ნაცვლად 5 შილინგი და 2 პენსისა, როგორც აქამდე იყო. მაშასადამე, სინამდვილეში იგი ამტკიცებდა, რადგან უნცის ღირებულებამ აიწია, ამიტომ მისი ჯერადი ნაწილების ღირებულებამ დაიწიაო. მაგრამ მისი მცდარი თეორია მხოლოდ შეფერადება იყო სწორი პრაქტიკული მიზნისათვის. სახელმწიფო ვალი შილინგებით იყო აღებული, და განა იგი სრულწონიანი შილინგებით უნდა გადაეხადათ? ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: გადაუხადეთ 4 უნცი ვერცხლი იქ, სადაც თქვენ ნომინალურად 5 უნცი ვერცხლი მიიღეთ, სინამდვილეში კი — 4 უნციო, იგი ამბობდა, პირიქით: გადაუხადეთ ნომინალურად 5 უნცი, მაგრამ დაიყვანეთ მისი ლითონური შედგენილობა 4 უნცზე და უწოდეთ შილინგი მას, რასაც დღემდე $^4/_5$ შილინგს უწოდებდითო. მაშასადამე, ლაუნდსი ფაქტიურად ლითონურ შედგენილობას ეყრდნობოდა, მაშინ როდესაც თეორიაში საანგარიშო სახელწოდებას იცავდა. მისი მოწინააღმდეგენი კი, რომელნიც მხოლოდ საანგარიშო სახელწოდებას ეყრდნობოდნენ და ამიტომ 25—30%-ით წონადაკარგულ შილინგს სრულწონიანი შილინგის ტოლფასოვანად აცხადებდნენ, ამტკიცებდნენ, რომ ყურადღებას მხოლოდ ლითონურ შედგენილობას აქცევდნენ.

ჯონ ლოკმა, რომელიც წარმომადგენელი იყო ყველა სახის ბურჟუაზიისა: მრეწველებისა — მუშათა კლასის და პაუპერების წინააღმდეგ, კომერსანტებისა — ძველი ჯურის მევახშეების წინააღმდეგ, ფინანსური არისტოკრატებისა — სახელმწიფოს მოვალეების წინააღმდეგ, და რომელიც ერთ სპეციალურ ნაწარმოებში იმასაც კი ამტკიცებდა, ბურჟუაზიული გონება ადამიანის ნორმალურ გონებას წარმოადგენსო, — გაილაშქრა აგრეთვე ლაუნდსის წინააღმდეგ. ჯონ ლოკმა გაიმარჯვა და ფული, სესხად აღებული გინეებით, რომელნიც 10 თუ 14 შილინგს შეიცავდნენ, მევალეებს 20

შილინგიანი გინეებით გადაუხადეს[1]. სერ ჯემს სტიუარტი ირონიულად მთელ ოპერაციას ასე გამოხატავს: «მთავრობამ მნიშვნელოვნად მოიგო გადასახადებზე, მევალეებმა — კაპიტალ-

---

[1] ლოკი ამბობს სხვათა შორის: «კრონა უწოდეთ იმას, რასაც უწინ ნახევარი კრონა ეწოდებოდა. მისი ღირებულება უწინდებურად ლითონური შედგენილობით იქნება განსაზღვრული. თქვენ რომ ვერცხლის მონეტისთვის წონის $^1/_{20}$-ის მოკლება შეგეძლოთ მისი ღირებულების შეუმცირებლად, მაშინ ასევე კარგად შეძლებდით მისთვის ვერცხლის წონის $^{19}/_{20}$-ის მოკლებასაც. ამ თეორიის მიხედვით, ერთმა ფარტინგმა, თუ იგი კრონად იქნება წოდებული, იმდენი სანელებელი, აბრეშუმი ან სხვა საქონელი უნდა იყიდოს, რამდენსაც იყიდის კრონა, რომელიც სამოცჯერ მეტ ვერცხლს შეიცავს. ყველაფერი, რის გაკეთებაც თქვენ შეგიძლიათ, ეს არის ნაკლები რაოდენობის ვერცხლისთვის უფრო დიდი რაოდენობის მაჩვენებელი შტემპელისა და სახელწოდების მიცემა. მაგრამ ის, რაც ვალს ისტუმრებს და საქონელს ყიდულობს, ვერცხლია და არა სახელწოდება. თუ ფულის ღირებულების გადიდება თქვენთვის მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ვერცხლის ნაჭრის ჯერად ნაწილებს ნებისმიერი სახელწოდებანი მივცეთ, მაგალითად, უნცი ვერცხლის ერთ მერვედს პენი ვუწოდოთ, მაშინ თქვენ მართლა შეგიძლიათ ფული ისე მაღლა შეაფასოთ, როგორც მოგესურვებათ». ამავე დროს ლოკი უპასუხებდა ლაუნდსს, საბაზრო ფასის აწევა მონეტურ ფასზე მაღლა წარმოდგება «არა ვერცხლის ღირებულების აწევიდან, არამედ ვერცხლის მონეტების წონის შემცირებიდანო». გვერდებჩამოჭრილი და დაპატარავებული 77 შილინგი 62 სრულწონიან შილინგზე ერთი მისხლით მეტს არ იწონისო. დასასრულ, იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მიმოქცევაში მყოფი მონეტების ვერცხლდაკლებისაგან დამოუკიდებლად, ვერცხლის ზოდის საბაზრო ფასმა ინგლისში შეიძლება რამდენადმე მონეტურ ფასზე მაღლა აიწიოს, რადგან ვერცხლის ზოდის გატანა ნებადართულია, ხოლო ვერცხლის მონეტების გატანა აკრძალულიაო (იხ. l. c., გვ. 54 — 116 passim). ლოკი მეტად ერიდებოდა შეხებოდა სახელმწიფო ვალების მწვავე საკითხს, აგრეთვე ფრთხილად გვერდს უვლიდა ერთ საჩოთირო ეკონომიურ საკითხს. ეს იყო შემდეგი საკითხი: სათამასუქო კურსი, ისევე როგორც ღირებულების შეფარდება ვერცხლის ზოდსა და ვერცხლის მონეტას შორის, ცხადყოფდა, რომ მიმოქცევაში მყოფი ფული სულაც არ იყო მის ნამდვილ ვერცხლდაკლებასთან შეფარდებით გაუფასურებული. ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკითხს ზოგადი ფორმით იმ განყოფილებაში, სადაც განხილულია მიმოქცევის საშუალებანი. ნიკოლოზ ბარბონი თავის ნაწარმოებში «A discourse concerning coining the new money lighter, in answer to Mr. Locke's considerations» etc, Lnndon 1696, ამაოდ ცდილობდა გაეტყუებინა ლოკი ამ ძნელი საკითხის სფეროში.

სა და პროცენტებზე, ხალხი კი — ერთადერთი მოტყუებული — გახარებული იყო, რადგან მისი standard-ი [მისი საკუთარი ღირებულების მასშტაბი] არ შემცირებულა» [1]. სტიუარტი ფიქრობდა, ვაჭრობის შემდგომ განვითარებასთან ერთად ხალხი უფრო გამჭრიახი გახდებაო. იგი შეცდა. დაახლოებით 120 წლის შემდეგ იგივე qui pro quo [2] განმეორდა.

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ეპისკოპოსმა ბერკლიმ, მისტიკური იდეალიზმის წარმომადგენელმა ინგლისურ ფილოსოფიაში, მოძღვრებას ფულის იდეალური საზომი ერთეულის შესახებ თეორიული ხასიათი მისცა, რაც ხაზინის პრაქტიკოს მდივანს («secretary to the treasury») გამორჩა. იგი კითხულობს: «განა სახელწოდებანი: ლივრი, გირვანქა სტერლინგი, კრონა და სხვ. არ უნდა განვიხილოთ როგორც უბრალო სახელწოდებანი შეფარდებისა (სახელდობრ, აბსტრაქტული ღირებულების, როგორც ასეთის, შეფარდებისა)? განა ოქრო, ვერცხლი ან ქაღალდის ფული არ წარმოადგენს უბრალო ბილეთს ანუ ნიშანს მის (ღირებულებითი შეფარდების) საანგარიშებლად, ჩასაწერად და საკონტროლოდ? განა ძალა, რომელიც სხვების სამრეწველო საქმიანობას (საზოგადოებრივ შრომას) მბრძანებლობს, სიმდიდრე არ არის? და განა ფული ნამდვილად სხვა რამეს წარმოადგენს, თუ არა მარკას, ანუ ნიშანს ასეთი ძალის გადასაცემად ან სარეგისტრაციოდ, და განა ასე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რისგან შედგება ეს მარკები?» [3]. აქ ადგილი აქვს, ერთი მხრივ, ღირებულებათა საზომისა და ფასების

---

[1] Steuart, l. c., t. II, გვ. 154.

[2] — გაუგებრობა. რედ.

[3] «The Querist», l. c თუმცა «Queries on money» მახვილგონიერადაა დაწერილი. ბერკლი, სხვათა შორის, სამართლიანად შენიშნავს, რომ სწორედ ჩრდილო ამერიკის კოლონიების განვითარებამ «დღესავით ნათელჰყო, რომ ოქრო და ვერცხლი არც ისე აუცილებელია ერის სიმდიდრისათვის, როგორც ეს ყველა წოდების პროფანებს წარმოუდგენიათ» («make it plain as day light that gold and silver are not so necessary for the wealth of a nation, as the vulgar of all ranks imagine»).

მასშტაბის არევას, მეორე მხრივ კი, ოქრო-ვერცხლის, როგორც ღირებულების საზომისა და ოქრო-ვერცხლის, როგორც მიმოქცევის საშუალების, არევას. რადგან ძვირფასი ლითონები მიმოქცევის პროცესში შეიძლება ნიშნებით იქნან შენაცვლებული, ამიტომ ბერკლი დაასკვნის, რომ ეს ნიშნები თავის მხრივ არაფერს წარმოადგენენ, ე. ი. ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ღირებულების აბსტრაქტულ ცნებას.

მოძღვრება ფულის იდეალური საზომის შესახებ ისეთი სისრულით აქვს განვითარებული სერ ჯემს სტიუარტს, რომ მის მიმდევრებს, — შეუგნებლად მიმდევრებს, ვინაიდან ისინი მას არ იცნობდნენ — ახალი არაფერი მოეპოვებათ არც გამოთქმის წესის მხრივ, არც მაგალითის დასახელების მხრივ. «საანგარიშო ფული,—ამბობს იგი,— სხვა არაფერია, თუ არა თანატოლი ნაწილების შემცველი ნებისმიერი მასშტაბი, რომელიც გასაყიდ ნივთთა შეფარდებითი ღირებულების გასაზომადაა გამოგონილი. საანგარიშო ფული სრულიად განსხვავდება მონეტური ფულისგან (money coin), რომელიც ფასს წარმოადგენს[1]; მას შეეძლო იმ შემთხვევაშიც კი ეარსებნა, თუ რომ ქვეყნად არ იარსებებდა არც ერთი სუბსტანცია, რომელიც შეიძლებოდა პროპორციული ეკვივალენტი ყოფილიყო ყველა საქონლისათვის. საანგარიშო ფული ისეთსავე სამსახურს ასრულებს ნივთთა ღირებულებისთვის, როგორსაც გრადუსი, წუთი, წამი და სხვ. ასრულებენ კუთხისთვის ანდა მასშტაბი — გეოგრაფიული რუკებისათვის და ა. შ. ყველა ამ გამოგონებაში ყოველთვის ერთი და იგივე სახელწოდებაა ერთეულად მიღებული. როგორც ყველა ამგვარი დადგენა-დაწესების სარგებლიანობა იმითაა შემოსაზღვრული, რომ ისინი მხოლოდ პროპორციას გვიჩვენებენ, სწორედ ასეთივეა ფულადი ერთეულის სარგებლიანობაც. ამიტომ ფულადი ერთეული არ შეიძლება იყოს განსაზღვრულ უცვლელ პროპორციაში ღირებულების რომელიმე ნაწილთან, ე. ი. არ შეიძ-

---

[1] ფასი აქ რეალურ ეკვივალენტს ნიშნავს, როგორც მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისელ ეკონომისტ მწერალთა ნაწერებში.

ლება განუყრელად დაკავშირებული იყოს ოქროს, ვერცხლის ან სხვა რომელიმე საქონლის ამა თუ იმ განსაზღვრულ რაოდენობასთან. მაგრამ თუკი ეს ერთხელვე მოცემულია, ჩვენ შეგვიძლია გამრავლების გზით უმაღლეს ღირებულებამდე ავიდეთ. რადგან საქონელთა ღირებულება დამოკიდებულია მათზე მოქმედ გარემოებათა მთელ ერთობლიობაზე და ადამიანთა კაპრიზზე, ამიტომ საქონელთა ღირებულების ცვლილებანი მხოლოდ მათ ურთიერთმიმართებაში უნდა განიხილებოდეს. ყოველივე ის, რაც არღვევს და აბნევს პროპორციის ცვლილების ზუსტ განსაზღვრას საყოველთაო, გარკვეული და უცვლელი მასშტაბის საშუალებით, — მავნე გავლენას უნდა ახდენდეს ვაჭრობაზე. ფული მხოლოდ იდეალური მასშტაბია, რომელიც თანატოლ ნაწილებს შეიცავს. თუ გვკითხავენ: ნაწილის ღირებულების საზომი ერთეული რაღა არისო, მე ამაზე ვუპასუხებ სხვა კითხვით: რა არის გრადუსის, წუთის, წამის ნორმალური სიდიდე? მათ არავითარი ნორმალური სიდიდე არა აქვთ, მაგრამ თუკი ერთი ნაწილი განსაზღვრულია, მაშინ, მოცემული მასშტაბის ბუნების შესაბამისად, ყველა დანარჩენი ნაწილი მას უნდა მიჰყვეს პროპორციულად. ამ იდეალური ფულის მაგალითს წარმოადგენს ამსტერდამის საბანკო ფული და ფული ანგოლაში, აფრიკის სანაპიროებზე»[1].

სტიუარტი იღებს პირდაპირ იმ ფორმას, რომლითაც ფული ვლინდება მიმოქცევაში როგორც ფასების მასშტაბი და როგორც საანგარიშო ფული. თუ ფასების პრეისკურანტში სხვადასხვა საქონლის ფასი აღნიშნულია 15 შილინგით, 20 შილინგით, 36 შილინგით, მაშინ, მართლაც, მათი ღირებულების სიდიდის შედარებისას მე სრულიად არ მაინტერესებს არც ვერცხლი, რომელსაც შილინგი შეიცავს, და არც ამ შილინგის სახელწოდება. რიცხვების შეფარდება 15 : 20 : 36 ახლა ჩვენ ყველაფერს გვეუბნება და რიცხვი 1 ერთადერთი საზომი ერთეული გახდა.

---

[1] Steuart, l. c, t II, გვ. 154, 299.

პროპორციის წმინდა აბსტრაქტული გამოსახულება საერთოდ თვით რიცხვთა აბსტრაქტული პროპორციაა მხოლოდ. რათა თანამიმდევრული ყოფილიყო, სტიუარტს უნდა უგულებელეყო არა მარტო ოქრო და ვერცხლი, არამედ კანონით დაწესებული მათი მონეტური სახელწოდებანიც. რადგან მას არ ესმის ღირებულებათა საზომის გარდაქმნა ფასების მასშტაბად, ამიტომ იგი, რასაკვირველია, ფიქრობს, რომ ოქროს განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც საზომ ერთეულს წარმოადგენს, მიმართებაშია არა ოქროს სხვა რაოდენობისადმი, არამედ სხვადასხვა ღირებულებისადმი როგორც ასეთისადმი. რადგან საქონელნი თავიანთ საცვლელ ღირებულებათა ფასებად გარდაქმნის გამო ერთსახელწოდებიან სიდიდეთა სახით გვევლინებიან, იგი უარყოფს საზომის იმ თვისებრიობას, რომელიც მათ ერთსახელწოდებიან სიდიდეებად ხდის; რადგან ოქროს სხვადასხვა რაოდენობის ამ შედარებისას ოქროს იმ რაოდენობის სიდიდე, რომელიც საზომ ერთეულს წარმოადგენს, პირობითია, — იგი უარყოფს, რომ საერთოდ აუცილებელი იყოს ამ სიდიდის დაწესება. ნაცვლად იმისა,რომ წრის $^{1}/_{360}$ ნაწილისათვის გრადუსი ეწოდებინა, მას შეეძლო $^{1}/_{180}$ ნაწილისათვის ეწოდებინა გრადუსი; მაშინ სწორი კუთხე 90-ის ნაცვლად 45 გრადუსით გაიზომებოდა, მახვილი და ბლაგვი კუთხეც — შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მაშინაც კუთხის საზომი იქნებოდა უწინდებურად, ჯერ-ერთი, თვისებრივად განსაზღვრული მათემატიკური ფიგურა, წრე, და მეორე — რაოდენობრივად განსაზღვრული წრიული ნაკვეთი. რაც შეეხება სტიუარტის ეკონომიურ მაგალითებს, ერთით იგი თავის თავს ამარცხებს, მეორეთი კი ვერაფერს ამტკიცებს. ამსტერდამის საბანკო ფული სინამდვილეში წარმოადგენდა მხოლოდ საანგარიშო სახელწოდებას ესპანური დუბლონებისათვის, რომელთაც თავიანთი სრულწონიანი ჭონი შეინარჩუნეს ბანკის საწყობებში უძრავად დების გამო, მაშინ როდესაც აქტიურად ტრიალში მყოფი გასავლიანი მონეტა გარესამყაროსთან მუდმივი შეხლა-შემოხლის გამო დამჭლევდა. რაც შეეხება აფრიკელ იდეალისტებს, ისინი ჩვენ უნდა დავტოვოთ საკუთარი ბედის ანაბარა, ვიდრე კრიტიკის

უნარმქონე მოგზაურები უფრო ზუსტ ცნობებს არ მოგვაწვდიან მათ შესახებ[1]. დაახლოებით იდეალურ ფულად, — იმ აზრით, როგორც ეს სტიუარტს ესმოდა, — შეიძლებოდა წოდებული ყოფილიყო საფრანგეთის ასიგნატები: «ნაციონალური საკუთრება. 100 ფრანკის ასიგნატი». თუმცა აქ ზუსტად იყო აღნიშნული ის სახმარი ღირებულება, რომლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ასიგნატი, სახელდობრ, კონფისკებული ადგილ-მამული, მაგრამ საზომი ერთეულის რაოდენობრივი განსაზღვრა დავიწყებული იყო და «ფრანკი» ამიტომ უაზრო სიტყვას წარმოადგენდა. თუ რამდენად ბევრ ან ცოტა მიწას წარმოადგენდა ასიგნატის ფრანკი, ეს დამოკიდებული იყო საჯარო ვაჭრობის შედეგზე. მაგრამ სინამდვილეში ასიგნატის ფრანკი მიმოიქცეოდა როგორც ღირებულების ნიშანი ვერცხლის ფულის სამაგიეროდ და ამიტომ მისი გაუფასურება ამ ვერცხლის ფულის მასშტაბის მიხედვით გაიზომებოდა.

ის ეპოქა, როცა ინგლისის ბანკმა ბანკნოტების ოქროზე გადახურდავება შეწყვიტა, საეჭვოა უფრო მდიდარი ყოფილიყო ბრძოლის ბიულეტენებით, ვიდრე ფულის თეორიებით. ბანკნოტების გაუფასურებამ და ოქროს საბაზრო ფასის აწევამ მის მონეტურ ფასზე მაღლა ბანკის ზოგ დამცველთა წრეში კვლავ წარმოშვა დოქტრინა ფულის იდეალური საზომის შესახებ. კლასიკურად აბნეული გამოთქმა აბნეული შეხედულებისათვის ჰპოვა ლორდმა კესტლრიმ, როცა მან

---

[1] ვაჭრობის უკანასკნელი კრიზისის დროს ინგლისში მაღალფარდოვან ხოტბას ასხამდნენ განსაზღვრულ წრეებში აფრიკის იდეალურ ფულს, თანაც ამ ფულის ადგილსამყოფელი ამჯერად სანაპიროებიდან ბერბერეთის შუაგულში იყო გადატანილი. იმ გარემოებას, რომ ბერბერები ვაჭრობისა და მრეწველობის კრიზისებისგან თავისუფალნი არიან, იმით ხსნიდნენ, რომ მათი «bars»-ი [«ლითონის ძელაკი»] იდეალურ საზომ ერთეულს წარმოადგენსო. მაგრამ უფრო მარტივი არ იქნებოდა ეთქვათ, რომ ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისების აუცილებელი პირობაა (conditio sine qua non) ვაჭრობა და მრეწველობა?

ფულის საზომი ერთეული განსაზღვრა როგორც «წარმოდგენა ღირებულებაზე, რომელიც გამომდინარეობს საქონელთან ფულის შედარებიდან» («a sense of value, in reference to currency as compared with commodities»). როდესაც პარიზის ზავის დადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გარემოებებმა შესაძლებელი გახადა კვლავ განახლებულიყო ოქროზე გადახურდავება, თითქმის უცვლელი სახით წამოიჭრა იგივე საკითხი, რომელიც ლაუნდსმა აღძრა ვილჰელმ III მეფობის დროს. აუარება სახელმწიფო ვალი და 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაგროვილი უამრავი კერძო ვალი, მტკიცე ობლიგაციები და სხვ. გაუფასურებული ბანკნოტებით იყო აღებული. უნდა გადახდილიყო ეს ვალები ბანკნოტებით, რომელთაგან 4 672 გირვანქა სტერლინგი და 10 შილინგი არა მარტო ნომინალურად, არამედ ფაქტიურადაც 100 გირვანქა 22 კარატიან ოქროს წარმოადგენდა? თ ო მ ა ს ა ტ ვ უ დ ი, ბირმინგამელი ბანკირი, გამოვიდა ასპარეზზე როგორც მკვდრეთით აღმდგარი ლაუნდსი (Lowndes redivivus). მისი წინადადების თანახმად, კრედიტორებს ნომინალურად იმდენი შილინგი უნდა მიეღოთ, რამდენიც ნომინალურად იყო დათქმული ხელშეკრულებით; მაგრამ თუ ძველი მონეტური ნორმის მიხედვით ერთ უნც ოქროს დაახლოებით $^1/_{78}$-ს შილინგი ერქვა, ახლა უნცის, ვთქვათ, $^1/_{90}$ უნდა ყოფილიყო შილინგად მონათლული. ატვუდის მომხრეები ცნობილნი არიან «little shillingmen»-თა [1] ბირმინგამის სკოლის სახელწოდებით. კამათი ფულის იდეალური საზომის შესახებ, რომელიც 1819 წელს დაიწყო, გრძელდებოდა კიდევ 1845 წელს სერ რობერტ პილსა და ატვუდს შორის, რომლის მთელი სიბრძნე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ფულის, როგორც საზომის, ფუნქციას შეეხება, ამომწურავადაა გამოთქმული შემდეგ ციტატაში: «სერ რობერტ პილი თავის პოლემიკაში ბირმინგამის სავაჭრო პალატის წინააღმდეგ კითხულობს: რა იქნება თქვენი

---

1 —პატარა შილინგის მომხრეთა. რ ე დ.

1 გირვ. სტერლ. ბანკნოტა? რა არის გირვანქა სტერლინგი?.. მაშინ, პირიქით, რა უნდა ვიგულისხმოთ ღირებულების ახლანდელ საზომ ერთეულად?.. 3 გირვანქა სტერლინგი, 17 შილინგი და $10^1/_2$ პენსი ერთ უნციოქროს ნიშნავს თუ—მის ღირებულებას? თუ უნცს ნიშნავს, მაშინ საგნებს რატომ მათი საკუთარი სახელი არ ვუწოდოთ და ნაცვლად გირვანქა სტერლინგის, შილინგის, პენსისა, არ ვთქვათ, პირიქით: უნცი, პენი-წონა და გრანი? მაშინ ჩვენ უშუალო გაცვლითი ვაჭრობის სისტემას ვუბრუნდებით... ან ისინი ღირებულებას აღნიშნავენ? თუ ერთი უნცი = 3 გირვანქა სტერლინგს, 17 შილინგს და $10^1/_2$ პენსს, რატომ ღირდა იგი სხვადასხვა დროს ხან 5 გირვ. სტერლ. 4 შილ., ხან 3 გირვ. სტერლ. 17 შილ. 9 პენსი?.. გამოთქმა «გირვანქა» (*Z*) მიმართებაშია ღირებულებისადმი, მაგრამ არა ოქროს უცვლელ წონითს ნაწილში ფიქსირებული ღირებულებისადმი. გირვანქა არის იდეალური ერთეული... შრომა არის სუბსტანცია, რაზედაც წარმოების ხარჯები დაიყვანება და შრომა აძლევს ოქროს, ისევე როგორც რკინასაც, მის შეფარდებითს ღირებულებას. ამიტომ რა განსაკუთრებული სახელწოდებაც უნდა იხმარებოდეს ადამიანის დღიური ან კვირეული შრომის აღსანიშნავად, ასეთი სახელწოდება გამოსახავს აგრეთვე წარმოებული საქონლის ღირებულებას» .

უკანასკნელ სიტყვებში იფანტება ბუნდოვანი წარმოდგენა ფულის იდეალური საზომის შესახებ და თავს იჩენს მისი ნამდვილი იდეური შინაარსი. ოქროს საანგარიშო სახელწოდებანი: გირვანქა სტერლინგი, შილინგი და სხვ. უნდა იყოს სამუშაო დროის განსაზღვრულ რაოდენობათა სახელწოდებანი. რადგან სამუშაო დრო ღირებულებათა სუბსტანცია და იმანენტური საზომია, ამიტომ, მაშასადამე, ეს სახელწოდებანი ნამდვილად იქნებოდნენ თვით ღირებულებითი პროპორციის გამომხატველნი. სხვა სიტყვებით, ამტკიცებენ,

---

[1] «The currency question, the Gemini letters», London 1844, გვ. 260 — 272 passim.

სამუშაო დრო ფულის ჭეშმარიტი საზომი ერთეულია. ამით ჩვენ უკვე ვცილდებით ბირმინგამის სკოლის საზღვრებს, მაგრამ შევნიშნავთ გაკვრით, რომ მოძღვრებამ ფულის იდეალური საზომის შესახებ ახალი მნიშვნელობა მოიპოვა ბანკნოტების დახურდავებისა თუ დაუხურდავებლობის საკამათო საკითხში. თუკი ქაღალდი თავის სახელწოდებას ოქროსგან ან ვერცხლისგან ღებულობს, მაშინ ბანკნოტის დახურდავება, ე. ი. ოქროსა თუ ვერცხლზე მისი გაცვლისუნარიანობა ეკონომიური კანონია, სულ ერთია როგორიც უნდა იყოს იურიდიული კანონი. ასე, მაგალითად, პრუსიის ქაღალდის ტალერი, თუმცა იგი დასახურდავებელი არაა კანონით, დაუყოვნებლივ გაუფასურდებოდა, იგი რომ ყოველდღიურ მიმოქცევაში ნაკლები ღირდეს, ვიდრე ვერცხლის ტალერი, ე. ი. იგი რომ დაუხურდავებელი იყოს პრაქტიკულად. ამიტომ დაუხურდავებელი ქაღალდის ფულის თანამიმდევრული წარმომადგენელნი ინგლისში ფულის იდეალურ საზომს მიმართავდნენ. თუ ოქროს საანგარიშო სახელწოდებანი, გირვანქა სტერლინგი, შილინგი და სხვ., ღირებულების ატომების განსაზღვრული თანხის სახელწოდებებს წარმოადგენენ, რომელთაც ერთი საქონელი ხან მეტი, ხან ნაკლები რაოდენობით შეიწოვს ან გასცემს სხვა საქონელზე გაცვლის დროს, მაშინ ინგლისური 5 გირვანქიანი ბანკნოტა, მაგალითად, ისევე დამოუკიდებელია თავისი შეჯარდებისგან ოქროსადმი, როგორც დამოუკიდებელია თავისი შეფარდებისაგან რკინისადმი ან ბამბისადმი. რადგან მისი სახელწოდება აღარ იქნებოდა ოქროს ან რომელიმე სხვა საქონლის განსაზღვრულ რაოდენობასთან მისი თეორიული გათანატოლების გამომხატველი, ამიტომ მოთხოვნა მისი დახურდავებისა, ე. ი. მისი პრაქტიკული განტოლებისა რომელიმე სპეციფიკური ნივთის განსაზღვრულ რაოდენობასთან, გამორიცხული იქნებოდა თვით ამ ბანკნოტის ცნების მიერ.

მოძღვრება სამუშაო დროის — როგორც ფულის უშუალო საზომი ერთეულის — შესახებ, პირველად ჯ ო ნ გ რ ე ი მ გა-

ნავითარა სისტემატურად [1]. იგი წინადადებას იძლევა, რომ ეროვნული ცენტრალური ბანკი თავისი ფილიალების საშუალებით უნდა ადასტურებდეს იმ სამუშაო დროს, რომელიც სხვადასხვა საქონლის წარმოებაზე იხარჯება. თავისი საქონლის სამაგიეროდ მწარმოებელი იღებს მისი ღირებულების ოფიციალურ მოწმობას, ე. ი. იმდენი სამუშაო დროის დამადასტურებელ ქვითარს, რამდენსაც მისი საქონელი შეიცავს [2]; ეს ბანკის ბილეთები 1 სამუშაო კვირის, 1 სამუშაო დღის, 1 სამუშაო საათისა და სხვ. წარმოადგენენ ამასთანავე მოწმობას, რომლითაც შეიძლება მიღებულ იქნას ეკვივალენტი ყველა იმ სხვადასხვა საქონლის სახით, რომლებიც ბანკის საწყობებში ალაგია [3]. ეს არის გრეის ძირითადი პრინციპი, გულდასმით და დეტალურად დამუშავებული მის მიერ და ყველგან შეგუებული არსებულ ინგლისურ დაწესებუ-

---

[1] John Gray: «The social system. A treatise on the principle of exchange», Edinburgh 1831. შეად. ამავე ავტორის: «Lectures on the nature and use of money». Edinburgh 1848. თებერვლის რევოლუციის შემდეგ გრეიმ საფრანგეთის დროებით მთავრობას გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი, სადაც იგი მას რჩევა-დარიგებას აძლევდა, რომ საფრანგეთს ესაჭიროება არა «შრომის ორგანიზაცია» («organisation of labour»). არამედ «გაცვლის ორგანიზაცია» («organisation of exchange»), რომლის გეგმა სავსებით დამუშავებული იყო გრეის მიერ გამოგონილ ფულის სისტემაში. გულად ჯონს იმის ეჭვიც კი არ ჰქონია, რომ მისი «Social system»-ის გამოსვლიდან თექვსმეტი წლის შემდეგ ამავე გამოგონების პატენტს გამოგონებაში მოხერხებული პრუდონი აიღებდა.

[2] Gray, «The social system etc»., გვ. 63: «ფული უნდა იყოს მარტოოდენ მოწმობა იმისა, რომ მისმა მფლობელმა ან განსაზღვრული ღირებულება შემატა ეროვნულ სიმდიდრეს, ანდა შეიძინა ასეთივე ღირებულების უფლება სხვა ვინმესგან, რომელმაც ამ ღირებულების შექმნას ხელი შეუწყო».

[3] «როდესაც განსაზღვრული ღირებულება უკვე გასაგნობრივდა პროდუქტში, იგი შეიძლება შეტანილ იქნას ბანკში, ან გატანილ იქნას იქიდან პირველი მოთხოვნისთანავე, მხოლოდ იმ საყოველთაოდ აღიარებული პირობით, რომ ვინც რაიმე ქონებას შეიტანს პროექტით წარმოდგენილ ეროვნულ ბანკში, მას შეეძლოს იქიდან გაიტანოს თანატოლი ღირებულება რანაირი სახითაც უნდა იყოს, და ვალდებული არ იყოს, სწორედ ის საგანი გაიტანოს, რომელიც შეიტანა» (l. c., გვ. 68).

ლებებთან. ასეთი სისტემის დროს, — ამბობს გრეი, — «ისევე ადვილი იქნებოდა ყოველ მომენტში ფულზე გაყიდვა, როგორც ახლა ადვილია ფულით ყიდვა; წარმოება იქნებოდა თანაბარზომიერი და მუდამ დაუშრეტელი წყარო მოთხოვნისა» 1. ძვირფასი ლითონები დაკარგავდნენ თავიანთ «პრივილეგიურ» მდგომარეობას სხვა საქონელთა მიმართ და «თავიანთ შესაფერ ადგილს დაიჭერდნენ ბაზარზე კარაქის, კვერცხის, მაუდისა და ჩითის გვერდით, და მათი ღირებულება ჩვენთვის აღარ იქნებოდა უფრო საინტერესო, ვიდრე ალმასის ღირებულება» 2. უნდა შევინარჩუნოთ ღირებულებათა ჩვენი წარმოსახვითი საზომი, ოქრო, და ამით შევბორკოთ ქვეყნის მწარმოებლური ძალები, თუ — უნდა დავუბრუნდეთ ღირებულებათა ბუნებრივ საზომს, შრომას, და გავათავისუფლოთ ქვეყნის მწარმოებლური ძალები?» 3.

რაკი სამუშაო დრო ღირებულების იმანენტური საზომია, რატომღა არსებობს მის გვერდით სხვა გარეგანი საზომი? რატომ ვითარდება საცვლელი ღირებულება ფასად? რატომ გამოხატავს ყველა საქონელი თავის ღირებულებას ერთადერთი გამოყოფილი საქონლით, რომელიც, ამრიგად, საცვლელი ღირებულების ადეკვატურ მყოფობად, ფულად, გარდაიქმნება? ასეთი იყო პრობლემა, რომელიც გრეის უნდა გადაეწყვიტა. ამ პრობლემის გადაწყვეტის ნაცვლად მას წარმოუდგენია, რომ საქონელთ შეუძლიათ ერთმანეთისადმი უშუალო მიმართება ჰქონდეთ როგორც საზოგადოებრივი შრომის პროდუქტებს. მაგრამ მათ შეუძლიათ ერთმანეთისადმი მიმართება ჰქონდეთ მხოლოდ იმ სახით, რასაც ისინი ნამდვილად წარმოადგენენ. საქონელნი უშუალო პროდუქტებია იმ განცალკევებულ, დამოუკიდებელ კერძო შრომათა, რომელთაც კერძო გაცვლის პროცესში თავიანთი თავის გასხვისების გზით უნდა დაამტკიცონ, რომ საყოველთაო საზოგადოებრივ შრომას წარმოადგენენ; სხვა სიტყვებით რომ

---

1 [Gray,] L. c., გვ. 16.

2 Gray: «Lectures on money» etc., გვ. 182.

3 L. c., გვ. 169.

ვთქვათ, შრომა საქონლის წარმოების საფუძველზე იქცევა საზოგადოებრივ შრომად მხოლოდ ინდივიდუალურ შრომათა ყოველმხრივი გასხვისების გზით. ხოლო თუ გრეი საქონელში მოქცეულ სამუშაო დროს უშუალო საზოგადოებრივ სამუშაო დროდ ვარაუდობს, იგი მას ვარაუდობს განსაზოგადოებულ (gemeinschaftliche) სამუშაო დროდ ანუ უშუალოდ ასოციაციაში გაერთიანებულ ინდივიდთა სამუშაო დროდ. ამ შემთხვევაში, მართლაც, ერთი სპეციფიკური საქონელი, როგორიცაა ოქრო და ვერცხლი, ვერ დაუპირისპირდებოდა სხვა საქონელთ როგორც საყოველთაო შრომის განხორციელება, საცვლელი ღირებულება ვერ გადაიქცეოდა ფასად, მაგრამ სახმარი ღირებულებაც ვერ გადაიქცეოდა საცვლელ ღირებულებად, პროდუქტი ვერ გადაიქცეოდა საქონლად, და, ამრიგად, მოისპობოდა თვით საფუძველი ბურჟუაზიული წარმოებისა. მაგრამ გრეის ეს სრულიადაც არა აქვს აზრად. მისი აზრით, პროდუქტები უნდა იწარმოებოდეს როგორც საქონელი, მაგრამ არ უნდა იცვლებოდეს როგორც საქონელი. გრეი ამ კეთილი სურვილის შესრულებას ეროვნულ ბანკს ანდობს. ერთი მხრივ, საზოგადოება ბანკის სახით ინდივიდებს ხდის დამოუკიდებელს კერძო გაცვლის პირობებისაგან, მეორე მხრივ კი, იგი მათ შესაძლებლობას აძლევს განაგრძონ წარმოება კერძო გაცვლის საფუძველზე. მაგრამ შინაგანი თანაშიმდევრობა აიძულებს გრეის უარყოს ერთიმეორის მიყოლებით ბურჟუაზიული წარმოების პირობები, თუმცა მისი სურვილია მხოლოდ იმ ფულის «რეფორმა მოახდინოს», რომელიც საქონელთა გაცვლიდან გამომდინარეობს. ამრიგად, იგი კაპიტალს აქცევს ეროვნულ კაპიტალად [1], მიწის საკუთრებას — ეროვნულ საკუთრებად [2], და თუ ჩვენ მის ბანკს ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი არა მარტო იღებს ერთი ხელით საქონელს და მეორე ხელით

---

1 «ყოველი ქვეყნის საქმეები ეროვნული კაპიტალით უნდა იწარმოებოდეს» (John Gray: «The social system». გვ. 171).

2 «მიწა ეროვნულ საკუთრებად უნდა გადაიქცეს» (l. c., გვ. 298).

გასცემს ჩაბარებული შრომისთვის ქვითრებს, არამედ თვით წარმოებასაც აწესრიგებს. თავის უკანასკნელ თხზულებაში: «Lectures on money», სადაც გრეი მხდალად ცდილობს წმინდა ბურჟუაზიულ რეფორმად წარმოგვიდგინოს თავისი შრომითი ფული, იგი კიდევ უფრო აშკარა უაზრობაში იხლართება.

ყოველი საქონელი უშუალოდ ფულია. ასეთი იყო გრეის თეორია, გამოყვანილი საქონლის იმ არასრული და, ამიტომ, მცდარი ანალიზიდან, რომელსაც იგი იძლევა. «შრომითი ფულის», «ეროვნული ბანკის» და «საქონლის საწყობების» «ორგანული» კონსტრუქცია არის მხოლოდ მოჩვენება, სადაც დოგმა ილუზორულად წარმოგვიდგება როგორც სამყაროს მმართველი კანონი. დოგმა, რომლის თანახმად საქონელი უშუალოდ ფულია, ანუ მასში მოქცეული განსაკუთრებული შრომა კერძო პირისა უშუალოდ საზოგადოებრივი შრომაა, რასაკვირველია, ჰეშმარიტი არ გახდება იმით, რომ ეს ბანკს სწამს და იგი მის შესაბამისად მოქმედებს. პირიქით, ასეთ შემთხვევაში გაკოტრება იკისრებდა პრაქტიკული კრიტიკის როლს. იმას, რაც გრეის ნაწერებში დაფარულია და თვით მისთვისაც ფარული რჩება, სახელდობრ, რომ შრომითი ფული ეკონომიურად მჭღერი ფრაზაა კეთილი სურვილისათვის — მოისპოს ფული, ფულთან ერთად — საცვლელი ღირებულება, საცვლელ ღირებულებასთან ერთად — საქონელი და საქონელთან ერთად — წარმოების ბურჟუაზიული ფორმა, — ამას პირდაპირ გამოთქვამენ ზოგიერთი ინგლისელი სოციალისტები, რომელნიც ნაწილობრივ გრეიმდე და ნაწილობრივ მის შემდეგ წერდნენ [1]. მაგრამ მხოლოდ ბ-ნ პრუდონსა და მის სკოლას ხვდა წილად სერიოზულად ეჭადაგნათ ფულის დამხობა და საქონლის აპოთეოზი როგორც სოციალიზმის დედაარსი და ამით სოციალიზმი

---

[1] იხ., მაგ., W. Thompson: «An inquiry into the distribution of wealth» etc, London 1827; Bray: «Labours wrongs and labours remedy», Leeds 1839.

საქონელსა და ფულს შორის არსებული აუცილებელი კავშირის ელემენტარულ გაუგებლობამდე დაეყვანათ [1].

2. მიმოქცევის საშუალება

მას შემდეგ, რაც საქონელი ფასის დაწესების პროცესში თავის მიმოქცევის უნარიან ფორმას მიიღებს, ხოლო ოქრო — ფულის ხასიათს, მიმოქცევა ერთსა და იმავე დროს გამოხატავს და გადაწყვეტს კიდეც იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც საქონლის გაცვლა შეიცავდა. საქონელთა ნამდვილი გაცვლა, ე. ი. ნივთიერებათა საზოგადოებრივი ცვლა, ხდება ისეთი ფორმაცვლის სახით, რომელშიც საქონლის ორნაირი ბუნება — როგორც სახმარი ღირებულებისა და როგორც საცვლელი ღირებულებისა — გაიშლება, მაგრამ, რომელშიც ამასთანავე თვით საქონლის ფორმაცვლა ფულის განსაზღვრულ ფორმებში კრისტალდება. ამ ფორმაცვლის გადმოცემა ნიშნავს მიმოქცევის გადმოცემას. როგორც დავინახეთ, საქონელი განვითარებული საცვლელი ღირებულებაა მხოლოდ მაშინ, როცა საქონელთა სამყარო და ამით ფაქტიურად შრომის განვითარებული დანაწილება იგულისხმება; ასევე მიმოქცევაც გაცვლის ყოველმხრივ ჭეშტებსა და მათი განახლების მუდმივ დენას გულისხმობს. მეორე წანამძღვარი ისაა, რომ საქონელნი გაცვლის პროცესში შედიან როგორც ფასგანსაზღვრული საქონელნი ანუ გაცვლის პროცესის შიგნით ისინი გამოდიან ერთიმეორისათვის ორნაირი მყოფობით: რეალურად როგორც სახმარი ღირებულებანი, იდეალურად — ფასში — როგორც საცვლელი ღირებულებანი.

ლონდონის ყველაზე ხალხმრავალ ქუჩებში ერთიმეორეს აკრავს მაღაზიები, რომელთა ვიტრინებშიც მთელი მსოფლიოს სიმდიდრეა გამოფენილი: ინდოეთის შალები, ამერიკის რევოლვერები, ჩინეთის ფაიფური, პარიზის კორსეტები, რუსე-

---

1 ფულის ამ მელოდრამატული თეორიის კომპენდიუმად შეიძლება ჩაითვალოს Alfred Darimont-ის წიგნი: «De la réforme des banques», Paris 1856.

თის ბეწვეული და ტროპიკული პროდუქტები; მაგრამ ყველა ამ წარმტაც ნივთს შუბლზე ფატალური თეთრი ქაღალდის ნიშნები აკრავს, რომელთაც არაბული ციფრები და ლაკონური ასოები: L, sh, d [გირვანქა სტერლინგი, შილინგი, პენსი] აწერია. ეს არის მიმოქცევის პროცესში გამოსულ საქონელთა სურათი.

a) საქონელთა მეტამორფოზი

უფრო ახლოს განხილვისას მიმოქცევის პროცესი გვიჩვენებს წრებრუნვათა ორ სხვადასხვა ფორმას. თუ საქონელს ვუწოდებთ ს-ს, ფულს ფ-ს, ჩვენ შეგვიძლია ორივე ეს ფორმა-შემდეგნაირად გამოვსახოთ:

ს — ფ — ს.
ფ — ს — ფ.

ამ განყოფილებაში ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ პირველი ფორმა, ანუ საქონლის მიმოქცევის უშუალო ფორმა.

წრებრუნვა ს — ფ — ს დაიშლება შემდეგ მოძრაობად: მოძრაობა ს — ფ, საქონლის გაცვლა ფულზე, ანუ გაყიდვა; მოპირდაპირე მოძრაობა ფ — ს, ფულის გაცვლა საქონელზე, ანუ ყიდვა, და ორივე მოძრაობის ერთიანობა: ს — ფ — ს, საქონლის გაცვლა ფულზე და ფულის გაცვლა საქონელზე, ანუ გაყიდვა ყიდვისათვის. შედეგი კი, რომლითაც თვით პროცესი ჩრება, არის ს — ს, საქონლის საქონელზე გაცვლა, ნივთიერებათა ნამდვილი ცვლა.

ს — ფ — ს, თუ ამოსავალ პუნქტად პირველ საქონელს ავიღებთ, გამოხატავს ამ საქონლის გარდაქმნას ფულად და ფულიდან მის უკუგარდაქმნას საქონლად, ანუ მოძრაობას, რომელშიც საქონელი თავდაპირველად არსებობს როგორც განსაკუთრებული სახმარი ღირებულება, შემდეგ ამ არსებობას უკუაგდებს და იძენს საცვლელი ღირებულების ანუ საყოველთაო ეკვივალენტის სახით ისეთ არსებობას, რომელიც მოწყვეტილია ყოველგვარ კავშირს მის ბუნებრივ მყოფობასთან; შემდეგ იგი კვლავ უკუაგდებს ამ ფორმასაც და, ბო-

ლოს, რჩება ნამდვილი სახმარი ღირებულების სახით, რომელიც განკუთვნილია ცალკეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ უკანასკნელი ფორმით იგი მიმოქცევის სფეროდან მოხმარების სფეროში გადადის. მაშასადამე, მთლიანად აღებული მიმოქცევა ს — ფ — ს უწინარეს ყოვლისა იმ მეტამორფოზთა ერთობლივი მწკრივია, რომელნიც ყოველმა ცალკეულმა საქონელმა უნდა განვლოს, რათა უშუალო სახმარი ღირებულება გახდეს თავისი მფლობელისათვის. პირველი მეტამორფოზი მიმდინარეობს მიმოქცევის პირველ ნახევარში ს — ფ, მეორე — მეორე ნახევარში ფ — ს, და მთელი მიმოქცევა კი შეადგენს საქონლის ცხოვრების გზას (curriculum vitae). მაგრამ მიმოქცევა ს — ფ — ს მხოლოდ მაშინ წარმოადგენს რომელიმე ცალკეული საქონლის ერთობლივ მეტამორფოზს, როცა იგი იმავდროულად სხვა საქონელთა განსაზღვრული ცალმხრივი მეტამორფოზების ჯამს წარმოადგენს, ვინაიდან პირველი საქონლის ყოველი მეტამორფოზი არის მისი გარდაქმნა სხვა საქონლად, მაშასადამე, სხვა საქონლის გარდაქმნა იმ პირველ საქონლად, მაშასადამე, ორმხრივი გარდაქმნა, რომელიც მიმოქცევის ერთსა და იმავე სტადიაში ხდება. ჩვენ ჯერ გაცვლის ამ ორივე პროცესიდან, რომლებადაც მიმოქცევა ს — ფ — ს იყოფა, თვითეული პროცესი იზოლირებულად უნდა განვიხილოთ.

ს — ფ, ანუ გაყიდვა: ს, საქონელი, მიმოქცევის პროცესში შედის არა მარტო როგორც განსაკუთრებული სახმარი ღირებულება, მაგალითად, როგორც ტონა რკინა, არამედ როგორც სახმარი ღირებულება განსაზღვრული ფასისა, ვთქვათ, 3 გირვანქა სტერლინგის 17 შილინგის და $10^1/_2$ პენსის, ანუ ერთი უნცი ოქროსი. ეს ფასი, რომელიც ერთი მხრივ, რკინაში მოქცეული სამუშაო დროის რაოდენობის, ე. ი. მისი ღირებულების სიდიდის, მაჩვენებელია, ამასთანავე ერთად გამომხატველია რკინის კეთილი სურვილისა — გადაიქცეს ოქროდ, ე. ი. მისცეს სამუშაო დროს, რასაც თვითონვე შეიცავს, საყოველთაო საზოგადოებრივი სამუშაო დროის ფორმა. თუ სუბსტანციის ეს გარდაქმნა არ ხერხდე-

ბა, ტონა რკინა უკვე აღარაა არათუ საქონელი, არამედ — პროდუქტიც, რადგან იგი მხოლოდ იმიტომაა საქონელი, რომ არასახმარი ღირებულებაა მფლობელისათვის, ანდა ამ უკანასკნელის შრომა ნამდვილი შრომაა მხოლოდ როგორც სასარგებლო შრომა სხვებისთვის, თვით მისთვის კი იგი სასარგებლოა მხოლოდ როგორც აბსტრაქტულად-საყოველთაო შრომა. ამიტომ რკინის ანუ მისი მფლობელის ამოცანა ისაა, რომ საქონელთა სამყაროში მოხახოს ის პუნქტი, სადაც რკინა ოქროს მიიზიდავს. მაგრამ ეს სიძნელე, საქონლის ეს salto mortale [თავსამტვრევი ნახტომი], დაძლეულია, თუ გაყიდვა ნამდვილად შესრულებულია, როგორც ეს აქ მარტივი მიმოქცევის ანალიზის დროს იგულისხმება. როდესაც ტონა რკინა თავისი გასხვისების გზით, ე. ი. იმ ხელიდან, სადაც იგი არასახმარი ღირებულებაა, იმ ხელში გადასვლით, სადაც იგი სახმარი ღირებულება არის, ხორციელდება როგორც სახმარი ღირებულება, იგი ამასთანავე თავის ფასსაც ახორციელებს და მხოლოდ წარმოსახვაში არსებული ოქროდან ნამდვილ ოქროდ იქცევა. უნცი ოქროს სახელწოდების, ანუ 3 გირვანქა სტერლინგის 17 შილინგის და 10½ პენსის ადგილს ახლა ერთი უნცი ნამდვილი ოქრო იჭერს, ტონა რკინამ კი დაცალა ადგილი. გაყიდვის — ს — ფ — გზით არა მარტო საქონელი, რომელიც თავის ფასში იდეალურად იყო ოქროდ გადაქცეული, რეალურად გარდაიქმნება ოქროდ, არამედ იმავე პროცესის საშუალებით ოქროც, რომელიც როგორც ღირებულებათა საზომი მხოლოდ იდეალურად იყო ფული და ნამდვილად თვით საქონელთა ფულადი სახელწოდების სახით არსებობდა მხოლოდ, გარდაიქმნება ნამდვილ ფულად[1]. როგორც უწინ ოქრო იდეალურად საყოველ-

---

1 «მონეტა ორგვარია, — იდეალური და რეალური, და ორი სხვადასხვა დანიშნულებისთვის გამოიყენება: ნივთების შესაფასებლად და მათ საყიდლად. შესაფასებლად იდეალური მონეტა ისევე გამოსადეგია, როგორც რეალური მონეტა, და, შესაძლოა, უკეთესიც იყოს. მონეტის მეორე დანიშნულებაა თვით იმ ნივთების ყიდვა, რომლებსაც იგი შეაფასებს... ფასები და კონტრაქტები შეფასდება იდეალური მონეტით, ხოლო განხორციელდება რეალური მონეტით» (Galiani, l. c., გვ. 112 sq.).

თაო ეკვივალენტი გახდა, რადგან ყველა საქონელი თავის ღირებულებას მისი საშუალებით ზომავდა, ისევე ახლა იგი როგორც საქონელთა ყოველმხრივ ოქროზე გასხვისების პროდუქტი, — გაყიდვა კი ს — ფ სწორედ ამ საყოველთაო გასხვისების პროცესს წარმოადგენს, — ხდება აბსოლუტურად გასასხვისებელი საქონელი, რეალური ფული. მაგრამ ოქრო მხოლოდ იმიტომ ხდება გაყიდვაში რეალური ფული, რომ საქონელთა საცვლელი ღირებულებანი თავიანთ ფასებში იდეალურად უკვე ოქროს წარმოადგენდნენ.

გაყიდვაში ს — ფ, ისევე როგორც ყიდვაში ფ — ს, ერთიმეორეს უპირისპირდება ორი საქონელი — საცვლელი ღირებულებისა და სახმარი ღირებულების ერთიანობანი; მაგრამ საქონელში მისი საცვლელი ღირებულება არსებობს მხოლოდ იდეალურად როგორც ფასი, მაშინ როდესაც ოქროში, თუმცა იგი თვითონ ნამდვილი სახმარი ღირებულებაა, მისი სახმარი ღირებულება არსებობს მხოლოდ როგორც მატარებელი საცვლელი ღირებულებისა, ე. ი. მხოლოდ როგორც ფორმალური სახმარი ღირებულება, რომელიც არავითარ ნამდვილ ინდივიდუალურ მოთხოვნილებასთან მიმართებაში არ იმყოფება. ამრიგად, სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების დაპირისპირება პოლარულად ლაგდება ს — ფ-ის ორსავე კიდურზე, ასე რომ საქონელი უპირისპირდება ოქროს როგორც სახმარი ღირებულება, რომელმაც იდეაში არსებული თავისი საცვლელი ღირებულება, ფასი, ჯერ კიდევ ოქროში უნდა განახორციელოს, მაშინ როდესაც ოქრო უპირისპირდება საქონელს როგორც საცვლელი ღირებულება, რომელიც თავისი ფორმალური სახმარი ღირებულების მატერიალიზაციას ახდენს მხოლოდ საქონელში. საქონლის მხოლოდ ამ გაორებით საქონლად და ოქროდ და, შემდეგ, კვლავ ორმაგი დაპირისპირებული მიმართებით, სადაც თვითეული კიდური წევრი იდეალურად ისაა, რაც მისი მოპირისპირე წევრი რეალურად არის, ხოლო რეალურად ისაა, რაც მისი მოპირისპირე წევრი იდეალურად არის, — მაშასადამე. მხოლოდ იმით, რომ საქონელნი

წარმოდგენილია როგორც ორმხრივ პოლარული დაპირისპირებანი, ამოიხსნება ის წინააღმდეგობანი, რომელთაც გაცვლის პროცესი შეიცავს.

ჩვენ აქამდე ს — ფ განვიხილავდით როგორც გაყიდვას, როგორც საქონლის გარდაქმნას ფულად. მაგრამ თუ ჩვენ მეორე კიდური წევრის მხარეს დავდგებით, იგივე პროცესი, პირიქით, წარმოგვიდგება როგორც ფ — ს, როგორც ყიდვა, როგორც ფულის გარდაქმნა საქონლად. გაყიდვა ამავე დროს აუცილებლად თავისი დაპირისპირებაც, ყიდვაც, არის: ყიდვაა, თუ ჩვენ პროცესს ერთი მხრიდან შევხედავთ, გაყიდვაა, თუ ჩვენ მას მეორე მხრიდან შევხედავთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, სინამდვილეში ეს პროცესი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ს — ფ-ში ინიციატივა მომდინარეობს საქონლის მხრიდან, ანუ გამყიდველიდან, ფ — ს-ში კი ფულის მხრიდან, ანუ მყიდველიდან. მაშასადამე, როდესაც ჩვენ საქონლის პირველ მეტამორფოზს, მის ფულად გარდაქმნას, გამოვხატავთ როგორც მიმოქცევის პირველი სტადიის, ს — ფ-ის, დამთავრების შედეგს, ამასთანავე ერთად, ვგულისხმობთ, რომ რომელიმე სხვა საქონელი უკვე გარდაიქმნა ფულად, რომ, მაშასადამე, იგი უკვე მიმოქცევის მეორე სტადიაში, ფ — ს-ში, იმყოფება. ამოიგად, ჩვენ წანამძღვართა მცდარ წრეში ვვარდებით. თვით მიმოქცევაა ეს მცდარი წრე. თუ ჩვენ ფ — ს ს — ფ-ში არ განვიხილავთ როგორც სხვა რომელიმე საქონლის უკვე განხორციელებულ მეტამორფოზს, მაშინ ჩვენ გაცვლის აქტს გამოვთიშავთ მიმოქცევის პროცესიდან. მაგრამ ამ პროცესის გარეშე ქრება ფორმა ს — ფ, და ერთიმეორეს უპირისპირდება მხოლოდ ორი სხვადასხვა ს, ვთქვათ, რკინა და ოქრო, რომელთა გაცვლა მიმოქცევის განსაკუთრებული აქტი კი არ არის, არამედ უშუალო გაცვლითი ვაჭრობის აქტია. ოქრო თავისი წარმოების წყაროსთან ისეთივე საქონელია, როგორც ყოველი სხვა საქონელი. მისი შეფარდებითი ღირებულება და რკინის ან ყოველი სხვა საქონლის შეფარდებითი ღირებულება გამოიხატება აქ იმ რაოდენობით, რომლის მიხედვით მათი ურთი-

ერთგაცვლა ხდება. მაგრამ მიმოქცევის პროცესში ეს ოპერაცია უკვე წინასწარ ნაგულისხმევია; საქონელთა ფასებში ოქროს საკუთარი ღირებულება უკვე მოცემულია. ამიტომ არაფერია იმაზე უფრო მცდარი, ვიდრე წარმოდგენა, თითქოს მიმოქცევის პროცესის შიგნით ოქროსა და საქონელს შორის მყარდებოდეს უშუალო გაცვლითი ვაჭრობის ურთიერთობა და, მაშასადამე, მათი შეფარდებითი ღირებულება დგინდებოდეს მათი — როგორც უბრალო საქონელთა — გაცვლის გზით. თუ ისე გვეჩვენება, თითქოს მიმოქცევის პროცესში ოქრო როგორც უბრალო საქონელი გაიცვლება საქონელზე, ეს ილუზია უბრალოდ იქიდან წარმოდგება, რომ ფასებში საქონლის განსაზღვრული რაოდენობა უკვე გათანატოლებულია ოქროს განსაზღვრულ რაოდენობასთან, ე. ი. მიმართებაშია უკვე ოქროსადმი როგორც ფულისადმი, როგორც ეკვივალენტისადმი, და ა მ ი ტ ო მ იგი შეიძლება უშუალოდ მასზე გაიცვალოს. რამდენადაც საქონლის ფასის რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა ოქროში ხდება, საქონელი გაიცვლება ოქროზე როგორც საქონელზე, როგორც სამუშაო დროის განსაკუთრებულ მატერიალიზაციაზე; მაგრამ რამდენადაც ოქრო საქონლის ფ ა ს ი ა, რომელიც ოქროში პოულობს რეალიზაციას, საქონელი გაიცვლება ოქროზე როგორც ფულზე და არა როგორც საქონელზე, ე. ი. ოქროზე როგორც სამუშაო დროის საყოველთაო მატერიალიზაციაზე. მაგრამ ორივე მიმართებაში ოქროს ის რაოდენობა, რომელზედაც საქონელი გაიცვლება მიმოქცევის პროცესის სფეროს შიგნით, განისაზღვრება არა გაცვლით, არამედ, პირიქით, გაცვლა განისაზღვრება საქონლის ფასით, ე. ი. საქონლის საცვლელი ღირებულებით, რომელიც ოქროთია შეფასებული 1.

---

1 რასაკვირველია, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ საქონლის საბაზრო ფასი შეიძლება მის ღირებულებაზე მაღლა ან დაბლა იდგეს. მაგრამ ეს მოსაზრება მარტივი მიმოქცევისთვის უცხოა და იგი სრულიად სხვა სფეროს ეკუთვნის, შემდგომ განსახილველ სფეროს, სადაც ღირებულებისა და საბაზრო ფასის ურთიერთობას გამოვიკვლევთ.

მიმოქცევის პროცესის სფეროს შიგნით ოქრო ყველას ხელში გაყიდვის, ს — ფ-ის, შედეგად გვევლინება, მაგრამ რადგან ს — ფ, გაყიდვა, ამასთანავე ფ — ს-ს, ყიდვას, წარმოადგენს, ამიტომ ცხადია, რომ როდესაც ს, საქონელი, რომლიდანაც პროცესი იწყება, თავის პირველ მეტამორფოზს ასრულებს, მეორე საქონელი, რომელიც მას უპირისპირდება როგორც კიდური წევრი ფ, თავის მეორე მეტამორფოზს ასრულებს და ამიტომ მიმოქცევის მეორე ნახევარს გაივლის, მაშინ როდესაც პირველი საქონელი ჯერ კიდევ თავისი გზის პირველ ნახევარზე იმყოფება.

მიმოქცევის პირველი პროცესის, გაყიდვის, შედეგად გვევლინება მეორე პროცესის ამოსავალი პუნქტი, ფული. ის ადგილი, სადაც საქონელი იმყოფებოდა თავისი თავდაპირველი ფორმით, ახლა დაიკავა მისმა ეკვივალენტმა ოქროს სახით. ეს შედეგი შეიძლება უწინარეს ყოვლისა შეჩერების პუნქტს შეადგენდეს, რადგან საქონელს ამ მეორე ფორმაში საკუთარი არსებობა აქვს, რომელსაც ლოდინის უნარი შესწევს. საქონელი, რომელიც მისი მფლობელის ხელში სახმარი ღირებულება არ იყო, ახლა მუდამ გამოსაყენებელ ფორმაში იმყოფება, რადგან მუდამ გაცვლის უნარმქონეა, და მხოლოდ გაოემოებებზეა დამოკიდებული, თუ როდის და საქონელთა სამყაროს ზედაპირის რომელ პუნქტზე შევა იგი კვლავ მიმოქცევაში. საქონლის ყოფნა ოქროს ჰუპრის სახით დამოუკიდებელ პერიოდს შეადგენს მის ცხოვრებაში, პერიოდს, რომელშიაც იგი მეტ თუ ნაკლებ ხანს შეიძლება დარჩეს. მაშინ როდესაც გაცვლითს ვაჭრობაში ერთი განსაკუთრებული სახმარი ღირებულების გაცვლა უშუალოდ არის დაკავშირებული მეორე გახსაკუთრებული სახმარი ღირებულების გაცვლასთან, საცვლელი ღირებულების შემქმნელი შრომის საყოველთაო ხასიათი ვლინდება ყიდვისა და გაყიდვის აქტების გათიშვასა და ამ აქტების ერთმანეთისაგან ნებისმიერ დაშორიშორებაში.

ფ — ს, ყიდვა, ს — ფ-ის შებრუნებული მოძრაობაა და ამასთანავე — საქონლის მეორე ანუ დასკვნითი მეტამორფოზი. საქონელი ოქროს სახით ანუ თავის მყოფობით როგორც

საყოველთაო ეკვივალენტი აღჭურვილია იმის უნარით, რომ გამოხატულ იქნას ყველა სხვა საქონლის სახმარი ღირებულებით; ეს სხვა საქონელნი თავიანთ ფასებში ყველანი მიისწრაფვიან ოქროსაკენ როგორც თავიანთი მიღმური არსებობისაკენ, მაგრამ ამავე დროს გვიჩვენებენ წკრიალა მონეტის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა მათი სხეულები, სახმარი ღირებულებანი, ფულის მხარეზე გადავიდნენ, ხოლო მათი სული, საცვლელი ღირებულება, თვით ოქროში შევიდეს. საქონელთა გასხვისების საყოველთაო პროდუქტია აბსოლუტურად გასასხვისებელი საქონელი. საქონლად ოქროს გადაქცევისათვის არ არსებობს არავითარი თვისებრივი ზღუდე, არსებობს მხოლოდ რაოდენობრივი ზღუდე, განსაზღვრული მისი საკუთარი რაოდენობით ანუ ღირებულების სიდიდით. «ნაღდ ფულზე ყველაფრის შეძენა შეიძლება». მაშინ როდესაც საქონელი მოძრაობაში ს — ფ, იმით, რომ ასხვისებს თავის თავს როგორც სახმარ ღირებულებას, ანაღდებს თავის საკუთარ ფასს და სხვისი ფულის სახმარ ღირებულებას, მოძრაობაში ფ — ს იგი, იმით, რომ ასხვისებს თავის თავს როგორც საცვლელ ღირებულებას, ანაღდებს თავის საკუთარ სახმარ ღირებულებას და სხვა საქონლის ფასს. თუ საქონელი თავისი ფასის რეალიზაციით ოქროს ნამდვილ ფულად გარდაქმნის, სამაგიეროდ თავისი უკუგარდაქმნით იგი ოქროს თავის საკუთარ მხოლოდ წარმავალ ფულად მყოფობად გარდაქმნის. რადგან საქონელთა მიმოქცევა შრომის განვითარებულ დანაწილებას გულისხმობს, მაშასადამე, გულისხმობს ცალკეული პიროვნების მოთხოვნილებათა მრავალმხრივობას შებრუნებული შეფარდებით მისი პროდუქტის ცალმხრივობასთან, — ამიტომ ყიდვა ფ — ს ხან ერთ საქონელ-ეკვივალენტთან წარმოგვიდგება განტოლების სახით, ხან კი მთელ რიგ საქონელ-ეკვივალენტებად დაიშლება, რომლებიც ახლა მყიდველის მოთხოვნილებათა მოცულობით და მისი ფულადი თანხის სიდიდით არიან წრეშემოვლებული.— როგორც გაყიდვა იმავე დროს ყიდვაც არის, ასევე ყიდვა იმავე დროს გაყიდვაც არის,

ფ — ს იმავე დროს არის ს — ფ, მაგრამ ინიციატივა აქ ოქროს, ანუ მყიდველს ეკუთვნის.

თუ ჩვენ ახლა დავუბრუნდებით მთლიანად აღებულ მიმოქცევას — ს — ფ — ს, აღმოჩნდება, რომ საქონელი მასში თავის მეტამორფოზთა სრულ რიგს გაივლის. მაგრამ იმავდროულად, როდესაც საქონელი მიმოქცევის პირველ ნახევარს იწყებს და პირველ მეტამორფოზს ასრულებს, მეორე საქონელი მიმოქცევის მეორე ნახევარში შედის, თავის მეორე მეტამორფოზს ასრულებს და მიმოქცევიდან გამოდის, პირველი საქონელი კი, პირიქით, მიმოქცევის მეორე ნახევარში გადადის, თავის მეორე მეტამორფოზს ასრულებს და მიმოქცევიდან გამოდის, მაშინ როდესაც მესამე საქონელი მიმოქცევაში შედის, თავისი გზის პირველ ნახევარს გაივლის და პირველ მეტამორფოზს ასრულებს. მაშასადამე, ერთობლივი მიმოქცევა ს — ფ — ს, როგორც საქონლის სრული მეტამორფოზი, ამასთანავე ერთად ყოველთვის წარმოადგენს მეორე საქონლის ერთობლივი მეტამორფოზის დასასრულს და მესამე საქონლის ერთობლივი მეტამორფოზის დასაწყისს, მაშასადამე, წარმოადგენს რიგს, რომელსაც არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. თვალსაჩინოებისათვის, რათა საქონელნი ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, აღვნიშნოთ ს ორსავე კიდურზე სხვადასხვაგვარად, მაგალითად, ასე: ს′—ფ—ს″. არსებითად პირველი რგოლი ს′ — ფ გულისხმობს, რომ ფ შედეგია მეორე ს — ფ-ის, ე. ი. თვითონ იგი მხოლოდ უკანასკნელი წევრია ს — ფ — ს′-ის, მაშინ როდესაც მეორე რგოლი ფ — ს″ თავისი შედეგით ს″ — ფ არის, ე. ი. თვითონ წარმოგვიდგება როგორც ს″ — ფ — ს‴-ის პირველი რგოლი და ა. შ. შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელი რგოლი ფ — ს, თუმცა ფ მხოლოდ ე რ თ ი გაყიდვის შედეგი არის, შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც (ფ — ს′) + (ფ — ს″) + (ფ — ს‴) + და ა. შ., მაშასადამე, შეიძლება დაიშალოს ყიდვის მრავალ აქტად, ე. ი. გაყიდვის მრავალ აქტად, ე. ი. საქონელთა ახალი ერთობლივი მეტამორფოზების მრავალ პირველ რგოლად. მაშასადამე, თუ

ცალკეული საქონლის ერთობლივი მეტამორფოზი არა მხოლოდ მეტამორფოზთა უდასაწყისო და უდასასრულო ჯაჭვის რგოლად, არამედ მრავალი ასეთი ჯაჭვის რგოლად წარმოგვიდგება, სამაგიეროდ, საქონელთა სამყაროს მიმოქცევის პროცესი, — რადგან ყოველი ცალკეული საქონელი გაივლის მიმოქცევას ს — ფ — ს, — წარმოგვიდგება ამ მოძრაობის ჯაჭვთა უსასრულოდ გადაწნულ ხლართად, მოძრაობისა, რომელიც უსასრულოდ სხვადასხვა პუნქტზე მუდამ მთავრდება და მუდამ ხელახლა იწყება. მაგრამ ამასთანავე ყოველი ცალკეული ყიდვა ან გაყიდვა არსებობს განურჩეველი და იზოლირებული აქტის სახით, რომლის დამსრულებელი აქტი შეიძლება დროით და სივრცით მისგან განშორებული იყოს და, მაშასადამე, არაა საჭირო, რომ იგი უშუალოდ უერთდებოდეს მას როგორც მისი განგრძობა. რადგან მიმოქცევის თვითეული განსაკუთრებული პროცესი ს — ფ ან ფ — ს, როგორც ერთი საქონლის გარდაქმნა სახმარ ღირებულებად და მეორე საქონლისა — ფულად, როგორც პირველი და მეორე სტადია მიმოქცევისა, ორი მიმართულებით შეჩერების დამოუკიდებელ პუნქტს ქმნის, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველა საქონელი მათი საერთო საყოველთაო ეკვივალენტის, ოქროს, სახით თავის მეორე მეტამორფოზს იწყებს და მიმოქცევის მეორე ნახევრის ამოსავალ პუნქტს იკავებს, — ამიტომ ნამდვილ მიმოქცევაში ყოველი ფ — ს წაებმის ყოველ ს — ფ-ს, ერთი საქონლის ცხოვრების მეორე ფაზა წაებმის მეორე საქონლის ცხოვრების პირველ ფაზას. მაგალითად, A ჰყიდის რკინას 2 გირვანქა სტერლინგად, მაშასადამე, ასრულებს ს — ფ-ს, ანუ საქონელ რკინის პირველ მეტამორფოზს, მაგრამ ყიდვას შემდგომი დროისთვის გადადებს. იმავე დროს B, რომელმაც ორი კვირის წინათ 2 კვარტერი ხორბალი 6 გირვანქა სტერლინგად გაყიდა, ამ 6 გირვანქით სერთუკსა და შარვალს ყიდულობს «მოზეს და შვილის» ფირმისაგან, ე. ი. ასრულებს ფ — ს-ს, ანუ საქონელ ხორბლის მეორე მეტამორფოზს. ეს ორივე აქტი, ფ — ს და ს — ფ, წარმოგვიდგება აქ მხოლოდ როგორც

რგოლები ერთი ჯაჭვისა, რადგან ფ-ში, ოქროში, ერთ საქონელს ისეთივე სახე აქვს, როგორიც მეორეს, და ოქროს მიხედვით შეუძლებელია გავარჩიოთ, გარდაქმნილი რკინაა იგი თუ — გარდაქმნილი ხორბალი. ამრიგად, მიმოქცევის ნამდვილ პროცესში ს — ფ — ს წარმოგვიდგება სხვადასხვა ერთობლივი მეტამორფოზის ნაირფეროვნად გაბნეული რგოლების უსასრულოდ შემთხვევითი თანაარსებობისა და თანამიმდევრობის სახით. მაშასადამე, მიმოქცევის ნამდვილი პროცესი გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა არა როგორც ერთობლივი მეტამორფოზი საქონლისა, არა როგორც მოპირისპირე ფაზების გამვლელი მოძრაობა საქონლისა, არამედ, — როგორც უბრალო აგრეგატი მრავალი ერთიმეორის გვერდით მიმდინარე ან ერთიმეორის მიმდევნო შემთხვევითი ყიდვა-გაყიდვისა. ამრიგად, ამ პროცესის ფორმაგანსაზღვრულობა გამქრალია, და გამქრალია მით უფრო სრულად, რომ მიმოქცევის ყოველი ცალკეული აქტი, მაგალითად, გაყიდვა, წარმოადგენს ამასთანავე თავის დაპირისპირებას, ყიდვას, და პირიქით. მეორე მხრივ, მიმოქცევის პროცესი საქონელთა სამყაროს მეტამორფოზების მოძრაობა ა რ ი ს და ამიტომ იგი უნდა ასახავდეს აგრეთვე ამ მოძრაობას თავის ერთობლივ მოძრაობაში. თუ როგორ ასახავს იგი ამ მოძრაობას, ჩვენ ამას შემდგომ განყოფილებაში განვიხილავთ. აქ კი საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ს — ფ — ს-ში ორივე კიდური წევრი ს, თავისი ფორმით, ერთნაირ მიმართებაში არაა ფ-თან. პირველი ს მიმართებაშია ფულთან როგორც განსაკუთრებული საქონელი საყოველთაო საქონელთან, მაშინ როდესაც ფული მიმართებაშია მეორე ს-თან როგორც საყოველთაო საქონელი ცალკეულ საქონელთან. მაშასადამე, აბსტრაქტულლოგიკურად ს — ფ — ს შეიძლება დაყვანილ იქნას სილოგიზმის ფორმამდე გ — ს — ც, სადაც განსაკუთრებულობა შეადგენს პირველ კიდურ წევრს, საყოველთაობა — შემაერთებელ შუა წევრს და ცალკეულობა — უკანასკნელ კიდურ წევრს.

საქონელმფლობელნი მიმოქცევის პროცესში შევიდნენ როგორც საქონელთა მცველნი. ამ პროცესის სფეროში ისინი ერთმანეთის პირისპირ გამოდიან მყიდველთა და გამყიდველთა დაპირისპირებული ფორმით, ერთი — როგორც გაპიროვნებული შაქრის თავი, მეორე — როგორც გაპიროვნებული ოქრო. როგორც კი შაქრის თავი ოქროდ იქცევა, გამყიდველი მყიდველი ხდება. მაშასადამე, ეს სხვადასხვა განსაზღვრული სოციალური ხასიათი სრულიადაც არ გამომდინარეობს ადამიანის ინდივიდუალობიდან საერთოდ, არამედ იგი გამომდინარეობს იმ ადამიანთა გაცვლითი ურთიერთობიდან, რომელნიც თავიანთ პროდუქტებს საქონლის განსაზღვრული ფორმით აწარმოებენ. მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებული ურთიერთობა იმდენად არაა წმინდა ინდივიდუალური ურთიერთობა, რომ ისინი ამ ურთიერთობაში შედიან იმდენად, რამდენადაც მათი ინდივიდუალური შრომა უარიყოფა, სახელდობრ, რამდენადაც ეს შრომა, როგორც არა ინდივიდუალური, ფულად იქცევა. ამიტომ, როგორც ისაა უაზრობა, რომ მყიდველისა და გამყიდველის ეს ეკონომიურად სხვადასხვა ბურჟუაზიული ხასიათი ადამიანის ინდივიდუალობის მარადიულ საზოგადოებრივ ფორმებად მივიჩნიოთ, ასევე უმართებულოა მოთქმა იმის გამო, რომ ეს სხვადასხვა ხასიათი თითქოს ინდივიდუალობას სპობდეს[1].

---

1 თუ რაოდენ ღრმა ჭრილობას აყენებს კეთილ ადამიანთა გულს იმ ანტაგონიზმის სრულიად ზერელე ფორმაც კი, რომელიც ყიდვა-გაყიდვით გამოიხატება, გვიჩვენებს შემდეგი ამონაწერი ბ-ნ ისააკ პერეირის წიგნიდან: «Leçons sur l'industrie et les finances». Paris 1832. ის გარემოება, რომ ეს ისააკი, როგორც «Crédit mobilier»-ს გამომგონი და დიქტატორი, პარიზის ბირჟის მგელია, რომელიც ცუდი სახელით სარგებლობს, ამასთანავე გვიჩვენებს, თუ რა ფასი უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ეკონომიის ამ სანტიმენტალურ კრიტიკას. ბ-ნი პერეირი, მაშინ ჯერ კიდევ სენ-სიმონის მოციქული, ამბობს: «იმის გამო, რომ ინდივიდები იზოლირებულნი, ერთმანეთს მოშორებულნი არიან როგორც თავიანთ შრომაში, ისე მოხმარებაში, მათ შორის ადგილი აქვს მათი სათანადო წარმოების პროდუქტების ურთიერთგაცვლას. გაცვლის აუცილებლობიდან წარმოდგა საგანთა შეფარდებითი ღირებულების განსაზღვრის აუცილებლობა. ამრიგად, ღირებულებისა

ისინი წარმოადგენენ ინდივიდუალობის აუცილებელ გამოხატულებას საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის განსაზღვრული საფეხურის საფუძველზე. გარდა ამისა, მყიდველისა და გამყიდველის დაპირისპირება ბურჟუაზიული წარმოების ანტაგონისტურ ბუნებას ჯერ კიდევ ისე ზერელედ და ფორმალურად გამოსახავს, რომ ეს დაპირისპირება წინაბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ფორმებსაც ახასიათებს, რადგან იგი მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ინდივიდები ურთიერთობაში იყვნენ ერთიმეორესთან როგორც საქონელმფლობელნი.

თუ ჩვენ ახლა ს — ფ — ს-ის შედეგს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ეს შედეგი ნივთიერებათა ცვლაში, ს — ს-ში, მდგომარეობს. საქონელი გაიცვალა საქონელზე, სახმარი ღირებულება — სახმარ ღირებულებაზე, და საქონლის ფულად ქცევა, ანუ საქონელი როგორც ფული, მხოლოდ ნივთიერებათა ამ ცვლის გამეშვეებას ემსახურება. ამრიგად, ფული წარმოგვიდგება როგორც მხოლოდ საქონელთა გაცვლის საშუალება, მაგრამ არა როგორც გაცვლის საშუალება საერთოდ, არამედ გაცვლის ისეთი საშუალება, რომელსაც მიმოქცევის პროცესი ახასიათებს, ე. ი. როგორც მიმოქცევის საშუალება[1].

და გაცვლის იდეები შინაგანად დაკავშირებულია ერთიმეორესთან და ორივე ეს იდეა მათი ახლანდელი ფორმით ინდივიდუალიზმსა და ანტაგონიზმს გამოსახავს... პროდუქტების ღირებულების განსაზღვრა საჭიროა მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს გაყიდვა და ყიდვა, სხვა სიტყვებით, არსებობს ანტაგონიზმი საზოგადოების სხვადასხვა წევრს შორის. ფასით და ღირებულებით დაინტერესება მხოლოდ იქ არის საჭირო, სადაც ადგილი აქვს გაყიდვას და ყიდვას, ე. ი. სადაც ყოველი ინდივიდი იძულებულია იბრძოლოს იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი თავი იმ საგნებით, რომლებიც მისი არსებობისათვის აუცილებელია (l. c., გვ. 2, 3, passim.).

[1] «ფული მხოლოდ საშუალება და ხერხია, მაშინ როდესაც ცხოვრებისათვის სასარგებლო საქონელნი საბოლოო მიზანს შეადგენენ». Boisguillebert: «Le Detail de la France», 1697, Eugéne Daire-ს კრებულში «Economistes financiers du XVIII siécle», vol. I, Paris 1843, გვ. 210.

იქიდან, რომ საქონელთა მიმოქცევის პროცესი ს — ს-ით ამოიწურება და ამიტომ ისე გვეჩვენება, თითქოს იგი მხოლოდ ფულის მეშვეობით წარმოებული გაცვლითი ვაჭრობა იყოს, ანდა იქიდან, რომ საერთოდ ს — ფ — ს არათუ ორ იზოლირებულ პროცესად დაიშლება, არამედ ამასთანავე მოძრაობაში მყოფ მათ ერთიანობასაც გამოხატავს, — აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ყიდვასა და გაყიდვას შორის მხოლოდ ერთიანობა არსებობს და არა — განცალკევება, ეს იქნებოდა აზროვნების ისეთი წესის გამომჟღავნება, რომლის კრიტიკა ეკუთვნის ლოგიკისა და არა პოლიტიკური ეკონომიის სფეროს. ყიდვისა და გაყიდვის ერთმანეთისაგან განცალკევება გაცვლის პროცესში არღვევს ნივთიერებათა საზოგადოებრივი ცვლის ადგილობრივ, პირველყოფილ, ტრადიციულად მყუდრო, გულუბრყვილო-შეუსაბამო საზღვრებს; ამასთანავე ერთად იგი წარმოადგენს ამ ცვლის ერთმანეთთან დაკავშირებული მომენტების გათიშვისა და მათი ერთიმეორისადმი მტკიცედ დაპირისპირების საყოველთაო ფორმას; ერთი სიტყვით, ეს არის ვაჭრობის კრიზისების საყოველთაო შესაძლებლობა, მაგრამ — მხოლოდ იმიტომ, რომ საქონლისა და ფულის დაპირისპირება აბსტრაქტული და საყოველთაო ფორმაა ყველა იმ დაპირისპირებულობისა, რომელთაც ბურჟუაზიული შრომა შეიცავს. ამიტომ ფულის მიმოქცევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს უკრიზისებოდ, მაგრამ კრიზისებს შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს ფულის მიმოქცევის გარეშე. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც კერძო გაცვლაზე დამყარებული შრომა ჯერ კიდევ არ განვითარებულა ფულის შექმნამდე, მას, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ნაკლებად შეუძლია გამოიწვიოს ის მოვლენები, რომელთაც ბურჟუაზიული წარმოებითი პროცესის სრული განვითარება გულისხმობს. აქედან შეიძლება ჯეროვანად შევაფასოთ მთელი სიღრმე იმ კრიტიკისა, რომელსაც სწადია ძვირფას ლითონთა «პრივილეგიის» გაუქმების გზით და ეგრეთ წოდებული «ფულის რაციონალური სისტემის» საშუალებით «მოსპოს» ბურჟუაზიული წარმოების «მანკიერებანი».

მეორე მხრივ, ეკონომიური აპოლოგეტიკის ნიმუშის სახით საკმარისია მოვიხსენიოთ ერთი თვალსაზრისი, რომელიც გახმაურებული იყო როგორც არაჩვეულებრივად მახვილგონიერი. ჯემს მილი, ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილის მამა, ამბობს: «არასოდეს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მყიდველთა ნაკლებობას ყველა საქონლისათვის. ვისაც საქონელი აქვს გასაყიდად გამოტანილი, იმას რაიმე სხვა საქონლის მიღება სურს სამაგიეროდ და, მაშასადამე, იგი მყიდველია უკვე მარტო იმ ფაქტის გამო, რომ ის გამყიდველია. მაშასადამე, ყველა საქონლის მყიდველები და გამყიდველები, ერთად აღებულნი, მეტაფიზიკური აუცილებლობის ძალით წონასწორობას უნდა ინარჩუნებდნენ. მაშასადამე, თუ ერთი საქონლის გამყიდველი მეტია, ვიდრე მყიდველი, მეორე საქონლის მყიდველი მეტი უნდა იყოს, ვიდრე გამყიდველი» [1]. მილი ამ წონასწორობას იმით ამყარებს, რომ მიმოქცევის პროცესს უშუალო გაცვლითს ვაჭრობად აქცევს, შემდეგ კი ამ უშუალო გაცვლითს ვაჭრობაში მას კვლავ შეჰყავს კონტრაბანდული გზით მიმოქცევის პროცესიდან აღებული მყიდველისა და გამყიდველის ფიგურები. მი-

---

[1] 1807 წლის ნოემბერში ინგლისში გამოვიდა ვილიამ სპენსის თხზულება შემდეგი სათაურით: «Britain independent of commerce», რომლის ძირითადი იდეა ვილიამ კობეტმა თავის «Political register»-ში «Perish commerce»-ის უფრო მკვეთრი ფორმით განავითარა. მის წინააღმდეგ 1808 წელს ჯემს მილმა გამოაქვეყნა თავისი თხზულება: «Defence of commerce», სადაც უკვე მოიპოვება ის არგუმენტი, რომელიც, მისი «Elements of political economy»-დან ამოღებული, ჩვენ მიერ ტექსტშია მოყვანილი. თავის პოლემიკაში სისმონდისა და მალთუსის წინააღმდეგ ვაჭრობის კრიზისების შესახებ ჟ. ბ. სეიმ მიითვისა ეს მოხერხებული ნაპოვარი, და რადგან შეუძლებელი იყო იმის გამოცნობა, თუ რა ახალი იდეით გაამდიდრებდა ეს კომიკური «თავადი მეცნიერებისა» («prince de la science») პოლიტიკურ ეკონომიას, — მისი დამსახურება უფრო იმ მიუდგომლობაში მდგომარეობდა, რომლითაც იგი თავის თანამედროვეთა — მალთუსის სისმონდისა და რიკარდოს — აზრებს თანაბრად ამახინჯებდა, — ამიტომ მისმა კონტინენტურმა თაყვანისმცემლებმა ზეიმით გამოაცხადეს, რომ მან, მიაგნო ამ განძს — ყიდვისა და გაყიდვის მეტაფიზიკური წონასწორობის იდეას.

სი არეული ენით თუ ვიტყვით, ისეთ მომენტებში, როდესაც ყველა საქონელი გაუსაღებელი რჩება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ლონდონსა და ჰამბურგში 1857—1858 წწ. ვაჭრობის კრიზისის განსაზღვრულ პერიოდებში, ნამდვილად ერთი საქონლის, სახელდობრ, ფულის, მყიდველი მეტია, ვიდრე გამყიდველი, და ყველა სხვა ფულის, სახელდობრ საქონელთა, გამყიდველი მეტია, ვიდრე მყიდველი. ყიდვისა და გაყიდვის მეტაფიზიკური წონასწორობა იმით შემოისაზღვრება, რომ ყოველი ყიდვა გაყიდვას და ყოველი გაყიდვა ყიდვას წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით სანუგეშოს არას შეიცავს საქონელმფლობელთათვის, რომელნიც გაყიდვას და, მაშასადამე, ყიდვასაც ვერ ახერხებენ 1.

გაყიდვისგან ყიდვის განცალკევება შესაძლებლად ხდის იმას, რომ ნამდვილ ვაჭრობასთან ერთად თავს იჩენს მრავალი ფიქციური გარიგება საბოლოო გაცვლამდე საქონლის მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის. იგი შესაძლებლობას აძლევს პარაზიტთა მასას წარმოების პროცესის სფეროში შეიჭრან და ამ გათიშვით ისარგებლონ. მაგრამ ეს კვლავ იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ ფულთან, როგორც

---

1 თუ რანაირად გამოხატავენ ეკონომისტები საქონლის სხვადასხვა ფორმაგანსაზღვრულობას, ეს შეიძლება მკითხველმა შემდეგი მაგალითებიდან დაინახოს: «როდესაც ფულის მფლობელნი ვართ, ჩვენ მხოლოდ ერთი გაცვლა უნდა შევასრულოთ, რათა სასურველი საგანი მივიღოთ, ხოლო თუ ჩვენ სხვა პროდუქტები გვაქვს, ჩვენთვის ზედმეტი პროდუქტები, მაშინ ორი გაცვლა უნდა შევასრულოთ, რომელთაგან პირველი (ფულის მიღება) გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მეორე» (G. Opdyke: «A treatise on political economy». New York 1851, გვ. 277 — 278).

«ფულის უფრო დიდი მყიდველობითი უნარი პირდაპირი და ბუნებრივი შედეგია საქონელთა ნაკლები მყიდველობითი უნარისა» (Th. Corbet: «An inquiry into the causes and modes of the wealth of individuals etc». London 1841, გვ. 117). «ფულს აქვს თვისება ყოველთვის გაიცვალოს იმაზე, რასაც გაზომავს». (Bosanquet: Metallic, paper and credit currency etc» London 1842, გვ. 100).

«ფულს ყოველთვის შეუძლია სხვა საქონელთა ყიდვა, მაშინ როდესაც სხვა საქონელთ ყოველთვის არ შეუძლიათ ფულის ყიდვა» Th. Tooke: «An inquiry into the currency principle», 2-ed, London 1844, გვ. 10).

ბურჟუაზიული შრომის საყოველთაო ფორმასთან, ერთად მოცემულია ამ ბურჟუაზიული შრომის წინააღმდეგობათა განვითარების შესაძლებლობაც.

b) ფულის ტრიალი

ნამდვილი მიმოქცევა წარმოგვიდგება უწინარეს ყოვლისა როგორც მასა შემთხვევით ერთიმეორის გვერდით მიმდინარე ყიდვა-გაყიდვისა. როგორც ყიდვაში, ისე გაყიდვაში, საქონელი და ფული ერთიმეორეს უპირისპირდება ყოველთვის ერთი და იმავე მიმართებით: გამყიდველი — საქონლის მხარეზე, მყიდველი — ფულის მხარეზე. ამიტომ ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება, გვევლინება ყოველთვის ყიდვის საშუალების სახით, რის გამოც მისი განსხვავებული დანიშნულებანი საქონლის მოპირდაპირე მეტამორფოზების ფაზებში შეუმჩნეველი ხდება.

ფული გამყიდველის ხელში იმავე აქტით გადადის, რომლითაც საქონელი მყიდველის ხელში გადადის. მაშასადამე, საქონელი და ფული მოძრაობს ერთიმეორის მოპირისპირე მიმართულებით, და ეს ადგილცვლა, რომლითაც საქონელი ერთ მხარეზე დგება, ფული კი — მეორე მხარეზე, ხდება ერთდროულად განუსაზღვრელად უამრავ ადგილას ბურჟუაზიული საზოგადოების მთელ ზედაპირზე. მაგრამ ის პირველი ნაბიჯი, რომელსაც საქონელი მიმოქცევაში გადადგამს, ამასთანავე მისი უკანასკნელი ნაბიჯიც არის[1]. გამოიცვლის იგი ადგილს იმიტომ, რომ ოქროს მიიზიდავს (ს—ფ), თუ იმიტომ, რომ მას ოქრო მიიზიდავს (ფ—ს), სულ ერთია, ყოველი ამ მოძრაობით, ადგილის ყოველი გამოცვლით იგი მიმოქცევიდან მოხმარების სფეროში გადადის. მიმოქცევა

---

1 ერთი და იგივე საქონელი შეიძლება მრავალჯერ იქნას ნაყიდი და ხელახლა გაყიდული. მაშინ იგი მიმოიქცევა არა როგორც უბრალო საქონელი, არამედ როგორც საქონელი ისეთი დანიშნულებით, რომელიც მარტივი მიმოქცევის, საქონლისა და ფულის მარტივი დაპირისპირების, თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არსებობს.

შეუწყვეტელი მოძრაობაა საქონელთა, მაგრამ — მუდამ სხვა საქონელთა, და ყოველი საქონელი მხოლოდ ერთხელ ასრულებს მოძრაობას. თვითეული საქონელი თავისი მიმოქცევის მეორე ნახევარს იწყებს არა როგორც იგივე საქონელი, არამედ—როგორც სხვა საქონელი, როგორც ოქრო. ამრიგად, გარდაქმნილი საქონლის მოძრაობა ოქროს მოძრაობაა. იგივე ფული (Sfück Geld) ანუ ოქროს იგივე ნაჭერი, რომელმაც აქტში ს—ფ ერთხელ შეიცვალა ადგილი ერთ საქონელთან, გვევლინება, პირიქით, კვლავ როგორც ფ—ს-ის ამოსავალი პუნქტი და მეორეჯერ იცვლის ადგილს მეორე საქონელთან. როგორც ფული B მყიდველის ხელიდან A გამყიდველის ხელში გადავიდა, ასევე ახლა იგი მყიდველად გადაქცეული A-ს ხელიდან C-ს ხელში გადადის. ამრიგად, საქონლის ფორმის მოძრაობა, საქონლის ფულად გარდაქმნა და ფულიდან მისი უკუგარდაქმნა, ანუ საქონლის ერთობლივი მეტამორფოზის მოძრაობა წარმოგვიდგება როგორც გარეგნული მოძრაობა ერთი და იმავე ფულისა (Geldstücks), რომელიც ორჯერ იცვლის ადგილს ორ სხვადასხვა საქონელთან. თუმცა ყიდვისა და გაყიდვის აქტები ერთიმეორის გვერდით სრულდება შემთხვევით და უწესრიგოდ, მაგრამ ნამდვილ მიმოქცევაში მყიდველს ყოველთვის უპირისპირდება გამყიდველი, და ფულმა, რომელიც გაყიდული საქონლის ადგილზე გადადის, სანამ იგი მყიდველის ხელში მივიდოდეს, უკვე ერთხელ ადგილი უნდა გამოიცვალოს სხვა რომელსამე საქონელთან. მეორე მხრივ, ფული ადრე თუ გვიან კვლავ გადადის გამყიდველის ხელიდან, რომელიც მყიდველი გახდა, ახალი გამყიდველის ხელში და თავისი ადგილცვლის ამ ხშირი განმეორებით იგი გამოხატავს საქონელთა მეტამორფოზების გადაბმულობას. ამრიგად, ერთი და იგივე ფული (Geldstücke) მოძრაობს ყოველთვის საქონელთა მოძრაობისადმი დაპირისპირებული მიმართულებით; ზოგი ფული მოძრაობს უფრო ხშირად, ზოგიც—უფრო იშვიათად,—გადადის მიმოქცევის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას და, ამიტომ, შეამოხაზავს მიმოქცევის უფრო გრძელ თუ უფრო მოკლე რკალს.

ერთი და იმავე ფულის (Geldstücks) ეს სხვადასხვა მოძრაობა მხოლოდ დროის მიხედვით შეიძლება ერთიმეორეს მიჰყვებოდეს, ისევე როგორც, პირიქით, ყიდვისა და გაყიდვის მრავალრიცხოვნობა და დაქსაქსულობა გვევლინება საქონელთა და ფულის იმავდროულ, სივრცეში ერთიმეორის გვერდით მიმდინარე ერთგზისი ადგილცვლის სახით.

საქონელთა მიმოქცევა ს—ფ—ს თავისი მარტივი ფორმით ისეთნაირად ხდება, რომ ფული მყიდველის ხელიდან გამყიდველის ხელში და მყიდველად ქცეული გამყიდველის ხელიდან ახალი გამყიდველის ხელში გადადის. ამით თავდება საქონლის მეტამორფოზი და, მაშასადამე, ფულის მოძრაობაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი ამ მეტამორფოზის გამომსახველია. მაგრამ რადგან ახალი სახმარი ღირებულება მუდამ უნდა იწარმოებოდეს საქონლის სახით და, მაშასადამე, მუდამ ხელახლა უნდა შედიოდეს მიმოქცევაში, ამიტომ პროცესი ს—ფ—ს მეორდება და განახლდება ხოლმე იმავე საქონელმფლობელთა მიერ. ფული, რომელიც დახარჯეს მათ როგორც მყიდველებმა, მათვე უბრუნდება, როგორც კი ისინი ხელახლა საქონლის გამყიდველთა სახით გამოდიან. ამრიგად, საქონელმიმოქცევის მუდმივი განახლება იმაში აისახება, რომ ფული არათუ მუდამ გადადის ერთი ხელიდან მეორეში ბურჟუაზიული საზოგადოების მთელს ზედაპირზე, არამედ ამასთანავე ერთად შემოხაზავს ბევრ სხვადასხვა პატარ-პატარა წრებრუნვას, გამოდის რა უსასრულოდ მრავალი პუნქტიდან და უბრუნდება რა იმავე პუნქტებს, რათა იგივე მოძრაობა ხელახლა გაიმეოროს.

საქონლის ფორმაცვლა ფულის უბრალო ადგილცვლად გვევლინება და მიმოქცევის მოძრაობის უწყვეტობა მთლიანად ფულის ხვედრი ხდება, რადგან საქონელი ყოველთვის მხოლოდ ერთ ნაბიჯს აკეთებს ფულის მოძრაობისადმი დაპირისპირებული მიმართულებით, ფული კი მუდამ მეორე ნაბიჯს აკეთებს საქონლის მაგიერ და A-ს ამბობს იქ, სადაც საქონელმა B თქვა; ამიტომ ისე გვეჩვენება, თითქოს მთელი მოძრაობა ფულიდან მომდინარეობდეს, თუმცა საქო-

ნელი, გაყიდვის დროს, ფულს მიიზიდავს მისი ადგილიდან, მაშასადამე, იმგვარადვე მიმოაქცევს ფულს, როგორც ყიდვის დროს ფული მიმოაქცევს საქონელს. შემდეგ, რადგან ფული საქონელს ყოველთვის ერთი და იმავე მიმართებით ჯპირისპირდება, სახელდობრ, როგორც ყიდვის საშუალება, ხოლო როგორც ასეთი იგი საქონელს მხოლოდ მისი ფასის რეალიზაციის გზით ამოძრავებს,—ამიტომ მიმოქცევის მთელი მოძრაობა ისე წარმოგვიდგება, რომ ფული საქონელთან ადგილს იცვლის იმით, რომ მის ფასს ახორციელებს, სულ ერთია მოხდება ეს იმავდროულად ერთიმეორის გვერდით მიმდინარე განსაკუთრებული სამიმოქცევო აქტების გზით, თუ თანამიმდევრობით, როცა ერთი და იგივე ფული (Geldstück) სხვადასხვა საქონლის ფასებს რიგრიგობით ახორციელებს. თუ ჩვენ, მაგალითად, ს—ფ—ს'—ფ—ს''—ფ—ს''' და ა. შ. ისე განვიხილავთ, რომ ყურადღებას არ მივაქცევთ თვისებრივ მომენტებს, რომლებიც მიმოქცევის ნამდვილ პროცესში უხილავი ხდებიან,—მაშინ მხოლოდ ერთსა და იმავე მონოტონურ ოპერაციას დავინახავთ. ფული, მას შემდეგ, რაც მან ს-ის ფასი განახორციელა, განახორციელებს რიგრიგობით ს'-ის — ს''-ის და სხვ. ფასებს და საქონელნი ს'—ს''—ს''' და სხვ. მუდამ ფულის მიერ დატოვებულ ადგილს იკავებენ. ამიტომ ისე გვეჩვენება, თითქოს ფული მიმოაქცევს საქონელთ, რაკი იგი ამ უკანასკნელთა ფასების რეალიზაციას ახდენს. ამ ფუნქციით, რომელიც ფასების რეალიზაციაში მდგომარეობს, ფული თვითონ მიმოიქცევა მუდამ, როცა იგი ხან ადგილს იცვლის მხოლოდ, ხან მიმოქცევის რომელსამე რკალს გაივლის, ხანაც პატარა წრეს შემოხაზავს, სადაც ამოსავალი და დაბრუნების წერტილი ერთიმეორეს ემთხვევა. როგორც მიმოქცევის საშუალებას, ფულს თავისი საკუთარი მიმოქცევა აქვს. ამიტომ მიმოქცევის პროცესში მყოფ საქონელთა ფორმის მოძრაობა წარმოგვიდგება როგორც ფულის საკუთარი მოძრაობა, რომლის მეშვეობითაც თავისთავად უმოძრაო საქონელთა გაცვლა ხდება. ამრიგად, საქონელთა მიმოქცევის პროცესის მოძრაობა წარმოგვიდგება

ოქროს, როგორც მიმოქცევის საშუალების, მოძრაობის სახით—ფულის ტრიალის სახით.

თუ საქონელმფლობელნი თავიანთი კერძო შრომის პროდუქტებს საზოგადოებრივი შრომის პროდუქტებად წარმოგვიდგენდნენ, როდესაც ისინი ერთ ნივთს, სახელდობრ, ოქროს, საყოველთაო სამუშაო დროის უშუალო მყოფობად და, მაშასადამე, ფულად გარდაქმნიდნენ, ახლა მათი საკუთარი ყოველმხრივი მოძრაობა, რომლითაც ისინი თავიანთი შრომის ნივთიერებათა ცვლას ამეშვეებენ, უპირისპირდება მათ როგორც ამ ნივთის თავისებური მოძრაობა, როგორც ოქროს ტრიალი. თვით საზოგადოებრივი მოძრაობა საქონელმფლობელთათვის, ერთი მხრივ, გარეგნული აუცილებლობაა, მეორე მხრივ,—მხოლოდ ფორმალური გამმეშვეებელი პროცესი, რომელიც ყოველ ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს იმ სახმარი ღირებულების სამაგიეროდ, რომელიც მას მიმოქცევაში შეაქვს, გამოიტანოს იქიდან სხვა სახმარი ღირებულებანი, რომელთაც იმავე ოდენობის ღირებულება აქვთ. საქონლის სახმარი ღირებულება იწყება მიმოქცევიდან საქონლის გამოსვლასთან ერთად, მაშინ როდესაც ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, სახმარი ღირებულება თვით მიმოქცევაა. საქონლის მოძრაობა მიმოქცევაში მხოლოდ წარმავალი მომენტია, მაშინ როდესაც მასში განუწყვეტელი მოძრაობა ფულის ფუნქციად იქცევა. ეს სპეციალური ფუნქცია მიმოქცევის პროცესის შიგნით ანიჭებს ფულს როგორც მიმოქცევის საშუალებას ახალ ფორმაგანსაზღვრულობას, რომელიც ჩვენ ახლა უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

უწინარეს ყოვლისა ცხადია, რომ ფულის ტრიალი უსასრულოდ დაწილადებული მოძრაობაა, რადგან მასში აისახება მიმოქცევის პროცესის უსასრულო დაწილადება ყიდვის და გაყიდვის აქტებად და საქონლის მეტამორფოზთა ერთიმეორის შემვსები ფაზების ნებისმიერი განცალკევება. მართალია, ფულის პატარ-პატარა წრებრუნვებში, სადაც ამოსავალი პუნქტი და დაბრუნების პუნქტი ერთიმეორეს ემთხვევა, თავს იჩენს მოძრაობა, რომელსაც უკუდაბრუნების ტენდენ-

ცია აქვს, ნამდვილი წრიული მოძრაობა,—მაგრამ იქ იმდენი ამოსავალი პუნქტია, რამდენიც საქონელი, და უკვე მათი განუსაზღვრელი სიმრავლის გამო ეს წრებრუნვები არავითარ კონტროლს, გაზომვასა და გამოანგარიშებას არ ექვემდებარება. ასევე ნაკლებ განსაზღვრულია დროც ამოსავალი პუნქტიდან საქონლის განშორებასა და ამ პუნქტიდან მის დაბრუნებას შორის. ამასთან სულ ერთია ისიც, რომელსამე მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ასეთ წრებრუნვას თუ არა. არც ერთი ეკონომიური ფაქტი ისე საყოველთაოდ ცნობილი არაა, როგორც ის, რომ ფული შეიძლება ერთი ხელის მიერ დაიხარჯოს ისე, რომ მეორე ხელმა იგი უკან ვერ მიიღოს. ფული უსასრულოდ მრავალი სხვადასხვა პუნქტიდან გადის და უსასრულოდ მრავალ სხვადასხვა პუნქტს უბრუნდება უკანვე, მაგრამ ამოსავალი პუნქტისა და დაბრუნების პუნქტის დამთხვევა შემთხვევითი ხასიათისაა, რადგან მოძრაობაში—ს—ფ—ს მყიდველის უკუგარდაქმნა გამყიდველად აუცილებელ პირობას არ შეადგენს. კიდევ უფრო ნაკლებად გამოხატავს ფულის ტრიალი ისეთ მოძრაობას, რომელიც ერთი ცენტრიდან პერიფერიის ყველა წერტილისკენ განსხივდება და პერიფერიის ყველა წერტილიდან იმავე ცენტრს უბრუნდება. ფულის ეგრეთწოდებული წრიული ტრიალი, როგორც იგი სურათის სახით წარმოგვიდგება, იმით შემოისაზღვრება, რომ ყველა პუნქტზე დასანახი ხდება ფულის გამოჩენა და მისი გაქრობა, მის მიერ ადგილის განუწყვეტელი ცვლა. ფულის მიმოქცევის უფრო მაღალ რთულ ფორმაში, მაგალითად, ბანკნოტების მიმოქცევაში, ჩვენ ვნახავთ, რომ ფულის ხარჯვის პირობები მისი უკან დაბრუნების პირობებს შეიცავენ. ფულის მარტივი მიმოქცევის დროს, პირიქით, სრულიად შემთხვევითია ის გარემოება, რომ იგივე მყიდველი კვლავ გამყიდველი ხდება. იქ, სადაც ფულის მარტივი მიმოქცევისას მუდმივი ხასიათის ნამდვილი წრიული მოძრაობანი მჟღავნდება, ეს მოძრაობანი წარმოების უფრო ღრმა პროცესების ამსახველნი არიან მხოლოდ. მაგალითად, მეფაბრიკეს მოაქვს პარასკევს თავისი ბანკირისგან ფული,

შაბათს იგი იმით თავისი მუშების ხელფასს ისტუმრებს, მუშები ამ ფულის მეტ ნაწილს დაუყოვნებლივ აძლევენ მეწვრილმანეებს და სხვ., ამ უკანასკნელთ კი ეს ფული ორშაბათს ისევ უკან მიაქვთ ბანკირთან.

ჩვენ ვნახეთ, რომ ფული იმავდროულად ახორციელებს ფასთა მოცემულ მასას ყიდვის და გაყიდვის აქტებში, რომლებიც უწესრიგოდ ლაგდებიან ერთიმეორის გვერდით სივრცეში, და რომ იგი ერთხელ იცვლის საქონელთან ადგილს. მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენადაც ფულის მოძრაობაში საქონლის ერთობლივი მეტამორფოზების მოძრაობა და ამ მეტამორფოზების გადაბმულობა ვლინდება, ერთი და იგივე ფული (Geldstück) სხვადასხვა საქონლის ფასებს ახორციელებს და, ამრიგად, ტრიალის მეტ ან ნაკლებ რაოდენობას ასრულებს. ამგვარად, თუ ჩვენ ამა თუ იმ ქვეყნის მიმოქცევის პროცესს ავიღებთ გარკვეული დროის მონაკვეთში, მაგალითად, ერთი დღის განმავლობაში,—ფასების რეალიზაციისათვის და, მაშასადამე, საქონელთა მიმოქცევისათვის საჭირო ოქროს მასა განსაზღვრული იქნება ორი მომენტით: ერთი მხრივ, ამ ფასების საერთო ჯამით, მეორე მხრივ,—ერთი და იმავე ოქროს ფულის (Goldstücke) ტრიალის საშუალო რიცხვით. ტრიალის ეს რიცხვი, ანუ ფულის ტრიალის სისწრაფე, თავის მხრივ კვლავ განისაზღვრება (ან გამოისახება) საშუალო სისწრაფით, რომლითაც საქონელნი თავიანთ მეტამორფოზთა სხვადასხვა ფაზას გაივლიან,—სისწრაფით, რომლითაც ეს მეტამორფოზები ჯაჭვისებურად მისდევენ ერთიმეორეს, იმ სისწრაფით, დასასრულ, რომლითაც საქონელნი, რომელთაც თავიანთი მეტამორფოზები განვლეს, მიმოქცევის პროცესში შენაცვლებულნი ხდებიან ახალი საქონლით. მაშასადამე, მაშინ როდესაც ფასების განსაზღვრის პროცესში ყველა საქონლის საცვლელი ღირებულება იდეალურად იმავე ღირებულების სიდიდის ოქროს რაოდენობად იყო გარდაქმნილი და მიმოქცევის ორსავე იზოლირებულ აქტში: ფ—ს და ს—ფ-ში იმავე ღირებულების ჯამი ორმაგი სახით არსებობდა, ერთ მხარეზე—საქონლის სახით,

მეორე მხარეზე — ოქროს სახით, — ოქროს, როგორც მიმოქცევის საშუალების, არსებობა განისაზღვრება არა მისი იზოლირებული მიმართებით ცალკეული და უმოძრაოდ მყოფი საქონლისადმი, არამედ მისი მოძრავი არსებობით მოძრაობის პროცესში მყოფ საქონელთა სამყაროში; განისაზღვრება მისი ფუნქციით: გამოხატოს თავისი ადგილცვლით საქონელთა ფორმაცვლა, მაშასადამე, თავისი ადგილცვლის სისწრაფით გამოხატოს საქონლის ფორმაცვლის სისწრაფე. მისი ნამდვილი არსებობა მიმოქცევის პროცესში, ე. ი. ნამდვილი ოქროს მასა, რომელიც მიმოიქცევა, განისაზღვრება, მაშასადამე, მისი ფუნქციური არსებობით თვით ერთობლივ პროცესში.

ფულის მიმოქცევის წანამძღვარს წარმოადგენს საქონელთა მიმოქცევა, ამასთან ფული მიმოაქცევს საქონელთ, რომელთაც ფასი აქვთ, ე. ი. რომელნიც იდეალურად უკვე ოქროს განსაზღვრულ რაოდენობასთან არიან გათანატოლებულნი. თვით საქონელთა ფასის განსაზღვრისას ოქროს იმ რაოდენობის ღირებულების სიდიდე, რომელიც საზომ ერთეულად გამოიყენება, ანუ ოქროს ღირებულება მოცემულად იგულისხმება. მაშასადამე, ამ წანამძღვარის მიხედვით მიმოქცევისთვის საჭირო ოქროს რაოდენობა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა საქონელთა სარეალიზაციო ფასების ერთობლივი ჯამით. თვით ეს ერთობლივი ჯამი კი განისაზღვრება: 1) ფასების დონით, ე. ი. ოქროთი შეფასებულ საქონელთა საცვლელი ღირებულების შეფარდებით მაღალი თუ დაბალი დონით და 2) იმ საქონელთა მასით, რომელნიც განსაზღვრული ფასების კვალობაზე მიმოიქცევიან, ე. ი. მოცემულ ფასებში ყიდვისა და გაყიდვის აქტების მასით [1]. თუ

---

1 ფულის მასას მნიშვნელობა არა აქვს, «ოღონდ კი იგი საკმაო იყოს იმ ფასების შესანარჩუნებლად, რომლებიც საქონელთა შესაბამისნი არიან» («pourvu qu'il y en ait assez pour maintenir les prix contractés par les denrées»). Boisguillebert, l. c., გვ. 210. «თუ 400 მილიონი გირვ. სტერლინგის საქონელთა მასის მიმოქცევა 40 მილიონის ოქროს მასას მოითხოვს და ეს პროპორცია $^1/_{10}$-ის ოდენობით ნორმალურ დონეს

ერთი კვარტერი ხორბალი 60 შილინგი ღირს, მისი მიმოქცევისთვის ანუ მისი ფასის რეალიზაციისათვის ორჯერ მეტი ოქროა საჭირო, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ 30 შილინგი ღირს. 500 კვარტერის მიმოქცევისათვის 60 შილინგის კვალობაზე ორჯერ მეტი ოქროა საჭირო, ვიდრე 250 კვარტერის მიმოქცევისათვის იმავე ფასის კვალობაზე. დასასრულ, 10 კვარტერის მიმოქცევისათვის 100 შილინგის კვალობაზე ოქროს იმ რაოდენობის მხოლოდ ნახევარია საჭირო, რაც 40 კვარტერის მიმოქცევისთვის 50 შილინგის კვალობაზე. აქედან ის გამომდინარეობს, რომ მიმოქცევისთვის საჭირო ოქროს რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, მიუხედავად ფასების გადიდებისა, თუ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა უფრო დიდი პროპორციით კლებულობს, ვიდრე ფასების ერთობლივი ჯამი მატულობს, და, პირიქით, მიმოქცევის საშუალებათა მასამ შეიძლება იმატოს, თუ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა კლებულობს, ხოლო მათი ფასების ჯამი უფრო დიდი პროპორციით მატულობს. ინგლისელთა ჩინებული დეტალური გამოკვლევებით დამტკიცებულია, მაგალითად, რომ ინგლისში პურის გაძვირების პირველ სტადიებში მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა მატულობს, რადგან შემცირებული პურის მასის ფასების ჯამი უფრო დიდია, ვიდრე უფრო დიდი პურის მასის ფასების ჯამი იყო, ამასთან ერთად კი დანარჩენ საქონელთა მასის მიმოქცევა ძველი ფასების კვალობაზე დაუბრკოლებლად გრძელდება გარკვეული დროის განმავლობაში. პირიქით, პურის გაძვირების შემდგომ სტადიაში მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა კლებულობს, ან იმიტომ, რომ პურის გვერდით სხვა საქონელთა გაყიდვას ძველ ფასებში ნაკლებად აქვს

წარმოადგენს, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ღირებულება, ბუნებრივი მიზეზების გამო, 450 მილიონამდე გადიდდება, ოქროს მასაც, რათა იგი სათანადო დონეზე დარჩეს, 45 მილიონამდე უნდა გადიდდეს» W. Blake: «Observations on the effects produced by the expenditure of government etc». London 1823, გვ. 42.

ადგილი, ანდა იმის გამო, რომ იმდენივე საქონელი იყიდება უფრო დაბალ ფასებში.

მაგრამ მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა, როგორც ჩვენ ვნახეთ, განისაზღვრება არა მარტო საქონელთა სარეალიზაციო ფასების ერთობლივი ჯამით, არამედ ამასთანავე ერთად სისწრაფითაც, რომლითაც ფული ტრიალებს, ე. ი. რომლითაც იგი დროის გარკვეულ მონაკვეთში ამ რეალიზაციის საქმეს ასრულებს. თუ ერთი და იგივე სოვერენი დღის განმავლობაში საქონლის 10 ყიდვის აქტს ასრულებს, ყოველთვის ერთი სოვერენის ფასის კვალობაზე, მაშასადამე, 10-ჯერ გადადის ხელიდან ხელში, მაშინ იგი ზედმიწევნით იმავე საქმეს ასრულებს, რასაც 10 სოვერენი, რომელთაგან თვითეული დღეში მხოლოდ ერთ ტრიალს აკეთებს [1]. მაშასადამე, ოქროს ტრიალის სისწრაფეს შეუძლია ოქროს რაოდენობის მაგიერობა გასწიოს, ანუ ოქროს მყოფობა მიმოქცევის პროცესში განისაზღვრება არა მარტო საქონლის გვერდით ეკვივალენტის სახით ოქროს მყოფობით, არამედ აგრეთვე მისი მყოფობით საქონელთა მეტამორფოზის მოძრაობის სფეროში. მაგრამ ფულის ტრიალის სისწრაფე მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე ეწევა ოქროს რაოდენობის მაგიერობას, რადგან უსასრულოდ დაწილადებულ ყიდვა-გაყიდვას ყოველ მოცემულ მომენტში სივრცებრივად ერთიმეორის გვერდით აქვს ადგილი.

თუ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ერთობლივი ფასი მატულობს, მაგრამ უფრო ნაკლები პროპორციით, ვიდრე ფულის ტრიალის სისწრაფე მატულობს, მაშინ მიმოქცევის საშუალებათა მასა დაიკლებს. თუ, პირიქით, მიმოქცევის სისწრაფე კლებულობს უფრო დიდი პროპორციით, ვიდრე მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასის ერთობლივი ფასი კლებულობს, მაშინ მიმოქცევის საშუალებათა მასა იმატებს. მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობის ზრდა ფასების

---

[1] «მონეტის ტრიალის სისწრაფის მეოხებითაა და არა ლითონის რაოდენობის გამო ის, რომ მონეტების მცირე რაოდენობაა საკმარისი. Galiani, l. c., გვ. 99.

საყოველთაო დაცემასთან ერთად და ამ საშუალებათა რაოდენობის შემცირება ფასების საყოველთაო მატებასთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესოდ დადასტურებული მოვლენაა საქონელთა ფასების ისტორიაში. მაგრამ მიზეზები, რომლებიც ფასების დონის აწევას და იმავდროულად ფულის ტრიალის სისწრაფის დონის კიდევ უფრო დიდ აწევას იწვევს, ასევე შებრუნებული მოძრაობაც, არ შედის მარტივი მიმოქცევის განხილვის ფარგალში. მაგალითის სახით შეიძლება აღინიშნოს სხვათა შორის ის, რომ კრედიტის გაძლიერების პერიოდებში ფულის ტრიალის სისწრაფე უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე საქონელთა ფასები, მაშინ როდესაც კრედიტის შემცირების დროს საქონელთა ფასები უფრო ნელა კლებულობს, ვიდრე მიმოქცევის სისწრაფე. ფულის მარტივი მიმოქცევის ზერელე და ფორმალური ხასიათი სწორედ იმით მჟღავნდება, რომ მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობის ყველა განმსაზღვრელი მომენტი, როგორიცაა მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა, ფასები, ფასების მატება თუ დაკლება, იმავდროული ყიდვა-გაყიდვის აქტების რაოდენობა, ფულის ტრიალის სისწრაფე, — დამოკიდებელია საქონელთა სამყაროს მეტამორფოზთა პროცესზე, პროცესზე, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია წარმოების წესის საერთო ხასიათზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, ურთიერთობაზე ქალაქსა და სოფელს შორის, ტრანსპორტის საშუალებათა განვითარებაზე, შრომის მეტ თუ ნაკლებ დანაწილებაზე, კრედიტზე და ა. შ.—მოკლედ, იმ გარემოებებზე, რომელნიც ყველანი ფულის მარტივი მიმოქცევის ფარგალს გარეთ მდებარეობენ და ამ მიმოქცევაში მხოლოდ აისახებიან.

თუ მიმოქცევის სისწრაფე მოცემულია, მაშინ მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობა განისაზღვრება, მაშასადამე, მარტივად საქონელთა ფასებით. ამრიგად, ფასები მაღალი ან დაბალი იმიტომ კი არ არის, რომ მეტი ან ნაკლები ფული მიმოიქცევა, არამედ, პირიქით, მეტი ან ნაკლები ფული იმიტომ მიმოიქცევა, რომ ფასები მაღალი ან დაბალია. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური კანონია, რომ-

ლის დეტალურად დამტკიცება საქონელთა ფასების ისტორიის შემწეობით, შესაძლოა, რიკარდოს შემდგომდროინდელი ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ერთადერთი დამსახურება იყოს. თუ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ლითონური მიმოქცევის დონე ანუ მიმოქცევაში მყოფი ოქროს ან ვერცხლის მასა თუმცა დროებითს მიქცევას და მოქცევას ექვემდებარება და ზოგჯერ მეტად ძლიერ მიქცევას და მოქცევასაც [1], მაგრამ საერთოდ უფრო ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში უცვლელია, და გადახრილობა საშუალო დონიდან მხოლოდ სუსტ რყევას წარმოადგენს,—ეს მოვლენა უბრალოდ იმ გარემოებათა დაპირისპირებული ბუნებით აიხსნება, რომელნიც მიმოქცევაში მყოფი ფულის მასას განსაზღვრავენ. ცვლილება, რომელსაც ეს პირობები ერთსა და იმავე დროს განიცდიან, ადუნებს მათ ზეგავლენას და ყველაფერს ძველებურად ტოვებს.

ის კანონი, რომლის თანახმად,—თუ მოცემულია ფულის ტრიალის სისწრაფე და საქონელთა ფასების ჯამი,—მიმოქცევაში მყოფ საშუალებათა რაოდენობა განსაზღვრულ სიდიდეს წარმოადგენს, შეიძლება გამოხატულ იქნას ამნაირადაც: თუ საქონელთა საცვლელი ღირებულება და მათი

---

[1] იმის მაგალითს, თუ როგორ არაჩვეულებრივად დაეცა ლითონური მიმოქცევა მის საშუალო დონეზე დაბლა, იძლეოდა ინგლისი 1858 წელს, როგორც ეს შეიძლება დავინახოთ «London Economist»-იდან აღებულ შემდეგ ამონაწერში: «თვით მოვლენის ბუნების გამო» (სახელდობრ, მარტივი მიმოქცევის დაწილადებული ხასიათის გამო), «შეუძლებელია ზუსტად დაიგნა იმ ნაღდი ფულის რაოდენობისა, რომელიც მიმოქცევაშია ბაზარზე და იმ კლასთა ხელში, რომელნიც არ არიან ბანკებთან დაკავშირებულნი. მაგრამ, შესაძლოა, დიდ მოვაჭრე ნაციათა ზარაფხანების მოქმედება თუ უმოქმედობა წარმოადგენდეს ამ რაოდენობის ცვლილებათა ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელს. ბევრი ფული მოიჭრება, როდესაც ბევრი მოითხოვება, და ცოტა მოიჭრება, როდესაც ცოტა მოითხოვება... ინგლისის ზარაფხანაში მოჭრილი იყო: 1855 წ.—9 245 000 გირვ. სტერლ., 1856 წ.—6 176 000 გირვ. სტერლ., 1857 წ.—5 293 855 გირვ. სტერლ.; 1858 წლის განმავლობაში ზარაფხანას თითქმის სულ არ უმუშავნია» («Economist» July 10, 1858). მაგრამ ამავე დროს ბანკის სარდაფებში ეწყო დაახლოებით 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი ოქრო.

მეტამორფოზების საშუალო სისწრაფე მოცემულია, მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობა დამოკიდებულია მის საკუთარ ღირებულებაზე. ამიტომ, თუ ოქროს ღირებულება, ე. ი. მის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო, გადიდდებოდა ან შემცირდებოდა, საქონელთა ფასები შებრუნებული შეფარდებით გადიდდებოდა ან შემცირდებოდა და ფასების ამ საყოველთაო გადიდების თუ შემცირების შესაბამისი იქნებოდა, ტრიალის სისწრაფის უცვლელობისას, ოქროს უფრო დიდი ან უფრო მცირე მასა, რომელიც საქონელთა იმავე მასის მიმოქცევას დასჭირდებოდა. ასეთსავე ცვლილებას ექნებოდა ადგილი, თუ ღირებულების ძველ საზომს მაღალფასოვანი ან დაბალფასოვანი ლითონი განდევნიდა. ასე, მაგალითად, ჰოლანდიას, როცა მან სახელმწიფოს კრედიტორებისთვის გულმტკივნეული მზრუნველობის გამო და კალიფორნიისა და ავსტრალიის ახლად აღმოჩენილი მადნების შედეგების შიშის გამო ოქროს ფული ვერცხლის ფულით შეცვალა, 14—15-ჯერ მეტი ვერცხლი დასჭირდა, ვიდრე უწინ ოქრო სჭირდებოდა, საქონელთა იმავე მასის მიმოქცევისათვის.

იმ გარემოებიდან, რომ მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობა საქონელთა ფასების ცვალებად ჯამსა და მიმოქცევის ცვალებად სისწრაფეზეა დამოკიდებული, გამომდინარეობს ის, რომ მიმოქცევის ლითონურ საშუალებათა მასას უნდა ჰქონდეს შეკუმშვისა და გაფართოების უნარი, ე. ი. რომ, მიმოქცევის პროცესის მოთხოვნილებისდა მიხედვით, ოქრო ხან უნდა შედიოდეს პროცესში როგორც მიმოქცევის საშუალება, ხან კი ხელახლა უნდა გამოდიოდეს იქიდან. თუ როგორ ახორციელებს თვით მიმოქცევის პროცესი ამ პირობებს, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

c) მონეტა. ღირებულების ნიშანი

ოქრო თავის ფუნქციაში როგორც მიმოქცევის საშუალება განსაკუთრებულ ფორმას (Façon) ღებულობს, იგი მ ო ნ ე ტ ა ხდ ე ბ ა. რათა მის ტრიალს ტექნიკური სიძნელენი არ აბრკო-

ლებდნენ, ოქროს მოჭრა წარმოებს მონეტების სახით საანგარიშო ფულის მასშტაბის შესაბამისად. ოქროს ნაჭრები, რომელთა დამღა და ნაკვთი გვიჩვენებს, რომ ისინი შეიცავენ ოქროს წონითს რაოდენობას, რომელიც აღნიშნულია ფულის საანგარიშო სახელწოდებებით: გირვ. სტერლინგით, შილინგით და ა. შ.,—მონეტებს წარმოადგენენ. როგორც მონეტური ფასის განსაზღვრა, ისე მონეტის მოჭრის ტექნიკური საქმეც სახელმწიფოს ხვედრია. როგორც საანგარიშო ფულის სახით, ისე მონეტის სახით ფული ადგილობრივ და პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს, სხვადასხვა ქვეყნის ენაზე ლაპარაკობს და სხვადასხვა ეროვნულ ტანსაცმელს ატარებს. ამიტომ ის სფერო, სადაც ფული მონეტის სახით მიმოიქცევა, გამოიყოფა საქონელთა სამყაროს საყოველთაო მიმოქცევიდან როგორც საქონელთა შინაგანი მიმოქცევა, რომელიც შემოფარგლულია ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებით.

მაგრამ ოქრო ზოდის სახით და ოქრო მონეტის სახით ერთიმეორისაგან არ განსხვავდება უფრო მეტად, ვიდრე ოქროს მონეტური სახელწოდება ოქროს წონითი სახელწოდებისაგან. ის, რაც უკანასკნელ შემთხვევაში სახელწოდების განსხვავებას წარმოადგენს, პირველ შემთხვევაში განსხვავებაა მხოლოდ გარეგანი ფორმის მხრივ. ოქროს მონეტა შეიძლება ჩაგდებულ იქნას სადნობ ქოთანში და ამით კვლავ გარდაქმნილ იქნას ოქროდ **sans phrase**[1], ისევე როგორც, პირიქით: საკმარისია ოქროს ზოდის გაგზავნა ზარაფხანაში, რომ მან მონეტის ფორმა მიიღოს. ერთი გარეგანი ფორმიდან მეორე ფორმად გარდაქმნა და უკუგარდაქმნა წმინდა ტექნიკურ ოპერაციად წარმოგვიდგება.

100 გირვანქა ანუ 1 200 უნც troy-ს 22-კარატიან ოქროში ინგლისის ზარაფხანიდან მივიღებთ 4 672 $^1/_2$ გირვანქა სტერლინგს ანუ ოქროს სოვერენს; თუ ამ სოვერენებს სასწორის ერთ ჯამზე დავდებთ, მეორე ჯამზე კი — 100

---

[1]—უბრალოდ ოქროდ. რედ.

გირვანქა ოქროს ზოდს, ვნახავთ, რომ ორივე თანატოლი წონისაა; ეს ადასტურებს, რომ სოვერენი სხვა არაფერია, თუ არა ინგლისურ მონეტურ ფასში აღნიშნული ოქროს გარკვეული წონითი რაოდენობა, რომელსაც განსაკუთრებული გარეგნული ფორმა და განსაკუთრებული შტემპელი აქვს. 4 672 1/2 ოქროს სოვერენი სხვადასხვა პუნქტიდან შედის მიმოქცევაში და, ამ მიმოქცევით შთანთქმულნი, ისინი ასრულებენ ტრიალის განსაზღვრულ რაოდენობას დღის განმავლობაში— ზოგი სოვერენი მეტს, ზოგიც — ნაკლებს. თუ ერთი უნცის დღიური ტრიალის საშუალო რიცხვი 10 იქნებოდა, 1 200 უნცი ოქრო განახორციელებდა საქონელთა ფასების ერთობლივ ჯამს 12 000 უნცის, ანუ 46 725 სოვერენის რაოდენობით. როგორც უნდა აბრუნოთ და ატრიალოთ ერთი უნცი ოქრო, მასში ვერასოდეს ვერ ნახავთ 10 უნცი ოქროს წონას. მაგრამ აქ, მიმოქცევის პროცესში, ერთი უნცი მართლა 10 უნცს იწონის. მონეტის მყოფობა მიმოქცევის პროცესში უდრის მონეტაში მოქცეულ ოქროს რაოდენობას, გამრავლებულს მისი ტრიალის რიცხვზე. მაშასადამე, გარდა მისი ნამდვილი მყოფობისა განსაზღვრული წონის ოქროს ცალკეული ნაჭრის სახით, მონეტა კიდევ მისი ფუნქციიდან გამომდინარე იდეალურ მყოფობას იძენს. მაგრამ სოვერენი ერთხელ იტრიალებს თუ ათჯერ, ყოველ ცალკეულ ყიდვასა თუ გაყიდვაში იგი მოქმედებს მხოლოდ როგორც ცალკეული სოვერენი. იგი იმ გენერალს ჰგავს, რომელიც ბრძოლის დღეს 10 სხვადასხვა პუნქტზე დროულად გამოცხადებით 10 გენერლის მაგიერობას ეწევა, მაგრამ თვითეულ პუნქტზე იგი იმავე გენერალს წარმოადგენს. მიმოქცევის საშუალების იდეალიზაცია, რომელიც ფულის ტრიალში იქიდან წარმოდგება, რომ სისწრაფე რაოდენობის მაგიერობას ეწევა, შეეხება მონეტის მხოლოდ ფუნქციურ მყოფობას მიმოქცევის პროცესში, მაგრამ არ შეეხება ცალკეული მონეტის მყოფობას.

მაგრამ ფულის ტრიალი გარეგნული მოძრაობაა, და სოვერენი, თუმცა non olet[1], შერეულ საზოგადოებაში ტრი-

[1] სუნი არ უდის. რედ.

ალებს. იმის გამო, რომ იგი მოხვდება სხვადასხვა ხელში, ჩანთაში, ჯიბეში, ქისაში, სარტყელში, პარკში, უჯრაში, ყუთში, — მონეტა იხეხება: აქ ოქროს ერთ ატომს დატოვებს, იქ — მეორე ატომს და ასე ხეხვის გზით ქვეყნად ხეტიალში სულ უფრო და უფრო კარგავს თავის შინაგან შედგენილობას. ხმარებაში იგი ცვდება. ავიღოთ სოვერენი იმ მომენტში, როდესაც მისი ბუნებრივი სიმკვრივე, ეტყობა, ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებია. «მეპურე, რომელმაც დღეს ახალთახალი სოვერენი მიიღო ბანკიდან და ამ სოვერენით ხვალ მეწისქვილე უნდა გაისტუმროს, მისცემს მას უკვე არა იმავე ნამდვილ (veritable) სოვერენს; ეს უკანასკნელი უფრო მჩატეა, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც მეპურემ იგი მიიღო» [1]. «ცხადია, რომ მონეტები თვით საგნის ბუნებისდა მიხედვით მუდამ თანდათან უნდა განიცდიდნენ გაუფასურებას თუნდაც მარტო ჩვეულებრივი და გარდუვალი გახეხვის გამო. ფიზიკურად შეუძლებელია რომელიმე დროის მონაკვეთში, თუნდაც ერთი დღით, სრულიად ამოღებულ იქნას მიმოქცევიდან მსუბუქი მონეტები» [2]. ჯეკობის შეფასებით, 380 მილიონ გირვანქა სტერლინგიდან, რომელიც 1809 წელს ევროპაში მოიპოვებოდა, 1829 წლისათვის, ე. ი. 20 წლის განმავლობაში, 19 მილიონი გირვანქა სტერლინგი სრულიად გაქრა გახეხვის გამო [3]. ამრიგად, თუ საქონელი პირველივე ნაბიჯის შემდეგ, რომლითაც იგი მიმოქცევაში შედის, გამოვარდება იქიდან, სამაგიეროდ, მონეტა მიმოქცევაში რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ უფრო მეტი ლითონური შედგენილობის წარმომადგენელია, ვიდრე იგი სინამდვილეში შეიცავს. რაც უფრო დიდხანს ტრიალებს მონეტა მიმოქცევის

---

[1] D o d d: «Curiosities of industry etc.», London 1854.

[2] «The currency guestion reviewed etc. by a banker». Edinburgh 1845, გვ. 69 etc. «ცოტათი გახეხილ ეკიუს რომ რამდენადმე ნაკლები ღირებულება ჰქონდეს, ვიდრე სრულიად ახალ ეკიუს აქვს, მაშინ მიმოქცევას განუწყვეტლივ შეფერხება უნდა განეცადა და არც ერთ ისეთ გადახდას არ ექნებოდა ადგილი, რომელიც დავის საგანი არ გახდებოდა» (G. G a r n i e r.) l. c., t. I, გვ. 24.

[3] W. J a c o b: «An inquiry into the production and consumption of the precious metals». London 1831, vol. II, ch. XXVI.

ერთი და იმავე სისწრაფით, ან რაც უფრო სწრაფია მისი მიმოქცევა ერთსა და იმავე პერიოდში, მით უფრო გამოეყოფა მისი მონეტის სახით მყოფობა მის ოქროს ან ვერცხლის სახით მყოფობას. ის, რაც რჩება, არის magni nominis umbra[1]. მონეტის სხეული ჩრდილივაა მხოლოდ. თუ თავდაპირველად პროცესის მეოხებით მონეტა უფრო მძიმე იყო, ახლა იგი იმავე პროცესის მეოხებით უფრო მჩატე ხდება, მაგრამ ყოველ ცალკეულ ყიდვასა და გაყიდვაში იგი მაინც ოქროს თავდაპირველ რაოდენობად ითვლება. სოვერენი განაგრძობს, როგორც მოჩვენებითი სოვერენი, როგორც მოჩვენებითი ოქრო, კანონიერი ოქროს ფულის (Goldstücks) ფუნქციის შესრულებას. მაშინ როდესაც სხვა არსებანი გარესამყაროსთან შეხებით კარგავენ თავიანთ იდეალიზმს, მონეტა გაიდეალებული ხდება პრაქტიკის მიერ, იგი თავისი ოქროს სხეულის ანუ ვერცხლის სხეულის მოჩვენებითს მყოფობად გარდაიქმნება. ლითონის ფულის ეს მეორე გაიდეალება, თვით მიმოქცევის პროცესის მიერ გამოწვეული, ანუ გამოცალკევება მისი ნომინალური შედგენილობისა მისი რეალური შედგენილობისაგან იმ ექსპლოატაციის საგანი ხდება, რასაც ნაწილობრივ მთავრობები, ნაწილობრივ კი კერძო ავანტიურისტები მონეტის უალრესად სხვადასხვაგვარი გაყალბების გზით ეწევიან. სამონეტო საქმის მთელი ისტორია შუა საუკუნეების დასაწყისიდან მოყოლებული მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე ამ ორმხრივ და ანტაგონისტურ გაყალბებათა ისტორიას წარმოადგენს არსებითად, და კუსტოდის მიერ გამოცემული იტალიელი ეკონომისტების მრავალტომიანი კრებული მეტწილად ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებს.

მაგრამ ოქროს მოჩვენებითს მყოფობას მისი ფუნქციის ფარგლებში კონფლიქტი მოსდის მის ნამდვილ მყოფობასთან. ტრიალში ოქროს ერთ მონეტას მეტი ლითონური შედგენილობა დააკლდა, მეორეს—ნაკლები, და ამიტომ ერთი სოვერენი ახლა არსებითად უფრო მეტი ღირს, ვიდრე მეო-

[1] ჩრდილი დიადი სახელისა. რედ.

რე. მაგრამ რადგან ისინი თავიანთ ფუნქციურ მყოფობაში როგორც მონეტები თანატოლი ღირებულების არიან, 1/4 უნციანი სოვერენი არაფრით მეტი არაა იმ სოვერენზე, რომელიც მხოლოდ გვეჩვენება, რომ 1/4 უნცს შეადგენს, ამიტომ სრულწონიანი სოვერენები ნაწილობრივად ქირურგიულ ოპერაციას განიცდიან არაკეთილსინდისიერ მფლობელთა ხელში, და მათ ხელოვნურად უკეთებენ იმას, რაც ტრიალმა ბუნებრივად გააკეთა მათი თანამოძმეების მიმართ. მათ აყალბებენ იმით, რომ ჩამოაჭრიან და ჩამოათლიან ზედმეტ ოქროს ქონს, რომელსაც სადნობ ქოთანში გადაუძახებენ. თუ 4 672 1/2 ოქროს სოვერენი, სასწორზე დადებული, მხოლოდღა 800 უნცს იწონის საშუალოდ, 1 200-ის ნაცვლად, ეს სოვერენები, ოქროს ბაზარზე გატანილნი, მხოლოდ 800 უნც ოქროს იყიდიან, ანუ ოქროს საბაზრო ფასი მის მონეტურ ფასზე მაღლა აიწევდა. ყოველი ფულის (Geldstück) ერთეული, თუნდაც სრულწონიანი, თავისი მონეტური ფორმით ნაკლები ეღირებოდა, ვიდრე ზოდის ფორმით. სრულწონიანი სოვერენები უკუგარდაიქმნებოდნენ თავიანთ ზოდის ფორმად, რომლითაც ოქროს მეტ რაოდენობას მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მის ნაკლებ რაოდენობას. იმ მომენტიდან, როცა ეს ლითონური შედგენილობის დაკლება სოვერენების საკმაო რიცხვს მოედებოდა, რათა ამას ხანგრძლივად საბაზრო ფასის მონეტურ ფასზე მაღლა აწევა გამოეწვია, — მონეტის საანგარიშო სახელწოდებანი იგივე დარჩებოდა, მაგრამ ამიერიდან ისინი ოქროს უფრო ნაკლები რაოდენობის აღმნიშვნელნი იქნებოდნენ. სხვა სიტყვებით, ფულის მასშტაბი შეიცვლებოდა და ამიერიდან ოქრო ამ ახალი მასშტაბის შესაბამისად მოიჭრებოდა. თავისი — როგორც მიმოქცევის საშუალების — იდეალიზაციის მეოხებით ოქრო უკუმოქმედების გზით შეცვლიდა კანონით დაწესებულ პირობებს, რომელთა მიხედვითაც იგი ფასების მასშტაბი იყო. იგივე რევოლუცია განმეორდებოდა განსაზღვრული პერიოდის შემდეგ და ამგვარად ოქრო როგორც თავის ფუნქციაში ფასების მასშტაბის სახით, ისე მიმოქცევის საშუალების

სახითაც დაექვემდებარებოდა მუდმივ ცვალებადობას, ასე რომ ცვლილება ერთ ფორმაში გამოიწვევდა ცვლილებას მეორე ფორმაშიც, და პირიქით. ეს იძლევა ზემოაღნიშნული იმ მოვლენის ახსნას, რომ ყველა თანამედროვე ხალხთა ისტორიაში ერთი და იგივე ფულადი სახელწოდება შენარჩუნებული ჰქონდა ლითონის მუდამ კლებადს შედგენილობას. წინააღმდეგობა ოქროს როგორც მონეტასა და ოქროს როგორც ფასების მასშტაბს შორის იქცევა აგრეთვე წინააღმდეგობად ოქროსა როგორც მონეტასა და ოქროს როგორც საყოველთაო ეკვივალენტს შორის, ეკვივალენტისა, რომლის სახითაც იგი არა მარტო ცალკეული ქვეყნების საზღვრებს შიგნით, არამედ მსოფლიო ბაზარზეც მიმოიქცევა. როგორც ღირებულებათა საზომი, ოქრო ყოველთვის სრულწონიანი იყო, რადგან იგი მხოლოდ იდეალური ოქროს სახით ეწეოდა სამსახურს. როგორც ეკვივალენტი იზოლირებულ აქტში ს—ფ, ოქრო თავისი მოძრავი მყოფობიდან მყისვე გადადის უკან თავის უძრავ მყოფობაში. მაგრამ მონეტის სახით მისი ბუნებრივი სუბსტანცია მუდმივ კონფლიქტში დგება მის ფუნქციასთან. მთლიანად იმის თავიდან აცილება, რომ ოქროს სოვერენი მოჩვენებითს ოქროდ არ იქცეს, შეუძლებელია, მაგრამ კანონმდებლობა ცდილობს მონეტის სახით ასეთი სოვერენის შენარჩუნებას ხელი შეუშალოს იმით, რომ ამოიღებს მას მიმოქცევიდან, როცა მისი სუბსტანცია გარკვეული ოდენობით კლებულობს. ინგლისის კანონის თანახმად, მაგალითად, სოვერენი, რომელმაც 0,747 გრანი წონა დაკარგა, აღარაა კანონიერი სოვერენი. ინგლისის ბანკს, რომელმაც მარტო 1844—1848 წლებში 48 მილიონი ოქროს სოვერენი აწონა, კოტონის ოქროს საწონი სასწორის სახით ისეთი მანჭანა აქვს, რომელიც არათუ $^1/_{100}$ გრანის განსხვავებას ამჩნევს ორ სოვერენს შორის, არამედ, გონიერ არსებასავით, არასრულწონიან სოვერენს გადაყრის ფიცარზე, საიდანაც იგი სხვა ისეთ მანჭანაში მოხვდება, რომელიც მას აღმოსავლური შეუბრალებლობით დაჩეხს.

მაგრამ ამ პირობებში ოქროს მონეტა ვერ შეძლებდა საერთოდ მიმოქცევას, მისი ტრიალი რომ შემოსაზღვრული არ იყოს მიმოქცევის განსაზღვრული ფარგლებით, რომელთა შიგნით იგი არც ისე სწრაფად ცვდება. რამდენადაც ოქროს მონეტას მიმოქცევაში $^1/_4$ უნცის მნიშვნელობა აქვს, მაშინ როდესაც ის მხოლოდღა $^1/_8$ უნცს იწონის, იგი არსებითად გადაქცეულია $^1/_{20}$ უნცი ოქროს უბრალო ნიშნად, ანუ სიმბოლოდ; ამრიგად, ოქროს ყველა მონეტა თვით მიმოქცევის პროცესის მეოხებით გადაიქცევა ცოტად თუ ბევრად თავისი სუბსტანციის უბრალო ნიშნად, ანუ სიმბოლოდ. მაგრამ არც ერთ ნივთს არ შეუძლია იყოს თავისი საკუთარი სიმბოლო. დახატული ყურძნის მტევანი ნამდვილი მტევნის სიმბოლო კი არ არის, არამედ მტევნის ილუზიაა. მით უფრო ნაკლებ შეიძლება მსუბუქი სოვერენი სრულწონიანის სიმბოლო იყოს, ისევე როგორც გამხდარი ცხენი არ შეიძლება მსუქანი ცხენის სიმბოლო იყოს. მაშასადამე, რადგან ოქრო თავის საკუთარ სიმბოლოდ იქცევა, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი თავის სიმბოლო იყოს, ამიტომ მიმოქცევის იმ სფეროებში, სადაც იგი ყველაზე სწრაფად ცვდება, ე. ი. იმ სფეროებში, სადაც პატარ-პატარა პროპორციით ყიდვა-გაყიდვის აქტების მუდამ განახლებას აქვს ადგილი, იგი იღებს ოქროს სახით გამოხატული მყოფობისაგან განშორებულ სიმბოლურ, ვერცხლით ან სპილენძით გამოხატულ მყოფობას. ამ სფეროებში მთელი ოქროს ფულის განსაზღვრული პროპორცია მონეტის სახით, — თუმცა არა ერთი და იგივე ოქროს ფული (Goldstücke), — მუდამ იქნებოდა ტრიალში. ამ ნაწილში ოქროს მაგიერობას ვერცხლის ან სპილენძის ნიშნები ეწევიან. ამრიგად, თუ რომელიმე სახელმწიფოს შიგნით ღირებულებათა საზომს და, მაშასადამე, ფულის ფუნქციას მხოლოდ ერთი სპეციფიკური საქონელი შეიძლება ასრულებდეს, მაშინ მის გვერდით სხვადასხვა საქონელი შეიძლება მონეტის სამსახურს ეწეოდეს. მიმოქცევის ეს დამხმარე საშუალებანი, მაგალითად, ვერცხლის ან სპილენძის ნიშნები, მიმოქცევის სფეროში ოქროს მონეტის განსაზღვრულ ნაწილების წარმომადგენელნი არიან. ამიტომ მათი საკუთარი

ვერცხლის ან სპილენძის შედგენილობა განისაზღვრება არა ვერცხლისა და სპილენძის ღირებულების შეფარდებით ოქროსთან, არამედ მას ნებისმიერად აწესებს კანონი. მათი გამოშვება მხოლოდ იმ რაოდენობით უნდა ხდებოდეს, რა რაოდენობითაც ოქროს მონეტის ის პატარა ნაწილები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, მუდამ ტრიალში იქნებოდნენ ოქროს უფრო მსხვილი მონეტების დასახურდავებლად, ანდა საქონელთა სათანადო პატარა ფასების სარეალიზაციოდ. ცალობრივი საქონელმიმოქცევის ფარგლებში ვერცხლისა და სპილენძის ნიშნები, თავის მხრივ, სხვადასხვა განსაკუთრებულ სფეროს მიეკუთვნება. თვით საგნის ბუნების მიხედვით მათი ტრიალის სისწრაფე შებრუნებულ შეფარდებაშია იმ ფასთან, რომელსაც ისინი ახორციელებენ ყოველი ცალკეული ყიდვისა და გაყიდვის აქტში, ანუ ოქროს მონეტის იმ ნაწილთან, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველდღიური წვრილი ბრუნვის უზარმაზარ მოცულობას ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, ის შედარებით უმნიშვნელო პროპორცია, რომელსაც მიმოქცევაში მყოფი დამხმარე მონეტების ერთობლივი რაოდენობა შეადგენს, ცხადად გვიჩვენებს მათი ტრიალის სისწრაფესა და უწყვეტობას. უკანასკნელ დროს გამოცემული ერთი საპარლამენტო ანგარიშიდან ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ 1857 წელს ინგლისის ზარაფხანამ მოჭრა ოქროს ფული 4 859 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, ვერცხლის მონეტები ნომინალური ღირებულების მიხედვით — 733 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, ხოლო ლითონური ღირებულების მიხედვით—363 000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით. ათ წელიწადში, რომელიც 1857 წლის 31 დეკემბერს შესრულდა, მოჭრილი ოქროს ფულის ერთობლივი რაოდენობა შეადგენდა 55 239 000 გირვანქა სტერლინგს და ვერცხლის მონეტებისა — მხოლოდ 2 434 000 გირვანქა სტერლინგს. 1857 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტების ჯამი შეადგენდა მხოლოდ 6 720 გირვანქა სტერლინგს ნომინალური ღირებულებით და 3 492 გირვანქა სტერლინგს სპილენძის ღირებულებით; აქე-

დან 3 136 გირვანქა სტერლინგი იყო პენსებით, 2 404 გირვანქა სტერლინგი — ნახევარ-პენსებით და 1 120 გირვანქა სტერლინგი — ფარტინგებით. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მოჭრილი სპილენძის მონეტების ერთობლივი ღირებულება შეადგენდა 141 477 გირვანქა სტერლინგს ნომინალური ღირებულებით და 73 503 გირვანქა სტერლინგს ლითონური ღირებულებით. როგორც ოქროს მონეტას არ შეუძლია თავისი სამონეტო ფუნქცია განიმტკიცოს იმით, რომ კანონი განსაზღვრავს ლითონის დანაკარგს, რომელიც მის დემონეტიზაციას იწვევს, ასევე, პირიქით, ვერცხლის და სპილენძის ნიშნებს არ შეუძლიათ თავიანთი მიმოქცევის სფეროდან ოქროს მონეტის მიმოქცევის სფეროში გადასვლა და იქ ფულის სახით დამკვიდრება იმის მეოხებით, რომ კანონით არის განსაზღვრული ფასის ის ოდენობა, რომლის რეალიზაციაც ამ ნიშნებმა უნდა მოახდინონ. ასე, მაგალითად, ინგლისში გადახდების დროს სავალდებულოა მისაღებად სპილენძი მხოლოდ 6 პენსის რაოდენობით, ვერცხლი კი — მხოლოდ 40 შილინგის რაოდენობით. თუ ვერცხლისა და სპილენძის ნიშნების გამოშვება უფრო დიდი რაოდენობით მოხდებოდა, ვიდრე მათი მიმოქცევის მოთხოვნილებანი ამას საჭიროებენ, ამით საქონელთა ფასები არ აიწევდა, არამედ ადგილი ექნებოდა ამ ნიშნების დაგროვებას ცალობრივად გამყიდველთა ხელში, რომელნიც ბოლოს და ბოლოს იძულებულნი გახდებოდნენ ისინი ლითონის სახით გაეყიდათ. ასე, მაგალითად, 1798 წელს კერძო პირების მიერ დახარჯული ინგლისური სპილენძის მონეტები 20 350 გირვ. სტერლინგის რაოდენობით დაგროვდა მეწვრილმანეების ხელში, რომელნიც ამაოდ ცდილობდნენ ხელახლა გაეშვათ ისინი მიმოქცევაში და ბოლოს იძულებული გახდნენ ეს სპილენძის მონეტები საქონლის სახით გაეყიდათ სპილენძის ბაზარზე [1].

---

[1] David Buchanan: «Observations on the subjects treated of in doctor Smith's Jnquiry on the vealth of nations etc», Edinburgh 1814, გვ. 3.

ვერცხლისა და სპილენძის ნიშნებს, რომელნიც ოქროს მონეტის წარმომადგენელნი არიან შინაგანი მიმოქცევის გარკვეულ სფეროებში, კანონით დაწესებული ვერცხლისა და სპილენძის შედგენილობა აქვთ, მაგრამ ისინიც მიმოქცევის პროცესში ოქროს მონეტასავით იხეხებიან და, მათი ტრიალის სისწრაფისა და უწყვეტობის შესაბამისად, კიდევ უფრო სწრაფად გადაიქცევიან იდეალურ, უბრალო მოჩვენებითს სხეულებად. თუ დაგვჭირდებოდა ლითონური შედგენილობის შემცირებისათვის კვლავ ისეთი საზღვრითი ხაზის გავლება, რომლის იქითაც ვერცხლისა და სპილენძის მონეტა თავის მონეტურ ხასიათს დაკარგავდა, მაშინ აუცილებელი იქნებოდა მიმოქცევის მათი საკუთარი სფეროს გარკვეულ ფარგლებში მათი შენაცვლება სხვა სიმბოლური ფულით, ვთქვათ რკინით ან ტყვიით, და ეს გამოხატვა სიმბოლური ფულისა სხვა სიმბოლური ფულით უსასრულო პროცესი იქნებოდა. ამიტომ ყველა ქვეყანაში, სადაც განვითარებული მიმოქცევაა, თვით ფულის ტრიალის აუცილებლობა იძულებითი გზით იწვევს იმას, რომ ვერცხლისა და სპილენძის ნიშნების მონეტური ხასიათი სრულიად დამოუკიდებელი იყოს მათ მიერ ლითონის ყოველგვარი დაკარგვისაგან. ამით ვლინდება ის გარემოება, რაც საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს, სახელდობრ ის, რომ ეს ნიშნები ოქროს მონეტის სიმბოლოებია არა იმიტომ, რომ ისინი ვერცხლისგან ან სპილენძისგან გაკეთებული სიმბოლოებია, არა იმიტომ, რომ მათ ღირებულება აქვთ, არამედ იმის გამო, რომ მათ არავითარი ღირებულება არა აქვთ.

მაშასადამე, ოქროს ფულის სიმბოლოთა ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს ისეთი ნივთი, რომელიც შეფარდებით მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას, მაგალითად, ქაღალდის ნიშნები. დამხმარე მონეტის არსებობა ვერცხლის, სპილენძის და სხვ. ლითონის ნიშნების სახით მეტწილად იმით აიხსნება, რომ უმრავლეს ქვეყნებში ნაკლებად ხელსაყრელ ლითონები, მაგალითად, ვერცხლი — ინგლისში, სპილენძი — ძველი რომის რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, შოტლანდიაში და

სხვ., ფულის სახით მიმოიქცეოდა, ვიდრე მიმოქცევის პროცესი მათ ხურდა მონეტის მდგომარეობამდე არ ჩამოაქვეითებდა და მათ ადგილას უფრო ძვირფას ლითონს არ დასვამდა. გარდა ამისა, თვით საგნის ბუნებითაა გამოწვეული ის, რომ ფულის სიმბოლო, რომელიც უშუალოდ ლითონური მიმოქცევიდანაა აღმოცენებული, უწინარეს ყოვლისა თვითონაც ლითონია. როგორც ოქროს ის ნაწილი, რომელიც ხურდა მონეტის სახით მუდამ მიმოქცევაში უნდა ყოფილიყო, ლითონური ნიშნებით შეიცვლება, ასევე ოქროს ის ნაწილიც, რომელიც მუდამ შინაგანი მიმოქცევის სფეროს მიერ შთაინთქმება მონეტის სახით, მაშასადამე, მუდამ ტრიალში უნდა იმყოფებოდეს, შეიძლება შენაცვლებულ იქნას ისეთი ნიშნებით, რომლებიც მოკლებულნი არიან ღირებულებას. ის დონე, რომელზე დაბლაც მიმოქცევაში მყოფი მონეტის მასა არასოდეს არ დაიწევს, ყოველ ქვეყანაში გამოცდილებით მყარდება. მაშასადამე, თავდაპირველად შეუმჩნეველი განსხვავება ლითონის მონეტის ნომინალურ შედგენილობასა და მის ლითონურ შედგენილობას შორის შეიძლება მათ აბსოლუტურ განცალკევებამდეც მივიდეს. ფულის სამონეტო სახელწოდება გამოეყოფა ფულის სუბსტანციას და მის გარეშე არსებობს ღირებულებას მოკლებულ ქაღალდის ნიშნებში. როგორც საქონელთა საცვლელი ღირებულება მათი გაცვლის პროცესის მეოხებით ოქროს ფულად კრისტალდება, ასევე ოქროს ფული ტრიალის პროცესში თავის საკუთარ სიმბოლოდ ამაღლდება, ჯერ გადალესილი ოქროს მონეტის სახით, შემდეგ დამხმარე ლითონური მონეტების სახით და, დასასრულ, ღირებულებას მოკლებული მარკის, ქაღალდის, ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს უბრალო ნ ი შ ნ ი ს სახით.

მაგრამ ოქროს მონეტამ მხოლოდ იმიტომ წარმოშვა თავისი შემცვლელები ჯერ ლითონის, შემდეგ კი ქაღალდის სახით, რომ თვითონ, მიუხედავად იმისა, რომ ლითონის ნაწილი დაკარგა, განაგრძობდა მონეტის ფუნქციის შესრულებას. იგი მიმოიქცეოდა არა იმიტომ, რომ გადაილესა, არამედ გადაილესა სიმბოლოდ იმიტომ, რომ ხანგრძლივად

მიმოიქცეოდა. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით ოქროს ფული მიმოქცევის პროცესში თავისი საკუთარი ღირებულების უბრალო ნიშნად იქცევა, მისი შეცვლა შეუძლიათ ღირებულების უბრალო ნიშნებს.

რამდენადაც მოძრაობა ს—ფ—ს პროცესის სახით მიმდინარე ერთიანობაა ორი ერთიმეორეში უშუალოდ გარდამავალი მომენტისა, ს—ფ და ფ—ს-ისა, ანუ რამდენადაც საქონელი თავისი ერთობლივი მეტამორფოზის პროცესს გაივლის, იმდენადვე იგი თავის საცვლელ ღირებულებას ავითარებს ფასისა და ფულის სახით, რათა ეს ფორმა დაუყოვნებლივ კვლავ მოიშოროს და ხელახლა გახდეს საქონელი ან, პირიქით, სახმარი ღირებულება. მაშასადამე, საქონელი თავისი საცვლელი ღირებულების მხოლოდ მოჩვენებითს დამოუკიდებელ არსებობას აღწევს. ჩვენ ვნახეთ, მეორე მხრივ, რომ ოქრო, რამდენადაც იგი მხოლოდ მონეტის ფუნქციას ასრულებს, ანუ მუდამ ტრიალში იმყოფება, სინამდვილეში მხოლოდ საქონელთა მეტამორფოზების გადაბმულობას და მათს მხოლოდ წარმავალ ფულადს მყოფობას გამოხატავს; იგი ახორციელებს ერთი საქონლის ფასს მხოლოდ იმისათვის, რომ მაშინვე მეორე საქონლის ფასი განახორციელოს, მაგრამ არსად არ გვევლინება როგორც საცვლელი ღირებულების უმოძრაო მყოფობა ანდა როგორც თვით უმოძრაო საქონელი. ის რეალობა, რომელსაც საქონელთა საცვლელი ღირებულება ღებულობს ამ პროცესში და რომელსაც ოქრო თავისი ტრიალით გამოხატავს, ელექტრონის ნაპერწკლის რეალობაა მხოლოდ. ოქრო, თუმცა იგი ნამდვილი ოქროა, მოქმედებს აქ მხოლოდ როგორც მოჩვენებითი ოქრო, და ამიტომ შეიძლება ამ ფუნქციაში იგი თავისივე ნიშნით იქნას შენაცვლებული.

ღირებულების ნიშანი, ვთქვათ ქაღალდი, რომელიც მონეტის ფუნქციას ასრულებს, ნიშანია ოქროს იმ რაოდენობისა, რომელიც გამოსახულია მისი სამონეტო სახელწოდებით, — მაშასადამე, იგი ოქროს ნიშანია. როგორც ოქროს განსაზღვრული რაოდენობა თავისდათავად ღირებულე-

ბითს შეფარდებას არ გამოსახავს, ასევე არ გამოსახავს მას ის ნიშანიც, რომელიც მისი შემცვლელია. რამდენადაც ოქროს განსაზღვრულ რაოდენობას როგორც გასაგნობრივებულ სამუშაო დროს ღირებულების განსაზღვრული სიდიდე აქვს, იმდენადვე ოქროს ნიშანი ღირებულებას წარმოადგენს. მაგრამ ღირებულების სიდიდე, რომელსაც იგი წარმოადგენს, დამოკიდებულია ყოველთვის მის მიერ წარმოდგენილი ოქროს რაოდენობის ღირებულებაზე. საქონელთა მიმართ ღირებულების ნიშანი მათი ფასის რეალურ არსებობას წარმოადგენს, იგი ფასის ნიშანია (signum pretii) და ნიშანი მათი ღირებულებისა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ღირებულება გამოსახულია მათი ფასით. პროცესში ს—ფ—ს, რამდენადაც იგი წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც პროცესის სახით მიმდინარე ერთიანობა ანუ როგორც უშუალო გადასვლა ერთიმეორეში ორივე მეტამორფოზისა, — და სწორედ ასე წარმოგვიდგება იგი მიმოქცევის სფეროში, სადაც ღირებულების ნიშანი მოქმედებს, — საქონელთა საცვლელი ღირებულება მოიპოვებს ფასში მხოლოდ იდეალურ, ფულში კი მხოლოდ წარმოსახულ, სიმბოლურ არსებობას. ამრიგად, საცვლელი ღირებულება გვევლინება მხოლოდ როგორც წარმოსახვაში არსებული ანუ ნივთის სახით წარმოდგენილი ღირებულება, მაგრამ რეალობა მას მხოლოდ საქონელში აქვს, რამდენადაც ამ უკანასკნელში სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობაა გასაგნობრივებული. ამიტომ ისე გვეჩვენება, თითქოს ღირებულების ნიშანი საქონელთა ღირებულებას უშუალოდ წარმოგვიდგენს იმით, რომ იგი წარმოგვიდგება არა როგორც ოქროს ნიშანი, არამედ როგორც ნიშანი საცვლელი ღირებულებისა, რომელიც გამოხატულია მხოლოდ ფასით, მაგრამ არსებობს მარტო საქონელში. მაგრამ ეს ილუზია მცდარია. ღირებულების ნიშანი უშუალოდ მხოლოდ ფასის ნიშანია, მაშასადამე, ოქროს ნიშანია, და მხოლოდ შემოვლითი გზით წარმოადგენს იგი საქონლის ღირებულების ნიშანს. პეტრე შლემილსავით ოქროს კი არ გაუყიდია თავისი ჩრდილი, არამედ იგი ყიდულობს თავისი

ჩრდილით. ამიტომ ღირებულების ნიშანი მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მიმოქცევის პროცესის შიგნით ერთი საქონლის ფასს წარმოადგენს მეორე საქონლის მიმართ ანუ რამდენადაც იგი თვითეული საქონელმფლობელის მიმართ წარმოადგენს ოქროს. გარკვეული ნივთი, რომელიც შეფარდებით მოკლებულია ღირებულებას, მაგალითად, ტყავის ნაჭერი, ქაღალდის ნაჭერი და სხვ., თავდაპირველად ჩვეულების ძალით ხდება ფულადი მასალის ნიშანი, მაგრამ როგორც ასეთი იგი მხოლოდ იმ გზით მკვიდრდება, რომ მის მყოფობას სიმბოლოს სახით უზრუნველყოფს საქონელმფლობელთა საყოველთაო ნება, ე. ი. იმით, რომ იგი იძენს კანონით გაპირობებულ მყოფობას და, მაშასადამე, იძულებითს კურსს. სახელმწიფო ქაღალდის ფული იძულებითი კურსით არის ღირებულების ნიშნის ყველაზე დასრულებული ფორმა და ქაღალდის ფულის ის ერთადერთი ფორმა, რომელიც უშუალოდ ლითონური მიმოქცევიდან ანუ თვით მარტივი საქონელმიმოქცევიდან აღმოცენდება. საკრედიტო ფული საზოგადოებრივი წარმოებითი პროცესის უმაღლეს სფეროს ეკუთვნის და სულ სხვა კანონებით წესრიგდება. სიმბოლური ქაღალდის ფული სინამდვილეში სრულიად არ განსხვავდება დამხმარე ლითონური მონეტისგან, — მხოლოდ იგი მიმოქცევის უფრო ფართო სფეროში მოქმედებს. მას შემდეგ, რაც ფასების მასშტაბის ანუ მონეტური ფასის წმინდა ტექნიკურმა განვითარებამ და შემდგომ ოქროს ზოდის გარეგნულმა გარდაქმნამ ოქროს მონეტად უკვე სახელმწიფოს ჩარევა გამოიწვია და ამით შინაგანი მიმოქცევა საქონელთა საყოველთაო მიმოქცევას თვალსაჩინოდ გამოეყო, — ეს გამოყოფა დასრულებული ხდება იმით, რომ მონეტა ღირებულების ნიშნად ვითარდება. საერთოდ ფულს — როგორც მიმოქცევის უბრალო საშუალებას — დამოუკიდებელი არსებობა შეუძლია მიიღოს მხოლოდ შინაგანი მიმოქცევის სფეროს ფარგლებში.

ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ოქროს მონეტური მყოფობა ღირებულების ისეთი ნიშნის სახით, რომელიც გა-

მოცალკევებულია თვით ოქროს სუბსტანციისაგან, თვით მიმოქცევის პროცესიდან წარმოიშვება, და არა რაიმე შეთანხმებიდან ანდა სახელმწიფოს ჩარევიდან. რუსეთი ღირებულების ნიშნის ბუნებრივად წარმოშობის განსაცვიფრებელ მაგალითს იძლევა. იმ ხანაში, როცა იქ ტყავი და ბეწვეული ფულად იხმარებოდა, ამ არამყარ და უხერხულ მასალასა და მის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციას შორის არსებულმა წინააღმდეგობამ წარმოშვა მის ნაცვლად პატარა-პატარა ბეჭედდასმული ტყავის ნაჭრების ხმარების ჩვეულება; ამრიგად, ეს ნაჭრები გადაიქცა ტყავით და ბეწვეულით გადასახდელთა ასიგნობებად. შემდეგში ეს ნაჭრები კაპიკების სახელწოდებით უბრალო ნიშნები გახდა ვერცხლის მანეთის ნაწილებისთვის და მათ ეს ფუნქცია შეინარჩუნეს ალაგ-ალაგ 1700 წლამდე, როცა პეტრე დიდმა ბრძანება გამოსცა სახელმწიფოს მიერ გამოშვებული წვრილი სპილენძის მონეტებით გამოეცვალათ ისინი[1]. ანტიკურ მწერლებს, რომელთაც მხოლოდ ლითონური მიმოქცევის მოვლენებზე შეეძლოთ დაკვირვება მოეხდინათ, ოქროს მონეტა ესმით უკვე როგორც სიმბოლო ანუ ღირებულების ნიშანი. ასეთებია, მაგალითად, პლატონი[2] და არისტოტელე[3]. იმ ქვეყნებში, სადაც კრედიტი

---

[1] Henry Storch: «Cours d'économie politique etc». avec des notes par J. B. Say. Paris 1823, t. IV, გვ. 79. შტორხმა თავისი თხზულება ფრანგულ ენაზე გამოსცა პეტერბურგში. ჟ. ბ. სეიმ მაშინვე გადააბეჭდვინა ის პარიზში ახალ გამოცემად, შეავსო ვითომდა «შენიშვნებით», რომლებიც ნამდვილად, გარდა გაცვეთილი ფრაზებისა, არაფერს არ შეიცავენ. შტორხმა ეს დამატება, რომელიც «მეცნიერების პრინცმა» («prince de la science») მის თხზულებას დაურთო, სრულიადაც არ მიიღო თავაზიანად (იხ. მისი «Considérations sur la nature du revenu national», Paris 1824).

[2] Plato, De Rep., L. II: «νόμισμα σύμβολον τῆς ἀλλαγῆς» Opera omnia, etc., ed. Stallbaumius. London 1850, 304. პლატონი ფულს ავითარებს მხოლოდ ორი დანიშნულების თვალსაზრისით, როგორც ღირებულების საზომს და როგორც ღირებულების ნიშანს, მაგრამ ღირებულების იმ ნიშანს გარდა, რომელიც შინაგან მიმოქცევას ემსახურება მოითხოვს კიდევ ღირებულების სხვა ნიშანს საბერძნეთთან და უცხოეთთან ურთიერთობისათვის (შეად. აგრეთვე მისი «კანონების» მე-5 წიგნი).

[3] Aristoteles, Ethic Nicom. 1, 5, ch. 8. l. c.: «ფული გაცვლის საყოველთაო საშუალება გახდა შეთანხმების გზით. მას სწორედ იმიტომ

სრულიად განუვითარებელია, როგორც, მაგალითად, ჩინეთში, უკვე ადრიდანვე იყო ხმარებაში ქაღალდის ფული იძულებითი კურსით[1]. ქაღალდის ფულის უფრო ძველი დამცვე-

---

ეწოდება νόμισμα, რომ არსებობს არა ბუნებით, არამედ დადგენილებით (νόμω), და ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ იგი და გავხადოთ უხმარებელი» არისტოტელემ გაცილებით უფრო მრავალმხრივად და ღრმად გაიგო ფული, ვიდრე პლატონმა. შემდეგ ნაწყვეტში იგი საუცხოოდ განმარტავს, თუ როგორ წარმოშობს სხვადასხვა თემებს შორის არსებული გაცვლითი ვაჭრობა იმის აუცილებლობას, რომ ფულის ხასიათი მიეცეს ერთ სპეციფიკურ საქონელს, ე. ი. სუბსტანციას, რომელსაც თავისთავად აქვს ღირებულება: «როდესაც მეტად დაშორებული გახდა დახმარების წყაროები, საიდანაც შეიძლებოდა გამოტანა იმ პროდუქტებისა, რომლებიც არასაკმაო იყო და სადაც შეიძლებოდა ნამეტი პროდუქტების გატანა, აუცილებელი შეიქნა ფულის ხმარებაში შემოღება... მოხდა შეთანხმება, რომ ურთიერთგაცვლის დროს გაცემული და მიღებული ყოფილიყო ისეთი რამ, რაც თავისთავად ფასეული იქნებოდა და თანაც მოხერხებული ყოველდღიურ ცხოვრებაში, — მაგალითად, რკინა, ვერცხლი ან სხვა რაიმე ამისდაგვარი». (Arist., De Rep., lib. I. c. 9, l. c.). ეს ადგილი მოჰყავს მიშელ შევალიეს, რომელსაც არისტოტელე ან არ წაუკითხავს, ან ვერ გაუგია, იმის დასამტკიცებლად, რომ, არისტოტელეს შეხედულებით, მიმოქცევის საშუალება უნდა შედგებოდეს ისეთი სუბსტანციისაგან, რომელსაც თავისთავად გააჩნია ღირებულება. არისტოტელე, პირიქით, გარკვევით ამბობს, რომ ფულს როგორც მიმოქცევის უბრალო საშუალებას, ეტყობა, მხოლოდ ზნე-ჩვეულებით ან კანონით გაპირობებული არსებობა აქვს, როგორც ამას უკვე მისი სახელწოდება (νόμισμα) გვიჩვენებს და როგორც ეს იქიდანაც ჩანს, რომ თავის სახმარ ღირებულებას მონეტის სახით ფული არსებითად მხოლოდ თავისივე ფუნქციისაგან ღებულობს და არა სხვა რომელიმე სახმარი ღირებულებისაგან, რომელიც თვით მის კუთვნილებას შეადგენს. «ფული გვეჩვენება ისეთ რამედ, რაც ყურადღების ღირსი არაა, მთლიან პირობითობად, რასაც ბუნებაში არაფერი არ შეესაბამება, რადგანაც თუ ისინი, ვინც ფულით სარგებლობს, მას სხვა რამეთი შეცვლიან, მაშინ ფული კარგავს ყოველგვარ ღირებულებას და ფულით სარგებლობა სხვა რაიმე აუცილებელის შესაძენად შეუძლებელია».

[1] Sir John Mandeville: «Voyages and Travels», London ed. 1705, გვ. 105: «ამ იმპერატორს (ჩინეთისას) შეუძლია იმდენი ხარჯოს, რამდენიც სურს, — სრულიად უანგარიშოდ; ვინაიდან იგი არ ხარჯავს, არც აკეთებს სხვა ფულს, თუ არა ბეჭედდაკრული ტყავისგან ან ქაღალდისგან. და როდესაც ეს ფული დიდხანს მიმოიქცევა, იგი იწყებს გაფუჭებას: ხალხს იგი მიაქვს იმპერატორის ხაზინაში და იქ ძველი ფულის მაგივრად

ლებიც გარკვევით მიუთითებენ იმაზე, რომ ლითონური მონეტის გარდაქმნა ღირებულების ნიშნად თვით მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარეობს. ასეთ აზრს გამოთქვამენ, მაგალითად, ბენიამინ ფრანკლინი [1] და ეპისკოპოსი ბერკლი[2].

რამდენი ოზმა ქაღალდი, ბილეთებად დაჭრილი, შეიძლება მიმოიქცეოდეს ფულის სახით? ასე დასმული კითხვა უაზრო იქნებოდა. ღირებულებას მოკლებული მარკები ღირებულების ნიშნებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მიმოქცევის პროცესის ფარგლებში ოქროს შემცვლელნი არიან, და ოქროს შემცვლელნი არიან ისინი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით ოქრო შევიდოდა მონეტის სახით მიმოქცევაში, — ეს არის რაოდენობა, რომელიც მისი საკუთარი ღირებულებით განისაზღვრება, თუ მოცემულია საქონელთა საცვლელი ღირებულება და მათი მეტამორფოზების სისწრაფე. 5 გირვანქა სტერლინგის სახელწოდების ბილეთები მხოლოდ 5-ჯერ ნაკლები რაოდენობით შეიძლება მიმოიქცეოდეს,

---

ახალს იღებს. ეს ფული ტრიალებს მთელს მხარეში და მის ყველა პროვინციაში... ისინი ფულს არ აკეთებენ არც ოქროდან, არც ვერცხლიდან», და, როგორც მანდევილი ფიქრობს, «ამიტომ იმპერატორს შეუძლია ხარჯოს ასე ხელგაშლილად და დაუზოგავად».

[1] Benjamin Franklin: «Remarks and facts relative to the American paper money, 1764, გვ. 348, l. c.: «ამჟამად ვერცხლის ფულიც კი ინგლისში თავისი ღირებულების ნაწილს იქიდან ღებულობს, რომ იგი გადახდის კანონიერ საშუალებადაა გამოცხადებული; ეს ღირებულების ის ნაწილია, რომელიც შეადგენს განსხვავებას მის რეალურ წონასა და მის სახელწოდებას შორის. იმ შილინგებისა და ექვსპენსიანი მონეტების უდიდესმა ნაწილმა, რომლებიც ახლა მიმოქცევაშია, გაცვლის გამო დაკარგა წონაში 5, 10, 20%, ხოლო ზოგმა ექვსპენსიანმა მონეტამ 50%-იც კი დაკარგა. ამ განსხვავებას რეალურსა და ნომინალურ შედგენილობას შორის არ შეესაბამება არავითარი შინაგანი ღირებულება; მას არ შეესაბამება ქაღალდიც კი, მას არაფერი არ შეესაბამება. 3 პენსად ღირებული ვერცხლის მონეტა 6 პენსის კვალობაზე იმიტომ მიმოიქცევა, რომ იგი გადახდის კანონიერი საშუალებაა, და ყველამ იცის, რომ მისი გასაღება იმავე ღირებულებით ადვილია».

[2] Berkeley, l. c.: «თუ მონეტის სახელწოდება შენარჩუნებული იქნება მას შემდეგ, რაც მისი ლითონი ყველა ხრწნადი ნივთის ხვედრს გაიზიარებს, განა სავაჭრო მიმოქცევა არ განაგრძობს არსებობას?».

ვიდრე 1 გირვანქა სტერლინგის სახელწოდების ბილეთები, და ყველა გადახდა რომ შილინგიანი ბილეთებით წარმოებდეს, მიმოქცევაში 20-ჯერ მეტი შილინგიანი ბილეთები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ერთგირვანქიანები. თუ ოქროს მონეტა სხვადასხვა სახელწოდების ბილეთებით იქნებოდა წარმოდგენილი, მაგალითად, ხუთგირვანქიანებით, ერთგირვანქიანებით, ათშილინგიანებით, მაშინ ღირებულების ამ სხვადასხვაგვარი ნიშნების რაოდენობა განსაზღვრული იქნებოდა არა მარტო ოქროს იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია ერთობლივი მიმოქცევისათვის, არამედ აგრეთვე ოქროს იმ რაოდენობითაც, რომელიც აუცილებელია ყოველი განსაკუთრებული სახის ბილეთის მიმოქცევის სფეროსთვის. 14 მილიონი გირვანქა სტერლინგი რომ (ეს ციფრი მიღებულია ინგლისის საბანკო კანონმდებლობის მიერ, მაგრამ არა მონეტისთვის, არამედ საკრედიტო ფულისთვის) იმ დონეს წარმოადგენდეს, რომელზე დაბლაც მიმოქცევა ამა თუ იმ ქვეყანაში არასოდეს არ დაიწევდა, მაშინ 14 მილიონი ქაღალდის ბილეთი, რომელთაგან თვითეული 1 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ნიშანს წარმოადგენს, იქნებოდა ის რაოდენობა, რომელიც მიმოქცევას მოუნდებოდა. თუ ოქროს ღირებულება გადიდდებოდა ან შემცირდებოდა, მის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დროის შემცირებისა ან გადიდების გამო, მაშინ მიმოქცევაში მყოფი ერთგირვანქიანი ბილეთების რაოდენობა, თუ საქონელთა იმავე მასის საცვლელი ღირებულება უცვლელი დარჩებოდა, გადიდდებოდა ან შემცირდებოდა შებრუნებული შეფარდებით ოქროს ღირებულების ცვლილებასთან. თუ ოქრო როგორც ღირებულების საზომი ვერცხლით იქნებოდა შენაცვლებული, თუ ვერცხლის ღირებულების შეფარდება ოქროს ღირებულებასთან ისეთივე იქნებოდა, როგორც 1:15 და თუ შემდეგში თვითეული ბილეთი ვერცხლის იმავე რაოდენობის წარმომადგენელი იქნებოდა, რა რაოდენობითაც იგი უწინ ოქროს წარმომადგენელი იყო, — მაშინ 14 მილიონი ბილეთის ნაცვლად 210 მილიონი ერთგირვან-

ქიანი ბილეთი დარჩებოდა მიმოქცევაში. მაშასადამე, ქაღალდის ბილეთების რაოდენობა განისაზღვრება იმ ოქროს ფულის რაოდენობით, რომლის შემცვლელნიც ისინი არიან მიმოქცევაში, და რადგან ისინი ღირებულების ნიშანს წარმოადგენენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ოქროს ფულის შემცვლელნი არიან, ამიტომ მათი ღირებულება უბრალოდ მ ა თ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ განისაზღვრება. მაშასადამე, მაშინ როდესაც მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობა დამოკიდებულია საქონელთა ფასებზე, მიმოქცევაში მყოფი ქაღალდის ბილეთების ღირებულება დამოკიდებულია, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ მათს საკუთარ რაოდენობაზე.

ჩარევა სახელმწიფოსი, რომელიც ქაღალდის ფულს უშვებს იძულებითი კურსით, — ჩვენ კი აქ მხოლოდ ამგვარ ქაღალდის ფულზე გვაქვს ლაპარაკი, — ერთი შეხედვით თითქოს სპობს ეკონომიურ კანონს. სახელმწიფო, რომელიც მონეტური ფასის სახით ოქროს განსაზღვრულ წონითს რაოდენობას მხოლოდ ნათლობის სახელს აძლევდა და ფულის მოჭრისას მხოლოდ თავის ბეჭედს ასვამდა ოქროს, ახლა თითქოს თავისი ბეჭდის ჯადოქრული ძალით ოქროდ აქცევს ქაღალდს. რადგან ქაღალდის ბილეთებს იძულებითი კურსი აქვთ, სახელმწიფოს ვერავინ შეუშლის ხელს ნებისმიერად ისე ბევრი ბილეთი გაუშვას მიმოქცევაში, რამდენიც სურს, და მათ ის სამონეტო სახელწოდება მისცეს, რომელიც მას სურს, მაგალითად: 1 გირვ. სტერლ., 5 გირვ. სტერლ., 20 გირვ. სტერლინგი. მიმოქცევაში ერთხელ შეტანილი ბილეთების იქიდან გამოდევნა შეუძლებელია, რადგან სახელმწიფოს საზღვრის ბოძები აბრკოლებენ მათს მოძრაობას, მიმოქცევის გ ა რ ე შ ე კი მათ ეკარგებათ ყოველივე ღირებულება, — როგორც სახმარი, ისე საცვლელი ღირებულებაც. თავიანთ ფუნქციურ მყოფობას განშორებულნი, ისინი სრულიად გამოუსადეგარ ქაღალდის ნაგლეჯებად გადაიქცევიან. მაგრამ სახელმწიფოს ეს ძალაუფლება მხოლოდ ილუზიაა. სახელმწიფოს შეუძლია რამდენიც სურს იმდენი და რა სახელწოდებითაც სურს იმ

სახელწოდების ჭაღალდის ბილეთები გადაისროლოს მიმოქცევაში, მაგრამ ამ მექანიკური აქტით თავდება მისი კონტროლი. მიმოქცევის მიერ შთანთქმული ღირებულების ნიშნები, ანუ ჭაღალდის ფული, მიმოქცევის იმანენტურ კანონებს ექვემდებარება.

თუ 14 მილიონი გირვანქა სტერლინგი ოქროს ის ჯამი იქნებოდა, რომელიც საქონელთა მიმოქცევისთვის არის საჭირო, და სახელმწიფო 210 მილიონ ბილეთს, თვითეულს 1 გირვანქა სტერლინგის სახელწოდებით, გაუშვებდა მიმოქცევაში, მაშინ ეს 210 მილიონი გადაიქცეოდა 14 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოქროს წარმომადგენლად. ამავე შედეგს მივიღებდით, თუ სახელმწიფო ერთგირვანქიან ბილეთებს 15-ჯერ ნაკლებფასეული ლითონის ან 15-ჯერ ნაკლები წონის ოქროს წარმომადგენლად გახდიდა, ვიდრე უწინ იყო. არაფერი არ შეიცვლებოდა, გარდა ფასების მასშტაბის სახელწოდებისა, რომელიც, რასაკვირველია, პირობითია, სულ ერთია, შეიცვლება ეს სახელწოდება პირდაპირ, მონეტის შედგენილობის შეცვლის გამო, თუ — არაპირდაპირ, ჭაღალდის ბილეთების გამრავლებით იმ რაოდენობის კვალობაზე, რომელიც ახალ, უფრო დაბალ მასშტაბს შეეფერება. რადგან ახლა გირვანქა სტერლინგის სახელწოდება 15-ჯერ ნაკლებ ოქროს რაოდენობას აღნიშნავს, — საქონელთა ყველა ფასი 15-ჯერ აიწევდა და ნამდვილად 210 მილიონი ერთგირვანქიანი ბილეთები ახლა ისევე აუცილებელი იქნებოდა, როგორც უწინ 14 მილიონი იყო. იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც ღირებულების ნიშნების ერთობლივი ჯამი გადიდდებოდა, შემცირდებოდა ოქროს ის რაოდენობა, რომლის წარმომადგენელიც ყოველი ცალკეული ნიშანია. ფასების აწევა იქნებოდა მხოლოდ რეაქცია მიმოქცევის პროცესისა, რომელიც ღირებულების ნიშნებს ძალდატანებით უთანატოლებს ოქროს იმ რაოდენობას, რომლის მაგიერადაც ისინი მიმოიქცევიან.

ფულის იმ გაყალბების ისტორიაში, რასაც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ეწეოდნენ, ჩვენ ხშირად ვხე-

დავთ იმის მაგალითს, რომ ფასები არ იწევდა მაღლა იმ პროპორციით, რომლითაც ფულის გაყალბება ხდებოდა. ამის მიზეზი უბრალოდ ის იყო, რომ ის პროპორცია, რომლის მიხედვით მონეტის რიცხვის გამრავლება ხდებოდა, არ შეესაბამებოდა იმ პროპორციას, რომლის მიხედვით იგი გაყალბებული იყო, ე. ი. რაოდენობა გამოშვებული ბილეთებისა, რომელთაც უფრო დაბალი ლითონური შედგენილობა ჰქონდათ, არ კმაროდა იმისათვის, რომ საქონელთა საცვლელი ღირებულებანი ამიერიდან შეფასებული ყოფილიყო უფრო დაბალი შედგენილობის ლითონით, როგორც ღირებულების საზომით, და რეალიზებული ყოფილიყო ამ უფრო დაბალი საზომი ერთეულის შესაბამისი მონეტებით. ეს იძლევა იმ სიძნელის ამოხსნას, რომელიც ლოკსა და ლაუნდს შორის გამართულ პაექრობაში ამოუხსნელი რჩებოდა. ის შეფარდება, რომლის მიხედვით ღირებულების ნიშანი, — სულ ერთია, იქნება ეს ქაღალდი, თუ გაყალბებული ოქრო და ვერცხლი, — უნდა შეენაცვლოს მონეტური ფასის შესაბამისად ნაანგარიშევი წონის ოქრო-ვერცხლს, დამოკიდებულია არა თვით ამ ნიშნის საკუთარ მასალაზე, არამედ მის იმ რაოდენობაზე, რომელიც მიმოქცევაში იმყოფება. ამ შეფარდების გაგების სიძნელე იქიდან წარმოდგება, რომ ფული თავის ორსავე ფუნქციაში: როგორც ღირებულებათა საზომი და როგორც მიმოქცევის საშუალება, ექვემდებარება კანონებს, რომლებიც არა მარტო დაპირისპირებულნი არიან ერთიმეორისადმი, არამედ, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგებიან ამ ორი ფუნქციის დაპირისპირებულ ხასიათს. ფულის, როგორც ღირებულებათა საზომის, ფუნქციისთვის, სადაც ფული მხოლოდ საანგარიშო ფულია, ოქრო კი — მხოლოდ იდეალურად არსებული ოქრო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ მასალას. საცვლელი ღირებულება, ვერცხლით შეფასებული, ანუ როგორც ვერცხლით გამოსახული ფასი, რასაკვირველია, სულ სხვაგვარად გამოიხატება, ვიდრე ოქროთი შეფასებული, ანუ როგორც ოქროთი გამოსახული ფასი. პირიქით, ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების,

ფუნქციაში, სადაც ფული მარტო წარმოდგენაში არსებული კი არაა, არამედ რეალური ნივთის სახითაც უნდა არსებობდეს სხვა საქონელთა გვერდით, მისი მასალა უმნიშვნელო ხდება და ყველაფერი მის რაოდენობაზეა დამოკიდებული. საზომი ერთეულისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, არის იგი ერთი გირვანქა ოქრო, ვერცხლი თუ სპილენძი; მონეტას კი, როგორიც უნდა იყოს მისი საკუთარი მასალა, მხოლოდ რაოდენობა აქცევს ყოველი ამ საზომი ერთეულის სათანადო განსახიერებად. მაგრამ ადამიანის საღ გონებას თითქოს ეწინააღმდეგება ის, რომ ფულში, რომელიც მხოლოდ აზრითაა წარმოსახული, ყველაფერი დამოკიდებულია მის მატერიალურ სუბსტანციაზე, ხოლო მატერიალურად არსებულ მონეტაში ყველაფერი დამოკიდებულია იდეალურ რიცხვითს შეფარდებაზე.

ამრიგად, საქონელთა ფასების აწევა თუ დაცემა ქაღალდის ბილეთების მასის გადიდებასა თუ შემცირებასთან ერთად, — ამ უკანასკნელს ადგილი აქვს იქ, სადაც მიმოქცევის საშუალებას მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდის ბილეთები შეადგენენ, — ეს არის მხოლოდ ძალდატანებითი განხორციელება მიმოქცევის პროცესის მიერ იმ კანონისა, რომელიც მექანიკურად იქნა გარედან დარღვეული, კანონისა, რომლის მიხედვითაც მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობა განისაზღვრება საქონელთა ფასებით, ხოლო მიმოქცევაში მყოფ ღირებულების ნიშანთა რაოდენობა — ოქროს მონეტის იმ რაოდენობით, რომლის შემცვლელნიც ისინი არიან მიმოქცევაში. ამიტომ, მეორე მხრივ, რამდენიც გნებავთ იმდენ ქაღალდის ბილეთების მასას შეიწოვს და, ასე ვთქვათ, მოინელებს მიმოქცევის პროცესი, რადგან ღირებულების ნიშანი, რა ოქროს ტიტულითაც უნდა შედიოდეს იგი მიმოქცევაში, ამ უკანასკნელის ფარგლებში იგი ოქროს იმ რაოდენობის ნიშნად შეიკუმშება, რომელსაც შეეძლო მის ადგილზე ყოფილიყო მიმოქცევაში.

ღირებულების ნიშნების მიმოქცევაში ფულის ნამდვილი მიმოქცევის ყველა კანონი შებრუნებულად და თავდაყირა

დაყენებულად გვევლინება. მაშინ როდესაც ოქრო იმიტომ მიმოიქცევა, რომ ღირებულება აქვს, ქაღალდის ფულს ღირებულება აქვს იმიტომ, რომ იგი მიმოიქცევა. მაშინ როდესაც საქონელთა მოცემული საცვლელი ღირებულების არსებობისას მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობა მის საკუთარ ღირებულებაზეა დამოკიდებული, ქაღალდის ფულის ღირებულება დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფ მის რაოდენობაზე. მაშინ როდესაც მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობა მატულობს ან კლებულობს საქონელთა ფასების ზრდასა ან კლებასთან ერთად, საქონელთა ფასები, როგორც ჩანს, მატულობენ ან კლებულობენ მიმოქცევაში მყოფი ქაღალდის ფულის რაოდენობის ცვლილებასთან ერთად. მაშინ როდესაც საქონელმიმოქცევას შეუძლია შთანთქას ოქროს მონეტის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა, — რის გამო მიმოქცევაში მყოფი ფულის რიგრიგობით შეკუმშვა და გაშლა აუცილებელ კანონს წარმოადგენს, — ქაღალდის ფული, როგორც ჩანს, განუსაზღვრელი ოდენობით შეიძლება მიმოქცევაში შევიდეს. მაშინ როდესაც სახელმწიფო აყალბებს ოქროს და ვერცხლის მონეტას და ამით აბრკოლებს მონეტის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციას, — იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მონეტას მის ნომინალურ შედგენილობაზე თუნდაც $^1/_{100}$ გრანით ნაკლებს გამოუშვებს, — იგი სრულიად მართებულ ოპერაციას ასრულებს, როდესაც ღირებულებას მოკლებულ ისეთ ქაღალდის ბილეთებს უშვებს, რომელთაც ლითონის არა აცხიათ რა გარდა სამონეტო სახელწოდებისა. მაშინ როდესაც ოქროს მონეტა, ცხადია, საქონელთა ღირებულებას წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი თვითონ ოქროთია შეფასებული ანუ ფასის სახითაა გამოხატული, — ღირებულების ნიშანი ისე გვეჩვენება, თითქოს იგი საქონლის ღირებულებას უშუალოდ წარმოადგენდეს. აქედან ცხადია, თუ რატომ უნდა გაეგოთ ყალბად ფულის მიმოქცევის ყველა იმანენტური კანონი იმ მკვლევართ, რომელნიც ფულის მიმოქცევის მოვლენებს ცალმხრივად იკვლევდნენ იძულებითი კურსით

აღჭურვილი ქაღალდის ფულის მიმოქცევის საფუძველზე. მართლაც, ეს კანონები ღირებულების ნიშნების მიმოქცევაში გვევლინება არათუ დამახინჯებულად, არამედ გამქრალადაც, რადგან ქაღალდის ფული, თუ იგი სათანადო რაოდენობითაა გამოშვებული, ისეთ მოძრაობას ასრულებს, რომელიც მისთვის, როგორც ღირებულების ნიშნისათვის, არაა დამახასიათებელი, ხოლო მისი დამახასიათებელი მოძრაობა, ნაცვლად იმისა, რომ უშუალოდ გამომდინარეობდეს საქონელთა მეტამორფოზიდან, წარმოდგება იმ სწორი პროპორციის დარღვევიდან, რომელიც ქაღალდის ფულსა და ოქროს შორის არსებობს.

6. ფული

მონეტისაგან განსხვავებით ფული, რომელიც შედეგია მიმოქცევის პროცესისა ს — ფ — ს-ის ფორმით, ამოსავალი პუნქტია მიმოქცევის პროცესისა ფ — ს — ფ-ის ფორმით, ე. ი. ფულის გაცვლისა საქონელზე იმ მიზნით, რომ საქონელი კვლავ ფულზე გაიცვალოს. მოძრაობის ამოსავალ და საბოლოო პუნქტს ფორმაში ს — ფ — ს საქონელი შეადგენს, ხოლო ფორმაში ფ — ს — ფ — ფული. პირველ ფორმაში ფული ამეშვეებს საქონელთა გაცვლას, უკანასკნელ ფორმაში საქონელი ამეშვეებს ფულის ფულად გახდომას. ფული, რომელიც პირველ ფორმაში მხოლოდ უბრალო საშუალებას წარმოადგენს, მეორე ფორმაში გვევლინება როგორც მიმოქცევის საბოლოო მიზანი; საქონელი კი, რომელიც პირველ ფორმაში საბოლოო მიზანს შეადგენდა, უკანასკნელ ფორმაში გვევლინება მხოლოდ როგორც უბრალო საშუალება. რადგან თვით ფული უკვე შედეგია მიმოქცევისა ს—ფ—ს, ამიტომ ფორმაში ფ — ს — ფ მიმოქცევის შედეგი გვევლინება ამასთანავე როგორც მისი ამოსავალი პუნქტი. მაშინ როდესაც ს — ფ — ს-ში პროცესის ნამდვილ შინაარსს ნივთიერებათა ცვლა შეადგენს, საქონლის ფორმის მყოფობა, რომელიც ამ პირველი პროცესიდან გამომდინარეობს, შეადგენს მეორე პროცესის: ფ — ს — ფ-ის ნამდვილ შინაარსს.

ფორმაში: ს — ფ — ს ორივე კიდური წევრი ერთი და იმავე სიდიდის ღირებულების მქონე საქონელია, მაგრამ ამავე დროს თვისებრივად სხვადასხვა სახმარი ღირებულებაა. მათი გაცვლა ს — ს ნივთიერებათა ნამდვილ ცვლას წარმოადგენს. პირიქით, ფორმაში: ფ — ს — ფ ორივე კიდური წევრი ოქროა, თანაც ოქრო, რომელსაც ერთი და იმავე სიდიდის ღირებულება აქვს. — ოქროს გაცვლა საქონელზე, რათა საქონელი კვლავ ოქროზე იქნას გაცვლილი, ანუ, თუ ჩვენ შედეგს ფ — ფ განვიხილავთ, ოქროზე ოქროს გაცვლა უაზრობად გვეჩვენება. მაგრამ თუ ფ — ს — ფ-ს ამ ფორმულაში გადავიტანთ: ყიდვა გაყიდვისათვის, რაც სხვა არაფერია, თუ არა გამმეშვეებელი მოძრაობის გზით ოქროს ოქროზე გაცვლა, მაშინვე ამოვიცნობთ მასში ბურჟუაზიული წარმოების გაბატონებულ ფორმას. ხოლო პრაქტიკაში იმისთვის კი არ ყიდულობენ, რათა გაყიდონ, არამედ იაფად ყიდულობენ, რათა უფრო ძვირად გაყიდონ. ფული საქონელზე გაიცვლება, რათა იგივე საქონელი კვლავ გაცვლილ იქნას უფრო დიდი რაოდენობის ფულზე, ასე რომ კიდური წევრები ფ, და ფ თუ თვისებრივად არა, რაოდენობრივად სხვადასხვაა. ასეთი რაოდენობრივი განსხვავება გულისხმობს არაეკვივალენტთა გაცვლას, მაშინ როდესაც საქონელი და ფული, როგორც ასეთნი, მხოლოდ მოპირისპირე ფორმებია თვით საქონლისა, მაშასადამე, ერთი და იმავე სიდიდის ღირებულების არსებობის სხვადასხვა ფორმაა. ამრიგად, წრებრუნვაში ფ — ს — ფ ჩამალულია ფულისა და საქონლის ფორმით უფრო განვითარებული წარმოებითი ურთიერთობანი და მარტივი მიმოქცევის სფეროში იგი უფრო რთული მოძრაობის ანარეკლია მხოლოდ. ამიტომ ჩვენ ფული, მიმოქცევის საშუალებათაგან განსხვავებით, საქონელთა მიმოქცევის უშუალო ფორმიდან, ს — ფ — ს-იდან, უნდა გამოვიყვანოთ.

ოქრო, ე. ი სპეციფიკური საქონელი, რომელიც ღირებულებათა საზომის და მიმოქცევის საშუალების ფუნქციას ასრულებს, ფულად იქცევა საზოგადოების ყოველივე დახმარების

გარეშე. ინგლისში, სადაც ვერცხლი არც ღირებულებათა საზომს წარმოადგენს და არც მიმოქცევის გაბატონებულ საშუალებას, იგი ფულად არ იქცევა, სწორედ ისევე როგორც ჰოლანდიაში ოქრო, მას შემდეგ, რაც იგი როგორც ღირებულებათა საზომი გაუქმებულ იქნა, უკვე აღარ წარმოადგენს ფულს. მაშასადამე, საქონელი უწინარეს ყოვლისა ფული ხდება ღირებულების საზომისა და მიმოქცევის საშუალების ერთიანობის სახით, ანუ ღირებულების საზომისა და მიმოქცევის საშუალების ერთიანობა არის ფული. მაგრამ ასეთი ერთიანობის სახით ოქროს გააჩნია დამოუკიდებელი არსებობაც, რომელიც განსხვავდება მისი ამ ორივე ფუნქციით გამოხატული მყოფობისაგან. როგორც ღირებულებათა საზომი იგი მხოლოდ იდეალურადაა ფული და იდეალურადაა ოქრო; როგორც მხოლოდ მიმოქცევის საშუალება იგი სიმბოლური ფული და სიმბოლური ოქროა; მაგრამ თავისი მარტივი ლითონური სხეულის სახით ოქრო ფულია ანუ ფული — ნამდვილი ოქროა.

განვიხილოთ ახლა ერთ წუთს უმოძრაო საქონელი ოქრო, რომელიც ფულს წარმოადგენს, მის მიმართებაში სხვა საქონელთან. ყველა საქონელი თავის ფასებში ოქროს განსაზღვრული თანხის გამომხატველია; მაშასადამე, ყველა საქონელი არის მხოლოდ წარმოდგენაში არსებული ოქრო ანუ წარმოდგენაში არსებული ფული, წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ო ქ რ ო ს ი, ისევე როგორც, პირიქით, ღირებულების ნიშნის სახით ფული საქონელთა ფასების უბრალო წარმომადგენლად გვევლინებოდა [1]. რადგან, მაშასადამე, ყველა საქონელი მხოლოდ წარმოდგენაში არსებული ფულია,—ფული ერთადერთი ნამდვილი საქონელია. განსხვავებით საქონელთაგან, რომელნიც საცვლელი ღირებულების, საყოველთაო საზოგადოებ-

---

[1] «არა მარტო ძვირფასი ლითონებია ნივთთა წარმომადგენელი... არამედ, პირიქითაც... ნივთებიც ოქროსი და ვერცხლის წარმომადგენელია». A. G e n o v e s i: „Lezioni di Economia civile (1765), გვ. 281, Custodi-ს კრებულში, Part. mod., I. VIII.

რივი შრომის, აბსტრაქტული სიმდიდრის დამოუკიდებელ მყოფობას წარმოადგენენ მხოლოდ, ოქრო აბსტრაქტული სიმდიდრის მატერიალური მყოფობაა. სახმარი ღირებულების მხრივ თვითეული საქონელი თავისი მიმართებით განსაკუთრებულ მოთხოვნილებასთან ნივთიერი სიმდიდრის მხოლოდ ერთ მომენტს, სიმდიდრის მხოლოდ ერთ ცალკეულ მხარეს გამოსახავს. ფული კი ყოველ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რამდენადაც ყოველი მოთხოვნილების საგანზე მისი უშუალოდ გაცვლა შეიძლება. საკუთარი სახმარი ღირებულება რეალიზებულია იმ სახმარ ღირებულებათა უსასრულო მწკრივში, რომელნიც მის ეკვივალენტს შეადგენენ. თავის თვითნაბად ლითონურობაში იგი შეიცავს გამოუმჟღავნებელი სახით ყველა ნივთიერ სიმდიდრეს, რომელიც გაშლილია საქონელთა სამყაროში. ამრიგად, თუ საქონელნი თავიანთ ფასებში საყოველთაო ეკვივალენტის, ანუ აბსტრაქტული სიმდიდრის, ე. ი. ოქროს, წარმომადგენელნი არიან,—ოქრო თავის სახმარ ღირებულებაში ყველა საქონლის სახმარი ღირებულების წარმომადგენელია. მაშასადამე, ოქრო ნივთიერი სიმდიდრის მატერიალური წარმომადგენელია. იგია «შედეგი ყველა ნივთისა» («prècis de toutes les choses») (ბუაგილბერი), კომპენდიუმი საზოგადოებრივი სიმდიდრისა. ამასთან ერთად ფორმის მიხედვით იგი საყოველთაო შრომის უშუალო განხორციელებაა, შინაარსით კი—ყველა რეალური შრომის ერთობლიობაა. იგი საყოველთაო სიმდიდრეა როგორც ცალკეული ინდივიდი [1]. მიმოქცევის მოსაშუალის სახით მას ბევრი უსამართლობა განუცდია, ბევრჯერ ყოფილა დაჩეხილ-დასახიჩრებული და ქალალდის უბრალო სიმბოლური ნაგლეჯის მდგომარეობამდეც კი ჩამოქვეითებულა. მაგრამ ფულის სახით მას უბრუნდება მისი ოქროსებური სიდიადე. მონიდან

---

[1] Petty: ოქრო და ვერცხლი არის «უნივერსალური სიმდიდრე» («universal wealth»). «Pol. Arith.», l. c., გვ. 242.

იგი ბატონი ხდება[1], ხელქვეითი მუშიდან საქონელთა ღმერთად იქცევა[2].

ა) განძის შექმნა

ოქრო ფულის სახით თავდაპირველად იმით გამოეყო მიმოქცევის საშუალებას, რომ საქონელმა თავისი მეტამორფოზის პროცესი შეწყვიტა და ოქროს ჰუპრის სახის მდგომარეობაში შეჩერდა. ეს ხდება ყოველთვის, როდესაც გაყიდვა ყიდვაში არ გადადის. მაშასადამე, ოქროს დამოუკიდებელი გამოცალკევება ფულის სახით უწინარეს ყოვლისა გამოსახულებაა მიმოქცევის პროცესის ანუ საქონლის მეტამორფოზის გათიშვისა ორ ისეთ განცალკევებულ აქტად, რომელნიც ერთიმეორის გვერდით ინდიფერენტულად არსებობენ. თვით მონეტა ფულად იქცევა, როგორც კი მისი მოძრაობა შეწყდება. გამყიდველის ხელში, რომელმაც იგი თავისი საქონლის სამაგიეროდ მიიღო, იგი ფულია და არა მონეტა; რო-

---

[1] E. Misselden: «Free trade or the means to make trade florish etc». London 1622: «ვაჭრობის ბუნებრივი საგანი არის საქონელი, ის რასაც ვაჭრები წარმოების დამთავრებისას სასარგებლო პროდუქტად ცნობენ (which merchants from the end of the trade have stiled commodities). ვაჭრობის ხელოვნური საგანი არის ფული, რომელმაც მოიპოვა ომისა და სახელმწიფოს ნერვების სახელწოდება (of sinewes of warre and of state). თუმცა ფული საგნის ბუნების მიხედვითაც და დროის მიხედვითაც საქონლის (merchandize) შემდეგ ჩნდება, მაგრამ ამჟამად ფულმა პრაქტიკაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მოიპოვა (yet for as much as it is now in use has become the chiefe)» (გვ. 7). იგი საქონელს და ფულს ადარებს «ორ შვილს მოხუცი იაკობისას, რომელმაც თავისი მარჯვენა ხელი უმცროსს და მარცხენა უფროსს დაადვა» (l. c.). Boisguillebert: «Dissert. sur la nature des richesses etc», l. c. (გვ. 395, 399): ...«და, აი, ვაჭრობის მონა მისი ბატონი ხდება... ხალხთა უბედურება მხოლოდ იქიდან წარმოდგება, რომ ყოფილი მონა ბატონად ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მტარვალად გახადეს».

[2] Boisguillebert, l. c.: «ამ ლითონებისგან (ოქრო-ვერცხლისგან) ადამიანებმა შექმნეს კერპები და იმით, რომ უგულებელყვეს ის საგანი და მიზანი, რისთვისაც ისინი შემოღებული იყო ვაჭრობაში, სახელდობრ ის, რომ ისინი უნდა შეადგენდნენ საწინდარს გაცვლასა და საურთიერთო ანგარიშსწორებაში,—თითქმის გადააყენეს ეს ლითონები ამ სამსახურიდან და

გორც კი მისი ხელიდან გავა, იგი კვლავ მონეტად იქცევა. ყოველი ადამიანი გამყიდველია იმ ცალმხრივი საქონლისა, რომელსაც იგი აწარმოებს, და მყიდველია ყველა სხვა საქონლისა, რომლებსაც იგი თავისი საზოგადოებრივი არსებობისათვის საჭიროებს. მაშინ როდესაც მისი გამოსვლა გამყიდველის სახით დამოკიდებულია იმ სამუშაო დროზე, რომელსაც მისი საქონელი თავის საწარმოებლად მოითხოვს, მისი გამოსვლა მყიდველის სახით გაპირობებულია მის საარსებო მოთხოვნილებათა მუდმივი განახლებით. რათა მან შეძლოს იყიდოს ისე, რომ არ გაყიდოს, მას უწინ უნდა გაეყიდნა ისე, რომ არ ეყიდნა. სინამდვილეში მიმოქცევა ს—ფ—ს პროცესის სახით მიმდინარე ერთიანობაა გაყიდვისა და ყიდვისა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ამასთანავე ერთად მათი განცალკევების მუდმივი პროცესია. იმისათვის, რომ ფულმა მუდმივად იდინოს მონეტის სახით, მონეტა მუდამ ფულის სახით უნდა ილექებოდეს. მონეტის მუდმივ ტრიალს განაპირობებს მისი მუდმივი შეჩერება მეტნაკლები რაოდენობით მონეტის სარეზერვო ფონდების სახით, რომელნიც ყველგან მიმოქცევის სფეროში წარმოიშვებიან და ამასთანავე ერთად განაპირობებენ ამ მიმოქცევას; ამ ფონდების წარმოქმნა, განაწილება, გაქრობა და კვლავწარმოქმნა მუდამ იცვლება, მათი მყოფობა მუდამ ქრება, მათ გაქრობას მუდამ აქვს ადგილი. მონეტის ეს განუწყვეტელი გარდაქმნა ფულად და ფულისა მონეტად ადამ სმიტმა იმგვარად გამოხატა, რომ თვითეულ საქონელმფლობელს იმ განსაკუთრებულ საქონელთან ერთად, რომელსაც იგი ჰყიდის, მუდამ უნდა ჰქონდეს მარაგის სახით იმ საყოველთაო საქონლის განსაზღვრული რაოდენობა, რომლითაც იგი ყიდულობს. ჩვენ ვნახეთ, რომ მიმოქცევაში ს—ფ—ს მეორე წევრი ფ—ს ნაწილდება მთელ რიგ ყიდვის აქტებად, რომელთა შესრულებაც

შექმნეს მათგან ღ ვ თ ა ე ბ ა ნ ი, რომელთაც მსხვერპლად ეწირებოდა მეტი ჭონება,' ძვირფასეულობა და ადამიანთა სიცოცხლეც კი, ვიდრე უგუნურ ძველ დროს ოდესმე შეუწირავს ამ ცრუ ღვთაებათათვის» (l. c., გვ. 395).

ერთბაშად კი არა, არამედ თანამიმდევრობით ხდება დროში, ასე რომ ფ-ის ერთი ნაწილი მონეტის სახით ტრიალებს, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი ისვენებს ფულის სახით. ფული აქ ნამდვილად მხოლოდ შეჩერებული მონეტაა, და მიმოქცევაში მყოფი მონეტური მასის ცალკეული შემადგენელი ნაწილები მუდამ გვევლინებიან შენაცვლებით—ხან ერთი ფორმით, ხან მეორეთი. მაშასადამე, მიმოქცევის საშუალების ეს პირველი გარდაქმნა ფულად თვით ფულის ტრიალის მხოლოდ ტექნიკურ მომენტს გამოხატავს [1].

სიმდიდრის პირველი, ბუნებრივად აღმოცენებული ფორმაა პროდუქტების ნაჭარბი, ანუ ნამეტი; ეს არის პროდუქტების ის ნაწილი, რომელიც სახმარი ღირებულების სახით უშუალოდ საჭირო არ არის მფლობელისათვის, ანდა ესაა ისეთი პროდუქტების ფლობა, რომელთა სახმარი ღირებულება პირველ მოთხოვნილებათა ფარგალს იქით იმყოფება. როდესაც ჩვენ განვიხილავდით საქონლის გადასვლას ფულში, დავინახეთ, რომ პროდუქტების ეს ნაჭარბი, ნამეტი, წარმოების განუვითარებელ საფეხურზე საქონელთა გაცვლის საკუთრივ სფეროს შეადგენს. ნაჭარბი პროდუქტი ხდება გაცვლისუნარიანი პროდუქტი, ანუ საქონელი. ამ ნაჭარბი პროდუქტის არსებობის ადეკვატური ფორმაა ოქრო და ვერცხლი,—პირველი ფორმა, რომლითაც სიმდიდრე მყარდება როგორც აბსტრაქტულად საზოგადოებრივი სიმდიდრე. ოქროს ან

---

1 ბუაგილბერი ფულის, ამ perpetuum mobile-ს, პირველსავე შეჩერებაში, ე. ი. ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციონური არსებობის უარყოფაში, უკვე ამჩნევს იმას, რომ ფული დამოუკიდებელი ხდება საქონელთა მიმართ. «ფული,—ამბობს იგი,—განუწყვეტელ მოძრაობაში უნდა იმყოფებოდეს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მანამდე, ვიდრე ფული მოძრავია; როგორც კი იგი უძრავი ხდება, ყველაფერი დაღუპულია» («dans un mouvement continuel, ce qui ne peut être que tant qu'il est meuble, mais sitôt, qu'il devient immeuble tout est perdu». «Le détail de la France», გვ. 231). იგი ვერ ამჩნევს, რომ ფულის ეს შეჩერება მისი მოძრაობის პირობაა. არსებითად მას ის უნდა, რომ საქონელთა ღირებულების ფორმა მათი ნივთიერების ცვლის მხოლოდ წარმავალ ფორმად გვევლინებოდეს, მაგრამ არასოდეს არ ხდებოდეს განმტკიცებული როგორც თვითმიზანი.

ვერცხლის ფორმით, ე. ი. ფულადი მასალის სახით, არათუ შესაძლებელია საქონლის შენახვა, არამედ ოქრო და ვერცხლი სიმდიდრეა მისი შენახული ფორმით. თვითეული სახმარი ღირებულება როგორც ასეთი სამსახურს იმით ეწევა, რომ იგი მოიხმარება, ე. ი. ისპობა. სახმარი ღირებულება კი ოქროსი როგორც ფულისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უნდა იყოს საცვლელი ღირებულების მატარებელი, რათა უფორმო ნედლეულის სახით საყოველთაო სამუშაო დროის მატერიალიზაციას წარმოადგენდეს. უფორმო ლითონის სახით საცვლელ ღირებულებას წარუვალი ფორმა აქვს. ოქრო ან ვერცხლი, ფულის სახით ასეთ უმოძრაო მდგომარეობაში ჩაყენებული, განძს წარმოადგენს. იმ ხალხებში, რომელთაც წმინდა ლითონური მიმოქცევა აქვთ, როგორც ეს ძველ ხალხებში იყო, განძის შექმნა წარმოადგენს ისეთ პროცესს, რომელსაც ყველგან ახორციელებენ როგორც ცალკეული პირები, ისე სახელმწიფოც, რომელიც თავის სახელმწიფო განძს უვლის. უძველეს დროში, აზიასა და ეგვიპტეში, მეფეთა და ქურუმთა სალაროებში დაცული განძი მათი ძლიერების ყველაზე უფრო დამამტკიცებელი საბუთი იყო. საბერძნეთსა და რომში სახელმწიფო განძის შექმნა ნაჭარბის ისეთი ფორმით, რომელიც მუდამ უზრუნველყოფილი და ხმარებისათვის გამოსადეგია, პოლიტიკის საგანი ხდება. ამგვარ განძთა სწრაფი გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში დამპყრობელთა მიერ და მათი ნაწილობრივ უეცარი მოზღვავება მიმოქცევაში ანტიკური ეკონომიკის თავისებურებას შეადგენს.

როგორც გასაგნობრივებული სამუშაო დრო, ოქრო უზრუნველყოფს თავისი საკუთარი ღირებულების სიდიდეს, და რადგან იგი საყოველთაო სამუშაო დროის მატერიალიზაციაა, ამიტომ მიმოქცევის პროცესის მიერ გარანტირებულია მისთვის მისი მუდმივი მოქმედება საცვლელი ღირებულების სახით. მარტოოდენ იმ ფაქტის გამო, რომ საქონელმფლობელს შეუძლია შეინახოს საქონელი მისი საცვლელი ღირებულების ფორმით ანდა თვით საცვლელი ღირებულება როგორც საქონელი,—საქონელთა გაცვლის წარმოება

იმ მიზნით, რომ საქონელი ოქროს გარდაქმნილი სახით უკანვე იქნას მიღებული, თვით მიმოქცევის საკუთარ მოტივად იქცევა. საქონლის მეტამორფოზს, ს—ფ, ადგილი აქვს თვით მისი მეტამორფოზის გულისთვის, იმ მიზნით, რათა საქონელი განსაკუთრებული ნატურალური სიმდიდრიდან საყოველთაო საზოგადოებრივ სიმდიდრედ გადააქციოს. ნივთიერებათა ცვლის ნაცვლად თვითმიზანი ხდება ფორმათა ცვლა. უბრალო ფორმიდან საცვლელი ღირებულება მოძრაობის შინაარსად გარდაიქმნება. საქონელი შეინახება როგორც სიმდიდრე, როგორც საქონელი, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მიმოქცევის სფეროს ფარგლებში შეინახება, ხოლო ამ დენადს მდგომარეობაში იგი შეინახება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვერცხლისა და ოქროს სახით ქვავდება. დენადობის პროცესში იგი რჩება მიმოქცევის პროცესის კრისტალის სახით. მაგრამ თვით ოქროსა და ვერცხლის ფიქსაცია ხდება ფულის სახით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მიმოქცევის საშუალებას არ წარმოადგენენ. როგორც არა მიმოქცევის საშუალებანი, ოქრო და ვერცხლი იქცევა ფულად. მაშასადამე, საქონლის გამოტანა მიმოქცევიდან ოქროს ფორმით ერთადერთი საშუალებაა მის მუდამ გასაჩერებლად მიმოქცევის სფეროში.

საქონელმფლობელს შეუძლია მიმოქცევიდან მიიღოს ფულის სახით მხოლოდ იმდენი, რამდენიც მას საქონლის სახით მასში შეაქვს. მუდმივი გაყიდვა, საქონელთა განუწყვეტელი გადასროლა მიმოქცევაში, მაშასადამე, განძის შექმნის პირველ პირობას წარმოადგენს საქონელთა მიმოქცევის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ფული მუდამ ქრება როგორც მიმოქცევის საშუალება თვით მიმოქცევის პროცესში იმის გამო, რომ მუდამ ხორციელდება სახმარ ღირებულებებში და ისპობა წარმავალ მოხმარებაში. ამიტომ იგი გამოტაცებულ უნდა იქნას მისი მშთანთქმელი მიმოქცევის ნაკადიდან, ანდა საქონელი მის პირველ მეტამორფოზში უნდა იქნას შეჩერებული, რათა ფულმა, როგორც ყიდვის

საშუალებამ, ვერ მოახერხოს თავისი ფუნქციის შესრულება. საქონელთმფლობელმა, რომელიც ახლა განძის დამგროვებელი გახდა, რაც შეიძლება მეტი უნდა გაყიდოს და რაც შეიძლება ნაკლები იყიდოს, როგორც ამას უკვე ასწავლიდა მოხუცი კატონი: ოჯახის მამა კი არ უნდა ყიდულობდეს, არამედ უნდა ჰყიდდესო (patrem familias vendacem, non emacem esse). თუ მუყაითობა დადებითი პირობაა, მომჭირნეობა უარყოფითი პირობაა განძის შესაქმნელად. რაც უფრო ნაკლებ მოაკლდება მიმოქცევას საქონლის ეკვივალენტი განსაკუთრებულ საქონელთა ანუ სახმარ ღირებულებათა სახით, მით უფრო მეტად მოაკლდება მას იგი ფულის ანუ საცვლელი ღირებულების სახით [1]. მაშასადამე, სიმდიდრის მითვისება მისი საყოველთაო ფორმით განაპირობებს უარისთქმას სიმდიდრეზე მისი ნივთიერ-რეალური სახით. ამიტომ განძის დაგროვების ცოცხალი სტიმულია სიძუნწე, რომლისთვისაც მოთხოვნილებას წარმოადგენს არა საქონელი როგორც სახმარი ღირებულება, არამედ საცვლელი ღირებულება როგორც საქონელი. იმისათვის, რომ ადგილი ჰქონდეს ნამეტი პროდუქტების დაუფლებას მათი საყოველთაო ფორმით, საჭიროა განსაკუთრებული მოთხოვნილებანი განიხილებოდეს როგორც ფუფუნება და ნამეტობა. ასე, მაგალითად, 1593 წელს კორტესმა ფილიპე II-ს მოხსენება წარუდგინა, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: «1586 წ. ვალადოლიდის კორტესი თხოვდა თქვენს უდიდებულესობას ნება არ დაგერთოთ ამიერიდან სამეფოში შემოეზიდათ სანთელი, შუშეულობა, ძვირფასი თვლები, დანები და მსგავსი ნივთები, რომლებიც უცხოეთიდან მოაქვთ იმ მიზნით, რომ ეს ადამიანის არსებობისათვის უსარგებლო ნივთები გაცვალონ ოქროზე, თითქოს ესპანელები ინდიელები იყვნენ». განძის დამგროვებელი ზიზღით უცქერის ქვეყნიურ, წუთიერ და წარმავალ განცხრომას, რათა მარადიული განძი მოიხვეჭოს,

[1] «რაც უფრო იზრდება საქონელთა მარაგი, მით უფრო კლებულობს განძის სახით (in treasure) არსებული მარაგი» (E. Misselden, l. c., გვ. 7).

განძი, რომელსაც არც ჩრჩილი სჭამს და არც ჟანგი და რომელიც სავსებით ზეციურია და იმავე დროს სავსებით ამქვეყნიურიც. «ჩვენში ოქროს ნაკლებობის საერთო შორეული მიზეზი ის არის, — ამბობს მისელდენი ზემოაღნიშნულ თხზულებაში, — რომ ჩვენს სამეფოში გადაჭარბებით ბევრი მოიხმარება უცხო ქვეყნების საქონელი, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო პროდუქტის (commodities) ნაცვლად საზიანო (discommodities) ხდება, რადგან ხელიდან გვაცლის ესოდენ დიდ განძს, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სათამაშო ნივთების (toys) ნაცვლად იქნებოდა შემოზიდული. სახელდობრ, ჩვენ ძალიან ჭარბად ვხმარობთ ღვინოს, შემოზიდულს ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, რაინის ოლქიდან, ლევანტიდან, ქიშმიშს — ესპანეთიდან, ჩიტ-ყურძენას — ლევანტიდან, ლინო-ბატისტს (წმინდა ტილოს სახეობა) და კემბრიკს — ენოდან (Hainault), აბრეშუმის ქსოვილებს — იტალიიდან, შაქარს და თამბაქოს — ვესტ-ინდოეთიდან, სანელებელს — ოსტ-ინდოეთიდან, — ყველაფერი ეს აბსოლუტურ მოთხოვნილებას არ შეადგენს ჩვენთვის, მაგრამ მაინც ამ ნივთებს წკრიალა ოქროზე ვყიდულობთ»[1]. სიმდიდრე ოქროს ან ვერცხლის სახით წარუვალია როგორც იმიტომ, რომ საცვლელი ღირებულება ურღვევ ლითონში არსებობს, ისე იმიტომაც განსაკუთრებით, რომ ოქრო-ვერცხლს დაბრკოლება ეღობება და აღარ შეუძლია მიმოქცევის საშუალების სახით საქონლის მხოლოდ წარმავალი ფულადი ფორმა გახდეს. ასე ეწირება მსხვერპლად წარმავალი შინაარსი წარუვალ ფორმას. «თუ ფული გადასახადის გზით გამოერთმევა იმას, ვინც მას ჭამა-ქეიფში ხარჯავს, და გადაეცემა მეორეს, რომელიც მას მოახმარს მიწის გაუმჯობესებას, მეთევზეობას, სამთამადნო საქმეს, მანუფაქტურას ანდა თუნდაც ტანისამოსისთვის გამოიყენებს,—ამით საზოგადოებას ყოველთვის სარგებლობა ექნება, რადგან ტანისამოსსაც კი არა აქვს ისეთი წარმავალი ხასიათი, როგორც საჭმელსა და სასმელს. თუ ეს

[1] [E. Misselden,] l. c., გვ. 11—13, passim.

ფული ავეჯეულობას მოხმარდება,—ეს კიდევ უფრო სასარგებლო იქნება, თუ სახლების შენებას მოხმარდება,— კიდევ უფრო მეტი და სჩვა; ყველაზე მეტი სარგებლობა კი მაშინ არის, როდესაც ოქრო და ვერცხლი სახელმწიფოში შემოიზიდება, რადგან მხოლოდ ამ ნივთებს აქვთ წარუვალი ხასიათი და ყველგან და ყველა დროში ისინი სიმდიდრედ ითვლება; ყოველივე დანარჩენი კი სიმდიდრეა მხოლოდ გარკვეული ადგილისა და დროისათვის (pro hic et nunc)» [1]. მიმოქცევის ნაკადიდან ფულის გამოტანა და ნივთიერებათა საზოგადოებრივი ცვლისგან მისი დაფარვა ვლინდება აგრეთვე გარეგნულად ფულის მიწაში ჩამარხვითაც, ასე რომ საზოგადოებრივი სიმდიდრე, როგორც მიწისქვეშ დაფარული, წარუვალი განძი, სრულიად ფარულ კერძო ურთიერთობაში შედის საქონელმფლობელთან. დ-რი ბერნიე, რომელსაც ერთხანს დელიში, აურენზების სასახლეში მოუხდა ყოფნა, მოგვითხრობს, თუ როგორ მალულად მარხავენ იქ ღრმად მიწაში თავიანთ ფულს ვაჭრები, განსაკუთრებით არამაჰმადიანი წარმართები, რომელთაც თითქმის მთელი ვაჭრობა და მთელი ფული ხელში უჭირავთ და რომელნიც «იმ რწმენით არიან გამსჭვალულნი, რომ ოქრო და ვერცხლი, რასაც ისინი აქ სიცოცხლის დროს ჩამარხავენ, სიკვდილის შემდეგ მათ საიქიოს ემსახურება» [2]. სხვათა შორის, განძის დამგროვებელი, რამდენადაც მისი ასკეტიზმი დაკავშირებულია ენერგიულ მუყაითობასთან, სარწმუნოებით არსებითად პროტესტანტია და კიდევ უფრო მეტად—პურიტანელი. «შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ყიდვა და გაყიდვა აუცილებელი რამაა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, და რომ ქრისტიანულად ყიდვა შეიძლება, განსაკუთრებით იმ ნივთებისა, რომელნიც აუცილებელ მოთხოვნილებას და პატივს ემსახურებიან, ვინაიდან პატრიარქებიც ხომ ყიდულობდნენ და ჰყიდდნენ პირუტყვს, მატყლს, ხორბალს, კარაქს, რძეს და სხვა დოვლათს. ყოველივე ეს

---

[1] Petty: «Political Arith.» l. c., გვ. 196.

[2] François Bernier: «Voyage contenant la description des états du grand Mogul». პარიზის გამოცემა 1830 წ., tome I, conf, გვ. 312—314.

არის მადლი ღვთისა, რომელიც მას მიწიდან ამოიღებს და ადამიანებს შორის გაანაწილებს. მაგრამ საგარეო ვაჭრობა, რომელსაც კალკუტიდან და ინდოეთიდან და მსგავსი ადგილებიდან ისეთი საქონელი მოაქვს, როგორიცაა ძვირფასი აბრეშუმეული, ოქროს ნაკეთობანი და სანელებელი, რომელიც მხოლოდ ფუფუნებას ემსახურება და არა სარგებლობას, და ქვეყნისა და ადამიანებისაგან ფულის გამომწოვია,— ასეთი ვაჭრობა არ უნდა იყოს ნებადართული, თუნდაც რომ თავადების მთელი ლაშქარიც გვყავდეს. მაგრამ ამაზე მე ახლა არ მინდა ვწერო, რადგან, ვფიქრობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, როდესაც ფული აღარ გვექნება, ეს ვაჭრობა თავისთავად უნდა შეწყდეს, ისევე როგორც ფუფუნება და ღორმუცელობა: წერა და სწავლება ხომ აქ ვერ გვიშველის, ვიდრე გაჭირვება და სიღარიბე არ გვაიძულებს»[1].

---

[1] Dr. Martin Luther: «Bücher vom Kaufhandel und Wucher», 1524. იმავე ადგილას ლუთერი ამბობს: «ღმერთმა ინება, რომ ჩვენ, გერმანელებმა, ჩვენი ოქრო და ვერცხლი უცხო ქვეყნებს უნდა ვაძლიოთ, მთელი ქვეყნიერება გავამდიდროთ და თვითონ მათხოვრები დავრჩეთ. ინგლისს ნაკლები ოქრო ექნებოდა, გერმანია რომ მას მის მაუდს უტოვებდეს, და პორტუგალიის მეფესაც ნაკლები ექნებოდა, ჩვენ რომ მას მის სანელებელს ვუტოვებდეთ. თუ იანგარიშებ, რამდენი რამ გამოიზიდება ერთადერთ ფრანკფურტის ბაზრობაზე გერმანიის სხვადასხვა ნაწილებიდან საჭიროებისა და საფუძვლის გარეშე, გაგიკვირდება, ერთი გროშიც კი როგორღა რჩება კიდევ გერმანიის მხარეებში. ფრანკფურტი ოქროს და ვერცხლის ხვრელია, სადაც მიედინება გერმანიის ქვეყნიდან ყველაფერი, რაც წარმოიშვება და იზრდება, რაც მონეტად იქცევა ან მონეტად მოიჭრება ჩვენში; ეს ხვრელი რომ დაიხურებოდეს, ჩვენ აღარ გავიგონებდით ჩივილს იმის შესახებ, რომ ყველგან ვალი დაგროვდა და ფული არ არის, რომ სოფელი და ქალაქი მევახშეების ხელშია ჩავარდნილი. მაგრამ, დაე, ყველაფერი იყოს ისე, როგორც უნდა იყოს: ჩვენ, გერმანელები, გერმანელებად უნდა დავრჩეთ! ჩვენ ხომ ხელს არ ავიღებთ, ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ».

მისელდენს ზემოაღნიშნულ თხზულებაში სურს შეაკავოს ოქრო-ვერცხლი ქრისტიანულ ქვეყნებში მაინც: «ფული მცირდება არაქრისტიანულ ქვეყნებთან—თურქეთთან, სპარსეთთან და ოსტ-ინდოეთთან—გაჩაღებული ვაჭრობით. ეს ვაჭრობა მეტწილად ნაღდ ფულზე წარმოებს, მაგრამ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ვაჭრობა თვით ქრისტიანებს შორის. ვინაიდან, თუმცა ვაჭრობა ქრისტიანებშიც ნაღდ ფულზე წარმოებს, მაგრამ ფული აქ მუდამ

ნივთიერებათა საზოგადოებრივი ცვლის შერყევის პერიოდებში განვითარებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიც კი ადგილი აქვს განძის სახით ფულის მიწაში ჩაფლვას. საზოგადოებრივი კავშირი მისი კომპაქტური ფორმით — საქონელმფლობელისათვის ეს კავშირი მდგომარეობს საქონელში, საქონლის ადეკვატური მყოფობა კი ფულია — დაცულია საზოგადოებრივი მოძრაობისაგან. საზოგადოებრივი **nervus rerum** [ნივთთა ნერვი] მიწას მიებარება სხეულის გვერდით, რომლის ნერვსაც იგი წარმოადგენს.

განძი მხოლოდ უსარგებლო ლითონი იქნებოდა, მისი ფულადი სული მას განშორდებოდა და განძი დარჩებოდა მიმოქცევის დაფერფლილ ნაცრად, მის მკვდარ თავად (**caput mortuum**), მას რომ მიმოქცევისადმი მუდმივი მისწრაფება არ ჰქონდეს. ფული, ანუ დამოუკიდებლად ქცეული საცვლელი ღირებულება, თავისი თვისებრიობით აბსტრაქტული სიმდიდრის მყოფობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ფულის ყოველი განსაზღვრული ჯამი რაოდენობრივად ღირებულების ზღვარდებული სიდიდეა. საცვლელი ღირებულების საზღვარი ეწინააღმდეგება მის თვისებრივ საყოველთაობას, და განძის დამგროვებელი ამ საზღვარს შეიგრძნობს ზღუდედ, რომელიც სინამდვილეში ამასთანავე თვისებრივ ზღუდედ იქცევა, ანუ განძს ნივთიერი სიმდიდრის შეზღუდულ წარმომადგენლად აქცევს. საყოველთაო ეკვივალენტის სახით ფული, როგორც ჩვენ ვნახეთ, უშუალოდ გამოიხატება განტოლებით, რომელშიც თვითონ ერთ მხარეს შეადგენს, ხოლო საქონელთა

თავის საზღვრებს შიგნითაა მოქცეული. მართლაც, ქრისტიანებს შორის წარმოებულ ვაჭრობაში ადგილი აქვს ფულის წინ და უკან დენას, მოქცევას და მიქცევას, რადგან ზოგჯერ ფული ერთ ადგილას მეტია, მეორე ადგილას კი — ნაკლები, იმისდა მიხედვით, რომ ერთი მხარე ნაკლებობას განიცდის და მეორე — სიჭარბეს; ფული მოდის და მიდის და ტრიალებს ქრისტიანობის წრეში, მაგრამ ყოველთვის საზღვრის ხაზითაა შემოვლებული. მაგრამ ფული, რომელიც არაქრისტიანულ ქვეყნებთან ვაჭრობის მიზნით ზემოაღნიშნულ ქვეყნებში გააქვთ, ყოველთვის იხარჯება და არასოდეს აღარ ბრუნდება უკან».

უსასრულო მწკრივი — მეორე მხარეს. საცვლელი ღირებულების სიდიდეზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უახლოვდება ფული თავისი რეალიზაციით ასეთ უსასრულო მწკრივს, ე. ი. რამდენად შეესაბამება იგი თავის — როგორც საცვლელი ღირებულების — ცნებას. მოძრაობა საცვლელი ღირებულებისა როგორც საცვლელი ღირებულებისა, როგორც ავტომატისა, საერთოდ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ იგი თავის რაოდენობრივ საზღვარს უნდა სცილდებოდეს. მაგრამ როგორც კი განძის ერთი რაოდენობრივი საზღვარი გადაილახება, იქმნება ახალი ზღუდე, რომელიც კვლავ მოსპობილ უნდა იქნას. განძის საზღვრად გვევლინება არა რომელიმე გარკვეული საზღვარი განძისა, არამედ ამ განძის ყოველი საზღვარი. მაშასადამე, განძის შექმნას არა აქვს არავითარი იმანენტური საზღვარი, იგი არ შეიცავს არავითარ ზომას, არამედ უსასრულო პროცესია, რომელიც ყოველ თავის შედეგში თავისი დასაწყისის მოტივს პოულობს. თუ განძი მხოლოდ შენახვით იზრდება, მეორე მხრივ, იგი მხოლოდ იმით შეინახება, რომ იზრდება.

ფული არის გამდიდრებისადმი მისწრაფების არა მხოლოდ ერთი საგანი, არამედ იგი მისი ერთადერთი საგანია. იგი არის არსებითად ოქროს წყეული წყურვილი (auri sacra fames). გამდიდრებისადმი მისწრაფება, განსხვავებით მისწრაფებისგან განსაკუთრებული ნატურალური სიმდიდრისადმი ანუ სახმარი ღირებულებებისადმი, როგორიცაა ტანისამოსი, სამკაული, ჯოგი და სხვ., მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საყოველთაო სიმდიდრე როგორც ასეთი გაინდივიდუალებულია ერთ განსაკუთრებულ საგანში და ამიტომ იგი შეიძლება შენახულ იქნას ცალკეული საქონლის სახით. ამრიგად, ფული იმდენადვე გვევლინება საგნად, რამდენადაც სიმდიდრისადმი მისწრაფების წყაროდ [1]. სინამ-

---

[1] «ფულიდან ღებულობს თავის დასაწყისს სიძუნწე... თანდათანობით იგი გაღვივდა მძვინვარედ: ეს უკვე აღარაა სიძუნწე, არამედ ოქროს წყურვილია» (Plin., Hist. nat., I. XXXIII, G. III, გვ. 14).

დვილეში აქ საფუძველს ის შეადგენს, რომ საცვლელი ღირებულება როგორც ასეთი, და ამით მისი გამრავლება, მიზანი ხდება. სიძუნწეს მაგრად უჭირავს ხელში განძი იმით, რომ ფულს ნებას არ აძლევს მიმოქცევის საშუალებად იქცეს, მაგრამ ოქროს წყურვილი ინახავს განძის ფულადს სულს, მის მუდმივ მისწრაფებას მიმოქცევისადმი.

ის მოქმედება, რომლის საშუალებითაც განძი იქმნება, წარმოადგენს, ერთი მხრივ, ფულის გამოტანას მიმოქცევიდან მუდამ გაყიდვის განმეორებული აქტების გზით, მეორე მხრივ,—უბრალო თავმოყრას, დაგროვებას. სიმდიდრის დაგროვებას, როგორც ასეთს, ადგილი აქვს არსებითად მხოლოდ მარტივი მიმოქცევის სფეროში, და თან განძის შექმნის ფორმით, მაშინ როდესაც, როგორც ჩვენ ამას შემდეგში დავინახავთ, დაგროვების სხვა ეგრეთწოდებული ფორმები დაგროვებად ითვლება მხოლოდ თვითნებურად, მხოლოდ ფულის მარტივი დაგროვების მოგონების გამო. ყველა სხვა საქონლის დაგროვება ხდება ან სახმარი ღირებულების სახით, და ამ შემთხვევაში მათი დაგროვების წესს განსაზღვრავს მათი საცვლელი ღირებულების თავისებურება. ხორბლის დაგროვება, მაგალითად, მოითხოვს განსაკუთრებულ მოწყობილობას. ცხვრების დაგროვება მწყემსად მხდის, მონებისა და მიწის დაგროვება აუცილებელს ხდის ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობას და სხვ.. განსაკუთრებული სიმდიდრის მარაგის შექმნა მოითხოვს განსაკუთრებულ პროცესებს, თვით დაგროვების უბრალო აქტისაგან განსხვავებულთ, და ავითარებს ინდივიდუალობის განსაკუთრებულ მხარეებს. ანდა საქონელთა ფორმით სიმდიდრე გროვდება როგორც საცვლელი ღირებულება, და მაშინ დაგროვება გვევლინება ვაჭრულ ანუ სპეციფიკურ ეკონომიურ ოპერაციად. ამ ოპერაციის სუბიექტი იქცევა ხორბლის ვაჭრად, პირუტყვის ვაჭრად და სხვ.. ოქრო და ვერცხლი ფულია არა იმ ინდივიდის რაიმე საქმიანობის გამო, რომელიც მათ აგროვებს, არამედ — როგორც კრისტალი მიმოქცევის

პროცესისა, რომელიც ინდივიდის დაუხმარებლად მიმდინარეობს. მას სხვა არაფერი აქვს საკეთებელი, გარდა იმისა, რომ ოქრო და ვერცხლი გვერდზე გადადოს და ერთი წონითი ერთეული მეორეს მიუმატოს, — სრულიად უშინაარსო მოქმედება, რომელიც თუ იგი ყველა სხვა საქონლის მიმართ იქნებოდა გამოყენებული, ყოველგვარ ღირებულებას დაუკარგავდა მათ [1].

ჩვენი განძის დამგროვებელი გვევლინება საცვლელი ღირებულებისათვის ტანჯულად, წმინდა ასკეტად ლითონის სვეტის მწვერვალზე. მას საქმე აქვს მხოლოდ საზოგადოებრივი ფორმით არსებულ სიმდიდრესთან და ამიტომ იგი მას მალავს საზოგადოებისგან. იგი საქონელს მოითხოვს მისი მუდამ მიმოქცევისუნარიანი ფორმით და ამიტომ იგი გამოაქვს მიმოქცევიდან. იგი ოცნებობს საცვლელ ღირებულებაზე და ამიტომ გაცვლაზე ხელს იღებს. სიმდიდრის დენადი ფორმა და მისი გაქვავებულობა, ელექსირი სიცოცხლისა და ქვა ბრძენთა, ალქიმიის მსგავსად, საშინლად ირევა ერთმანეთში. მას წარმოსახული აქვს სიამოვნების უსაზღვრო წყურვილი და უარს ამბობს ყოველგვარ სიამოვნებაზე. რადგან მას სურს ყველა საზოგადოებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს,

---

[1] ჰორაციუსს, მაშასადამე, განძის დაგროვების ფილოსოფიის არა ესმის რა, როდესაც ამბობს (Satir. I, II, Satir III): «თუ ვინმე ყიდულობს ჩანგებს და მათ ერთად აწყობს, ასე რომ არც ჩანგზე სწავლობს, არც მუზას ემსახურება; თუ მეწაღის კალაპოტებს და სადგისებს ყიდულობს მეწაღეობის საქმის უცოდინარი და გემის იალქნებს — კაცი, რომელსაც ვაჭრობა ეზიზღება,—ასეთი კაცი ყველას სამართლიანად შეუძლია ჩათვალოს შერყეულად და სულელად. რით განსხვავდება ასეთებისგან ის, ვინც ფულსა და ოქროს აგროვებს და მოგროვილის მოხმარება არ იცის, ეშინია რა მას მიეკაროს, როგორც რაიმე ღვთიურ საგანს?».

ბ-ნ სენიორს ეს საგანი უკეთ ესმის: «ფული, როგორც ეტყობა, ერთადერთი საგანია, რომლისადმი მისწრაფება უნივერსალურია, და ეს იმიტომ ხდება, რომ ფული ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ს ი მ დ ი დ რ ე ა, და ადამიანს, თუ ფული აქვს, შეუძლია ყველა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, როგორიც უნდა იყოს ეს მოთხოვნილება» («Principes fondamentaux de l'Ec. pol.», traduit par le comte Jean Arrivabene, Paris 1836, გვ. 221); ანდა შ ტ ო რ ხ ს: «რადგან ფული ყველა სხვა სიმდიდრის წარმომადგენელია,

იგი ძლივს თუ იკმაყოფილებს აუცილებელ ბუნებრივ მოთხოვნილებას. იმით, რომ იგი სიმდიდრეს მისი ლითონური სხეულებრივი ფორმით ინახავს, ეს სიმდიდრე მისთვის ორთქლად, უბრალო მოჩვენებად იქცევა. მაგრამ სინამდვილეში ფულის დაგროვება ფულის გულისთვის ბარბაროსული ფორმაა წარმოებისა წარმოების გულისთვის, ე. ი. საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარება ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა საზღვრებს იქით. რაც უფრო განუვითარებელია საქონელწარმოება მით უფრო მნიშვნელოვანია ღირებულების ეს პირველი დამოუკიდებელი გამოცალკევება ფულის სახით, — განძის შექმნა, რომელიც, ამიტომ, დიდ როლს ასრულებს ძველ ხალხებში, აზიაში დღესაც, და თანამედროვე მიწათმოქმედ ხალხებში, სადაც საცვლელ ღირებულებას ჯერ კიდევ არ მოუცავს ყველა წარმოებითი ურთიერთობა. განძის შექმნის სპეციფიკურად ეკონომიურ ფუნქციას თვით ლითონური მიმოქცევის სფეროში ჩვენ ახლავე განვიხილავთ, მაგრამ მანამდე აღვნიშნავთ განძის შექმნის კიდევ ერთ სხვა ფორმას.

ვერცხლის და ოქროს საქონელი, სრულიად დამოუკიდებლად მათი ესთეტიკური თვისებებისაგან, შეიძლება — რამდენადაც მასალა, რომლისგანაც იგი შედგება, ფულის მასალა არის — ფულად გარდაიქმნას, ისევე როგორც ოქროს ფული ან ოქროს ზოდი იმავე საქონლად შეიძლება გარდაიქმნას. რადგან ოქრო და ვერცხლი აბსტრაქტული სიმდიდრის მასალაა, ამიტომ საჩვენებლად სიმდიდრის გამოფენის ყველაზე გავრცელებული წესი ის არის, რომ ოქრო და ვერცხლი მოხმარებულ იქნას როგორც კონკრეტული სახმარი ღირებულებანი, და, თუ საქონელმფლობელი წარმოების გარკვეულ საფეხურებზე თავის განძს მალავს, მეორე მხრივ, ეს მას სურვილს უღვიძებს ყველგან, სადაც კი ამის გაკეთება უშიშრად შეიძლება მოხდეს, სხვა საქონელმფლობელთა წინაშე გამოჩნდეს როგორც მდიდარი კაცი (rico hombre). იგი

ამიტომ საკმარისია ადამიანმა იგი დააგროვოს, რათა ქვეყნად არსებული ყოველგვარი სიმდიდრე შეიძინოს» (l. c., t. II, გვ. 134).

მოოქრავს თავის თავს და თავის სახლსაც [1]. აზიაში, განსაკუთრებით ინდოეთში, სადაც განძის დაგროვება ერთობლივი წარმოების მექანიზმის დაქვემდებარებულ ფუნქციად კი არ გვევლინება, როგორც ამას ბურჟუაზიულ ეკონომიაში ვხედავთ, არამედ სადაც სიმდიდრე ამ ფორმით რჩება შემონახული როგორც საბოლოო მიზანი,—ოქრო-ვერცხლის საქონელი არსებითად მხოლოდ განძის ესთეტიკურ ფორმას წარმოადგენს. შუა საუკუნეების დროინდელ ინგლისში ოქრო-ვერცხლის საქონელი კანონის მიერ განძის მხოლოდ უბრალო ფორმად განიხილებოდა, რადგან მისი ღირებულება მხოლოდ მცირეოდნად იზრდებოდა იმ ტლანქი შრომით, რომელიც მას ემატებოდა. ასეთი საქონლის დანიშნულებას ის შეადგენდა, რომ იგი კვლავ მიმოქცევაში ყოფილიყო გადასროლილი, და ამიტომ მისი სინჯი ისეთივე სიზუსტით იყო დაწესებული, როგორც თვით მონეტის სინჯი. ფუფუნების საგნების სახით ოქრო-ვერცხლის მზარდი მოხმარება სიმდიდრის ზრდასთან ერთად ისეთი მარტივი რამაა, რომ იგი ძველებისათვის სრულიად ნათელი და გასაგები იყო [2], მაშინ როდესაც თანამედროვე ეკონომისტებმა მცდარი დებულება წამოაყენეს, თითქოს ვერცხლისა და ოქროს საქონელთა ხმარება მატულობს არა სიმდიდრის ზრდასთან შეფარდებით, არამედ— ძვირფას ლითონთა ღირებულების დაცემასთან შეფარდებით. ამიტომ ამ ეკონომისტების მონაცემები კალიფორნიისა და ავსტრალიის ოქროს გამოყენების შესახებ, რომლებიც სხვა მხრივ ზუსტი მონაცემებია, ყოველთვის რაიმე ზადს ამჟღავნებენ, რადგან ოქროს გადიდებულ მოხმარებას ნედლი მასალის სახით მათ მცდარ წარმოდგენაში არ ამართ-

---

[1] თუ რამდენად უცვლელი რჩება საქონელი-ინდივიდის შინაგანი ადამიანი (inner man) მაშინაც კი, როდესაც იგი ცივილიზებულია და კაპიტალისტად განვითარებული, ამას გვიმტკიცებს, მაგალითად, ბანკირთა ერთი საერთაშორისო სახლის ლონდონელი წარმომადგენელი, რომელსაც შესაფერ საოჯახო ღერბად 100 000 გირვ. სტერლინგის ბანკნოტა აქვს შუშიან ჩარჩოში ჩასმული. აზრის მთელი სიმახვილე აქ იმ დამცინავ მედიდურობაშია, რომლითაც ბანკნოტა გადმოცქერის მიმოქცევას.

[2] იხ. ქვემოთ ქსენოფონტიდან ციტირებული ადგილი.

ლებს ოქროს ღირებულების სათანადო დაცემა. 1810 წლიდან 1830 წლამდე, ამერიკული ახალშენების ესპანეთთან ბრძოლისა და მაღაროებში მუშაობის შეწყვეტის გამო, რაც რევოლუციებით იყო გამოწვეული, ძვირფას ლითონთა საშუალო წლიურმა წარმოებამ ნახევარზე მეტით იკლო. 1809 წელთან შედარებით 1829 წელს მიმოქცევაში მყოფი მონეტის შემცირება ევროპაში დაახლოებით $^1/_6$-ს უდრიდა. ამრიგად, თუმცა წარმოების რაოდენობამ იკლო და წარმოების ხარჯებმა, — თუ ისინი საერთოდ შეიცვალა, — იმატა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფუფუნების საგნების სახით ძვირფას ლითონთა მოხმარებამ არაჩვეულებრივად იმატა, ინგლისში — უკვე ომის დროს, კონტინენტზე — პარიზის ზავის შემდეგ. ამ მოხმარებამ იმატა საყოველთაო სიმდიდრის მატებასთან ერთად [1]. საყოველთაო კანონის სახით შეიძლება იმ დებულების წამოყენება, რომ ოქროსა და ვერცხლის ფულის გარდაქმნას ფუფუნების საგნებად ადგილი აქვს უმთავრესად მშვიდობიანობის დროს, ხოლო მათ უკუგარდაქმნას ზოდად ან აგრეთვე მონეტებად—მხოლოდ ქარიშხლიან პერიოდებში [2]. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფუფუნების საქონელთა ფორმით არსებული ოქრო-ვერცხლის განძის შეფარდება ფულად გამოყენებულ ლითონთან, ეს შეიძლება იქიდანაც დავინახოთ, რომ ჯეკობის მონაცემებით, 1829 წელს ინგლისში ეს შეფარდება იყო როგორც 2 : 1, ხოლო მთელს ევროპაში და ამერიკაში ძვირფასი ლითონის რაოდენობა ფუფუნების საგნების სახით $^1/_4$-ით მეტი იყო, ვიდრე ფულის სახით.

---

1 Jacob, l. c., t. II, ch. 25 და 26.

2 «დიდი მღელვარებისა და შიშიანობის ხანებში, განსაკუთრებით შინაგანი არეულობისა ან მტრის შემოსევის პერიოდში, ოქროსა და ვერცხლის საგნები სწრაფად გარდაიქმნება ფულად; მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის პერიოდში კი ფული სამკაულად და ძვირფასეულობად გარდაიქმნება» (t. II, გვ. 357, l. c.).

ჩვენ დავინახეთ, რომ ფულის ტრიალი მხოლოდ გამოვლინებაა საქონელთა მეტამორფოზისა, ანუ ფორმათა ცვლისა, რომლითაც ნივთიერებათა საზოგადოებრივი ცვლა წარმოებს. ამიტომ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასის ჯამის ცვლილებასთან ანუ მათი იმავდროული მეტამორფოზების მოცულობასთან ერთად, ერთი მხრივ, და მათი ფორმების ცვლის ყოველ მოცემულ სისწრაფესთან ერთად, მეორე მხრივ, მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა ყოველთვის უნდა გაიშალოს ან შეიკუმშოს; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანაში არსებული ფულის ერთობლივი რაოდენობა მუდამ ცვალებადს შეფარდებაშია მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობასთან. ამ პირობას განძის დაგროვება ასრულებს. თუ ფასები ეცემა ან მიმოქცევის სისწრაფე მატულობს, მაშინ განძის აუზები შთანთქავენ ფულის იმ ნაწილს, რომელიც მიმოქცევას შორდება; თუკი ფასები მატულობს ან მიმოქცევის სისწრაფე კლებულობს, მაშინ საგანძურები გაიხსნება და ფული ნაწილობრივ კვლავ მოედინება მიმოქცევაში. მიმოქცევადი ფულის ეს გაყინვა განძად და განძის მოდინება მიმოქცევაში მუდამ ცვალებადი რყევითი მოძრაობაა, რომელშიც ერთი თუ მეორე მიმართულების სიჭარბე მხოლოდ და მხოლოდ საქონელთა მიმოქცევის რყევით განისაზღვრება. ამრიგად, საგანძურები გვევლინება მიმოქცევადი ფულის მიმქცევ და მომქცევ არხებად, ასე რომ მონეტის სახით მიმოიქცევა ყოველთვის ფულის მხოლოდ ის რაოდენობა, რომელიც გაპირობებულია თვით მიმოქცევის უშუალო მოთხოვნილებებით. თუ ერთობლივი მიმოქცევის მოცულობა უეცრად ფართოვდება და ყიდვისა და გაყიდვის დენადი ერთიანობა ჭარბობს, მაგრამ ამასთან სარეალიზაციო ფასების ერთობლივი ჯამი უფრო სწაფად მატულობს, ვიდრე ფულის ტრიალის სისწრაფე, მაშინ შესამჩნევად იცლება საგანძურები; როგორც კი ერთობლივი მოძრაობა არაჩვეულებრივად შეფერხდება ან ყიდვისა და გაყიდვის მოძრაობა შენელდება,—მაშინვე მიმოქცევის საშუალება საგრძნობი პროპორციით მაგრდება ფულის სახით, და განძის აუზები მათ სა-

შუალო დონეზე გაცილებით მეტად ივსება. იმ ქვეყნებში, რომელთაც წმინდა ლითონური მიმოქცევა აქვთ ან რომელნიც წარმოების განუვითარებელ საფეხურებზე იმყოფებიან, განძი უსასრულოდ დაწილადებული და დაქსაქსულია ქვეყნის მთელს ზედაპირზე, მაშინ როდესაც განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში განძის კონცენტრაცია ხდება ბანკის აუზებში. განძი არ უნდა ავურიოთ მონეტის რეზერვში, რომელიც თვით წარმოადგენს მუდამ მიმოქცევაში მყოფი ფულის ერთობლივი რაოდენობის შემადგენელ ნაწილს, მაშინ როდესაც განძისა და მიმოქცევის საშუალებათა აქტიური შეფარდება ფულის აღნიშნული ერთობლივი რაოდენობის შემცირებას ან გადიდებას გულისხმობს. ოქროსა და ვერცხლის საქონელი შეადგენს აგრეთვე, როგორც ჩვენ ვნახეთ, ძვირფას ლითონთა როგორც მიქცევის არხს, ისევე მათი მოქცევის ფარულ წყაროს. ჩვეულებრივ დროს მხოლოდ მისი პირველი ფუნქციაა მნიშვნელოვანი ლითონური მიმოქცევის ეკონომიისათვის [1].

---

[1] შემდეგ ადგილას ჭსენოფონტი არკვევს ფულს მის სპეციფიკურ ფორმა-განსაზღვრულობაში, როგორც ფულს და განძს: «ეს ერთადერთი დარგია,—ყველა იმ დარგიდან, რომელთაც მე ვიცნობ,—სადაც საქმის ახალი წამომწყები არ იწვევს შურს ძველებში... რაც უფრო მდიდარი აღმოჩნდება ვერცხლის მადანი და რაც უფრო მეტი ვერცხლი იქნება იქ მოპოვებული, მით უფრო მეტ ადამიანს მიიზიდავს იგი. მართლაც, როცა შეძენილია იმდენი საოჯახო საგნები, რამდენიც საჭიროა მეურნეობისათვის, იშვიათად თუ იყიდიან კიდევ დამატებით; პირიქით, ფული არავის არა აქვს იმდენი, რომ კიდევ მეტის შოვნა არ სურდეს, ხოლო თუ იგი ვინმეს მოჭარბებულად აღმოაჩნდება, ამ ნამეტს იგი მიწაში ჩაფლავს და ამით იმაზე ნაკლებ სიამოვნებას როდი მიიღებს, ვიდრე მისი მოხმარებით მიიღებდა. როდესაც სახელმწიფო კეთილდღეობაშია, მოქალაქენი განსაკუთრებულად საჭიროებენ ფულს: მამაკაცებს სურთ იყიდონ ლამაზი იარაღი, კარგი ცხენები, დიდებული სახლები და მოწყობილობა; ქალებს ესაჭიროებათ ძვირფასი ჩაცმულობა და ოქროს მოთუთულობა; ხოლო თუ სახელმწიფო გაჭირვებას განიცდის მოუსავლობის ან ომის გამო, მაშინ მიწების დაუმუშავებლობის გამო ფული აუცილებელია სანოვაგის შესაძენად და დამხმარე ჯარის დასაქირავებლად» (Xen., De vectig., c. IV.) არისტოტელე «რესპუბლიკაში» (c. 9, I. 1) ავითარებს მიმოქცევის ორივე მოძრაობას, ს—ფ—ს და ფ—ს—ფ-ს,

ორივე ფორმა, რომლითაც აქამდე ფული მიმოქცევის საშუალებისგან განსხვავდებოდა, იყო: შეჩერებული მონეტის ფორმა და განძის ფორმა. პირველი ფორმა მონეტის ფულად წარმავალი გარდაქმნით ასახავდა იმას, რომ ს—ფ—ს-ის მეორე წევრი, ყიდვა ფ—ს, მიმოქცევის განსაზღვრულ სფეროში მთელ რიგ თანამიმდევრულ ყიდვის აქტებად უნდა დაიშალოს. განძის დაგროვება კი დამყარებული იყო ს—ფ-ის აქტის უბრალო განცალკევებაზე, აქტისა, რომელიც ფ—ს-მდე არ ვითარდებოდა; ეს დაგროვება იყო საქონლის პირველი მეტამორფოზის მხოლოდ დამოუკიდებელი განვითარება; იგი წარმოადგენდა ფულს, რომელიც განვითარებული იყო როგორც ყველა სხვა საქონლის გასხვისებული მყოფობა, წინააღმდეგ მიმოქცევის საშუალებისა როგორც საქონლის მყოფობისა მისი მუდამ გასხვისების უნარმქონე ფორმით. მონეტის რეზერვი და განძი მხოლოდ იმიტომ იყო ფული, რომ მიმოქცევის საშუალება არ იყო, ხოლო მიმოქცევის საშუალება მხოლოდ იმიტომ არ იყო, რომ არ მიმოიქცეოდა. იმ დანიშნულების მიხედვით, რომელშიც ჩვენ ახლა ფულს განვიხილავთ, იგი მართლა მიმოიქცევა ანუ შედის მიმოქცევაში, მაგრამ—არა მიმოქცევის საშუალების ფუნქციით. როგორც მიმოქცევის საშუალება, ფული მუდამ ყიდვის საშუალება იყო, ახლა კი იგი მოქმედებს როგორც არა ყიდვის საშუალება.

როგორც კი ფული განძის შექმნის გზით აბსტრაქტული საზოგადოებრივი სიმდიდრის მყოფობისა და ნივთიერი სიმდიდრის მატერიალური წარმომადგენლის სახით ვითარდება, იგი ამ თავის ფულადს განსაზღვრულობაში თავისებურ ფუნქციებს ღებულობს მიმოქცევის პროცესის სფეროში. თუ ფული მიმოიქცევა როგორც მიმოქცევის უბრალო საშუალება და, ამიტომ, როგორც ყიდვის საშუალება, მაშინ იგულისხმება.

მათს დაპირისპირებაში «ეკონომიკისა» და «ხრემატისტიკის» სახელწოდებით. ორივე ამ ფორმას ბერძენი ტრაგიკოსები, განსაკუთრებით ევრიპიდე, ერთიმეორეს უპირისპირებენ, როგორც δι'κη და ἀδ ρδος.

რომ საქონელი და ფული იმავდროულად უპირისპირდებიან ერთიმეორეს, და, მაშასადამე, ღირებულების ერთი და იგივე სიდიდე ორნაირად, არსებობს: ერთ პოლუსზე — საქონლის სახით გამყიდველის ხელში და მეორე პოლუსზე — ფულის სახით მყიდველის ხელში. ორივე ეკვივალენტის ეს იმავდროული არსებობა დაპირისპირებულ პოლუსებზე და მათი იმავდროული ადგილცვლა ანუ მათი ურთიერთგასხვისება გულისხმობს, თავის მხრივ, რომ გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთთან მიმართებაში არიან მხოლოდ როგორც არსებულ ეკვივალენტთა მფლობელნი. მაგრამ საქონელთა მეტამორფოზის პროცესი, რომელიც ფულის სხვადასხვა ფორმაგანსაზღვრულობას წარმოშობს, გარდაქმნის აგრეთვე საქონლის მფლობელებსაც, ანუ შეცვლის იმ საზოგადოებრივ ხასიათს, რომლითაც ისინი ერთიმეორეს წარმოუდგებიან. საქონლის მეტამორფოზის პროცესში საქონელმცველი იმდენჯერ იცვლის თავის ტყავს, რამდენჯერაც საქონელი იცვლის თავის ხასიათს, ანუ რამდენჯერაც ფული ახალ ფორმებში ჩამოყალიბდება. ასე, თავდაპირველად საქონელმფლობელნი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ მხოლოდ როგორც საქონელმფლობელნი; შემდეგ ერთი გამყიდველი გახდა, მეორე — მყიდველი, შემდეგ თვითეული მათგანი რიგრიგობით ხან მყიდველი ხდებოდა, ხან გამყიდველი, ამის შემდეგ კი ისინი გახდნენ განძის დამგროვებელნი და, ბოლოს — მდიდარი ადამიანები. ამგვარად, საქონელმფლობელნი მიმოქცევის პროცესიდან ისეთებად როდი გამოდიან, როგორიც მასში შევიდნენ. სინამდვილეში ის სხვადასხვა ფორმაგანსაზღვრულობა, რომელსაც ფული ღებულობს მიმოქცევის პროცესში, თვით საქონელთა გაკრისტალებული სახეცვლაა, რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ საგნობრივი გამოსახულებაა ცვალებადი საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიც საქონელმფლობელნი თავიანთ ნივთიერებათა ცვლას ახორციელებენ. მიმოქცევის პროცესში ახალი გაცვლითი ურთიერთობანი წარმოიშვებიან, და, როგორც ამ შეცვლილ ურთიერთობათა მატარებელნი, საქონელმფლობელნი ახალ ეკონომიურ როლებს ღებულობენ.

ისევე, როგორც შინაგანი მიმოქცევის სფეროში ფული გაიდეალებული ხდება, და უბრალო ქაღალდი ოქროს წარმომადგენლის სახით ფულის ფუნქციას ასრულებს, სწორედ ასევე მყიდველს ან გამყიდველს, რომელიც მასში შედის მხოლოდ როგორც ფულის ან საქონლის უბრალო წარმომადგენელი, ე. ი. სამერმისო ფულის ან სამერმისო საქონლის წარმომადგენელია, იგივე პროცესი ნამდვილი მყიდველის ან გამყიდველის მნიშვნელობას ანიჭებს.

ყველა ის ფორმაგანსაზღვრულობა, სადაც ოქრო ფულის სახით ვითარდება, იმ განსაზღვრულობათა გაშლაა მხოლოდ, რომელთაც საქონელთა მეტამორფოზი შეიცავს; მაგრამ ეს განსაზღვრულობანი ფულის მარტივ ტრიალში, — მონეტის სახით ფულით მოვლინებისას ანუ მოძრაობაში ს—ფ—ს როგორც პროცესის სახით მიმდინარე ერთიანობაში, — ან არ გამოცალკევებულან დამოუკიდებელ სახედ, ანდა მხოლოდ უბრალო შესაძლებლობათა სახით გვევლინებოდნენ, როგორც, მაგალითად, საქონლის მეტამორფოზის შეწყვეტა. ჩვენ ვნახეთ, რომ პროცესში ს—ფ საქონელი, როგორც ნამდვილი სახმარი ღირებულება და იდეალური საცვლელი ღირებულება, მიმართებაში იყო ფულთან როგორც ნამდვილ საცვლელ ღირებულებასთან და მხოლოდ იდეალურ სახმარ ღირებულებასთან. გამყიდველი, როცა ის ასხვისებდა საქონელს როგორც სახმარ ღირებულებას, ახორციელებდა საქონლის საკუთარ საცვლელ ღირებულებას და ფულის სახმარ ღირებულებას. პირიქით, მყიდველი, როცა ის ასხვისებდა ფულს როგორც საცვლელ ღირებულებას, ახორციელებდა ფულის სახმარ ღირებულებას და საქონლის ფასს. ამის შესაბამისად ადგილი ჰქონდა საქონლისა და ფულის ადგილცვლას. ამ ორმხრივად პოლარული დაპირისპირების ცოცხალი პროცესი ახლა კვლავ გათიშული ხდება თავის განხორციელებაში. გამყიდველი ნამდვილად ასხვისებს საქონელს, მაგრამ მის ფასს თავდაპირველად მხოლოდ იდეაში ახორციელებს. მან საქონელი გაყიდა მისი ფასის მიხედვით, მაგრამ ამ ფასის რეალიზაცია მოხდება მხოლოდ შემდგომისათვის დაწესებულ ვადაში. მყიდ-

ველი ყიდულობს როგორც სამერმისო ფულის წარმომადგენელი, მაშინ როდესაც გამყიდველი ჰყიდის როგორც ნაღდი საქონლის წარმომადგენელი. გამყიდველის მხარეზე ნამდვილად ხდება საქონლის გასხვისება სახმარი ღირებულების სახით, თუმცა მისი ფასი ჯერ კიდევ არაა ნამდვილად რეალიზებული; მყიდველის მხარეზე ფული ნამდვილად რეალიზებული ხდება საქონლის სახმარ ღირებულებაში. თუმცა როგორც საცვლელი ღირებულება ეს ფული ჯერ კიდევ არაა გასხვისებული. ღირებულების ნიშნის ნაცვლად, როგორც ეს უწინ იყო, აქ თვით მყიდველია ფულის წარმომადგენელი სიმბოლურად. მაგრამ როგორც უწინ ღირებულების ნიშნის საყოველთაო სიმბოლიკა გარანტიასა და იძულებითს კურსს იწვევდა სახელმწიფოს მხრივ, ასევე ახლა მყიდველის პირადი სიმბოლიკა იწვევს საქონელმფლობელთა შორის კერძო ხელშეკრულებებს, რომელნიც კანონით იძულებითს შესრულებას ექვემდებარებიან.

პირიქით, პროცესში Ф—ს ფული შეიძლება გასხვისებულ იქნას როგორც ყიდვის ნამდვილი საშუალება, და, ამრიგად, საქონლის ფასის რეალიზაცია შეიძლება მანამდე მოხდეს, ვიდრე ფულის სახმარი ღირებულების რეალიზაცია მოხდებოდეს ანუ ვიდრე საქონელი გასხვისდებოდეს. ეს ხდება, მაგალითად, ჩვეულებრივი დაბევების ფორმით, ან იმ ფორმით, რომლითაც ინგლისის მთავრობა ოპიუმს ყიდულობს რაიოტებისაგან ინდოეთში, ანდა რუსეთში დასახლებული უცხოელი ვაჭრები რუსებისაგან ყიდულობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დიდ ნაწილს. მაგრამ აქაც ფული მხოლოდ იმ ფორმით მოქმედებს, რომელიც უკვე ცნობილია ჩვენთვის, ე. ი. ყიდვის საშუალების ფორმით, და ამიტომ იგი არავითარ ახალ ფორმაგანსაზღვრულობას არ ღებულობს[1]. ამის გამო ჩვენ აღარ შევჩერდებით უკანასკნელ

[1] რასაკვირველია, კაპიტალის დაავანსება ფულის ფორმითაც ხდება, და ავანსებული ფული შესაძლებელია ავანსებული კაპიტალი იყოს; მაგრამ ეს თვალსაზრისი მარტივი მიმოქცევის ჰორიზონტს სცილდება.

შემთხვევაზე, მაგრამ იმ სახეშეცვლილ ფორმასთან დაკავშირებით, რომლითაც ორივე პროცესი, ფ—ს და ს—ფ, აქ წარმოგვიდგება, შევნიშნავთ, რომ ყიდვისა და გაყიდვის მარტოოდენ აზროვნებითი განსხვავება, როგორადაც იგი უშუალოდ მიმოქცევაში გვევლინება, ახლა ნამდვილ განსხვავებად იქცევა იმის მეოხებით, რომ ერთი ფორმით მხოლოდ საქონელი არსებობს, მეორეთი კი — მხოლოდ ფული, ხოლო ორივე ფორმით არსებობს მხოლოდ ის კიდური წევრი, რომლისგანაც ინიციატივა გამოდის. გარდა ამისა, ორივე ფორმას ის საერთო აქვს, რომ ორივეში ერთი ეკვივალენტი მყიდველისა და გამყიდველის საერთო ნებისყოფაში არსებობს მხოლოდ, — ნებისყოფაში, რომელიც ორთავეს ბორკავს და კანონის მიერ განსაზღვრულ ფორმებს ღებულობს.

გამყიდველი და მყიდველი მევალე და მოვალე ხდებიან. თუ საქონელმფლობელი გაძის მცველის სახით უფრო კომიკური ფიგურის როლს ასრულებდა, ახლა ის საშინელი ხდება, რადგან იგი უკვე არა თავის თავს, არამედ თავის მოყვასს განიხილავს როგორც განსაზღვრული ფულადი თანხის მყოფობას, არა თავის თავს, არამედ მოყვასს ხდის საცვლელი ღირებულებისათვის ტანჯულად. მორწმუნედან იგი მრწმუნებელი [კრედიტორი] ხდება, რელიგიიდან იგი იურისპრუდენციაში გადადის:

«მე მოვითხოვ თამასუქით გადახდას!» [1]

მაშასადამე, შეცვლილი ფორმით ს—ფ, რომლითაც საქონელი ნამდვილად არსებობს, ფული კი მხოლოდ წარმოდგენილია, ფული მოქმედებს, უწინარეს ყოვლისა, როგორც ღირებულების საზომი. საქონლის საცვლელი ღირებულება შეფასდება ფულით როგორც მისი საზომით, მაგრამ ფასი, როგორც ხელშეკრულებით გაზომილი საცვლელი ღირებულება, არსებობს არა მარტო გამყიდველის თავში, არამედ ამასთანავე როგორც მყიდველის ვალდებულების საზომიც.

[1] შეიქსპირის სიტყვები შექსპირის «ვენეციელი ვაჭრიდან». რედ.

მეორე: ფული მოქმედებს აქ როგორც ყიდვის საშუალება, თუმცა იგი აქ თავისი სამერმისო არსებობის მხოლოდ ჩრდილს ისვრის თავის წინ. სახელდობრ, იგი ადგილს უცვლის საქონელს, გამყიდველის ხელიდან მყიდველის ხელში გადააქვს იგი. როცა ხელშეკრულების შესრულების ვადა დგება, ფული მიმოქცევაში შედის, რადგან იგი ადგილს იცვლის და ყოფილი მყიდველის ხელიდან ყოფილი გამყიდველის ხელში გადადის. მაგრამ იგი არ შედის მიმოქცევაში როგორც მიმოქცევის საშუალება ანუ როგორც ყიდვის საშუალება. ამ ფუნქციას ფული მანამდე ასრულებდა, სანამ აქ მოგვევლინებოდა, გვევლინება კი აქ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ამ ფუნქციის შესრულება შეწყვიტა. პირიქით, ფული მიმოქცევაში შედის როგორც საქონლის ერთადერთი ადეკვატური ეკვივალენტი, როგორც საცვლელი ღირებულების აბსოლუტური მყოფობა, როგორც გაცვლის პროცესის უკანასკნელი სიტყვა. მოკლედ, როგორც ფული, და თანაც როგორც ფული განსაზღვრული ფუნქციით, გადახდის საყოველთაო საშუალების ფუნქციით. გადახდის საშუალების ფუნქციის შემსრულებლად ფული გვევლინება როგორც აბსოლუტური საქონელი, მაგრამ გვევლინება თვით მიმოქცევის სფეროში და არა განძსავით მის გარეთ. განსხვავება ყიდვის საშუალებასა და გადახდის საშუალებას შორის ფრიად არასასიამოვნოდ მჟღავნდება ვაჭრობის კრიზისების ეპოქებში [1].

თავდაპირველად პროდუქტის ფულად გარდაქმნა მიმოქცევაში გვევლინება მხოლოდ როგორც ინდივიდუალური აუცილებლობა საქონელმფლობელისთვის, რამდენადაც მისი პროდუქტი არ წარმოადგენს მისთვის სახმარ ღირებულებას, არამედ ჯერ კიდევ უნდა გახდეს ასეთი თავისი გასხვისების გზით. მაგრამ, რათა ხელშეკრულებით დანიშნულ ვადაზე გადახდა შეძლოს, მან წინასწარ უნდა გაყიდოს საქონელი. მაშასადამე, მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებებისაგან

---

[1] მარქსის შენიშვნა წიგნის მის საკუთარ ეგზემპლარზე: «განსხვავება ყიდვის საშუალებასა და გადახდის საშუალებას შორის ხაზგასმული აქვს ლუთერს». რედ.

სრულიად დამოუკიდებლად, მიმოქცევის პროცესის მოძრაობის მეოხებით გაყიდვა მისთვის გადაქცეულია საზოგადოებრივ აუცილებლობად. როგორც რომელიმე საქონლის ყოფილი მყიდველი, იგი იძულებითი წესით სხვა რომელიმე საქონლის გამყიდველი ხდება, არა იმისათვის, რომ მიიღოს ფული როგორც ყიდვის საშუალება, არამედ იმისათვის, რომ მიიღოს ფული როგორც გადახდის საშუალება, როგორც საცვლელი ღირებულების აბსოლუტური ფორმა. საქონლის გარდაქმნა ფულად როგორც დამასრულებელი აქტი, ანუ საქონლის პირველი მეტამორფოზი როგორც თვითმიზანი, — ის, რაც განძის დაგროვებისას საქონელმფლობელის ახირებულ სურვილად გვეჩვენებოდა, — ახლა ეკონომიური ფუნქცია გახდა. გაყიდვის მოტივი და შინაარსი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გადახდა შესრულდეს, თვით მიმოქცევის პროცესის ფორმიდან გამომდინარე ამავე პროცესის შინაარსია.

გაყიდვის ამ ფორმაში საქონელი იცვლის თავის ადგილს, მიმოიქცევა, მაშინ როდესაც მისი პირველი მეტამორფოზი, მისი გარდაქმნა ფულად, ვადაგადადებულია. მყიდველის მხარეზე, პირიქით, მეორე მეტამორფოზი სრულდება, ე. ი. ფული კვლავ საქონლად გარდაიქმნება უკვე მანამდე, ვიდრე პირველი მეტამორფოზი შესრულდებოდეს, ე. ი. ვიდრე საქონელი ფულად გარდაიქმნებოდეს. მაშასადამე, პირველი მეტამორფოზი დროის მიხედვით აქ მეორის შემდეგ გვევლინება, ამით კი ფული, საქონლის ეს სახე მის პირველ მეტამორფოზში, ახალ ფორმაგანსაზღვრულობას ღებულობს. ფული, ანუ საცვლელი ღირებულების დამოუკიდებელი განვითარება, აღარ წარმოადგენს უკვე საქონლის მიმოქცევის გამმეშვეებელ ფორმას, არამედ მისი დამამთავრებელი შედეგია.

ის გარემოება, რომ ასეთი ვადიანი გაყიდვა, სადაც გაყიდვის ორივე პოლუსი დროის მიხედვით ერთმანეთისაგან განშორებულია, მარტივი საქონელმიმოქცევიდან ბუნებრივად აღმოცენდება, — არ საჭიროებს დაწვრილებითს დასაბუთებას. უწინარეს ყოვლისა მიმოქცევის განვითარება იწვევს

იმას, რომ ერთი და იმავე საქონელმფლობელთა რიგრიგობით გამოსვლა ერთიმეორის წინაშე გამყიდველისა და მყიდველის სახით მეორდება. ეს განმეორებული მოვლენა მარტო შემთხვევითი ხასიათის მოვლენად როდი რჩება, არამედ ადგილი აქვს საქონლის დაკვეთას, მაგალითად, სამერმისო ვადისთვის, როდესაც მისი ჩაბარება და გადახდა უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში გაყიდვა შესრულებულია აქ იდეალურად, ე. ი. იურიდიულად, ისე, რომ საქონელი და ფული სხეულებრივად არ გამოჩენილა. ფულის ორივე ფორმა: როგორც მიმოქცევის საშუალების და როგორც გადახდის საშუალებისა, აქ ჯერ კიდევ ემთხვევა ერთიმეორეს, რადგან, ერთი მხრივ, საქონელი და ფული ერთსა და იმავე დროს იცვლიან თავიანთ ადგილს და, მეორე მხრივ, ფული საქონელს კი არ ყიდულობს, არამედ უწინ გაყიდული საქონლის ფასს ახორციელებს. შემდეგ, მთელ რიგ სახმარ ღირებულებათა ბუნება იწვევს იმას, რომ მათი ნამდვილი გასხვისება ხდება არა საქონლის ფაქტიური გადაცემის მომენტში, არამედ მისი მხოლოდ განსაზღვრული ვადით გადაცემის გზით. მაგალითად, თუ სახლი ერთი თვით ქირავდება, სახლის სახმარი ღირებულების მთლიანად გადაცემა მხოლოდ თვის გასვლის შემდეგ ხდება, თუმცა მისი ხელიდან ხელში გადასვლა თვის დამდეგს მოხდა. რადგან სახმარი ღირებულების ფაქტიური გადაცემა და მისი ნამდვილი გასხვისება აქ დროის მიხედვით ერთიმეორეს დაშორებულია, ამიტომ მისი ფასის რეალიზაციასაც უფრო შეგვიანებით აქვს ადგილი, ვიდრე მის ადგილცვლას. დასასრულ, იმ ხანგრძლიობისა და დროის განსხვავება, რომლის განმავლობაშიც სხვადასხვა საქონელი იწარმოება, იწვევს იმას, რომ ერთი პიროვნება გამოდის გამყიდველად, მაშინ როდესაც მეორეს ჯერ კიდევ არ შეუძლია მყიდველად გამოსვლა; ამოიგად, ერთსა და იმავე საქონელმფლობელთა შორის ყიდვისა და გაყიდვის ხშირ განმეორებისას გაყიდვის ორივე მომენტი ერთმანეთს სცილდება, მათი საქონლის წარმოების პირობების შესაბამისად. ასე წარმოიშვება საქონელმფლობელთა შორის მევალისა და მოვალის ურთიერთობა, —

ურთიერთობა, რომელიც, მართალია, საკრედიტო სისტემის ბუნებრივ საფუძველს შეადგენს, მაგრამ ამ სისტემის არსებობამდეც შეიძლება სავსებით განვითარებული იყოს. მაგრამ ცხადია, რომ საკრედიტო საქმის და, მაშასადამე, საერთოდ ბურჟუაზიული წარმოების განვითარებასთან ერთად ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია ფართოვდება ფულის, როგორც ყიდვის საშუალების და კიდევ მეტად როგორც განძის დაგროვების ელემენტის, ფუნქციის ხარჯზე. ინგლისში, მაგალითად, ფული მონეტის სახით თითქმის სავსებით გაძევებულია მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის წარმოებული ცალობრივი წვრილი ვაჭრობის სფეროში, მაშინ როდესაც გადახდის საშუალების სახით იგი გაბატონებულია მსხვილ სავაჭრო გარიგებათა სფეროში [1].

გადახდის საყოველთაო საშუალების სახით ფული ხელშეკრულებათა საყოველთაო საქონელი ხდება, — თავდაპირველად მხოლოდ საქონელმიმოქცევის სფეროში[2]. მაგრამ

---

[1] ბ-ნ მაკლეოდს, მიუხედავად იმისა, რომ თავისი დოქტრინერული დეფინიციებით თავი მოაქვს, იმდენად არ ესმის ელემენტარული ეკონომიური ურთიერთობანი, რომ ფული საერთოდ მისი ყველაზე განვითარებული ფორმიდან, გადახდის საშუალების ფორმიდან გამოჰყავს. იგი ამბობს სხვათა შორის: რადგან ადამიანები ყოველთვის ერთსა და იმავე დროს არ საჭიროებენ ურთიერთ სამსახურს და არ საჭიროებენ ღირებულებას ერთი და იმავე ოდენობით, ამიტომ «რჩება განსაზღვრული განსხვავება ანუ რაოდენობა სამსახურისა, რომელიც ერთმა მეორისგან უნდა მიიღოს, — რჩება ვალი». ამ ვალის მფლობელს ესაჭიროება სამსახური მესამე პირისა, რომელიც უშუალოდ მის სამსახურს არ საჭიროებს, და იგი «გადასცემს მესამეს იმ ვალს, რომელიც მისგან პირველმა აიღო. ამრიგად, სავალო ვალდებულება ხელიდან ხელში გადადის, — ეს არის სწორედ მიმოქცევა... როდესაც ესა თუ ის პიროვნება ღებულობს ლითონური ფულით გამოსახულ ვალდებულებას, მას უფლება აქვს მოითხოვოს სამსახური არა მარტო თავდაპირველი მოვალისგან, არამედ — მთელი სამრეწველო საზოგადოების წევრებისგანაც». Macleod; «Theory and practice of banking etc»., London 1855, v. 1, ch 1.

[2] Bailey, l. c., გვ. 3, ამბობს: «ფული წარმოადგენს ვალდებულებათა საყოველთაო საგანს, ანუ იმ საგანს, რომელზედაც იდება უმეტეს ნაწილად რომელიმე უგვიანეს ვადაში შესასრულებელი ხელშეკრულებანი ქონების შესახებ».

ფულის ამ ფუნქციის განვითარებასთან ერთად გადასახდელის ყველა სხვა ფორმა თანდათან ფულადი სახის გადასახდელად იქცევა. ფულის, როგორც გადახდის ერთადერთი საშუალების, განვითარების ხარისხი გვიჩვენებს იმ ხარისხს, რომლითაც საცვლელი ღირებულება დაეუფლა წარმოებას მთელი მისი მოცულობით [1].

გადახდის საშუალების სახით მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა გადასახდელთა ოდენობით, ე. ი. გასხვისებულ საქონელთა ფასის ჯამით და არა გასასხვისებელ საქონელთა ფასის ჯამით, როგორც ამას ადგილი აქვს ფულის მარტივ ტრიალში. მაგრამ ამგვარად განსაზღვრული ჯამი ორნაირად იცვლის სახეს: ჯერ-ერთი, იმ სისწრაფის გამო, რომლითაც ერთი და იგივე ფული (Geldstück) იმავე ფუნქციას იმეორებს ანუ გადასახდელთა მასა გადასახდელთა მოძრავი ჯაჭვის სახით წარმოგვიდგება. A უხდის B-ს, რის შემდეგ B უხდის C-ს და ასე შემდეგ. სისწრაფე, რომლითაც ერთი და იგივე ფული (Geldstück)

---

[1] სენიორი, l. c., გვ. 221, ამბობს: «რადგან ყველა ნივთის ღირებულება განსაზღვრული დროის განმავლობაში იცვლება, ამიტომ გადახდის საშუალებად ისეთ ნივთს იღებენ, რომლის ღირებულება ყველაზე ნაკლებად განიცდის ცვლილებას და ყველაზე დიდხანს ინარჩუნებს ნივთთა ყიდვის გარკვეულ საშუალო უნარს. ასე ხდება ფული ღირებულებათა გამომსახველი ანუ წარმომადგენელი». პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ოქრო, ვერცხლი და სხვ. გახდნენ ფული, ე. ი. მყოფობა საცვლელი ღირებულებისა, რომელმაც დამოუკიდებელი არსებობა მიიღო, ისინი იქცევიან გადახდის საყოველთაო საშუალებად. სწორედ მაშინ, როდესაც ბატონ სენიორის მიერ აღნიშნული ინტერესი ფულის ღირებულების სიდიდის სიმტკიცისადმი თავს იჩენს, ე. ი. იმ პერიოდებში, როცა ფული გარემოებათა ძალით ფართო გამოყენებას პოულობს როგორც გადახდის საყოველთაო საშუალება, — სწორედ ამ დროს აღმოაჩენენ აგრეთვე ფულის ღირებულების სიდიდის რყევას. ასეთი პერიოდი იყო ინგლისში ელისაბედის ხანა, და ამ დროს ლორდმა ბერლეიმ და სერ თომას სმიტმა, მიიღეს რა მხედველობაში ძვირფას ლითონთა ღირებულების თვალსაჩინო დაცემა, გაატარეს პარლამენტში ისეთი აქტი, რომელიც ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებს ავალდებულებდა თავიანთი მიწის რენტის მესამედი ხორბლითა და ალაოთი აეღოთ.

თავის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციას იმეორებს, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მევალისა და მოვალის ურთიერთობათა გადაჯაჭვულობაზე საქონელმფლობელთა შორის, — ასე რომ ერთი და იგივე საქონელმფლობელი მევალეა ერთის მიმართ, მოვალეა მეორის მიმართ და სხვ., — მეორე მხრივ კი, იგი დამოკიდებულია დროის ხანგრძლივობაზე, რომლითაც გადასახდელის სხვადასხვა ვადა დაშორებულია ერთიმეორეს. გადასახდელთა ანუ საქონელთა ვადაგადადებული პირველი მეტამორფოზების ეს ჯაჭვი თვისებრივად განსხვავდება მეტამორფოზთა იმ ჯაჭვისგან, რომელიც ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ტრიალით გამოიხატება. მეტამორფოზთა ეს უკანასკნელი ჯაჭვი არათუ ვლინდება დროის მიხედვით თანამიმდევრობაში, არამედ პირველად მხოლოდ მასში ჩნდება იგი. საქონელი იქცევა ფულად, შემდეგ კვლავ საქონლად და ამრიგად მეორე საქონელს შესაძლებლობას აძლევს ფულად იქცეს და ა. შ., ანუ გამყიდველი მყიდველად იქცევა, რის გამო მეორე საქონელმფლობელი გამყიდველი ხდება. ეს კავშირურთიერთობა შემთხვევით წარმოიშვება თვით საქონელთა გაცვლის პროცესში. მაგრამ იმაში, რომ იმ ფულით, რომლითაც A უხდის B-ს, B უხდის C-ს, C უხდის B-ს და ა. შ., და თანაც უხდის სწრაფად ერთიმეორის მიმდევნო პერიოდებში, — ამ გარეგნულ კავშირურთიერთობაში მჟღავნდება მხოლოდ უკვე მზამზარეულად არსებული საზოგადოებრივი კავშირურთიერთობა. ერთი და იგივე ფული სხვადასხვა ხელში გაივლის არა იმიტომ, რომ იგი გადახდის საშუალებაა, არამედ იგი ტრიალებს როგორც გადახდის საშუალება იმიტომ, რომ სხვადასხვა საქონელმფლობელებმა უკვე ხელი-ხელს დაჰკრეს. მაშასადამე, სისწრაფე, რომლითაც ფული ტრიალებს როგორც გადახდის საშუალება, გვიჩვენებს ინდივიდთა ბევრად უფრო ღრმად ჩაბმას მიმოქცევის პროცესში, ვიდრე ის სისწრაფე, რომლითაც ფული ტრიალებს მონეტის ანუ ყიდვის საშუალების სახით.

ყიდვისა და გაყიდვის იმ აქტების ფასთა ჯამი, რომლებიც ერთსა და იმავე დროს და, მაშასადამე, სივრცებრივად ერთიმეორის გვერდით მიმდინარეობენ, შეადგენს საზღვარს მონეტის ტრიალის სისწრაფით მონეტის რაოდენობის შენაცვლებისათვის. ეს ზღუდე ისპობა გადახდის საშუალების სახით მოქმედი ფულისთვის. თუ ერთსა და იმავე დროს შესასრულებელ გადასახდელთა კონცენტრაცია ერთ ადგილას ხდება, — რასაც თავდაპირველად სრულიად ბუნებრივი წესით ადგილი აქვს საქონელმიმოქცევის მხოლოდ მსხვილ საკვანძო პუნქტებში, — მაშინ ეს გადასახდელები ერთიმეორეს აბათილებენ როგორც უარყოფითი და დადებითი ოდენობანი, რადგან A-მ უნდა გადაუხადოს B-ს და იმავე დროს გადასახდელი უნდა მიიღოს C-ისაგან და ა. შ.. ამიტომ გადახდის საშუალების სახით საჭირო ფულის რაოდენობა განისაზღვრება არა ერთსა და იმავე დროს განსახორციელებელ გადასახდელთა ჯამით, არამედ ამ გადასახდელთა მეტნაკლები კონცენტრაციით და იმ ბალანსის სიდიდით, რომელიც მათი, როგორც უარყოფითი და დადებითი სიდიდეების, ურთიერთგაბათილების შემდეგ რჩება. სპეციალური დაწესებულებანი ასეთ ურთიერთ ანგარიშსწორებათათვის წარმოიქმნებიან სრულიად დამოუკიდებლად საკრედიტო საქმის განვითარებისაგან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ძველ რომში. მაგრამ მათი განხილვა აქ ისევე უადგილოა, როგორც იმ საყოველთაო ვადების განხილვა, რომლებიც ყველგან გარკვეულ საზოგადოებრივ წრეებში მყარდება. აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ის სპეციფიკური გავლენა, რომელსაც ეს ვადები მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის პერიოდულ რყევაზე ახდენენ, მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს იქნა მეცნიერულად გამოკვლეული.

რამდენადაც გადასახდელები ერთმანეთს აბათილებენ როგორც დადებითი და უარყოფითი სიდიდეები, ნამდვილი ფულის გამოჩენას სცენაზე სრულიად არა აქვს ადგილი. ფული ვითარდება აქ მხოლოდ მისი ფორმით როგორც ღირებულებათა საზომი, ერთი მხრივ, საქონლის ფასში,

მეორე მხრივ, საურთიერთო ვალდებულებათა სიდიდეში-მაშასადამე, საცვლელი ღირებულება არ ღებულობს აქ, გარდა თავისი იდეალური მყოფობისა, არავითარ დამოუკიდებელ მყოფობას, არ ღებულობს ღირებულების ნიშნის მყოფობასაც კი, ე. ი. ფული მხოლოდ იდეალურ საანგარიშო ფულად იქცევა. ამრიგად, ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია იმ წინააღმდეგობას შეიცავს, რომ, ერთი მხრივ, რამდენადაც გადასახდელთა ურთიერთგაბათილება ხდება, ფული მოქმედებს მხოლოდ იდეალურად როგორც საზომი, მეორე მხრივ, — რამდენადაც გადასახდელი ნამდვილად შესასრულებელია, ფული მიმოქცევაში შედის არა როგორც მიმოქცევის წარმავალი საშუალება, არამედ როგორც საყოველთაო ეკვივალენტის უმოძრაო მყოფობა, როგორც აბსოლუტური საქონელი, ერთი სიტყვით, — როგორც ფული. ამიტომ იქ, სადაც გადასახდელთა ჯაჭვი და ამ გადასახდელთა ურთიერთგაბათილების ხელოვნური სისტემა განვითარებულია, იქ იმ შერყევათა დროს, რომელნიც გადასახდელთა მდინარებას ძალდატანებით შეწყვეტენ ხოლმე და მათი ურთიერთგაბათილების მექანიზმს აბრკოლებენ, — ფული უეცრად თავისი, როგორც ღირებულების საზომის, გაზისებური, მოჩვენებითი ფორმიდან წკრიალა ფულად, ანუ გადახდის საშუალებად გარდაიქმნება. მაშასადამე, განვითარებული ბურჟუაზიული წარმოების პერიოდში, როცა საქონელმფლობელი უკვე დიდი ხანია კაპიტალისტი გახდა, როცა იგი უკვე თავის ადამ სმიტს იცნობს და მედიდურად იღიმება იმ ცრურწმენის გამო, თითქოს მხოლოდ ოქრო და ვერცხლი იყოს ფული ან თითქოს ფული საერთოდ, სხვა საქონელთაგან განსხვავებით, წარმოადგენდეს აბსოლუტურ საქონელს, — ამ დროს ფული მოულოდნელად კვლავ გვევლინება არა როგორც მიმოქცევის მოსაშუალე რგოლი, არამედ როგორც საცვლელი ღირებულების ერთადერთი ადეკვატური ფორმა, როგორც ერთადერთი სიმდიდრე, სრულიად იმ გაგებით, როგორც ეს განძის დამგროვებელს ესმის. ის, რომ ფული სიმდიდრის არსებობის ამ ერთადერთ ფორმას წარმოადგენს, მჟღავნდე-

ბა ყოველი მატერიალური სიმდიდრის არა მარტო წარმოსახვითს, — როგორც ეს მონეტარული სისტემის დროსაა,— არამედ ნამდვილ გაუფასურებაში — ნაწილობრივ და მთლიან გაუფასურებაში. ეს მსოფლიო ბაზრის კრიზისების ის განსაკუთრებული მომენტია, რომელსაც ფულის კრიზისი ეწოდება. უმაღლესი დოვლათი (summum bonum), რომელსაც ასეთ მომენტებში ყველა მოითხოვს როგორც ერთადერთ სიმდიდრეს, არის ფული, ნაღდი ფული, ხოლო მის გვერდით არსებული ყველა სხვა საქონელი,—სწორედ იმიტომ, რომ იგი სახმარი ღირებულებაა, — წარმოგვიდგება როგორც უსარგებლო, უბრალო ან სათამაშო რამ, ანდა, ჩვენი დ-რ მარტინ ლუთერის თქმით, როგორც მხოლოდ მორთულობისა და ღორმუცელობის საგანი. საკრედიტო სისტემის ეს უეცარი გარდაქმნა მონეტარულ სისტემად პრაქტიკულ პანიკას თეორიულ შიშს უმატებს, და მიმოქცევის აგენტები თრთიან თავიანთ საკუთარ ურთიერთობათა ამოუცნობელი საიდუმლოების წინაშე[1].

გადასახდელი, თავის მხრივ, აუცილებელს ხდის სარეზერვო ფონდის შექმნას, ფულის დაგროვებას გადახდის საშუალების სახით. ამ სარეზერვო ფონდების შექმნა აღარ წარმოადგენს ისეთ მოქმედებას, რომელიც უცხოა თვით მიმოქცევისათვის, როგორც ამას ადგილი აქვს განძის დაგროვების დროს, არც მონეტის უბრალო ტექნიკურ შეფერხებას,

---

[1] ბუაგილბერს, რომელსაც სურს ბურჟუაზიულ წარმოებითს ურთიერთობას ხელი შეუშალოს და ყალყზე დაუდგეს თვით ბურჟუებს, უმჯობესად მიაჩნია ფულის იმ ფორმების განხილვა, რა ფორმებითაც ფული მხოლოდ იდეალურად ან მხოლოდ წარმავალად გვევლინება. ასეთი იყო წინათ მიმოქცევის საშუალება; ასეთივეა გადახდის საშუალება. იგი კვლავ ვერ ხედავს, რომ ფული მისი იდეალური ფორმიდან უშუალოდ გადადის მის გარეგნულ სინამდვილეში, რომ წკრიალა ფულს უკვე შეიცავს ფარულად ღირებულებათა მხოლოდ წარმოსახვითი საზომი. ის გარემოება, — ამბობს იგი,—რომ ფული თვით საქონელთა ფორმაა მხოლოდ, მყლავნდება მსხვილ ვაჭრობაში, სადაც გაცვლა ფულის ჩაურევლად ხდება, მას შემდეგ, რაც «საქონელი შეფასებულ იქნა» («les marchandises sont appréciées»). «Le détail de la France», L. c., გვ. 210.

როგორც მონეტის რეზერვის დროსაა, არამედ ფული თანდათან უნდა გროვდებოდეს, რათა გადასახდელის განსაზღვრული სამერმისო ვადებისთვის მზად მოიპოვებოდეს. ამრიგად, მაშინ როდესაც განძის დაგროვება იმ აბსტრაქტული ფორმით, რომლითაც იგი გამდიდრებად ითვლება, ბურჟუაზიული წარმოების განვითარებასთან ერთად კლებულობს, — ეს განძის დაგროვება, რომელსაც უშუალოდ გაცვლის პროცესი მოითხოვს, მატულობს, ან, უფრო სწორად, ნაწილი განძისა, რომელიც საერთოდ საქონელთა მიმოქცევის სფეროში იქმნება, შთაინთქმება გადახდის საშუალებათა სარეზერვო ფონდების სახით. რაც უფრო განვითარებულია ბურჟუაზიული წარმოება, მით უფრო შემოისაზღვრება ეს სარეზერვო ფონდები აუცილებელი მინიმუმით. ლოკი თავის თხზულებაში, სადაც პროცენტის განაკვეთის შემცირებაა განხილული [1], საინტერესო ცნობებს იძლევა მის დროს არსებულ ამ სარეზერვო ფონდების ოდენობის შესახებ. ამ ცნობებიდან ჩანს, თუ საერთოდ მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენ დიდ ნაწილს ნთქავდნენ გადახდის საშუალებათა აუზები ინგლისში სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც საბანკო საქმის განვითარება იწყებოდა.

მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის შესახებ არსებული კანონი, იმ სახით, როგორც იგი ფულის მარტივი ტრიალის განხილვიდან გამომდინარეობდა, არსებითად იცვლება გადახდის საშუალებათა ტრიალის გამო. ფულის ტრიალის მოცემული სისწრაფისას, — სულ ერთია, იქნება ფული მიმოქცევის საშუალების სახით თუ გადახდის საშუალების სახით, — იმ ფულის ერთობლივი ჯამი, რომელიც დროის მოცემულ მონაკვეთში მიმოიქცევა, განისაზღვრება საქონელთა სარეალიზაციო ფასების ერთობლივი ჯამით პლუს იმავე დროში ვადადამდგარ გადასახდელთა ერთობლივი ჯამი მინუს დაფარვის გზით ურთიერთგამბათილებელი გადასახდელები. საყოველთაო კანონი, რომლის მიხედვით ტრიალში მყოფი ფულის მასა საქონელთა ფასებზეა დამოკიდებული, ამით სრულიადაც არ

[1] Locke, l. c., §§. 17, 18.

ირღვევა, რადგან თვითონ გადასახდელთა ჯამი ხელშეკრულებით დაწესებული ფასებით განისაზღვრება. მაგრამ ამასთან ნათლად მჟღავნდება, რომ მაშინაც კი, როდესაც ტრიალის სისწრაფე და გადასახდელთა ეკონომია უცვლელადაა ნაგულისხმევი, დროის გარკვეულ პერიოდში, მაგ., ერთ დღეში მიმოქცეულ საქონელთა მასის ფასის ჯამი და იმავე დღის განმავლობაში მიმოქცეული ფულის მასა სრულიადაც არ ფარავს ერთიმეორეს, რადგან მიმოქცევაში იმყოფება ისეთ საქონელთა მასაც, რომელთა ფასის რეალიზაცია ფულადი სახით მხოლოდ შემდეგში მოხდება, და ისეთი ფულის მასაც, რომლის შესაბამისი საქონელიც უკვე დიდი ხანია მიმოქცევიდან გამოსულია. უკანასკნელი მასა, ე. ი. ფულის მასა, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია თავისი ღირებულებით იმ გადასახდელთა ჯამი, რომელთა ვადაც იმავე დღეს თავდება, თუმცა ხელშეკრულებანი მათ შესახებ სულ სხვადასხვა დროს იყო დადებული.

ჩვენ ვნახეთ, რომ ოქროსა და ვერცხლის ღირებულების ცვლილება არ ეხება მათ იმ ფუნქციას, რომელსაც ისინი ღირებულებათა საზომის ან საანგარიშო ფულის სახით ასრულებენ. მაგრამ ამ ცვლილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განძის სახით არსებული ფულისათვის, რადგან ოქრო-ვერცხლის ღირებულების მატებასა და დაკლებასთან ერთად მატულობს ან კლებულობს ოქრო-ვერცხლის განძის ღირებულების სიდიდე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეს ცვლილება ფულისთვის როგორც გადახდის საშუალებისთვის. გადახდა ხდება უფრო გვიან, ვიდრე საქონლის გაყიდვა, ანუ ფული დროის ორ სხვადასხვა პერიოდში მოქმედებს და ორი სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებლად გამოდის, პირველად — როგორც ღირებულებათა საზომი, შემდეგ კი — როგორც ამ საზომის შესაბამისი გადახდის საშუალება. თუ ამ დროის განმავლობაში ძვირფას ლითონთა ღირებულება ანუ მათ საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო შეიცვლება, მაშინ ოქრო-ვერცხლის იმავე რაოდენობას იმ მომენტში, როცა იგი გადახდის საშუალების სახით გვევლინება, მეტი ან ნაკლები

ღირებულება ექნება, ვიდრე მაშინ ჰქონდა, როცა ღირებულებათა საზომის სამსახურს ეწეოდა ანუ როცა ხელშეკრულება იდებოდა. ფუნქცია, რომელსაც განსაკუთრებული საქონელი, მაგალითად ოქრო და ვერცხლი, ფულის სახით ანუ დამოუკიდებლად გამხდარი საცვლელი ღირებულების სახით ასრულებს, აქ კოლიზიაშია ამ განსაკუთრებული საქონლის ბუნებასთან, რომლის ღირებულების სიდიდეც დამოკიდებულია მისი წარმოების ხარჯების ცვლილებაზე. ის დიდი სოციალური რევოლუცია, რომელიც ძვირფას ლითონთა ღირებულების დაცემამ გამოიწვია ევროპაში, ისევე ცნობილი ფაქტია, როგორც ის პირიქითი რევოლუცია, რომელიც ძველი რომის რესპუბლიკის ადრინდელ ეპოქაში მოხდა იმის გამო, რომ აიწია სპილენძის ღირებულებამ, — სპილენძისა, რომლითაც დადებული იყო პლებეების სავალო ხელშეკრულებანი. იმ გავლენის შემდგომი გამოკვლევის გარეშეც, რასაც ძვირფას ლითონთა ღირებულების რყევა ბურჟუაზიული ეკონომიის სისტემაზე ახდენს, ჩვენ აქ უკვე ვხედავთ, რომ ძვირფას ლითონთა ღირებულების დაცემა სარგებლობას აძლევს მოვალეებს მევალეების ხარჯზე, მათი ღირებულების აწევა კი, პირიქით, სარგებლობას აძლევს მევალეებს მოვალეების ხარჯზე.

c) მსოფლიო ფული

ოქრო, მონეტისაგან განსხვავებით, ფულად იქცევა ჯერ იმით, რომ მიმოქცევას გამოეცლება განძის სახით, შემდეგ კი იმით, რომ მასში შედის როგორც არა მიმოქცევის საშუალება და, ბოლოს, იმით, რომ შინაგანი მიმოქცევის საზღვრებს გადალახავს, რათა საქონელთა სამყაროში საყოველთაო ეკვივალენტის სახით იმოქმედოს. ამრიგად იქცევა ოქრო მ ს ო ფ ლ ი ო ფ უ ლ ა დ.

თუ ძვირფას ლითონთა წონის საერთო ზომები ღირებულების თავდაპირველ საზომებად იხმარებოდა, მსოფლიო ბაზრის სფეროში ფულის საანგარიშო სახელწოდებანი კვლავ შესაბამის წონითს სახელწოდებებად გარდაიქმნებიან. თუ უფორმო ნედლი ლითონი (aes rude) მიმოქცევის საშუალების თავ-

დაპირველი ფორმა იყო, ხოლო თვით მონეტური ფორმა თავდაპირველად მხოლოდ ოფიციალური სახელწოდება იყო ლითონის ნაჭრებში მოქცეული წონისთვის, ახლა ძვირფასი ლითონი მსოფლიო მონეტის სახით ხელახლა იშორებს თავის ნაკვთსა და დამღას და ხელახლა უბრუნდება ზოდის განურჩეველ ფორმას; სხვა სიტყვებით—თუ ნაციონალური მონეტები, როგორც რუსული იმპერიალები, მექსიკური ტალერები და ინგლისური სოვერენები უცხოეთში მიმოიქცევა,—მათი სახელწოდება უმნიშვნელო ხდება და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მათ შედგენილობას. ბოლოს, საერთაშორისო ფულის სახით ძვირფასი ლითონი კვლავ ასრულებს თავის თავდაპირველ ფუნქციას როგორც გაცვლის საშუალება, ფუნქციას, რომელიც, როგორც თვით საქონელთა გაცვლაც, წარმოიშვა არა პირველყოფილი თემების შიგნით, არამედ სხვადასხვა თემების შეხვედრის პუნქტებზე. ამრიგად, ფული მსოფლიო ფულის სახით ხელახლა ღებულობს თავის ბუნებრივად წარმომდგარ თავდაპირველ ფორმას. იმით, რომ ფული შინაგანი მიმოქცევის სფეროს ტოვებს, იგი კვლავ იშორებს თავიდან იმ განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებიც გაცვლის პროცესის განვითარებიდან წარმოიშვა ამ განსაკუთრებულ სფეროს შიგნით, ე. ი. იშორებს თავის ლოკალურ ფორმებს როგორც ფასების მასშტაბი, როგორც მონეტა, ხურდა მონეტა და ღირებულების ნიშანი.

ჩვენ ვნახეთ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის შინაგან მიმოქცევაში მხოლოდ ერთი საქონელი ასრულებს ღირებულებათა საზომის ფუნქციას. მაგრამ რადგან ერთ ქვეყანაში ოქრო ასრულებს ამ ფუნქციას, მეორეში კი—ვერცხლი, ამიტომ მსოფლიო ბაზარზე ღირებულებათა ორნაირი საზომია ძალაში, და ფული ყველა სხვა ფუნქციაშიც აორებს თავის არსებობას. საქონელთა ღირებულების გადატანა ოქროთი გამოსახული ფასებიდან ვერცხლით გამოსახულ ფასებში და პირიქით თვითეულ შემთხვევაში განისაზღვრება ორივე ლითონის შეფარდებითი ღირებულებით, რომელიც მუდამ იცვლება და რომლის დამყარება, ამიტომ, მუდმივ პროცესს წარმოადგენს. თვითეული შინაგანი მიმოქცევის სფეროს საქონელმფლობელნი

იძულებულნი არიან საგარეო მიმოქცევისათვის იხმარონ რიგრიგობით ხან ოქრო, ხან ვერცხლი და, ამრიგად, ის ლითონი, რომელიც ქვეყნის შიგნით ფულს წარმოადგენს, გაცვალონ ლითონზე, რომელიც მათ ესაჭიროებათ სწორედ უცხოეთში ფულის სახით. ამრიგად, ყოველი ერი მსოფლიო ფულად ხმარობს ორივე ლითონს, ოქროსაც და ვერცხლსაც.

საერთაშორისო საქონელმიმოქცევაში ოქრო და ვერცხლი გვევლინება არა როგორც მიმოქცევის საშუალება, არამედ როგორც საყოველთაო გაცვლის საშუალება. მაგრამ საყოველთაო გაცვლის საშუალება მოქმედებს მხოლოდ ორივე განვითარებული ფორმით: ყიდვის საშუალებისა და გადახდის საშუალების ფორმით, მაგრამ მათი შეფარდება მსოფლიო ბაზარზე შებრუნებულია. შინაგანი მიმოქცევის სფეროში ფული, რამდენადაც იგი მონეტა იყო, პროცესის სახით მიმდინარე ერთიანობის, ს—ფ—ს-ის, შუა რგოლს წარმოადგენდა ანუ საქონელთა შეუწყვეტელ ადგილცვლაში საცვლელი ღირებულების მხოლოდ წარმავალ ფორმას გამოხატავდა,—მოქმედებდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც ყიდვის საშუალება. მსოფლიო ბაზარზე—პირიქით. ოქრო და ვერცხლი აქ ყიდვის საშუალებად გვევლინება, როდესაც ნივთიერებათა ცვლა მხოლოდ ცალმხრივია, და ამიტომ ყიდვა და გაყიდვა ერთიმეორისგან გათიშულია. მაგალითად, სასაზღვრო ვაჭრობა კიახტაში ფაქტიურად და ხელშეკრულებითაც გაცვლითი ვაჭრობაა, რომელშიც ვერცხლი მხოლოდ ღირებულებათა საზომია. 1857—1858 წწ. ომმა ჩინელები აიძულა გაყიდვა უყიდველად ეწარმოებინათ. მაშინ ერთბაშად სცენაზე გამოჩნდა ვერცხლი როგორც ყიდვის საშუალება. ხელშეკრულების ასო-ანბანის დაცვის მიზნით, რუსები ეწეოდნენ ფრანგული ხუთფრანკიანების გადაკეთებას სხვადასხვა ტლანქ ვერცხლის საქონლად, რომელნიც გაცვლის საშუალების როლს ასრულებდნენ. ვერცხლი მუდამ ასრულებს ყიდვის საშუალების ფუნქციას, ერთი მხრივ, ევროპასა და ამერიკასა და, მეორე მხრივ, აზიას შორის, სადაც იგი განძის სახით დაილექება. შემდეგ, ძვირფასი ლითონები

საერთაშორისო ყიდვის საშუალების ფუნქციას ასრულებენ, როგორც კი ორ ერს შორის ნივთიერებათა ცვლის ჩვეულებრივი წონასწორობა უეცრად ირღვევა, მაგალითად, მოუსავლობის დროს, როდესაც ერთი მათგანი იძულებული ხდება არაჩვეულებრივად დიდი ოდენობით იყიდოს. დასასრულ, ძვირფასი ლითონები საერთაშორისო ყიდვის საშუალებას წარმოადგენენ ოქრო-ვერცხლის მწარმოებელი ქვეყნების ხელში, სადაც ეს ლითონები უშუალო პროდუქტი და საქონელია და არა საქონლის გარდაქმნილი ფორმა. რაც უფრო ვითარდება საქონელთა გაცვლა მიმოქცევის სხვადასხვა ნაციონალურ სფეროებს შორის, მით უფრო ვითარდება მსოფლიო ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია საერთაშორისო ბალანსების გასაწონასწორებლად.

საერთაშორისო მიმოქცევა, ისევე როგორც შინაგანი მიმოქცევა, მოითხოვს ოქროსა და ვერცხლის მუდამ ცვალებად რაოდენობას. ამიტომ დაგროვილი განძის ერთი ნაწილი ყოველი ხალხისათვის წარმოადგენს მსოფლიო ფულის სარეზერვო ფონდს, რომელიც ხან ცარიელდება, ხან ისევ ივსება, საქონელთა გაცვლის რყევათა შესაბამისად [1]. გარდა იმ განსაკუთრებული მოძრაობისა, რომლის დროს მსოფლიო ფული მიმოქცევის სხვადასხვა ნაციონალურ სფეროებს შორის იქითაქეთ მიედინ-მოედინება, მას აქვს საყოველთაო მოძრაობაც, რომლის ამოსავალი პუნქტები წარმოების წყაროებთანაა, საიდანაც ოქროსა და ვერცხლის ნაკადები სხვადასხვა მიმართულებით მსოფლიო ბაზრისაკენ მიედინება. ოქრო და ვერცხლი შედის აქ მსოფლიო მიმოქცევაში როგორც საქონელი და გაიცვლება როგორც ეკვივალენტები მათში მოქცეული სამუშაო დროის პროპორციულად საქონელ-ეკვივალენტებზე მანამდე, ვიდრე შინაგანი მიმოქცევის სფეროებში შევიდოდნენ.

---

[1] «დაგროვილი ფული ემატება იმ თანხას, რომელიც, რათა ნამდვილად იყოს მიმოქცევაში და აკმაყოფილებდეს ვაჭრობის შესაძლებელ მოთხოვნილებებს, შორდება და გადის თვით მიმოქცევის სფეროდან» (G. R. Carli, შენიშვნა Verri-სთვის: «Meditazioni sulla Economia Politica, გვ. 196, t. XV, Custodi-ს კრებულში, l. c.).

ამიტომ ამ სფეროებში ისინი გვევლინებიან როგორც გარკვეული ღირებულებითი სიდიდის მქონენი. ამიტომ მათი წარმოების ხარჯების ყოველი შემცირება ან გადიდება თანაბრად ეხება მსოფლიო ბაზარზე მათ შეფარდებითს ღირებულებას, რომელიც, პირიქით, სრულიად არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ნთქავს მიმოქცევის სხვადასხვა ნაციონალური სფერო ოქროს თუ ვერცხლს. ლითონის ნაკადის ის წილი, რომელსაც საქონელთა სამყაროს ყოველი ცალკეული სფერო ჩაიჭერს, ნაწილობრივ შედის უშუალოდ ფულის შინაგან ტრიალში, გადალესილი ლითონური მონეტების შესანაცვლებლად, ნაწილობრივ მონეტების, გადახდის საშუალებათა და მსოფლიო ფულის სხვადასხვა საგანძო აუზებში შეგუბდება, ნაწილობრივაც ფუფუნების საგნებად გარდაიქმნება, ნაშთი კი, ბოლოს, უბრალო განძად იქცევა. ბურჟუაზიული წარმოების განვითარებულ საფეხურზე განძის შექმნა განსაზღვრულია მინიმუმით, რასაც მიმოქცევის სხვადასხვა პროცესები მოითხოვენ თავიანთი მექანიზმის თავისუფალი მოქმედებისათვის. განძი როგორც ასეთი აქ იქცევა მხოლოდ უქმად მდებარე სიმდიდრედ, თუკი იგი არ წარმოადგენს გადასახდელთა ბალანსის ნამეტის სწრაფ წარმავალ ფორმას, ნივთიერებათა შეწყვეტილი ცვლის შედეგს და, მაშასადამე, არ წარმოადგენს საქონლის გამაგრებას მის პირველ მეტამორფოზში.

როგორც ოქრო და ვერცხლი ფულის სახით, თვით მათი ცნების მიხედვით, საყოველთაო საქონელია, ასევე მსოფლიო ფულის სახით ისინი ღებულობენ არსებობის სათანადო ფორმას,—უნივერსალური საქონლის ფორმას. იმდენად, რამდენადაც ყველა პროდუქტი მათზე გასხვისდება, ოქრო და ვერცხლი ხდება ყველა საქონლის გარდაქმნილი ფორმა და, მაშასადამე, ყოველმხრივ გასასხვისებელი საქონელი. ოქრო და ვერცხლი საყოველთაო სამუშაო დროის მატერიალიზაცია იმდენად ხდება, რამდენადაც რეალური შრომის ნივთიერებათა ცვლა მთელ დედამიწაზე ვრცელდება, ისინი საყოველთაო ეკვივალენტები ხდებიან იმდენად, რამდენადაც ვითარდება

იმ განსაკუთრებულ ეკვივალენტთა მწკრივი, რომელნიც მათი გაცვლის სფეროს შეადგენენ. რადგან მსოფლიო მიმოქცევაში საქონელნი თავიანთ საკუთარ საცვლელ ღირებულებას უნივერსალურად ავითარებენ, ამიტომ ამ ღირებულების ოქროდ და ვერცხლად გარდაქმნილი სახე გვევლინება როგორც მსოფლიო ფული. მაშასადამე, მაშინ როდესაც საქონელმფლობელთა ერები თავიანთი მრავალმხრივი მრეწველობისა და საყოველთაო გაცვლის გზით ადეკვატურ ფულად აქცევენ ოქროს, მრეწველობა და გაცვლა მათთვის მხოლოდ საშუალებაა იმისათვის, რათა მსოფლიო ბაზარს ოქროსა და ვერცხლის სახით ფული გამოაცალონ. ამიტომ ოქრო და ვერცხლი როგორც მსოფლიო ფული იმდენადვეა საქონელთა საყოველთაო მიმოქცევის პროდუქტი, რამდენადაც საშუალებაა ამ მიმოქცევის საზღვრების გასაფართოებლად. როგორც ალქიმიკოსების ზურგს უკან, რომელნიც ოქროს გაკეთებას ლამობდნენ, ქიმია წამოიზარდა, ასევე საქონელმფლობელთა ზურგს უკან, რომელნიც მოჯადოებული საქონლის გამოდევნებით არიან გატაცებულნი, მსოფლიო მრეწველობისა და მსოფლიო ვაჭრობის წყაროები ამოჩუხს. ოქრო და ვერცხლი ხელს უწყობს მსოფლიო ბაზრის შექმნას იმით, რომ მისი არსებობა ოქრო-ვერცხლის—როგორც ფულის—ცნებაში წინასწარ ნაგულისხმევია. იმ გარემოებას, რომ ოქრო-ვერცხლის მაგიური მოქმედება სრულიადაც არ შემოისაზღვრება ბურჟუაზიული საზოგადოების ყმაწვილური წლებით, არამედ აუცილებლობის გზით წარმოიშვება იმ გაუკუღმართებიდან (Verkehrung), რომელშიც საქონელთა სამყაროს წარმომადგენლებს მათი საკუთარი საზოგადოებრივი შრომა წარმოუდგებათ,—ამტკიცებს ის არაჩვეულებრივი გავლენა, რასაც ოქროს ახალი ადგილების აღმოჩენა ახდენს მე-19 საუკუნის ნახევარში მსოფლიო სააღებმიცემო ურთიერთობაზე.

როგორც ფული ვითარდება მსოფლიო ფულად, ასევე საქონელმფლობელი ვითარდება კოსმოპოლიტად. ადამიანთა კოსმოპოლიტური ურთიერთობა ერთმანეთთან თავდაპირველად მხოლოდ მათი ურთიერთობაა როგორც საქონელმფლობელებისა.

საქონლისთვის თავისთავად არ არსებობს არც რელიგიური, არც პოლიტიკური, არც ნაციონალური და ენობრივი საზღვარი. მისი საყოველთაო ენაა ფასი, ხოლო მისი საზოგადოებრიობაა (Gemeinwesen) ფული. მაგრამ მსოფლიო ფულის განვითარებასთან ერთად, წინააღმდეგ ნაციონალური მონეტისა, ვითარდება საქონელმფლობელის კოსმოპოლიტიზმი, როგორც პრაქტიკული გონების რწმენა, წინააღმდეგ მემკვიდრეობით გადმოცემული რელიგიური, ნაციონალური და სხვა ცრურწმენისა, რომელიც კაცობრიობას შორის ნივთიერებათა ცვლას აბრკოლებს. როდესაც იგივე ოქრო ამერიკული eagles-ის სახით ინგლისში გადმოიტვირთება და სოვერენად იქცევა, რამდენიმე დღის შემდეგ პარიზში ნაპოლეონდორად მიმოიქცევა, რამდენიმე კვირის შემდეგ ვენეციაში დუკატად იქცევა, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე ღირებულებას ინარჩუნებს,—საქონელმფლობელისთვის ცხადი ხდება, რომ ეროვნება «მხოლოდ გინეას ბეჭედია» («is but the guinea's stamp»). უმაღლესი იდეა, რომელშიაც მისთვის მთელი სამყაროა მოქცეული, ბაზრის, მ ს ო ფ ლ ი ო ბ ა ზ რ ი ს იდეაა[1].

4. ძვირფასი ლითონები

ბურჟუაზიული წარმოების პროცესი უწინარეს ყოვლისა ეუფლება ლითონურ მიმოქცევას, როგორც უკვე მზამზარეულად გადმოცემულ ორგანოს, რომელიც თუმცა თანდათან გარდაიქმნება, მაგრამ მაინც მუდამ ინარჩუნებს თავის ძირითად კონსტრუქციას. საკითხი, თუ რატომ გამოიყენება ფულის მასალად ოქრო და ვერცხლი და არა სხვა საქონელი, ბურჟუაზიული სისტემის ფარგალს სცილდება. ამიტომ ჩვენ

---

1 M o n t a n a r i, «Della moneta» (1683), l. c., გვ. 40: «ხალხთა მიმოსვლა ურთიერთ შორის ისე გავრცელებულია მთელ დედამიწის ზურგზე, რომ შეიძლება ვთქვათ, მთელი ქვეყანა გადაქცეულია ერთ ქალაქად, სადაც ყოველგვარი საქონლის მუდმივი ბაზრობაა გამართული, და სადაც ყოველ ადამიანს, სახლიდან გამოუსვლელად, შეუძლია ფულის საშუალებით მოიპოვოს ყველაფერი და დატკბეს ყველაფრით, რაც დედამიწის, ცხოველისა და ადამიანის მიერ იწარმოება სხვა ადგილას. გასაოცარი გამოგონებაა».

მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ დასკვნის სახით ყველაზე არსებით პუნქტებს.

რადგან თვით საყოველთაო სამუშაო დრო მხოლოდ რაოდენობრივ განსხვავებებს შეიცავს, ამიტომ ის საგანი, რომელიც მისი სპეციფიკური განხორციელების როლს უნდა ასრულებდეს, აღჭურვილი უნდა იყოს იმის უნარით, რომ წმინდა რაოდენობრივი განსხვავებანი გამოხატოს, რაც გულისხმობს თვისებრივ იგივეობას, ერთგვაროვნობას. ეს პირველი პირობაა იმისათვის, რომ რომელიმე საქონელმა ღირებულების საზომის ფუნქცია შეასრულოს. თუ მე ყველა საქონელს, მაგალითად, ხარებით, ტყავებით, ხორბლით და სხვ. შევაფასებ, სინამდვილეში საზომად იდეალური საშუალო ხარი, იდეალური საშუალო ტყავი უნდა ავიღო, ვინაიდან ერთი ხარი მეორისაგან, ხორბლის ერთი ნაწილი მეორე ნაწილისაგან, ერთი ტყავი მეორისაგან თვისებრივად განსხვავებულია. პირიქით, ოქრო და ვერცხლი, როგორც მარტივი სხეულები, ყოველთვის თავისი თავის ტოლნი არიან და მათი თანატოლი რაოდენობანი თანატოლ ღირებულებებს გამოხატავენ[1]. მეორე პირობა იმ საქონლისთვის, რომელიც საყოველთაო ეკვივალენტის როლს უნდა ასრულებდეს,—პირობა, რომელიც უშუალოდ წმინდა რაოდენობრივ განსხვავებათა გამოხატვის ფუნქციიდან გამომდინარეობს,—ის არის, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი საქონლის ყოველნაირ ნაწილებად დაჭრა და ამ ნაწილების კვლავ შეერთება, ასე რომ საანგარიშო ფული გრძნობად-აღქმადი სახითაც უნდა გამოიხატებოდეს. ოქრო და ვერცხლი ამ თვისებებით უაღრესად აღჭურვილნი არიან.

როგორც მიმოქცევის საშუალებას, ოქროსა და ვერცხლს სხვა საქონელთა წინაშე ის უპირატესობა აქვთ, რომ

---

[1] «ლიტონები იმ თავისებურებით განირჩევიან, რომ მხოლოდ მათშია ყველა ურთიერთობა დაყვანილი ერთ ურთიერთობაზე, რომელიც მათ რაოდენობას წარმოადგენს, რადგან მათ ბუნებისაგან არ მიუღიათ განსხვავებული თვისებრიობა არც თავიანთი შინაგანი შედგენილობის, არც გარეგანი ფორმისა და აგებულების მიხედვით» (Galiani, l. c., გვ. 130).

მათ დიდ ხვედრითს წონას, ე. ი. იმას, რომ ისინი მცირე მოცულობით შეფარდებით დიდ სიმძიმეს გამოხატავენ, შეესაბამება მათი ეკონომიურად ხვედრითი წონა, ე. ი. ის, რომ მათი მცირე მოცულობა შეფარდებით დიდ სამუშაო დროს, ანუ დიდ საცვლელ ღირებულებას შეიცავს. ამით უზრუნველყოფილია ტრანსპორტის სიადვილე, ერთი ხელიდან მეორე ხელში და ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასვლა, უნარი როგორც სწრაფად გამოჩენისა, ისე სწრაფად გაქრობისაც,—ერთი სიტყვით, მატერიალური ძვრადობა, ეს აუცილებელი პირობა (sine qua non) საქონლისა, რომელიც მიმოქცევის პროცესის მარადიული ძრავის (perpetuum mobile) როლს უნდა ასრულებდეს.

ძვირფას ლითონთა მაღალი ღირებულებითი ხვედრითი წონა, გამძლეობა, შედარებითი ურღვევადობა, ჰაერზე დაუჟანგველობა, სპეციალურად კი ოქროს უხსნადობა მჟავაში, გარდა თეზაფისა,—ყველა ეს ბუნებრივი თვისება ძვირფას ლითონებს განძის შექმნის ბუნებრივ მასალად ხდის.

ამიტომ პეტრე მარტვილი, რომელიც, ეტყობა, შოკოლადის დიდი მოყვარული ყოფილა, შენიშნავს კაკაოიანი ტომრების შესახებ, რომელნიც მექსიკური ფულის ერთ-ერთ სახეობას შეადგენენ: «ოჰ, ბედნიერი მონეტა, რომელიც ადამიანთა მოდგმას სასიამოვნო და სასარგებლო სასმელს აძლევს და თავის მფლობელებს სიძუნწის ჯოჯოხეთური ჭირისაგან იფარავს, რადგან მისი არც მიწაში ჩაფლვა შეიძლება და არც დიდხანს შენახვა» («De orbe novo»).

ლითონების დიდი მნიშვნელობა საერთოდ წარმოების უშუალო პროცესის შიგნით დაკავშირებულია იმ ფუნქციასთან, რომელსაც ისინი წარმოების ინსტრუმენტების სახით ასრულებენ. გარდა მათი იშვიათობისა, ოქროსა და ვერცხლის დიდი სირბილე შედარებით რკინასთან და სპილენძთანაც კი (ნაწრთობ მდგომარეობაში, რა სახითაც მას ძველები ხმარობდნენ), უვარგისად ხდის მათ ასეთი გამოყენებისთვის და ამიტომ მნიშვნელოვანწილად აცლის მათ იმ თვისებას, რომელზედაც დამყარებულია საერთოდ ლითონთა

სახმარი ღირებულება. რამდენადაც უსარგებლონი არიან ისინი წარმოების უშუალო პროცესის ფარგლებში, ამდენადვე არა აუცილებელნი არიან ისინი როგორც ცხოვრების საშუალებანი, როგორც მოხმარების საგნები. ამიტომ მათი ყოველი ნებისმიერი რაოდენობა შეიძლება შევიდეს მიმოქცევის საზოგადოებრივ პროცესში და შევიდეს ისე, რომ უშუალო წარმოებისა და მოხმარების პროცესებს ზიანი არ მიაყენოს. მათი ინდივიდუალური სახმარი ღირებულება არაა კონფლიქტში მათ ეკონომიურ ფუნქციასთან. მეორე მხრივ, ოქრო და ვერცხლი არა მხოლოდ უარყოფითი აზრითაა ზედმეტი, ე. ი ისეთი საგნები, რომელთა შელევაც შესაძლებელია,—არამედ მათი ესთეტიკური თვისებებიც ხდის მათ ფუფუნების, მორთულობის, გარეგნული ელვარების, სადღესასწაულო მოთხოვნილებათა ბუნებრივ მასალად, ერთი სიტყვით, ნაჭარბისა და სიმდიდრის დადებით ფორმად. ისინი გვევლინებიან რამდენადმე თვითნაბად შუქად, რომელიც მიწისქვეშა სამყაროდანაა მიღებული, რადგან ვერცხლი ყველა შუქსხივს არეკლავს მათ თავდაპირველ ნარევში, ხოლო ოქრო არეკლავს უმაღლესი დაძაბულობის ფერს, წითელს. ფერის გრძნობა კი საერთოდ ესთეტიკური გრძნობის ყველაზე პოპულარული ფორმაა. ძვირფასი ლითონების სახელწოდებათა ეტიმოლოგიური კავშირი ფერების სახელწოდებებთან სხვადასხვა ინდოგერმანულ ენებში დამტკიცებულია იაკობ გრიმის მიერ (იხ. მისი «გერმანული ენის ისტორია»).

დასასრულ, ოქროსა და ვერცხლის ის თვისება, რომ მათ შესწევთ უნარი გარდაიქმნან მონეტის ფორმიდან ზოდის ფორმად, ზოდის ფორმიდან—ფუფუნების საგნად და პირიქით, მაშასადამე, მათი უპირატესობა სხვა საქონელთან შედარებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შებოჭილი არ არიან ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, გარკვეული სახმარი ფორმებით,—ხდის მათ ფულის ბუნებრივ მასალად, ფულისა, რომელიც მუდამ ერთი ფორმაგანსაზღვრულობიდან მეორეში უნდა გადადიოდეს.

ბუნება არ წარმოშობს ფულს, ისევე როგორც იგი არ წარმოშობს ბანკირებს ან სათამასუქო კურსს. მაგრამ რადგან ბურჟუაზიული წარმოება სიმდიდრეს უნდა აკრისტალებდეს როგორც ფეტიშს ცალკეული ნივთის ფორმით, ამიტომ ოქრო და ვერცხლი ამ სიმდიდრის შესაბამისი განსახიერებაა. ოქრო და ვერცხლი ბუნებით ფული არ არის, მაგრამ ფული ბუნებით ოქრო და ვერცხლია. ერთი მხრივ, ვერცხლის და ოქროს ფულადი კრისტალი არა მხოლოდ პროდუქტია მიმოქცევის პროცესისა, არამედ ფაქტიურად მისი ერთადერთი პროდუქტია, რომელიც ამ პროცესში რჩება. მეორე მხრივ, ოქრო და ვერცხლი ბუნების მზამზარეული პროდუქტებია, და ისინი, არ არიან რა არავითარი ფორმასხვაობით განცალკავებულნი, ისევე უშუალოდ არიან პირველი, როგორც მეორე. საზოგადოებრივი პროცესის საყოველთაო პროდუქტი, ანუ თვით საზოგადოებრივი პროცესი როგორც პროდუქტი, არის ბუნების განსაკუთრებული პროდუქტი,—ლითონი, რომელიც მიწის წიაღშია ჩამალული და იქიდან ამოიღება[1].

ჩვენ დავინახეთ, რომ ოქროს და ვერცხლს არ შეუძლია იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელსაც უყენებენ მათ როგორც ფულს, სახელდობრ იმ მოთხოვნისა, რომ ისინი უცვლელი სიდიდის ღირებულებას უნდა წარმოადგენდნენ. მაგრამ მათ მაინც, როგორც ამას უკვე არისტოტელეც შენიშნავს, უფრო მუდმივი ღირებულების სიდიდე გააჩნიათ, ვიდრე სხვა რომელიმე საქონელს საშუალოდ. თუ არაფერს ვიტყვით ძვირფასი ლითონების გაძვირების ან გაიაფების საყოველთაო გავლენაზე, ოქროს და ვერცხლის ღირებულებითი შეფარდების რყევას განსაკუთრებული მნიშვნელობა

---

[1] 760 წელს მრავალი ღარიბი ადამიანი მიაწყდა პრაღის სამხრეთის ნაწილს მდინარის ქვიშნარში ოქროს გასარეცხად, და 3 კაცს შეეძლო დღეში 3 მარკა ოქროს ამოღება. ამის გამო «სათხრელად» («diggings») მოხვეგებულ ადამიანთა და იმ მუშახელის რიცხვი, რომელიც მიწათმოქმედებას მოაკლდა, ისე გაიზარდა, რომ შემდგომ წელს ქვეყანას შიმშილი დაატყდა თავს (იხ. M. G. Körner: «Abhandlung von dem Altertum des böhmishen Bergwerks», Schneeberg 1758).

აქვს, რადგან ორივე ლითონი ერთიმეორის გვერდით მსოფლიო ბაზარზე ფულის მასალის სამსახურს ეწევა. ღირებულების ასეთი ცვლილების წმინდა ეკონომიური საფუძვლები,—დაპყრობანი და სხვა პოლიტიკური გადატრიალებანი, რომელნიც დიდ გავლენას ახდენდნენ ლითონთა ღირებულებაზე ძველ ქვეყანაში, მხოლოდ ლოკალური და წარმავალი მნიშვნელობისაა,—დაყვანილ უნდა იქნან იმ სამუშაო დროის ცვლილებაზე, რომელიც საჭიროა ამ ლითონების საწარმოებლად. თვით ეს წარმოება დამოკიდებულია ლითონების შეფარდებითს ბუნებრივ იშვიათობაზე, ისე როგორც მეტნაკლებ სიძნელეზე, რომელსაც მათი წმინდა ლითონური სახით მოპოვება წარმოადგენს. ოქრო სინამდვილეში პირველი ლითონი იყო, რომელიც ადამიანმა აღმოაჩინა. ერთი მხრივ, თვით ბუნება იძლევა მას თვითნაბადი კრისტალური ფორმით, გაინდივიდუალებულს, სხვა სხეულებთან ქიმიურად შეუკავშირებელს, ანუ, როგორც ალქიმიკოსები ამბობდნენ, ქალწულურ მდგომარეობაში; მეორე მხრივ, ბუნება თვითონ კისრულობს ტექნოლოგიის სამუშაოს ოქროს დიდ სარეცხაოებში—მდინარეებში. ამრიგად, ადამიანის მხრივ მოითხოვება მხოლოდ უმარტივესი შრომა, იქნება ეს ოქროს ამოღება მდინარიდან, თუ—მონატანი ქვიშნარიდან, მაშინ როდესაც ვერცხლის მოპოვება მადნის სათხრელ მუშაობას და საერთოდ ტექნიკის შედარებით მაღალ განვითარებას გულისხმობს. ამიტომ ვერცხლის თავდაპირველი ღირებულება, მიუხედავად მისი ნაკლები აბსოლუტური იშვიათობისა, შეფარდებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ოქროს ღირებულება. სტრაბონის მტკიცება, რომ არაბების ერთ ტომში 10 გირვანქა ოქროს 1 გირვანქა რკინაში და 2 გირვანქა ოქროს 1 გირვანქა ვერცხლში აძლევდენო, სრულიადაც არაა დაუჯერებლად მისაჩნევი. მაგრამ იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალები ვითარდება და, მაშასადამე, მარტივი შრომის პროდუქტი ძვირდება რთული შრომის პროდუქტთან შედარებით, იმდენად, რამდენადაც მიწის ქერქი სულ უფრო ითხრება და ოქროს მოპოვების

თავდაპირველი ზედაპირული წყაროები შრება,—ვერცხლის, ღირებულება ეცემა ოქროს ღირებულებასთან შეფარდებით. ბოლოს, ტექნოლოგიისა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარების მოცემულ საფეხურზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ოქროს ან ვერცხლის მქონე ახალი ქვეყნების აღმოჩენას. ძველს აზიაში ოქროს და ვერცხლის შეფარდება იყო როგორც 6 : 1 ან 8 : 1, უკანასკნელი შეფარდება არსებობდა ჩინეთსა და იაპონიაში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისს; ქსენოფონტის დროს არსებული შეფარდება 10 : 1 შეიძლება მივიჩნიოთ ნორმალურ შეფარდებად ძველი დროის შუა პერიოდისათვის. ესპანეთის ვერცხლის მადნების ექსპლოატაციას კართაგენის მიერ და შემდეგში რომის მიერ დაახლოებით ისეთივე გავლენა ჰქონდა ძველს დროში, როგორც ამერიკის მადნების აღმოჩენას თანამედროვე ევროპაში. რომის იმპერიის ეპოქისთვის შეფარდება 15 ან 16 : 1 შეიძლება დაახლოებით საშუალო ციფრად მივიჩნიოთ, თუმცა ჩვენ ხშირად რომში ვერცხლის უფრო მეტ გაუფასურებას ვხვდებით. ასეთივე მოძრაობა, რომელიც ოქროს შეფარდებითი გაუფასურებით იწყება და ვერცხლის ღირებულების დაცემით თავდება, მეორდება შემდგომ ეპოქაში, რომელიც შუა საუკუნეებიდან ახალ ხანამდე გრძელდება. შუა საუკუნეებში საშუალო შეფარდება, როგორც ეს ქსენოფონტის დროს იყო, შეადგენს 10 : 1, ხოლო ამერიკის მადნების აღმოჩენის გამო ეს შეფარდება ხდება 16 ანუ 15 : 1. ავსტრალიის, კალიფორნიისა და კოლუმბიის ოქროს წყაროების აღმოჩენა მოსალოდნელს ხდის ოქროს ღირებულების ხელახალ დაცემას[1].

---

[1] ავსტრალიაში და სხვაგან მომხდარ აღმოჩენებს ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ გავლენა ოქროსა და ვერცხლის ღირებულების შეფარდებაზე. ამის საწინააღმდეგო მტკიცებას, რაც მიშელ შეველიემ წამოაყენა, სწორედ ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ამ ყოფილი სენ-სიმონისტის სოციალიზმს. მართალია, ვერცხლის კოტირება ლონდონის ბაზარზე გვიჩვენებს, რომ ვერცხლის საშუალო ფასები, ოქროთი გამოხატული, 1850—1858 წლების პერიოდში თითქმის 3 პროცენტით უფრო მაღლა დგას, ვიდრე 1830—1850

C. ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ

თუ ოქროს საყოველთაო წყურვილი ხალხებს და თავადებს XVI და XVIII საუკუნეებში,— თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ამ სიყმაწვილის პერიოდში, — ზღვისიქითა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიერეკებოდა ოქროს თასისაკენ[1], სამაგიეროდ თანამედროვე სამყაროს პირველმა კომენტატორებმა, მონეტარული სისტემის შემქმნელებმა, რომლის მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია მერკანტილური სისტემა, ოქრო და ვერცხლი, ე. ი. ფული, ერთადერთ სიმდიდრედ გამოაცხადეს. მათ სამართლიანად დასახეს ბურჟუაზიული საზოგადოების მოწოდებად «ფულის კეთება», მაშასადამე, მარტივი საქონელმიმოქცევის თვალსაზრისით, დაგროვება მარადიული განძისა, რომელსაც არც ჩრჩილი

წლების პერიოდში. მაგრამ ეს მატება უბრალოდ იმით აიხსნება, რომ ადგილი ჰქონდა ვერცხლის მოთხოვნას აზიის მხრივ. 1852—1853 წლების განმავლობაში ვერცხლის ფასი ცალკეული წლებისა და თვეების მანძილზე რყევას განიცდის მ ხ ო ლ ო დ ა მ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს გ ა მ ო და არავითარ შემთხვევაში — ახლად აღმოჩენილი წყაროებიდან ოქროს მოზიდვის გამო. აი ცხრილიც, სადაც მოცემულია ოქროთი გამოხატული ვერცხლის ფასები ლონდონის ბაზარზე.

ვ ე რ ც ხ ლ ი ს ფ ა ს ი უ ნ ც ო ბ ი თ:

1852 წ.	მარტი	60	1/8	პენსი.	ივლისი	60	1/4	პენსი.	ნოემბერი	61	7/8 პენსი.
1853 »	»	61	3/8	»	»	61	1/2	»	»	61	7/8 »
1854 »	»	61	7/8	»	»	61	3/4	»	»	61	1/2 »
1855 »	»	60	7/8	»	»	61	1/2	»	»	60	7/8 »
1856 »	»	60		»	»	61	1/4	»	»	62	1/8 »
1857 »	»	61	3/4	»	»	61	5/8	»	»	61	1/2 »
1858 »	»	61	5/8	»	»		—	»	»		— »

[1] მარქსის შენიშვნა წიგნის საკუთარ ეგზემპლარზე: «ოქრო საკვირველი ნივთია! ვისაც იგი აქვს, ყველაფრის ბატონია, რასაც კი მოისურვებს. ოქრო სულსაც კი სამოთხეში მიმავალ გზას უხსნის» (კ ო ლ უ მ ბ ი, წერილი იამაიკიდან, 1503 წ.). რ ე დ.

ჭამს, არც ჟანგი. მონეტარული სისტემის საპასუხოდ არ შეიძლება იმ მოსაზრების წამოყენება, რომ 3 გირვანქა სტერლინგის ფასის ერთი ტონა რკინა იმავე სიდიდის ღირებულებაა, როგორც 3 გირვანქა სტერლინგი ოქრო. აქ ლაპარაკია არა საცვლელი ღირებულების სიდიდეზე, არამედ მის ადეკვატურ ფორმაზე. თუ მონეტარული და მერკანტილური სისტემა მსოფლიო ვაჭრობას და ნაციონალური შრომის ცალკეულ დარგებს, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მსოფლიო ვაჭრობასთან, სიმდიდრის ანუ ფულის ერთადერთ ჭეშმარიტ წყაროებად გამოჰყოფს,—მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იმ ეპოქაში ნაციონალური წარმოების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ ფეოდალურ ფორმებში მოძრაობდა და თვით მწარმოებელთათვის არსებობის უშუალო წყაროს წარმოადგენდა. პროდუქტები მეტწილად საქონლად და, მაშასადამე, ფულად, ჯერ კიდევ არ გარდაიქმნებოდნენ, არ შედიოდნენ საერთოდ ნივთიერებათა საყოველთაო საზოგადოებრივ ცვლაში, არ გვევლინებოდნენ, ამიტომ, საყოველთაო აბსტრაქტული შრომის გასაგნობრივებად და სინამდვილეში არ შეადგენდნენ ბურჟუაზიულ სიმდიდრეს. ფული როგორც მიმოქცევის მიზანი—ეს არის საცვლელი ღირებულება ანუ აბსტრაქტული სიმდიდრე და არა სიმდიდრის რომელიმე ნივთიერი ელემენტი როგორც წარმოების განმსაზღვრელი მიზანი და მამოძრავებელი მოტივი. როგორც ბურჟუაზიული წარმოების წინასაფეხურს შეესაბამებოდა, ეს აუღიარებელი წინასწარმეტყველები ეყრდნობოდნენ საცვლელი ღირებულების წმინდა, ხელშესახებ და ბრჭყვიალა ფორმას, მის ფორმას საყოველთაო საქონლის სახით, წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული საქონლისა. საკუთრივ ბურჟუაზიულ-ეკონომიური სფეროს მაშინდელ დროში საქონელთა მიმოქცევის სფერო წარმოადგენდა. ამიტომ ისინი ამ ელემენტარული სფეროს თვალსაზრისით განიხილავდნენ ბურჟუაზიული წარმოების მთელ დახლართულ პროცესს და ფულს კაპიტალში ურევდნენ. თანამედროვე ეკონომისტების გაუთავებელი ბრძოლა მონეტარული და მერკანტილური სისტემის წინააღ-

მდეგ მეტწილად იქიდან წარმოდგება, რომ ამ სისტემამ ტლანჭ-გულუბრყვილო ფორმით წამოროშა ბურჟუაზიული წარმოების საიდუმლოება, სახელდობრ ის, რომ ეს წარმოება მთლიანად ექვემდებარება საცვლელ ღირებულებას. რიკარდო, — თუმცა მცდარი პრაქტიკული გამოყენების მიზნით, — სადღაც შენიშნავს, რომ შიმშილობის დროსაც კი ხორბალი შემოიზიდება არა იმიტომ, რომ ხალხი დამშეულია, არამედ იმიტომ, რომ ხორბლით მოვაჭრე ფულს აკეთებს. ამრიგად, მონეტარული და მერკანტილური სისტემის თავის კრიტიკაში პოლიტიკური ეკონომია სცდება, როდესაც ებრძვის მას როგორც უბრალო ილუზიას, როგორც მხოლოდ მცდარ თეორიას და არ ძალუძს მასში თავისი საკუთარი ძირითადი დებულების ბარბაროსული ფორმა გამოიცნოს. გარდა ამისა, ეს სისტემა არა მარტო ისტორიულ უფლებას, არამედ თანამედროვე ეკონომიკის განსაზღვრულ სფეროებში სრულ მოქალაქეობრივ უფლებასაც ინარჩუნებს. წარმოების ბურჟუაზიული პროცესის ყველა საფეხურზე, სადაც სიმდიდრე საქონლის ელემენტარულ ფორმას ღებულობს, საცვლელი ღირებულება ფულის ელემენტარულ ფორმას იღებს და წარმოების პროცესის ყველა ფაზაში სიმდიდრე ყოველთვის ხელახლა გადადის ერთი წუთით საქონლის საყოველთაო ელემენტარულ ფორმაში. ყველაზე განვითარებულ ბურჟუაზიულ ეკონომიაშიც კი ოქროს და ვერცხლის, როგორც ფულის, სპეციფიკური ფუნქციები, განსხვავებით მათი, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციისაგან და წინააღმდეგ ყველა სხვა საქონლისა, კი არ ისპობა, არამედ მხოლოდ შეიზღუდება, მაშასადამე, მონეტარული და მერკანტილური სისტემა ინარჩუნებს თავის უფლებას. ის კათოლიკური ფაქტი, რომ ოქრო და ვერცხლი, როგორც საზოგადოებრივი შრომის უშუალო განხორციელება და, მაშასადამე, როგორც აბსტრაქტული სიმდიდრის მყოფობა, უპირისპირდება ყველა სხვა ჩვეულებრივ საქონელს, შეურაცხყოფს, რასაკვირველია, ბურჟუაზიული ეკონომიის პროტესტანტულ point d'honneur-ს, და ამ ბურჟუაზიულმა ეკონომიამ მონეტარული სისტემის

ცრურწმენათა შიშით დიდი ხნით დაკარგა ფულის მიმოქცევის მოვლენების გაგების უნარი, როგორც ამას შემდგომი განხილვა დაგვანახვებს.

სრულიად ბუნებრივი იყო ის, რომ წინააღმდეგ მონეტარული და მერკანტილური სისტემისა, რომელიც ფულს იცნობს მხოლოდ მის ფორმაგანსაზღვრულობაში როგორც მიმოქცევის კრისტალურ პროდუქტს, კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ფულს განიხილავდა უწინარეს ყოვლისა მისი დენადი ფორმით როგორც საცვლელი ღირებულების ფორმას, ფორმას, რომელიც თვით საქონლის მეტამორფოზის შიგნით წარმოიშვება და კვლავ ქრება. ამიტომ როგორც საქონელთა მიმოქცევა მხოლოდ და მხოლოდ ს—ფ—ს-ის ფორმით, ხოლო ეს უკანასკნელი კვლავ მხოლოდ და მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის აქტების დინამიკურად მიმდინარე ერთიანობის სახით განიხილება,— ასევე განიხილება ფული მისი ფორმაგანსაზღვრულობით როგორც მიმოქცევის საშუალება, წინააღმდეგ მისი ფულის სახით მოცემული ფორმაგანსაზღვრულობისა. თუ მიმოქცევის საშუალება თვითონ გამოცალკევდება თავისი ფუნქციით როგორც მონეტა, მაშინ იგი, როგორც დავინახეთ, ღირებულების ნიშნად გარდაიქმნება. მაგრამ რადგან კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას თვალწინ ჰქონდა უწინარეს ყოვლისა ლითონური მიმოქცევა როგორც მიმოქცევის გაბატონებული ფორმა, ამიტომ იგი ლითონურ ფულს განიხილავს როგორც მონეტას, ხოლო ლითონურ მონეტას როგორც ღირებულების უბრალო ნიშანს. ღირებულების ნიშანთა მიმოქცევის კანონის შესაბამისად წამოყენებულია, ამრიგად, დებულება, რომ საქონელთა ფასები დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ფულის მასაზე და არა, პირიქით, მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა — საქონელთა ფასებზე. ჩვენ ვხვდებით ამ შეხედულებას, მეტნაკლებ ნათლად გამოთქმულს, მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიელ ეკონომისტებს შორის; ამ შეხედულებას ლოკი ხან იღებს, ხან უარყოფს; იგი გარკვევით განვითარებულია «Spectator»-ში (1771 წლის 19 ოქტომბრის ნომერში), მონტესკიეს და იუმის

ნაწერებში. რადგან იუმი ამ თეორიის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელია მეთვრამეტე საუკუნეში, ამიტომ ჩვენ იუმით დავიწყებთ ჩვენს მიმოხილვას.

განსაზღვრული წანამძღვრების დროს ისე ჩანს, თითქოს მიმოქცევაში მყოფი ლითონური ფულის რაოდენობის ან მიმოქცევაში მყოფი ღირებულების ნიშნების რაოდენობის გამრავლება თუ შემცირება თანაბრად მოქმედებს საქონელთა ფასებზე. თუ მაღლა იწევს ან ეცემა ღირებულება ოქრო-ვერცხლისა, რომლითაც საქონელთა ღირებულებანი შეფასდებიან როგორც ფასები, მაშინ ფასები აიწევს ან დაიწევს, რადგან მათი ღირებულების საზომი შეიცვალა, და მეტი ან ნაკლები ოქრო და ვერცხლი მიმოიქცევა მონეტის სახით, რადგან ფასები გადიდდა ან შემცირდა. მაგრამ დასანახი მოვლენაა, საქონელთა საცვლელი ღირებულების უცვლელობისას, ფასების ცვლილება მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობის გამრავლებასა ან შემცირებასთან ერთად. მეორე მხრივ, თუ მიმოქცევაში მყოფ ღირებულების ნიშანთა რაოდენობამ მათ აუცილებელ დონეზე მაღლა აიწია ან დაბლა დაიწია, ისინი ნაძალადევად იმავე დონეზე დაიყვანებიან საქონელთა ფასების დაწევის ან აწევის გზით. ორსავე შემთხვევაში ისე გვეჩვენება, თითქოს ერთი და იგივე შედეგი ერთი და იმავე მიზეზით იყოს გამოწვეული, და ამ ილუზიას ჩასჭიდებია იუმი.

ყოველი მეცნიერული გამოკვლევა მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობასა და საქონელთა ფასების მოძრაობას შორის არსებული შეფარდების შესახებ ფულადი მასალის ღირებულებას მოცემულად უნდა გულისხმობდეს. იუმი, პირიქით, განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციათა ეპოქებს თვით ძვირფას ლითონთა საზომში, ე. ი. რევოლუციებს ღირებულებათა საზომში. საქონელთა ფასების ზრდა ლითონური ფულის გამრავლებასთან ერთად ამერიკის მადნების აღმოჩენის შემდეგ შეადგენს იუმის თეორიის ისტორიულ საფუძველს, ისევე როგორც მონეტარული და მერკანტილური სისტემის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკა მისი თეორიის

პრაქტიკულ მოტივს ამჟღავნებს. ძვირფას ლითონთა მოდენა შეიძლება, რასაკვირველია, გადიდდეს მათი წარმოების ხარჯების უცვლელობის დროსაც. მეორე მხრივ, მათი ღირებულების, ე. ი. მათ საწარმოებლად აუცილებელი სამუშაო დროის, შემცირება თავდაპირველად მხოლოდ მათი მოდენის გადიდებით მჟღავნდება. მაშასადამე,—ამბობდნენ იუმის შემდგომი მოწაფეები,—ძვირფას ლითონთა ღირებულების შემცირება მჟღავნდება მიმოქცევის საშუალებათა მასის ზრდით, ხოლო მიმოქცევის საშუალებათა მასის ზრდა—საქონელთა ფასების გადიდებით. მაგრამ სინამდვილეში იზრდება მხოლოდ იმ საექსპორტო საქონელთა ფასი, რომელნიც ოქროსა და ვერცხლზე გაიცვლებიან როგორც საქონელზე და არა როგორც მიმოქცევის საშუალებაზე. ასე მატულობს ამ საქონელთა ფასი, რომელნიც დაცემული ღირებულების ოქროთი და ვერცხლით შეფასდებიან, ყველა იმ სხვა საქონელთან შედარებით, რომელთა საცვლელი ღირებულება კვლავ ოქრო-ვერცხლით შეფასდება მათი წარმოების წინანდელი ხარჯების მასშტაბის მიხედვით. საქონელთა საცვლელი ღირებულების ეს ორნაირი შეფასება ერთსა და იმავე ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებითი შეიძლება იყოს, და ოქრო-ვერცხლით გამოსახული ფასები უნდა გათანატოლდეს თვით საცვლელ ღირებულებათა პროპორციათა მიხედვით, ასე რომ ბოლოს და ბოლოს ყველა საქონლის საცვლელი ღირებულება ფულის მასალის ახალი ღირებულების შესაბამისად შეფასდება. ამ პროცესის განვითარება, ისევე როგორც ის წესი, რა წესითაც საერთოდ საბაზრო ფასების რყევათა ფარგლებში საქონელთა საცვლელი ღირებულება ხორციელდება,— აქ არ განიხილება. მაგრამ ეს გათანატოლება რომ ბურჟუაზიული წარმოების ნაკლებ განვითარებულ ეპოქებში მეტისმეტი თანდათანობით წარმოებს და გრძელ პერიოდებს საჭიროებს, რომ, ყოველ შემთხვევაში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის გამრავლების შესაბამისად იგი არ ხდება,—ეს დამაჯერებლად დამტკიცებულია ახალი კრიტიკული გამოკვლევებით მეთექვს-

მეტე საუკუნეში საქონელთა ფასების მოძრაობის შესახებ[1]. სრულიად შეუფერებელია იუმის მოწაფეების ჩვეულებრივი მითითებანი ფასების გადიდებაზე ანტიკურ რომში — მაკედონიის, ეგვიპტისა და მცირე აზიის დაპყრობის შედეგად. ძველი ქვეყნის დამახასიათებელი მოვლენები: დაგროვილი ფულადი განძის უეცარი და ძალდატანებითი გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ძვირფას ლითონთა წარმოების ხარჯების დროებითი შემცირება ამა თუ იმ ქვეყნისათვის უბრალო მძარცველობითი პროცესის გზით,—ისევე არ ეხება ფულის მიმოქცევის იმნანეტურ კანონებს, როგორც, ვთქვათ, ეგვიპტედან და სიცილიიდან მოტანილი ხორბლის მუქთად დარიგება რომში არ ცვლის იმ საყოველთაო კანონს, რომელიც ხორბლის ფასს აწესრიგებს. ფულის ტრიალის დეტალური შესწავლისათვის საჭირო მასალა, ერთი მხრივ, საქონელთა ფასების უტყუარი ისტორია, მეორე მხრივ, ოფიციალური და მიმდინარე სტატისტიკა მიმოქცევის საშუალებათა გაშლისა და შეკუმშვის შესახებ, ძვირფას ლითონთა მიქცევ-მოქცევის შესახებ და სხვ., მასალა, რომელიც საერთოდ მხოლოდ საბანკო საქმის სრულ განვითარებასთან ერთად ჩნდება,—აკლდა იუმს, ისევე როგორც მეთვრამეტე საუკუნის ყველა სხვა მწერალს. იუმის მიმოქცევის თეორია შემდეგ დებულებებს შეიცავს: 1) საქონელთა ფასები ამა თუ იმ ქვეყანაში განისაზღვრება მასში არსებული ფულის (რეალური ფულის ან სიმბოლურის) მასით; 2) ამა თუ იმ ქვეყნის ფული, რომელიც მიმოქცევაში იმყოფება, ყველა მასში არსებული საქონლის წარმომადგენელია; იმ შეფარდებით, რა შეფარდებითაც წარმომადგენელთა რაოდენობა, ე. ი. ფულის რაოდენობა იზრდება, ყოველ ცალკეულ წარმომადგენელზე მეტი ან ნაკლები წარმოდგენელი ნივთი მოდის; 3) თუ საქონელთა რაოდენობა დიდდება, მათი ფასი ეცემა

---

[1] ამ თანდათანობას, სხვათა შორის, იუმი აღიარებს, თუმცა ეს მის ძირითად დებულებას არ შეესაბამება. იხ. David Hume, «Essays and treatises on several subjects», London 1777, vol. I, გვ. 300.

ანუ ფულის ღირებულება იზრდება. თუ ფულის რაოდენობა დიდდება, მაშინ, პირიქით, საქონელთა ფასი იზრდება, ფულის ღირებულება კი ეცემა[1].

«ყველა ნივთის სიძვირე ფულის სიჭარბის გამო,—ამბობს იუმი,—საზიანოა ყველა არსებული ვაჭრობისათვის, რადგან იგი უფრო ღარიბ ქვეყნებს საშუალებას აძლევს უფრო მდიდრებს აჯობონ ყველა უცხო ბაზარზე»[2]. «თუ განვიხილავთ ამა თუ იმ ერს თავისთავად, არავითარი გავლენა არა აქვს,—არც კარგი, არც ცუდი,—ბევრი თუ ცოტა მონეტა მოიპოვებდა საქონელთა სათვლელად ან წარმოსადგენად, სწორედ ისევე, როგორც რომელიმე ვაჭრის ბალანსი არ შეიცვლება, თუ მან ანგარიშწარმოებაში აღრიცხვის არაბული სისტემის ნაცვლად, რომელიც ნაკლებ ციფრებს მოითხოვს, რომაული იხმარა, რომელიც უფრო მეტ ციფრს საჭიროებს. შეიძლება ითქვას, რომ ფულის უფრო დიდი რაოდენობა, პირიქით, რომაულ საანგარიშო ნიშნებსავით, უხერხულიც კია და მეტ შრომას მოითხოვს როგორც შენახვისათვის, ისე ტრანსპორტისთვისაც»[3]. რათა საერთოდ რაიმე დაემტკიცებინა, იუმს უნდა ეჩვენებინა, რომ საანგარიშო ნიშნების მოცემულ სისტემაში ხმარებული ციფრების რაოდენობა რიცხობრივი მნიშვნელობის სიდიდეზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ, პირიქით, რიცხობრივი მნიშვნელობის სიდიდეა დამოკიდებული ხმარებული ნიშნების რაოდენობაზე. სავსებით სამართლიანია, რომ არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენს საქონელთა ღირებულების შეფასება ანუ «თვლა» ოქროთი ან ვერცხლით, რომელთა ღირებულებაც დაცემულია; ამიტომ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ღირებულების ჯამის ზრდასთან ერთად ხალხებს უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ ვერცხლით თვლა, ვიდრე სპილენძით, და ოქროთი თვლა, ვიდრე ვერცხლით. იმდენად, რამდენადაც ისინი მდიდრდებოდნენ,

---

[1] შეად. Steuart, l. c., t. I, გვ. 394—400.

[2] David Hume, l. c., გვ. 300.

[3] იქვე, გვ. 303.

ნაკლებფასიან ლითონებს დამხმარე მონეტად აქცევდნენ, ხოლო მეტფასიან ლითონებს — ფულად. მეორე მხრივ, იუმს ავიწყდება, რომ ღირებულებათა სათვლელად ვერცხლით და ოქროთი სრულიად არაა საჭირო არც ვერცხლის და არც ოქროს «ნაღდად არსებობა». საანგარიშო ფული და მიმოქცევის საშუალება იუმის მიხედვით ერთიმეორეს ემთხვევა და მისთვის ორივე მონეტას (coin) წარმოადგენს. რადგან ღირებულების ცვლილება ღირებულებათა საზომში ანუ ძვირფას ლითონებში, რომელნიც საანგარიშო ფულის ფუნქციას ასრულებენ, ადიდებს ან ამცირებს საქონელთა ფასებს, მაშასადამე, მიმოქცევაში მყოფი ფულის მასასაც ტრიალის სისწრაფის უცვლელობისას,— ამიტომ აქედან იუმი დაასკვნის, რომ საქონელთა ფასების გადიდება ან შემცირება დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობაზე. რომ მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში არათუ ოქროს და ვერცხლის რაოდენობა გადიდდა, არამედ ამავე დროს მათი წარმოების ხარჯებიც შემცირდა,— ამის დანახვა იუმს იქიდან შეეძლო, რომ ევროპაში მაღაროები დაიხურა. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში საქონელთა ფასები გაიზარდა ევროპაში შემოზიდული ამერიკული ოქროსა და ვერცხლის მასასთან ერთად; მაშასადამე, თვითეული ქვეყნის საქონელთა ფასები მასში არსებული ოქროსა და ვერცხლის მასით განისაზღვრება. ეს იყო იუმის პირველი «აუცილებელი დასკვნა»[1]. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში ფასები არ იზრდებოდა ძვირფას ლითონთა რაოდენობის მატების შესაბამისად; ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო, ვიდრე საქონელთა ფასებში რაიმე ცვლილება იჩენდა თავს, და ამის შემდეგაც კი დიდმა ხანმა განვლო, ვიდრე საქონელთა ყველა საცვლელი ღირებულების შეფასება ოქროს და ვერცხლის დაწეული ღირებულების შესაბამისად მოხდებოდა, ვიდრე, მაშასადამე, რევოლუცია საყოველთაოდ საქონელთა ფასებს მოედებოდა. ამიტომ, დაასკვნის იუმი, — რომელიც, სრულიად წინააღმდეგ თავისი ფილოსოფიის პრინციპების,

[1] David Hume, l. c., გვ. 303.

ცალმხრივად დანაკვირვებ ფაქტებს უკრიტიკოდ ზოგად დებულებებად აქცევს,—საქონელთა ფასი ანუ ფულის ღირებულება განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ფულის არა აბსოლუტური რაოდენობით, არამედ, პირიქით, ოქროს და ვერცხლის იმ რაოდენობით, რომელიც ნამდვილად შედის მიმოქცევაში; მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული მთელი ოქრო და ვერცხლი მონეტის სახით მიმოქცევამ უნდა შთანთქას[1]. ცხადია, რომ თუ ოქროსა და ვერცხლს საკუთარი ღირებულება აქვს, მაშინ,—მიმოქცევის ყველა სხვა კანონისაგან დამოუკიდებლად,—საქონელთა ღირებულების მოცემული ჯამის ეკვივალენტად ოქროს და ვერცხლის მხოლოდ გარკვეულ რაოდენობას შეუძლია მიმოქცევა. მაშასადამე, თუ ოქროსა და ვერცხლის ყოველი რაოდენობა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში შემთხვევით მოიპოვება, უნდა შედიოდეს, საქონელთა ღირებულების ჯამის მიუხედავად, საქონელთა გაცვლის პროცესში როგორც მიმოქცევის საშუალება, მაშინ ოქროს და ვერცხლს არავითარი იმანენტური ღირებულება არ ჰქონია და ფაქტიურად ნამდვილი საქონელი არ ყოფილა. ეს არის იუმის მესამე «აუცილებელი დასკვნა». იგი მიმოქცევის პროცესში უშვებს საქონელს უფასოდ, ხოლო ოქროსა და

---

[1] «ცხადია, ფასები იმდენად დამოკიდებული არაა საქონელთა და ფულის აბსოლუტურ რაოდენობაზე, რომელიც ერს მოეპოვება, რამდენადაც იმ საქონელთა რაოდენობაზე, რომელნიც შეიძლება გატანილ იქნან ბაზარზე, და იმ ფულის რაოდენობაზე, რომელიც მიმოიქცევა. თუ ფული სკივრებშია ჩაკეტილი, მისი გავლენა ფასებზე ისეთივე იქნება, როგორც მაშინ, ის რომ მოსპობილი იყოს. თუ საქონელი მარაგის სახით მაღაზიებსა და საწყობებშია დალაგებული, მაშინაც ასეთივე შედეგი გვექნება. რადგან ფული და საქონელი ასეთ შემთხვევებში ერთიმეორეს არასოდეს არ შეხვდება, ამიტომ მათ არ შეუძლიათ ერთმანეთზე გავლენა იქონიონ. საბოლოო ანგარიშით ფასების საერთო დონე სიზუსტით აღწევს იმ პროპორციას, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ფულის ახალ რაოდენობას შეესაბამება» (l. c., გვ. 303, 307, 308).

ვერცხლს — ულირებულებოდ. ამიტომაც იგი არასოდეს არ ლაპარაკობს საქონლის ღირებულებაზე და ოქროს ღირებულებაზე, არამედ — მხოლოდ მათ ურთიერთრაოდენობაზე. უკვე ლოკმა თქვა, ოქროს და ვერცხლს მხოლოდ წარმოსახვითი ანუ პირობითი ღირებულება აქვთო; ეს დაპირისპირების პირველი ტლანქი ფორმაა მონეტარული სისტემის იმ მტკიცების მიმართ, რომ ნამდვილი ღირებულება მხოლოდ ოქროსა და ვერცხლს აქვთო. ის გარემოება, რომ ოქროსა და ვერცხლის ფულადი მყოფობა წარმოდგება მხოლოდ მათი ფუნქციიდან გაცვლის საზოგადოებრივ პროცესში, ისეა განმარტებული, თითქოს მათ თავიანთი საკუთარი ღირებულება და, მაშასადამე, თავიანთი ღირებულების სიდიდე საზოგადოებრივი ფუნქციის წყალობით ჰქონდეთ[1]. ამრიგად, ოქრო და ვერცხლი ისეთი ნივთებია, რომელთაც არ გააჩნიათ ღირებულება, მაგრამ მიმოქცევის პროცესის შიგნით ისინი ღებულობენ ღირებულების ფიქციურ სიდიდეს როგორც საქონელთა წარმომადგენელნი. ამ პროცესის შემწეობით ისინი ფულად კი არ გარდაიქმნებიან, არამედ — ღირებულებად. მათი ეს ღირებულება განისაზღვრება მათ საკუთარ რაოდენობასა და საქონელთა რაოდენობას შორის არსებული პროპორციით, რადგან ორივე რაოდენობა ერთიმეორეს უნდა ფარავდეს. მაშასადამე, თუ იუმი, ერთი მხრივ, ოქროს და ვერცხლს როგორც არა-საქონელს გზავნის საქონელთა სამყაროში, მეორე მხრივ, პირიქით, როგორც კი ისინი მონეტის ფორმაგანსაზღვრულობით გვევლინებიან, იგი გარდაქმნის მათ უბრალო საქონლად, რომელიც მარტივი გაცვლითი ვაჭრობის გზით სხვა საქონელზე გაიცვლება. საქონელთა სამყარო რომ მარტო ერთადერთი საქონლისგან შედგებოდეს, მაგალითად, ერთი მილიონი კვარტერი ხორბლისაგან, მაშინ სულ ადვილი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ერთი

---

[1] მარქსის შენიშვნა წიგნის საკუთარ ეგზემპლარზე: «იხ. ლო და ფრანქლინი დამატებითი ღირებულების შესახებ, რომელსაც ოქრო და ვერცხლი ღებულობს იმის გამო, რომ ისინი ფულის ფუნქციას ასრულებენ; აგრეთვე ფორბონე». რედ.

კვარტერი ორ უნც ოქროზე გაიცვლება, თუ სულ 2 მილიონი უნცი ოქრო გვექნება, და 20 უნც ოქროზე გაიცვლება, თუ სულ 20 მილიონი უნცი ოქრო გვექნება; რომ, მაშასადამე, საქონლის ფასი და ფულის ღირებულება აიწევს ან დაიწევს შებრუნებული პროპორციით ფულის ნაღდად არსებული რაოდენობისადმი[1]. მაგრამ საქონელთა სამყარო უსასრულოდ სხვადასხვა სახმარ ღირებულებათაგან შედგება, რომელთა შეფარდებითი ღირებულება სრულიადაც არ განისაზღვრება მათი შეფარდებითი რაოდენობით. მაშ როგორღა აქვს წარმოდგენილი იუმს ეს გაცვლა საქონელთა მასასა და ოქროს მასას შორის? იგი კმაყოფილდება იმ უაზრო-ბუნდოვანი წარმოდგენით, რომ თვითეული საქონელი, როგორც საქონელთა ერთობლივი მასის ნაწილი, ოქროს მასის შესაბამის ნაწილზე გაიცვლება. პროცესის სახით მიმდინარე საქონელთა მოძრაობა, რომელიც მათში მოქცეული საცვლელი ღირებულებისა და სახმარი ღირებულების წინააღმდეგობიდან წარმოიშვება, მოძრაობა, რომელიც ფულის ტრიალში ვლინდება და ფულის სხვადასხვა ფორმაგანსაზღვრულობაში კრისტალდება, გამქრალია, მაშასადამე, და მის ადგილს იკავებს წარმოსახვითი მექანიკური განტოლება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ძვირფას ლითონთა წონითს მასასა და იმავდროულად არსებულ საქონელთა მასას შორის.

სერ ჯემს სტიუარტი თავის გამოკვლევას მონეტისა და ფულის შესახებ იუმისა და მონტესკიეს დაწვრილებითი კრიტიკით იწყებს[2]. იგი, მართლაც, პირველია, რომელიც აყენებს კითხვას: მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობას საქონლის ფასები განსაზღვრავს, თუ საქონლის ფასები განისაზღვრება მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობით? თუმცა მისი გადმოცემა გაბუნდოვანებულია ფანტასტიკური შეხედულებით ღირებულებათა საზომის შესახებ, გაურკვეველი

---

[1] მარქსის შენიშვნა მის საკუთარ ეგზემპლარზე: «ეს ფიქცია სიტყვა-სიტყვით გვხვდება მონტესკიეს ნაწარმოებში». რედ.

[2] Steuart, l. c., t. I, გვ. 394 seq.

წარმოდგენით საცვლელი ღირებულების შესახებ საერთოდ და მერკანტილური სისტემის გადმონაშთებით, მაგრამ იგი მაინც აღმოაჩენს ფულის ფორმათა არსებითს განსაზღვრულობათ და ფულის ტრიალის საყოველთაო კანონებს, რადგან იგი მექანიკურად როდი ათავსებს ერთ მხარეზე საქონელს და მეორე მხარეზე ფულს, არამედ ნამდვილად ავითარებს ფულის სხვადასხვა ფუნქციას თვით საქონელთა გაცვლის სხვადასხვა მომენტიდან. «ფულის ხმარება შინაგანი მიმოქცევისათვის შეიძლება ორი ძირითადი პუნქტით გამოვსახოთ: გადახდა იმისა, რაც ვინმეს მართებს, ყიდვა იმისა, რაც ვინმეს ესაჭიროება; ორივე ეს პუნქტი, ერთად აღებული, შეადგენს ნაღდი ფულის მოთხოვნას (ready money demands)... ვაჭრობისა და მანუფაქტურის მდგომარეობა, ცხოვრების წესი და მცხოვრებთა ჩვეულებრივი ხარჯები—ყოველივე ეს, ერთად აღებული, აწესრიგებს და განსაზღვრავს ნაღდი ფულის მოთხოვნის ოდენობას, ე. ი. გასხვისებათა მასას. იმისათვის, რომ ეს მრავალნაირი გადასახდელი გახორციელდეს, საჭიროა ფულის გარკვეული პროპორცია. ეს პროპორცია თავის მხრივ, შეიძლება მატულობდეს ან კლებულობდეს, გარემოებისდა მიხედვით, თუმცა გასხვისების რაოდენობა უცვლელი რჩება... ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ ქვეყნის მიმოქცევას ფულის მხოლოდ გარკვეული რაოდენობის შთანთქმა შეუძლია»[1]. «საქონლის საბაზრო ფასი განისაზღვრება მოთხოვნისა და კონკურენციის (demand and competition) დახლართული ოპერაციით; ეს მოთხოვნა და კონკურენცია სრულიად არაა დამოკიდებული ოქროსა და ვერცხლის იმ მასაზე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მოიპოვება. რას უშვრებიან იმ ოქროსა და ვერცხლს, რომელიც არ გამოიყენება მონეტის სახით? მა ი განძად დააგროვებენ ან ფუფუნების საგნებად გადაამუშავებენ. თუ ოქროსა და ვერცხლის მასა მიმოქცევისთვის საჭირო დონეზე დაბლა დაიწევს, მაშინ მათ სიმბოლური ფულით ან სხვა დამხმარე საშუალებებით შეცვლიან. თუ ხელსაყ-

[1] Steuart, l. c., t. II, გვ. 377—399, passim.

რელ სათამასუქო კურსს ნაჭარბი ფული მოაქვს ქვეყნის შიგნით და იმავე დროს მისი უცხოეთში გაგზავნის მოთხოვნას სპობს, მაშინ ფული ხშირად სკივრებში მოთავსდება, სადაც ისევე უსარგებლო ხდება, როგორც მაღაროებში რომ დებულიყო»[1]. სტიუარტის მიერ აღმოჩენილი მეორე კანონი ის არის, რომ კრედიტზე დაფუძნებული მიმოქცევა თავის ამოსავალ პუნქტს უბრუნდება. დასასრულ, იგი არკვევს, თუ რა ზეგავლენას ახდენს პროცენტის ნორმის სხვაობა სხვადასხვა ქვეყანაში ძვირფასი ლითონების საერთაშორისო მიქცევასა და მოქცევაზე. ორივე უკანასკნელ პუნქტს ჩვენ აქ მხოლოდ სისრულისათვის აღვნიშნავთ, რადგან ისინი დაშორებულია ჩვენს თემას, რომელიც მარტივ მიმოქცევას შეეხება[2]. სიმბოლურ ფულს ან საკრედიტო ფულს — სტიუარტი ჯერ კი-

---

[1] l. c., გვ. 379—380, passim.

[2] «დამატებით მონეტებს გადამალავენ ანდა ჭურჭლეულად აქცევენ... ჭაღალდის ფული, მას შემდეგ, რაც მან თავისი პირველი მიზანი შეასრულა, ე. ი. დააკმაყოფილა მოთხოვნა იმისი, ვინც იგი ვალად აიღო, დაუბრუნდება მოვალეს და რეალიზებული იქნება... მაშასადამე, რაგინდ დიდი პროპორციით გამრავლდეს ან შემცირდეს ამა თუ იმ ქვეყანაში ნაღდი ფული, საქონელი გაძვირდება ან გაიაფდება მოთხოვნისა და კონკურენციის პრინციპების შესაბამისად, ხოლო ეს უკანასკნელნი ყოველთვის დამოკიდებული იქნება იმათ სურვილზე, რომელთაც აქვთ საკუთრება ან რაიმე ეკვივალენტი ყიდვისათვის, მაგრამ არასოდეს—მონეტის რაოდენობაზე, რომელსაც ეს პირნი ფლობენ... რაგინდ მცირე იყოს ნაღდი ფულის რაოდენობა ამა თუ იმ ქვეყანაში, უკეთუ მასში მოიპოვება ამა თუ იმ სახის რეალური საკუთრება და ამ საკუთრების მფლობელთა მისწრაფება მისი მოხმარებისადმი,—ფასები მაღალ დონეზე დარჩება საქონელგაცვლის, სიმბოლური ფულის, თამასუქებისა და ა თ ა ს ი სხვა გამოგონების შემწეობით... თუ ამ ქვეყანას სხვა ერებთან კავშირურთიერთობა აქვს, მაშინ უნდა არსებობდეს გარკვეული პროპორცია მრავალგვარ საქონელთა ფასებს შორის ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, და ნაღდი ფულის უეცარი გადიდება ან შემცირება,—თუ ვიგულისხმებთ, რომ ამას თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ შეეძლო გამოეწვია ფასების აწევა ან დაწევა,—შ ე კ ა ვ ე ბ უ ლ ი იქნებოდა თავის მოქმედებაში უცხოეთის კონკურენციით» (l. c., t. I, გვ. 400—402). «თვითეულ ქვეყანაში მიმოქცევა უნდა იყოს იმ მცხოვრებთა ბრეწველობის პროპორციული, რომელნიც ბაზარზე გასატან საქონელს აწარმოებენ... ამიტომ, თუ მონეტების რაოდენობა რომელიმე ქვეყანაში ვერ

დევ არ განასხვავებს ფულის ამ ორ ფორმას — შეუძლია შეცვალოს ძვირფასი ლითონები როგორც ყიდვის საშუალება ან გადახდის საშუალება შინაგან მიმოქცევაში, მაგრამ არა მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ ქაღალდის ფული ამა თუ იმ საზოგადოების ფულია (money of the society), მაშინ როდესაც ოქრო და ვერცხლი მთელი მსოფლიოს ფულია (money of the world)[1].

«ისტორიული» განვითარების მქონე ერების, როგორც ეს ისტორიული სამართლის სკოლას ესმის, დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ისინი ყოველთვის ივიწყებენ თავიანთ საკუთარ ისტორიას. ამიტომ, თუმცა საკაშათო საკითხი საქონელთა ფასებსა და მიმოქცევის საშუალებათა რაოდე-

---

აღწევს იმ პროპორციას, რომელიც შეესაბამება გასაყიდად გამოტანილ სამრეწველო ნაწარმთა ფასებს, მაშინ ადგილი ექნება ისეთ გამოგონებებს, როგორიცაა, მაგალითად, სიმბოლური ფული, რომელიც უზრუნველყოფს ამ ნაწარმთათვის ეკვივალენტს. მაგრამ თუ ნაღდი ფული პროპორციულად გადააჭარბებს მრეწველობის მოცულობას, იგი არ გამოიწვევს ფასების აწევას და არც შეევა მიმოქცევაში: იგი განძად დაგროვდება... როგორიც უნდა იყოს ამა თუ იმ ერის ფულის რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით, მიმოქცევაში შეიძლება მუდამ მხოლოდ ის რაოდენობა დარჩეს, რომელიც დაახლოებით პროპორციულია მდიდარ მცხოვრებთა მოხმარებისა და ღარიბ მცხოვრებთა შრომისა», ხოლო ეს პროპორცია არ განისაზღვრება «იმ ფულის რაოდენობით», რომელიც ფაქტიურად ამ ქვეყანას მოეპოვება» (l. c., გვ. 403—408, passim). «ყველა ერს ექნება მისწრაფება თავისი თავისუფალი ფული, რომელიც მისი საკუთარი მიმოქცევისათვის აუცილებელი არაა, გადაისროლოს იმ ქვეყანაში, სადაც ფულის პროცენტი უფრო დიდია, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში» (l. c., t. II, გვ. 5). «ყველაზე მდიდარი ნაცია ევროპაში შეიძლება ყველაზე ღარიბი იყოს მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის მხრივ» (l. c., t. II, გვ. 6). (იხ. არტურ იუნგის პოლემიკა სტიუარტის წინააღმდეგ.) [უკანასკნელი ფრაზა მრგვალ ფრჩხილებში მარქსის შენიშვნაა წიგნის საკუთარ ეგზემპლარზე.]

[1] Steuart, l. c., t. II, გვ. 370. ლუი ბლანი ამ «money of the society»-ს, რაც მხოლოდ შინაგან, ნაციონალურ ფულს ნიშნავს და სხვას არაფერს, სოციალისტურ ფულად აქცევს, რაც სრულიად არაფერს ნიშნავს, და სავსებით თანამიმდევრულად ჯონს ლოს სოციალისტად ხდის (იხ. მისი «საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის» პირველი ტომი).

ნობას შორის არსებული შეფარდების შესახებ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ აღელვებდა პარლამენტს და ამ საკითხმა ინგლისში ათასობით, დიდი და პატარა, პამფლეტები გამოიწვია,—სტიუარტი «მკვდარ ძაღლად» რჩებოდა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე სპინოზა ეჩვენებოდა მოსე მენდელსონს ლესინგის ეპოქაში. «ფულის მიმოქცევის» («currency») უახლოესი ისტორიკოსიც კი, მაკლარენი, ადამ სმიტს ხდის სტიუარტის თეორიის გამომგონებლად, როგორც რიკარდოს — იუმის თეორიის გამომგონებლად[1]. მაგრამ მაშინ როდესაც რიკარდომ იუმის თეორია განავითარა, ადამ სმიტი მხოლოდ აღნიშნავს სტიუარტის გამოკვლევათა შედეგებს როგორც მკვდარ ფაქტებს. ადამ სმიტმა თავისი ბრძნული შოტლანდიური ანდაზა — «თუ ცოტა შეიძინე, შემდეგ ხშირად ადვილია ბევრის შეძენა, მაგრამ სიძნელე ცოტას შეძენაშია» — გამოიყენა გონებრივი სიმდიდრის მიმართაც და ამიტომ წვრილმანური მზრუნველობით დამალა წყაროები, რომელთაც უნდა უმადლოდეს იგი იმ ცოტას, რომლითაც თვითონ მართლა ბევრს აკეთებს. ხშირადაა, რომ იგი ამჯობინებს საკითხს მახვილი წვერი დაუბლაგვოს იქ, სადაც მკვეთრი ფორმულირება მას აიძულებდა ანგარიში გაესწორებინა თავის წინამორბედებთან. ასე იქცევა იგი ფულის თეორიის მიმართ. იგი უსიტყვოდ იღებს სტიუარტის თეორიას, როცა მოგვითხრობს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ოქრო და ვერცხლი ნაწილობრივ მონეტად გარდაიქმნება, ნაწილობრივ დაგროვდება სარეზერვო ფონდად ვაჭრებისათვის — იმ ქვეყნებში, სადაც ბანკები არ არსებობს — და საბანკო რეზერვად — იმ ქვეყნებში, სადაც საკრედიტო მიმოქცევა არსებობს,—ნაწილობრივ

---

[1] Maclaren, l. c., გვ. 43 seq. პატრიოტიზმით გატაცების გამო იყო რომ ერთმა უდროოდ გარდაცვლილმა გერმანელმა მწერალმა (გუსტავ იულიუსმა) მოხუცი ბიუში ავტორიტეტის სახით რიკარდოს სკოლას დაუპირისპირა. დიდად პატივცემულმა ბიუშმა სტიუარტის გენიალური ინგლისური ენა ულაზათო ჰამბურგულ დიალექტზე თარგმნა და რაც კი შეეძლო ამახინჯებდა ორიგინალს თავისი ვითომდა შესწორებებით.

განძად გამოიყენება საერთაშორისო გადასახდელთა გასაწონასწორებლად, ნაწილობრივაც ფუფუნების საგნებად გადამუშავდება. საკითხს მიმოქცევაში მყოფი მონეტის რაოდენობის შესახებ იგი დუმილით იშორებს თავიდან, როდესაც ფულს სრულიად მცდარად განიხილავს როგორც უბრალო საქონელს[1]. მისმა ვულგარიზატორმა, უგვანო ჟ. ბ. ს ე ი მ, — რომელიც ფრანგებმა მეცნიერების თავადად (prince de la science) გამოაცხადეს, ისე როგორც იოჰან კრისტოფ გოტშედმა თავისი შოენაიხი ჰომერად, ხოლო პიეტრო არეტინომ თვით თავის თავი «terror principum» და «lux mundi»-ად გამოაცხადა,—ადამ სმიტის ეს არა სულ მთლად გულუბრყვილო შეცდომა დიდი მედიდურობით დოგმად მონათლა[2]. სხვათა შორის მწვავე პოლემიკა მერკანტილური სისტემის ილუზიების წინააღმდეგ ხელს უშლიდა ადამ სმიტს ობიექტურად გაეგო ლითონური მიმოქცევის მოვლენები, მაშინ როდესაც მისი შეხედულებანი საკრედიტო ფულზე ორიგინალური და ღრმაა. როგორც მეთვრამეტე საუკუნის გაქვავებულობათა თეორიებში მუდამ თავს იჩენს ფარული მიმდინარეობა, რომელსაც დასაბამს აძლევს ის, რომ მსოფლიო წარღვნის ბიბლიური ტრადიცია კრიტიკულად ან აპოლოგეტიკურადაა მხედველობაში მიღებული, ასევე მეთვრამეტე საუკუნის ფულის ყველა თეორიის უკან იმალება იდუმალი ბრძოლა მონეტარული სისტემის წინააღმდეგ,—იმ აჩრდილის წინააღ-

---

[1] მარქსის შენიშვნა წიგნის საკუთარ ეგზემპლარზე. «ეს არაა ზუსტად თქმული. პირიქით, ადამ სმიტი რამდენიმე ადგილას სწორად გამოთქვამს კანონს». რ ე დ.

[2] ამიტომ განსხვავება «currency»-სა და «money»-ს შორის, ე. ი. მიმოქცევის საშუალებასა და ფულს შორის, აღნიშნული არაა «Wealth of nations»-ში [«ხალხთა სიმდიდრე»]. ადამ სმიტის, — რომელიც თავის იუმს და სტიუარტს ზედმიწევნით იცნობდა,—მოჩვენებითი მიუდგომლობით შეცდომაში შეყვანილი პატიოსანი მაკლარენი შენიშნავს: «თეორია, რომლის მიხედვით ფასები დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ფულის ნიშნების რაოდენობაზე, დღემდე არ იქცევდა ყურადღებას; და დ—რ სმიტი, მ—რ ლოკის მსგავსად» (ლოკი მერყეობს თავის შეხედულებებში), «ლითონის ფულში მხოლოდ საქონელს ხედავს» (M a c l a r e n, l. c., გვ. 44).

მდეგ, რომელიც ბურჟუაზიული ეკონომიის ჯვნის საგუშაგოზე იდგა და ჯერ კიდევ ჰფენდა თავის ჩრდილს კანონმდებლობას.

ფულის რაობის გამოკვლევა მეცხრამეტე საუკუნეში უშუალოდ გამოწვეული იყო არა ლითონური მიმოქცევის მოვლენებით, არამედ, პირიქით, ბანკნოტების მიმოქცევის მოვლენებით. პირველთ მხოლოდ იმ მიზნით მიმართავდნენ, რომ მეორეთა კანონები აღმოეჩინათ. ბანკნოტების განაღდების შეწყვეტა 1797 წლიდან ინგლისის ბანკის მიერ, მრავალი საქონლის ფასების აწევა, რასაც შემდეგში ადგილი ჰქონდა, ოქროს მონეტური ფასის დაცემა მის საბაზრო ფასზე დაბლა, ბანკნოტების გაუფასურება, განსაკუთრებით 1809 წლიდან,—ყოველივე ეს უშუალოდ პრაქტიკულ საბაბს წარმოადგენდა პარტიული ბრძოლისათვის პარლამენტში და თეორიული პაექრობისთვის მის გარეთ; ერთიც და მეორეც თანაბრად მწვავე ხასიათს ატარებდა. ამ დებატების ისტორიულ ფონს შეადგენდა: ქაღალდის ფულის ისტორია მეთვრამეტე საუკუნეში, ლოს ბანკის გაკოტრება, ღირებულების ნიშნების რაოდენობის ზრდასთან ერთად პარალელურად მიმდინარე გაუფასურება პროვინციული ბანკნოტებისა ინგლისის ჩრდილო-ამერიკულ კოლონიებში მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან იმავე საუკუნის შუა ხანამდე; შემდეგ, მოგვიანებით, — ქაღალდის ფული (continental bills), რომელიც ამერიკის ცენტრალურმა მთავრობამ კანონმდებლობითი გზით სავალდებულოდ შემოიღო დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის დროს, და, დასასრულ, ფრანგული ასიგნატების ექსპერიმენტი, რომელიც კიდევ უფრო დიდი მასშტაბით ჩატარდა. მაშინდელი დროის ინგლისელ მწერალთა უმრავლესობა ბანკნოტების მიმოქცევას, რომელიც სრულიად სხვა კანონების მიხედვით განისაზღვრება, ურევს ღირებულების ნიშნების, ანუ იძულებითი კურსით აღჭურვილი სახელმწიფო ქაღალდის ფულის მიმოქცევაში; ისინი აცხადებენ, რომ ამ იძულებითი მიმოქცევის მოვლენებს ლითონური მიმოქცევის კანონებით გვიხსნიან, სინამდვილეში

კი, პირიქით, ამ უკანასკნელის კანონები მათ პირველის მოვლენებიდან გამოჰყავთ. ჩვენ გამოვტოვებთ 1800 — 1809 წლების პერიოდის მრავალ მწერალს და პირდაპირ რიკარდოს მივმართავთ, არა მარტო იმიტომ, რომ იგი თავის წინამორბედთა შეხედულებებს აჯამებს და ამ შეხედულებებს უფრო მკვეთრ ფორმულირებას აძლევს, არამედ იმიტომაც, რომ ფულის თეორია იმ სახით, რა სახეც მან მას მისცა, დღემდე გაბატონებულია ინგლისის საბანკო კანონმდებლობაში. რიკარდოც, ისევე როგორც მისი წინამორბედებიც, ბანკნოტების ანუ საკრედიტო ფულის მიმოქცევას და ღირებულების უბრალო ნიშნების მიმოქცევას ერთმანეთში ურევს. მისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტია ქაღალდის ფულის გაუფასურება და საქონელთა ფასების იმავდროული ზრდა. რაც იუმისათვის ამერიკის მადნები იყო, იგივეა რიკარდოსთვის ქაღალდის ფულის საბეჭდი დაზგები Threadneedle street-ში, და ერთ ადგილას იგი თვითონვე გარკვევით აიგივებს ორივე ფაქტორს. მისი პირველი ნაწერები, რომელნიც მხოლოდ ფულის საკითხს არკვევენ, იმ პერიოდს ეკუთვნიან, როდესაც სასტიკი პოლემიკა იყო გაჩაღებული ინგლისის ბანკსა, რომლის მხარეზეც მინისტრები და სამხედრო პარტია იდგნენ, და მის მოწინააღმდეგეებს შორის, რომელთა ირგვლივ თავს იყრიდა პარლამენტური ოპოზიცია, ვიგები და მშვიდობის მომხრე პარტია. ეს ნაწერები პირდაპირ წინამორბედი იყო 1810 წლის საზოდო კომიტეტის ცნობილი მოხსენებისა, რომელშიც მიღებულ იქნა რიკარდოს შეხედულებანი[1]. ის უცნაური გარემოება, რომ რიკარდო და მისი მომხრეები, რომელნიც ფულს ღირებულების უბრალო ნიშნად აცხადებენ, «ბულიონისტებად» (ოქროს ზოდის მომხრეებად) იწოდებიან, აიხსნება არა მარტო ამ კომიტეტის სახელწოდებით, არამედ თვით რიკარდოს მოძღვრების

[1] David Ricardo: «The high price of bullion a proof of the depreciation of banknotes», 4 edition, London 1811 (პირველი გამოცემა გამოვიდა 1809 წელს). შემდეგ: «Reply to Mr. Bosanquets practical observations on the report of the bullion committee», London 1811.

შინაარსითაც. თავის ნაწარმოებში პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე რიკარდომ გაიმეორა და შემდგომ განავითარა იგივე შეხედულებანი, მაგრამ მას არსად არ გამოუკვლევია ფულის რაობა თავისთავად, როგორც ეს მან გააკეთა საცვლელი ღირებულების, მოგების, რენტისა და სხვ. მიმართ.

რიკარდო უწინარეს ყოვლისა ოქროს და ვერცხლის ღირებულებას, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულებას, იმ სამუშაო დროით განსაზღვრავს, რომელიც მათშია გასაგნობრივებული[1]. ოქროსა და ვერცხლის, როგორც გარკვეული ღირებულების მქონე საქონლის, საშუალებით გაიზომება ყველა სხვა საქონლის ღირებულება[2]. მაშასადამე, მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობა ამა თუ იმ ქვეყანაში განისაზღვრება ფულის საზომი ერთეულის ღირებულებით, ერთი მხრივ, და საქონელთა საცვლელი ღირებულების ჯამით, მეორე მხრივ. ეს რაოდენობა ცვლილებას განიცდის იმ ეკონომიის გამო, რომელსაც ადგილი აქვს გადახდის წესებში[3]. ამრიგად, რადგან ის რაოდენობა, რა რაოდენობითაც გარკვეული ღირებულების ფულს შეუძლია მიმოქცევა, განსაზღვრულ ოდენობას შეადგენს და ფულის ღირებულება მიმო-

---

[1] David Ricardo: «On the principles of political economy etc.» გვ. 77: «ძვირფას ლითონთა ღირებულება, როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, დამოკიდებულია საბოლოოდ შრომის ერთობლივ რაოდენობაზე, რომელიც აუცილებელია მათ მოსაპოვებლად და ბაზარზე გასატანად».

[2] L. c., გვ. 77, 180, 181.

[3] Ricardo, l. c., გვ. 421: «ფულის რაოდენობა, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანაში გამოყენებულ იქნას, დამოკიდებულია მის ღირებულებაზე. თუ მიმოქცევაში მარტო ოქრო იქნებოდა, თხუთმეტჯერ ნაკლები რაოდენობა დაგვჭირდებოდა, ვიდრე მაშინ, თუ მარტო ვერცხლის გამოყენებას ექნებოდა ადგილი». იხ. აგრეთვე Ricardo, Proposals for an economical and secure currency, London 1816, გვ. 17, 18, სადაც იგი ამბობს: «მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტების რაოდენობა დამოკიდებულია იმ თანხაზე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის მიმოქცევისთვის აუცილებელია, ხოლო ეს თანხა წესრიგდება ფულის საზომი ერთეულის ღირებულებით, გადასახდელთა ჯამით და ეკონომიით მათ რეალიზაციაში»

ქცევის სფეროში მხოლოდ მის რაოდენობაში ვლინდება, ამიტომ ფულის ღირებულების უბრალო ნიშნებს, თუ ისინი გამოშვებულია ფულის ღირებულებით განსაზღვრული პროპორციით, შეუძლიათ ფულის მაგივრობა გასწიონ მიმოქცევაში; და მართლაც, «მიმოქცევაში მყოფი ფული ყველაზე სრულყოფილ მდგომარეობაში მაშინაა, როდესაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ქაღალდის ფულისაგან შედგება, რომელსაც იგივე ღირებულება აქვს, რაც ოქროს, რომლის წარმომადგენელიც იგი უნდა იყოს»[1]. მაშასადამე, აქამდე რიკარდო, რომელიც ფულის ღირებულებას მოცემულად გულისხმობს, მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობას განსაზღვრავს საქონელთა ფასებით, და ფული, როგორც ღირებულების ნიშანი, მისთვის ნიშნავს ოქროს განსაზღვრული რაოდენობის ნიშანს და არა, როგორც იუმისთვის, საქონელთა ისეთ წარმომადგენელს, რომელიც მოკლებულია ღირებულებას.

იქ, სადაც რიკარდო თავის აზრთა გადმოცემის სწორ გზას ერთბაშად უხვევს და საპირისპირო შეხედულებას ადგება, იგი მაშინვე ძვირფას ლითონთა საერთაშორისო მიმოქცევას მიმართავს და ასე ხლართავს პრობლემას მასში უცხო თვალსაზრისის შეტანით. გავყვეთ მისი აზრების შინაგან განვითარებას, გვერდზე გადავდოთ ყველა ხელოვნური, შემთხვევითი გარემოება და ამიტომ ოქროს და ვერცხლის მადნები იმ ქვეყნებში გადავიტანოთ, სადაც ძვირფასი ლითონები ფულის სახით მიმოიქცევა. ერთადერთი დებულება, რომელიც რიკარდოს აქამდელი მსჯელობიდან გამომდინარეობს, ის არის, რომ, თუ ოქროს ღირებულება მოცემულია, მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა განსაზღვრულია საქონელთა ფასებით. მაშასადამე, მოცემულ მომენტში იმ ოქროს მასა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მიმოიქცევა, განისაზღვრება უბრალოდ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა საცვლელი ღირებულებით. ვიგულისხმოთ, რომ ამ საცვლელ

---

[1] Ricardo: «Principles of political economy», გვ. 432, 433.

ღირებულებათა ჯამი კლებულობს, ან იმიტომ, რომ ძველი საცვლელი ღირებულების მიხედვით ნაკლები საქონელი იწარმოება, ანდა იმიტომ, რომ, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების გამო, საქონელთა იმავე მასას ნაკლები საცვლელი ღირებულება აქვს. ან ვიგულისხმოთ, პირიქით, რომ საცვლელ ღირებულებათა ჯამი მატულობს, იმიტომ რომ საქონელთა მასა, წარმოების ხარჯების უცვლელობისას, დიდდება, ანდა იმიტომ, რომ ღირებულება — იქნება იგი საქონელთა იმავე მასის ღირებულება თუ შემცირებული მასის ღირებულება, — შრომის მწარმოებლური ძალის შემცირების გამო, იზრდება. რა მოუვა ორივე შემთხვევაში მიმოქცევაში მყოფი ლითონის მოცემულ რაოდენობას? თუ ოქრო ფულია მხოლოდ იმიტომ, რომ ტრიალშია როგორც მიმოქცევის საშუალება, თუ იგი იძულებულია მუდამ მიმოქცევაში დარჩეს, როგორც სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ქაღალდის ფული, რომელიც იძულებითი კურსით არის აღჭურვილი (რიკარდოს კი ეს აქვს მხედველობაში), მაშინ მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა პირველ შემთხვევაში მოჭარბებული იქნება ლითონის საცვლელ ღირებულებასთან შეფარდებით; მეორე შემთხვევაში იგი თავის ნორმალურ დონეზე დაბლა იქნებოდა. ამიტომ, თუმცა ოქრო საკუთარი ღირებულებითაა აღჭურვილი, პირველ შემთხვევაში იგი გადაიქცევა თავის საკუთარ ღირებულებაზე უფრო დაბალი საცვლელი ღირებულების მქონე ლითონის ნიშნად, მეორე შემთხვევაში კი — უფრო მაღალი ღირებულების ლითონის ნიშნად. პირველ შემთხვევაში ოქრო როგორც ღირებულების ნიშანი თავის ნამდვილ ღირებულებაზე დაბლა, მეორე შემთხვევაში თავის ნამდვილ ღირებულებაზე მაღლა იქნება (კვლავ აბსტრაქციაა იძულებითი კურსის მქონე ქაღალდის ფულიდან). პირველ შემთხვევაში იგივე იქნებოდა, თითქოს ყველა საქონელი შეფასებული ყოფილიყო ოქროზე უფრო დაბალი ღირებულების ლითონით, მეორე შემთხვევაში — უფრო მაღალი ღირებულების ლითონით. ამიტომ პირველ შემთხვევაში საქონელთა ფასები აიწევდა, მეორე შემთხვევაში კი დაიწევდა.

ორსავე შემთხვევაში საქონელთა ფასების მოძრაობა, მათი აწევა და დაწევა, შედეგი იქნებოდა მიმოქცევაში მყოფი ოქროს მასის განვრცობისა ან შეკუმშვისა იმ დონეზე მეტად ან ნაკლებად, რომელიც მის საკუთარ ღირებულებას შეესაბამება, ე. ი. იმ ნორმალურ რაოდენობაზე მეტად ან ნაკლებად, რომელიც განისაზღვრება მის საკუთარ ღირებულებასა და მიმოქცევაში გასაშვებ საქონელთა ღირებულებას შორის არსებული შეფარდებით.

იმავე პროცესს ექნებოდა ადგილი, თუ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასების ჯამი უცვლელი დარჩებოდა, მაგრამ მიმოქცევაში მყოფი ოქროს მასა სწორ დონეზე ნაკლები ან მეტი იქნებოდა: პირველი — იმ შემთხვევაში, თუ მიმოქცევაში გაცვეთილ ოქროს მონეტას მადნების ახალი შესაბამისი წარმოება არ შეენაცვლებოდა, მეორე — იმ შემთხვევაში, თუ მადნებიდან ლითონის ახალი მოზიდვა მიმოქცევის მოთხოვნას გადააჭარბებდა. ორივე შემთხვევაში ნაგულისხმევია, რომ ოქროს წარმოების ხარჯები ანუ მისი ღირებულება უცვლელი რჩება.

დავასკვნით: მიმოქცევაში მყოფი ფული თავის ნორმალურ დონეზე იმყოფება, თუ მისი რაოდენობა, — როცა საქონელთა ღირებულება მოცემულია, — მისი საკუთარი ლითონური ღირებულებითაა განსაზღვრული. ფული ამ დონეზე მაღლა ადის, ოქრო თავის საკუთარ ლითონურ ღირებულებაზე დაბლა იწევს და საქონელთა ფასები მაღლა იწევს, იმიტომ რომ საქონელთა მასის საცვლელი ღირებულების ჯამი მცირდება ანდა მადნებიდან ოქროს მოზიდვა იზრდება. ფული თავის ნორმალურ დონეზე დაბლა იწევს, ოქრო თავის საკუთარ ლითონურ ღირებულებაზე მაღლა იწევს და საქონელთა ფასები დაბლა იწევს, იმიტომ რომ საქონელთა მასის საცვლელი ღირებულების ჯამი დიდდება ანდა მადნებიდან ოქროს მოზიდვა საკმარისი არაა გაცვეთილი ოქროს მასის შესანაცვლებლად. ორივე შემთხვევაში ოქრო, რომელიც მიმოიქცევა, ღირებულების ნიშანია, თანაც უფრო მეტი ან ნაკლები ღირებულებისა, იმასთან შედარებით, რასაც

იგი ნამდვილად შეიცავს. იგი შეიძლება თავისივე თავის ჭარბად შეფასებულ ან ნაკლებად შეფასებულ ნიშნად იქცეს. როგორც კი ყველა საქონელი საყოველთაოდ ფულის ამ ახალი ღირებულებით შეფასდებოდა და საქონელთა საყოველთაო ფასები შესაბამისად აიწევდა ან დაიწევდა, მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობა კვლავ მიმოქცევის მოთხოვნილებათა შესაბამისი გახდებოდა (ეს არის დასკვნა, რომელსაც რიკარდო განსაკუთრებული სიამოვნებით ხაზს უსვამს), მაგრამ ეს რაოდენობა წინააღმდეგობაში იქნებოდა ძვირფას ლითონთა წარმოების ხარჯებთან და, მაშასადამე, ამ ლითონების, როგორც საქონლის, შეფარდებასთან სხვა დანარჩენ საქონელთან. თანახმად რიკარდოს თეორიისა საერთოდ საცვლელი ღირებულების შესახებ, ოქროს ღირებულების აწევა მის საცვლელ ღირებულებაზე მაღლა, ე. ი. იმ ღირებულებაზე მაღლა, რომელიც მასში მოქცეული სამუშაო დროით განისაზღვრება, გამოიწვევდა ოქროს წარმოების გადიდებას, რაც მანამდე გაგრძელდებოდა, ვიდრე მისი გადიდებული მოზიდვა მას კვლავ მისი ღირებულების ნორმალურ სიდიდეზე არ დაიყვანდა. პირიქით, ოქროს დაწევა მის ღირებულებაზე დაბლა გამოიწვევდა მისი წარმოების შემცირებას, რაც მანამდე გაგრძელდებოდა, ვიდრე იგი თავისი ღირებულების ნორმალურ სიდიდემდე არ აიწევდა. ამ დაპირისპირებულ მოძრაობათა მეოხებით წინააღმდეგობა ოქროს ლითონურ ღირებულებასა და მის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ღირებულებას შორის გადაწყდებოდა, მიმოქცევაში მყოფი ოქროს მასის ნორმალური დონე აღდგენილი შეიქნებოდა და საქონელთა ფასების დონეც კვლავ ღირებულების საზომის შესაბამისი გახდებოდა. მიმოქცევაში მყოფი ოქროს ღირებულების ეს რყევა ამდენადვე გავრცელდებოდა ზოდის ფორმით არსებულ ოქროზეც, რადგან, ვარაუდის თანახმად, მთელი ის ოქრო, რომელიც კი ფუფუნების საგნების სახით არ მოიხმარება, მიმოქცევაში იმყოფება. რადგან თვით ოქრო, სულ ერთია, იქნება იგი მონეტის ფორმით, თუ ზოდის ფორმით, შესაძლოა ღირებუ-

ლების ისეთ ნიშნად იქცეს, რომელსაც უფრო მეტი ან ნაკლები ლითონური ღირებულება ექნება, ვიდრე თვითონ ოქროს აქვს, — ამიტომ თავისთავად გასაგებია, რომ მიმოქცევაში მყოფი დასახურდავებელი ბანკნოტებიც იმავე ბედს იზიარებენ. თუმცა ბანკნოტები დასახურდავებელი ბანკნოტებია, მაშასადამე, მათი რეალური ღირებულება მათ ნომინალურ ღირებულებას შეესაბამება, მაგრამ მიმოქცევაში მყოფი ფულის ერთობლივი მასა, ერთად აღებული ოქროსი და ბანკნოტებისა (the agregate currency consisting of metal and of convertible notes), შეიძლება თავის ღირებულებაზე უფრო მეტად ან ნაკლებად იყოს შეფასებული, იმისდა მიხედვით, მათი ერთობლივი რაოდენობა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, იმ დონეზე მაღლა იწევს თუ დაბლა, რომელი დონეც მიმოქცევაში მყოფ საქონელთა საცვლელი ღირებულებით და ოქროს ლითონური ღირებულებით განისაზღვრება. დაუხურდავებელ ქაღალდის ფულს, ამ თვალსაზრისით, ის უპირატესობა აქვს დასახურდავებელ ქაღალდის ფულთან შედარებით, რომ მისი გაუფასურება ორნაირი გზით შეიძლება მოხდეს. იგი შეიძლება იმ ლითონის ღირებულებაზე დაბლა დაეცეს, რომლის წარმომადგენელიც უნდა იყოს, თუ იგი დიდი რაოდენობითაა გამოშვებული, ანდა შეიძლება დაეცეს იმის გამო, რომ ლითონი, რომლის წარმომადგენელიც ის არის, თავის საკუთარ ღირებულებაზე დაბლაა დაცემული. ეს გაუფასურება, — არა ქაღალდის ფულისა ოქროსთან შედარებით, არამედ ერთად აღებული ოქროსი და ქაღალდისა, ანუ მიმოქცევის საშუალებათა ერთობლივი მასისა რომელიმე სახელმწიფოში, — რიკარდოს ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა, რომელიც ლორდ ოვერსტონმა და კომპანიამ გამოიყენეს და სერ რობერტ პილის 1844 და 1845 წლების საბანკო კანონმდებლობის ძირითად პრინციპად გახადეს.

დამტკიცებული უნდა ყოფილიყო ის, რომ საქონელთა ფასი ანუ ოქროს ღირებულება დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ოქროს რაოდენობაზე. დამტკიცება კი იმაში

მდგომარეობს, რომ იგი დასამტკიცებელს გულისხმობს, ე. ი. გულისხმობს იმას, რომ ყოველი რაოდენობა ძვირფასი ლითონისა, რომელიც ფულის როლს ასრულებს, — როგორიც უნდა იყოს ლითონის ამ რაოდენობის შეფარდება მის შინაგან ღირებულებასთან, — უნდა გახდეს მიმოქცევის საშუალება, მონეტა და, მაშასადამე, ღირებულების ნიშანი მიმოქცევაში მყოფ საქონელთათვის, სულ ერთია როგორიც უნდა იყოს ამ საქონელთა ერთობლივი ჯამი. სხვა სიტყვებით: დამტკიცება მდგომარეობს ყველა იმ სხვა ფუნქციისაგან აბსტრაჰირებაში, რომელთაც ფული ასრულებს, გარდა მისი იმ ფუნქციისა, რასაც იგი მიმოქცევის საშუალების სახით ასრულებს. როდესაც გასაჭირში ვარდება, როგორც, მაგ., ბოზანკეტთან თავისი პოლემიკის დროს, რიკარდო, რომელიც მთლიანად შეპყრობილია იმ შთაბეჭდილებით, რასაც მასზე რაოდენობასთან დაკავშირებით ღირებულების ნიშანთა გაუფასურების ფაქტი ახდენს, დოგმატურ მტკიცებას მიმართავს[1].

რიკარდოს რომ აბსტრაქტულად განევითარებინა თეორია იმ სახით, როგორც ეს ჩვენ გავაკეთეთ, ისე, რომ არ შეეტანა კონკრეტული ურთიერთობანი და თვით საკითხს დამაშორებელი შემთხვევითი პუნქტები, მაშინ ამ თეორიის სიცარიელე ნათლად წარმოგვიდგებოდა. მაგრამ იგი მთელ საქმეს საერთაშორისო ხასიათს აძლევს. თუმცა ადვილი დასამტკიცებელია, რომ მასშტაბის მოჩვენებითი გრანდიოზულობა სრულიად არ ცვლის ძირითადი იდეების არარაობას.

ამრიგად, პირველი დებულება იყო: მიმოქცევაში მყოფი ლითონური ფულის რაოდენობა ნორმალურია, თუ იგი განისაზღვრება მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ღირებულების ჯამით, რომელიც შეფასებულია ამ ფულის ლითონური ღი-

---

[1] David Ricardo: «Reply to Mr. Bosanquets practical observations etc.», გვ. 49: «ის გარემოება, რომ საქონელთა ფასი მაღლა იწევს ან **ეცემა ფულის გამრავლების** ან შემცირების პროპორციულად, — მე უცილობელ ფაქტად მიმაჩნია».

რებულებით. საერთაშორისო მასშტაბით ეს დებულება გვაუწყებს: მიმოქცევის ნორმალურ მდგომარეობაში თვითეულ ქვეყანას ფულის ის რაოდენობა აქვს, რომელიც მის სიმდიდრესა და მის მრეწველობას შეესაბამება. ფული მიმოიქცევა მისი ნამდვილი ღირებულების ანუ მისი წარმოების ხარჯების შესაბამისი ღირებულების მიხედვით; ეს იმას ნიშნავს, რომ ფულს ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე ღირებულება აქვს [1]. ამიტომ არასოდეს არ უნდა მომხდარიყო ერთი ქვეყნიდან მეორეში ფულის გაზიდვა ან შეზიდვა [2]. მაშასადამე, ადგილი ექნებოდა წონასწორობის დამყარებას სხვადასხვა ქვეყნების currencies-ს (მიმოქცევაში მყოფი ფულის ერთობლივ მასებს) შორის. ნაციონალური currency-ის (ფულის მიმოქცევის) ნორმალური დონე გამოხატულია ახლა როგორც currencies-ის საერთაშორისო წონასწორობა, რითაც სინამდვილეში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ ეროვნება არაფერს ცვლის საყოველთაო ეკონომიურ კანონში. ჩვენ აქ კვლავ იმავე საბედისწერო პუნქტს მივადექით, როგორც უწინ. როგორ ხდება, რომ ნორმალური დონე ირღვევა, ე. ი. რანაირად ირღვევა currencies-ის საერთაშორისო წონასწორობა, ანუ როგორ ხდება, რომ ფულს ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე ღირებულება აღარა აქვს, ანუ, ბოლოს, როგორ ხდება, რომ ფულს თვითეულ ქვეყანაში თავისი საკუთარი ღირებულება აღარა აქვს? როგორც უწინ ნორმალური დონე ირღვეოდა იმის გამო, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა, საქონელთა ღირებულების ჯამის უცვლელობისას, მატულობდა ან კლებულობდა, ანდა იმის გამო, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა უცვლელი რჩებოდა, მაშინ როდესაც საქონელთა უცვლელი ღირებუ-

---

[1] David Ricardo: «The high price of bullion etc.», გვ. 4: «ფულს ერთნაირი ღირებულება ექნება ყველა ქვეყანაში». თავის «პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებში» რიკარდომ ეს დებულება შეცვალა, მაგრამ არა იმნაირად, რომ მას აქ მნიშვნელობა ჰქონდეს.

[2] L. c., გვ. 3 4.

ლება მატულობდა ან კლებულობდა, — ასევე ახლა საერთაშორისო დონე, რომელიც თვით ლითონის ღირებულებით განისაზღვრება, ირღვევა იმის გამო, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ოქროს მასა მატულობს იქ ლითონის ახალი მადნების აღმოჩენის შედეგად[1], ანდა იმის გამო, რომ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა საცვლელი ღირებულების ჯამმა რომელიმე ცალკეულ ქვეყანაში იმატა ან იკლო. როგორც უწინ ძვირფას ლითონთა წარმოება მატულობდა ან კლებულობდა იმის მიხედვით, currency-ის გაფართოება იყო აუცილებელი თუ შეკუმშვა და ამის შესაბამისად საქონელთა ფასების დაწევა თუ აწევა, — ასევე მოქმედებს ახლა ექსპორტი და იმპორტი ერთი ქვეყნიდან მეორეში. იმ ქვეყანაში, სადაც ფასები აიწევდა და ოქროს ღირებულება, გაძლიერებული მიმოქცევის გამო, თავის ლითონურ ღირებულებაზე დაბლა დაიწევდა, — ოქრო გაუფასურდებოდა სხვა ქვეყნებთან შედარებით და, მაშასადამე, საქონელთა ფასები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, აიწევდა. ამიტომ ოქრო გაიზიდება, საქონელი კი შემოიზიდება, თუ პირიქითაა, — პირიქით მოვლენას ექნება ადგილი. როგორც უწინ ოქროს წარმოება მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე ლითონსა და საქონელს შორის ნორმალური ღირებულებითი თანაფარდობა არ დამყარდებოდა, ისე ახლა ოქროს იმპორტი ან ექსპორტი, და ამასთან ერთად საქონელთა ფასების აწევა ან დაცემა მანამდე გაგრძელდება, ვიდრე საერთაშორისო currencies-ს შორის კვლაც წონასწორობა არ დამყარდება. როგორც პირველ შემთხვევაში ოქროს წარმოება მხოლოდ იმიტომ მატულობდა ან კლებულობდა, რომ ოქრო თავის საკუთარ ღირებულებაზე მაღლა ან დაბლა იდგა, ისე ახლა ოქროს საერთაშორისო ადგილცვლას მხოლოდ ამ მიზეზის გამო ექნება ადგილი. როგორც პირველ შემთხვევაში ოქროს წარმოებაში მომხდარ ყოველ ცვლილებას გავლენა ჰქონდა მიმოქცევაში მყოფი ლითონის რაოდენობაზე და ამით ფასებზე, ასევე ექნება

---

[1] David Ricardo, The high price of dullion etc., §§. 4.

ახლა გავლენა ოქროს საერთაშორისო იმპორტსა და ექსპორტს. როგორც კი შეფარდებითი ღირებულება ოქროსა და საქონელს შორის, ანუ მიმოქცევის საშუალებათა ნორმალური რაოდენობა დამყარდებოდა, პირველ შემთხვევაში შეწყდებოდა ოქროს შემდგომი წარმოება, მეორე შემთხვევაში კი ადგილი აღარ ექნებოდა ოქროს შემდგომ ექსპორტს ან იმპორტს იმაზე მეტად, რაც აუცილებელია გაცვეთილი მონეტის შენაცვლებისათვის და ფუფუნების საგნების დამამზადებელი მრეწველობის მოხმარებისათვის. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, «რომ საქონელთა ეკვივალენტის სახით ოქროს გაზიდვის ცთუნებას ანუ ვაჭრობის არახელსაყრელ ბალანსს არასოდეს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვანაირად, თუ არა მიმოქცევის საშუალებათა მოჭარბებული რაოდენობის გამო»[1]. მხოლოდ ლითონის გაუფასურება ან ზედმეტად შეფასება, მიმოქცევის საშუალებათა მასის მათ ნორმალურ დონეზე მეტად ან ნაკლებად გაფართოების ან შეკუმშვის გამო, იქნებოდა ლითონის შეზიდვის ან გაზიდვის გამომწვევი მიზეზი[2]. აქედან გამომდინარეობს კიდევ შემდეგი: რადგან პირველ შემთხვევაში ოქროს წარმოება მხოლოდ იმიტომ იზრდება ან მცირდება, ხოლო მეორე შემთხვევაში ოქრო მხოლოდ იმიტომ შეიზიდება ან გაიზიდება, რომ მისი რაოდენობა მის ნორმალურ დონეზე მეტი ან ნაკლებია, რომ იგი მის ლითონურ ღირებულებაზე მეტად ან ნაკლებად არის შეფასებული, მაშასადამე, საქონელთა ფასები ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალია, — ამიტომ ყოველი ასეთი მოძრაობა მოქმედებს როგორც კორექტივის შემტანი საშუალება[3], ვინაიდან მიმოქცევაში მყოფი ფულის გამრავლების ან შემცირების გზით

---

[1] «ვაჭრობის არახელსაყრელი ბალანსი არასოდეს არ წარმოიშვება სხვა გზით, თუ არა მხოლოდ მიმოქცევაში მყოფი ფულის მოჭარბებული რაოდენობის გამო» (R i c a r d o, l. c., გვ. 11, 12).

[2] «მონეტის გაზიდვას იწვევს მისი სიიაფე და იგი არახელსაყრელი ბალანსის მიზეზია და არა შედეგი» (l. c., გვ. 14).

[3] L. c., გვ. 17.

შას ფასები კვლავ მათ ნორმალურ დონეზე დაჰყავს: პირველ შემთხვევაში ოქროს ღირებულებასა და საქონელთა ღირებულებას შორის არსებულ დონეზე, მეორე შემთხვევაში currencies საერთაშორისო დონეზე. სხვა სიტყვებით: ფული სხვადასხვა ქვეყანაში მიმოიქცევა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თვითეულ ქვეყანაში მონეტის სახით მიმოიქცევა. ფული მხოლოდ მონეტაა, და ამიტომ თვითეულ ქვეყანაში არსებული ოქროს რაოდენობა მიმოქცევაში უნდა შევიდეს, მაშასადამე, მას შეუძლია, როგორც თავისი საკუთარი ღირებულების ნიშანს, თავის ღირებულებაზე მაღლა აიწიოს ან დაბლა დაიწიოს. ამრიგად, ფულის ამ საერთაშორისო დახლართული მიმოქცევის შემოვლითი გზით ჩვენ კვლავ მშვიდობით მივაღწიეთ იმ მარტივ დოგმატს, რომელიც ამოსავალ პუნქტს შეადგენს.

თუ როგორ ნაძალადევად ახდენს რიკარდო ნამდვილი მოვლენების შერჩევას თავისი აბსტრაქტული თეორიის შესაბამისად, ამას რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს. იგი ამტკიცებს, მაგალითად, რომ მოუსავლობის დროს, რაც ხშირი მოვლენა იყო ინგლისში 1800 — 1820 წლების პერიოდის განმავლობაში, ოქროს გაზიდვა ხდებოდა არა იმიტომ, რომ ხორბალი იყო საჭირო, — ოქრო კი ფულია, ე. ი. ყიდვისა და გადახდის მუდამ ქმედითი საშუალება მსოფლიო ბაზარზე, — არამედ იმიტომ, რომ ოქრო თავის ღირებულებაში გაუფასურებული შეიქნა სხვა საქონელთან შედარებით და, მაშასადამე, იმ ქვეყნის currency, სადაც მოუსავლობას აქვს ადგილი, გაუფასურებულია სხვა ეროვნულ currencies-თან შედარებით. სწორედ იმიტომ, რომ მოუსავლობამ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა შეამცირა, მიმოქცევაში მყოფი ფულის მოცემულმა რაოდენობამ თავის ნორმალურ დონეს გადააჭარბა და ამის შედეგად ყველა საქონლის ფასები გაიზარდაო [1]. წინააღმდეგ ამ პარადოქსული განმარტებისა,

[1] Ricardo, l. c., გვ. 74, 75: «ინგლისი ცუდი მოსავლის შედეგად იმ ქვეყნის მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომელმაც თავის საქონელთა ნაწილი დაკარგა და რომელიც, მაშასადამე, მიმოქცევის საშუალებათა შემ-

სტატისტიკურად დამტკიცებული იყო, რომ 1793 წლიდან უკანასკნელ ხანამდე, მოუსავლობის დროს ინგლისში მიმოქცევის საშუალებათა არსებული რაოდენობა მოჭარბებული კი არა, არამედ არასაკმარისი იყო, და მაშასადამე, მეტი ფული მიმოიქცეოდა, და უნდა მიმოქცეულიყო კიდეც, ვიდრე უწინ[1].

ასევე ამტკიცებდა რიკარდო ნაპოლეონის კონტინენტური ბლოკადისა და ბლოკადის შესახებ ინგლისის დეკრეტების დროს, რომ ინგლისელები საქონლის ნაცვლად ოქროს ეზიდებიან კონტინენტზე, იმიტომ რომ მათი ფული გაუფასურებულია კონტინენტის ქვეყნების ფულთან შედარებით და მათი საქონელი, მაშასადამე, უფრო ძვირია, და ამის გამო საქონლის ნაცვლად ოქროს ექსპორტი უფრო ხელსაყრელ სავაჭრო სპეკულაციას წარმოადგენსო. მისი აზრით,

---

ცირებულ რაოდენობას საჭიროებს. მიმოქცევაში მყოფი ფული, რომელიც წინათ გადასახდელთა შესაბამისი იყო, ახლა მოჭარბებული აღმოჩნდება და შედარებით გაუფასურდება შემცირებული წარმოების პროპორციულად. მაშასადამე, ამ ვაჭრის ექსპორტი ფულის მიმოქცევის ღირებულებას კვლავ გააწონასწორებს სხვა ქვეყნების ფულის მიმოქცევის ღირებულებასთან». ფულისა და საქონლის, ასევე ფულისა და მონეტის, ერთმანეთში არევა სასაცილოდ მოჩანს რიკარდოს შემდეგ დებულებაში: «თუ ჩვენ ვიგულისხმებდით, რომ მოუსავლობის შემდეგ, როდესაც ინგლისს ხორბლის არაჩვეულებრივი იმპორტი სჭირდება, სხვა რომელიმე ერს კი მოჭარბებით აქვს ეს პროდუქტი, მაგრამ არავითარი სხვა საქონელი არ ესაჭიროება, მაშინ უდავოა, რომ ასეთი ერი არ გაზიდავს თავის ხორბალს სხვა საქონელზე გასაცვლელად. მაგრამ ასევე არ გაზიდავს იგი ხორბალს ფულისთვისაც, რადგან ფული ისეთი საქონელია, რომელიც ყველა ერს სჭირდება არა აბსოლუტურად, არამედ მხოლოდ შეფარდებით» (l. c., გვ. 75). პუშკინის პოემის გმირის მამას ვერასგზით ვერ გაუგია, რომ საქონელი ფულია. მაგრამ ფული რომ საქონელია, რუსებმა ეს იმთავითვე შეიგნეს, და ამას ამტკიცებს არა მარტო ხორბლის იმპორტი ინგლისში 1838 წლიდან 1842 წლამდე, არამედ მათი ვაჭრობის მთელი ისტორიაც.

[1] შეად. Thomas Tooke: «History of prices» და James Wilson: «Capital, currency and banking». (უკანასკნელი წიგნი გადმონაბეჭდია იმ მთელი წყება სტატიებისა, რომლებიც «London Economist»-ში გამოქვეყნდა 1844, 1845 და 1847 წლებში.)

ინგლისი წარმოადგენდა ისეთ ბაზარს, სადაც საქონელი ძვირი იყო და ფული — იაფი, მაშინ როდესაც კონტინენტზე საქონელი იაფი იყო და ფული — ძვირი. «ფაქტია, — ამბობს ერთი ინგლისელი მწერალი, — რომ ჩვენი ფაბრიკატებისა და კოლონიური პროდუქტების ფასი გამანადგურებლად დაბალი იყო კონტინენტური ბლოკადის ზეგავლენის გამო ომის უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში. მაგალითად, ოქროთი გამოხატული შაქრისა და ყავის ფასები ოთხჯერ, ან ხუთჯერ უფრო მაღალი იყო კონტინენტზე, ვიდრე ბანკნოტებით გამოხატული იგივე ფასები ინგლისში. ეს ის დრო იყო, როცა საფრანგეთის ქიმიკოსებმა ჭარხლის შაქარი გამოიგონეს და ყავა ვარდკაჭაჭათი შეცვალეს, ხოლო ამავე დროს ინგლისელი ფერმერები ვაჟინითა და ბადაგით ხარების გასუქების ცდებს ახდენდნენ, დრო, როცა ინგლისი ჰელგოლანდს დაეპატრონა, რათა აქ საქონელთა საწყობი პუნქტი მოეწყო ჩრდილოეთ ევროპაში კონტრაბანდის შეტანის გასაადვილებლად, და როცა ინგლისის უფრო მსუბუქი სახის ფაბრიკატები გერმანიისაკენ გზას თურქეთის საშუალებით ეძიებდნენ... მსოფლიოს თითქმის ყველა საქონელი ჩვენს საწყობებში იყო დაგროვილი და აქ უძრავად ეწყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი მცირე რაოდენობა საფრანგეთის ლიცენზიით გაიყიდებოდა ხოლმე, რისთვისაც ჰამბურგისა და ამსტერდამის ვაჭრები ნაპოლეონს 40 000-დან 50 000 გირვანქა სტერლინგამდე უხდიდნენ. სასაცილონი უნდა ყოფილიყვნენ ის ვაჭრები, რომელნიც ასეთ ფულს იხდიდნენ იმის ნებართვისათვის, რომ ერთი ტვირთი საქონელი ძვირი ბაზრიდან იაფ ბაზარზე წაეღოთ! რა აშკარა ალტერნატივა იყო ვაჭრისათვის? მას ან უნდა ეყიდნა ყავა 6 პენსად ბანკნოტებით და იმ ადგილას გაეგზავნა, სადაც უშუალოდ გირვანქა შეეძლო გაეყიდნა 3 ან 4 შილინგად ოქროთი, ანდა ოქრო უნდა ეყიდნა — უნცი 5 გირვანქა სტერლინგად ბანკნოტებით და გაეგზავნა იმ ადგილას, სადაც იგი 3 გირვანქა სტერლინგად 17 შილინგად და $10^1/_2$ პენსად ფასობდა. მაშასადამე, უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ, ყავის

ნაცვლად ოქროს გადაგზავნა უფრო ხელსაყრელ სავაჭრო ოპერაციას წარმოადგენდა... მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლებოდა იმ დროს საჭირო საქონლის იმდენი რაოდენობით მიღება, როგორც ინგლისში. ბონაპარტი ყოველთვის ხედმიწევნით ადევნებდა თვალყურს ინგლისის პრეისკურანტებს. სანამ იგი ხედავდა, რომ ინგლისში ოქრო ძვირი იყო, ყავა კი — იაფი, იგი კმაყოფილი რჩებოდა თავისი კონტინენტური სისტემის მოქმედებით»[1]. სწორედ იმ დროს, როცა რიკარდომ პირველად წამოაყენა თავისი ფულის თეორია და ზოდების კომიტეტმა ეს თეორია თავის საპარლამენტო მოხსენებაში შეიტანა, სახელდობრ 1810 წელს, ადგილი ჰქონდა ყველა ინგლისური საქონლის ფასების გამანადგურებელ დაცემას, 1808 და 1809 წელთან შედარებით, მაშინ როდესაც ოქროს ღირებულებამ შედარებით აიწია. გამონაკლისს შეადგენდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რადგან მათი უცხოეთიდან შეზიდვა დაბრკოლებას ხვდებოდა და ქვეყნის შიგნით არსებული მათი რაოდენობა მოუსავლობის გამო შემცირებული იყო[2]. რიკარდოს იმდენად არ ესმოდა ის როლი, რომელსაც ძვირფასი ლითონები გადახდის საერთაშორისო საშუალების სახით ასრულებენ, რომ მან თავის გამოსვლაში ლორდთა პალატის კომიტეტის წინაშე (1819 წ.) განაცხადა: «მონეტის მოთხოვნა საექსპორტოდ სრულიად შეწყდება, როგორც კი ნაღდი გადახდის წესი აღდგენილი იქნება და მიმოქცევაში მყოფი ფული თავის ლითონურ დონეზე დავა». იგი სწორედ დროზე მოკვდა, 1825 წლის კრიზისის დაწყებამდე, რომელმაც მისი წინასწარმეტყველობის მცდარობა გამოამჟღავნა. პერიოდი, რომელსაც რიკარდოს სამწერლო მოღვაწეობა ეკუთვნის, საერთოდ ნაკლებად შესაფერი იყო იმისათვის, რომ ძვირფასი ლითონების, როგორც მსოფლიო ფულის, ფუნქციაზე და-

---

[1] James Deacon Hume: «Letters on the cornlaws», London 1834, გვ. 29 — 31.

[2] Thomas Tooke: «History of prices etc.», London 1848, გვ. 110.

კვირვება ეწარმოებინათ. კონტინენტური სისტემის შემოღებამდე ვაჭრობის ბალანსი თითქმის ყოველთვის ხელსაყრელი იყო ინგლისისთვის, ამ სისტემის პერიოდში კი გარიგებანი ევროპის კონტინენტთან ფრიად უმნიშვნელო იყო და მათ არ შეეძლოთ გავლენის მოხდენა ინგლისის სათამასუქო კურსზე. ფულის გადაგზავნას უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, და რიკარდოს, ეტყობა, სრულიად არ გაეგებოდა ის როლი, რომელსაც ფულადი სუბსიდიები ასრულებდნენ ინგლისის ფულის ექსპორტში [1].

რიკარდოს თანამედროვეთა შორის, რომლებმაც მისი პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების მიმდევართა მთელი სკოლა შექმნეს, ყველაზე მნიშვნელოვანია ჯ ე მ ს მ ი ლ ი. იგი შეეცადა რიკარდოს ფულის თეორია გადმოეცა მარტივი ლითონური მიმოქცევის საფუძველზე, იმ შეუფერებელი და გამართულებელი საერთაშორისო მომენტების გარეშე, რომელთა უკან რიკარდო თავის შეხედულებათა უსაფუძვლობას მალავდა, და ინგლისის ბანკის ოპერაციების მიმართ ყოველივე პოლემიკური განწყობილების გარეშე. მისი მთავარი დებულებები შემდეგია [2]:

«ფულის ღირებულება უდრის იმ პროპორციას, რომლითაც იგი სხვა საგნებზე გაიცვლება, ანუ ფულის იმ რაოდენობას, რომელიც გაცვლის გზით გაიცემა სხვა საგანთა განსაზღვრული რაოდენობისათვის. ეს პროპორცია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ფულის ერთობლივი რაოდენობით განისაზღვრება. თუ ერთ მხარეზე ერთი ქვეყნის ყველა საქონელს წარმოვიდგენთ და მეორე მხარეზე მთელ მის ფულს, — ცხადია, რომ ორივე მხარის გაცვლისას ფულის ღირებულება, ე. ი. საქონელთა რაოდენობა, რომელზედაც იგი გაიცვლება, მთლიანად დამოკიდებულია თვით ფულის რაოდენობაზე. სრულიად ასეთივე მდგომარეობაა საქმის ნამდვილი ვითარების დროს. რომელიმე ქვეყნის საქონელთა ერთობ-

---

[1] შეად. W. Blake, ზემოთ ციტირებული «Observations» etc.

[2] James Mill, Elements of political economy. ტექსტში თარგმანი მოცემულია J. T. Parissot-ის ფრანგული თარგმანის მიხედვით. Paris 1823.

ლივი მასა ერთბაშად კი არ გაიცვლება ფულის ერთობლივ მასაზე, არამედ საქონელთა გაცვლა ხდება ნაწილ-ნაწილ, და ხშირად ფრიად პატარ-პატარა ნაწილების სახით, სხვადასხვა დროს წლის განმავლობაში. იგივე მონეტა, რომელიც დღეს გაცვლის ერთ აქტს ემსახურა, შეიძლება ხვალ მეორეს ემსახუროს. ფულის ერთი ნაწილი გაცვლის აქტების უფრო დიდი რაოდენობისათვის გამოიყენება, მეორე — ძალიან მცირე რაოდენობისთვის, მესამე კი დაგროვდება და არავითარ გაცვლას არ ემსახურება. ამ ვარიაციებს შორის არსებობს საშუალო დონე, დამყარებული გაცვლის აქტების იმ რაოდენობაზე, რომლისთვისაც გამოყენებული იქნებოდა თვითეული ოქროს მონეტა, თუ თვითეული მონეტა გაცვლის აქტების იმავე რაოდენობას განახორციელებდა. განვსაზღვროთ ეს საშუალო რიცხვი ნებისმიერად, მაგალითად, 10-ით. თუ თვითეული მონეტა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მოიპოვება, 10 ყიდვას ემსახურა, ეს იგივეა, რაც ის, რომ მონეტების ერთობლივი მასა გაათკეცებულიყო და თვითეულს მხოლოდ ერთადერთი ყიდვისთვის ემსახურნა. ამ შემთხვევაში ყველა საქონლის ღირებულება ფულის გაათკეცებულ ღირებულებას უდრის და ა. შ. თუ, პირიქით, იმის ნაცვლად, რომ თვითეულ მონეტას წლის განმავლობაში 10 ყიდვის აქტისთვის ემსახურნა, ფულის ერთობლივი მასა გაათკეცდებოდა და თვითეული მონეტა გაცვლის მხოლოდ ერთ აქტს შეასრულებდა, — მაშინ, ცხადია, ამ მასის ყოველი გადიდება ყოველი ცალკეული მონეტის ღირებულების სათანადო შემცირებას გამოიწვევდა. რადგან ნაგულისხმევია, რომ ყველა საქონლის მასა, რომლებზედაც ფული შეიძლება გაიცვალოს, უცვლელი რჩება, ამიტომ ფულის ერთობლივი მასის ღირებულება მისი რაოდენობის გადიდების შემდეგ იმაზე მეტი არ გამხდარა, რაც უწინ იყო. თუ ვიგულისხმებთ, რომ გადიდება მოხდა ერთი მეათედით, მაშინ ერთობლივი მასის თვითეული ნაწილის, მაგალითად, ერთი უნცის ღირებულება ერთი მეათედით უნდა შემცირდეს. მაშასადამე, როგორიც უნდა იყოს ფულის ერთობლივი მასის

შემცირების ან გადიდების დონე, თუ სხვა საგანთა რაოდენობა უცვლელი რჩება, ამ ერთობლივი მასის და მისი თვითეული ნაწილის ღირებულება შებრუნებულ პროპორციულ შემცირებას ან გადიდებას განიცდის. ცხადია, რომ ეს დებულება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ყოველთვის, როცა ფულის ღირებულება ზრდას ან დაცემას განიცდიდა და როცა საქონელთა რაოდენობა, რომელზედაც შესაძლებელია იგი გაიცვალოს, და მიმოქცევის სისწრაფე უცვლელი რჩებოდა, — ამ ცვლილებას ფულის შეფარდებითი გამრავლება ან შემცირება უნდა ჰქონოდა მიზეზად და იგი არავითარ სხვა მიზეზს არ შეიძლება მიეწეროს. თუ საქონელთა მასა მცირდება, მაშინ როდესაც ფულის რაოდენობა უცვლელი რჩება, — ეს იგივეა, რაც იქნებოდა, ფულის ერთობლივი ჯამი რომ გადიდებულიყო, და პირიქით. მსგავსი ცვლილებანი შედეგია იმ ყოველი ცვლილებისა, რომელიც ფულის მიმოქცევის სისწრაფეში ხდება. მონეტის მოტრიალების რიცხვის ყოველი გადიდება იმავე შედეგს წარმოშობს, როგორც ფულის საერთო რაოდენობის გადიდება; ამ მოტრიალებათა რიცხვის შემცირება უშუალოდ პირუკუ შედეგს წარმოშობს... თუ წლიური წარმოების რომელიმე ნაწილი სრულიად არ შედის გაცვლის პროცესში, როგორც, მაგალითად, ის, რასაც თვით მწარმოებლები მოიხმარებენ, მაშინ ეს ნაწილი არ მიიღება სათვალავში. რადგან იგი ფულზე არ გაიცვლება, ამიტომ ფულის მიმართ იგი ისეა, თითქოს საერთოდ არც კი არსებობდეს... ვიდრე ფულის გამრავლება ან შემცირება შესაძლებელია თავისუფლად ხდებოდეს, ფულის ერთობლივი რაოდენობა, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებობდეს, რეგულირებულია ძვირფას ლითონთა ღირებულებით... მაგრამ ოქრო და ვერცხლი საქონელია, რომლის ღირებულება, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის ღირებულება, მათი წარმოების ხარჯებით, მათში მოქცეული შრომის რაოდენობით განისაზღვრება»[1].

[1] [James Mill,] L. c., გვ. 128 — 136, passim.

მილის მთელი გონებამახვილობა მდგომარეობს მთელ რიგ ისეთ ვარაუდებში, რომელნიც ისევე თვითნებური არიან, როგორც უაზრონი. მას სურს დაამტკიცოს, რომ საქონელთა ფასი ანუ ფულის ღირებულება განისაზღვრება «ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ფულის ერთობლივი რაოდენობით». თუ ვიგულისხმებთ, რომ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასა და საცვლელი ღირებულება უცვლელი რჩება, მაშინ ასევე უცვლელი რჩება მიმოქცევის სისწრაფე და ძვირფას ლითონთა ღირებულება, რომელიც წარმოების ხარჯებითაა განსაზღვრული, და თუ ამასთანავე ვიგულისხმებთ, რომ, მიუხედავად ამისა, მიმოქცევაში მყოფი ლითონური ფულის რაოდენობა დიდდება ან მცირდება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ფულის მასასთან შეფარდებით, — მაშინ მართლაც «ცხადია», რომ ამით ნაგულისხმევი გამოდის სწორედ ის, რის დამტკიცებაც გვინდოდა. სხვათა შორის, მილი იმავე შეცდომას უშვებს, რასაც იუმი, როცა იგი სახმარ ღირებულებებს მიმოაქცევს და არა გარკვეული საცვლელი ღირებულების მქონე საქონელთ, და ამიტომ მისი დებულება მცდარია, მცდარია მაშინაც კი, თუ მას ყველა მის «ვარაუდში» დავეთანხმებით. მიმოქცევის სისწრაფე შეიძლება უცვლელი დარჩეს, ასევე ძვირფას ლითონთა ღირებულება და მიმოქცევაში მყოფ საქონელთა რაოდენობაც, და, მიუხედავად ამისა, მაინც ამ უკანასკნელთა საცვლელი ღირებულების ცვლილებასთან ერთად ფულის ხან მეტი, ხან ნაკლები მასა იყოს საჭირო მათი მიმოქცევისთვის. მილი ხედავს იმ ფაქტს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ფულის ერთი ნაწილი მიმოიქცევა, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი უმოძრაოდ დევს. მაგრამ უაღრესად კომიკური საშუალო გამოანგარიშების დახმარებით იგი გულისხმობს, რომ რომელიმე ქვეყანაში ყველა არსებული ფული ნამდვილად მიმოიქცევა, თუმცა სინამდვილეში ეს, ეტყობა, სხვაგვარად არის. თუ ვიგულისხმებთ, რომ რომელსამე ქვეყანაში ათი მილიონი ვერცხლის

ტალერი წლის განმავლობაში ორჯერ მოტრიალდება, მაშინ შესაძლოა, თუ თვითეული ტალერი ყიდვის მხოლოდ ერთ აქტს შეასრულებდა, — ოცი მილიონი იყოს ტრიალში. ხოლო თუ რომელიმე ქვეყანაში ყველა ფორმით არსებული ვერცხლის ერთობლივი ჯამი 100 მილიონ ტალერს შეადგენს, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთელი ეს ასი მილიონი შესაძლებელია ტრიალში იყოს, თუკი თვითეული მონეტა ხუთ წელში მხოლოდ ერთხელ შეასრულებდა ყიდვის აქტს. შეგვეძლო აგრეთვე ისიც გვევარაუდნა, რომ მსოფლიოს მთელი ფული ჰემპსტედში მიმოიქცევა, მაგრამ მისი ყოველი სათანადო ნაწილი, ნაცვლად, ვთქვათ, სამჯერ მოტრიალებისა წლის განმავლობაში, ერთ მოტრიალებას ასრულებს სამ მილიონ წელიწადში. ერთი ვარაუდი იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც მეორე, იმ თანაფარდობის განსასაზღვრავად, რომელიც საქონელთა ფასებისა და მიმოქცევის საშუალებებს შორის არსებობს. მილი გრძნობს, რომ მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქონელთა უშუალო დაპირისპირებას არა მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობისადმი, არამედ მოცემულ მომენტში რომელსამე ქვეყანაში არსებული ფულის ერთობლივი მარაგისადმი. იგი აღიარებს, რომ საქონელთა ერთობლივი მასა რომელიმე ქვეყანაში «ერთბაშად არ გაიცვლება» ფულის ერთობლივ მასაზე, არამედ საქონელთა სხვადასხვა ნაწილები წლის სხვადასხვა დროს გაიცვლება ფულის სხვადასხვა ნაწილებზე. რათა ეს შეუსაბამობა თავიდან აიცილოს, მილი გულისხმობს, რომ იგი არ არსებობს. გარდა ამისა, მთელი ეს წარმოდგენა საქონელთა და ფულის უშუალო დაპირისპირებისა და მათი უშუალო გაცვლის შესახებ გამოყვანილია უბრალო ყიდვისა და გაყიდვის მოძრაობიდან ანუ ფულის, როგორც ყიდვის საშუალების, ფუნქციიდან. უკვე გადახდის საშუალების სახით ფულის მოძრაობაში ქრება საქონლისა და ფულის ეს იმავდროული გამოვლენა.

ვაჭრობის კრიზისებს მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით 1825 და 1836 წლების დიდ კრიზისებს, არ გამოუწ-

ვევია რიკარდოს ფულის თეორიის შემდგომი განვითარება, არამედ მათ მხოლოდ ამ თეორიის ახალი პრაქტიკული გამოყენება გამოიწვიეს. ეს უკვე აღარ იყო ცალკეული ეკონომიური მოვლენები, — როგორც იუმისათვის ძვირფას ლითონთა გაუფასურება იყო მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში, ანდა როგორც რიკარდოსთვის ჭაღალდის ფულის გაუფასურება იყო მეთვრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტის დასაწყისში, — არამედ ეს იყო მსოფლიო ბაზრის დიდი ქარიშხალი, რომელშიც წარმოების ბურჟუაზიული წესის ყველა ელემენტის შეჯახება გამოსავალს პოულობს; ამ ელემენტთა წარმოშობას და მათთან ბრძოლის საშუალებებს ეძებდნენ ამ პროცესის ყველაზე ზერელე და აბსტრაქტულ სფეროში, ფულის მიმოქცევის სფეროში. საკუთრივ თეორიული წანამძღვარი, საიდანაც ეკონომიური ქარტეხილის შემლოცველთა ეს სკოლა მომდინარეობს, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა ის დოგმა, თითქოს რიკარდომ წმინდა ლითონური მიმოქცევის კანონები აღმოაჩინა. მათ მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ საკრედიტო და ბანკნოტების მიმოქცევა ამ კანონებისთვის დაექვემდებარებინათ.

ვაჭრობის კრიზისების ყველაზე ზოგად და ყველაზე აშკარა მოვლენას წარმოადგენს საქონელთა ფასების უეცარი, საყოველთაო დაცემა, რომელიც მათ ხანგრძლივ, საყოველთაო ზრდას მოსდევს ხოლმე. საქონელთა ფასების საყოველთაო დაცემა შეიძლება გამოისახოს როგორც ფულის შეფარდებითი ღირებულების გადიდება, ყველა სხვა საქონელთან შეფარდებით, ხოლო ფასების საყოველთაო ზრდა, პირიქით, შეიძლება გამოისახოს როგორც ფულის შეფარდებითი ღირებულების დაცემა. გამოსახვის ამ ორივე წესში მოვლენა მხოლოდ დასახელებულია, მაგრამ არაა ახსნილი. დავსახავ მე ამოცანად: ავხსნა ფასების საყოველთაო პერიოდული ზრდა, რომელიც მათ საყოველთაო დაცემას მოსდევს, თუ იმავე ამოცანას მივცემ ასეთ ფორმულირებას: ავხსნა ფულის შეფარდებითი ღირებულების პერიოდული დაცემა და ზრდა სხვა საქონელთან შედარებით, — სულ ერთია, ეს სხვადასხვა ფრა-

ზეოლოგია ისევე უცვლელად ტოვებს ამოცანას, როგორც უცვლელად დატოვებდა მას მისი გადათარგმნა გერმანული ენიდან ინგლისურზე. ამიტომ რიკარდოს ფულის თეორია არაჩვეულებრივად ხელსაყრელი გამოდგა, რადგან იგი ტავტოლოგიას მიზეზობრივი დამოკიდებულების მოჩვენებითს გარეგნობას აძლევს. საიდან წარმოდგება საქონელთა ფასების პერიოდული საყოველთაო დაცემა? ფულის შეფარდებითი ღირებულების პერიოდული ზრდიდან. პირიქით, საიდან წარმოდგება საქონელთა ფასების საყოველთაო, პერიოდული ზრდა? ფულის შეფარდებითი ღირებულების პერიოდული დაცემიდან. ასეთივე უფლებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ ფასების პერიოდული ზრდა და დაცემა მათი პერიოდული ზრდიდან და დაცემიდან წარმოდგება. თვით ამოცანის დაყენება შეიცავს იმ წანამძღვარს, რომ ფულის იმანენტური ღირებულება, ე. ი. მისი ღირებულება, რომელიც ძვირფას ლითონთა წარმოების ხარჯებით განისაზღვრება, უცვლელი რჩება. თუ ეს ტავტოლოგია მეტ რამეს უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე ტავტოლოგიას, მაშინ იგი ელემენტარული ცნებების გაუგებლობაზეა დამყარებული. თუ A-ს საცვლელი ღირებულება, B-თი გაზომილი, ეცემა, — ჩვენ ვიცით, რომ ეს შეიძლება ხდებოდეს როგორც A-ს ღირებულების დაცემის, ისე B-ს ღირებულების აწევის გამო. ასევე მოხდება, პირიქით, თუ A-ს საცვლელი ღირებულება, B-თი გაზომილი, აიწევს. თუ ერთხელ ვცანით ტავტოლოგიის გადაქცევა მიზეზობრივ დამოკიდებულებად, მაშინ ყოველივე დანარჩენი ადვილად ასახსნელია. საქონელთა ფასების ზრდა წარმოდგება ფულის ღირებულების დაცემიდან, ხოლო ფულის ღირებულების დაცემა, როგორც ჩვენ რიკარდოსგან ვიცით, — მიმოქცევის ჭარბად გავსებისგან, ე. ი. იქიდან, რომ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა იმ დონეზე მაღლა აიწევს, რომელიც მისი საკუთარი იმანენტური ღირებულებით და საქონელთა იმანენტური ღირებულებით განისაზღვრება. ასევე, პირიქით, საქონელთა ფასების საყოველთაო დაცემა წარმოდგება იქიდან, რომ ფულის ღირე-

ბულება მის შინაგან ღირებულებაზე მაღლა აიწევს მიმოქცევის არასაკმაო გავსების გამო. მაშასადამე, ფასები პერიოდულად იზრდება და ეცემა იმიტომ, რომ პერიოდულად ძალიან ბევრი ან ძალიან ცოტა ფულია მიმოქცევაში. თუკი დადასტურდება, რომ ფასების გადიდებას ადგილი ჰქონდა იმავდროულად შემცირებულ ფულის მიმოქცევასთან ერთად, ხოლო ფასების დაცემას — მიმოქცევის გადიდებასთან ერთად, მაშინ შეიძლება, მიუხედავად ამისა, იმის მტკიცება, რომ მიმოქცევაში მყოფ საქონელთა მასის რაიმე, თუმცა სტატისტიკურად დაუმტკიცებელი, შემცირების ან გადიდების გამო, მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა, თუ აბსოლუტურად არა, შეფარდებით მაინც გადიდდა ან შემცირდა. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ, რიკარდოს აზრით, ფასების ამ საყოველთაო რყევას წმინდა ლითონური მიმოქცევის დროსაც უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ეს რყევა წონასწორდება რიგრიგობითი შეცვლის გზით; ასე, მაგალითად, არასაკმაო მიმოქცევა გამოიწვევს საქონელთა ფასების დაცემას, საქონელთა ფასების დაცემა — საქონელთა გაზიდვას უცხოეთში, ხოლო ეს გაზიდვა — ფულის მოქცევას სახელმწიფოში, ფულის მოქცევა კი — კვლავ საქონელთა ფასების ზრდას. პირიქით ხდება გავსებული მიმოქცევის დროს, როცა ადგილი აქვს საქონელთა იმპორტს და ფულის ექსპორტს. თუმცა ფასების ეს საყოველთაო რყევა თვით ლითონური მიმოქცევის ბუნებიდან გამომდინარეობს, როგორც ეს რიკარდოს ესმოდა, მაგრამ ამ რყევის მძაფრი და ძალდატანებითი ფორმა, ფორმა კრიზისებისა, დამახასიათებელია განვითარებული კრედიტის პერიოდებისათვის; ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ ბანკნოტების გამოშვება არ არის ზუსტად რეგულირებული ლითონური მიმოქცევის კანონების მიხედვით. ლითონურ მიმოქცევას თავისი უებარი საშუალება აქვს იმ ძვირფასი ლითონების იმპორტისა და ექსპორტის სახით, რომელნიც მაშინვე ტრიალში შედიან მონეტის სახით და, ამრიგად, თავიანთი მოქცევით თუ მიქცევით საქონელთა ფასების დაწევას

ან აწევას იწვევენ. ასეთივე გავლენა უნდა იქონიონ ახლა ხელოვნურად ბანკებმა საქონელთა ფასებზე ლითონური მიმოქცევის კანონებისადმი მიბაძვის გზით. თუ საზღვარგარეთიდან ოქრო მოედინება, ეს იმას ამტკიცებს, რომ ფულის მიმოქცევა არაა შევსებული, ფულის ღირებულება ძალიან მაღლა, ხოლო საქონელთა ფასები ძალიან დაბლა დგას და, მაშასადამე, ბანკნოტები მიმოქცევაში უნდა იქნას გაშვებული ახლად შემოზიდული ოქროს პროპორციულად. პირიქით ბანკნოტები უნდა გამოირიცხოს მიმოქცევიდან ქვეყნიდან გაზიდული ოქროს რაოდენობის პროპორციულად. სხვა სიტყვებით: ბანკნოტების გამოშვების რეგულირება უნდა ხდებოდეს ძვირფასი ლითონების იმპორტისა და ექსპორტის ანუ სათამასუქო კურსის მიხედვით. რიკარდოს მცდარი წანამძღვარი, თითქოს ფული მხოლოდ მონეტაა და თითქოს ყოველი შემოზიდული ოქრო მიმოქცევაში მყოფ ფულს ამრავლებს და ამით ფასებს მაღლა სწევს, ხოლო ყოველი გაზიდული ოქრო მონეტების რაოდენობას ამცირებს და ამით ფასებს დაბლა სწევს, — ეს თეორიული წანამძღვარი აქ იქცევა პრაქტიკულ ექსპერიმენტად, რომელიც მოითხოვს მიმოქცევაში იმდენი მონეტის გაშვებას, რამდენი ოქროც ყოველ მოცემულ მონეტაში ნაღდად მოიპოვება. ლორდ ოვერსტონი (ბანკირი ჯონს-ლოიდი), პოლკოვნიკი ტორენსი, ნორმანი, კლეი, არბუტნოტი და მრავალი სხვა მწერალი, რომელნიც ინგლისში «currency principle»-ის სკოლის სახელწოდებით არიან ცნობილნი, ამ დოქტრინას არათუ ქადაგებდნენ, არამედ სერ რობერტ პილის 1844 და 1845 წლის საბანკო აქტების საშუალებით იგი ინგლისისა და შოტლანდიის არსებული საბანკო კანონმდებლობის საფუძვლად გახადეს. ის სამარცხვინო მარცხი, — როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული, — რომელიც ამ დოქტრინამ ფართო ნაციონალური მასშტაბით ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ განიცადა, შეიძლება გადმოცემულ იქნას მხოლოდ მოძღვრებაში

კრედიტის შესახებ [1]. მაგრამ უკვე ახლაც ჩანს, რომ რიკარდოს თეორია, რომელიც ფულს განაცალკევებს მისი დენადი ფორმით როგორც მიმოქცევის საშუალებას, იმით თავდება, რომ ძვირფას ლითონთა მიქცევა'ს ან მოქცევას მიაწერს ისეთ აბსოლუტურ ზეგავლენას ბურჟუაზიულ ეკონომიკაზე, რაც მონეტარული სისტემის ცრურწმენას სიზმრადაც კი არ უნახავს. ასე გახდა რიკარდო, რომელიც ქაღალდის ფულს ფულის ყველაზე სრულყოფილ ფორმად აცხადებს, ბულიონისტების წინასწარმეტყველი.

მას შემდეგ, რაც იუმის თეორია, ანუ აბსტრაქტული დაპირისპირება მონეტარული სისტემისადმი ამრიგად იქნა განვითარებული მის საბოლოო დასკვნებამდე, ფულის ის კონკრეტული გაგება, რომელიც სტიუარტს ჰქონდა, კვლავ აღდგინა თავის უფლებებში თომას ტუკმა [2]. ტუკს თავისი

---

[1] რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე 1857 წლის ვაჭრობის საყოველთაო კრიზისი დაიწყებოდა, თემთა პალატის კომისიამ სხდომები ჩაატარა 1844 და 1845 წწ. საბანკო კანონების გავლენის გამოსაკვლევად. ლორდი ოვერსტონი, ამ კანონების თეორიის მამა, კომიტეტის წინაშე სიტყვით გამოვიდა და მათ შემდეგი ხოტბა შეასხა: «1844 წლის აქტის პრინციპების ზუსტი და სწრაფი შესრულებით ყველაფერი წესიერად და ადვილად მიმდინარეობდა; ფულის სისტემა ჯანსაღი და ურყევია, ქვეყნის კეთილდღეობა უცილობელია, საზოგადოების რწმენა 1844 წლის აქტის სიბრძნისადმი ყოველდღე ძლიერდება; და თუ კომიტეტს სურს კიდევ იმ პრინციპების სიჯანსაღის ილუსტრაცია, რომლებზედაც ეს კანონია დამყარებული, ან იმ სასარგებლო შედეგებისა, რომლებიც მან მოიტანა, მაშინ სწორი და დამაკმაყოფილებელი პასუხი კომიტეტისთვის იქნებოდა შემდეგი: მიმოიხედეთ თქვენს გარშემო; შეხედეთ ვაჭრობის დღევანდელ მდგომარეობას სახელმწიფოში, შეხედეთ ხალხის კმაყოფილებას, შეხედეთ სიმდიდრეს და კეთილდღეობას, რომელსაც განიცდის საზოგადოების ყველა კლასი, — და ამის შემდეგ დაე კომისიამ გადაწყვიტოს უნდა შეუშალოს თუ არა მას ხელი იმ აქტის შემდგომ მოქმედებას, რომლის წყალობით ასეთი შედეგები იქნა მიღწეული». ასე ძლევამოსილად გაჰყვიროდა ოვერსტონი 1857 წლის 14 ივლისს, ხოლო იმავე წლის 12 ნოემბერს საშინისტრო იძულებული გახდა 1844 წლის სასწაულმოქმედი კანონის მოქმედება თავისი პასუხისმგებლობით შეეჩერებინა.

[2] ტუკი სრულიად არ იცნობდა სტიუარტის თხზულებას, როგორც ეს ჩანს მისი ნაწარმოებიდან: «History of prices from 1839 — 1847»

პრინციპები გამოჰყავს არა რაიმე თეორიიდან, არამედ 1793 წლიდან 1856 წლამდე საქონელთა ფასების ისტორიის კეთილსინდისიერი ანალიზიდან. თავისი «ფასების ისტორიის» პირველ გამოცემაში, რომელიც 1823 წელს გამოქვეყნდა, ტუკი ჯერ კიდევ საკმაოდ რიკარდოს თეორიის ზეგავლენას განიცდის და ამაოდ ცდილობს ამ თეორიას ფაქტები შეუთანხმოს. მისი პამფლეტი «On the currency», რომელიც 1825 წლის კრიზისის შემდეგ გამოვიდა, შეიძლება ჩაითვალოს იმ შეხედულებათა პირველ თანამიმდევრულ გადმოცემათაც კი, რომელნიც შემდეგში ოვერსტონმა განახორციელა. მაგრამ შემდგომმა გამოკვლევებმა საქონელთა ფასების ისტორიის სფეროში აიძულა იგი გაეგო, რომ ის პირდაპირი კავშირი ფასებსა და მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობას შორის, რომელსაც აღნიშნული თეორია გულისხმობს, — უბრალო ფანტაზიაა, რომ მიმოქცევის საშუალებათა გაფართოება და შეკუმშვა, ძვირფას ლითონთა ღირებულების უცვლელობისას, ყოველთვის შედეგია და არასოდეს მიზეზი ფასების რყევისა, რომ ფულის მიმოქცევა საერთოდ მხოლოდ მეორადი მოძრაობაა და რომ ფულს წარმოების ნამდვილ პროცესში, მიმოქცევის საშუალების ფორმის გარდა, კიდევ სულ სხვა ფორმაგანსაზღვრულობანი აქვს. ტუკის დაწვრილებითი გამოკვლევები სხვა სფეროს ეკუთვნის, ვიდრე მარტივი ლითონური მიმოქცევის სფეროა, და ამიტომ მათი განხილვა აქ ჯერ კიდევ არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება ვილსონისა და ფულარტონის[1]

London 1848, სადაც იგი ფულის თეორიათა ისტორიის მიმოხილვას იძლევა.

[1] ტუკის უმნიშვნელოვანესი თხზულება, გარდა «History of prices»-ისა, რომელიც მისმა თანამშრომელმა ნიუმარჩმა 6 ტომად გამოსცა, არის «An inquiry into the currency principle, the connexion of currency with prices etc.», 2 edition, 1844. ვილსონის თხზულება ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ. დასასრულ, მოსახსენიებელია კიდევ John Fullarton: «On the regulation of currencies». 2 editiun, London 1845.

გამოკვლევათა განხილვა, რომელნიც იმავე მიმართულებას ეკუთვნიან. ყველა ეს მწერალი ფულს განიხილავს არა ცალმხრივად, არამედ მის სხვადასხვა მომენტში, მაგრამ — მხოლოდ ნივთიერად, ყოველგვარი ცოცხალი კავშირის გარეშე, — სულ ერთია, არის ეს ამ მომენტების კავშირი ერთმანეთთან თუ მათი კავშირი ეკონომიური კატეგორიების ერთობლივ სისტემასთან. ამიტომ ფულს, მიმოქცევის საშუალებისგან განსხვავებით, ისინი შეცდომით ურევენ კაპიტალში, ანდა საქონელშიც კი. თუმცა, მეორე მხრივ, ისინი კვლავ იძულებულნი არიან შემთხვევის მიხედვით აღიარონ ფულის განსხვავება ორივესაგან [1]. თუ, მაგალითად, უცხოეთში ოქრო იგზავნება, — არსებითად კაპიტალი იგზავნება უცხოეთში, მაგრამ ამასვე აქვს ადგილი მაშინაც, როდესაც ხდება რკინის, ბამბის, ხორბლის, მოკლედ, — ყოველი საქონლის ექსპორტი. ერთიც და მეორეც ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა როგორც კაპიტალი, არამედ როგორც ფული და საქონელი.

---

[1] «უნდა განვასხვავოთ ოქრო როგორც საქონელი, ესეიგი კაპიტალი, და ფული როგორც მიმოქცევის საშუალება» (Tooke, An inquiry into the currency principle etc., გვ. 10). «შეიძლება ვიანგარიშოთ, რომ ოქრო და ვერცხლი მათი მიღებისას თითქმის ხედმიწევნით დაფარავს საჭირო თანხას... ოქროს და ვერცხლს უსასრულო უპირატესობა აქვს ყველა სხვა სახის საქონლის წინაშე... იმ გარემოების გამო, რომ უნივერსალურად იხმარება როგორც მონეტა... დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ვალის გადახდა, — იქნება ეს ვალი საგარეო თუ შინაგანი, — ჩვეულებრივ უნდა მოხდეს არა ჩაით, ყავით, შაქრით ან ინდიგოთი, არამედ მონეტით; ამიტომ ფულის გადაგზავნა აღნიშნული იდენტური მონეტებით ანდა ზოდის სახით, რომელიც სასწრაფოდ შეიძლება გადაქცეულ იქნას მონეტად იმ ქვეყნის ზარაფხანის ან ბაზრის საშუალებით, სადაც იგი იგზავნება, ყოველთვის წარმოადგენს გამგზავნისთვის გადახდის ყველაზე საიმედო, უშუალო და სწორ საშუალებას, რომელიც არ აგდებს მას საფრთხეში რაიმე ზარალი განიცადოს მოთხოვნის შემცირებისა ან ფასების რყევის გამო» (Fullarton, l. c., გვ. 132, 133). «ყოველი სხვა საგანი (გარდა ოქროსი და ვერცხლის) შეიძლება თავისი რაოდენობით ან ხარისხით შეუფერებელი აღმოჩნდეს იმ ქვეყნის მოთხოვნისთვის, სადაც იგი იგზავნება» (Tooke, An inquiry etc.).

მაშასადამე, ოქროს, როგორც საერთაშორისო გაცვლის საშუალების, როლი გამომდინარეობს არა მისი, როგორც კაპიტალის, ფორმაგანსაზღვრულობიდან, არამედ მისი, როგორც ფულის, სპეციფიკური ფუნქციიდან. ასევეა, როცა ოქრო ან მის ადგილას ბანკნოტები ასრულებენ შინაგან ვაჭრობაში გადახდის საშუალების ფუნქციას, ისინი იმავე დროს კაპიტალს წარმოადგენენ. მაგრამ მათ ადგილს ვერ დაიკავებდა კაპიტალი საქონლის ფორმით, როგორც ამას, მაგალითად, ცხადად გვიჩვენებს კრიზისები. ამრიგად, ოქროს, როგორც ფულის, განსხვავება საქონლისაგან და არა მისი მყოფობა კაპიტალის სახით, ხდის მას გადახდის საშუალებად. მაშინაც კი, როცა კაპიტალი გაიზიდება უშუალოდ როგორც კაპიტალი, როცა, მაგალითად, ღირებულების განსაზღვრული თანხა სესხად გაიცემა პროცენტებზე საზღვარგარეთ, — კონიუნქტურაზეა ეს დამოკიდებული, გაიზიდება იგი საქონლის ფორმით თუ ოქროს ფორმით, და თუ ამ უკანასკნელი ფორმით იქნა იგი საზღვარგარეთ გაზიდული, ეს მოხდება იმ სპეციფიკური ფორმაგანსაზღვრულობის გამო, რომელიც, საქონლისაგან განსხვავებით, ფულის სახით არსებულ ძვირფას ლითონებს აქვთ. საერთოდ ზემოაღნიშნული მწერლები ფულს თავდაპირველად არ განიხილავენ იმ აბსტრაქტული სახით, როგორც იგი მარტივი საქონელმიმოქცევის სფეროში ვითარდება და თვით პროცესის შემსრულებელ საქონელთა ურთიერთმიმართებიდან აღმოცენდება. ამიტომ ისინი მუდამ მერყეობენ იმ აბსტრაქტულ ფორმაგანსაზღვრულობათა, რომელთაც ფული, საქონლისაგან განსხვავებით, ღებულობს, და ფულის იმ განსაზღვრულობათა შორის, რომლებშიც იმალება უფრო კონკრეტული ურთიერთობანი, როგორიცაა კაპიტალი, შემოსავალი და ა. შ.[1].

---

[1] ფულის კაპიტალად გარდაქმნას ჩვენ განვიხილავთ მესამე თავში, რომელიც კაპიტალს შეეხება და ამ პირველი განყოფილების დასასრულს შეადგენს.

დამატება

I

კ. მარქსი

შესავალი[1]

I. წარმოება, მოხმარება, განაწილება, გაცვლა (მიმოქცევა)

1. წარმოება

გამოკვლევის საგანი — უწინარეს ყოვლისა — მატერიალური წარმოებაა.

საზოგადოებაში მწარმოებელი ინდივიდები, — მაშასადამე, ინდივიდთა საზოგადოებრივად განსაზღვრული წარმოება, — ასეთია, რა თქმა უნდა, ამოსავალი პუნქტი. ერთეული და განცალკევებული მონადირე და მეთევზე, რომლითაც სმიტი და რიკარდო იწყებენ, მეთვრამეტე საუკუნის ფანტაზიამოკლებულ გამონაგონს ეკუთვნის. ესაა რობინზონადები, რომელნიც სრულიადაც არ გამოხატავენ, როგორც ეს კულტურის ისტორიკოსებს წარმოუდგენიათ, მხოლოდ რეაქციას მეტისმეტი გაფაქიზებულობის წინააღმდეგ და უკუდაბრუნებას მცდარად გაგებული ბუნებისადმი. სწორედ ისევე, როგორც რუსოს «საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც», რომელიც ხელშეკრულების გზით ურთიერთობას და კავშირს ამყარებს ბუნებით დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის, ოდნავადაც არაა დამყარებული ასეთ ნატურალიზმზე. ეს არის

---

[1] ეს შრომა ნაწილია მარქსის ეკონომიური ხელნაწერისა «Grundrisse der Kritik der Politischen Oekonomie» («პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები»), რომელზედაც იგი მუშაობდა 1857 — 1858 წლებში. რედ.

ილუზია და მხოლოდ ესთეტიკური ილუზია პატარა და დიდი რობინზონადებისა. ეს, პირიქით, წინასწარგანჭვრეტაა «ბურჟუაზიული საზოგადოებისა», რომელიც მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული მზადდებოდა და რომელმაც მეთვრამეტე საუკუნეში თავისი მომწიფების გზაზე გიგანტური ნაბიჯები გადადგა. თავისუფალი კონკურენციის ამ საზოგადოებაში ცალკეული პიროვნება გვევლინება განთავისუფლებულად იმ ბუნებრივი კავშირისაგან და სხვ., რომელიც უწინდელ ისტორიულ ეპოქებში მას ადამიანთა გარკვეული, შეზღუდული კონგლომერატის კუთვნილებად ხდიდა. მეთვრამეტე საუკუნის წინასწარმეტყველთ, რომელთა მხრებზე ჯერ კიდევ სავსებით დგანან სმიტი და რიკარდო, ეს მეთვრამეტე საუკუნის ინდივიდი, — პროდუქტი, ერთი მხრივ, ფეოდალური საზოგადოებრივი ფორმების დაშლისა, ხოლო მეორე მხრივ, მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგ ახლად განვითარებული მწარმოებლური ძალებისა, — ეჩვენებათ იდეალად, რომლის არსებობაც წარსულ დროს ეკუთვნის; ეჩვენებათ არა ისტორიის შედეგად, არამედ — ისტორიის ამოსავალ პუნქტად. და ეს იმიტომ, რომ, ადამიანის ბუნებაზე მათი შეხედულების თანახმად, ბუნების შესაბამისი ინდივიდი მათ წარმოუდგებათ არა ისტორიულად წარმოშობილ, არამედ თვით ბუნების მიერ მოცემულ ინდივიდად. ეს შეცდომა დღემდე დამახასიათებელი იყო ყოველი ახალი ეპოქისათვის. სტიუარტი, რომელიც მრავალმხრივ, წინააღმდეგ მეთვრამეტე საუკუნისა, როგორც არისტოკრატი, უფრო ისტორიულ ნიადაგზე დგას, ასცდა ამ შეზღუდულობას.

რაც უფრო ღრმად ვიჭრებით ისტორიის წარსულში, მით უფრო ინდივიდი და, მაშასადამე, მწარმოებელი ინდივიდიც, გვევლინება არადამოუკიდებელ, უფრო დიდი მთელისადმი მიკუთვნებულ ინდივიდად: თავდაპირველად იგი ჯერ კიდევ სრულიად ბუნებრივად დაკავშირებულია ოჯახთან და გვარად განვითარებულ ოჯახთან; შემდეგ — ამ გვართა შეჯახებისა და შეერთების ნიადაგზე აღმოცენებულ სხვადასხვა ფორმის თემთან, მხოლოდ მეთვრამეტე

საუკუნეში, «ბურჟუაზიულ საზოგადოებაში» უპირისპირდება ცალკეულ პიროვნებას საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის სხვადასხვა ფორმა, როგორც უბრალო საშუალება მისი კერძო მიზნებისათვის, როგორც გარეგნული აუცილებლობა. მაგრამ ის ეპოქა, რომელიც ამ თვალსაზრისს, განცალკევებული ინდივიდის თვალსაზრისს წარმოშობს, არის სწორედ ეპოქა დღემდე ყველაზე უფრო განვითარებულ საზოგადოებრივ (ამ თვალსაზრისით: საყოველთაო) ურთიერთობათა. ადამიანი არის zoon politikon ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არათუ საზოგადოებრივი ცხოველი, არამედ ამასთანავე ისეთი ცხოველი, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განცალკევება. განცალკევებულ ინდივიდთა წარმოება საზოგადოების გარეშე, — იშვიათი შემთხვევა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევით უდაბნოში მოხვედრილი ცივილიზებული ადამიანის მხრივ, რომელიც უკვე დინამიკურად ატარებს თავის თავში საზოგადოებრივ ძალებს, — ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ე რ თ ა დ მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ინდივიდთა გარეშე. საჭირო არაა ამაზე მეტ ხანს შეჩერება. ამ პუნქტს შეიძლებოდა სულაც არ შევხებოდით, ბასტიას, კერის, პრუდონსა და სხვებს რომ ეს უაზრობა, რომელსაც მეთვრამეტე საუკუნის ადამიანთათვის აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა, სერიოზულად ხელახლა არ შემოეტანათ უახლეს ეკონომიაში. პრუდონისა და სხვებისათვის, რასაკვირველია, სასიამოვნოა ისტორიულ-ფილოსოფიურად ახსნან წარმოშობა რომელიმე ეკონომიური ურთიერთობისა, რომლის ისტორიული აღმოცენებაც მათ არ იციან, ახსნან ისეთი მითის შეთხზვით, თითქოს ადამს და პრომეთეს ესა თუ ის იდეა მზამზარეულად და დასრულებული სახით მოუვიდათ თავში, შემდეგ კი იგი შემოღებულ იქნა და სხვ. არაფერია იმაზე უფრო მოსაწყენი და მშრალი, ვიდრე მეოცნებე locus communis[1].

---

[1] საერთო ადგილი. რ ე დ.

ამრიგად, თუ ლაპარაკია წარმოებაზე, ლაპარაკია მუდამ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული საფეხურის წარმოებაზე, — საზოგადოებრივ ინდივიდთა წარმოებაზე. ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იმისათვის, რათა საერთოდ წარმოებაზე ვილაპარაკოთ, ჩვენ ან ისტორიული განვითარების პროცესი უნდა განვიხილოთ მის სხვადასხვა ფაზაში, ანდა იმთავითვე განვაცხადოთ, რომ საქმე გვაქვს ერთ გარკვეულ ისტორიულ ეპოქასთან, მაგალითად, თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოებასთან, რომელიც მართლაც ჩვენს ნამდვილ თემას შეადგენს. მაგრამ წარმოების ყველა ეპოქას აქვს გარკვეული საერთო ნიშნები, გარკვეული საერთო განსაზღვრანი. წ ა რ მ ო ე ბ ა ს ა ე რ თ ო დ აბსტრაქციაა, მაგრამ — გონივრული აბსტრაქცია, რამდენადაც იგი მართლაც საერთოს ხაზგასმით აღნიშნავს, მის ფიქსირებას ახდენს და, ამრიგად, განმეორებისაგან გვანთავისუფლებს. მაგრამ ეს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ანუ შედარების გზით გამოყოფილი საერთო თვით არის ისეთი რამ, რაც მრავალმხრივ დანაწევრებულია და სხვადასხვა განსაზღვრებით გამოიხატება. ზოგი რამ აქედან ყველა ეპოქას ეკუთვნის, დანარჩენები კი საერთოა ზოგიერთი ეპოქისათვის. [ზოგი] განსაზღვრა საერთო იქნება როგორც უახლესი, ისე უძველესი ეპოქისთვისაც. უიმათოდ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე წარმოება; მაგრამ თუ, ერთი მხრივ, ყველაზე განვითარებულ ენებს კანონები და განსაზღვრანი საერთო აქვთ ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ენებთან, — მეორე მხრივ, სწორედ განსხვავება ამ საყოველთაოსა და საერთოსაგან არის ის, რაც მათ განვითარებას შეადგენს. განსაზღვრანი, რომელთაც ძალა აქვთ საერთოდ წარმოების მიმართ, გამოცალკევებულ უნდა იქნან სწორედ იმისათვის, რათა დავიწყებას არ მიეცეს არსებითი განსხვავება იმ ერთიანობის გამო, რომელიც უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ სუბიექტი — კაცობრიობა — და ობიექტი — ბუნება — ერთი და იგივეა. ამის დავიწყებაში მდგომარეობს, მაგალითად, მთელი სიბრძნე თანამედროვე ეკონომისტებისა. რომელნიც არსებულ სოციალურ ურთი-

ერთობათა მარადიულობასა და ჰარმონიას ამტკიცებენ, ამტკიცებენ, მაგალითად, იმას, რომ არავითარი წარმოება არაა შესაძლებელი წარმოების იარაღის გარეშე, თუნდაც ეს იარაღი მხოლოდ ხელი იყოს, რომ არავითარი წარმოება არაა შესაძლებელი წარსული დაგროვილი შრომის გარეშე, თუნდაც ეს შრომა მხოლოდ დახელოვნება იყოს, დახელოვნება, რომელიც ველურის ხელმა განმეორებული ვარჯიშობით მოიპოვა და დააგროვა. კაპიტალიც, სხვათა შორის, აგრეთვე წარმოების იარაღია, ისიც წარსული, გაობიექტივებული შრომაა. მაშასადამე, კაპიტალი საყოველთაო, მარადიული ბუნებრივი ურთიერთობაა; ასე გამოვა, თუ მე სწორედ იმ სპეციფიკურს უკუვაგდებ, რომელიც ერთადერთია «წარმოების იარაღს», «დაგროვილ შრომას» რომ კაპიტალად ხდის. ამიტომ წარმოებითი ურთიერთობის მთელი ისტორია, მაგალითად, კერისთვის წარმოადგენს მხოლოდ მთავრობათა მიერ მზაკვრულად ჩადენილ ფალსიფიკაციას.

თუ საერთოდ წარმოება არ არსებობს, მაშინ არ არსებობს საყოველთაო წარმოებაც. წარმოება ყოველთვის წარმოების განსაკუთრებული დარგებია, მაგალითად, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მანუფაქტურა და სხვ., ანდა იგი ერთობლიობაა. მაგრამ პოლიტიკური ეკონომია არ არის ტექნოლოგია. მოცემულ საზოგადოებრივ საფეხურზე წარმოების საყოველთაო განსაზღვრათა დამოკიდებულება წარმოების განსაკუთრებულ ფორმებთან განხილული იქნება სხვა ადგილას (შემდეგში).

დასასრულ, წარმოება არაა აგრეთვე მარტო განსაკუთრებული წარმოება. მაგრამ არსებობს ყოველთვის გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზმი, საზოგადოებრივი სუბიექტი, რომელიც წარმოების დარგთა უფრო ფართო ან უფრო ვიწრო ერთობლიობის ფარგლებში მოქმედებს. ის დამოკიდებულება, რომელიც მეცნიერულ გადმოცემას აქვს რეალურ მოძრაობასთან, აგრეთვე არაა ჯერ აქ განსახილველი. წარმოება საერთოდ. წარმოების განსაკუთრებული დარგები. წარმოების ერთობლიობა.

ეკონომიაში მოდადაა შემოღებული ზოგადი ნაწილის წამძღვარება, და ეს სწორედ ის ნაწილია, რომელიც წარმოდგენილია სათაურით «წარმოება» (იხ., მაგალითად, ჯ. სტ. მილი) და სადაც განხილულია ყოველი წარმოების საყოველთაო პირობები.

ეს ზოგადი ნაწილი შედგება ან თითქოს უნდა შედგებოდეს:

1) პირობებისაგან, რომელთა გარეშე წარმოება შეუძლებელია, ე. ი. რომელნიც ნამდვილად ყოველი წარმოების ყველაზე არსებითი მომენტებია, მაგრამ არსებითად ეს, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, დაყვანილია რამდენიმე მეტად მარტივ განსაზღვრებამდე, რომელნიც გაცვეთილ და ბრტყელ-ბრტყელ ტავტოლოგიებს წარმოადგენენ.

2) პირობებისგან, რომელნიც ცოტად თუ ბევრად ხელს უწყობენ წარმოებას, როგორც, მაგალითად, საზოგადოების განვითარებადი და უმოძრაო მდგომარეობაა ადამ სმიტის შეხედულების თანახმად.

რათა ეს მომენტები, რომელთაც გაკვრითი შენიშვნების სახით ადამ სმიტის სისტემაში თავისი ღირებულება აქვთ, მეცნიერულ მნიშვნელობამდე ავიყვანოთ, საჭირო იქნებოდა გამოკვლევანი მწარმოებლური დონის განვითარების შესახებ ცალკეულ ხალხებში, გამოკვლევა, რომელიც საკუთრივ ჩვენი თემის ფარგალს გარეთ მდებარეობს, ხოლო რამდენადაც იგი ამ თემაში შედის, იგი უნდა განეკუთვნოს იმ თავებს, სადაც კონკურენციაა, დაგროვება და სხვ. განიხილება. ზოგად მოხაზულობაში პასუხი იმ ზოგადი დებულებით გამოიხატება, რომ მრეწველი ხალხი წარმოების უმაღლეს საფეხურს იმ მომენტში აღწევს, როდესაც იგი საერთოდ თავისი ისტორიული განვითარების მწვერვალზე ადის; მართლაც, ხალხის სამრეწველო განვითარების მაღალ დონეს [ადგილი აქვს] მანამდე, სანამ მისთვის ჯერ კიდევ მთავარ საგანს შეადგენს არა მოგება (Gewinn), არამედ — მოპოვების პროცესი (Gewinnen). ამდენად იანკები ინგლისელებზე მაღლა დგანან. ანდა რომ, მაგალითად, გარკვეული რასობ-

რივი თვისებები, ჰავა, ბუნებრივი პირობები, როგორიცაა ზღვის სიახლოვე, ნიადაგის ნაყოფიერობა და სხვ., წარმოებისთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვები. ესეც კვლავ ტავტოლოგიას ნიშნავს, რომ სიმდიდრე მით უფრო ადვილად შეიქმნება, რაც უფრო მეტად მოგვეპოვება მისი სუბიექტური და ობიექტური ელემენტები.

მაგრამ ყველაფერი ეს არის ის, რაზედაც ეკონომისტებს მართლა ლაპარაკი აქვთ ამ ზოგად ნაწილში. წარმოება. პირიქით, — იხილე, მაგალითად, მილი,—წარმოდგენილ უნდა იქნას, განაწილებისაგან და სხვ. განსხვავებით, როგორც ისტორიისგან დამოუკიდებელი და ბუნების მარადიული კანონების ჩარჩოში მოქცეული; ამ ხელსაყრელი შემთხვევის დროს ბურჟუაზიული ურთიერთობანი სრულიად შეუმჩნევლად შემოიპარება როგორც გარდუვალი ბუნებრივი კანონები საზოგადოებისა in abstracto [1]. ასეთია მთელი ამ ხერხის მეტნაკლებ შეცნობილი მიზანი. განაწილების დროს, პირიქით, ადამიანები თითქმის ყოველგვარ თვითნებობას სჩადიან. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ აქ ნამდვილი დამოკიდებულება წარმოებასა და განაწილებას შორის ტლანქად გაწყვეტილია, უკვე იმთავითვე ნათელი უნდა იყოს, რომ, რაგინდ სხვადასხვაც იყოს განაწილება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მაინც შესაძლებელია მის მიმართ, ისევე როგორც წარმოების მიმართაც, წამოყენებულ იქნას საერთო განსაზღვრანი, და ასევე შესაძლებელია ყველა ისტორიული განსხვავება არეულ და წაშლილ იქნას ზოგადადამიანურ კანონებში. მაგალითად, მონა, ყმა, დაქირავებული მუშა—ყველანი იღებენ განსაზღვრული რაოდენობის საზრდოს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს იარსებონ როგორც მონამ, როგორც ყმამ, როგორც დაქირავებულმა მუშამ. დამპყრობელი, რომელიც ხარკით ცხოვრობს, ან მოხელე, რომელიც, გადასახადით ცხოვრობს, ან მემამულე, რომელიც რენტით ცხოვრობს, ან ბერ-მონაზონი,

[1] საერთოდ, განყენებულად. რედ.

რომელიც მოწყალებით ცხოვრობს, ანდა ლევიტი, რომელიც სამეათედოთი ცხოვრობს, — ყველანი იღებენ საზოგადოებრივი წარმოების გარკვეულ წილს, რომელიც სხვა კანონების მიხედვით განისაზღვრება, ვიდრე მონების და სხვათა წილი. ის ორი ძირითადი პუნქტი, რომელთაც ყველა ეკონომისტი ამ რუბრიკაში ათავსებს, არის შემდეგი: 1) საკუთრება, 2) მისი უზრუნველყოფა სასამართლოთი, პოლიციითა და სხვა. ამაზე მოკლედ ასეთი პასუხის გაცემა შეიძლება:

ad 1. ყოველი წარმოება არის ბუნების საგნების მითვისება ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით. ამ აზრით ტავტოლოგია იქნება იმის თქმა, რომ საკუთრება (მითვისება) წარმოების პირობაა. მაგრამ სასაცილოა აქედან ნახტომის გაკეთება საკუთრების გარკვეული ფორმისაკენ, მაგალითად, კერძო საკუთრებისაკენ (რაც თან კიდევ პირობის სახით საპირისპირო ფორმასაც, არასაკუთრებასაც, გულისხმობს). ისტორია, პირიქით, კოლექტიურ საკუთრებას გვიჩვენებს (მაგალითად, ინდოელებში, სლავებში, ძველ კელტებში და სხვ.) როგორც თავდაპირველ ფორმას, — ფორმას, რომელიც სათემო საკუთრების სახით კიდევ დიდხანს მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აქ ჯერ კიდევ სრულიადაც არაა ლაპარაკი იმ საკითხზე, თუ საკუთრების რომელი ფორმის დროს უფრო უკეთ ვითარდება სიმდიდრე. მაგრამ რომ არავითარ წარმოებაზე, მაშასადამე, არც არავითარ საზოგადოებაზე, ლაპარაკი არ შეიძლება იქ, სადაც საკუთრების არავითარი ფორმა არ არსებობს, — ეს ტავტოლოგიაა. მითვისება, რომელიც არას მიითვისებს, არის contradictio in subjecto[1].

ad 2. საკუთრების და სხვ. უზრუნველყოფა. თუ ამ ტრივიალობებს მათ ნამდვილ შინაარსზე დავიყვანთ, ისინი მეტს გვეტყვიან, ვიდრე მათმა მქადაგებლებმა იციან. სახელდობრ, რომ წარმოების თვითეული ფორმა წარმოშობს თავის დამახასიათებელ სამართლებრივ ურთიერთობას, მმართ-

[1] წინააღმდეგობა თვით სუბიექტში. რედ.

ველობის ფორმებს და სხვა. სიტლანქე და გაუგებლობა სწორედ ის არის, რომ ერთიმეორესთან ორგანულად დაკავშირებულ მოვლენებს აყენებენ შემსხვევითს ურთიერთმიმართებაში, წმინდა განსჯის კავშირში. ბურჟუაზიულ ეკონომისტებს მხოლოდ ის აზრი უდგათ თვალწინ, რომ თანამედროვე პოლიციის არსებობისას უკეთ შეიძლება წარმოება, ვიდრე, მაგალითად, მუშტის სამართლის ხანაში. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ მუშტის სამართალიც სამართალია და რომ ძლიერის უფლება აგრეთვე სხვა ფორმებით მათ «სამართლებრივ სახელმწიფოშიც» განაგრძობს არსებობას.

როდესაც წარმოების განსაზღვრული საფეხურის შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობა ეს-ეს არის წარმოიშვება ანდა როდესაც იგი უკვე ისპობა, წარმოება, რასაკვირველია, მოშლილობას განიცდის, თუმცა — სხვადასხვა ოდენობით და სხვადასხვა შედეგებით.

დავასკვნით: არსებობს წარმოების ყველა საფეხურისთვის საერთო განსაზღვრანი, რომელთაც აზროვნება ფიქსაციას უკეთებს საყოველთაო განსაზღვრებათა სახით; მაგრამ ყოველი წარმოების ეგრეთწოდებული საყოველთაო პირობები სხვა არაფერია, თუ არა ეს აბსტრაქტული მომენტები, რომელთა საშუალებითაც წარმოების არც ერთი ნამდვილი ისტორიული საფეხურის გაგება არ შეიძლება.

2. წარმოების საერთო დამოკიდებულება განაწილებასა, გაცვლასა და მოხმარებასთან

ვიდრე წარმოების შემდგომ ანალიზს განვაგრძობდეთ, აუცილებელია თვალი გადავავლოთ იმ სხვადასხვა რუბრიკას, რომელთაც ეკონომისტები წარმოების გვერდით აყენებენ.

პირველი ზერელე წარმოდგენა [არის შემდეგი]: წარმოების პროცესში საზოგადოების წევრები ითვისებენ (ქმნიან, გარდაქმნიან) ბუნების პროდუქტებს ადამიანის მოთხოვნილებათა შესაბამისად; განაწილება განსაზღვრავს იმ პროპორციას, რომლის მიხედვით ცალკეული ინდივიდი მონაწილეობას იღებს ამ წარმოებაში; გაცვლა მას აძლევს იმ

განსაკუთრებულ პროდუქტებს, რომლებზედაც მას სურს გაცვალოს ის წილი, რაც მას განაწილების გზით ერგო; დასასრულ, პროდუქტები მოხმარებაში გამოყენების, ინდივიდუალური მითვისების საგნები ხდება. წარმოება მოთხოვნილებათა შესაბამის საგნებს წარმოშობს; განაწილება მათ საზოგადოებრივი კანონების მიხედვით ანაწილებს; გაცვლა ხელახლა ანაწილებს უკვე განაწილებულს ცალკეული მოთხოვნილების მიხედვით; დასასრულ, მოხმარებაში პროდუქტი გამოდის საზოგადოებრივი მოძრაობიდან, იგი უშუალოდ ხდება საგანი და მსახური ცალკეული მოთხოვნილებისა და აკმაყოფილებს ამ უკანასკნელს გამოყენების პროცესში. ამრიგად, წარმოება გვევლინება ამოსავალ პუნქტად, მოხმარება — საბოლოო პუნქტად, განაწილება და გაცვლა — შუაგულად, რომელიც თავის მხრივ ორ მომენტს შეიცავს, რამდენადაც განაწილება საზოგადოებისგან გამომდინარე, ხოლო გაცვლა ინდივიდთაგან გამომდინარე მომენტს წარმოადგენს. წარმოებაში ობიექტივდება პიროვნება, პიროვნებაში სუბიექტივდება ნივთი; განაწილებაში საზოგადოება კისრულობს, საყოველთაოდ გაბატონებულ კანონთა სახით, შუამავლობას წარმოებასა და მოხმარებას შორის, გაცვლაში კი მათ შორის შუამავლობას ეწევა ინდივიდის შემთხვევითი განსაზღვრულობა.

განაწილება განსაზღვრავს იმ შეფარდებას (რაოდენობას), რომლის კვალობაზეც პროდუქტები წილად ხვდება ინდივიდებს; გაცვლა განსაზღვრავს იმ პროდუქტებს, რომლებითაც ინდივიდი მოითხოვს იმ წილს, რაც მას განაწილებისას ერგო.

ამრიგად, წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება შეადგენს ნამდვილ სილოგიზმს: წარმოება წარმოადგენს საყოველთაობას, განაწილება და გაცვლა — განსაკუთრებულობას, მოხმარება კი — ცალკეულობას, რომლითაც ბოლოვდება მთლიანობა. რასაკვირველია, ეს [ერთგვარი] კავშირია, მაგრამ — ზერელე კავშირი. წარმოება [ეკონომისტების მოძღვრების მიხედვით] განისაზღვრება ბუნების საყოველთაო

კანონებით. განაწილება — საზოგადოებრივი შემთხვევითობით, ამიტომ განაწილებას შეუძლია მეტად თუ ნაკლებად ხელშემწყობი გავლენა იქონიოს წარმოებაზე; გაცვლა იმყოფება ორთავეს შორის როგორც ფორმალურად საზოგადოებრივი მოძრაობა, ხოლო დასკვნითი აქტი — მოხმარება რომელიც განიხილება არა მარტო როგორც საბოლოო პუნქტი, არამედ აგრეთვე როგორც საბოლოო მიზანიც, ნამდვილად რომ ვთქვათ, ეკონომიკის გარეთ მდებარეობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ იგი კვლავ უკუგავლენას ახდენს ამოსავალ წერტილზე და მთელ პროცესს ხელახლა იწყებს.

ეკონომისტთა მოწინააღმდეგენი, — არიან ისინი მათი წრისა თუ მათი წრის გარეშენი, — რომელნიც მათ უსაყვედურებენ, მთლიან მოვლენას ბარბაროსულად ფლეთავთ ნაწილებათო, — ან მათთან ერთად დგანან ერთსა და იმავე ნიადაგზე, ანდა მათზე დაბლა დგანან. არაფერია იმაზე უფრო ჩვეულებრივი, ვიდრე საყვედური თითქოს ეკონომისტები წარმოებას განიხილავდნენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც თვითმიზანს. განაწილებაც ისევე დიდად მნიშვნელოვანიაო. ამ საყვედურს საფუძვლად უდევს ეკონომისტების სწორედ ის წარმოდგენა, თითქოს განაწილება წარმოების გვერდით არსებობს როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი სფერო. ანდა [მათ უსაყვედურებენ], — ყველა მომენტი მათ არა აქვთ მთლიანობაში გაგებულიო. თითქოს ეს გათიშვა სინამდვილიდან კი არ შეჭრილიყოს სახელმძღვანელოებში, არამედ, პირიქით, სახელმძღვანელოებიდან იყოს სინამდვილეში შეჭრილი, და თითქოს აქ საქმე ეხებოდეს ცნებათა დიალექტიკურ შერიგებას და არა რეალურ ურთიერთობათა გაგებას!

a) წარმოება უშუალოდ აგრეთვე მოხმარებაცაა

ორგვარი მოხმარება — სუბიექტური და ობიექტური. ინდივიდი, რომელიც წარმოების პროცესში თავის უნარს ავითარებს, ამავე დროს ხარჯავს, მოიხმარს ამ უნარს

წარმოების აქტში, სწორედ ისე, როგორც მოდგმის შექმნის ბუნებრივი აქტი სიცოცხლის ძალთა ერთგვარ მოხმარებას წარმოადგენს. მეორე: [წარმოება არის] მოხმარება წარმოების საშუალებათა, რომელნიც მოიხმარებიან და გაცვდებიან და ნაწილობრივ (როგორც, მაგალითად, დაწვის შემთხვევაში) კვლავ ძირითად ელემენტებად დაიშლებიან. ასევეა მოხმარება ნედლი მასალისაც, რომელიც არ ინარჩუნებს თავის ბუნებრივ სახეს და თვისებებს, არამედ, პირიქით, კარგავს მათ. ამიტომ თვითონ წარმოების აქტი ყველა თავის მომენტში აგრეთვე მოხმარების აქტიცაა. მაგრამ ყოველივე ამას ეკონომისტებიც აღიარებენ. წარმოებას, რომელიც უშუალოდ გაიგივებულია მოხმარებასთან, მოხმარებას, რომელიც უშუალოდ ემთხვევა წარმოებას, ისინი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს უწოდებენ. წარმოებისა და მოხმარების ამ იგივეობას მივყავართ სპინოზას დებულებამდე: «determinatio est negatio»[1]. მაგრამ მწარმოებლური მოხმარების ამ განსაზღვრას მხოლოდ იმისათვის იძლევიან, რომ წარმოებასთან გაიგივებული მოხმარება განაცალკევონ საკუთრივ მოხმარებისგან, რომელიც, პირიქით, გააზრებულია როგორც მომსპობი დაპირისპირება წარმოებისა. მაშასადამე, განვიხილოთ საკუთრივ მოხმარება.

მოხმარება უშუალოდ წარმოებაცაა, ისევე როგორც ბუნებაში ელემენტებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მოხმარება მცენარის წარმოებაა. ცხადია, რომ, მაგალითად, კვების პროცესში, რომელიც მოხმარების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ადამიანი თავის საკუთარ სხეულს კვლავ აწარმოებს; მაგრამ ასევე ითქმის ყოველი სხვაგვარი მოხმარების შესახებაც, რომელიც ამა თუ იმ სახით, რაიმე მხრივ, ადამიანს კვლავ აწარმოებს. [ეს არის] მოხმარებითი წარმოება. მაგრამ, — ამბობს პოლიტიკური ეკონომია, — მოხმარებასთან გაიგივებული ეს წარმოება, მეორე სახის წარმოებაა, რომელიც პირველი წარმოების პროდუქტის მოსპობიდან წარ-

[1] განსაზღვრება უარყოფაა. რ ე დ.

მოდგება. პირველში მწარმოებელი ნივთიერდება, მეორეში კი მის მიერ წარმოებული ნივთის გაპიროვნება ხდება. ამრიგად, ეს მოხმარებითი წარმოება, — თუმცა იგი წარმოებისა და მოხმარების უშუალო ერთიანობაა, — არსებითად განსხვავდება საკუთრივ წარმოებისგან. უშუალო ერთიანობა, რომელშიც წარმოება მოხმარებას ემთხვევა, მოხმარება კი — წარმოებას, ვერ სპობს მათ უშუალო გაორებულობას.

ამრიგად, წარმოება უშუალოდ მოხმარებაა, მოხმარება უშუალოდ წარმოებაა. თვითეული მათგანი უშუალოდ თავისი დაპირისპირებაა. მაგრამ ამასთანავე ადგილი აქვს ორთავეს შორის გამმეშვეებელ მოძრაობას. წარმოება შესაძლებლად ხდის მოხმარებას, რომლის მასალასაც იგი ქმნის და რომელიც უიმისოდ მოკლებული იქნებოდა ობიექტს. მაგრამ მოხმარებაც შესაძლებლად ხდის წარმოებას, რადგან მხოლოდ იგი ქმნის პროდუქტებისათვის სუბიექტს, რომლისთვისაც ისინი პროდუქტებს წარმოადგენენ. პროდუქტი თავის უკანასკნელ დასრულებას (finisch) მხოლოდ მოხმარებაში ღებულობს. რკინიგზა, რომელზედაც მიმოსვლა არ წარმოებს, რომელიც, მაშასადამე, არ იცვითება, არ მოიხმარება, არის რკინიგზა მხოლოდ dynamei-ს[1] და არა სინამდვილის მიხედვით. წარმოების გარეშე არ არის მოხმარება, მაგრამ მოხმარებების გარეშე არ არის წარმოება, რადგან ამ შემთხვევაში წარმოება უმიზნო იქნებოდა. მოხმარება წარმოებას ორნაირად წარმოშობს:

1) იმით, რომ პროდუქტი მხოლოდ მოხმარებაში ხდება ნამდვილი პროდუქტი, მაგალითად, ტანსაცმელი ნამდვილი ტანსაცმელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მას ატარებენ; სახლი, რომელშიც არ ცხოვრობენ, ფაქტიურად არაა ნამდვილი სახლი; ამრიგად, პროდუქტი, ბუნების უბრალო საგნისგან განსხვავებით, ვარგისი აღმოჩნდება, ხდება პროდუქტი მხოლოდ მოხმარებაში. მოხმარება პროდუქტს სპობს და ამით მას დასრულებას აძლევს, რადგან პროდუქტი

---

[1] ე. ი. იმ შესაძლებლობის მიხედვით, რომელსაც იგი შეიცავს. რედ.

წარმოების [შედეგია] არა მარტო როგორც განივთიერებული მოქმედება, არამედ მხოლოდ როგორც საგანი მოქმედი სუბიექტისთვის.

2) იმით, რომ მოხმარება ქმნის ა ხ ა ლ ი წარმოების მოთხოვნილებას, მაშასადამე, წარმოების იდეალურ, შინაგან მამოძრავებელ საწყისს, რომელიც მისი წანამძღვარია. მოხმარება ქმნის წარმოების სტიმულს, იგი ქმნის აგრეთვე საგანსაც, რომელიც, როგორც მიზანი, განმსაზღვრელად მოქმედებს წარმოებაში. თუ ის ცხადია, რომ წარმოება მოხმარებას საგანს აწოდებს მისი გარეგნული ფორმით, მაშინ ასევე ცხადია ისიც, რომ მოხმარება გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს წარმოების საგანს ი დ ე ა ლ უ რ ა დ, როგორც შინაგან სახეს, როგორც მოთხოვნილებას, როგორც იმპულსსა და როგორც მიზანს. იგი ქმნის წარმოების საგანს მისი ჯერ კიდევ სუბიექტური სახით. უმოთხოვნილებოდ არ არის წარმოება. მოხმარება კი კვლავ აწარმოებს მოთხოვნილებას.

ამას წარმოების მხრივ ის შეესაბამება, რომ იგი

1) წარმოებას[1] აწვდის მასალას, საგანს. მოხმარება უსაგნოდ არ არის მოხმარება. მაშასადამე, წარმოება ამ მხრივ ქმნის, წარმოშობს მოხმარებას.

2) მაგრამ წარმოება არა მარტო საგანს ქმნის მოხმარებისათვის, — იგი მოხმარებას აძლევს მის განსაზღვრულობას, მის ხასიათს, მის დასრულებას. როგორც მოხმარება აძლევდა პროდუქტს დასრულებას პროდუქტის სახით, ასევე წარმოებამ უნდა მისცეს დასრულება მოხმარებას. უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა, საგანი არ არის საგანი საერთოდ, არამედ იგი განსაზღვრული საგანია, რომელიც მოიხმარება განსაზღვრული წესით, ისევ თვით წარმოების მიერ ნაკარნახევი წესით. შიმშილი შიმშილია, მაგრამ ის შიმშილი, რომელსაც მოხარშული, დანა-ჩანგლის დახმარებით შეჭმული ხორცით იკმაყოფილებენ, სხვა შიმშილია, ვიდრე ის შიმ-

---

[1] ხელნაწერში წერია: «Production»; ალბათ, უნდა იყოს «Konsumtion» (მოხმარება). რ ე დ.

შილი, რომელიც ადამიანს აიძულებს უმი ხორცი ხელების, ფრჩხილებისა და კბილების დახმარებით ჩაყლაპოს. ამიტომ წარმოება ქმნის არა მარტო მოხმარების საგანს, არამედ მოხმარების წესსაც, არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც. ამრიგად, წარმოება ქმნის მომხმარებელს.

3) წარმოება არა მარტო მასალას აწვდის მოთხოვნილებას, არამედ მასალისთვისაც ქმნის მოთხოვნილებას. როდესაც მოხმარება თავისი თავდაპირველი ბუნებრივი სიტლანქიდან და უშუალობიდან გამოდის, — და მისი ამ საფეხურზე ხანგრძლივად დარჩენა თვით იქნებოდა შედეგი წარმოების ჩარჩენისა ბუნებრივ სიტლანქეში, — მაშინ თვით იგი, როგორც იმპულსი, გამეშვეებულია საგნის მიერ. მოთხოვნილება, რომელსაც მოხმარება შეიგრძნობს საგნის მიმართ, შექმნილია ამ უკანასკნელის აღქმის გზით. ხელოვნების საგანი, — ასევე ყოველი სხვა პროდუქტი, — ქმნის საზოგადოებას, რომელსაც გაეგება ხელოვნება და შესწევს სიმშვენიერით დატკბობის უნარი. ამრიგად, წარმოება აწარმოებს არა მარტო საგანს სუბიექტისთვის, არამედ — სუბიექტსაც საგნისთვის.

ამრიგად, წარმოება წარმოშობს მოხმარებას იმით, რომ: 1) ქმნის მისთვის მასალას, 2) განსაზღვრავს მოხმარების წესს, 3) აღუძრავს მომხმარებელს მოთხოვნილებას, რომლის საგანსაც მის [წარმოების] მიერ შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს. წარმოება წარმოშობს, მაშასადამე, მოხმარების საგანს, მოხმარების წესს, მოხმარების იმპულსს. ასევე [წარმოშობს] მოხმარება მწარმოებლის მ ი ზ ა ნ დ ა ს ა ხ უ ლ ო ბ ა ს (Anlage) იმით, რომ მას აღუძრავს გარკვეული მიზნებისაკენ მიმართულ მოთხოვნილებას. მაშასადამე, მოხმარებისა და წარმოების იგივეობა გვევლინება სამგვარად:

1. უშუალო იგივეობა: წარმოება მოხმარებაა; მოხმარება წარმოებაა. მოხმარებითი წარმოება. მწარმოებლური მოხმარება. ეკონომისტები ორთავეს მწარმოებლურ მოხმარებას უწოდებენ, მაგრამ კიდევ ერთ განსხვავებას აკეთებენ. პირველი გვევლინება როგორც კვლავწარმოება, მეორე —

როგორც მწარმოებლური მოხმარება. ყველა გამოკვლევა პირველის შესახებ არის გამოკვლევა მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესახებ; ყველა გამოკვლევა კი მეორის შესახებ — გამოკვლევა მწარმოებლური და არამწარმოებლური მოხმარების შესახებ.

2. თვითეული მათგანი გვევლინება როგორც მეორის საშუალება, წარმოებს მისი შემწეობით, რაც იმით გამოიხატება, რომ ისინი ერთიმეორეზე არიან დამოკიდებულნი; ეს არის მოძრაობა, რომლის მეშვეობითაც ისინი ერთმანეთთან მიმართებაში შედიან და ერთმანეთისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ, მაგრამ ერთიმეორის მიმართ ჯერ მაინც გარეგნულნი რჩებიან. წარმოება ქმნის მასალას როგორც გარეგნულ საგანს მოხმარებისთვის; მოხმარება ქმნის მოთხოვნილებას როგორც შინაგან საგანს, როგორც მიზანს წარმოებისთვის. წარმოების გარეშე არ არის მოხმარება, მოხმარების გარეშე არ არის წარმოება, — [ეს დებულება] სხვადასხვა ფორმით გვევლინება ეკონომიაში.

3. წარმოება არის არა მარტო უშუალოდ მოხმარება და მოხმარება—უშუალოდ წარმოება; წარმოება არ არის აგრეთვე მარტო საშუალება მოხმარებისთვის და მოხმარება—მიზანი წარმოებისთვის, ე. ი. თვითეული აწვდის მეორეს მის საგანს: წარმოება აწვდის მოხმარებას გარეგან საგანს, მოხმარება წარმოებას—აზრით წარმოსახულ საგანს. თვითეული მათგანი არის არა მარტო უშუალოდ მეორე, არა მარტო ამეშვეებს მეორეს, არამედ თვითეული მათგანი იმით, რომ თვითონ სრულდება, ქმნის მეორეს, ქმნის თავის თავს, როგორც მეორეს. მოხმარება ამთავრებს უწინარეს ყოვლისა წარმოების აქტს იმით, რომ პროდუქტს დასრულებულ ფორმას აძლევს პროდუქტის სახით, იმით, რომ სპობს მას, მოიხმარს მის დამოუკიდებელ ნივთობრივ ფორმას; იმით, რომ მას წარმოების პირველ აქტში განვითარებული მწარმოებლური უნარი განმეორების მოთხოვნილების მეოხებით დახელოვნების დონემდე აჰყავს; მაშასადამე, იგი არა მარტო დამამთავრებელი აქტია, რომლითაც პროდუქტი პროდუქ-

ტად იქცევა, არამედ [ისეთი], აქტიც, რომლითაც მწარმოებელი მწარმოებელი ხდება. მეორე მხრივ, წარმოება წარმოშობს მოხმარებას იმით, რომ იგი მოხმარების გარკვეულ წესს ქმნის, და, შემდეგ, იმით, რომ იგი ქმნის მოხმარების მიმზიდველ ძალას, თვით მოხმარების უნარს მოთხოვნილების სახით. ეს უკანასკნელი, მე-3 ციფრით აღნიშნული იგივეობა მრავალჯერ არის განმარტებული პოლიტიკურ ეკონომიაში მოთხოვნისა და მიწოდების, საგანთა და მოთხოვნილებათა, საზოგადოების მიერ შექმნილ და ბუნებრივ მოთხოვნილებათა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის დროს.

ამიტომ ჰეგელიანელისთვის იმაზე უფრო მარტივი არაფერია, ვიდრე წარმოებისა და მოხმარების გაიგივება. და ეს გაიგივება მოახდინეს არა მარტო სოციალისტ-ბელეტრისტებმა, არამედ თვით პროზაიკოს-ეკონომისტებმაც, მაგალითად, სეიმ; მოახდინეს იმ ფორმით, რომ, თუ ჩვენ მთელ ხალხს ანდა აგრეთვე კაცობრიობას in abstracto განვიხილავთ, მისი წარმოება მის მოხმარებას წარმოადგენსო. შტორხმა სეის დაუმტკიცა შეცდომა, როცა აღნიშნა, რომ ხალხი, მაგალითად, არ მოიხმარს პირწმინდად თავის პროდუქტს, არამედ ქმნის აგრეთვე წარმოების საშუალებებს, ძირითად კაპიტალს და სხვა. გარდა ამისა, განიხილოთ საზოგადოება როგორც ერთიანი სუბიექტი, ნიშნავს — განიხილოთ იგი მცდარი თვალსაზრისით — სპეკულაციურად. ცალკეულ სუბიექტთან წარმოება და მოხმარება გვევლინება ერთი აქტის მომენტებად. აქ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელდობრ, თუ წარმოებასა და მოხმარებას განვიხილავთ როგორც ერთიანი სუბიექტის ან ცალკეულ ინდივიდთა მოქმედებას, ისინი ყოველ შემთხვევაში გვევლინებიან ერთი პროცესის მომენტებად, პროცესისა, სადაც წარმოება ნამდვილი ამოსავალი პუნქტია და ამიტომ გაბატონებული მომენტიც. მოხმარება საჭიროების სახით, მოთხოვნილების სახით თვითონ არის შინაგანი მომენტი მწარმოებლური საქმიანობისა, მაგრამ ეს უკანასკნელი რეა-

ლიზაციის ამოსავალი პუნქტია და ამიტომ მისი გაბატონებული მომენტიც,--აქტი, რომელშიც მთელი პროცესი ხელახლა მეორდება თავიდან. ინდივიდი აწარმოებს საგანს და მისი მოხმარების გზით კვლავ უბრუნდება თავის თავს, მაგრამ უბრუნდება როგორც მწარმოებელი და თავის თავის კვლავწარმოებელი ინდივიდი. ამრიგად, მოხმარება წარმოების მომენტად გვევლინება.

მაგრამ საზოგადოებაში მწარმოებლის მიმართება პროდუქტისადმი, რამდენადაც ეს პროდუქტი უკვე დამზადებულია, წმინდა გარეგნულია და პროდუქტის დაბრუნება სუბიექტთან დამოკიდებულია ამ უკანასკნელის მიმართებაზე სხვა ინდივიდებთან. სუბიექტი არ ხდება პროდუქტის უშუალო მფლობელი. პროდუქტის უშუალო მითვისება არც არის მისი მიზანი, თუკი იგი საზოგადოებაში აწარმოებს. მწარმოებლებსა და პროდუქტებს შორის დგება განაწილება, რომელიც საზოგადოებრივი კანონების საშუალებით განსაზღვრავს მწარმოებლის წილს პროდუქტთა სამყაროში; იგი დგება, მაშასადამე, წარმოებასა და მოხმარებას შორის.

დგას განაწილება, როგორც დამოუკიდებელი სფერო, წარმოების გვერდით და მის გარეშე?

ბ) [წარმოება და განაწილება]

თუ მივმართავთ ჩვეულებრივ თხზულებებს პოლიტიკური ეკონომიის დარგში, თვალში გვეცემა უწინარეს ყოვლისა ის, რომ იქ ყველაფერი ორნაირადაა წარმოდგენილი; მაგალითად, განაწილებაში ვხედავთ მიწის რენტას, ხელფასს, პროცენტსა და მოგებას, მაშინ როდესაც წარმოებაში შეტანილია მიწა, შრომა და კაპიტალი როგორც წარმოების აგენტები. კაპიტალის შესახებ იმთავითვე ცხადია, რომ იგი ორნაირადაა განსაზღვრული: 1) როგორც წარმოების აგენტი, 2) როგორც შემოსავლის წყარო, რომელიც განაწილების გარკვეულ ფორმას განსაზღვრავს. ამიტომ პროცენტი და მოგება როგორც ასეთნი გვევლინებიან კიდევ წარმოებაში,

რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ფორმებს, რომლებშიაც კაპიტალი მრავლდება, იზრდება,— მაშასადამე, გვევლინებიან როგორც მომენტები თვით კაპიტალის წარმოებისა. პროცენტი და მოგება, როგორც განაწილების ფორმები, გულისხმობს კაპიტალს, როგორც წარმოების აგენტს. ისინი განაწილების წესებია, რომელთა წანამძღვარს წარმოადგენს კაპიტალი როგორც წარმოების აგენტი. ისინი არიან აგრეთვე კაპიტალის კვლავწარმოების წესები.

ხელფასი ასევე წარმოადგენს სხვა რუბრიკით განხილულ დაქირავებულ შრომას: ის განსაზღვრულობა, რომელიც აქ შრომას აქვს როგორც წარმოების აგენტს, [იქ] გვევლინება როგორც განაწილების განსაზღვრა. შრომა რომ განსაზღვრული არ იყოს როგორც დაქირავებული შრომა, ის წესი, რა წესითაც იგი მონაწილეობს პროდუქტებში, არ მოგვევლინებოდა ხელფასის სახით, როგორც, მაგალითად, მონობაში. დასასრულ, მიწის რენტა,—თუ ერთბაშად ავიღებთ განაწილების ყველაზე განვითარებულ ფორმას, რომლითაც მიწის საკუთრება მონაწილეობს პროდუქტებში,—გულისხმობს მსხვილ მიწის საკუთრებას (სწორად რომ ვთქვათ, მსხვილ მიწათმოქმედებას) როგორც წარმოების აგენტს, მაგრამ არა მიწას როგორც ასეთს, ისევე როგორც ხელფასს [არა აქვს წანამძღვრად] შრომა როგორც ასეთი. ამიტომ განაწილების ურთიერთობანი და წესები გვევლინებიან წარმოების აგენტების მხოლოდ შებრუნებულ მხარეებად. ინდივიდი, რომელიც დაქირავებული შრომის ფორმით მონაწილეობს წარმოებაში, ხელფასის ფორმით მონაწილეობს წარმოების შედეგებში, პროდუქტებში. განაწილების სტრუქტურა (Gliederung) მთლიანად წარმოების სტრუქტურით განისაზღვრება. განაწილება თვით არის წარმოების პროდუქტი, არა მარტო საგნის მიხედვით, რადგან წარმოების მხოლოდ შედეგები შეიძლება განაწილებულ იქნას, არამედ ფორმის მიხედვითაც, რადგან წარმოებაში მონაწილეობის გარკვეული წესი განსაზღვრავს განაწილების გარკვეულ ფორმას, ფორმას, რომლითაც თვითეული მონაწილეობს განაწილებაში. სრული

ილუზიაა წარმოებაში მიწის შეტანა, განაწილებაში მიწის რენტის შეტანა და სხვ.

ამიტომ ეკონომისტებმა, როგორიცაა რიკარდო, რომლებსაც ყველაზე ხშირად უსაყვედურებენ, მხედველობაში მათ მარტო წარმოება ჰქონდათო, პოლიტიკური ეკონომიის ერთადერთ საგნად განაწილება დასახეს, რადგან მათ ინსტიქტურად აირჩიეს განაწილების ფორმები როგორც ყველაზე ზუსტი გამოხატულება, რომლითაც წარმოების აგენტების ფიქსაცია ხდება მოცემულ საზოგადოებაში. ცალკეული ინდივიდის მიმართ, რასაკვირველია, განაწილება გვევლინება როგორც საზოგადოებრივი კანონი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის მდგომარეობას წარმოების სფეროში, რომლის შიგნით იგი აწარმოებს, და, მაშასადამე, განაწილება წინ უძღვის წარმოებას. ინდივიდს იმთავითვე არ გააჩნია არავითარი კაპიტალი, არავითარი მიწის საკუთრება. დაბადებიდანვე მისთვის საზოგადოებრივი განაწილების მიერ წინასწარ განკუთვნილია დაქირავებული შრომა, მაგრამ ეს წინასწარ განკუთვნა თვით არის შედეგი იმისა, რომ კაპიტალი და მიწის საკუთრება წარმოების დამოუკიდებელი აგენტების სახით არსებობენ.

თუ მთელ საზოგადოებებს განვიხილავთ, ისე გვეჩვენება (scheint) თითქოს განაწილება კიდევ ერთი მხრივ წინ უსწრებს წარმოებას და განსაზღვრავს მას, ასე ვთქვათ, წინაეკონომიური ფაქტის სახით. დამპყრობი ხალხი მიწას ანაწილებს დამპყრობთა შორის და ამგვარად ამყარებს მიწის საკუთრების გარკვეულ განაწილებასა და ფორმას, და ამით განსაზღვრავს წარმოებასაც; ანდა იგი დაპყრობილებს მონებად აქცევს და, ამრიგად, მონურ შრომას წარმოების საფუძვლად ხდის. ან ხალხი რევოლუციის გზით წვრილ პარცელებად ანაწილებს მსხვილ მიწის საკუთრებას და, მაშასადამე, ამ ახალი განაწილებით ახალ ხასიათს აძლევს წარმოებას. ან კანონმდებლობა მიწის საკუთრებას სამუდამოდ უმკვიდრებს მსხვილ ოჯახებს, ანდა ანაწილებს შრომას როგორც სამემკვიდრეო პრივილეგიას და კასტური წესით ახდენს მის

ფიქსაციას. ყველა ამ შემთხვევაში,— ეს შემთხვევები კი ყველა ისტორიულია,— ისე გვეჩვენება, რომ განაწილება კი არ არის დანაწევრებული და განსაზღვრული წარმოებისდა მიხედვით, არამედ, პირიქით, წარმოებაა დანაწევრებული და განსაზღვრული განაწილებისდა მიხედვით.

განაწილება ყველაზე ზერელე გაგებით წარმოგვიდგება პროდუქტების განაწილებად და, ამრიგად, წარმოებისაგან მეტად დაშორებულად და მის მიმართ ვითომდა დამოუკიდებლად. მაგრამ ვიდრე განაწილება პროდუქტთა განაწილება გახდებოდეს, იგი არის: 1) წარმოების იარაღების განაწილება და 2)—რაც იმავე ურთიერთობის შემდგომ განსაზღვრას წარმოადგენს — საზოგადოების წევრთა განაწილება წარმოების სხვადასხვა სახეობის მიხედვით (ინდივიდთა დაქვემდებარება განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობისადმი). პროდუქტების განაწილება, ცხადია, მხოლოდ შედეგია ამ განაწილებისა, რომელიც თვით წარმოების პროცესს შიგნით არის მოქცეული და წარმოების სტრუქტურას განსაზღვრავს. წარმოება, თუ მას ამ მასში მოქცეული განაწილებისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ, აშკარად ცარიელი აბსტრაქციაა, მაშინ როდესაც, პირიქით, პროდუქტების განაწილება თავისთავად მოცემულია ამ განაწილებასთან ერთად, რომელიც იმთავითვე წარმოების შემადგენელი მომენტია. რიკარდო, რომელიც ესწრაფოდა თანამედროვე წარმოება მის გარკვეულ სოციალურ სტრუქტურაში გაეგო და რომელიც წარმოების ეკონომისტია par excellence[1], სწორედ ამის გამო აცხადებს წარმოებას კი არა, არამედ განაწილებას თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ნამდვილ თემად. აქ კვლავ ნათლად ჩანს იმ ეკონომისტების [პოზიციის] უაზრობა, რომელნიც წარმოებას მარადიული ჭეშმარიტების სახით გვიხატავენ, ხოლო ისტორიას განაწილების სფეროში აძევებენ.

თუ რა ურთიერთობაშია წარმოებასთან თვით ამ უკანასკნელის განმსაზღვრელი განაწილება, ეს საკითხი, ცხადია,

---

[1] — უპირატესად. რედ.

თვით წარმოების სფეროს ეკუთვნის. თუ იტყვიან, რომ იმ შემთხვევაში მაინც, როცა წარმოება წარმოების იარაღთა განსაზღვრულ განაწილებაზეა დამოკიდებული, ამ მნიშვნელობით განაწილება წინ უძღვის წარმოებას, მის წანამძღვარს შეადგენსო,—ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ წარმოებას მართლაც აქვს თავისი პირობები და წანამძღვრები, რომელნიც მის მომენტებს შეადგენენ. ეს მომენტები შეიძლება დასაწყისში გვევლინებოდნენ როგორც ბუნებრივად აღმოცენებულნი. თვით წარმოების პროცესში ისინი ბუნებრივად აღმოცენებული მომენტებიდან ისტორიულ მომენტებად იქცევიან, და თუ ერთი პერიოდისათვის ისინი—წარმოების ბუნებრივ წანამძღვრებად გვევლინებოდნენ, მეორე პერიოდისათვის ისტორიულ შედეგს წარმოადგენდნენ. თვით წარმოების შიგნით ისინი მუდამ იცვლებიან. მაგალითად, მანქანების გამოყენება ცვლის როგორც წარმოების იარაღების, ისე პროდუქტების განაწილებას, თანამედროვე მსხვილი მიწის საკუთრება კი თვითონ შედეგია როგორც თანამედროვე ვაჭრობისა და თანამედროვე მრეწველობის, ისე ამ უკანასკნელის გამოყენებისაც მიწათმოქმედების მიმართ.

ყველა ზემოთ წამოყენებული კითხვა საბოლოო ანგარიშით შეეხება იმას, თუ როგორ ზეგავლენას ახდენენ წარმოებაზე ზოგად-ისტორიული პირობები, როგორია ურთიერთობა წარმოებასა და ისტორიულ განვითარებას შორის საერთოდ. კითხვა, ცხადია, მიეკუთვნება თვით წარმოების განხილვისა და განვითარების სფეროს.

მაგრამ იმ ტრივიალური ფორმით, რომლითაც ისინი ზემოთაა წამოყენებული, შეიძლება ამ კითხვებზე ასევე მოკლე პასუხი გავცეთ. ყველა დაპყრობის დროს სამი რამ არის შესაძლებელი. დამპყრობი ხალხი დაპყრობილ ხალხს წარმოების თავის საკუთარ წესს ახვევს თავს (მაგალითად, ინგლისელები ირლანდიაში ამ საუკუნეში, ნაწილობრივ ინდოეთში); ან იგი ხელუხლებელს ტოვებს წარმოების ძველ წესს და კმაყოფილდება ხარკით (მაგალითად, თურქები და რომაელები), ანდა ადგილი აქვს ურთიერთქმედობას, საი-

დანაც წარმოიშვება ახალი, — სინთეზი (ნაწილობრივ გერმანელების მიერ წარმოებულ დაპყრობათა დროს). ყველა ამ შემთხვევაში წარმოების წესი, — იქნება იგი დამპყრობი ხალხისა, დაპყრობილისა, თუ იქნება ორივეს შერევისგან წარმომდგარი, — განსაზღვრავს იმ ახალ განაწილებას, რომელიც მყარდება. თუმცა ეს ახალი განაწილება წანამძღვარს წარმოადგენს წარმოების ახალი პერიოდისთვის, თვით იგი კვლავ პროდუქტია წარმოებისა, — არა მარტო ისტორიულისა საერთოდ, არამედ — გარკვეული ისტორიული წარმოებისა.

მაგალითად, მონღოლები, როცა რუსეთს ანადგურებდნენ, თავიანთი წარმოების წესის შესაბამისად მოქმედებდნენ; მესაქონლეობისათვის მთავარი პირობაა ფართო დაუსახლებელი ადგილები. გერმანელ ბარბაროსებს, რომლებისთვისაც ყმების საშუალებით წარმოებული მიწათმოქმედება წარმოების ტრადიციული წესი იყო და რომლებსაც განმარტოებული ცხოვრება ჰქონდათ სოფლად, მით უფრო ადვილად შეეძლოთ რომის პროვინციები ამ პირობებისთვის დაექვემდებარებიათ, რომ მიწის საკუთრების კონცენტრაციამ, რომელიც იქ მოხდა, მიწათმოქმედების ძველი სისტემები უკვე მთლიანად გადაატრიალა. არსებობს ტრადიციული შეხედულება, თითქოს გარკვეულ პერიოდებში ადამიანები მხოლოდ ძარცვა-გლეჯით ცხოვრობდნენ. მაგრამ, რათა ძარცვა შეიძლებოდეს, საჭიროა მოიპოვებოდეს საძარცვი რამ, მაშასადამე, წარმოება. და თვით ძარცვის წესიც წარმოების წესით განისაზღვრება. მაგალითად, ერი, რომელშიც განვითარებულია საბირჟო სპეკულაცია (stockjobbing nation), არ შეიძლება იმავე წესით იქნას გაძარცული, როგორც ერი, რომელიც მწყემსობას მისდევს.

მონის სახით ადგილი აქვს წარმოების იარაღის უშუალო მოტაცებას. მაგრამ იმ ქვეყნის წარმოება, რომლისთვისაც მონის მოტაცება ხდება, ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შესაძლებელი იყოს მონური შრომის გამოყენება, ანდა

(როგორც სამხრეთ ამერიკაში და სხვ.) წარმოების ისეთი წესი უნდა შეიქმნას, რომელიც მონურ შრომას შეესაბამება.

კანონებს შეუძლია წარმოების ესა თუ ის იარაღი, მაგალითად მიწა, გარკვეული ოჯახების სამუდამო კუთვნილებად გახადოს. ეს კანონები მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ ეკონომიურ მნიშვნელობას, თუ მსხვილი მიწის საკუთრება ჰარმონიაში იმყოფება წარმოების საზოგადოებრივ წესთან, როგორც, მაგალითად, ინგლისში. საფრანგეთში წვრილ მიწათმოქმედებას ჰქონდა ადგილი, მიუხედავად მსხვილი მიწათმფლობელობისა, ამიტომაც ეს უკანასკნელი რევოლუციამ დააქუცმაცა. და გამარადისება საკუთრების პარცელებად დაყოფისა, მაგალითად, კანონების საშუალებით? მიუხედავად ამ კანონებისა, ხელახლა ხდება კონცენტრაცია. განაწილების პირობების განმტკიცებისაკენ მიმართული კანონების მნიშვნელობა და ამ გზით მათი ზეგავლენა წარმოებაზე საგანგებოდ უნდა განისაზღვროს.

c) დასასრულ, გაცვლა და მიმოქცევა

თვით მიმოქცევა გაცვლის მხოლოდ ერთი განსაზღვრული მომენტია, ან გაცვლაა, მის ერთობლიობაში განხილული, რამდენადაც გ ა ც ვ ლ ა მოსაშუალე მომენტია, ერთი მხრივ, წარმოებასა და მის მიერ გაპირობებულ განაწილებასა და, მეორე მხრივ, მოხმარებას შორის; მაგრამ რამდენადაც თვითონ მოხმარებაც წარმოების მომენტად გვევლინება, იმდენადვე, ცხადია, გაცვლაც მოქცეულია წარმოებაში როგორც ერთ-ერთი მისი მომენტი.

ცხადია, ჯერ ერთი ის, რომ მოქმედებათა და უნართა გაცვლა, რომელიც თვით წარმოებაში ხდება, პირდაპირ მას მიეკუთვნება და მის რაობას შეადგენს, მეორე: ასევე ითქმის პროდუქტთა გაცვლაზეც, რამდენადაც იგი საშუალებაა მზამზარეული, უშუალო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტის საწარმოებლად. ამდენადვე თვით გაცვლა წარმოებაში შემავალ აქტს წარმოადგენს. მესამე: ურთიერთგაცვლა საქონელმწარმოებელთა შორის (der sogenannte exchange

zwischen dealers and dealers) თავისი ორგანიზაციის მიხედვით ისევე მთლიანად განისაზღვრება წარმოებით, როგორც თვით მწარმოებლური მოქმედება. გაცვლა გვევლინება წარმოების გვერდით როგორც მისგან დამოუკიდებელი, როგორც ინდიფერენტული მის მიმართ მხოლოდ უკანასკნელ სტადიაში, როდესაც ადგილი აქვს პროდუქტის უშუალო გაცვლას მოხმარებისთვის. მაგრამ: 1) არ არსებობს გაცვლა შრომის დანაწილების გარეშე, სულ ერთია, ეს დანაწილება ბუნებრივადაა აღმოცენებული, თუ უკვე ისტორიულ შედეგს წარმოადგენს; 2) კერძო გაცვლა გულისხმობს კერძო წარმოებას; 3) გაცვლის ინტენსივობა, ისევე როგორც მისი განვრცობა და ფორმა, წარმოების განვითარებითა და სტრუქტურით განისაზღვრება, მაგალითად, გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, გაცვლა სოფლად, ქალაქად და სხვ., ამრიგად, გაცვლა ყველა თავისი მომენტით ან უშუალოდაა მოქცეული წარმოებაში, ანდა განსაზღვრულია ამ უკანასკნელით.

შედეგი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, არის არა ის, რომ წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება — ერთი და იგივეა, არამედ ის, რომ ისინი ყველანი ერთობლიობის წევრებია, განსხვავებანია ერთიანობის შიგნით. წარმოება ბატონობს როგორც თავის თავზე წარმოების საპირისპირო განსაზღვრაში, ისე სხვა მომენტებზეც. მისგან პროცესი ყოველთვის ხელახლა იწყება. გაცვლა და მოხმარება რომ არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს,—ეს თავისთავად ცხადია. იგივე შეიძლება ითქვას განაწილებაზე როგორც პროდუქტთა განაწილებაზე. მაგრამ როგორც განაწილება წარმოების აგენტებისა იგი თვით არის წარმოების მომენტი. ამრიგად, განსაზღვრული წარმოება განაპირობებს განსაზღვრულ მოხმარებას, განაწილებას, გაცვლას, ამ სხვადასხვა მომენტების განსაზღვრულ ურთიერთობას ერთმანეთის მიმართ. რასაკვირველია, წარმოებაც მისი ცალმხრივი ფორმით, თავის მხრივ, სხვა მომენტებით განისაზღვრება; მაგალითად, როდესაც ფართოვდება ბაზარი, ე. ი. გაცვლის სფერო, — იზრდება წარმოების მოცულობა

და ღრმავდება მისი დიფერენციაცია. განაწილების ცვლილებასთან ერთად იცვლება წარმოება, მაგალითად, კაპიტალის კონცენტრაციასთან ერთად, ქალაქად და სოფლად მოსახლეობის სხვადასხვა განაწილებასთან ერთად და სხვ. დასასრულ, წარმოებას განსაზღვრავს მოხმარების საჭიროება. ადგილი აქვს ურთიერთქმედობას სხვადასხვა მომენტებს შორის. ასე ხდება ყოველ ორგანულ მთელში.

3. პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი

როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას პოლიტიკურ-ეკონომიურად განვიხილავთ, ჩვენ ვიწყებთ მისი მოსახლეობიდან, ამ მოსახლეობის კლასებად დაყოფიდან, მისი განაწილებიდან ქალაქსა, სოფელსა, ზღვის სანაპიროებსა და წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის, გაზიდვა-შემოზიდვიდან, წლიური წარმოებიდან და მოხმარებიდან, საქონლის ფასებიდან და სხვა.

თითქოს უფრო სწორი იქნებოდა დაგვეწყო რეალურიდან და კონკრეტულიდან, ნამდვილი წანამძღვრებიდან, მაშასადამე, მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიაში მოსახლეობიდან, რომელიც წარმოების მთელი საზოგადოებრივი პროცესის საფუძველი და სუბიექტია. მაგრამ ახლო განხილვისას ირკვევა, რომ ეს მცდარია. მოსახლეობა აბსტრაქციაა, თუ მე, მაგალითად, იმ კლასებს, რომლებისგანაც იგი შედგება, განზე ვტოვებ. ეს კლასებიც კვლავ ცარიელი სიტყვაა, თუ მე არ ვიცი ის ელემენტები, რომლებსაც ისინი ემყარებიან, მაგალითად, დაქირავებული შრომა, კაპიტალი და სხვა. ეს უკანასკნელნი გულისხმობენ გაცვლას, შრომის დანაწილებას, ფასებს და სხვა. კაპიტალი, მაგალითად, არაფერია დაქირავებული შრომის, ღირებულების, ფულის, ფასის და სხვ. გარეშე. ამიტომ, თუ მე მოსახლეობიდან დავიწყებდი, ეს იქნებოდა ქაოსური წარმოდგენა მთელზე, და მხოლოდ უფრო დაახლოებული განსაზღვრის გზით მივალწევდი ანალიტიკურად უფრო და უფრო მარტივ ცნებებს. წარმოდგენაში მოცემული კონკრეტულობიდან უფრო და უფრო მჭლე აბსტრაქციებზე გადავიდოდი, ვიდრე უმარტივეს განსაზღვრებებს არ

მივალწევდი. აქედან კი ისევ უკუსვლა უნდა დამეწყო, ვიდრე, ბოლოს, კვლავ არ მივალწევდი მოსახლეობას, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე არა როგორც ქაოსურ წარმოდგენას მთელზე, არამედ — როგორც მრავალი განსაზღვრისა და მიმართების შემცველ მდიდარ ერთობლიობას. პირველი გზა არის ის გზა, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია ისტორიულად გაჰყვა თავის წარმოშობისას. მეჩვიდმეტე საუკუნის ეკონომისტები, მაგალითად, ყოველთვის იწყებენ ცოცხალი მთელიდან, მოსახლეობიდან, ერიდან, სახელმწიფოდან, მრავალ სახელმწიფოდან და სხვა; მაგრამ ისინი ყოველთვის იმით ათავებენ, რომ ანალიზის საშუალებით გამოჰყოფენ ზოგიერთ განმსაზღვრელ, აბსტრაქტულ საყოველთაო ურთიერთობას, როგორიცაა შრომის დანაწილება, ფული, ღირებულება და სხვა. როგორც კი ეს ცალკეული მომენტები ბევრად თუ ცოტად აბსტრაჰირებული და ფიქსირებული გახდა, წარმოიშვა ეკონომიური სისტემები, რომელნიც მარტივიდან, როგორიცაა შრომა, შრომის დანაწილება, მოთხოვნილება, საცვლელი ღირებულება, ადიან ზევით სახელმწიფომდე, საერთაშორისო გაცვლამდე და მსოფლიო ბაზრამდე. უკანასკნელი მეთოდი, ცხადია, მეცნიერულად სწორი მეთოდია. კონკრეტული იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრათა შეერთებაა, მაშასადამე, მრავალსახეობის ერთიანობაა. ამიტომ აზროვნებაში იგი გვევლინება როგორც შეერთების პროცესი, როგორც შედეგი და არა როგორც ამოსავალი პუნქტი, თუმცა იგი სინამდვილეში ამოსავალი პუნქტია და, მაშასადამე, ჰვრეტისა და წარმოდგენის ამოსავალი პუნქტიც. როდესაც პირველი გზაა არჩეული, სრული წარმოდგენა აბსტრაქტულ განსაზღვრად ორთქლდება; როდესაც მეორეა არჩეული, აბსტრაქტული განსაზღვრებანი იძლევიან კონკრეტულის კვლავწარმოქმნას აზროვნების გზით. ამიტომ ჰეგელი ილუზიაში ვარდება, როდესაც მას რეალური ესმის როგორც შედეგი აზროვნებისა, რომელიც თავისში მოიცავს თაკის თავს (des sich in sich zusammenfassenden), თავისში ღრმავდება და თავის თავიდან ვითარდება. მაშინ როდესაც აბსტრაქტული-

დან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი მხოლოდ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, კვლავ წარმოქმნის მას გონებრივად როგორც კონკრეტულს. მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არაა თვით კონკრეტულის წარმოშობის პროცესი. უმარტივესი ეკონომიური კატეგორია, ვთქვათ, მაგალითად, საცვლელი ღირებულება, გულისხმობს მოსახლეობას, მოსახლეობას, რომელიც, გარკვეულ პირობებში აწარმოებს, გულისხმობს აგრეთვე ოჯახის, თემის, სახელმწიფოსა და სხვათა გარკვეულ ფორმებს. მას არასოდეს არ შეუძლია არსებობა სხვაგვარად, თუ არა უკვე მოცემული კონკრეტული და ცოცხალი მთლიანობის აბსტრაქტული ცალმხრივი მიმართების სახით.

პირიქით, საცვლელ ღირებულებას, როგორც კატეგორიას, წინადილუვიალური არსებობა აქვს. ამიტომ ცნობიერებისთვის, — ფილოსოფიური ცნობიერება კი იმით განსხვავდება, რომ მისთვის ლოგიკური აზროვნება—ეს ნამდვილი ადამიანია, ხოლო ლოგიკურად შეცნობილი სამყარო როგორც ასეთი—ნამდვილი სამყაროა,—ცნობიერებისთვის კატეგორიების მოძრაობა წარმოადგენს წარმოების ნამდვილ აქტს, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ბიძგს ღებულობს გარედან და რომლის შედეგიც სამყაროა; და ეს იმდენად არის მართებული,— აქ ჩვენ კვლავ ტავტოლოგია გვაქვს, — რამდენადაც კონკრეტული ერთობლიობა როგორც აზროვნებითი ერთობლიობა, როგორც აზროვნებითი კონკრეტულობა, მართლაც აზროვნების, გაგების პროდუქტია; მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არაა პროდუქტი ცნებისა, რომელიც თვალსაჩინო ჰვრეტისა და წარმოდგენის გარეშე აზროვნებს და თავის თავს თვითონ წარმოშობს, არამედ ეს ჰვრეტისა და წარმოდგენათა ცნებებად გადამუშავებაა. მთლიანობა, როგორც იგი გონებაში გვევლინება აზროვნებითი მთლიანობის სახით, პროდუქტია მოაზროვნე გონებისა, რომელიც სამყაროს აითვისებს მისთვის ერთადერთი შესაძლებელი წესით, წესით, რომელიც განსხვავდება ამ სამყაროს ხელოვნებით-რელიგიურ-პრაქტიკულ-გონებრივი ათვისებისაგან. რეალური

სუბიექტი უწინდებურად გონების გარეშე რჩება და თავისი დამოუკიდებელი სახით განაგრძობს არსებობას სწორედ მანამდე, ვიდრე გონებას მხოლოდ სპეკულაციურად, მხოლოდ თეორიულად უჭირავს თავი მის მიმართ. ამიტომ [პოლიტიკური ეკონომიის] თეორიული მეთოდის მომარჯვების დროსაც სუბიექტი, ე. ი. საზოგადოება, ჩვენს წარმოდგენას მუდამ თვალწინ უნდა ედგას როგორც წანამძღვარი.

მაგრამ ამ მარტივ კატეგორიებს ხომ არა აქვთ აგრეთვე დამოუკიდებელი ისტორიული ანუ ბუნებრივი არსებობა უფრო კონკრეტულ კატეგორიებზე ადრე? Ça dépend'. მაგალითად, ჰეგელი სამართლის ფილოსოფიას მართებულად იწყებს მფლობელობიდან, როგორც სუბიექტის უმარტივესი სამართლებრივი ურთიერთობიდან. მაგრამ არავითარი მფლობელობა არ არსებობს ოჯახამდე ანდა ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობამდე, რომელიც გაცილებით უფრო კონკრეტული ურთიერთობაა. პირიქით, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ არსებობენ ოჯახები, გვარები, რომელნიც ჯერ მხოლოდ ფლობენ, მაგრამ რომელთაც საკუთრება არ გააჩნიათ. მაშასადამე, უფრო მარტივი კატეგორია გვევლინება როგორც პირველადი ოჯახური და გვაროვნული კავშირების დამოკიდებულება საკუთრებისადმი. უფრო განვითარებულ საზოგადოებაში იგი ჩნდება განვითარებული ორგანიზმის უფრო მარტივი ურთიერთობის სახით, მაგრამ უფრო კონკრეტული სუბსტრატი, რომლის მიმართებაც მფლობელობას წარმოადგენს, მუდამ იგულისხმება. შეიძლება რომელიმე ცალკეული ველური მფლობელად წარმოვიდგინოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში მფლობელობა არ იქნება სამართლებრივი ურთიერთობა. არაა სწორი, თითქოს მფლობელობა ისტორიულად ოჯახად განვითარებულიყოს. მფლობელობა, პირიქით, გულისხმობს ამ «უფრო კონკრეტულ სამართლებრივ კატეგორიას». მაგრამ აქ მაინც რჩება ნაწილი ჭეშმარიტებისა, სახელდობრ ის, რომ მარტივი კატე-

---

[1] — გააჩნია გარემოებებს. რედ.

გორიები წარმოადგენენ იმ ურთიერთობათა გამოსახულებას, რომლებშიაც შესაძლებელია განხორციელდეს განუვითარებელი კონკრეტულობა, და განხორციელდეს მანამდე, ვიდრე დამყარდებოდეს ის მრავალმხრივი ურთიერთობა ანუ მრავალმხრივი კავშირი, რომელიც უფრო კონკრეტული კატეგორიით გონებრივად გამოისახება, მაშინ როდესაც უფრო განვითარებული კონკრეტულობა ინარჩუნებს ამავე კატეგორიას როგორც დაქვემდებარებულ ურთიერთობას.

ფული შეიძლება არსებობდეს და ისტორიულად არსებობდა კიდეც კაპიტალზე ადრე, ბანკებზე ადრე, დაქირავებულ შრომაზე ადრე და სხვ.. ამ მხრივ შესაძლებელია, მაშასადამე, ითქვას, რომ უფრო მარტივი კატეგორია შეიძლება გამოხატავდეს ნაკლებად განვითარებული მთელის გაბატონებულ ურთიერთობას ან უფრო განვითარებული მთელის დაქვემდებარებულ ურთიერთობას, [ურთიერთობას], რომელიც ისტორიულად უკვე არსებობდა მანამდე, ვიდრე, მთელი განვითარდებოდა იმ მიმართულებით, რომელიც უფრო კონკრეტული კატეგორიით არის გამოსახული. ამდენად კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა, რომელიც მარტივიდან რთულზე გადადის, ნამდვილ ისტორიულ პროცესს შეესაბამება.

მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ძალიან განვითარებული, მაგრამ ისტორიულად მაინც მოუმწიფებელი საზოგადოებრივი ფორმები, სადაც ადგილი აქვს პოლიტიკური ეკონომიის (der Oekonomie) უმაღლეს ფორმებს, მაგალითად, კოოპერაციას, შრომის განვითარებულ დანაწილებას და სხვ., მაგრამ არ არსებობს არავითარი ფული,—მაგალითად, პერუში.

სლავურ თემებშიც ასევე ფული და მისი გამაპირობებელი გაცვლა ან სულ არ გვხვდება, ანდა ისინი უმნიშვნელო როლს ასრულებენ ცალკეული თემების შიგნით, მაგრამ მათ [ვხვდებით] აღნიშნული თემების საზღვრებზე, სხვა თემებთან ურთიერთობაში; საერთოდ შეცდომაა იმის ვარაუდი, რომ ერთი და იმავე თემის შიგნით არსებობდა გაცვლა როგორც თავდაპირველი ჩამომყალიბებელი ელემენტი. პირი-

ჭით, გაცვლას თავდაპირველად ადგილი აქვს უფრო სხვადასხვა თემთა ურთიერთდამოკიდებულებაში, ვიდრე ერთი და იმავე თემის წევრებს შორის. შემდეგ: თუმცა ფული ადრე და მრავალმხრივ ასრულებს გარკვეულ როლს, მაგრამ იგი მაინც გაბატონებული ელემენტი ხდება ძველად მხოლოდ ცალმხრივად განსაზღვრულ ერებში, მოვაჭრე ერებში; ყველაზე განვითარებულ ძველს დროშიც კი, ბერძნებსა და რომაელებს შორის ფულის სრული განვითარება, რაც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წანამძღვარს შეადგენს, მხოლოდ რღვევის პერიოდში იჩენს თავს. ამრიგად, ეს სრულიად მარტივი კატეგორია მთელი თავისი ინტენსივობით ისტორიულად გვევლინება მხოლოდ საზოგადოების უაღრესად განვითარებულ მდგომარეობაში. იგი სრულიადაც არაა შეჭრილი ყველა ეკონომიურ ურთიერთობაში; მაგალითად, რომის იმპერიაში, მისი უაღრესი განვითარების პერიოდში, საფუძველს წარმოადგენდა ისევ ხარკი ნატურით და ბეგარა ნატურით. ფულადი მეურნეობა იქ სავსებით განვითარებული იყო, სწორად რომ ვთქვათ, მხოლოდ არმიაში და მას არასოდეს არ მოუცავს შრომის პროცესი მთლიანად.

ამრიგად, თუმცა უფრო მარტივ კატეგორიას შეიძლება ისტორიულად უფრო კონკრეტულ კატეგორიაზე ადრეც ეარსებნოს, მაგრამ თავისი სრული ინტენსიური და ექსტენსიური განვითარებით იგი შეიძლება მხოლოდ უფრო რთულ საზოგადოებრივ ფორმებს ეკუთვნოდეს, მაშინ როდესაც უფრო კონკრეტული კატეგორია სავსებით განვითარებული იყო უფრო ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებრივ ფორმაციაშიც.

შრომა სრულიად მარტივ კატეგორიად გვეჩვენება. წარმოდგენა მასზე ამ საყოველთაობაში — როგორც შრომაზე საერთოდ — ასევე ძველისძველია. მიუხედავად ამისა «შრომა», ეკონომიურად განხილული ამ მარტივ ფორმაში, ისეთივე თანამედროვე კატეგორიაა, როგორც ის ურთიერთობა, რომელიც ამ მარტივ აბსტრაქციას წარმოშობს. მონეტა-

რული სისტემა, მაგალითად, სიმდიდრეს განსაზღვრავს ჯერ კიდევ სრულიად ობიექტურად, როგორც ნივთს, ფულში არსებულს (als Sache ausser sich im Geld). ამ თვალსაზრისთან შედარებით დიდი პროგრესია, როცა მანუფაქტურულ ანუ კომერციულ სისტემას სიმდიდრის წყარო საგნიდან სუბიექტურ საქმიანობაში — კომერციულ და მანუფაქტურულ შრომაში — გადააქვს, თუმცა თვით ეს საქმიანობა ჯერ კიდევ გაგებულია შეზღუდული ფორმით, სახელდობრ როგორც ფულის შემქმნელი საქმიანობა. ამ სისტემას უპირისპირდება ფიზიოკრატული სისტემა, რომელსაც სიმდიდრის შემქმნელად მიაჩნია შრომის გარკვეული ფორმა — სოფლის მეურნეობა, თვით ობიექტი კი წარმოდგენილი აქვს უკვე არა როგორც ფულის გარსში გახვეული, არამედ როგორც პროდუქტი საერთოდ, როგორც შრომის საყოველთაო შედეგი. მაგრამ ეს პროდუქტი, საქმიანობის შემოსაზღვრულობის შესაბამისად, ყოველთვის მხოლოდ გარკვეული ბუნებრივი თვისებების მქონე პროდუქტია, — პროდუქტი მიწათმოქმედებისა, პროდუქტი მიწისა par excellence. ადამ სმიტის მხრივ უდიდესი პროგრესი იყო ის, რომ მან უკუაგდო სიმდიდრის შემქმნელი საქმიანობის ყოველი განსაზღვრულობა და [მის ადგილას დააყენა] შრომა როგორც ასეთი, არა მანუფაქტურული, არა კომერციული, არა სამიწათმოქმედო შრომა, არამედ როგორც ერთი, ისე მეორე. სიმდიდრის შემქმნელი საქმიანობის აბსტრაქტულ საყოველთაობასთან ერთად ჩვენ ახლა [გვევლინება] აგრეთვე საყოველთაობა საგნისა, რომელიც განსაზღვრულია როგორც სიმდიდრე; ეს არის პროდუქტი საერთოდ, ანუ კვლავ შრომა საერთოდ, მაგრამ უკვე როგორც წარსული გასაგნობრივებული შრომა. თუ რაოდენ ძნელი და დიადი იყო ეს გადასვლა, იქიდან ჩანს, რომ თვით ადამ სმიტი დროგამოშვებით კვლავ უბრუნდება ხოლმე ფიზიოკრატულ სისტემას. ამიერიდან შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ გზით ნაპოვნია მხოლოდ აბსტრაქტული გამოხატულება უმარტივესი და უძველესი ურთიერთობისათვის, რომელშიაც ადამიანები —

სულ ერთია როგორიც უნდა იყოს საზოგადოებრივი ფორმა — გამოდიან როგორც მწარმოებელნი. ეს სწორია ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი — არა.

განურჩეველი დამოკიდებულება შრომის განსაზღვრული სახეობისადმი გულისხმობს შრომის ისეთ ნამდვილ სახეობათა უაღრესად განვითარებულ ერთობლიობას, რომელთაგან არც ერთი არ წარმოადგენს ყველა სხვა დანარჩენზე გაბატონებულ სახეობას. ასე წარმოიშვება საერთოდ ყველაზე ზოგადი აბსტრაქციები მხოლოდ მდიდარი კონკრეტული განვითარების პირობებში, სადაც ერთი და იგივე თვისება საერთოა ბევრისათვის, ან ყველა ელემენტისათვის. მაშინ ეს თვისება უკვე აღარ შეიძლება გააზრებულ იქნას მარტო განსაკუთრებული ფორმით. მეორე მხრივ, შრომის ეს აბსტრაქცია არ არის მხოლოდ გონებრივი შედეგი სხვადასხვა შრომის კონკრეტული ერთობლიობისა. განურჩევლობა განსაზღვრული შრომისადმი შეესაბამება ისეთ საზოგადოებრივ ფორმას, სადაც ინდივიდები ადვილად გადადიან ერთი სახის შრომიდან მეორეზე, შრომის განსაზღვრული სახე მათთვის შემთხვევითი და, მაშასადამე, სულ ერთია. შრომა აქ არა მარტო კატეგორიაში, არამედ სინამდვილეშიც გადაქცეულია საერთოდ სიმდიდრის შექმნის საშუალებად და მან უკვე დაკარგა თავისი დანიშნულება — სპეციფიკური კავშირი გარკვეულ ინდივიდთან. ასეთი მდგომარეობა ყველაზე უფრო განვითარებულია ბურჟუაზიული საზოგადოების მყოფობის ყველაზე თანამედროვე ფორმაში — შეერთებულ შტატებში. ამრიგად, აქ «შრომის» კატეგორიის აბსტრაქცია, «შრომა საერთოდ», შრომა sans phrase[1], თანამედროვე ეკონომიური მეცნიერების ეს ამოსავალი პუნქტი, პირველად ხდება პრაქტიკულად ჭეშმარიტი. მაშასადამე, უმარტივესი აბსტრაქცია, რომელსაც თანამედროვე ეკონომიური მეცნიერება ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს და რომელიც ძველისძველ და ყველა საზოგადოებრივი ფორმისთვის

---

[1] — სრულიად. რ ე დ.

ძალაში მყოფ ურთიერთობას გამოსახავს, — პრაქტიკულად ჰეშმარიტ კატეგორიად მხოლოდ ამ აბსტრაქციაში გვევლინება, როგორც ყველაზე თანამედროვე საზოგადოების კატეგორია. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ რაც შეერთებულ შტატებში ისტორიულ პროდუქტს წარმოადგენს, — ეს განურჩევლობა განსაზღვრული სახის შრომის მიმართ, — რუსებში, მაგალითად, ბუნებრივად აღმოცენებულ თვისებას შეადგენს. მაგრამ, ჯერ-ერთი, დიდი განსხვავებაა: ბარბაროსებს აქვთ თვისება შეეგუონ ყველაფერს თუ ცივილიზებული ადამიანები თვითონ შეუგუებენ თავიანთ თავს ყველაფერს. და, შემდეგ, რუსებში ამ განურჩეველ დამოკიდებულებას რომელიმე განსაზღვრული შრომისადმი პრაქტიკულად შეესაბამება ტრადიციული მიჯაჭვულობა სრულიად გარკვეულ სამუშაოზე, რომელსაც ისინი მხოლოდ რაიმე გარეშე ზევავლენის გამო თუ ჩამოშორდებიან.

შრომის ეს მაგალითი დამარწმუნებლად ცხადყოფს, რომ ყველაზე აბსტრაქტული კატეგორიებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ თავიანთი აბსტრაქტულობის გამო მათ ყველა ეპოქისთვის აქვთ ძალა, მაინც ამ აბსტრაქციის განსაზღვრულობაშიც ისტორიული ურთიერთობის პროდუქტს წარმოადგენენ და თავიანთი სრული მნიშვნელობა მხოლოდ ამ ურთიერთობისათვის და მის შიგნით აქვთ.

ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოების უაღრესად განვითარებული და მრავალსახოვანი ისტორიული ორგანიზაციაა. კატეგორიები, რომელნიც ამ საზოგადოების ურთიერთობას გამოსახავენ, მისი სტრუქტურის (Gliederung) გაგება, ამასთანავე შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ ყველა იმ დრომოჭმული საზოგადოებრივი ფორმის სტრუქტურა და წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთა ნანგრევებსა და ელემენტებზეც ბურჟუაზიული საზოგადოება აღიმართა, და აღიმართა ისე, რომ ნაწილობრივ ზოგ ნაშთებს, რომელთაც მან ჯერ კიდევ ვერ სძლია, იგი თან მიათრევს, ნაწილობრივაც ზოგს, რაც წინათ მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობდა, სრულს მნიშვნელობამდე ავითარებს და სხვ.. ადამია-

ნის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია. პირიქით, უმაღლესის ნიშნები დაბალი სახის ცხოველებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, თუ ეს უმაღლესი უკვე ცნობილია. ამრიგად, ბურჟუაზიული ეკონომია იძლევა გასაღებს ანტიკური ეკონომიისთვის და სხვ.. მაგრამ სრულიადაც არა იმ აზრით, როგორც ეს ესმით ეკონომისტებს, რომელთაც ყველა ისტორიული განსხვავება წაშლილი აქვთ და ყველა საზოგადოებრივ ფორმაში ბურჟუაზიულ ფორმას ხედავენ. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ხარკი, სამეათედო და სხვ., თუ ვიცით მიწის რენტა, მაგრამ არ შეიძლება მათი გაიგივება უკანასკნელთან.

რადგან, შემდეგ, თვით ბურჟუაზიული საზოგადოება განვითარების მხოლოდ ანტაგონისტური ფორმაა, ამიტომ ჩვენ მასში ვხვდებით ადრინდელ ფორმაციათა ურთიერთობას ხშირად სრულიად დაკნინებული, ანდა გაშარჟებული სახითაც კი, მაგალითად, სათემო საკუთრებას. ამიტომ, თუ მართალია, რომ ბურჟუაზიული ეკონომიის კატეგორიები ყველა სხვა საზოგადოებრივი ფორმისათვის ჭეშმარიტებას შეიცავენ, ეს ჩვენ უნდა გავიგოთ მხოლოდ cum grano salis[1]. ეს კატეგორიები შეიძლება ამ ურთიერთობას შეიცავდნენ განვითარებული, დამახინჯებული, გაკარიკატურებული და სხვ. სახით, მაგრამ — ყოველთვის არსებითად შეცვლილი სახით. ეგრეთწოდებული ისტორიული განვითარება იმაზეა საერთოდ დამყარებული, რომ მერმინდელი ფორმა ადრინდელ ფორმებს თავის საფეხურებად განიხილავს და ისინი ყოველთვის ცალმხრივად ესმის, ვინაიდან მას ძალიან იშვიათად და მხოლოდ სრულიად გარკვეულ პირობებში შესწევს თვითკრიტიკის უნარი; რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია არა ისეთ ისტორიულ პერიოდებზე, რომლებიც თვითონ დაშლის ხანას წარმოადგენენ. ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ მაშინ აღმოაჩნდა უნარი ხელი შეეწყო წინანდელი მითოლოგიის ობიექტური გაგებისათვის, როცა მისი თვითკრიტიკა

[1] სიტყვასიტყვით: ჭართი წება მარილით. ნიშნავს: გარკვეული შეზღუდულობით, არა სრული აზრით.

რამდენადმე მზად იყო, ასე ვთქვათ, dynamei. ასევე ბურჟუაზიულმა ეკონომიამ მხოლოდ მაშინ მიაღწია ფეოდალური, ანტიკური, აღმოსავლური საზოგადოების გაგებას, როცა ბურჟუაზიული საზოგადოების თვითკრიტიკა დაიწყო. რამდენადაც ბურჟუაზიული ეკონომია, მითოლოგიაში გადავარდნილი, თავის თავს პირწმინდად არ აიგივებდა წარსულთან, — მისი კრიტიკა წინანდელი, სახელდობრ ფეოდალური [საზოგადოებისა], რომლის წინააღმდეგ მას უშუალოდ ბრძოლა უხდებოდა, იმ კრიტიკას ჰგავდა, რომელსაც ქრისტიანობა წარმართობის მიმართ ანდა პროტესტანტიზმი კათოლიციზმის მიმართ ეწეოდა.

როგორც საერთოდ ყოველ ისტორიულ, სოციალურ მეცნიერებაში, ეკონომიური კატეგორიების განვითარების დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სინამდვილეშიც და გონებაშიც მოცემულია სუბიექტი, — ამ შემთხვევაში თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, — და რომ კატეგორიები, მაშასადამე, ამ გარკვეული საზოგადოების, ამ სუბიექტის მყოფობის ფორმებს, არსებობის პირობებს, ხშირად მხოლოდ ცალკეულ მხარეებს გამოხატავენ, და რომ [პოლიტიკური ეკონომია], მაშასადამე, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ა დ ა ც არავითარ შემთხვევაში არ იწყება მხოლოდ იქ, სადაც მასზე რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ზ ე ლაპარაკია. ეს მოსაზრება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რადგან იგი ერთბაშად იძლევა გადამწყვეტ მითითებებს [საგნის] დანაწილების. შესახებ.

მაგალითად, ისე გვეჩვენება, თითქოს ყველაზე ბუნებრივია დავიწყოთ მიწის რენტით, მიწის საკუთრებით, რადგან ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მიწასთან, ყოველი წარმოებისა და ყოველი მყოფობის წყაროსთან, და მიწათმოქმედებასთან, რომელიც წარმოების თავდაპირველი ფორმაა ყველა რამდენადმე მტკიცედ ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში. მაგრამ ამაზე უფრო მცდარი არა იქნებოდა რა. საზოგადოების ყველა ფორმას აქვს გარკვეული წარმოება, რომელიც ყველა დანარჩენს სჭარბობს და რომლის პირობებიც ამიტომ, ყველა დანარჩენის ადგილსა და გავლენას განსაზღვრავს. ეს არის

საერთო გაშუქება, რომელშიც სხვა ფერები შთაინთქება და რომელიც მათ მათსავე თავისებურებაში სახეს შეუცვლის. ეს არის თავისებური ეთერი, რომელიც ყველა მასში არსებული მყოფობის სპეციფიკურ წონას განსაზღვრავს.

ავიღოთ, მაგალითად, მეჯოგე ხალხები (ხალხები, რომელნიც მხოლოდ ნადირობას და მეთევზეობას მისდევენ, იმ პუნქტის გარეშე იმყოფებიან, სადაც ნამდვილი განვითარება იწყება). მათში ჩვენ ვხვდებით მიწათმოქმედების გარკვეულ ფორმას, რომელსაც სპორადული ხასიათი აქვს. მიწის საკუთრება ამით განისაზღვრება. იგი კოლექტიურია და ამ ფორმას ბევრად თუ ცოტად ინარჩუნებს იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ მეტნაკლებ ძტკიცედ ადგანან ეს ხალხები თავიანთ ტრადიციას, მაგალითად, თემური საკუთრება სლავებში. მობინადრე მიწათმოქმედ ხალხებში, — ეს მობინადრეობა უკვე დიდი პროგრესია, — სადაც მიწათმოქმედება სჭარბობს, როგორც ეს ანტიკურსა და ფეოდალურ საზოგადოებაშია, თვით მრეწველობას, მის ორგანიზაციას და საკუთრების ფორმებს, რომელნიც მას შეესაბამებიან, მეტნაკლებ მიწათმფლობელური ხასიათი აქვთ; [საზოგადოება] ან სავსებით დამოკიდებულია მიწათმოქმედებაზე, როგორც ძველ რომაელებში, ანდა, როგორც შუა საუკუნეებში, მიწათმოქმედების ორგანიზაციის პრინციპები მას გადააქვს ქალაქად და საქალაქო ურთიერთობაში. თვით კაპიტალსაც, რამდენადაც იგი წმინდა ფულადი კაპიტალი არ არის, — შუა საუკუნეებში, ტრადიციული ხელოსნური სამუშაო იარაღის და სხვ. სახით, ეს მიწათმფლობელური ხასიათი აქვს.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პირიქითაა. მიწათმოქმედება აქ სულ უფრო და უფრო მრეწველობის მხოლოდ ერთ-ერთი დარგი ხდება და სავსებით კაპიტალის ბატონობას ექვემდებარება. ასევე მიწის რენტაც. [საზოგადოების] ყველა ფორმაში, სადაც მიწის საკუთრებაა გაბატონებული, ჯერ კიდევ ბუნებრივი ურთიერთობა სჭარბობს. იქ კი, სადაც კაპიტალი ბატონობს, უპირატესობა აქვს საზოგადოებრივ, ისტორიულად შექმნილ ელემენტს. მიწის რენტის

გაგება შეუძლებელია უკაპიტალოდ, კაპიტალის გაგება კი სავსებით შესაძლებელია მიწის რენტის გარეშე. კაპიტალი ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური ძალაა, რომელიც ყველაფერზე ბატონობს. იგი ამოსავალ და საბოლოო პუნქტს უნდა შეადგენდეს და მიწის საკუთრებაზე უფრო ადრე უნდა იქნას განხილული (entwickelt). მათი ცალ-ცალკე განხილვის შემდეგ უნდა განვიხილოთ მათი ურთიერთდამოკიდებულება.

ამრიგად, დაუშვებელი და მცდარი იქნებოდა, ეკონომიური კატეგორიები იმ თანამიმდევრობით აგვეღო, რა თანამიმდევრობითაც ისინი ისტორიულად გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. პირიქით, მათი თანამიმდევრობა განისაზღვრება იმ ურთიერთობით, რომელიც მათ აქვთ ერთმანეთთან თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ამასთანავე ეს ურთიერთობა პირდაპირ საწინააღმდეგოა იმისა, რაც მათ ბუნებრივ ურთიერთობად წარმოგვიდგება, ან რაც ისტორიული განვითარების თანამიმდევრობას შეესაბამება. აქ ლაპარაკია არა იმ ადგილზე, რომელსაც ეკონომიური ურთიერთობანი იკავებენ ისტორიულად სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმების მონაცვლეობაში. კიდევ უფრო ნაკლებ არის ლაპარაკი მათ თანამიმდევრობაზე «იდეაში» (პრუდონი), რომელიც მხოლოდ გაუკუღმართებული წარმოდგენაა ისტორიული მოძრაობისა. აქ ლაპარაკია მათ დანაწევრებაზე თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით.

ის სიწმინდე (აბსტრაქტული განსაზღვრულობა), რომლითაც მოვაჭრე ხალხები — ფინიკიელები, კართაგენელები— ძველს ქვეყანაში გვევლინებიან, მოცემულია სწორედ იმით, რომ თვით მიწათმოქმედი ხალხები სჭარბობენ. კაპიტალი სავაჭრო ანუ ფულადი კაპიტალის სახით გვევლინება სწორედ ამ აბსტრაქციაში იქ, სადაც კაპიტალი ჯერ კიდევ არ გამხდარა საზოგადოების გაბატონებული ელემენტი. ლომბარდიელებს და ებრაელებს იგივე ადგილი უკავიათ შუა საუკუნეების მიწათმოქმედ საზოგადოებათა მიმართ.

იმის შემდგომ მაგალითად, რომ ერთი და იგივე კატეგორიები სხვადასხვა ადგილს იკავებენ საზოგადოების განვი-

თარების სხვადასხვა საფეხურზე, შეიძლება ავიღოთ შემდეგი: ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთი უკანასკნელი ფორმა, აქციონერთა საზოგადოებანი, გვევლინება აგრეთვე ამ საზოგადოების დასაწყისშიც დიდი პრივილეგიური და მონოპოლიით აღჭურვილი სავაჭრო კომპანიების სახით.

თვით ნაციონალური სიმდიდრის ცნება მეჩვიდმეტე საუკუნის ეკონომისტების ნაწერებში იმ სახით გამოსჭვივის, — ეს წარმოდგენა ნაწილობრივ მეთვრამეტე საუკუნის ეკონომისტებსაც აქვთ კიდევ შენარჩუნებული, — რომ სიმდიდრე მხოლოდ სახელმწიფოსთვის იქმნება, ხოლო ამ უკანასკნელის ძალა ამ სიმდიდრეზეა დამოკიდებული. ეს იყო ის ჯერ კიდევ შეუცნობელი ფარისევლური ფორმა, რომლითაც თვით სიმდიდრე და მისი წარმოება გამოცხადებული იყო თანამედროვე სახელმწიფოს მიზნად, ხოლო თვით სახელმწიფო ჯერ კიდევ მხოლოდ სიმდიდრის წარმოების საშუალებად განიხილებოდა.

საგნის დაყოფა, ცხადია, ასე უნდა მოხდეს: 1) ზოგადი აბსტრაქტული განსაზღვრებანი, რომლებიც სწორედ ამიტომ ბევრად თუ ცოტად ყველა საზოგადოებრივ ფორმას მიეკუთვნება, მაგრამ ზემოთ განმარტებული აზრით. 2) კატეგორიები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან სტრუქტურას შეადგენენ და რომლებსაც ძირითადი კლასები ემყარებიან. კაპიტალი, დაქირავებული შრომა, მიწის საკუთრება, მათი ურთიერთდამოკიდებულება. ქალაქი და სოფელი. სამი დიდი საზოგადოებრივი კლასი. გაცვლა მათ შორის. მიმოქცევა. კრედიტი (კერძო). 3) ბურჟუაზიული საზოგადოების შეჯამება სახელმწიფოს ფორმით. თავის თავისადმი მიმართებაში განხილული. «არაპროდუქტიული» კლასები. გადასახადები. სახელმწიფო ვალი. სახელმწიფო კრედიტი. მოსახლეობა. კოლონიები. ემიგრაცია. 4) წარმოების საერთაშორისო პირობები. შრომის საერთაშორისო დანაწილება. საერთაშორისო გაცვლა. ექსპორტი და იმპორტი სათამასუქო კურსი. 5) მსოფლიო ბაზარი და კრიზისები.

4. წარმოება. წარმოების საშუალებანი და წარმოებითი ურთიერთობანი. წარმოებითი ურთიერთობა და კავშირ-ურთიერთობა. სახელმწიფოს ფორმები და შემეცნების ფორმები მათ კავშირში წარმოებით ურთიერთობასთან და კავშირურთიერთობასთან. სამართლებრივი ურთიერთობანი. ოჯახური ურთიერთობანი.

Notabene იმ მუხლების შესახებ, რომლებიც აქ უნდა მოვიხსენიოთ და რომლებიც არ უნდა დაგვავიწყდეს.

1. ომმა უფრო ადრე მიაღწია დასრულებულ ფორმებს, ვიდრე მშვიდობიანობამ; [უნდა განიმარტოს] ის წესი, თუ როგორ განვითარდა ომის მეოხებით და არმიებში გარკვეული ეკონომიური ურთიერთობა, როგორიცაა დაქირავებული შრომა, მანქანები და სხვ., უფრო ადრე, ვიდრე ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით. აგრეთვე ურთიერთობაც მწარმოებლურ ძალებსა და სამიმოსვლო პირობებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება არმიაში.

2. ისტორიოგრაფიის წინანდელი იდეალისტური მეთოდის დამოკიდებულება რეალისტურთან. სახელდობრ ეგრეთწოდებული კულტურის ისტორია, რელიგიათა და სახელმწიფოთა მთელი ისტორია.

ამასთან შეიძლება აგრეთვე ცოტა რამ ითქვას აქამდე არსებული ისტორიოგრაფიის სხვადასხვა სახეობის შესახებ. ეგრეთწოდებული ობიექტური მეთოდი. სუბიექტური (მორალური და სხვ.). ფილოსოფიური.

3. მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი. საერთოდ ნაწარმოები, გადატანილი, არა თავდაპირველი წარმოებითი ურთიერთობანი. აქ [განხილულ უნდა იქნას] საერთაშორისო ურთიერთობათა გავლენა.

4. საყვედური ასეთი გაგების მატერიალიზმის გამო: დამოკიდებულება ნატურალისტურ მატერიალიზმთან.

5. მწარმოებლური ძალების (წარმოების საშუალებანი) და წარმოებითი ურთიერთობის ცნებათა დიალექტიკა,—დიალექტიკა, რომლის ფარგალიც უნდა განისაზღვროს და რომელიც რეალურ განსხვავებას არ სპობს.

6. მატერიალური წარმოების განვითარების უთანატოლო შეფარდება, მაგალითად, ხელოვნებითს წარმოებასთან. საერთოდ პროგრესის ცნება არ უნდა ავიღოთ ჩვეულებრივ აბსტრაქციაში. ხელოვნების საკითხებში და სხვ.. ეს დისპროპორცია ჯერ კიდევ არაა ისე მნიშვნელოვანი და ისე ძნელი გასაგებად, როგორიც თვით პრაქტიკულ-სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, მაგალითად, განათლების შედარებითი მდგომარეობა შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. მაგრამ ნამდვილად ძნელი პუნქტი, რომელიც აქ განმარტებას საჭიროებს, შემდეგია: როგორ ხდება, რომ წარმოებითი ურთიერთობანი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობანი, უთანაბრო განვითარებას განიცდიან. მაშასადამე, მაგალითად, რომის კერძო სამართლის (სისხლის სამართალსა და სახელმწიფო სამართალს ეს უფრო ნაკლებად შეეხება) დამოკიდებულება თანამედროვე წარმოებასთან.

7. ეს გაგება აუცილებელ განვითარებად გვევლინება. მაგრამ შემთხვევითობის უფლებამოსილობაც Va[ria] (თავისუფლება და სხვა კიდევ). (მიმოსვლის საშუალებათა გავლენა.) მსოფლიო ისტორია ყოველთვის არ არსებობდა; ისტორია როგორც მსოფლიო ისტორია—შედეგია.

8. ამოსავალი პუნქტი, რასაკვირველია, ბუნებრივი განსაზღვრულობიდან: სუბიექტურად და ობიექტურად, ტომები, რასები და სხვ.

ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი აყვავების გარკვეული პერიოდები სულაც არ შეესაბამება საზოგადოების საერთო განვითარებას, მაშასადამე, არც ამ საზოგადოების მატერიალური საფუძვლის განვითარებას, საფუძვლისა, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩონჩხს შეადგენს. მაგალითად, ბერძნები შედარებით თანამედროვე ხალხებთან ანდა აგრეთვე შექსპირი. ხელოვნების გარკვეული ფორმების, მაგ., ეპოსის, შესახებ აღიარებულიც კია, რომ ისინი თავიანთი კლასიკური სახით, რომელიც ეპოქის შემქმნელია მსოფლიო ისტორიაში, ვერასოდეს ველარ წარმოიქმნებიან, მას

შემდეგ, რაც ხელოვნებითი წარმოება, როგორც ასეთი, დაიწყო; რომ, მაშასადამე, თვით ხელოვნების სფეროში გარკვეული ფორმები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, შესაძლებელია ხელოვნების განვითარების მხოლოდ დაბალ საფეხურზე. თუ ამას ადგილი აქვს ხელოვნების სფეროს შიგნით ამ ხელოვნების სხვადასხვა სახეობათა შორის არსებულ დამოკიდებულებაში, მაშინ მით უფრო ნაკლებ გასაკვირია, რომ ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი ხელოვნების მთელი სფეროს დამოკიდებულებაში საზოგადოების საერთო სოციალურ განვითარებასთან. სიძნელე მდგომარეობს ამ წინააღმდეგობათა მხოლოდ ზოგად ფორმულირებაში. საკმარისია თვითეული მათგანი გამოვყოთ, და ისინი უკვე ახსნილია. ავიღოთ, მაგალითად, საბერძნეთის ხელოვნებისა და შემდეგ შექსპირის დამოკიდებულება თანამედროვეობასთან. ცნობილია, რომ ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც. განა შესაძლებელია, რომ იმ შეხედულებას ბუნებაზე და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც ბერძნულ ფანტაზიას და, მაშასადამე, ბერძნულ [ხელოვნებას] საფუძვლად უდევს, ადგილი ჰქონდეს სელფაქტორის, რკინიგზების, ორთქლმავალებისა და ელექტრონული ტელეგრაფის არსებობის დროს? სადღაა ადგილი ვულკანისთვის Roberts & Co-ის გვერდით, იუპიტერისათვის მეხსარიდის გვერდით და ჰერმესისათვის Crédlit Mobilier-ის გვერდით! ყოველი მითოლოგია ძლევს, იმორჩილებს და აყალიბებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით; მაშასადამე, იგი ისპობა ბუნების ამ ძალებზე ნამდვილ ბატონობასთან ერთად. რაღა იქნებოდა ღმერთქალი ფ ა მ ა Printinghousesquare-ს[1] გვერდით? ბერძნული ხელოვნების წანამძღვარს წარმოადგენს ბერძნული მითოლოგია, ე. ი. ბუნება და თვით საზოგადოებრივი ფორმები, უკვე გადამუშავებულნი შეუცნობელ-ხელოვნებითი წესით ხალხური ფანტაზიის მიერ. ეს არის მისი

---

[1] «Times»-ის სტამბა ლონდონში. რ ე დ.

მასალა. მაგრამ არა ყოველი მითოლოგია, ე. ი. არა ყოველი შეუცნობელ-ხელოვნებითი გადამუშავება ბუნებისა (აქ ამ უკანასკნელში იგულისხმება ყოველივე, მაშასადამე, საზოგადოების ჩათვლით). ეგვიპტური მითოლოგია ვერასოდეს ვერ იქნებოდა ბერძნული ხელოვნების ნიადაგი და მშობლიური წიაღი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სწორედ მითოლოგია. ამრიგად, არავითარ შემთხვევაში საზოგადოების ისეთი განვითარება, რომელიც გამორიცხავს ყოველ მითოლოგიურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, ყოველ გამმითებელ მიმართებას მისადმი, რომელიც, მაშასადამე, ხელოვანისაგან მოითხოვს ფანტაზიას, დამოუკიდებელს მითოლოგიისაგან.

მეორე მხრივ: განა შესაძლებელია აქილევსი დენთისა და ტყვიის ეპოქაში? ანდა, საერთოდ ილიადა საბეჭდი დაზგისა და საბეჭდი მანქანის გვერდით? განა არ ქრება აუცილებლად სიმღერები, თქმულებანი და მუზები და ამით, მაშასადამე, ეპიკური პოეზიის აუცილებელი პირობებიც, საბეჭდი დაზგის გაჩენასთან ერთად?

მაგრამ სიძნელეს იმის გაგება კი არ წარმოადგენს, რომ ბერძნული ხელოვნება და ეპოსი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ფორმებთანაა დაკავშირებული. სიძნელე იმის გაგებაშია, რომ ისინი ჩვენ ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ.

მამაკაცი ხელახლა ბავშვად ვერ იქცევა, თუ არა და გაბავშვდება. მაგრამ განა მას არ ახარებს ბავშვის გულუბრყვილობა, განა თვით იგი არ უნდა ესწრაფვოდეს იმას, რომ უმაღლეს საფეხურზე კვლავ წარმოქმნას თავისი ჭეშმარიტი არსება; განა ბავშვურ ბუნებაში ყოველ ეპოქაში არ ცოცხლდება მისი საკუთარი ხასიათი მისი ჭეშმარიტი ბუნებრივი სახით? კაცობრიობის საზოგადოებრივ ბავშვობას იქ, სადაც იგი უმშვენიერესად გაიშალა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის მარადიული მიმზიდველობა, როგორც განუმეორებელ საფეხურს? არიან გაუწვრთნელი ბავშვები და ნაადრევად ჭკვიანი ბავშვები. ძველ ხალხთაგან ბევრნი ამ კატეგორიას

ეკუთვნიან. ნორმალური ბავშვები იყვნენ ბერძნები. ჩვენთვის მათი ხელოვნების მომხიბლველობა არ ეწინააღმდეგება განუვითარებელ საზოგადოებრივ საფეხურს, რომელზედაც ეს ხელოვნება აღმოცენდა. იგი, პირიქით, ამ საფეხურის შედეგია და განუყრელად დაკავშირებულია მასთან იმით, რომ ის მოუმწიფებელი საზოგადოებრივი პირობები, რომლებშიაც იგი წარმოიშვა და სადაც მარტოოდენ შეიძლებოდა წარმოშობილიყო, არასოდეს არ შეიძლება ხელახლა განმეორდეს.

(ხელნაწერი აქ წყდება)

II

ფრ. ენგელსი

კ. მარქსი «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»[1]

I

გერმანელებმა უკვე დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ მეცნიერების ყველა დარგში ისინი დანარჩენი ცივილიზებულიერების თანასწორნი არიან, ხოლო მეტწილ დარგებში მათ თავიანთი უპირატესობაც კი აქვთ. მხოლოდ ერთი მეცნიერების — პოლიტიკური ეკონომიის — კორიფეებს შორის არ იყო არც ერთი გერმანელის სახელი. ამის მიზეზი ადვილი გასაგებია. პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების თეორიულ ანალიზს და ამიტომ იგი გულისხმობს განვითარებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას, ურთიერთობას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე, რეფორმაციის და გლეხთა ომების დროიდან, განსაკუთრებით კი ოცდაათწლიანი ომის დროიდან, გერმანიაში ვერ წარმოიშვებოდა. ჰოლანდიის ჩამოცილებამ იმპერიისაგან გერმანია დააშორა მსოფლიო ვაჭრობას და მისი სამრეწველო განვითარება იმთავითვე უმნიშვნელო მოცულობამდე დაიყვანა; და მაშინ როდესაც გერმანელები ესოდენ გაჭირვებით და ასე ნელა იმართებოდნენ წელში სამოქალაქო ომებით გამოწვეულ განადგურებათაგან, მაშინ როდესაც ისინი მთელ თავიანთ სამოქალაქო ენერგიას, რომელიც განსაკუთრებულად დიდი არას დროს არ ყოფილა, იმაზე ხარჯავდნენ, რომ უნაყოფო ბრძოლა ეწარმოებინათ საბაჟო ზღუდეებისა

[1] დაწერილია 1859 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში; დაიბეჭდა გაზეთში «Das Volk» 1859 წ. 6 და 20 აგვისტოს ხელმოუწერლად. რედ.

და უაზრო სავაჭრო წესდებების წინააღმდეგ, რომლებსაც თვითეული პაწაწა თავადი და იმპერიის თვითეული ბარონი თავის ქვეშევრდომთა მრეწველობას უმორჩილებდა, მაშინ როდესაც იმპერიის ქალაქები ნადგურდებოდნენ ამქართა და პატრიციატის წვრილმან ჩხუბში, — ამ დროს ჰოლანდია, ინგლისი და საფრანგეთი პირველ ადგილებს იპყრობდნენ მსოფლიო ვაჭრობაში, კოლონიებს კოლონიებზე აარსებდნენ და მანუფაქტურულ მრეწველობას უმაღლეს აყვავებამდე ავითარებდნენ, ვიდრე, დასასრულ, ინგლისი, ორთქლის შემწეობით, რამაც პირველად მისცა ღირებულება მისი ნახშირისა და რკინის საბადოებს, თანამედროვე ბურჟუაზიული განვითარების სათავეში არ მოექცა. მაგრამ ვიდრე ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლა შუა საუკუნეების ისეთი სასაცილოდ მოძველებული ნაშთების წინააღმდეგ, რომელნიც 1830 წლამდე გერმანიის მატერიალურ ბურჟუაზიულ განვითარებას ბორკავდნენ, — არავითარი გერმანული პოლიტიკური ეკონომია არ იყო შესაძლებელი. მხოლოდ საბაჟო კავშირის დაარსების[1] შემდეგ მიაღწიეს გერმანელებმა ისეთ მდგომარეობას, როდესაც მათ საერთოდ შეეძლოთ პოლიტიკური ეკონომიის გაგება. ამ დროიდან დაიწყო მართლაც ინგლისური და ფრანგული პოლიტიკური ეკონომიის იმპორტი გერმანიის ბურჟუაზიის საჭიროებისათვის. მალე დაეუფლნენ სწავლულები და ბიუროკრატები იმპორტირებულ მასალას და დაამუშავეს იგი ისეთი წესით, რომელიც მაინცდამაინც სასახელო არაა «გერმანული სულისათვის». მჯღაბნელ აფერისტთა, ვაჭართა, კლასის დამრიგებელთა და ბიუროკრატთა ჭრელი კომპანიის წრიდან წარმოიშვა მაშინ გერმანული ეკონომიური ლიტერატურა, რომელსაც უხამსობის, დილეტანტიზმის, უიდეობის, მრავალსიტყვაობისა და სხვისი აზრის ქურდულად მითვისების მხრივ ანალოგია მხოლოდ გერმანულ

---

[1] გერმანიის საბაჟო კავშირი შეიკრა 1834 წლის 1 იანვარს პრუსიისა და გერმანიის მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა შორის; ავსტრია ამ კავშირის გარეშე დარჩა. რედ.

რომანში მოეპოვება. პრაქტიკული მიზნების მიმდევარ ადამიანთა წრეებში თავდაპირველად შეიქმნა მრეწველთა პროტექციონისტული სკოლა; და ამ სკოლის უდიდესი ავტორიტეტი, ლისტი, დღესაც კიდევ ყველაზე საუკეთესოა იმათგან, ვინც კი გერმანიის ბურჟუაზიულმა ეკონომიურმა ლიტერატურამ წარმოშვა, თუმცა მთელი მისი ნაქებ-ნადიდები ნაწარმოები გადმოწერილია ფრანგი ფერიესაგან, კონტინენტური სისტემის [1] თეორეტიკოს-ფუძემდებლისაგან. ამ მიმართულების საპირისპიროდ 40-იან წლებში წარმოიშვა ვაჭრობის თავისუფალი სკოლა ბალტიისპირა პროვინციების ვაჭართა წრიდან, რომელთა გულუბრყვილო-ბავშვური, მაგრამ ანგარებით სავსე რწმენაში ინგლისელ ფრიტრედერთა არგუმენტების გამოძახილი გაისმოდა. დასასრულ, კლასის დამრიგებლებსა და ბიუროკრატებს შორის, რომლებიც მეცნიერების თეორიულ მხარეს ამუშავებდნენ, იყვნენ უნაყოფო, კრიტიკის უნარს მოკლებული კოლექციონერები, როგორც ბ-ნი რაუ, ჰკუისმჩემებელი სპეკულაციური ფილოსოფოსები, რომლებიც უცხოურ ავტორთა დებულებებს მოუნელებელ ჰეგელისეულ ენაზე თარგმნიდნენ, როგორც ბ-ნი შტაინი, ანდა ბელეტრისტიკაში გადავარდნილი მენამცეცენი «კულტურის ისტორიის» დარგში, როგორც ბ-ნი რიღი. ყოველივე აქედან, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდა კამერალისტიკა [2], რაღაც ნარევი ყველაფრისა, ეკლექტიკურ-ეკონომიური წვენით მოსხმული,— ის, რის ცოდნაც სასარგებლოა ადამიანისთვის, რომელიც სახელმწიფო გამოცდას აბარებს მთავრობის მოხელის თანამდებობაზე.

---

[1] კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ა — ნაპოლეონ პირველის პოლიტიკა, რომელიც კრძალავდა ევროპის კონტინენტზე ინგლისური საქონლის შემოზიდვას; ეს სისტემა შემოღებულ იქნა 1806 წლის დეკრეტით. კონტინენტური სისტემის გატარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ესპანეთი, ნეაპოლი, ჰოლანდია, უფრო მოგვიანებით კი—პრუსია, დანია, რუსეთი, ავსტრია და სხვა ქვეყნები. რ ე დ.

[2] კ ა მ ე რ ა ლ ი ს ტ ი კ ა—ციკლი ადმინისტრაციულ, სამეურნეო და ეკონომიურ მეცნიერებათა, რომელთაც ბურჟუაზიულ უნივერსიტეტებში ასწავლიდნენ. რ ე დ.

იმ დროს, როდესაც ბურჟუაზია, კლასის დამრიგებლები და ბიუროკრატია გერმანიაში ჰაპანწყვეტაში იყვნენ იმისათვის, რომ გაეზპირებინათ და რამდენადმე მაინც გაეგოთ ინგლისურ-ფრანგული პოლიტიკური ეკონომიის საწყისი ელემენტები როგორც ხელშეუხებელი დოგმები, ისტორიულ სარბიელზე გამოვიდა გერმანიის პროლეტარული პარტია. მისი მთელი თეორიული მყოფობა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საფუძველზე წარმოიშვა, და მისი გამოსვლის მომენტიდან იწყება აგრეთვე მეცნიერული, დამოუკიდებელი, გერმანული პოლიტიკური ეკონომია. ეს გერმანული პოლიტიკური ეკონომია ემყარება არსებითად ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, რომლის ძირითადი ნიშნები მოკლედ გადმოცემულია ზემოთ ციტირებული ნაწარმოების წინასიტყვაობაში. ამ წინასიტყვაობის[1] ძირითადი ნაწილი უკვე დაიბეჭდა «Das Volk»-ში[2], ამიტომაც ჩვენ მკითხველს მასზე მივუთითებთ. არა მარტო პოლიტიკური ეკონომიისათვის, არამედ ყველა ისტორიული მეცნიერებისათვის (და ყველა მეცნიერება, რომელიც ბუნებისმეცნიერებას არ წარმოადგენს, ისტორიული მეცნიერებაა) რევოლუციურ აღმოჩენას წარმოადგენდა ის დებულება, რომ «მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს», რომ ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, ყველა რელიგიური და სამართლებრივი სისტემა, ყველა თეორიული შეხედულება, რაც კი ისტორიის მსვლელობაში წარმოიშვება, მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ, როცა გაგებულ იქნება ყოველი სათანადო ეპოქის ცხოვრების მატერიალური პირობები და პირველნი ამ მატერიალური პირობებიდან იქნებიან გამოყვანილი.

---

[1] იხ. ეს გამოცემა, გვ. 5—10. რედ.

[2] გერმანული გაზეთი «Das Volk» («ხალხი») მარქსის უახლოესი მონაწილეობით გამოდიოდა ლონდონში 1859 წლის მაისიდან აგვისტომდე. რედ.

«ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას». ეს დებულება იმდენად მარტივია, რომ იგი თავისთავად გასაგები უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ვინც კი დატყვევებული არაა იდეალისტური სიყალბით. მაგრამ ამ დებულებიდან უაღრესად რევოლუციური დასკვნები გამომდინარეობს არა მარტო თეორიისთვის, არამედ პრაქტიკისთვისაც. «თავიანთი განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური მწარმოებლური ძალები ვარდებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან, ანუ — რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს — საკუთრების ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილებად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში... ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი წარმოების საზოგადოებრივი პროცესის უკანასკნელი ანტაგონისტური ფორმაა, ანტაგონისტური არა ინდივიდუალური ანტაგონიზმის აზრით, არამედ—ინდივიდთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან აღმოცენებული ანტაგონიზმის აზრით; მაგრამ ის მწარმოებლური ძალები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში ვითარდებიან, ქმნიან ამასთანავე ერთად მატერიალურ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაწყვეტად». ამრიგად, ჩვენი მატერიალისტური თეზისის შემდგომი განვითარებისას და თანამედროვეობისადმი მისი გამოყენებისას ჩვენ ერთბაშად თვალწინ გადაგვეშლება ყველა დროის დიადი, უდიადესი რევოლუციის პერსპექტივა.

მაგრამ უფრო ყურადღებით განხილვისას დაუყოვნებლივ მჟღავნდება, რომ ის, ერთი შეხედვით მარტივი, დებულება, რომ ადამიანთა ცნობიერება დამოკიდებულია მათ ყოფიერებაზე და არა პირიქით, უკვე თავისივე პირველი დასკვნებით

სასიკვდილო ლახვარს სცემს ყოველგვარ იდეალიზმს, უაღრესად შენიღბულსაც კი. ეს დებულება უარყოფს ყველა ტრადიციულ და ჩვეულებრივ შეხედულებას ყოველ ისტორიულ მოვლენაზე. პოლიტიკური აზროვნების მთელი ტრადიციული წესი ყირავდება; პატრიოტული კეთილშობილება აღშფოთებით ილაშქრებს ასეთი უხეში შეხედულების წინააღმდეგ. ამიტომ ახალი მსოფლმხედველობა აუცილებლობით ეჯახება წინააღმდეგობას არა მარტო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მხრიდან, არამედ იმ ფრანგი სოციალისტების მასის მხრიდანაც, რომელთაც სურთ ქვეყნიერება გადაატრიალონ მისნური ფორმულით: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა (liberté, egalité, fraternité). მაგრამ განსაკუთრებით დიდი მრისხანება გამოიწვია ამ თეორიამ გერმანელი ვულგარულ-დემოკრატიული მყვირალების წრეში. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელნი გულმოდგინედ ცდილობდნენ ახალი იდეები პლაგიატორულად გამოეყენებინათ, თუმცა ამასთანავე ამ იდეათა იშვიათ გაუგებლობას ამჟღავნებდნენ.

მატერიალისტური გაგების განვითარება თუნდაც ერთადერთ ისტორიულ მაგალითზე ისეთი მეცნიერული მუშაობა იყო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დამშვიდებით წარმოებულ კვლევა-ძიებას საჭიროებდა, რადგან ცხადია, რომ მარტოოდენ ფრაზებით აქ ვერაფერს გააკეთებ და რომ მხოლოდ მასობრივი, კრიტიკულად შემოწმებული, სრულყოფილად ათვისებული ისტორიული მასალა იძლევა ასეთი ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობას. თებერვლის რევოლუციამ კი ჩვენი პარტია პოლიტიკურ სარბიელზე გადაისროლა და ამით შეუძლებელი გახადა მისთვის წმინდა მეცნიერულ მიზნებს გაჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, ეს ძირითადი შეხედულება წითელ ზოლადაა გავლებული პარტიის ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებში. მათში ყოველ ცალკეულ შემთხვევასთან დაკავშირებით ნაჩვენებია, თუ როგორ წარმოშობდნენ ყოველთვის მოქმედებას მატერიალური მამოძრავებელი მიზეზები და არა მათი თანმხლები ფრაზები, როგორ არის, რომ, პირიქით, პოლიტიკური და იურიდიული ფრაზები სწორედ

ისეთივე შედეგია მატერიალური მამოძრავებელი მიზეზებისა, როგორც პოლიტიკური მოქმედებაც და მისი შედეგიც.

1848—1849 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგა მომენტი, როდესაც სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა უცხოეთიდან ზეგავლენის მოხდენა გერმანიაზე; მაშინ ჩვენმა პარტიამ ვულგარულ დემოკრატიას დაუთმო ემიგრანტული კინკლაობის ასპარეზი, რადგან ერთადერთ შესაძლებელ მოქმედებად ეს კინკლაობა დარჩა. და მაშინ როდესაც ვულგარული დემოკრატია უხვად ეწეოდა ამ კინკლაობას, დღეს ერთიმეორეს თმით ათრევდა, რათა ხვალ დაძმობილებოდა, ხოლო ზეგ კვლავ ქვეყნიერების წინაშე დაეწყო მთელი თავისი ჭუჭყიანი სარეცხის რეცხა, მაშინ როდესაც ეს ვულგარული დემოკრატია მთელს ამერიკაში დამათხოვრობდა, ფულის საშოვნელად, რათა შემდგომ ახალი სკანდალი დაეწყო რამდენიმე მოპოვებული ტალერის განაწილების გამო,— ჩვენი პარტია გახარებული იყო იმით, რომ კვლავ შეეძლო ესარგებლნა შექმნილი მყუდროებით და მეცნიერულ კვლევა-ძიებას შედგომოდა. მისი დიდი უპირატესობა ის იყო, რომ მას თეორიულ საფუძვლად ჰქონდა ახალი მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომლის შემუშავებაც მას საკმაო საქმეს უქმნიდა. უკვე მარტო ამის გამო არ შეეძლო მას ისე დაბლა დაშვებულიყო, როგორც ემიგრაციის «დიდი ადამიანები» დაეშვნენ.

ამ კვლევა-ძიების პირველი ნაყოფია ეს წიგნი.

II

ისეთ თხზულებაში, როგორიც ეს წიგნია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება პოლიტიკური ეკონომიის ცალკეული თავების არასისტემატურ კრიტიკაზე, ამა თუ იმ ეკონომიური სადავო საკითხის განცალკევებულად განხილვაზე. პირიქით, ეს

თხზულება იმთავითვე აგებულია ეკონომიურ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის სისტემატურად შეჯამებულ გადმოცემაზე, ბურჟუაზიული წარმოებისა და ბურჟუაზიული გაცვლის კანონების დაკავშირებულ გამოკვლევაზე. და რადგან ეკონომისტები მხოლოდ ამ კანონების განმმარტებელნი და აპოლოგეტები არიან, ამიტომ ეს გამოკვლევა იმავე დროს წარმოადგენს მთელი ეკონომიური ლიტერატურის კრიტიკას.

ჰეგელის სიკვდილის შემდეგ ძნელად თუ ჰქონია ადგილი იმის ცდას, რომ მოცემული ყოფილიყო რომელიმე მეცნიერების განვითარება მის საკუთარ, დამახასიათებელ შინაგან კავშირში. ოფიციალურმა ჰეგელის სკოლამ მასწავლებლის დიალექტიკიდან მხოლოდ უმარტივესი ხერხების მანიპულაცია შეითვისა და ამ ხერხებს იგი ყველგან და ყოველთვის იყენებდა, თანაც ხშირად ისე უხერხულად, რომ პირდაპირ სასაცილო იყო. ჰეგელის მთელი მემკვიდრეობა ამ სკოლისათვის გახდა უბრალო შაბლონი, რომლის შემწეობითაც მუშავდებოდა ყოველი თემა, იგი გახადა ისეთი სიტყვებისა და კონსტრუქციების რეგისტრი, რომელთა დანიშნულებას მხოლოდ ის შეადგენდა, რომ თავის დროზე ჩაერთოთ ისინი იქ, სადაც აზრებისა და დადებითი ცოდნის ნაკლებობა იყო. ამიტომ იყო, რომ, როგორც ერთმა ბონელმა პროფესორმა თქვა, ამ ჰეგელიანელებს «არაფერზე» ცოტა რამ გაეგებოდათ, მაგრამ ყველაფერზე წერა კი შეეძლოთ. რასაკვირველია, ეს ასეც იყო. ეს ვაჟბატონები, მიუხედავად თავიანთი ქედმაღლობისა, იმდენად გრძნობდნენ თავიანთ სისუსტეს, რომ ცდილობდნენ რაც კი შეიძლებოდა შორს მდგარიყვნენ დიდი ამოცანებიდან. ძველი რუტინული მეცნიერება ინარჩუნებდა თავის პოზიციებს იმ უპირატესობის გამო, რომელიც მას ჰქონდა დადებითი ცოდნის მხრივ. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ფოიერბახმა სპეკულაციური ცნება უშინაარსო ცნებად გამოაცხადა, ჰეგელიანობა თანდათან გაქრა და ისე ჩანდა, თითქოს მეცნიერებაში ხელახლა გამეფდა ძველი მეტაფიზიკა თავისი გაქვავებული კატეგორიებით.

ამ მოვლენას თავისი ბუნებრივი მიზეზი ჰქონდა. ჰეგელის დიადოხების[1] რეჟიმის შემდეგ, რაც უაზრო ფრაზის ბატონობას წარმოადგენდა, ბუნებრივად დადგა ისეთი ხანა, როცა მეცნიერების დადებითი შინაარსი ხელახლა აღემატებოდა მის ფორმალურ მხარეს. ამავე დროს კი გერმანია სრულიად არაჩვეულებრივი ენერგიით დაეწაფა ბუნებისმეცნიერებას, რაც სავსებით შეესაბამებოდა მის მძლავრ ბურჟუაზიულ განვითარებას 1848 წლის შემდეგ; და რამდენადაც ეს მეცნიერებანი, რომლებშიც სპეკულაციურ მიმართულებას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არასოდეს არ მიუღია, მოდად შემოდიოდა, იმდენადვე ხელახლა ვრცელდებოდა აზროვნების ძველი მეტაფიზიკური მანერა, ვოლფის უკიდურესად ტრივიალურ აზრებამდეც კი. ჰეგელი დავიწყებულ იქნა, განვითარდა ახალი ბუნებისმეცნიერული მატერიალიზმი, რომელიც თეორიულად თითქმის არაფრით არ განირჩევა XVIII საუკუნის მატერიალიზმისაგან და რომელსაც მეტწილად მხოლოდ ის უპირატესობა აქვს, რომ მის განკარგულებაშია უფრო მდიდარი ბუნებისმეცნიერული, განსაკუთრებით კი ქიმიური და ფიზიოლოგიური, მასალა. ჩვენ ვხედავთ, რომ კანტის წინადროინდელი აზროვნების ეს შეზღუდული ფილისტერული წესი კვლავ აღდგენილია მისი უაღრესად უხამსი ფორმით ბიუხნერისა და ფოგტის მიერ; მოლეშოტიც კი, რომელიც ფოიერბახზე ფიცულობს, ყოველ წამს სწორედ რომ სასაცილოდ იხლართება ყველაზე მარტივ კატეგორიებში. ჩვეულებრივი ბურჟუაზიული გონების მოუქნელი ჯაგლაგი ცხენი, რასაკვირველია, ჩერდება, აზრდაბნეული, თხრილის წინ, რომელიც ჰყოფს არსს მოვლენისაგან, მიზეზს შედგენისაგან. მაგრამ როდესაც აბსტრაქტული აზროვნების უაღრესად ოღრო-ჩოღრო ნიადაგზე მეძებრებით

---

[1] დ ი ა დ ო ხ ე ბ ი — ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრენი, რომელნიც მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ერთმანეთს შორის ბრძოლას აწარმოებდნენ. ამ ბრძოლამ იმპერიის დაშლა გამოიწვია. ენგელსი ირონიულად ხმარობს ამ გამოთქმას ჰეგელის სკოლის ოფიციალური წარმომადგენლების მიმართ გერმანიის უნივერსიტეტებში. რ ე დ.

ნადირობას ეპირები, სწორედ მაშინ არ შეიძლება ჯაგლაგ ცხენზე შეჯდომა.

ამრიგად, აქ გადასაჭრელი იყო სხვა საკითხი, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პოლიტიკურ ეკონომიასთან როგორც ასეთთან. მეცნიერების კვლევა-ძიების რომელი მეთოდი უნდა ყოფილიყო არჩეული? ერთი მხრივ, არსებობდა ჰეგელის დიალექტიკა სრულიად აბსტრაქტული, «სპეკულაციური» სახით, როგორც იგი ჰეგელმა დატოვა; მეორე მხრივ, არსებობდა ჩვეულებრივი, ახლა ისევ მოდად ქცეული, არსებითად ვოლფისებურ-მეტაფიზიკური მეთოდი, რომელსაც მისდევდნენ კიდეც ბურჟუაზიული ეკონომისტები და წერდნენ თავიანთ სქელ, უსისტემო წიგნებს. ეს უკანასკნელი მეთოდი იმდენად განადგურებული იყო თეორიულად კანტის და განსაკუთრებით ჰეგელის მიერ, რომ მხოლოდ გონებრივი სიზანტე და სხვა მ ა რ ტ ი ვ ი მეთოდის უქონლობა ხდიდა შესაძლებლად განეგრძო მას პრაქტიკული არსებობა. მეორე მხრივ, ჰეგელის მეთოდი მისი ა რ ს ე ბ უ ლ ი ფორმით აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყო. იგი არსებითად იდეალისტური მეთოდი იყო, აქ კი საჭირო იყო ისეთი მსოფლმხედველობის განვითარება, რომელიც უფრო მატერიალისტური იქნებოდა, ვიდრე ყველა სხვა წინანდელი მსოფლმხედველობა. იგი წმინდა აზროვნებიდან გამოდიოდა, აქ კი ადგილი უნდა ჰქონოდა ჯიუტი ფაქტებიდან გამოსვლას. მეთოდი, რომელიც, ჰეგელისავე საკუთარი აღიარებით, «არაფრიდან არაფრის გზით არაფრამდე მივიდა», ამ ფორმით აქ სრულიად უადგილო იყო. მიუხედავად ამისა, არსებული ლოგიკური მასალიდან ეს იყო ერთადერთი მეთოდი, რომლის გამოყენებაც ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა. ეს მეთოდი არ ყოფილა გაკრიტიკებული, იგი ვერავინ გადალახა; დიდი დიალექტიკოსის მოწინააღმდეგეთაგან ვერავინ შეძლო გაენგრია მისი ამაყი შენობის კედელი. ეს მეთოდი დავიწყებას მიეცა იმიტომ, რომ ჰეგელის სკოლამ არ იცოდა რა უნდა ექნა მისთვის. ამიტომ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ჰეგელის მეთოდის საფუძვლიანი კრიტიკა.

19—35—50

ჰეგელის აზროვნების წესი ყველა სხვა ფილოსოფოსის აზროვნების წესისაგან განსხვავდებოდა უდიდესი ისტორიული ალღოთი, რომელიც მას საფუძვლად ედო, თუმცა ფორმა უაღრესად აბსტრაქტული და იდეალისტური იყო, მაგრამ მისი აზრების განვითარება ყოველთვის მსოფლიო ისტორიის განვითარების პარალელურად მოდიოდა და ეს უკანასკნელი ნამდვილად მხოლოდ პირველის დადასტურება უნდა ყოფილიყო. თუ ამის გამო აზროვნებისა და სინამდვილის ნამდვილი თანაფარდობა უკუღმა იყო გადაბრუნებული და თავდაყირა დაყენებული, მაინც რეალური შინაარსი ყველგან ასე შედიოდა ფილოსოფიაში, მით უმეტეს, რომ ჰეგელი იმით განსხვავდებოდა თავისი მოწაფეებისაგან, რომ არ ტრაბახობდა მათსავით უმეცრებით, არამედ თვითონ იყო ერთი უგანათლებულესი ადამიანთაგანი ყველა დროისა. იგი პირველად შეეცადა დაემტკიცებინა ისტორიული პროცესის განვითარება და შინაგანი კავშირი და რაგინდ უცნაურადაც გვეჩვენებოდეს ჩვენ ახლა ბევრი რამ მის ისტორიის ფილოსოფიაში, მაინც მისი ძირითადი შეხედულებების გრანდიოზულობა დღესაც კი გაკვირვების ღირსია, განსაკუთრებით თუ შევადარებთ ჰეგელს მის წინამორბედებს ან იმათ, ვინც მის შემდეგ ნებას აძლევდა თავის თავს ზოგადად ემსჯელა ისტორიაზე. მის «ფენომენოლოგიაში», «ესთეტიკაში», «ფილოსოფიის ისტორიაში»—ყველგან წითელ ზოლადაა გავლებული ისტორიის ეს გრანდიოზული გაგება, და ყველგან მასალა განიხილება ისტორიულად, განსაზღვრულ, თუმცაღა დამახინჯებულ, აბტსრაქტულ კავშირში ისტორიასთან.

ეს ეპოქის შემქმნელი გაგება ისტორიისა ისტორიის ახალი მატერიალისტური გაგების უშუალო თეორიულ წანამძღვარს წარმოადგენდა და უკვე ამით მოცემული იყო ამოსავალი პუნქტი ლოგიკური მეთოდისთვისაც. თუ ამ დავიწყებულ დიალექტიკას უკვე «წმინდა აზროვნების» თვალსაზრისის ნიადაგზე შეეძლო ასეთ შედეგებამდე მიყვანა, თუ მან თანაც, ასე ვთქვათ, თამაშით გაუსწორა ანგარიში მთელ ძველ ლოგიკასა და მეტაფიზიკას, მაშინ ეს იმას ნიშნავს,

რომ იგი რაღაც მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მარტოოდენ სოფისტიკა და სქოლასტიკური დახელოვნება. მაგრამ ამ მეთოდის კრიტიკა, რომლის წინაშეც უკან იხევდა და დღესაც უკან იხევს მთელი ოფიციალური ფილოსოფია, ადვილი ამოცანა როდი იყო.

მარქსი იყო და არის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც შეძლო ეკისრნა ეს შრომა: გამოეცალკევებინა ჰეგელის ლოგიკიდან ის ბირთვი, რომელიც შეიცავს ჰეგელის ნამდვილ აღმოჩენას ამ დარგში და აღედგინა დიალექტიკური მეთოდი, განთავისუფლებული მისი იდეალისტური გარსისაგან, იმ მარტივი სახით, რა სახითაც იგი სწორედ აზრთა განვითარების ერთადერთი მართებული ფორმა ხდება. იმ მეთოდის გამომუშავება, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის მარქსისტულ კრიტიკას საფუძვლად უდევს, ჩვენ მიგვაჩნია ისეთ შედეგად, რომელიც თავისი მნიშვნელობით თითქმის არ ჩამოუვარდება ძირითად მატერიალისტურ შეხედულებას.

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, მოპოვებული მეთოდის მიხედვითაც კი, შეიძლებოდა აგებული ყოფილიყო ორგვარი წესით: ისტორიულად და ლოგიკურად. რადგან ისტორიაში, ისევე როგორც მის ლიტერატურულ ასახულობაში, განვითარება საერთოდ და მთლიანად ისე მიმდინარეობს, რომ ადგილი აქვს უფრო მარტივიდან უფრო რთულ ურთიერთობაზე გადასვლას, ამიტომ პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურულ-ისტორიული განვითარება იძლეოდა ბუნებრივ სახელმძღვანელო ძაფს, რომელსაც კრიტიკა შეიძლება მიჰყოლოდა, და ეკონომიური კატეგორებიც ამასთან ერთად და მთლიანად ისეთივე თანამიმდევრობით გამოვლინდებოდა, როგორც ლოგიკურ განვითარებაში. ამ ფორმას ერთი შეხედვით მეტი სიცხადის უპირატესობა აქვს, რადგან აქ მსჯელობა კვალდაკვალ მიჰყვება ნამდვილ განვითარებას, მაგრამ არსებითად კი ასეთი ფორმა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ უფრო პოპულარული იქნებოდა. ისტორიული განვითარება ხშირად ნახტომისებურად და მიხვეულ-მოხვეული გზით მიმდინარეობს და თუ სავალდებულო იქნებოდა მას

კვალდაკვალ მივჰყოლოდით ყველგან, მაშინ ამით იძულებული გავხდებოდით მხედველობაში მიგვეღო არა მარტო ნაკლები მნიშვნელობის მქონე ბევრი მასალა, არამედ ხშირად აზრთა მსვლელობის გაწყვეტაც მოგვიხდებოდა. ამასთან პოლიტიკური ეკონომიის ისტორია ვერ დაიწერებოდა ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიის გარეშე, ამით კი სამუშაო უსასრულო გახდებოდა, რადგან არავითარი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ამ დარგში არ მოიპოვება. მაშასადამე, განხილვის ლოგიკური წესი ერთადერთი მართებული წესი იყო. მაგრამ არსებითად ეს წესი სხვა არაფერი იყო, თუ არა იგივე ისტორიული წესი, მხოლოდ განთავისუფლებული მისი ისტორიული ფორმისაგან და მის დამრღვევ შემთხვევითობათაგან. საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდან უნდა იწყებოდეს აზრთა მსვლელობაც, და მისი შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახვა აბსტრაქტული და თეორიულად თანამიმდევრული ფორმით; ასახვა შესწორებული, მაგრამ შესწორებული იმ კანონების შესაბამისად, რომელთაც თვით ნამდვილი ისტორიული პროცესი იძლევა, ამასთან ყოველი მომენტი შეიძლება განხილულ იქნას მისი განვითარების იმ პუნქტში, სადაც პროცესი სრულ მომწიფებასა და კლასიკურ ფორმას აღწევს.

ამ მეთოდის გამოყენებისას ჩვენ გამოვდივართ პირველი და ყველაზე მარტივი ურთიერთობიდან, რომელიც ჩვენ მოცემული გვაქვს ისტორიულად, ფაქტიურად, მაშასადამე,— იმ პირველი ეკონომიური ურთიერთობიდან, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ. ამ ურთიერთობას ჩვენ ანალიზს ვუკეთებთ. უკვე ის ფაქტი, რომ ეს არის ურთიერთობა, ნიშნავს, რომ მას აქვს ორი მხარე, რომელნიც ერთიმეორისადმი მიმართებაშია. თვითეულ ამ მხარეს ჩვენ განცალკევებულად განვიხილავთ. აქედან გამომდინარეობს მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი, მათი ურთიერთმოქმედება. ამასთან მჭლავნდება წინააღმდეგობანი, რომელნიც გადაწყვეტას მოითხოვენ. მაგრამ რადგანაც ჩვენ აქ განვი-

ხილავთ აზრის არა აბსტრაქტულ პროცესს, რომელსაც მხოლოდ ჩვენ თავში აქვს ადგილი, არამედ ნამდვილ პროცესს, რომელიც ოდესღაც შესრულებულა ან ახლაც განაგრძობს კიდევ შესრულებას,—ამიტომ ეს წინააღმდეგობანიც ვითარდებიან პრაქტიკაში და, ალბათ, მათ თავიანთი გადაწყვეტაც ჰპოვეს. ჩვენ ამ გადაწყვეტის წესს კვალდაკვალ გავყვებით და ვნახავთ, რომ იგი მიღწეულ იქნა იმ ახალი ურთიერთობის დამყარებით, რომლის ორი მოპირისპირე მხარე ჩვენ ახლა უნდა განვიხილოთ და ა. შ.

პოლიტიკური ეკონომია იწყებს საქონლიდან, იმ მომენტიდან, როცა პროდუქტების ერთიმეორეზე გაცვლა ხდება — სულ ერთია ასრულებენ ამ გაცვლას ცალკეული ადამიანები თუ პირველყოფილი თემები. პროდუქტი, რომელიც გაცვლაში შედის, საქონელია. მაგრამ იგი საქონელია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნივთთან, ამ პროდუქტთან დაკავშირებულია ორ პიროვნებას შორის ან თემებს შორის არსებული ურთიერთობა, ურთიერთობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, რომელნიც აქ ერთსა და იმავე პიროვნებას უკვე აღარ წარმოადგენენ. ჩვენ აქ ერთბაშად თვალწინ გვაქვს იმ თავისებური მოვლენის მაგალითი, რომელიც გავლებულია წითელ ზოლად მთელ პოლიტიკურ ეკონომიაში და რომელმაც საშინელი არევ-დარევა წარმოშვა ბურჟუაზიული ეკონომისტების თავში: პოლიტიკური ეკონომიის განხილვის საგანია არა ნივთები, არამედ ადამიანებს შორის, ზოლო საბოლოო ანგარიშით კლასებს შორის, არსებული ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა ყოველთვის დაკავშირებულია ნივთებთან და ნივთების სახით ვლინდება. ეს კავშირი, რომლის შესახებაც, რა თქმა უნდა, ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ ეკონომისტს მხოლოდ გუმანი ჰქონდა, პირველად მარქსმა გამოამჟღავნა მთელი იმ მნიშვნელობით, რაც მას პოლიტიკური ეკონომიისთვის აქვს, და ამით უძნელესი საკითხები ისე მარტივი და ნათელი გახდა, რომ ახლა ბურჟუაზიული ეკონომისტებიც კი შეძლებენ მათ გაგებას.

